

ივანე ჯავახიშვილის სახელობის თბილისის

სახელმწიფო უნივერსიტეტი

ელენე მარტაშვილი

სოციალური მუშაობის გამოწვევები კანონთან კონფლიქტში

მყოფ 14 წლამდე ახალგაზრდებთან

სოციალურ მუშაობა

სამაგისტრო ნაშრომი შესრულებულია სოციალური მუშაობის

მაგისტრის ხარისხის მოსაპოვებლად

სამაგისტრო ნაშრომის ხელმძღვანელი: თამარ მახარაძე

სამეცნიერო ხარისხი: ასოცირებული პროფესორი;

საჯარო პოლიტიკის დოქტორი

2019

თბილისი

სოციალური მუშაობის გამოწვევები კანონთან კონფლიქტში

მყოფ 14 წლამდე ახალგაზრდებთან

ანოტაცია

ნაშრომში განხილულია არასრულწლოვნების მართლმსაჯულებასთან დაკავშირებული საკითხები, როგორც საქართველოში, ასევე, საერთაშორისო ასპარეზზე. კვლევის მიზანს წარმოადგენს იმ ფაქტორების გაანალიზება, რომელიც გავლენას ახდენს არასრულწლოვნების მიერ ჩადენილ დელიქტურ ქცევაზე, იმ გამოწვევებისა და სირთულეების იდენტიფიცირება, რომელთა წინაშეც კანონთან კონფლიქტში მყოფი არასრულწლოვნები დგანან. იმ თავისებურებების გააზრება, რაც თან ახლავს სოციალური მუშაობის პრაქტიკას არასრულწლოვნებთან მუშაობის პროცესს, განხილულია საუკეთესო პრაქტიკა პრევენციის მიმართულებით.

ნაშრომი შედგება სამი ნაწილისაგან, პირველი ნაწილი თეორიული ხასიათისაა, რომელიც ლიტერატურის მიმოხილვას მოიცავს, წარმოდგენილია არასრულწლოვნებთან მუშაობის გამოცდილება, როგორც საქართველოში, ასევე, საერთაშორისო ასპარეზზე, კანონთან კონფლიქტში მყოფი არასრულწლოვნებთან დაკავშირებული სხვადასხვა საკითხის განხილვას, სოციალური მუშაკის როლისა და თავისებურებების გააზრებას; არასრულწლოვანთა დანაშაულის პრევენციასთან დაკავშირებული სხვადასხვა საკითხის ანალიზს.

მეორე ნაწილი პრაქტიკული ხასიათისაა, წარმოდგენილია სიღრმისეული კვლევის შედეგად მიღებული მონაცენები და მათი ანალიზი;

მესამე ნაწილში წარმოდგენილია დასკვნა და რეკომენდაციები, ასევე, გამოყენებული ლიტერატურა.

კვლევა ეყრდნობა თვისებრივ კვლევის მეთოდებს, კერძოდ სიღრმისეულ ინტერვიუს და დოკუმენტაციის ანალიზს.

კვლევა საინტერესო იქნება, იმ ადამიანებისათვის, რომლებიც დაინტერესებულნი არიან არასრულწლოვანთა მართლმსაჯულების საკითხებით და სფეროს განვითარებით.

Challenges of social work while working with juveniles under age 14 being in conflict with law

abstract

In the following dissertation, issues regarding to the juveniles justice system in Georgia and worldwide are discussed. The aim of the academic research is to analyze main factors having influence on delinquency acts committed by juveniles. It identifies challenges and problems which are familliarto juveniles being in comfliqt with a law. The last but not least, the given study further outlines the charactreistics associated to social work practice and working with juveniles per se.

Following study is divided into three main parts. The first part is theoretical and devoted to the literature review. Existing practices regarding to juveniles justice system in Georgia and in other countries, including the western hemisphere of the world, other issues of youth being in comflict with law and the role of social workers are analyzed.

The second part of the study is more practical and data and analysis retrieved from the in depth research will be discussed.

The third part summarizes the discussion and findings and sketches out the recommendations for policy makers. The dissertation utilizes the qualitative research methodology and largely relies on the in-depth interviews, as well as on the analysis of the primary and secondary sources.

Undoubtedly, the presented study will be interesting and useful for people working or being interested in developing juvenile justice system in Georgia.

შინაარსი

შესავალი3-8გვ

I თავი. დანაშაული და მისი განმარტება სხვადასხვა თეორიისა და მიდგომის მიხედვით

1.1. დანაშაულისა და დევიანტური ქცევის შემსწავლელი ბიოლოგიური თეორიები.....10-12გვ

1.2. დანაშაულის ახსნის ფსიქოლოგიური თეორიები.....12-13გვ

1.2 დანაშაულის შემსწავლელი სოციალური თეორიები13-15გვ

თავი II. არასრულწლოვანი და დანაშაული

2.1. საერთაშორისო პრაქტიკა არასრულწლოვანთა მართლმსაჯულების სფეროში.....15-18გვ

2.2. სამართლებრივი პასუხისმგებლობის ასაკობრივი ზღვარი და მასთან დაკავშირებული საკითხები.....18-20გვ

თავი 3. ბიოლოგიური, ფსიქოლოგიური და სოციალური აქტორების

გავლენა არასრულწლოვანთა დანაშაულებრივ ქცევაზე

3.1. ბიოლოგიური, ფსიქოლოგიური და სოციალური ფაქტორების ანალიზი.....20-23გვ

თავი IV. საქართველო და არასრულწლოვანთა მართლმსაჯულების რეფორმა

4.1 საკანონმდებლო ბაზა.....23-27გვ

თავი V. სოციალური მუშაკის როლი არასრულწლოვანთა

მართლმსაჯულების

სისტემაში.....27-29გვ

თავი VI. არასრულწლოვანთა დანაშაულის პრევენცია.....30-33გვ

თავი VII. კვლევის ანალიზი.....32-45გვ

თავი VI. დასკვნა/რეკომენდაცია.....45-50გვ

გამოყენებული ლიტერატურა.....50-53გვ

შესავალი

ნაშრომში განხილულია არასრულწლოვნების მართლმსაჯულების რეფორმის არსი საქართველოში, მასთან დაკავშირებული სირთულები, აღნიშნული კვლევა აერთიანებს ისეთ სოციალურ პრობლემებს როგორცაა არასრულწლოვანთა დანაშაული, მისი გამომწვევი ფაქტორები და სოციალური მუშაკის, როგორც დამხმარე პროფესიის როლი არასრულწლოვანთა მართლმსაჯულების მიმართულებით, განხილულია პრევენციის საკითხები ეფექტური ინტერვენციის მეთოდები.

თემის აქტუალობა - საქართველოს შინაგან საქმეთა სამინისტროს სტატისტიკური მონაცემებით, ბოლო პერიოდში საგრძნობლად გაიზარდა არასრულწლოვანთა დანაშაული, განსაკუთრებით, 14 წლამდე არასრულწლოვნების მიმართულებით. საქართველოს არასრულწლოვანთა მართლმსაჯულების კოდექსი არის ერთ-ერთი

უმნიშვნელოვანესი რეფორმა საქართველოში ბავშვთა უფლებების სფეროში, თუმცა, როგორც ჩანს რეფორმაში არის მნიშვნელოვანი ხარვეზები, რომლებმაც ბოლო პერიოდში განსაკუთრებით იჩინა თავი. კანონში კონფლიქტთან მყოფი 14 წლამდე არასრულწლოვნები, რომლებსაც არ ეკისრებათ პასუხისმგებლობა კანონის წინაშე, რჩებიან სისტემის მიღმა, მათთან არ ხორციელდება არანაირი პრევენციული ღონისძიება, ხოლო, იდენტიფიცირებული არასრულწლოვნები, რომლებმაც პირველად ან უკვე რამოდენიმეჯერ ჩაიდინეს დელიქტენტური ქცევა, არ ხდება მათთვის არანაირი მომსახურების მიწოდება და სარებილიტაციო მომსახურებებში ჩართვა. სწორედ ამ საკითხებს უკავშირდება არასრულწლოვანთა დანაშაულებრივი ქმედებების ზრდა საქართველოში.

კვლევის მიზანი – კანონთან კონფლიქტში მყოფ 14 წლამდე ასაკის ახალგაზრდებთან სოციალური მუშაობის პროცესში აღმოცენებული გამოწვევების გაანალიზება;

კვლევის ამოცანები

- კანონთან კონფლიქტში მყოფ 14 წლამდე ასაკის ახალგაზრდების ბიო–ფსიქო–სოციალური განვითარების თავისებურებები – ფაქტორები რომლებიც ხელს უწყობს მოზარდების კრიმინალურ ცხოვრებაში ჩართვას;
- კანონთან კონფლიქტში მყოფ 14 წლამდე ასაკის ახალგაზრდებთან სახელმწიფოს მიერ წარმოებული მუშაობის გაანალიზება – არსებული მიდგომები და მომსახურებები ადგილობრივი და საერთაშორისო პერსპექტივიდან; ამ პროცესში სოციალური მუშაობის როლის გაანალიზება;
- კანონთან კონფლიქტში მყოფ 14 წლამდე ასაკის ახალგაზრდებთან მომუშავე სოციალური მუშაკების პროფესიული მომზადება და მუშაობის პროცესში აღმოცენებული სირთულეები;

კვლევის სამიზნე ჯგუფი - კვლევის სამიზნე ჯგუფს შეადგენენ კანონთან კონფლიქტში მყოფი 14 წლამდე პირები, მათი კანონიერი წარმომადგენლები, არასრულწლოვანთა მართლმსაჯულების სფეროში მომუშავე სპეციალისტები, და ამ სფეროს ექსპერტები.

კვლევის ტექნიკური ბაზა -სსიპ სოციალური მომსახურების სააგენტოში ჩატარებული ინტერვიუებისათვის სივრცე, გამოყენებულ იქნება სკამი, მაგიდა, საწერი კალამი, ფურცელი, ხმის ჩამწარი, პერსონალური კომპიუტერი.

კვლევის მეთოდოლოგია- კვლევაში გამოყენებულ იქნება თვისებრივი კვლევის მეთოდი - სიღრმისეული ინტერვიუ, ასევე ექსპერტული გამოკითხვა, სხვადასხვა სახის დოკუმენტის შესწავლა და ანალიზი.

კანონთან კონფლიქტში მყოფ არასრულწლოვნებთან შევიმუშავე კითხვარი, რომელიც შედგება 12 (თორმეტი) ღია კითხვისგან. დისკუსია ძირითადად შეეხებოდა კანონთან კონფლიქტში მყოფ არასრულწლოვნების ყოველდღიურ ცხოვრებას, თანატოლებს, სკოლის როლს; ღირებულებათა და ფასეულობათა სისტემის განხილვას; დანაშაულის გამომწვევი ფაქტორების იდენტიფიცირებას; სოციალური მუშაკის როლის განხილვას.

კანონთან კონფლიქტში მყოფი არასრულწლოვნების კანონიერი წარმომადგენლებისთვის შემუშავებული კითხვარი შედგებოდა 11 (თერთმეტი) ღია კითხვისგან; სადისკუსიო კითხვარი ძირითადად შეეხებოდა მათ მიერ გამოყენებულ აღზრდის მეთოდებს შვილებთან დაკავშირებით, რამდენად არიან შვილების ცხოვრებაში ჩართულები და რამდენად იაზრებენ საკუთარ როლს არასრულწლოვნის მიერ განხორციელებულ დელიქვენტურ ქცევაზე; რამდენად ეფექტური იყო სოციალურ მუშაკთან თანამშრომლობა; რა სირთულეების და გამოწვევების წინაშე დგანან ამ ეტაპზე; ასევე, ვისაუბრეთ რეკომენდაციებსა და ცვლილებებზე.

კვლევაში მონაწილე სფეროს პრაქტიკოსი წარმომადგენლებისათვის შედგენილი კითხვარი შედგებოდა 10 (ათი) ღია კითხვისაგან. სადისკუსიო კითხვები ძირითადად შეეხებოდა მუშაობის გამოცდილებას, კომპეტენციას, მუშაობის დროს აღმოცენებულ პრობლემებს, პრაქტიკიდან გამომდინარე, დანაშაულის გამომწვევი ფაქტორების შესახებ მსჯელობას, ბოლოს შესაბამის რეკომენდაციებს.

სფეროს არაპრაქტიკოსი ექსპერტებისათვის შედგენილი კითხვარი შედგებოდა ასევე, 10 (ათი) კითხვისაგან, მნიშვნელოვანი აქცენტები გაკეთებული იყო, სოციალური მუშაობის როლზე არასრულწლოვანთა მართლმსაჯულების სისიტემაში, არსებული გამოწვევების იდენტიფიცირებაზე, საუკეთესო პრაქტიკის გაზიარებასა და სამომავლო რეკომენდაციების გამოკვეთაზე.

ინტერვენცია/განხორციელებული აქტივობები - კვლევა მიმდინარეობდა 2018 წლის ნოემბრის თვიდან 2019 წლის იანვრის თვის ჩათვლით. ჯამში ჩატარდა 34 სიღრმისეული ინტერვიუ, როგორც კანონთან კონფლიქტში მყოფ 14 წლამდე არასრულწოვნებთან, მათ კანონიერ წარმომადგენლებთან/მშობლებთან, სფეროში მომუშავე სხვადასხვა სფეროს პრაქტიკოსებთან და სფეროს ექსპერტებთან. კვლევის ფარგლებში გამოიკითხნენ სსიპ სოციალური მომსახურების სააგენტოს 12 სოციალური მუშაკი, 1 უფროსი სოციალური მუშაკი, სსიპ პრობაციის ეროვნული სააგენტოს 1 სოციალური მუშაკი და 1 პროფესიული ზედამხედველი, სსიპ დანაშაულის პრევენციის სოციალური მუშაკი. ასევე, შსს კრიმინალური პოლიციის დეპარტამენტის ვაკე-საბურთალოს სამმართველოს ორი განყოფილების ორი გამომძიებელი. ასევე, კვლევაში მონაწილეობა მიიღეს სსიპ სოციალური მომსახურების სააგენტოს მეურვეობა-მზრუნველობისა და სოციალური დეპარტამენტის უფროსმა, ამავე დეპარტამენტის ძალადობის ადმინისტრირების სამმართველოს უფროსმა და იურისტმა, საქართველოს სოციალურ მუშაკთა ასოციაციის თავმჯდომარემ, ფსიქოლოგმა ქეთევან თავართქილაძემ. კვლევაში მონაწილეობენ კანონთან კონფლიქტში მყოფი 14 წლამდე - 9 არასრულწლოვანი და 5 არასრულწლოვნის კანონიერი წარმომადგენელი.

I თავი. დანაშაული და მისი განმარტება სხვადასხვა

თეორიისა და მიდგომის მიხედვით.

დანაშაული ყველაზე ფართო გაგებით, არის ქმედება, რომელიც არღვევს ამა თუ იმ ქვეყნის კანონმდებლობას, თუმცა, არ არსებობს დანაშაულის რაიმე კონკრეტული განმარტება. დანაშაული კონტექსტური და სიტუაციურია, რადგან ის რაც ერთ კულტურაში და სახელმწიფოში დანაშაულად ითვლება, შეიძლება სულაც არ ითვლებოდეს ანტისოციალურ ქცევად სხვაგან, ასევე, რაც საუკუნეების წინ დანაშაულად არ ითვლებოდა, ახლა შესაძლოა შესაბამისი კანონმდებლობით ისჯებოდეს. (შალიკაშვილი, 2010).

ერთ-ერთი საყოველთაოდ აღიარებული განსაზღვრებით, დანაშაული არის ქმედება, რომელიც ზიანს აყენებს არა მხოლოდ ინდივიდს, არამედ საზოგადოებასა და სახელმწიფოს და ეს ქმედება აკრძალულია და ისჯება კანონით. ასევე, კიდევ ერთი განმარტებით, დანაშაული მართლსაწინააღმდეგო, საზოგადოებისათვის საშიში ბრალეული ქმედებაა, რომელიც ისჯება კანონით. დანაშაულის ცნება განსაზღვრულია საქართველოს სისხლის სამართლის კოდექსში, აღნიშნული კოდექსის მე-7 მუხლის თანახმად, სისხლისსამართლის პასუხისმგებლობის საფუძველია დანაშაული, ამავე კოდექსით გათავლისწინებული მართლსაწინააღმდეგო ბრალეული ქმედება (საქართველოს სისხლის სამართლის კოდექსი, მე-7 მუხლი, 1999, 22 ივნისი).

ვინაიდან ანტისოციალური ქმედება საუკუნეების მანძილზე წარმოადგენს ერთ-ერთ ყველაზე მნიშვნელოვან და აქტუალურ საკითხს საზოგადოების უსაფრთხოებისა და კეთილდღეობისათვის, საუკუნეების მანძილზე სხვადასხვა მეცნიერებები ცდილობდნენ აეხსნათ დანაშაულის წარმოშობის მიზეზები. განვიხილოთ რამოდენიმე თეორია

რომელიც ცდილობდა აეხსნა დანაშაულებრივი ქცევის საწყისები და გამომწვევი მიზეზები:

ფრენოლოგია (Frenology) - თეორია ადამიანის მიერ ჩადენილ დანაშაულებრივ ქმედებას უკავშირებდა მის ბიოლოგიურ აგებულებას, მაგალითად, თავის ქალის ფორმას და ზომას (Rafter, N. (2005). The murderous Dutch Fiddler, criminology, history and the problem of phrenology. *SAGE PUBLICATIONS*, 65-69).

დემონოლოგია (Demonology) - ამ თეორიის თანახმად, ადამიანები დანაშაულებრივ ქმედებას სჩადიან არა საკუთარი სურვილით, არამედ ე.წ. ბოროტი სულების გავლენით. განსაკუთრებით ადრეულ საუკუნეებში იყო ეს მიდგომა პოპულარული, თუმცა, თანამედროვე სამყაროში თეორიამ აღიარება ვერ ჰპოვა. დემონოლოგია არ მიიჩნევა ისეთ მიდგომად, რომლითაც შესაძლებელია აიხსნას ესა თუ ის დანაშაულებრივი ქცევა (*Theories of caution, second edition. 2006*).

კლასიკური თეორია (Classical Theory - Cesare Beccaria da Jeremy Bentham) - ამ თეორიის თანახმად, როდესაც ადამიანი დანაშაულს ჩადის, გადაწყვეტილებას იღებს თავად, ყოველგვარი ზეზუნებრივი ძალის გავლენის გარეშე. თეორიის თანახმად, ყველა ადამიანს აქვს უნარი თავად მიიღოს გადაწყვეტილება, თავად განსაზღვროს ზიანისა და სარგებლის საკითხი და ისე განახორციელოს რაიმე ქმედება.

შეკავების თეორია (Deterrence Theory) - 1960-იანი წლებიდან აღნიშნული თეორია არის წამყვანი დანაშაულებრივი ქცევის კვლევის სფეროში. ჯერ კიდევ მე-18 საუკუნეში იქნა თეორია შემუშავებული და მის თანახმად, ადამიანები ფლობენ უნარს თავად მიიღონ გადაწყვეტილება, აკონტროლონ საკუთარი საქციელი შესაძლო ზიანისა და სარგებლის განსაზღვრის საფუძველზე. ადამიანებს არ სურთ ჩაიდინონ ესა თუ ის ანტი-სოციალური ქმედება, რადგან ფიქრობენ რომ მიღებული სარგებელი არ ღირს მიღებული სასჯელის ფასად. (*Deterrence Theory and crime, Journal of justice, UK, 2016*).

1.1. დანაშაულისა და დევინტური ქცევის შესწავლელი ბიოლოგიური თეორიები

ბიოლოგიური ინტერპრეტაცია დევინტური ქცევის შესწავლის მხრივ პირველად გაჟღერდა „კრიმინოლოგიის შემსაწავლელ იტალიურ სკოლაში“, რომელსაც ხელმძღვანელობდა ჩეზარე ლამბროსო (1835-1909წწ.). ჩეზარე ლომბროსომ დანაშაულებრივი ქცევის ახსნა სცადა ბიოლოგიურ კონტექსტში, იგი მიიჩნევდა, რომ ადამინებს დანაშაულებრივი ქცევისკენ მიდრეკილება უჩნდებათ ბიოლოგიური აგებულებიდან გამომდინარე. ის დევინტურ ქცევას უკავშირებდა ატავიზმს და თვლიდა, რომ ევოლუციის ადრეულ სტადიებზე დეგრადაციის რეზულტატი განაპირობებდა ე.წ. „კრიმინალური ტიპის“ ჩამოყალიბებას. ჩეზარე ლომბროსო თავის თეორიაში ასახელებს იმ ბიოლოგიურ ნიშან-თვისებებს, რომელიც განაპირობებს დევინტურ ქცევას, მაგალითად, წინ წამოწეული ქვედა ყბა, მსხვილი ყურები, შედარებით განიერი კიდურები და სხვა. ჩეზარე ლომბროსოს ჰყავდა მიმდევრები, რომლებმაც შემდგომში კვლავ სცადეს დაედგინათ კავშირი ადამიანის ბიოლოგიურ წყობასა და დევინტურ ქცევას შორის, მათ შორის იყვნენ მისი მოსწავლეები ენრიკო ფერი და რაფელო გაროფალო (*Kusher, H. I. (2011). Cesare Lombroso and the pathology of left handedness*).

რაც შეეხება, ჩეზარე ლამბროსოს თეორიის კრიტიკას, მისი სიკვდილისთანავე ბევრმა გააკრიტიკა მისი მიგნება, თუმცა, მათ შორის ყველაზე გამორჩეული იყო ინგლისელი მეცნიერი ჩარლს გორინგი (Charles Goring), რომელმაც წიგნი მიუძღვნა თეორიის კრიტიკას. მისი თქმით, „ყოველივეს შესწავლის შემდეგ არანაირი დამადასტრებელი მტკიცებულება არ არსებობს ე.წ. „ფიზიკური კრიმინალური ტიპის“ დასამტკიცებლად, როგორც ამას ჩეზარე ლომბროსო და მისი მიმდევრები ამტკიცებდნენ“ (*Theories of Cesare Lombroso – Born criminal, 2 aug, 2018, by UKessayes.*).

ამერიკელი ფსიქოლოგის უილიამ შელდონის თეორიის თანახმად, ადამიანის სხეულის განსაზღვრული აგებულება ნიშნავს კონკრეტულ დამახასიათებელი ნიშან-თვისებების არსებობას, ამ ელემენტებს მან უწოდა ენდომორფი, მეზომორფი და ექტომორფი. ენდომორფის შემთხვევაში აქცენტი გაკეთებულია მუცლისა და საჭმლის მომწელებელ სისტემაზე (მომრგვალებული ტიპის აგებულება), ასეთ ადამიანებს მისი აზრით ახასიათებთ კომუნუკაბელურობა, ურთიერთობების მოწესრიგება. მეზომორფის შემთხვევაში სხეული გამოირჩევა სიმყარით, კუნთოვანი ქსოვილის სიმაგრით. თეორიის მიხედვით, ასეთ ადამიანებს ახასიათებთ აქტიურობა და შფოთვისადმი მიდრეკილება, ხოლო რაც შეეხება ექტომორფს, გამოირჩევა სხეულის სისუსტით, ასეთ ადამიანებს აქვთ კარგი ანალიზის უნარი, ასევე, მომატებული მგრძნობელობა და შფოთი. შელდონმა ჩაატარა კვლევა 200 მამრობითი სქესის წარმომადგენელზე და დაკვირვების შედეგად გააკეთა დასკვნა, რომ ყველაზე მეტად დევიაციური ქცევისადმი მიდრეკილნი არიან მეზომორფები (*Tracking the Elusive Human, Vol.1; Chapter 4, William Sheldons Body and Temperament Types*).

ათწლეულების წინ დანაშაულის ახსნის ბიოლოგიური თეორიები იყო მისაღები, თუმცა, თანამედროვე მსოფლიოში, მხოლოდ ბიოლოგიური ფაქტორით ვერ აიხსნება დანაშაული, ამიტომ განვიხილოთ ის ფსიქოლოგიური და სოციალური თეორიები, რომელებმაც აღიარება ჰპოვა დევიანტური ქცევის ახსნის პროცესში.

1.2 დანაშაულის ახსნის ფსიქოლოგიური თეორიები

ერთ-ერთი მნიშვნელოვანი თეორია, რომელიც ცდილობს ახსნას ამა თუ იმ ქმედების გამომწვევი მიზეზები, არის სოციალური დასწავლის თეორია, ამ თეორიის მიმდევრები განიხილავენ დანაშაულს, როგორც გააზრებულ პასუხს ამა თუ იმ ცხოვრებისეულ მოვლენაზე. ამ თეორიის ყველაზე ცნობილი წარმომადგენელი ა. ბანდურა მიიჩნევდა, რომ ადამიანები არ იბადებიან თანდაყოლილი ქმედებებით, ძალადობა და აგრესია დაისწავლება სხვისი ქცევის მოდელირების გზით (Bandura, 1977). ბანდურა გამოჰყოფს ქცევის მოდელირების სამ ძირითად ფაქტორს 1. ოჯახური ურთიერთობები, 2.

სოციალური გარემო; 3. მასმედიის საშუალებები. ოჯახის ინტერაქციის ერთ-ერთმა ყველაზე თვალსაჩინო კვლევამ აჩვენა, რომ ის ბავშვები რომლებიც ხასიათდებოდნენ აგრესიულობით, თვადად იზრდებოდნენ ისეთ მშობლებთან ან მზრუნველებთან, რომელთაც ახასიათებთად აგრესიულობის მაღალი მაჩვენებელი (Jacoby, 2004).

ასევე, ერთ-ერთი მნიშვნელოვანი თეორია დანაშაულის ამხსნელი ფსიქოლოგიური თეორიებიდან არის თვით-კონტროლის თეორია (Self-Control Theory). თეორია აქტიურად გამოიყენება კრიმინოლოგიაში. თეორიის შემქმნელებს მიაჩნიათ, რომ ისინი ვინც ცხოვრების ადრეულ ასაკში გამოიმუშავეს კარგი თვით-კონტროლის უნარი, ნაკლებად არიან ჩართულნი ანტი-სოციალურ ქმედებებში. თეორიტიკოსებს მიაჩნიათ, რომ ბავშვი, რომელიც კარაგად ახერხებს თვით-კონტროლს, ნაკლებად მოიაზრება როგორც დანაშაულის ჩამდენი მომავალში. პირიქით, ისინი წარმატებულნი არიან სკოლაში, თანატოლებთან ურთიერთობაში და ადვილად ახერხებენ სოციალურ ადაპტირებას (Gottfredson & Hirschi, 1990).

რა თქმა უნდა, დანაშაულის შემსწავლელი ფსიქოლოგიური თეორიების განხილვის დროს, მნიშვნელოვანია ზიგმუნდ ფროიდის ფსიქო-ანალიზის თეორია, რომლის თანახმადაც, ადამიანის ბუნებას განაპირობებს სამი ძირითადი მახასიათებელი - იდი, ეგო და სუპერეგო. სწორედ ამ სამ მახასიათებელს უკავშირებს ფროიდი ანტი-სოციალურ ქმედებას, კერძოდ, იდის, ეგოსა და სუპერეგოს შორის კონფლიქტი და არადაბალანსებული მდგომარეობა, აიძულებს ინდივიდს შექმნას თავდაცვითი მექანიზმები, რამაც შესაძლოა გამოიწვიოს ანტი-სოციალური, მათ შორის დევიანტური ქცევა. ერიკ ერიქსონმა განავითარა ფროიდისეული ფსიქოანალიზის თეორია, და დელიქვენტური ქცევა დაუკავშირა „იდენტობის კრიზისს“, გამოწვეულს შინაგანი არეულობით. *(ჩხარტიშვილი შ, აღზრდის სოციალური ფსიქოლოგია, გვ.71-75).*

1.2 დანაშაულის შემსწავლელი სოციალური თეორიები

დანაშაულის ახსნის სოციალური მიდგომის ერთ-ერთი პირველი წარმომადგენელი იყო, გაბრიელ ტარდი, რომელიც აღნიშნავდა, რომ “მკვლელთა უმრავლესობა მიტოვებული ბავშვები იყვნენ და დანაშაულის კერა ჩვენი დიდი და პატარა ქალაქების გზაჯვარედინებზე უნდა ვეძებოთ, ისინი იკრიბებიან საკუთარ სახლებში აღზრდისა და პურის უკმარისობის შედეგად“ (ANTHONY, 2016).

გ.ტარდის სოციალური მიდგომა გარკვეულწილად გაზიარებული იყო ე.დურკჰაიმის „ანომიის თეორიაში“. ე. დურკჰაიმის თანახმად, „იმისთვის რომ გაქრეს მკვლელობა, აუცილებელია სისხლისღვრისადმი ზიზღის ზრდა იმ სოციალურ ჯგუფში“. დურკჰაიმის თეორიის თანახმად, სწრაფი სოციალური ცვლილებები განაპირობებს სოციუმში დევიაციის, დანაშაულებრივი ქცევის ზრდას, აუცილებლად ქმნიან სტრესულ სიტუაციას, იწვევენ სოციალიზაციის კრიზისს და ამაზე საზოგადოების წევრები რეაგირებენ დევიაციით (Ruohui, 2011).

ანომიის თეორიას ავითარებს ამერიკელი მეცნიერი რობერტ მერტონიც. მისი აზრით, სოციალურ ჯგუფებში პირები ირჩევენ კანონსაწინააღმდეგო ქმედებას, რადგან მათ სხვა შერჩევის არეალი არ გააჩნიათ. ანომია არ არის უბრალოდ ნორმების შესუსტება, არამედ წინააღმდეგობაა, რომელიც არსებობს საზოგადოებაში მიზნებისა და დაშვებულ საშუალებებს შორის. მაგალითად ამერიკულ საზოგადოებაში სიმდიდრე და კარიერა საყოველთაოდ მიღებული მიზნებია და ამ მიზნის მისაღწევად ნებადართულია სწავლა, მუშაობა ეკონომია, თუმცა, რადგან ღარიბ ფენას არ შეუძლია დაშვებული საშუალებებით ამ მიზნების მიღწევა, ამიტომ ანომია უფრო ხშირი სწორედ ამ ფენაშია (Ruohui, 2011).

არასრულწლოვანთა დანაშაულებრივი ქცევის განხილვისას მნიშვნელოვანია განვიხილოთ, სტიგმატიზაციის თეორია, რომლის ფუძემდებლებიც არიან, ედვინ ლემერტი, ირვინგ გოფმანი და ჰოვარდ ბეკერი. თეორიის თანახმად, ამოსავალი წერტილი

არის არა დანაშაულებრივი ქცევა, არამედ სხვების რეაქცია სოციალური კონტროლის ჩათვლით. იმდენად, რამდენადაც სტიგმატიზაციის თეორიის წარმომადგენლები ქცევის „დანაშაულად“ გადაქცევას აკავშირებენ სტიგმატიზაციასთან, ძირითადი არსი შემდეგში მდგომარეობს: სტიგმატიზაცია ხორციელდება მათ მიერ ვის ხელშიც არის სოციალური კონტროლი და ძალაუფლება. აღნიშნული თეორია განსაკუთრებით მნიშვნელოვანია კანონთან კონფლიქტში მყოფ არასრულწლოვნებთან, რადგან ადრეულ ასაკში შეძენილმა „სტიგმამ“ შესაძლებელია იმდენად დიდი გავლენა იქონიას არასრულწლოვანზე, რომ შემდგომში საკუთარი თავის იდენტიფიცირება მოახდინოს სწორედ მინიჭებულ სტიგმასთან და ამით განსაზღვროს თუ რა მოლოდინები აქვს სოციუმს მისგან. (Naghihat, 2001).

როგორც ვხედავთ, სხვადასხვა დარგის, ფსიქოლოგიის, მედიცინის, სოციოლოგიის, კრიმინოლოგიის წარმომადგენლები მარავალი წელია ცდილობენ ახსნან დანაშაულებრივი ქცევა სხვადასხვა თეორიითა თუ მიდგომით. ძალიან ბევრი კვლევა არსებობს სხვადასხვა საკითხთან დაკავშირებით, თუ რა არის დანაშაულებრივი ქცევის ძირითადი აქტორი, თუმცა, ყველა ერთხმად თანხმდება, რომ რაიმე ერთი კონკრეტული ფაქტორი არ არსებობს, დანაშაულის გამომწვევი ფაქტორები კომპლექსურია, ის შედგება ბიოლოგიური, ფსიქოლოგიური, სოციალური ფაქტორებისა, რომლებიც მუდმივად ურთიერთქმედებენ ერთმანეთთან და იწვევენ ამა თუ იმ ქცევას.

თავი II. არასრულწლოვანი და დანაშაული

2.1 საერთაშორისო პრაქტიკა არასრულწლოვანთა მართლმსაჯულების სფეროში

სისხლის სამართლის სისტემაში არასრულწლოვნების დანაშაულისადმი სპეციალური მიდგომა არ არის ახალი კონცეფცია, ჯერ კიდევ უძველესი დროიდან შეგვიძლია მოვიძიოთ ამის მკაფიო მაგალითები. რომის სამართლის სისტემაში ე.წ. “Doli Incapax” -ის თანახმად, ბავშვი დაცული იყო დასჯისა და დევნისაგან, რადგან მას არ ჰქონდა საკმარისად განვითარებული უნარ-ჩვევები და ჩადენილის გააზრების უნარი. (Cross, 2008). უძველესი დროიდან მოყოლებული ისტორია გვიჩვენებს, რომ არსებობდნენ ქვეყნები რომლებიც მაქსიმალურად ცდილობდნენ გაეთვალისწინებინათ ბავშვების საჭიროებები მკურნალობისა და სხვა არაფორმალური პროცედურების გამოყენებით, თუმცა, სხვა ქვეყნებში უპირატესობა ენიჭებოდა ბავშვების კანონის მიმართ ანგარიშვალდებულებას და მთელ რიგ სადამსჯელო პროცედურებს.

თანამედროვე მსოფლიოს პრაქტიკის განხილვისას, კანონთან კონფლიქტში მყოფ არასრულწლოვნებთან დაკავშირებით ვნახავთ, რომ ზოგიერთი ქვეყანა გამორჩეულია ამ მიმართულებით, მაგალითად, ბელგია ძლიერი კეთილდღეობის სისტემით, რადგან ამ ქვეყანაში მინიმალური ზღვარი არასრულწლოვნის პასუხისმგებლობისა არის 18 წელი. ასევე საკმაოდ კარგი რეპუტაცია აქვს საფრანგეთს არასრულწლოვნებთან მიდგომის პროცესში, რადგან ჯერ კიდევ 1940-წლიდან დაინერგა განათლებისა და რეაბილიტაციის პრინციპები არასრულწლოვნთა მართლმსაჯულების სისტემაში. ერთ-ერთი უმნიშვნელოვანესი რეფორმა განახორციელა ახალმა ზელანდიამ 1989 წელს, როდესაც არასრულწლოვანთა მართლმსაჯულების სისტემაში დაინერგა „ოჯახური კონფერენცია“, რომელიც მიზნად ისახავდა ოჯახური ურთიერთობის შენარჩუნებას და აღკვეთის ღონისძიების გავლენის შემსუბუქებას. ისეთი

განვითარებული ქვეყნა როგორც არის ამერიკის შეერთებული შტატები, ცნობილია როგორც საკმაოდ მკაცრი პოლიტიკის გამტარებელი არასრულწლოვანთა მართლმსაჯულების მიმართულებით. ამერიკის შეერთებული შტატების ზოგიერთ შტატში სისხლის სამართლის პასუხისმგებლობა ბავშვებს ენიჭებათ 8-10 წლიდან. (*Center on Juvenile and Criminal Justice, Juvenile Justice History, 2016*).

როგორც უკვე მრავალჯერ ავლნიშნე, არასრულწლოვანთა დამნაშავეებთან მუშაობისას მნიშვნელოვანია სპეციალიზირებული სისტემები, თუმცა, თუ გადავხედავთ ბოლო ათ წლებში მიმდინარე მოვლენებს, მკაფიოდ გამოჩნდება, რომ თანამდეროვე მსოფლიო, მათ შორის განვითარებულ ქვეყნები, არასრულწლოვნების მართლმსაჯულების საკითხები კვლავ აქტუალური და პრობლემურია. მაგალითისათვის, განვიხილოთ ამერიკის შეერთებული შტატები. ჯერ კიდევ 1930-იან წლებში, აშშ-ში შეიქმნა მსოფლიოში პირველი არასრულწლოვანთა სასამართლოები. ეს რეფორმა აღქმული იყო როგორც პროგრესული და წინ გადადგმული ნაბიჯი ბავშვების საუკეთესო ინტერესების გათვალისწინების მხრივ. თუმცა, 1990 წლებიდან ამერიკის შეერთებული შტატები დადგა სერიოზული გამოწვევების წინაშე, კერძოდ, 1990-2005 წლებში ცხრამეტი არასრულწლოვანი დამნაშავე იქნა სიკვდილით დასჯილი, რამაც გამოიწვია საერთაშორისო ორგანიზაციების მკაცრი კრიტიკა. (*Juvenile Justice History in America; Journal of Justice and Crime, 2017*).

საკმაოდ მკაცრი გამოწვევების წინაშე იდგა დიდი ბრიტანეთიც. თუმცა, ბოლო ათწლეულის განვალბაში, დიდი ბრიტანეთში საგრძნობლად დაიკლო არასრულწლოვანთა დანაშაულმა. მაგალითად, თუ 2011 წელს 200,000 ბავშვი იყო სისხლისსამართლებრივ პასუხისმგებაში მიცემული, ეს რიცხვი 2016-2017 წლებში 87,525 იყო. დიდმა ბრიტანეთმა შეცვალა არასრულწლოვანთა მართლმსაჯულებასთან დაკავშირებული პოლიტიკა, რამაც გამოიღო შესაბამისი შედეგი (Uk, 2018).

როგორც ვხედავთ, ისეთი განვითარებული ქვეყნები, როგორცაა ამერიკის შეერთებული შტატები და დასავლეთ ევროპის ქვეყნები, უახლოეს წარსულშიც კი იდგნენ საკამოდ რთული გამოწვევების პირისპირ. არასრულწლოვანთა მართლმსაჯულების რეფორმის, პოლიტიკის განხორციელებისა და დაგეგმვის პროცესში, გათვალისწინებული უნდა იყოს სხვადასხვა ასპექტი, მათ შორის სოციალური, კულტურული, დემოგრაფიული და სხვა. „არასრულწლოვანთა მართლმსაჯულების სისტემა ზოგადი ტერმინია, რომელიც გულისხმობს სისხლის სამართლებრივი პასუხისმგებლობა მიღწეული ბავშვების მიმართ გამოსაყენებელ პოლიტიკას, პროცედურებსა და პრაქტიკას“ (ჰამილტონი, არასრულწლოვანთა მართლმსაჯულების საკონონმდებლო რეფორმის სახელმძღვანელო პრინციპები, 2011).

საერთაშორისო სტანდარტების მიხედვით, ნებისმიერმა სახელმწიფომ რომელიც იწყებს არასრულწლოვანთა მართვის სისტემის დანერგვაზე ან მასში ცვლილებების შეტანაზე მუშაობას უნდა უზრუნველყოს რომ შემოთავაზებული პოლიტიკა, კანონმდებლობა და პრაქტიკა შეესაბამებოდეს ბავშვთა უფლებათა კონვენციას (ჰამილტონი 2011,13). მსოფლიოს მასშტაბით საერთაშორისო ორგანიზაციების და სახელმწიფოების მიერ აღიარებულია რამდენიმე საერთაშორისო დოკუმენტი რომლებიც იძლევიან მკაფიო რეკომენდაციებს არასრულწლოვანთა მართლმსაჯულების საკითხებზე. 1. გაეროს ბავშვთა უფლებათა კონვენცია

2. გაეროს სახელმძღვანელო პრინციპები არასრულწლოვანთა დანაშაულის პრევენციის შესახებ (რიადის პრინციპები);

3. გაეროს სტანდარტული მინიმალური წესები არასრულწლოვანთა მართლმსაჯულების ადმინისტრირების შესახებ (პეკინის წესები);

4 . გაეროს წესები თავისუფლება აღკვეთილი არასრულწლოვნების დასაცავად (ჰავანის წესები);

5. სახელმძღვანელო პრინციპი სისხლის სამართლის სისტემაში ბავშვებთან დაკავშირებით მოქმედების შესახებ (ვენის პრინციპები).

აღნიშნული დოკუმენტები გვთავაზობენ ზოგად რეკომენდაციებს რომლის მეშვეობითაც სახელმწიფოებმა უნდა შეძლონ არასრულწლოვანთა უფლებების დაცვის პრინციპებზე დამყარებული მართლმსაჯულების სისტემის შექმნა (*გაეროს ბავშვთა უფლებათა კონვენცია, 1889*).

2.2. სამართლებრივი პასუხისმგებლობის ასაკობრივი ზღვარი და მასთან დაკავშირებული საკითხები.

გაერთიანებული ერების ორგანიზაციის ბავშვთა უფლებათა კონვენციის თანახმად, ბავშვად ითვლება 18 წლამდე ასაკის ყოველი ადამიანი, თუკი რომელიმე კანონმდებლობის მიხედვით, ბავშვი უფრო ადრე არ აღწევს სრულწლოვნობას (გაერო, ბავშვთა უფლებათა კონვენცია, 1989წ.). საქართველოში სამართლებრივი პასუხისმგებლობის დაკისრების ან მისგან გათავისუფლებისას, არასრულწლოვნად ითვლება პირი, რომელსაც დანაშაულის ჩადენისას შეუსრულდა 14 წელი, თუმცა, არ შესრულებია 18 წელი (*საქართველოს არასრულწლოვანთა მართლმსაჯულების კოდექსი, მუხლი 3.1; საქართველოს სისხლის სამართლის კოდექსი, მუხლი #33*).

ასევე, არასრულწლოვანთა მართლმსაჯულების კოდექსის თანახმად, აღდგენითი მართლმსაჯულების პროცესში არა მარტო 18, არამედ 21 წლამდე მიუღწეველი პირებიც სარგებლობონ არასრულწლოვანთათვის გათვალისწინებული მიდგომებით, (*საქართველოს მთავრობა, კანონი N750, 2017, მაისი*).

ქვეყნები განსხვავდებიან არასრულწლოვნებისთვის დანიშნული სისხლის სამართლებრივი პასუხისმგებლობის ზღვარის მიხედვით. მაგალითად, აზერბაიჯანში ეს ასაკი 14 წელია, დანიაში -15, თურქეთში, ეგვიპტეში, კანადასა და მექსიკაში -12 წელი,

ეთიოპიაში -9, სუდანსა და ინდოეთში 7, არგენტინაში -16. (*Minimum ages of criminal responsibility, CHILD RIGHTS INTERNATIONAL NETWORK, 01 January, 2019*).

სისხლის სამართლის პასუხისმგებლობის მინიმალური ასაკი „ ეს არის ასაკი, რომლის ქვემოთაც ივარაუდება, რომ ბავშვს არ გააჩნია სისხლის სამართლის კანონმდებლობის დარღვევის უნარი, დაუშვებელია, რომ სისხლის სამართლებრივ ასაკს მიუღწეველ ბავშვს ოფიციალურად წარედგინოს ბრალი დანაშაულის ჩადენაში და დაექვემდებაროს სისხლის სამართლის რაიმე პროცედურებს (*ჰამილტონი, არასრულწლოვანთა მართლმსაჯულების საკონონმდებლო რეფორმის სახელმძღვანელო პრინციპები, 2011*).

ბავშვთა უფლებების დაცვაზე ორიენტირებული არც ერთი საერთაშორისოდ აღიარებული დოკუმენტი არ განსაზღვრავს სისხლის სამართლის პასუხისმგებლობის მინიმალურ ასაკს. გაერთიანებული ერების ორგანიზაციის ე.წ. პეკინის წესების თანხამდ, „იმ სამართლებრივ სისიტემებში, რომლებშიც მიღებული არასრულწლოვანთათვის სისხლის სამართლებრივი პასუხისმგებლობის ცნება, ქვედა ზღვარი ამ ასაკისა არ უნდა იქნეს დადგენილი ძალზე ადრეულ ასაკში, ემოციური, სულიერი და ინტელექტუალური ასპექტებიდან გამომდინარე, (*გაეროს ბავშვთა კომიტეტი, ზოგადი კომენტარი N10, ბავშვთა უფლებები არასრულწლოვანთა მართლმსაჯულებაში, 2007*).

ბავშვთა უფლებათა კომიტეტის რეკომენდაციით, ისეთ შემთხვევებში, როდესაც შეუძლებელია ბავშვის ზუსტი ბიოლოგიური ასაკის დადგენა, მისი ფიზიკური, მენტალური და ემოციური განვითარების გამო, მაშინ საქმე არასრულწლოვნის სასიკეთოდ უნდა გადაწყდეს (*გაეროს ბავშვთა კომიტეტი, ზოგადი კომენტარი N10, ბავშვთა უფლებები არასრულწლოვანთა მართლმსაჯულებაში, 2007*).

თავი 3. ბიოლოგიური, ფსიქოლოგიური და სოციალური აქტორების გავლენა არარსულლოვანთა დანაშაულებრივ ქცევაზე

საკვლევი საკითხის ერთ-ერთ ამოცანას წარმოადგენს იმ ბიოლოგიური, ფსიქოლოგიური და სოციალური ფაქტორების გამოკვეთა, რომელიც ხელს უწყობს დელიქვენტური ქცევის ჩადენას. მრავალი კვლევა თუ მეცნიერული ნაშრომი ამტკიცებს იმ მოსაზრებას, რომ ბავშვის მიერ ჩადენილი ანტისოციალური ქცევა არ არის მხოლოდ ბავშვის პრობლემა. ბავშვის მიერ ჩადენილ დელიქვენტურ ქცევას შესაძლოა ჰქონდეს მრავალი მიზეზი, ბიოლოგიური, ფსიქოლოგიური, მშობლების ქცევიდან თუ სოციუმიდან გამომდინარე სადაც ის ცხოვრობს და იზრდება. არასრულწლოვნის მიერ ჩადენილი ანტისოციალური ქცევა არ შეიძლება განხილულ იქნას მხოლოდ ერთი რაიმე მიზეზის და ფაქტორის გათვალისწინებით.

ანტისოციალურ და დევიანტური ქცევის მიზეზები ჯერ-კიდევ ადრეულ ბავშვობაში შეგვიძლია ვეძიოთ. ხასიათის მახასიათებელი არის პიროვნებისათვის დამახასიათებელი ნიშნები, რომლებმაც შესაძლოა მოდიფიკაცია განიცადონ გარემოს გავლენის შედეგად. ჯერ კიდევ ადრეულ ასაკში გამოვლენილი ხასიათის თავისებურებები, როგორცაა, აგრესია, ჰიპერაქტიურობა, იმპულსურობა, ყურადღების კონცენტრაციის პრობლემები, რთული და უკონტროლო ქცევა, შესაძლოა იყოს მანიშნებელი ანტისოციალური და რთული ქცევისა მომავალში (Stattin, 1993).

ადრეულ სასკოლო პერიოდში შეიძლება რისკ ფაქტორად ჩაითვალოს ხშირი ტყუილები, პოზიტიური დამოკიდებულება ანტისოციალური ქცევის მიმართ, ძალადობის (ბულინგის) განხორციელება თანაკლასელის მიმართ, დანაშაულის გრძნობის არ ქონა, პასუხისმგებლობების თავიდან აცილება. კიდევ უფრო მოზრდილ პეროდში რისკ-ფაქტორებს წარმოადგენს მავნე ნივთიერებების მოხმარება, სკოლის

მიტოვება, იარაღის ტარება და სხვა. *(ქ.თავართქილაძე, მოზარდთა აგრესიული ქცევა, საზოგადოებრივი ჯანდაცვისა და მედიცინის ფონდი).*

გარდა ბიოლოგიური და ხასიათისათვის დამახასიათებელი ფაქტორებისა კვლევების თანახმად, როგორც მცირეწლოვანობის, ასევე, სკოლის და მოზარდობის პერიოდში, ყველაზე დიდი მნიშვნელობა ენიჭება მშობლებსა და ოჯახს. კვლევების თანახმად, იმ ბავშვებში, რომლებსაც დეპრია და უგულბელებოფა აქვთ გადატანილი, ბევრად უფრო მაღალია ალბათობა დანაშაულის ჩადენისა. მრავალმა კვლევამ აჩვენა, რომ არასანდო მიჯაჭვულობა კავშირშია ბავშვის მიერ ჩადენილ ანტისოციალურ ქცევასთან. „რაც უფრო ახლოს არის ბავშვი დედასთან, მით უფრო მცირეა დანაშაულის ჩადენის საფრთხე“ (Adams, Hilman and Gaydos, 1994).

გარდა მიჯაჭვულობისა, არსებობს კიდევ ფაქტორები რომლებიც ხელს უწყობს მომავალში განხორციელებულ ქცევას. მაგალითად, მშობლების ანტისოციალური ქცევა, მშობლების უნარ-ჩვევების არ ქონა, ხასიათის თავისებურებები, ერთ-ერთი უმნიშვნელოვანესი ფაქტორია ალზრდის სტილი. ამერიკის შეერთებული შტატების „არასრულწლოვანთა დანაშაულის პრევენციის ფსიქიკური ჯანმრთელობის პრევენციის დაცვის ცენტრის“ რამდენიმე წლიანი კვლევის შედეგად დაადგინა, რომ იმ არასრულწლოვნებს, რომელთაც დელიქვენტური ქცევა ახასიათებდათ, მათ 63 %- ოჯახის მხრიდან ჰქონდა გამოცდილი ალზრდის დესტრუქციული სტილი, 38%-ში ადგილი ჰქონდა ოჯახურ კონფლიქტებს, ხოლო 29%-ს ჰქონდა ძალადობრივი გამოცდილება მშობლის მხრიდან. როგორც აღნიშნული კვლევიდანაც ჩანს, დანაშაულის პრევენციის მიმართულებით ძალიან დიდი მნიშვნელობა სწორედ ალზრდის სტილს აქვს.

გარდა ოჯახისა, დელიქვენტური ქცევის რისკ ფაქტორად შეიძლება აღქმული იყოს თანატოლების წრე და ის გარემო, სადაც ბავშვი ცხოვრობს (უბანი, სამეზობლო, რაიონი). არანაკლები როლი ენიჭება სკოლას და სასკოლო პერსონალს. რამოდენიმე კვლევამ აჩვენა, რომ ის მოსწავლეები, რომლებიც მაღალი აკადემიური მოსწრებით გამოირჩევიან, იშვიათად ახასიათებთ ანტისოციალური ქცევა და პირიქით. ის მოზარდები, რომლებიც სკოლას ხშირად აცდენენ და აქვთ დაბალი აკადემიური მოსწრება, მეტი ალბათობით

გამორჩევან მომავალში დელიქვენტური ქცევის ჩასადენად. დიდი მნიშვნელობა ენიჭება, სკოლის მასწავლებლების დამოკიდებულებას მოსწავლეების მიმართ, უინტერესო სასკოლო კურიკულუმი, მასწავლებლებსა და მოსწავლეებს შორის სუსტი კომუნიკაცია და ურთიერთობები, სუსტად განსაზღვრული სასკოლო წესები და კონტროლის დაბალი დონე წარმოადგენენ გარკვეულ რისკ ფაქტორებს.

ასევე, დიდი მნიშვნელობა ენიჭება სოციალურ ფაქტორებს, როგორცაა სიღარიბე, განათლების დაბალი დონე, არაორგანიზებული სამეზობლო და რაიონი, სადაც დანაშაული და ანტისოციალური ქცევა ყოველდღიურად ხდება. არარსულწლოვნის მიერ ადრეულ ეტაპზე გამოვლენილი რისკ-ფაქტორები და ქცევა, როგორც წესი, შეუმჩნეველია სამეზობლოსთვის. ზოგ შემთხვევაში კონკრეტული სამეზობლო და გარემო არა თუ ცდილობს, რომ შეამჩნიოს და მიიღოს შესაბამის პრევენციული ზომები, არამედ ახალისებს კიდევ დელიქვენტური ქცევას (Sampson and Earles, 1997).

თავი 4. საქართველო და არასრულწლოვანთა მართლმსაჯულება

1.1 საკანონმდებლო ბაზა

იმისათვის, რომ კარგად იქნას გააზრებული არსებული მდგომარეობა, მნიშვნელოვანია მოკლედ მიმოვიხილოთ საქართველოს წარსული გამოცდილება კანონთან კონფლიქტში მყოფი არასრულწლოვნების მიმართულებით. ჯერ კიდევ საბჭოთა კავშირის დროს, იმ პერიოდისათვის არსებული სისიხლის სამართლის კოდექსის თანახმად, არასრულწლოვანის გასამართლების მინიმალური ასაკი იყო 16 წელი, თუმცა,

14-16 წლამდე პირები მართლმსაჯულების წინაშე მხოლოდ იმ შემთხვევაში წარდგებოდნენ თუ ჩაიდენდნენ მძიმე ან გასნაკუთრებით მძიმე სახის დანაშაულს, როგორცაა მკვლელობა, გაუპატიურება, მარცვა და სხვა. 1999 წელს საქართველოს პრეზიდენტმა ედუარდ შევარძნემ მოაწერა ხელი ახალ სისხლის სამართლის კოდექსს, რომლის თანახმადაც, არასრულწლოვანთათვის სამართლებრივი პასუხისმგებლობის მინიმალურ ასაკად განსაზღვრული იყო 14 წელი *(საქართველოს სისხლის სამართლის კოდექსი, 15 მაისი, 1999წ.)*.

სამართლებრივი პასუხისმგებლობის მინიმალური ასაკი - 14 წელი 2008 წლის 01 ივლისამდე იყო ძალაში, სანამ საქართველოს პრეზიდენტმა მიხეის სააკაშვილმა ხელი არ მოაწერა სისხლის სამართლის კოდექსში გარკვეული ცვლილების შეტანას, მათ შორის სისხლის სამართლებრივი პასუხისმგებლობის, 14 დან 12 წლამდე დაწევას. ზოგიერთი დანაშაულის შემთხვევისას (მაგ. მკვლელობა, მარცვა, ყაჩაღობა და სხვა.). თუმცა, ვინაიდან საქართველომ რატიფიცირება მოახდინა არაერთი საერთაშორისო დოკუმენტისა ბავშვთა უფლებების დაცვის სფეროში, სამართლებრივი პასუხისმგებლობის მინიმალური ასაკის დაწევით, გარკვეული წინააღმდეგობაში მოვიდა სხვადასხვა ევროპულ თუ საერთაშორისო სტანდარტებთან. 2010 წელს კვლავ შევიდა ცვლილება საქართველოს სამოქალაქო კოდექსში და მინიმალური ზღვარი ყველანაირი სახის დანაშაულისთვის 14 წელი დაწესდა, *(საქართველოს სისხლის სამართლის კოდექსი, 2010 წლის ცვლილება)*.

ბავშვთა უფლებათა კონვენციას საქართველო შეუერთდა და რატიფიცირება მოახდინა 1994 წელს, რითაც პასუხისმგებლობა აიღო კონვენციით განსაზღვრული უფლებების გათვალსიწინებისა და შესრულების შესახებ. მიუხედავად იმისა, რომ ბოლო ათწლეულია ბევრი სასიკეთო ნაბიჯი გადაიდგა ბავშვთა კეთილდღეობის სფეროში, კვლავ, ასრებობს რამოდენიმე საკითხი, რომელიც რჩება პრობლემად და გამოწვევად. მათ შორის, კანონთან კონფლიქტში მყოფი ბავშვები, მათი რეაბილიტაცია, რესოციალიზაცია და რაც ასევე, არანაკლებ მნიშვნელოვანია მინიმალური ყურადღება ეთმობა დანაშაულის პრევენციას.

კანონთან კონფლიქტში მყოფი ბავშვების შესახებ ბოლო რამოდენიმე წელია აქტიურად მიმდინარეობს მუშაობა სხვადასხვა სტრუქტურებს შორის. საქართველოს სამოქალაქო კოდექსისი თანახმად, არასრულწლოვნად ითვლება პირი, რომელსაც არ მიუღწევია 18 წლამდე, (საქართველოს სამოქალაქო კოდექსი, 1997წ.), ამავე კოდექსისი თანახმად, 0-დან 7 წლამდე პირი ითვლება ქმედუუნაროდ, ხოლო 7-დან 18 წლამდე შეზღუდულ ქმედუუნაროდ. სხვადასხვა საერთაშორისო ნორმატიული აქტების რატიფიცირებით, ქვეყნის პოლიტიკურ დღის წესრიგში აქტუალური გახდა ბავშვების უფლებები და მასთან დაკავშირებული სხვადასხვა საკითხები. ბოლო წლებში განსაკუთრებული ყურადღება დაეთმო კანონთან კონფლიქტში მყოფ არასრულწლოვნებს.

რამოდენიმე სტრუქტურის კოორდინირებული მუშაობის შედეგად, შეიქმნა საქართველოს კანონი - არასრულწლოვანთა მართლმსაჯულების კოდექსი, 2015 წლის 12 ივნისი. კოდექსის მიზანია, „მართლმსაჯულების პროცესში არასრულწლოვნის საუკეთესო ინტერესების დაცვა, კანონთან კონფლიქტში მყოფი არასრულწლოვნის რესოციალიზაცია-რეაბილიტაცია, არასრულწლოვანი დაზარალებულისა და არასრულწლოვანი მოწმის უფლებათა დაცვა, არასრულწლოვანი დაზარალებულისა და არასრულწლოვანი მოწმის მეორეული ვიქტიმიზაციისა და არასრულწლოვანი დაზარალებულის ხელახალი ვიქტიმიზაციის თავიდან აცილება, ახალი დანაშაულის თავიდან აცილება და მართლწესრიგის დაცვა“ (არასრულწლოვანთა მართლმსაჯულების კოდექსი, 2015წ.). კოდექსი მნიშვნელოვანი საკანონმდებლო აქტია არსარულწლოვანთა მართლმსაჯულების კოდექსში. იგი არეგულირებს, როგორც, არასრულწლოვნის დაკავების, გამოკითხვის, ბრალის წარდგინების, პენიტენციური დაწესებულებაში ყოფნის, ასევე, შემდგომ რეაბილიტაცია-რესოციალიზაციის საკითხებს. თუმცა, აქაც მნიშვნელოვანია, ხაზი გაესვას, რომ ძალიან სუსტად არის განხილული პრევენციული კომპონენტი.

საკვლევი თემიდან გამომდინარე, ყურადღება გავამახვილეთ, 14 წლამდე პირების შესახებ არსებულ თავებსა და მუხლებზე. კოდექსის თანახმად, ადმინსიტრაციული პასუხისმგებლობის მიზნებისათვის არასრულწლოვნად ითვლება პირი, რომელსაც

ადმინისტრაციული პასუხისმგებლობის მომენტისათვის შეუსრულდა 16 წელი, მაგრამ არ შესრულებია 18 წელი, ხოლო სისიხლის სამართლებრივი პასუხისმგებლობის მიზნებისათვის - პირი რომელსაც დანაშულის ჩადენის მომენტისათვის შეუსრულდა 14 წელი, მაგრამ არ შესრულებია 18 წელი“ (არასრულწლოვანთ მართლმსაჯულების კოდექსი, 2015 წელი). კოდექსის თანახმად, კვლევის სამზინე ჯგუფი 14 წლამდე პირები ვერ იქნებიან ვერც ადმინისტრაციული და ვერც სისიხლის სამართლის პასუხისმგებლობის მიმღები პირები, კოდექსის თანახმად, 14 წლამდე პირები განიხილებიან როგორც „კანონთან კონფლიქტში მყოფი პირები“, თუმცა, არ ეხებათ სამართლებრივი პასუხისმგებლობა. ასევე, მნიშვნელოვანია აღვნიშნოთ, რომ 14 წლამდე პირები შესაძლოა იყვნენ არასრულწლოვანი დაზარელებულები ან/და არასრულწლოვანი მოწმეები. კოდექსით განსაზღვრულია 14 წლამდე პირების გამოკითხვის წესი- „14 წლამდე პირის გამოკითხვა/დაკითხვა შეიძლება ჩატარდეს მხოლოდ მისი კანონიერი წარმომადგენლის თანხმობითა და თანდასწრებით. კანონიერი წარმომადგენელს უფლება აქვს, გამოთქვას თავისი მოსაზრება და სასამართლოს ნებართვით დააზუსტოს 14 წლამდე ასაკის პირისათვის დასმული შეკითხვა. 14 წლამდე ასაკის გამოსაკითხ პირს/მოწმეს განუმარტავენ მის მოვალეობას, თქვას მხოლოდ სიმართლე, მაგრამ არ აფრთხილებენ ჩვენების მიცემაზე უარის თქმისათვის და ცრუ ჩვენების მიცემისათვის სისიხლის სამართლებრივი პასუხისმგებლობის დასკისრების შესახებ“ (არასრულწლოვანთა მართლმსაჯულების კოდექსი მუხლი #26, პუნქტი #4). არასრულწლოვანი არ შეიძლება გამოიკითხოს/ დაიკითხოს 22:00 საათიდან 08:00 საათამდე (არასრულწლოვანთა მართლმსაჯულების კოდექსი მუხლი #52, პუნქტი #6); „არასრულწლოვანი უზრუნველყოფილი უნდ იყოს შესაფერისი კვებითა და სასმელი წყლით არანაკლებ ყოველ 4 საათში ერთხელ, 08:00 საათიდან 22:00 საათამდე, აგრეთვე საპირფარეშოთი შეუზღუდავად სარგებლობის უფლებით“ (არასრულწლოვანთ მართლმსაჯულების კოდექსი მუხლი #52, პუნქტი #7).

ასევე, მნიშვნელოვანია განვიხილოთ ის მნიშვნელოვანი ნაბიჯები თუ რეფორმები, რაც ბოლო წლებში განხორციელდა კანონთან კონფლიქტში მყოფი არასრულწლოვანების შესახებ. მნიშვნელოვანი იყო, საქართველოს სასჯელაღსრულებისა და პრობაციის

სამინისტროში შექმნილი სარეზილიტაციო პროგრამების სამმართველო, რომელმაც მოიცვა საქართველოს თითქმის ყველა ქალაქი. სარეზილიტაციო სამმართველოში დასაქმებული სოციალური მუშაკები და ფსიქოლოგები მუშაობენ მრავალი მიმართულებით, მათ შორის არასრულწლოვნებთან. მნიშვნელოვანია განრიდებისა და მედიაციის პროგრამა, რომელიც 2010 წლის 15 ნოემბრიდან ამოქმედდა. არასრულწლოვანთა მართლმსაჯულების კოდექსის თანახმად, განრიდება გულისხმობს „თუ არასრულწლოვანმა ნაკლებად მძიმე ან მძიმე დანაშაული ჩაიდინა, პროკურორი უფლებამოსილია მიიღოს დასაბუთებული გადაწყვეტილება სისხლისსამართლებრივი დევნის არდაწყებისა და დაწყებული სისხლისსამართლებრივი დევნის შეწყვეტისა და განრიდების შესახებ *(არასრულწლოვანთა მართლმსაჯულების კოდექსი, მუხლი #38)*. გადაწყვეტილების მიღების შემდგომ სარეზილიტაციო პროგრამების სამმართველოს სოციალური მუშაკი ამზადებს შესაბამის შეფასებას, დასკვნითა და რეკომენდაციებით, რაც თავისთავად, „მიზნად ისახავს არასრულწლოვნის სოციალური გარემოს, მისი უნარების, ინდივიდუალური საჭიროებებისა და სხვა გარემოებების შესწავლას, რაც ხელს შეუწყობს არასრულწლოვანის საუკეთესო ინტერესებსზე დაფუძნებული განრიდების ღონისძიების დაგეგმვას *(საქართველოს იუსტიციის სამინისტროს, საქართველოს შინაგან საქმეთა სამინისტროს, საქართველოს სასჯელაღსრულებისა და პრობაციის სამინისტროს ერთობლივი ბრძანება #135, #95, #23მ 2016 წლის 15, მარტი)*.

ასევე, არასრულწლოვნების მართლმსაჯულების სფეროში მსოფლიო პრაქტიკიდან გამომდინარე, წარმატებული და ეფექტური შედეგებისთვის, მნიშვნელოვანია კანონთან კონფლიქტში მყოფი არასრულწლოვნებთან მომუშავე ყველა სპეციალისტი იყოს კომპეტენტური და საკუთარი საქმის პროფესიონალი. ამასთან დაკავშირებით, შეიქმნა *საქართველოს მთავრობის დადგენილება N668 (2015 წელი, 30 დეკემბერი)*, რომლის თანახმადაც, არასრულწლოვანთა მართლმსაჯულების სფეროში ჩართულ ყველა სუბიექტს უნდა გაეცოდოს შესაბამისი სპეციალიზაცია, თუმცა, ამ ეტაპზე, არასრულწლოვნებთან კვლავ მუშაობენ სპეციალისტები, რომელთაც არ აქვთ გავლილი შესაბამისი სპეციალიზაცია. ამ ეტაპზე 14 წლამდე კანონთან კონფლიქტში მყოფ ბავშვებთან მუშაობენ მხოლოდ სოციალური მომსახურების სააგენტოს სოციალური

მუშაკები, რომელთაც ევალებათ საპროცესო წარმომადგენლობის გაწევა გამოკითხვის პროცესზე.

თავი v. სოციალური მუშაკის როლი არასრულწლოვანთა მართლმსაჯულების სისტემაში

სოციალურ მუშაკთა ნაციონალური ასოციაციის (NASW) რეკომენდაციით, არასრულწლოვან დამნაშავეებთან მუშაობა უნდა განსხვავდებოდეს სრულწლოვანებთან მუშაობის სპეციფიკისგან. ყველა ეტაპზე მუშაობას თავისი თავისებურებები აქვს, მათ შორის ადრეული ჩარევის, პრევენციის, პრობაციის, სასჯელის მოხდისა და რეაბილიტაცია/ რესოციალიზაციის პროგრამების განხორციელებისას.

სოციალურ მუშაკთა ნაციონალური ასოციაცია მხარს უჭერს მოსაზრებას, რომ ბავშვები და მოზარდები განსხვავდებიან განვითარების ძირითადი ასპექტებით, მნიშვნელოვანია არასრულწლოვანებთან მუშაობა შემდეგი მიმართულებებით: სოციალური მუშაკების ჩართულობა დანაშაულის პრევენციის მიმართულებით.; უმნიშვნელოვანესია სოციალური მუშაკების ჩართულობა ეფექტური სისტემების შექმნის პროცესში, რომელიც ნამდვილად იქნება ორიენტირებული ბავშვებსა და ახალგაზრდებზე. სოციალური მუშაკები კოორდინაციას უწევენ ადგილობრივი თემის მობილიზებას, სხვადასხვა უწყებების გამართულად მუშაობის პროცესს, რათა თავიდან იქნას აცილებული ბზარები მართლმსაჯულების სისტემაში.

მნიშვნელოვანია ეფექტური და ანგარიშვალეული ზედამხედველობის გაწევა ადრეულ ეტაპზე, მაგალითად, სკოლაში, როდესაც გამოიკვეთება რაიმე რისკ ფაქტორი რომელიც შესაძლოა მომავალში გახდეს არასრულწლოვნის მხრიდან დანაშაულის ჩადენის ხელშემწყობი, აუცილებელია მაშინვე გაეწიოს ზედამხედველობა, როგორც სოციალური სამსახურის, ასევე, სხვა სფეროს წარმომადგენლების მიერ.

სოციალური მუშაკები აქტიურად ერთვებიან პრევენციული და იდენტიფიცირების ეფექტური მექანიზმის შემუშავებაში. სოციალური მუშაობის უმნიშვნელოვანესი თავისებურება სწორედ პრობლემის იდენტიფიცირებაა, მნიშვნელოვანია, რომ ყველა მომსახურება და ინტერვენცია, რომელიც განხორციელდება არასრულწლოვანთან მიმართული იყოს პრობლემის ზუსტ და მკაფიო იდენტიფიცირებაზე. წლების მანძილზე კვლევებმა აჩვენა, რომ ინტერვენცია და მენტალური სამუშაო მხოლოდ მაშინ გამოიღებს შედეგს, თუ ორიენტირებული პრობლემის ზუსტ იდენტიფიკაციაზე.

სოციალურ მუშაკთა ნაციონალური ასოციაცია რეკომენდაციას უწევს ისეთი კადრების აყვანას, რომელთაც აქვთ შესაბამისი კომპეტენცია, შემთხვევების წარმოების, კონსულტირების, ინტერვიუს ჩატარების, კროს-კულტურული გამიცდილების ქონის.

ყველაზე მნიშვნელოვანი მიმართულები შემდეგია:

- მდგრადი ადრეული ჩარევა პრევენციის მიმართულებით;
- ადვოკატირება;
- პროვზების განვითარების ეტაპების განვითარების შეფასება;
- ბავშვთან, ოჯახთან და სისიტემათან კომპლექსური მუშაობა და ჩარევა, კომუნიკაციის პროცესის უზრუნველყოფა;
- ბავშვის განვითარების ეტაპების ანალიზი;
- საზოგადოების ცნობიერების ამაღლება და მიმღებლობის გაზრდა კანონთან კონფლიქტში მყოფი არასრულწლოვანების მიმართ;
- რესურსების მობილიზება და მიწოდება კანონთან კონფლიქტში მყოფ არასრულწლოვანებისათვის და მათი მშობლებისათვის;
- ისეთი მომსახურების ლობირება და მხარდაჭერა, რომელიც ორიენტირებული იქნება პრევენციაზე, რეაბილიტაციაზე, თემზე დაფუძნებულ პრაქტიკაზე და არა სადამსჯელო ღონისძიებებზე;

სოციალურ მუშაკთა ნაციონალუ ასოციაცია განსაკუთრებულ ყურადღებას ამახვილებს თემზე დაფუძნებული პრაქტიკის მნიშვნელობაზე. მხარს უჭერს ადგილობრივი თემებისა და რესურსების მობილიზებას, როგორც დამცავ ფაქტორს არასრულწლოვანებთან მუშაობის პროცესში. მხარდაჭერილ იქნა თემის ინიციატივები, როგორც დამცავი და პრევენციული ფაქტორი დანაშაულის პრევენციის კუთხით. სკოლის შეემდგომი აქტივობები, მშობლის სუპერვიზია, სოციალური ღირებულებების განვითარები წახალისება, ინსტიტუციაური მომსახურებების სანაცვლოდ მცირე კორექციული ჯგუფების წახალისება, რომელიც ხელს უწყობს არასრულწლოვანის ქცევის მართვას და სხვა. (*National Assosiation of Social Workers, Recommendations, 2008, 2014*)

თავი VI. არასრულწლოვანთა დანაშაულის პრევენცია

საერთაშორისო გამოცდილება დანაშაულის დონეს სამ დონედ ჰყოფს:

- *პირველადი (primary);*
- *მეორეული (secondary);*
- *მესამეული (tertiary);*

მიუხედავად იმისა, რომ არასრულწლოვანთა მართლმსაჯულების სისტემას მხოლოდ მესამეულ პრევენციულ კომპონენტს მიაკუთვნებენ (პროგრამებს, რომელიც გამიზნულია იმ ბავშვების განმეორებითი დანაშაულის თავიდან ასაცილებლად, რომლებმაც აღიარეს ბრალი ან ბრალდებულია დანაშაულის ჩადენაზე), მაინც ძალზე მნიშვნელოვანია პირველადი (ანუ საყოველთაო) და მეორადი (მიზნობრივი) პრევენციის პროგრამების შემუშავება. (*UN, Introctory Handbook on the Prevention of Recidivism and the Social Reintegration of Ofender, 2012*); პირველად და მეორეულ პრევენციასთან დაკავშირებული

სამართლებრივი ნორმები სოციალური და ბავშვთა დაცვის კანონმდებლობაში უნდა შედიოდეს *(კამილტონი, არასრულწლოვანთა მართლმსაჯულების საკანონმდებლო რეფორმის სახელმძღვანელო პრინციპები, 2011)*;

გაეროს რეკომენდაციით, მნიშვნელოვანია სახელმწიფოში არსებობდეს სტრუქტურა, რომელიც პასუხისმგებელი იქნება დანაშაულის პრევენციის ეროვნული სტრატეგიის შემუშავებაზე, საქართველოში 2012 წელს შეიქმნა არასრულწლოვანთა დანაშაულის პრევენციის სტრატეგია, რომელიც ამ ეტაპზეც მოქმედია *(არასრულწლოვანთა პრევენციის სტრატეგია საქართველოში, #235, 2012)*;

იმისათვის, რომ სახელმწიფომ ეფექტური პოლიტიკა გაატაროს არასრულწლოვნების პრევენციის მიმართულებით, მნიშვნელოვანია გაზიარებული და დანერგილი იქნეს *გაეროს სახელმძღვანელო პრინციპები არასრულწლოვანთა დანაშაულის პრევენციის შესახებ, რიადის პრინციპები (ეკონომიკური და სოციალური საბჭოს რეზოლუცია, პუნქტი #13, 2001)*;

რიადის პრინციპების თანახმად, აქცენტი უნდა გაკეთდეს პრევენციის პოლიტიკაზე, რომელიც ხელს შეუწყობს ყველა ბავშვის წარმატებულ სოციალიზაციასა და ინტეგრაციას. კერძოდ ოჯახის, თანატოლთა ჯგუფების, სკოლების, პროფესიული მომზადების ცენტრებისა და სამსახურის აქტიური ჩართულობა *(გაეროს ბავშვთა უფლებათა კომიტეტი, ზოგადი კომენტარი #10, პუნქტი #17, 2007)*;

რიადის პრინციპების თანახმად, დანაშაულის პრევენციის პროგრამების დაგეგმვის დროს, უმნიშვნელოვანესია გათვალისწინებული იყოს ოჯახის კომპონენტი, მნიშვნელოვანია ღარიბი ოჯახების მხარდაჭერა და გაძლიერება, რათა თავიდან იქნას აცილებული ბავშვისა და ოჯახის განცალკევება. განსაკუთრებული ყურადღება უნდა მიქცეს ლტოლვილ, მიგრანტ, იძულებით გადაადგილებულ ოჯახებს, რათა გაიარონ ადაპტაცია ახალ გარემოსთან. ასევე, რიადის პრინციპები ხაზს უსვამს მშობლებთან/მზრუნველებთან მუშაობის პროცესს, კერძოდ, მშობლის უნარ-ჩვევების გაუმჯობესება, შვილის ცხოვრებაში მათი დადებითი გავლენის ზრდა, აღზრდასთან დაკავშირებული სხვადასხვა საკითხის განხილვა და ბავშვის განვითარების

თავისებურების გააზრების პროცესში დახმარებას. ასევე, უდიდესი მნიშვნელობა ენიჭება განათლების სისტემას. მნიშვნელოვანია არა მხოლოდ აკადემიური აქტივობები, არამედ სოციალური ნორმების, ღირებულებების და თავისუფლებების სწავლას. დიდი მნიშვნელობა ენიჭება სპორტულ, კულტურულ და სოციალურ აქტივობებს.

მრავალი ავტორის კვლევა და ნაშრომი გამოკვეთავს იმ ყველაზე მნიშვნელოვან ასპექტებს, რომელსაც დადებითი გავლენა აქვს არარსულწოდვანთა დანაშაულის პრევენციაზე ესენია: თერაპიული ინტერვენცია: მულტისისტემული თეორია, ოჯახის ; ფუნქციური თეორია, აგრესიის მართვის თერაპია; მენტორული პროგრამები; უსაფრთხო სკოლის პროგრამა; სკოლის შემდგომი აქტივობები; თემზე დაფუძნებული პრაქტიკა და სხვა.

განსაკუთრებით მნიშვნელობა ბოლო პერიოდში შეიძინა თემზე დაფუძნებულმა პრაქტიკამ არასრულწლოვნებთან მუშაობის პროცესში, როგორც რეაბილიტაციის, ასევე პრევენციის კომპონენტში; „თემზე დაფუძნებული პრაქტიკა საუკეთესო ოპრევენციული კომპონენტის არასრულწლოვნებთან მუშაობის პროცესში. აქვე უნდა აღინიშნოს, რომ ეფექტური პროგრამების განხორციელების შემთხვევაში თემზე დაფუძნებული პრაქტიკის მომსახურებების შექმნა და დანერგვა ბევრად უფრო ღირებულია ვიდრე მისის მონეტარული საფასური, თუმცა, უნდა აღინიშნოს, რომ ამ მიმართულებით დახარჯული თანხა იძლეოდა 7-10 დოლარის დანაზოგს სადამსჯელო ღონისძიებებთან მიმართებით“ (*Washington State institute for public policy, 2001*).

თავი VII. კვლევის ანალიზი

სიღრმისეული ინტერვიუ თვისებრივი კვლევის ერთ-ერთი ყველაზე გავრცელებული ფორმაა, რომელიც საშუალებას იძლევა ამომწურავად გაეცეს პასუხი მნიშვნელოვან კითხვებს. ვინაიდან კვლევა ეხება ისეთ სენსიტიურ საკითხს, როგორც არასრულწლოვანთა დანაშაულია, კვლევის მეთოდად სწორედ სიღრმისეული ინტერვიუ

იქნა შერჩეული. კვლევა მიმდინარეობდა 2018 წლის ნოემბრის თვიდან 2019 წლის იანვრის თვის ჩათვლით. ჯამში ჩატარდა 34 სიღრმისეული ინტერვიუ, როგორც კანონთან კონფლიქტში მყოფ 14 წლამდე არასრულწლოვნებთან, მათ კანონიერ წარმომადგენლებთან/მშობლებთან, სფეროში მომუშავე სხვადასხვა სფეროს პრაქტიკოსებთან და სფეროს ექსპერტებთან. კვლევის ფარგლებში გამოიკითხნენ სსიპ სოციალური მომსახურების სააგენტოს 12 სოციალური მუშაკი, 1 უფროსი სოციალური მუშაკი, სსიპ პრობაციის ეროვნული სააგენტოს 1 სოციალური მუშაკი და 1 პროფესიული ზედამხედველი, სსიპ დანაშაულის პრევენციის სოციალური მუშაკი. ასევე, შსს კრიმინალური პოლიციის დეპარტამენტის ვაკე-საბურთალოს სამმართველოს ორი განყოფილების ორი გამომძიებელი. ასევე, კვლევაში მონაწილეობა მიიღეს სსიპ სოციალური მომსახურების სააგენტოს მეურვეობა-მზრუნველობისა და სოციალური დეპარტამენტის უფროსმა, ამავე დეპარტამენტის ძალადობის ადმინისტრირების სამმართველოს უფროსმა და იურისტმა, საქართველოს სოციალურ მუშაკთა ასოციაციის თავმჯდომარემ, ფსიქოლოგმა ქეთევან თავართქილაძემ. კვლევაში მონაწილეობენ კანონთან კონფლიქტში მყოფი 14 წლამდე - 9 არასრულწლოვანი და 5 არასრულწლოვნის კანონიერი წარმომადგენელი.

სანამ კვლევის შედეგებს განვიხილავდით, აქვე მინდა ვისაუბრო იმ სირთულეებზე, რაც კვლევის ჩატარებას ახლდა თან. ვინაიდან, კანონთან კონფლიქტში მყოფი არასრულწლოვნებთან დაკავშირებული საკითხები მეტად საფრთხილოა და განსაკუთრებული კონფიდენციულობის ნორმების დაცვას მოითხოვს, შეუძლებელი გახდა რაიმე სტატისტიკის მოპოვება ამ საკითხთან დაკავშირებით, ასევე, არასრულწლოვნების დაცვის მიზნით, აღნიშნული მონაცემები რომელიმე უწყებაში ოფიციალური დოკუმენტის სახით არ ინახება. ვინაიდან, კვლევის მიზნის მისაღწევად უმნიშვნელოვანესი იყო არასრულწლოვნების და მათი კანონიერი წარმომადგენლების გამოკითხვა, შერჩევა განხორციელდა შემდეგნაირად, მე როგორც, სსიპ სოციალური მომსახურების სააგენტოს პრაქტიკოს სოციალურ მუშაკს მაქვს წვდომა ჩემს სამუშაო რაიონში დაფიქსირებული შემთხვევების შესახებ, შესაბამის ცხრილთან. ცხილიდან არჩეულ იქნენ 14 წლამდე არასრულწლოვნები შემთხვევითი შერჩევის საფუძველზე

(ყოველი მეშვიდე), აქვე მნიშვნელოვანია, რომ კვლევის ეტიკის ნორმების გათვალისწინებით, არც ერთი შერჩეული არასრულწლოვანი არ იყო ჩემი ბენეფიციარი. ბავშვთან უშუალოდ მომუშავე სოციალური მუშაკი ახდენდა დაკავშირებას, წიანსწარ ხდებოდა შეთანხმება, როგორც მის კანონიერ წარმომადგენელთან, ასევე თავად არასრულწლოვანთან კვლევის მიზნების შესახებ, ასევე, განმარტებული იყო რომ კონფიდენციალობა დაცულია. აღსანიშნავია, რომ კვლევაში მონაწილე ყველა არასრულწლოვანსა და მათ კანონიერ წარმომადგენლებს გამემარტათ, რომ კვლევაში მონაწილეობაზე უარის თქმა არანაირ გავლენას არ მოახდენდა სოციალური მუშაკის მომსახურების მიღებაზე სამომავლოდ. საკვლევი საკითხის სენსიტიურობიდან და არასრულწლოვანის ინტერესებიდან გამომდინარე, მათთან და მათ კანონიერ წარმომადგენლებთან ინტერვიუს დროს ინფორმაციის ჩანიშვნა ხდებოდა წერილობითი ფორმით, ხოლო ყველა დანარჩენ შემთხვევაში აუდიო ხელსაწყოს გამოყენებით.

რესპოდენტი 1. კანონთან კონფლიქტში მყოფი 14 წლამდე პირები, სულ ცხრა არასრულწლოვანი, მამრობითი სქესის, ყველაზე პატარა ასაკი 11 წლის და 8 თვის, ხოლო ყველაზე დიდი - 13 წლის 11 თვის.

კვლევის მიზნების მისაღწევად, განსაკუთრებით საინტერესო იყო იმ მიზეზებისა და ფაქტორების ამოცნობა, რომელმაც შესაძლოა ხელის შეუწყო დელიქვენტურ ქცევას მოზარდების მხრიდან. გამოიკვეთა, რომ ცხრა არასრულწლოვანიდან შვიდის (77%) ოჯახს ჰქონდა საკმაოდ რთული სოციო-ეკონომიკური მდომარეობა, ცხრა გამოკითხული არასრულწლოვანიდან 7 (77%) დადიოდა სკოლაში, თუმცა, მიღებული ინფორმაციით, ხშირი გაცდენისა და დაბალი აკადემიური მოსწრების გამო 4-მა მათგანმა ვეღარ შესძლო სწავლის გაგრძელება, 2 (23%) არასრულწლოვანს არასდროს უვლია სკოლაში. არასრულწლოვანები სწავლის შეწყვეტის მიზეზად ასახელებენ პედაგოგების დამოკიდებულებას მათ მიმართ:

„როდესაც უფრო პატარა ვიყავი, მინდოდა კარგად მესწავლა, და ექიმი გავმხდარიყავი, თუმცა, ხშირად ვგრძნობდი, რომ მასწავლებელი აგდებულად მიყურებდა, მივხვდი, რომ

ჩემგან მაინც არაფერი გამოვიდოდი და აღარ დავდივარ სკოლაში“; (რესპოდენტი 13 წლის).

არასრულწლოვნები აღნიშნავენ, რომ მშობლები არ იყვნენ ჩართულები საგაკვეთილო პროცესში, არ აკონტროლებდნენ სკოლაში დასწრებას, გაკვეთილების მოზადების ხარისხსა და სხვა.

„დედა არასდროს მამეცადინებდა, ალბათ რა მაგარია დედა რო გამეცადინებს“; (რესპოდენტი 12 წლის);

ცხრა გამოკითხული არასრულწლოვნიდან 7 (77,%) მიუთითებდა, რომ მათ ოჯახში ხშირი იყო კონფლიქტი მშობლებს შორის, მათ შორის ფიზიკური ხასიათის, რისი მომსწრეებიც თავადაც გამხდარან. არასრულწლოვნები საუბარში აღნიშნავენ, რომ მშობლებთან არ აქვთ კარგი დამოკიდებულება, მუდმივად კონფლიქტები და დაძაბული ურთიერთობა ახასიათებთ. ხუთი (55%) არასრულწლოვანი იზრდება მხოლოდ დედასთან, იშვიათი კონტაქტი აქვთ მამასთან.

„დედა და მამა ხშირად ჩხუბოდნენ, ადრე განვიციდი და მაგრად არ მიყვარდა რო ყვიროდნენ, ეხლა აღარ მაინტერესებს, რაც უნდა ის ქნან“ (რესპოდენტი 13 წლის);

„მამა რო ცხოვრობდა ჩვენთან ღამე გვიანობამდე არ გავდიოდი; სულ მირეკავდა, რო წავიდა იმის მერე სულ გარეთ ვარ, დედა მუშაობს და იშვიათად ახერხებს დარეკვას“; (რესპოდენტი 12 წლის);

არასრულწლოვნები, ასევე მკაფიოდ უსვამენ ხაზს სამეგობროს და არ მალავენ მათ გავლენას დანაშაულებრივ ქცევაზე:

„ჩვენ ოჯახივით ვართ, ერთად ვაკეთებთ ყველაფერს, სხვანაირად ვერ იძმაკაცებ მაგათთან, რაღაც ცუდიც უნდა გააკეთო ხო“; (რესპოდენტი 13 წლის);

ასევე, საკითხიდან გამომდინარე, მნიშვნელოვანი იყო სოციალური მუშაკის როლი და გავლენა არსრულწლოვნებზე, ცხრა გამოკითხული არასრულწლოვნიდან ექვსი (66%) აღნიშნავენ, რომ იციან ვინ იყო მათი სოციალური მუშაკი, ახასიათებენ როგორც

თბილ და მზრუნველ პიროვნებას, რომელიც იცავდა მათ პოლიციის უხეში დამოკიდებულებისაგან, თუმცა, აღნიშნული 6 არასრულწლოვანი ამბობდა, რომ რაიმე სახის დახმარება სოციალური მუშაკის მხიდან არ მიიღეს, გარდა, ყურადღებიანი და მზრუნველი დამოკიდებულებისა საპროცესო წარმომადგენლობის გაწევისას. ხოლო სამი არასრულწლოვანი (34%) აღნიშნავდა, რომ სოციალურმა მუშაკმა რამოდენიმეჯერ დაურეკე და დაინტერესდა მისი მდგომარეობით, სხვა რაიმე ჩარევას, არასრულწლოვნების ინფორმაციით, ადგილი არ ჰქონია.

„კი სოც. მუშაკი როგორ არ ვიცი, პოლიციაში რო მოვიდა ძაან თბილად მომექცა, რალაცეები მკითხა, ყურადღებიანი იყო, იმის მერე აღარ მინახავს“ (რესპოდენტი 13 წლის);

„დამირეკა რამდენჯერმე, მომიკითხა, სასიამოვნო იყო, სკოლაში თუ გადავწყვიტე სწავლის გაგარძელება მერე დავურეკავ“; (რესპოდენტი 12 წლის);

არასრულწლოვნები ბუნდოვნად საუბრუბენ სამომავლო გეგმებზე, არ აქვთ რაიმე ჰობი ან ინტერესის სფერო. ცხრავე გამოკითხული არასრულწლოვანი აღნიშნავდა, რომ უკვე თოთხმეტი წლის რომ ყოფილიყვნენ არ ჩაიდენდენ დანაშაულს, რადგან ინფორმირებუბი არაიან, რომ ამ ასაკიდან შეიძლება მოხვდნენ „ციხეში“, „ზონაზე“ ან „პრობაციაზე“. არასრულწლოვნები ფიქრობენ, რომ მშობლებს მეტი კონტროლი რომ გაეწიათ, ალბათ, სწავლას გაგრძელებდნენ და ამ გზას არ დაადგებოდნენ. სოციალურ მუშაკს არ ასახელებს, როგორც რაიმე ცვლილებების აგენტს მათ ცხოვრებაში.

როგორც ვხედავთ, გარკვეულწილად გამოიკვეთა ის მიზეზები, რამაც შესაძლოა გარკვეული გავლენა მოახდინა დანაშაულებრივი ქცევის წახალისებაზე, გამნსაკუთრებით აღსანიშნავია განათლების სისტემის როლი, ოჯახისა და მშობლების, სოციო-ეკონომიკური მდგომარეობა. გავეცნოთ, რამოდენიმე კვლევას ამ მიმართულებით. ერთ-ერთი კვლევა, რომელიც ჩატარდა ინ ფაქტორების გამოსავლენად რომელიც გავლანს ახდენს არასრულწლოვნის მიერ ჩადენილ დელიქვენტურ ქცევაზე, მონაიწლეობა მიიღო 250 კანონტან კონფლქიტში მყოფმა პირმა, მათგან 200 იყო მამრობითი სქესი, ხოლო 50 მდედრობითი სქესის, ასაკი 9-12 წელი, კვლევასს გამოიკვეთა შემდგომი ფაქტორები: კვლევაში მონაწილე არასრულწლოვნების 58, 8%--ს აქვს

დიდი ზომის ოჯახი, ოჯახები შეგდებოდნენ 6-9 წევრისგან; გამოკითხულთა 30, 4 %-ს ჰყავდა მამობილი, ხოლო 36 %-ს დედობილი, გამოკითხულთა 50, 8 % საერთოდ არ ცხოვრობდა მშობლებთან და ოჯახთან ერთად, გამოკითხულთა 80, 4 %-ს ჰქონდა სირთულეები სასწავლო პროცესში, ხოლო 60, 8 იქნა გარიცხული სკოლიდან. არასრულწლოვნების 24,8 %-ს ჰქონდა გარკვეული სირთულეები ჯანმრთელობის მხრივ, ხოლო 72, 4 %-ს ჰქონდა ფსიქოლოგიური და ფსიქიკური ჯანმრთელობის პრობლემები, ყველაზე ხშირად დეპრესია ვლინდებოდა. (*A study of factors affecting juvenile delinquency, Biomedical and Pharmacology journal, 2015*);

რესპოდენტი 2: კანონთან კონფლიქტში მყოფი 14 წლამდე პირების კანონიერი წარმომადგენლები, მზრუნველი პირები, სულ 5 რესპოდენტი, მდედრობითი სქესის.

გამოკითხული მშობლების უმრავლესობა არ აფიქსირებს საკუთარ როლს შვილების მიერ განხორციელებულ დელიქვენტურ ქცევაზე, მათი თქმით, ძალიან განიცდიან შვილების დანაშაულებრივ ქცევას, თუმცა, ვერ იაზრებენ როგორ შეიძლება შედეგის თავიდან აცილება. მშობლები გამომწვევ რისკ ფაქტორებად ძირითადად ასახელებენ სკოლას, მძიმე ეკონომიკურ მდგომარეობას, განქორწინებას, მარტოხელა დედობას. როგორც კვლევის დროს გამოიკვეთა, გამოკითხულ მშობლებს თითქმის არ აქვთ კომუნიკაცია შვილებთან, არ ატარებდნენ მათთან დროს, რადგან მიღებული ინფორმაციით, უწევდათ ოჯახის საკვებით და სხვადასხვა საჭიროებით უზრუნველყოფა და დრო აღარ ჰქონდათ გაეკონტროლებინათ შვილების თავისუფალი დრო, საგაკვეთილო პროცესი, აკადემიური მოსწრება, თანატოლების წრე.

„კარგი ბავშვი იყო, ჭკვიანი, მაგრამ მერე პატრონი არ გვყავდა და დარჩა ეგრე, აღარც სკოლა უნდა, აღარც სწავლა, რა ვქნა აბა მითხრაით, პატარა აღარ არის 14 გახდება უკვე მალე“ (რესპოდენტი 44 წლის);

როგორც გამოიკვეთა, გამოკითხული მშობლების უმრავლესობას არ აქვს სტაბილური სამუშაო, მხოლოდ ერთ მშობელს აქვს უმაღლესი განათლება და სამსახური,

დანარჩენი გამოკითხული მშობლები საქმეებიან პერიოდულად (დამლაგებელი, მიმტანი, კაზინოში სხვადასხა პოზიცია, მაღაზიის თანამშრომელი). როგორც ინტერვიუს დროს გამოიკვეთა, მშობლები მომხრე არიან აღზრდის ავტორიტარული სტილის. ასევე, გამოიკვეთა, რომ საკუთარი ბინის არ ქონის გამო ხშირად უწევდათ საცხოვრებელი ადგილის შეცვლა და შესაბამისად სკოლის, რამაც გამოიწვია ბავშვების მხრიდან სასწავლო პროცესისადმი გულგრილი დამოკიდებულება, ასევე, გამოიკვეთა, რომ მშობლები არ უწევდნენ კონტროლს არასრულწლოვნებს, არ იცნობდნენ შვილების მეგობრებს.

*„დრო არ მქონდა და ყველგან ხო ვერ გაეკიდები, მერე მშვირები დავიხოცებოდი“
(რესპოდენტი, 39 წლის);*

*„მეგობრები ყავს კი, დიდად არ მომწონს მაგათი ბრაღიც არის მგონი რაც ჩაიდინა“
(რესპოდენტი, 38 წლის);*

საკვლევი საკითხიდან გამომდინარე, მნიშვნელოვანი იყო მშობლების დამოკიდებულება სოციალური მუშაკის მიერ გაწეული მომსახურების შესახებ, გამოკითხული ხუთი რესპოდენტიდან 4 აფიქსირებს, რომ სოციალურ მუშაკთან ჰქონდა რამოდენიმეჯერ სატელეფონო კავშირი, ხოლო ერთის თქმით, სოციალური მუშაკი მასთან სისტემატიურად დადიოდა.

„ძალიან კარგი და ყურადღებიანი სოციალური მუშაკი მყავს, გამიწია ფსიქოლოგიური მხარდაჭერა, ასევე, შემომთავაზა უმუშევართა ბაზაში დარეგისტრირება, კმაყოფილი ვარ“ (რესპოდენტი, 35 წლის);

წლების განმავლობაში ტარდებოდა მრავალი კვლევა, რომელიც იკვლევდა ოჯახის გავლენას არასრულწლოვნათა დანაშაულზე, ჯერ კიდევ რამოდენიმე ათეული წლის წინ მრავალმა კვლევამ აჩვენა, თუ რაოდენ მნიშვნელოვანი გავლენა აქვს მშობლების განქორწინებას, ოჯახურ კონფლიქტებს, მშობლების დამოკიდებულებებს არასრულწლოვნის განვითარებაზე და მათ შორის ანტისოციალურ ქცევაზე. კვლევების უმრავლესობამ ნათლად გამოაშკარავა ოჯახური კონფლიქტისა და მშობლების

განქორწინების უარყოფითი გავლენა არასრულწლოვნებზე, მაგალითად; სამხრეთ ლონდონში 411 არასრულწლოვნის კვლევამ გამოკვეთა, რომ 72 არასრულწლოვნის შემთხვევაში, რომლებიც ხასიათდებოდნენ დანაშაულის მაღალი მაჩვენებლით, იყვნენ კონფლიქტური ან განქორწინებული ოჯახებიდან (*Study of Juvenile delinquency , Juby and Farington, 2001*).

ასევე, 72 კვლევის მეტა - ანალიზმა, ცხადჰყო, რომ სწორედ იმ არასრულწლოვნებს ახასიათებდეთ ანტისოციალური ქცევა, რომლებიც იყვნენ განქორწინებული ოჯახებიდან (Price and Kunz, 2003).

2017 წელს მონტენეგროში ჩატარდა კვლევა, რომელშიც მონაწილეობა მიიღო 265-მა არასრულწლოვანმა, კვლევის მიზანი იყო, მშობლის დამოკიდებულებებსა და დელიქვენტურ ქცევას შორის არსებული კავშირის დადგენა. მონაწილეების ასაკი მერყეობდა 15-დან 18 წლამდე. გამოკითხული არასრულწლოვნები იყოფოდნენ ორ ჯგუფად, 115 მონაწილე იყო კანონთან კონფლიქტში მყოფი არასრულწლოვანი, ხოლო 150 სოციალურ კარგად ინტეგრირებული არასრულწლოვანი. კვლევამ გამოკვეთა, რომ არასრულწლოვნებთან, რომლებმაც ჩაიდინეს დევიანტური ქმედება, გაცილებით მაღალი იყო მშობლის მხრიდან ძალადობის, ადრეულ ასაკში გადატანილი დეპრეზიის, მხარდაჭერის მინიმალური ხარისხი, ბავშვისათვის მიცემული პირობების არ შესრულება და სხვა, ვიდრე იმ არასრულწლოვნებთან ვინც სოციალურ კარგად ადაპტირდნენ.

როგორც ვხეავთ, მარავალი კვლევა აჩვენებს, რომ არსებობს ძალიან მნიშვნელოვანი კავშირი მშობლების მდგომარეობის, მშობლების დამოკიდებულებების, ძალადობისა და არასრულწლოვნის მიერ ჩადენილ დევიანტურ ქცევას შორის. კვლევაში მონაწილე მშობლებისა და მათი ოჯახური მდგომარეობის გათვალისწინებით, ასევე, მათი დამოკიდებულებებით შვილების მიმართ, შეგვიძლია ვივარაუდოთ, რომ ვერ უწევენ მხარდაჭერას არასრულწლოვნებს, ასევე, არ აქვთ ახლო ურთიერთობა, არ ატარებენ მათთან დროს, თავადაც აქვთ მწირი ღირებულებათა სისტემა, ვერ იაზრებენ საკუთარ როლს

შვილის ცხოვრებაში, რითაც შეგვიძლია ვივარაუდოთ, რომ უარყოფითი გავლენა იქონიეს შვილების მიერ ჩადენილ დელიქვენტურ ქცევაზე.

რესპოდენტი 3: სფეროს ექსპერტები, მათ შორის პრაქტიკოსი სოციალური მუშაკები - სოციალური მომსახურების სააგენტოს 12 სოციალური მუშაკი, 1 უფროსი სოციალურ მუშაკი, შსს ვაკე-საბურთალოს კრიმინალური პოლიციის დეპარტამენტის 2 გამომძიებელი, სსიპ სოციალური მომსახურების სააგენტოს მეურვეობა-მზრუნველობის დეპარტამენტის უფროსი, ამავე, დეპარტამენტის ძალადობის სამმართველოს უფროსი და იურისტი, საქართველოს სოციალურ მუშაკთა ასოციაციის თავმჯდომარე, ფსიქოლოგი - ქეთევან თავართქილაძე, სსიპ პრობაციის სააგენტოს 1 სოციალური მუშაკი და ერთი ზედემხედველი, სსიპ დანაშაულის პრევენციის ცენტრის 1 სოციალური მუშაკი.

კვლევაში მონაწილე სოციალურ მუშაკებს აქვთ 2 ან მეტი წლის მუშაობის გამოცდილება კანონთან კონფლიქტში მყოფ არასრულწლოვნებთან. როგორც კვლევის დროს გამოიკვეთა ექვს მათგანს აქვს გავლილი ტრენინგურსი, რომელიც მოიცავს სამ დღიან სწავლებას, თუმცა, ყველა სოციალური მუშაკი აღნიშნავს, რომ ტრენინგი არ არის საკმარისი კვალიფიკაციის ამაღლების პროცესში.

„სამ დღიანი ტრენინგი არ არის პირდაპირ ჩემთვის საკმარისი, რომ რაიმე კვალიფიკაციის ამაღლებაზე ვისაუბრო“ (სსიპ სოციალური მომსახურების სააგენტოს სოციალური მუშაკი, თბილისი);

„ვი გადაგვამაზდეს, რაღაც მხრივ კარგი იყო, ისე ვმუშაობთ უკვე ორი წელია არავის მოუცია ჩვენთვის ელემენტარული ცოდნა ამ საკითხთან დაკავშირებით“ (სსიპ სოციალური მომსახურების სააგენტოს სოციალური მუშაკი, თბილისი);

სოციალური მუშაკების ინფორმაციით, მრავალი გამოწვევა არსებობს 14 წლამდე კანონთან კონფლიქტში არასრულწლოვნებთან მუშაობის პროცესში, არ არსებობს რაიმე მკაფიო პროცედურა, ვერ ხერხდება ეფექტური თანამშრომლობა საქართველოს შინაგან საქმეთა სამინისტროს შესაბამის უწყებებთან, არაორაგანიზებული სამუშაო, დროის

არანაყოფიერად ხარჯვა, ყველა სოციალური მუშაკი აღნიშნავს, რომ ხელთ არ აქვთ რაიმე რესური და საკმარისი დრო, რომ იმუშავონ მშობლებთან, სკოლასთან, თემთან და ა.შ; ვერ იხსენებენ შემთხვევას, როდესაც უმუშავიათ დანაშულის პრევენციის მიმართულებით, განმეორებითი დანაშაულის თავიდან აცილების მიზნით. გამოკითხული სოციალური მუშაკები იაზრებენ საკუთარ როლს არასრულწლოვანთა მართლმსაჯულების პროცესში, თუმცა, თორმეტივე მათგანი აღნიშნავს, რომ ამ ეტაპზე მხოლოდ საპროცესო წარმომადგენლის ამპლუაში ხედავენ საკუთარ თავს.

„ჩემი როლი, როგორც სოციალური მუშაკის, ამ ეტაპზე მხოლოდ საპროცესო წარმომადგენლობით შემოიფარგლება“ (სსიპ სოციალური მომსახურების სააგენტოს სოციალური მუშაკი, მცხეთა-მთიანეთი);

„ვგრძნობ, რომ ბევრად მეტის რესურსი გვაქვს, ჩვენი როლი ძალიან მნიშველოვანია არასრულწლოვანთა მართლმსაჯულების სისტემაში, თუმცა, ვერანაირ სხვა მომსახურებას ვერ ვაწოდებთ, გარდა საპროცესო წარმომადგენლობისა“ (სსიპ სოციალური მომსახურების სააგენტოს სოციალური მუშაკი, თბილისი);

კვლევაში მონაწილე სფეროს არაპრაქტიკოსი ექსპერტებსაც მსგავსი პოზიცია აქვთ, ექსპერტების აზრით, სოციალური მომსახურების სააგენტოს სოციალური მუშაკების მხრიდან მინიმალურად ხდება ჩართვა.

„სოციალური მომსახურების სააგენტოს სოციალური მუშაკებისგან ამ ეტაპზე კანონთან კონფლიქტში მყოფი ბავშვები ფაქტობრივად ვერანაირ მომსახურებას ვერ იღებენ“ (საქართველოს სოციალურ მუშაკთა ასოციაციის თავმჯდომარე ნინო შატბერაშვილი);

„ამ ეტაპზე მხოლოდ სოციალური მომსახურების სააგენტოს თანამშრომლები მუშაობენ, მაგრამ, სამწუხაროდ მრავალი ფაქტორის გათვალისწინებით, გარდა საპროცესო წარმომადგენლობისა, სხვა მომსახურების მიწოდება არ ხდება“ (ფსიქოლოგი - ქეთევან თავართქილაძე);

სოციალური მუშაკები საკუთარი გამოცდილებით ასახელებენ იმ მიზეზებს, რაც შესაძლოა დანაშაულის გამომწვევი ან ხელისშემწეობი იყოს, ესენია: ცუდი სოციო-ეკონომიკური მდგომარეობა, მშობლების ინდიფერენტული დამოკიდებულება შვილების მიმართ, მშობლის მავნე ჩვევებზე დამოკიდებულება; თანატოლთა წრე, რომელიც მიდრეკილია დანაშაულებრივი ქმედებების ჩადენისკენ, სკოლის მიტოვება; არაორგანიზებული თავისუფალი დრო; სუსტი კონტროლი მზრუნველების მხრიდან; ფსიქიკური ჯანმრთელობის პრობლემები; მიკუთვნებულობა სხვადასხვა ჯგუფის მიმართ, რომელიც შემჩნეულია ანტისოციალურ ქმედებებში; საზოგადოების დამოკიდებულება. ასევე, რამოდენიმე სოციალურმა მუშაკმა აღნიშნა, რომ 14 წლამდე განსაკუთრებით აქტუალურია ე.წ. „დაუსჯელობის სინდრომი“, მათი თქმით, 14 წლამდე არასრულწლოვნებმა იციან, რომ არ მიეცემიან პასუხსიგებაში, რაც იწვევს დანაშაულის განმეორებას.

„განათლების დაბალი დონე, სოციალური ფაქტორები, საკანონმდებლო ხარვეზები, მომსახურების არარსებობა, უბიძგებს ბავშვებს დანაშაულისკენს“ (სსიპ სოციალური მომსახურების სააგენტოს სოციალური მუშაკი, თბილისი);

„ჩემი პრაქტიკიდან გამომდინარე, დანაშაულის გამომწვევი ფაქტორები ძირითადად სოციალურ-ეკონომიური გარემოა. ოჯახებს არ აქვთ მინიმალური შემოსავალი. მოზარდი ხშირად ცდილობს მიეხმაროს მშობელს ოჯახის შენახვაში. მოზარდს აქვს მეტი თავისუფალი დრო, არის უმეტესად უფრთხო, რადგან მშობელი გასულია იმ მცირე ლუკმა-პურისთვის, რითაც შვილებს დააპურებს. თავისუფალია რადგან ვერ ერთვება კლასგარეშე აქტივობებში, ვერ დადის რაიმე წრეებზე, სპორტზე, რადგან უმეტესად აღნიშნული წრეები ფასიანია. საფასურის გადახდის უნარი კი ოჯახებს არ აქვთ“ (სოციალური მუშაკი, მცხეთა-მთიანეთი);

„ძირითადად ეს არის არასრულწლოვანთა ოჯახების სოციალურ-ეკონომიკური მდგომარეობა, გარემო, სადაც მათ უწევთ ურთიერთობა, განათლების დაბალი დონე. ასევე ამ ასაკში ხშირია „ავტორიტეტების“ მიმზადებულობა.“ (სსიპ სოციალური მომსახურების სააგენტოს სოციალური მუშაკი, თბილისი);

„არაეფექტური აღზრდის სტილი და ზედამხედველობის ფორმები მშობლებისგან, ნასამართლეობის მეორე ოჯახის წევრები ან სამეგობრო წრე, სოციალურ-ეკონომიკური პრობლემები, დაბალი აკადემიური მოსწრება და არაორგანიზებული დღის რეჟიმი“ (სსიპ პრობაციის ეროვნული სააგენტოს სოციალური მუშაკი, თბილისი);

„მზრუნველობის სირთულეები - მზრუნველი, რომელიც ვერ იაზრებს არასრულწლოვნის საჭიროებებს ან/და ვერ ახდენს მასზე ზედამხედველობას. ძალადობა ოჯახში - მზრუნველებს შორის და ბავშვის მიმართ. ბავშვზე ზრუნვის სისტემა - არასათანადო ხარისხის მომსახურებები და ზრუნვა. ქუჩაში ცხოვრების გამოცდილება. შინაგანს საქმეთა თანამშრომლების უმოქმედობა, როდესაც შეხება აქვთ ქუჩაში მცხოვრებ და მომუშავე ბავშვებთან. ასევე, ბავშვის მიერ პირველად ჩადენილ დანაშაულზე ხშირად არ ხდება მათი მხრიდან მშობლების ან სახელმწიფო ზრუნვის ინფორმირება. სკოლა - ძირითადად არ ახდენს რეაგირებას როდესაც იკვეთება ბავშვზე ძალადობის ფაქტები, ან მის მიმართ არასათანადო მზრუნველობას აქვს ადგილი. არ თანამშრომლობენ სახელმწიფო ზრუნვასთან და შსს-თან ამ საკითხებზე. ძირითადად ხდება ბავშვების ჩამოშორება სასწავლო პროცესისგან. ასევე, შესაძლოა დანაშაულის ჩადენის რისკ ზრდიდეს ბავშვის გარკვეული პიროვნული თავისებურებები. თუმცა ამ საკითხს დამატებითი კვლევა სჭირდება“ (სსიპ პრობაციის ეროვნული სააგენტოს სოციალური მუშაკი, თბილისი);

კვლევაში მონაწილე საქართველოს შინაგან საქმეთა სამინისტროს კრიმინალური პოლიციის ცენტრალური დეპარტამენტის ვაკე-საბურთალოს სამმართველოს გამომძიებლები კვლევაში აფიქსირებენ, რომ 14 წლამდე კანაონთან კონფლიქტში მყოფი პირების მთავარი პრობლემა, რის გამოც მუდმივად იმეორებენ დანაშაულს არის ე.წ. „დასუჯელობის სინდრომი“:

„იცის, რომ არ დაისჯება და ამიტომ სანამ 14 წლის გახდება მუდმივად იმეორებს დანაშაულს, უნდა არსებობდეს რაღაც მექანიზმი, რომელიც ხელს შეუშლის რეციდივს“ (გამომძიებელი, ვაკე-საბურთალო);

„მიეჩვივნენ დანაშაულს, არავინ სჯის, დაკითხავ და გაუშვებ, ზოგჯერ მქონია შემთხვევა იმავე საღამოს გაუმეორებია დანაშაული, აზრს ველარ ვხედავ ამ ყველაფერში“ (გამომძიებელი ვაკე-საბურთალო);

საკვლევი საკითხიდან გამომდინარე საინტერესო იყო, რამდენად თანამშრომლობდნენ სხვადასხვა უწყების წარმომადგენლები ერთმანეთთან, რამდენად იყენებენ სხვა უწყების სოციალური მუშაკის მიერ შესრულებულ შეფასებას, დასკვნასა და სხვა. კვლევისას გამოიკვეთა, რომ თანამშრომლობა მინიმალური ხასიათისაა, იხსენებენ ერთეულ შემთხვევებს როდესაც ჰქონდათ კომუნიკაცია სხვა უწყების სოციალურ მუშაკთან.

„იშვიათად მქონია კომუნიკაცია. კომუნიკაციის პროცესში ხელისშემშლელი ფაქტორები არ მქონია, თუმცა, პრობლემაა რესურსები და ის, რომ იშვიათად მოჰყვებოდა სოციალური მომსახურების სააგენტოს სოციალური მუშაკების ინტერვენციას სასურველი შედეგი“ (სსიპ სოციალური მომსახურების სააგენტოს სოციალური მუშაკი, თბილისი).

„კომუნიკაცია ძალიან იშვიათად მქონია, სიმართლე გითხრათ, გვაქვს კომუნიკაციის პრობლემა, რაღაც არარეალური მოთხოვნები აქვთ ხოლმე, უბრალოდ იმიტომ რომ თვითონ პროცედურა შეასრულონ“ (სსიპ სოციალური მომსახურების სააგენტო, სოციალური მუშაკი, თბილისი);

მსგავსი პოზიცია აქვთ, კვლევაში მონაწილე სფეროს არა პრაქტიკოს ექსპერტებს, მათი აზრით, უწყებათა შორის კომუნიკაცია წარმოადგენს სერიოზულ პრობლემას, სხვა უწყების სოციალური მუშაკის რესურსის გამოყენება არ ხდება, გარდა ამისა, სფეროს ექსპერტების აზრით, განსაკუთრებულ პრობლემას წარმოადგენს სსიპ სოციალური მომსახურების სააგენტოსთან თანამშრომლობა.

„პრობაციის ეროვნულმა სააგენტო როცა თანამშრომლობს სოციალური მომსახურების სააგენტოსთან, ოჯახთან, ძალადობისა თუ სხვა საკითხთან დაკავშირებით, სააგენტოს

*სოციალური მუშაკების მხრიდან არ ხდება შესაბამისი ინტერვენციის განხორციელება“
(საქართველოს სოციალურ მუშაკთა ასოციაციის თავმჯდომარე);*

როგორც პრაქტიკოსი, ასევე, არაპრაქტიკოსი ექსპერტები ერთხმად აღნიშნავენ, რომ საქართველოს არასრულწლოვანთა მართლმსაჯულების კოდექსი, უდავოდ წინ გადადგმული მნიშვნელოვანი ნაბიჯია. საყურადღებოა, რომ სახელმწიფო ინტერესდება კანონთან კონფლიქტში მყოფი პირებით, თუმცა, არსებობს ბევრი შეუსაბამობა და ხარვეზი, რომელიც პრაქტიკასა და კანონით გათვალისწინებულ საკითხებს შორის არსებობს.

*„ამ ეტაპზე მნიშვნელოვანი და წინგადადგმული ნაბიჯია არასრულწლოვანთა მართლმსაჯულების კოდექსი, თუმცა, ვფიქრობ, ერთ-ერთ პრობლემურ საკითხად 14 წლამდე პირები რჩებიან, საერთოდ არანარი მომსახურების შექმნა არ ხდება მათთვის, გარდა სოციალური მუშაკისა, რომელიც, ვერ აწვდის ვერანაირ პრევენციულ კომპონენტს“
(სსიპ სოციალური მომსახურების სააგენტოს მეურვეობა -მზრუნველობისა და სოციალური პროგრამების დეპარტამენტი, ძალადობის ადმინისტრირების სამმართველოს უფროსი);*

საკვლევი საკითხიდან გამომდინარე, მნიშვნელოვანი იყო არასრულწლოვნებში დანაშაულის პრევენციის საკითხის განხილვა და შესაბამისი რეკომენდაციების მოსმენა პრაქტიკოსი და არაპრაქტიკოსი რესპოდენტებისაგან, ურავლესობა ხაზს უსვამს ოჯახის როლს, ოჯახის ფუნქციის ამაღლებას, მშობლის დადებითი გავლენის გაზრდას, ძალადობის პრევენციას ოჯახში. ასევე, სფეროს ექსპერტები ხაზს უსვამენ განათლების ფაქტორს, კერძოდ სკოლის როლის ამაღლებას. არასრულწლოვანთა დანაშაულის პრევენციისათვის, ექსპერტთა აზრით, უმნიშვნელოვანესი თემზე დაფუძნებული პრაქტიკის შექმნა და გაძლიერებაა. ასევე, რესპოდენტთა აზრით, მნიშვნელოვანია უწყებათა შორისი ეფექტური თანამშრომლობა.

თავი VI. დასკვნა/რეკომენდაცია

ჩემს მიერ ჩატარებული კვლევის, წარმოდგენილი დოკუმენტების, განხილული ლიტერატურისა და კვლევების თანახმად, შეიძლება ითქვას, რომ კანონთან კონფლიქტში მყოფი არასრულწლოვანები, როგორც მსოფლიოში, ასევე, საქართველოში იმყოფებიან მრავალი გამოწვევის პირისპირ. როგორც მიმოვიხილეთ, არა მოხლოდ განვითარებულ, საკმაოდ განვითარებულ ქვეყნებშიც არასრულწლოვანების მართლმსაჯულებასთან დაკავშირებული საკითხები საკმაოდ აქტუალი და პრობლემურია. საკვლევი თემის ერთ-ერთი ამოცანიდან გამომდინარე, მნიშვნელოვანი იყო ნაშრომში გამოკვეთილიყო ის მნიშვნელოვანი ფაქტორები და მიზეზები, რომლებიც ხელსუწყობს არასრულწლოვანის მიერ ჩადენილ დევიანტურ ქცევას. როგორც სამეცნიერო ლიტერატურის, ასევე, განხილული და ჩემს მიერ ჩატარებულმა კვლევამ გამოკვეთა, ის კავშირები, რომლებიც უარყოფით გავლენას არასრულწლოვანის ქცევაზე. მრავალ ფაქტორს შორის, გამოიკვეთა ძირითადი ფაქტორები: ოჯახი და მისი დისფუნქცია, მძიმე ეკონომიკური მდგომარეობა, მშობლების/მზრუნველების მიერ განხორციელებული ძალადობა და უგულებელყოფა, მშობლის ადიქციური ქცევა, ინდიფერენტული მიდგომა შვილის ცხოვრების სხვადასხვა ასპექტის მიმართ, მშობლის მწირე ღირებულებათა სისტემა, ოჯახის წევრების დანაშაულებრივი ქცევა, ნაკლები კონტროლი არასრულწლოვანების მიმართ, აღზრდის ავტორიტარული სტილი. წარსულში გადატანილმა დეპრევაციამ, მიჯაჭვულობის არ ქონამ შესაძლოა წახალისოს ანტისოციალური ქცევა მომავალში. უმნიშვნელოვანესია განათლების სისტემა, სკოლის მიტოვებამ, პედაგოგების მხრიდან ინდეფერენტულმა დამოკიდებულებამ შესაძლოა უბიძგოს დევიანტურ ქცევას. არაორგანიზებული დრო, ანტისოციალურ ქმედებებში ჩართული მეგობრების წრე არის ერთ-ერთი რისკ ფაქტორი. საცხოვრების ხშირი ცვლა, მშობლების განქორწინება და მუდმივი კონფლიქტები მშობლებს შორის ახდენს უარყოფით გავლენას არასრულწლოვანზე. ასევე, გამოიკვეთა, მაკრო დონის პრობლემები, როგორიცაა არანაირი პრევენციის მექანიზმის არსებობა 14

წლამდე კანონთან კონფლიქტში მყოფ ბავშვებთან, არა თუ პრევენცია, არ ხდება ბავშვების იდენტიფიცირება და რაიმე მომსახურებაში გადამისამართება, არ გვაქვს ოჯახის მხარდამჭერი მომსახურებები, ფაქტობრივად არ გვხვდება თემზე დაფუძნებული პრაქტიკა. სუსტია უწყებათაშორისი თანამშრომლობა, შესაბამისი დამხმარე პროფესიებისგან არ ხდება შემთხვევებზე სრულფასოვანი სამუშაოს განხორციელება, არ ხდება ოჯახთან და თემთან მუშაობა, არ გვაქვს მომსახურება, სადაც მოხდება ანტისოციალურ ქცევაში ჩართული 14 წლამდე არასრულწოვნების გადამისამართება. სამწუხაროდ, სოციალური მუშაკების მხრიდან ვერ ხერხდება ოჯახთან მუშაობა, მხარდამჭერის მომსახურებების შეთავაზება, რაც რა თქმა უნდა, ზრდის დანაშაულის განმეორებით ჩადენის ალბათობას. როგორც კვლევამ აჩვენა, სოციალური მუშაკის მხრიდან ხდება მხოლოდ საპროცესო წარმომადგენლობის გაწევა გამოკითხვის პროცესზე, რაც რა თქმა უნდა, ვერანაირად ვერ შეუწყობს ხელს დანაშაულის პრევენციას მოზარდებში. აუცილებლად, უნდა ავლნიშნოთ, რომ კვლევაში მონაწილე სფეროს ყველა ექსპერტი ერთხმად აღიარებს, რომ არასრულწოვნათა მართლმსაჯულების კოდექსი უმნიშვნელოვანესი წინ გადადგმული ნაბიჯია, თუმცა, კანონით გათვალისწინებული პროცედურების შესრულება საკმაოდ დიდ სირთულეებთან არის დაკავშირებული.

მიმოხილული ლიტერატურის, ჩემს მიერ ჩატარებული სიღრმისეული ინტერვიუებისა და სხვადასხვა კვლევის თანახმად, წარმოგიდგენთ შემდეგ რეკომენდაციებს:

- მარტოხელა მშობლებთან სპეციალისტის ჩართვის ხელშეწყობა; ბავშვის დაბადებიდან პირველი 3 წლის განმავლობაში სისტემატური ვიზიტები მშობელთან, რათა კარგად იქნეს გააზრებული ბავშვის აღზრდის ეფექტური მეთოდები, მიჯაჭვულობასთან დაკავშირებული საკითხები, ძალადობისა და უგულებელყოფობის საკითხები; ასევე, მშობლის მხარდაჭერა და გაძლიერება, რათა თავიდან იქნას აცილებული ბავშვის მიტოვება. აღნიშნული მომსახურება ხელს შეუწყობს ბავშვის სწორ განვითარებას, მიჯაჭვულობის ჩამოყალიბებას, ძალადობისგან დაცვას, რაც თავისთავად მოზარდობის ასაკში დადებით გავლენას

მოახდენს არასრულწლოვნის ქცევაზე, მათ შორის იქნება დამცავი ფაქტორი ანტისოციალური ქცევის განხორციელებისას;

- მშობლის უნარ-ჩვევებთან დაკავშირებული ტრენინგ-კურსების ორგანიზება; მშობლების უნარ-ჩვევების, მხარდაჭერის საკითხების ხაზგასმა, მათი როლის და გავლენის გააზრება შვილის ცხოვრებაში. კონტროლის მექანიზმის ხაზგასმა; შვილის მხარდაჭერა წარმოადგენს იმ მნიშვნელოვან კომპონენტს, რომელიც ემსახურება არასრულწლოვანთა დანაშაულის პრევენციას;
- მავნე ნივთიერებებზე, ახარტულ თამაშებზე დამოკიდებული მშობლების შესაბამისი სარეაბილიტაციო პროგრამებით უზრუნველყოფა მშობლის მავნე ქცევის ფორმირებისათვის, რათა თავიდან იქნას აცილებული უარყოფითი გავლენა;
- მშობლებს შორის ხშირი კონფლიქტების, ოჯახური დავების, განქორწინების, ოჯახში ძალადობის უარყოფითი გავლენის გააზრებაში დახმარების გაწევა მშობლებისათვის სოციალური მუშაკის, შესაბამისი სპეციალისტების მიერ;
- მნიშვნელოვანია, იმ ბავშვიანი ოჯახებისათვის, რომელთაც განსაკუთრებული მძიმე სოციო-ეკონომიკური მდგომარეობა აქვთ, სახელმწიფოს მხრიდან იქნას გადადგმული შესაბამისი ქმედითი ნაბიჯები, შესაბამისი დასაქმების ხელსეწყობა, თვითმართველობის რგოლის გაძლიერება, მშობლის გადამზადება და მხარდაჭერა, მშობლისა და ბავშვების განცალკევების საფრთხის მინიმუმადე შემცირების მიზნით;
- არასრულწლოვნის ძალადობისგან დაცვის სისიტემის დახვეწა/ფრომირება; სოციალური მუშაკის, ფსიქოლოგის, შსს შესაბამისი წარმომადგენლების დროული ჩართვა;
- ანტისოციალური ქცევის (სიბრაზე, აგრესია); ჩაკეტილობის; ფსიქოლოგიური/ფსიქიკური ჯანმრთელობის პრობლემების მქონე ბავშვის დროული იდენტიფიცირების მექანიზმის გამუჯობესება; როგორც

მშობლის/მზრუნველის. სკოლის; უბნის ექიმის თუ ბავშვთან ურთიერთობაში მყოფი ნებისმიერი სუბიექტის მხრიდან;

- არასრულწლოვანთა მართლმსაჯულების სისტემის დახვეწისათვის მნიშვნელოვანია მოხდეს განათლების როლის წინ წამოვა;
- არასრულწლოვანთა მართლმსაჯულების სისტემის ეფექტურობისათვის, მნიშვნელოვანია ყველა სკოლაში დამუშებულ იქნას სოციალური მუშაკის/ფსიქოლოგის შტატი, რაც ხელს შეუწყობს რთულის ქცევის, ძალადობა განცდილი ბავშვის დროულ იდენტიფიცირებას და შესაბამისი პრევენციული კომპონენტის დაგაგმევას;
- უმნიშვნელოვანესია, პედაგოგების ინფორმაციის დონის გაზრდა არასრულწლოვანის ქცევის თავისებურებებზე, გარემო ფაქტორებზე და იმ სიგნალებზე, რაც შესაძლოა გახდეს დანაშაულის ხელშემწყობი მოზარდობის ასაკში;
- მნიშვნელოვანია სკოლებში შესაბამისი პროგრამების დანერგვა და განხორციელება, მაგალითად, ქცევის მართვის პროგრამა რთული ქცევის მქონე ბავშვებისათვის; მრავალკომპონენტიანი საკლასო აქტივობების ხელშეწყობა; სოციალური პასუხისმგებლობის გააზრების აქტივობები; კონფლიქტის, ბულინგის და ძალადობის პრევენციის მიმართულებით შესაბამისი კურიკულუმის შედგენა; მენტორული პროგრამების დანერგვა; სკოლის შემდგომი რეკრეაციული აქტივობების ხელშეწყობა;
- ქალაქების მერიების და სხვა თვითმმართველობის სუბიექტების, განათლების, მეცნიერების, სპორტისა და ახალგაზრდობის სამინისტროს მაქსიმალური მობილიზება, რათა შეიქმნას მეტი სპორტული, რეკრეაციული და კულტურული უფასო პროგრამები, რათა არასრულწლოვნებმა თავისუფალი დრო ამ აქტივობებში ჩართვით გამოიყენონ;
- სახელმწიფოს, მედიისა და სოციალური ქსელის მეშვეობით, სპორტული, საგანამანთლებლო, კულტურული პროგრამების პოპულარიზაცია;

- არასრულწლოვნებთან მომუშავე სპეციალისტების - სოციალური მუშაკების, ფსიქოლოგების, შინაგან საქმეთა სამინისტროს წარმომადგენლების კვალიფიკაციის ამაღლება, რათა ზუსტად იქნას ამოცნობილი ის რისკ ფაქტორები, რომელმაც შესაძლოა გამოიწვიოს დევიანტური ქცევა;
- ერთიანი სისტემის შექმნა, რომელიც საკანონდებლო დონეზე დაავალდებულებს შესაბამის სპეციალისტებს 14 წლამდე კანონთან კონფლიქტში მყოფი ბავშვისათვის შესაბამისი მომსახურების მიწოდებას; მათ შორის, ყველა იმ არასრულწლოვანთან ვინც ერთხელ უკვე განახორციელა დელიქვენტური ქცევა ჩაერთოს სოციალური მუშაკი, ფსიქოლოგი, რათა თავიდან იქნას აცილებული დანაშაულის განმეორება შედარებით მოზრდილ ასაკში;
- სხვადასხვა უწყებებს შორის ეფექტური თანამშრომლობის გაზრდის ხელშეწყობა; მათ შორის სსიპ დანაშაულის პრევენციის ცენტრის, სსიპ სოციალური მომსახურების სააგენტოსა და შინაგან საქმეთა სამინისტროს შესაბამისი სტრუქტურებს შორის; შეიქმნას ერთიანი კოორდინირებული მუშაობის პროცედურები, სადაც თითოეული სუბიექტის უფლება-მოვალეობები მკაფიოდ იქნება გაწერილი, არასრულწლოვანთა დანაშაულის პრევენციის მხრივ;
- ქუჩაში მომუშავე და მცხოვრებ ბავშვებთან აქტიური პოლიტიკის წარმოება, დროული იდენტიფიცირება, როგორც ერთ-ერთი რისკ ჯგუფისა და ინტერვენციული მომსახურებების შექმნა, დახვეწა და გაძლიერება;
- ოჯახებთან, რომლებიც წარმოადგენენ იძულებით გადაადგილებული, ეთნიკურ ან რელიგიურ უმცირესობას განსაკუთრებული ყურადღების გამახვილება, სპეციალისტების მობილიზება და შესაბამისი რისკ-ფაქტორების გამოვლენის შემთხვევაში შესაბამისი ინტერვენციის განხორციელება დანაშაულის პრევენციის მიზნით;
- სოციალური მუშაკისა და სხვა დამხმარე პროფესიების როლის პოპულარიზაციის გაზრდა საზოგადოებაში სხვადასხვა მედია და სოციალური სასუალებებით;

- თემის მობილიზება, თემის როლის გააზრება; სათემო მომსახურებების შექმნა და განვითარება, როგორც დანაშაულის პრევენციის ერთ-ერთი უმნიშვნელოვანესი ფაქტორი.

გამოყენებული ლიტერატურა

1. ANTHONY, K. (2016 წლის 7 APRIL). *Gabriel Tarde and Contemporary theory*. SAGE JOURNALS.
2. Cross, H. A. (2008). *National Comparisson of Youth Justice*. Youth justice Broad.
3. Gottfredson, M., & Hirschi, T. (1990). *A General Theory of crime*.
4. Human, T. t. (თ. გ.). *William Sheldons Body and Temperament Types*.
5. Kusher, H. I. (2011). *Cesare Lambroso and the pathology o left handedness*.
6. Naghihat, R. (2001). *A Unitary Theory of Stigma*. *British Journal of Psychiatry*, 2007-2015.
7. Rafter, N. (2005). *The murderous Dutch Fiddler, chriminology, histoori and the problem of phrenology*. SAGE PUBLICATIONS , 65-69.
8. Ruohui, Z. (2011). *Social Change and Anomie*. Z. Ruojuui-ში, *Social Change and Anomie (გვ. 1210)*. The University of North Carollina Press.
9. *Theories of caution, second edition*. (2006).
10. *Theories of Cesare Lambroso Born criminal*. (2018). UKessays.
11. Uk, H. o. (2018). *Age of Criminal Responsibility*.
12. კონვენცია, გ. ბ. (1989).
13. შალიკაშვილი, მ. (2010). *კრიმინოლოგია*.
14. (საქართველოს სისიხლის სამართლის კოდექსი, მე-7 მუხლი, 1999, 22 ივნისი).
15. (ჩხარტიშვილი შ, აღზრდის სოციალური ფსიქოლოგია).
16. (Center on Juvenile anc Criminal Justice, *Juvenile Justice History*, 2016).
17. (საქართველოს არასრულწოვანთა მართლმსაჯულების კოდექსი, მუხლი 3.1;)
18. საქართველოს სისხლის სამართლის კოდექსი, მუხლი #33).

19. (საქართველოს მთავრობა, კანონი N750, 2017, მაისი).
20. (*Minimum ages of criminal responsibility, CHILD RIGHTS INTERNATIONAL NETWORK, 01 January, 2019*).
21. (ჰამილტონი, არასრულწლოვანთა მართლმსაჯულების საკონონმდებლო რეფორმის სახელმძღვანელო პრინციპები, 2011).
22. (გაეროს ბავშვთა კომიტეტი, ზოგადი კომენტარი N10, ბავშვთა უფლებები არასრულწლოვანთა მართლმსაჯულებაში, 2007).
23. (ქ.თავართქილაძე, მოზარდთა აგრესიული ქცევა, საზოგადოებრივი ჯანდაცვისა და მედიცინის ფონდი).
24. (საქართველოს სისხლის სამართლის კოდექსი, 15 მაისი, 1999წ.).
25. (საქართველოს სისხლის სამართლის კოდექსი, 2010 წლის ცვლილება).
26. (არასრულწლოვანთა მართლმსაჯულების კოდექსი მუხლი #26, პუნქტი #4).
27. (არასრულწლოვანთა მართლმსაჯულების კოდექსი მუხლი #52, პუნქტი #6);
28. (არასრულწლოვანთა მართლმსაჯულების კოდექსი მუხლი #52, პუნქტი #7).
29. (არასრულწლოვანთა მართლმსაჯულების კოდექსი, მუხლი #38).
30. (საქართველოს იუსტიციის სამინისტროს, საქართველოს შინაგან საქმეთა სამინისტროს, საქართველოს სასჯელაღსრულებისა და პრობაციის სამინისტროს ერთობლივი ბრძანება #135, #95, #23მ 2016 წლის 15, მარტი).
31. საქართველოს მთავრობის დადგენილება N668 2015 წელი 30 დეკემბერი
32. (*UN, Introctory Handbook on the Prevention of Recidivism and the Social Reintegration of Ofender, 2012*);
33. (არასრულწლოვანთა პრევენციის სტარტეგია საქართველოში, #235, 2012);
34. (ეკონომიკური და სოციალური საბჭოს რეზოლუცია, პუნქტი #13, 2001);
35. (გაეროს ბავშვთა უფლებათა კომიტეტი, ზოგადი კომენტარი #10, პუნქტი #17, 2007);
36. (*Washington State institute for public policy, 2001*).

37. გაეროს ბავშვთა უფლებათა კონვენცია, 1898;
38. გაეროს სახელმძღვანელო პრინციპები არასრულწლოვანთა დანაშაულის პრევენციის შესახებ (რიადის პრინციპები);
39. გაეროს სტანდარტული მინიმალური წესები არასრულწლოვანთა მართლმსაჯულების ადმინისტრირების შესახებ (პეკინის წესები);
40. გაეროს წესები თავისუფლებააღკვეთილი არასრულწლოვნების დასაცავად (ჰავანის წესები);
41. სახელმძღვანელო პრინციპი სისხლის სამართლის სისტემაში ბავშვებთან დაკავშირებით მოქმედების შესახებ (ვენის პრინციპი).
42. (*A study of factors affecting juvenile delinquency, Biomedical and Pharmacology journal, 2015*);
43. (*Study of Juvenile delinquency, Juby and Farington, 2001*).
44. *Exstant of the factors influancy the delinquent acts among children in conflict with a law, Journal of child and Adolescent behaviour, 2016, april 26*;
45. <https://eucpn.org/>
46. www.ganrideba.ge
47. www.justice.gov.ge
48. <https://aic.gov.au/research/crime-and-justice-statistical-monitoring>;
49. <https://www.impactlaw.com/criminal-law/juvenile/prevention>
50. *National Assosation of Social Workers, Recommendations, 2008, 2014*)

დანართი#1

Ivane Javaxishvili Tbilisi State university

Elene Martashvili

Challenges of social work while working with juveniles under age 14
being in conflict with law

Study is conducted for obtaining Master Degree in Social work

Supervisor:Associate Professor Tamar Makharadze, PH.D In Public Policy

Tbilisi

2019

Supervisor : Tamara Makharadze ,

ივანე ჯავახიშვილის სახელობის თბილისის
სახელმწიფო უნივერსიტეტი

თამარ გიორგაძე

მობილური გუნდის მომსახურება ფსიქიკური ჯანმრთელობის
პრობლემების მქონე პირებისთვის – ძირითადი გამოწვევები და
პერსპექტივები

სამაგისტრო ნაშრომი შესრულებულია სოციალური მუშაობის მაგისტრის
ხარისხის მოსაპოვებლად

ხელმძღვანელი: თამარ მახარაძე,
თსუ-ს სოციალურ და პოლიტიკურ მეცნიერებათა
ფაკულტეტის ასოცირებული პროფესორი

თბილისი

2019

სარჩევი

ანოტაცია -----	3
შესავალი -----	7
სათემო სერვისები და მათი მნიშვნელობა -----	10
სოციალური მუშაობა ფსიქიკური ჯანმრთელობის სფეროში-----	16
სოციალური მუშაკის როლი ფსიქიკური ჯანმრთელობის სათემო სერვისებში-----	20
სოციალური მუშაკის როლი მულტიდისციპლინარულ გუნდში -----	23
ფსიქიკური ჯანმრთელობა საქართველოში-----	25
თემზე დაფუძნებული მობილური გუნდის სერვისი -----	32
კვლევის დიზაინი -----	34
კვლევის ანალიზი -----	36
მობილური გუნდის მომსახურების მიმღებებისა და მათი ოჯახის წევრების ძირითადი საჭიროებები-----	37
მობილური გუნდის მომსახურება ფსიქიკური ჯანმრთელობის პრობლემების მქონე ადამიანებთან-----	45
სახელმწიფოს როლი ფსიქიკური ჯანმრთელობის სფეროში-----	48
სოციალური მუშაკის როლი სათემო სერვისებში -----	52
სოციალური მუშაობის გამოწვევები-----	53
ძირითადი დასკვნები და რეკომენდაციები -----	56
გამოყენებული ლიტერატურა -----	62

ანოტაცია

ფსიქიკურ ჯანმრთელობას გავლენა აქვს ადამიანის ზოგად მდგომარეობაზე, მის კეთილდღეობაზე და ცხოვრებით კმაყოფილების ხარისხზე. ფსიქიკური ჯანმრთელობის პრობლემების მქონე ადამიანების რაოდენობა ყოველწლიურად იზრდება. ასევე, მატულობს მათ წინაშე არსებული გამოწვევებიც. ქვეყნებმა, მათ შორის საქართველომაც გაანალიზა ფსიქიკური ჯანმრთელობის მნიშვნელობა საზოგადოების კეთილდღეობისათვის და დაიწყო აქტიური ნაბიჯების გადადგმა დეინსტიტუციონალიზაციისა და სათემო სერვისების განვითარების კუთხით.

ერთ-ერთი მნიშვნელოვანი სათემო სერვისი არის თემზე დაფუძნებული მობილური გუნდის მომსახურება, რომელმაც მნიშვნელოვანი გავლენა იქონია ადამიანების ცხოვრებაზე. სერვისმა შეამცირა ფსიქიკური ჯანმრთელობის პრობლემებით გამოწვეული სირთულეები, დააკმაყოფილა მომსახურების მიმღებების სამედიცინო საჭიროებები და ხელი შეუწყო, როგორც მათი ისე ოჯახების მხარდაჭერას. მობილური გუნდის მომსახურებამ საშუალება მისცა ადამიანებს უფასოდ მიეღოთ მედიკამენტები, რამაც შეამცირა ფულადი დანახარჯი. მიიღეს ინფორმაცია არსებული სოციალური სერვისების შესახებ, დაენიშნათ კუთვნილი ფულადი დახმარება და სხვა. ასევე, მობილური გუნდი მისი მომსახურების მიმღებებისა და ოჯახებს უზრუნველყოფს ფსიქოგანათლებით.

მიუხედავად აქტიური მუშაობისა, ფსიქიკური ჯანმრთელობის პრობლემების მქონე ადამიანებს ჯერ კიდევ არაერთი პრობლემა და გამოწვევა აქვთ. მათ შორის: ეკონომიკური, სოციალური, საყოფაცხოვრებო, ფსიქოლოგიური, ემოციური, დასაქმების და სხვა. ჯერ კიდევ აქტიური მუშაობაა საჭირო ადამიანების სოციალური კუთხით განვითარებისთვის.

სერვისში სხვა პროფესიის წამომადგენლებთან ერთად მნიშვნელოვან როლს ასრულებს სოციალური მუშაკი, თუმცა პროფესია თავის მხრივ არაერთი გამოწვევის წინაშე დგას. კერძოდ: მომსახურების მიმღებებს არ აქვთ ინფორმაცია პროფესიის

შესახებ, არის შესაბამისი განათლების მიღების პრობლემა, პრაქტიკოსებს არ აქვთ შესაძლებლობა განავითარონ თავიანთი შესაძლებლობები და აიმაღლონ კვალიფიკაცია. არ ხდება მათი აქტიურად ჩართვა მომსახურებების მიმღებებთან თერაპიული მუშაობის კუთხით. ასევე, ამ ეტაპზე არის კადრების ნაკლებობა, განსაკუთრებით კი რეგიონებში.

ფსიქიკური ჯანმრთელობის სფეროში აუცილებელია კვლევების ჩატარება, რომლებიც სიღრმისეულად შეისწავლიან ადამიანების და მათი ოჯახების საჭიროებებს. სწორედ მსგავსი კვლევებიდან მიღებულ ინფორმაციებზე დაყრდნობით და გათვალისწინებით უნდა ხდებოდეს ამა თუ იმ სერვისის შექმნა, რათა მან რეალურად დააკმაყოფილოს არსებული საჭიროებები და გადაჭრას არსებული პრობლემები.

მოცემული კვლევა მიზნად ისახავს, მტკიცებულებებზე დაყრდნობით, სხვადასხვა დაინტერესებული ჯგუფებისთვის განსახილველად გამოიტანოს, ფსიქიკური ჯანმრთელობის პრობლემების მქონე პირების, მათი ოჯახის წევრების, ასევე არსებული სათემო სერვისების საჭიროებები და მათში სოციალური მუშაკის როლის მნიშვნელობა.

Annotation

Mental health has an influence on the general condition of the human beings, its welfare and quality of life satisfaction. The number of people with mental health problems increases annually. Also, the challenges are rising. Countries, including Georgia, has analyzed the importance of mental health for the well being of the society and started active development of community based services and deinstitutionalization.

One of the most important services is a community-based mobile team, which has had a significant impact on service user's life. The service reduced health problems caused by mental health disease; satisfied the medical needs of the service recipients and contributed to the support of their families as well. The mobile team service allowed people to get medicines for free, which reduced expenses; users have received information about existing social services and get some social support. Additionally, the mobile team support with psycho-social education.

Despite active work, people with mental health problems still have many challenges. Including: economical, social, domestic, psychological, emotional, unemployment and more. Still, there is a great need of active work for the development of social inclusion of these people.

The social worker, with other professionals plays a crucial role in the community-based services and multidisciplinary team, but they are facing many challenges. For instance: among service users and their families the level of information about profession is very low. Also, it should be analysed, that there is a great need of high quality education. Social workers do not have the opportunity to develop their capabilities and improve their qualifications. At the same time, there is a lack of staff, especially in the regions.

There is a great need of researches in the field of mental health, which will deeply study the needs of people with mental disorders. Also, the needs of their families, because they have almost the same challenges and they are related to each other. Services should be created exactly based on the information obtained from the researches, in order to satisfy the needs of these people and solve existing problems.

The research below, is an attempt to discuss needs of people with mental health problems, their families and community-based services and the role of social worker.

შესავალი

ჯანდაცვის მსოფლიო ორგანიზაციის (2014) განმარტებით, ჯანმრთელობა არ მოიაზრებს მხოლოდ ფიზიკურ მდგომარეობას, არამედ გულისხმობს სრულ მენტალურ და კეთილდღეობის მდგომარეობას. ამავე ორგანიზაციის მიხედვით, ფსიქიკური ჯანმრთელობა არის "კეთილდღეობის მდგომარეობა, როდესაც ინდივიდი ანალიზებს საკუთარ პოტენციალს, შეუძლია გაუმკლავდეს მარტივ ცხოვრებისეულ სტრესს, შეუძლია იმუშაოს პროდუქტიულად და აქვს შესაძლებლობა წვლილი შეიტანს საკუთარი საზოგადოების განვითარებაში" (WHO,2014).

ფსიქიკურ ჯანმრთელობაზე გავლენას ახდენს ისეთი გარემოებების ერთობლიობა, როგორცაა ბიოლოგიური, ფსიქოლოგიური, კულტურული და სოციალურ-ეკონომიკური ფაქტორები (Lehmann&Ricka,2004). იგი მოქმედებს ინდივიდის ზოგად მდგომარეობაზეც - ფიზიკურ ჯანმრთელობასა და სოციალურ ცხოვრებაზე. ადამიანის ფსიქიკური მდგომარეობა განსაზღვრავს, თუ როგორ შეუძლია მას გაუმკლავდეს სტრესს; გადაჭრას არსებული პრობლემები თუ კონფლიქტები; დაამყაროს პოზიტიური ურთიერთობები სხვა ადამიანებთან; შეძლოს საკუთარი შესაძლებლობების წარმოჩენა და რეალიზება; გაუმკლავდეს ისეთ ემოციებს, როგორცაა სევდა, წყენა, შფოთვა და სხვა. ასევე, ფსიქიკურ ჯანმრთელობაზე გავლენას ახდენს რესურსებზე ხელმისაწვდომობა, ოჯახი, მხარდამჭერი სისტემა, არსებული პოლიტიკა, კულტურა და სხვა (Bhugra, Till&Sartorius,2013).

არსებული მონაცემებით, 2016 წელს¹ ფსიქიკური და ქცევითი აშლილობის მქონე ადამიანთა მაჩვენებელმა მილიარდს გადააჭარბა. ფსიქიკური აშლილობები მიიჩნევა თვითმკვლელობის გამომწვევ ყველაზე დიდ რისკ-ფაქტორად. ასევე, იგი არის მიზეზი სხვადასხვა სახის შეზღუდული შესაძლებლობებისა და თვითდაზიანების. ასევე,

¹ H. Ritchie & M. Roser (2018). Mental Health:Our Worldin Data(April,2018)

<https://ourworldindata.org/mental-health#disease-burden-of-mental-health-and-substance-use-disorders>

ფსიქიკური აშლილობა გავლენას ახდენს ქვეყანაში უმუშევრობის და განათლების დონეზეც (Ritchie&Roser,2018).

ზემოთ აღნიშნული ცხადყოფს, რომ ფსიქიკურ ჯანმრთელობას დიდი გავლენა აქვს ადამიანის ცხოვრების თითქმის ყველა ასპექტზე, რაც განსაზღვრავს მისი ცხოვრების ხარისხსა და კმაყოფილების დონეს. თითოეული ინდივიდის მდგომარეობა კი განსაზღვრავს თემის და საბოლოო ჯამში, ქვეყნის განვითარების მაჩვენებელს. ჯანდაცვის მსოფლიო ორგანიზაციის მიხედვით (2017), კარგი მმართველობის ერთ-ერთი კომპონენტი ის კანონები და დადგენილებებია, რომლებიც უკავშირდება ფსიქიკური ჯანმრთელობის პრობლემების მქონე პირების უფლებების დაცვას, ეფექტური მკურნალობისა და სწორად სტრუქტურირებული სერვისების მიწოდებას. უფლებების დაცვა უნდა გულისხმობდეს, თითოეული ფსიქიკური ჯანმრთელობის პრობლემის მქონე ადამიანისთვის შესაძლებლობის მიცემა მიიღოს მასზე მორგებული მკურნალობა. ქვეყნებმა უნდა დაიწყონ გაანალიზება, რომ მნიშვნელოვანია ისეთი პოლიტიკის წახალისება, რომელიც ხელს შეუწყობს თემზე დაფუძნებული სერვისების შექმნას; ფსიქიკური ჯანმრთელობის პრობლემების მქონე პირებს კი დაეხმარება რეალიზება მოახდინონ შესაძლებლობების და თავადვე შეძლონ საკუთარი ცხოვრების მართვა (WHO,2017).

ასევე, მნიშვნელოვანი ფაქტორია ფსიქიკური ჯანმრთელობის სფეროში დასაქმებული პერსონალის რაოდენობის თანაფარდობა ქვეყანაში არსებულ მოსახლეობასთან. თანაფარდობის მაჩვენებელი განსხვავდება ქვეყნების მიხედვით: ჯანდაცვის მსოფლიო ორგანიზაციის მიხედვით, მაღალშემოსავლიან ქვეყნებში ყოველ 100 000 მოსახლეზე მოდის 70-მდე ფსიქიკური ჯანმრთელობის პერსონალი, მათ შორის 2,6 სოციალური მუშაკი, ხოლო დაბალშემოსავლიან ქვეყნებში კი ეს მაჩვენებელი დაახლოებით 2-ია, მათ შორის სოციალური მუშაკი-0.03 (WHO, 2017, p.30,32). რაც შეეხება სათემო სერვისების არსებობას, იგი თითქმის არ აქვთ დაბალ და საშუალო შემოსავლიან ქვეყნებს. ასევე, მაღალშემოსავლიანი ქვეყნების 96%-ს შეუძლია უზრუნველყოს სოციალური მხარდაჭერა: საცხოვრისებით უზრუნველყოფილია 58%, დასაქმებით 63%. მაშინ,

როდესაც დაბალშემოსავლიან ქვეყნებში მხოლოდ რამდენიმე ფსიქიკური ჯანმრთელობის პრობლემების მქონე ადამიანი იღებს მსგავს მხარდაჭერას (WHO, 2017,p.46).

ქვეყნებმა, ფსიქიკური ჯანმრთელობის პრობლემების მქონე პირების გარდა ყურადღება უნდა მიაქციონ მათ ოჯახებსაც. კვლევები ადასტურებენ, რომ ოჯახებს მუდმივად სჭირდებათ ინფორმაცია მათი ფსიქიკური აშლილობის მქონე ნათესავის დაავადებისა და მასზე ზრუნვის შესახებ, ხოლო ოჯახის და მხარდამჭერი სისტემის ჩართვა მკურნალობის პროცესში, ზრდის ინტერვენციის წარმატების შესაძლებლობას (Hjärthag et al.,2016). ამ ყოველივედან გამომდინარე, მნიშვნელოვანია, რომ შეიქმნას მოქნილი პოლიტიკა და შესაბამისი სერვისები ოჯახების დასახმარებლად, რადგან ფსიქიკური აშლილობის მქონე ოჯახის წევრი გავლენას ახდენს ოჯახის ზოგად მდგომარეობაზე. მაგალითად, შემოსავალზე, სოციალურ ურთიერთობებზე, ემოციურ მდგომარეობაზე, ჯანმრთელობაზე, ზოგადად ყოველდღიური ცხოვრების რეჟიმზე და დიდია ალბათობა იმისა, რომ ოჯახის დადგეს სტიგმისა და დისკრიმინაციის რისკის ქვეშ (Hjärthag et al.,2016). ჯანმრთელობისა და სოციალური დაცვის საბჭოს მიხედვით, აუცილებელია ოჯახების მხარდაჭერა ფსიქოგანათლებით და მათ გასაძლიერებლად შეიქმნას შესაბამისი სათემო სერვისები (Hjärthag et al.,2016).

სწორად გათვლილი, ორგანიზებული და საჭიროებებზე მორგებული თემზე დაფუძნებული სერვისები, თავის მხრივ მთლიანი საზოგადოების კეთილდღეობის ერთ-ერთი წინაპირობაა. სხვადასხვა ქვეყანაში მიღებული გამოცდილება აჩვენებს, რომ ძლიერი სათემო სერვისები საშუალებას იძლევა თავიდან იქნეს არიდებული არასაჭირო ჰოსპიტალიზაცია და უზრუნველყოფს ადამიანების ცხოვრების ხარისხის გაუმჯობესებას (Funk&Saraceno,2009).

სათემო სერვისები და მათი მნიშვნელობა

ფსიქიკური ჯანმრთელობის სფეროში დეინსტიტუციონალიზაციის დაწყება მსოფლიოს ბევრ ქვეყანაში ერთ-ერთი წინ გადადგმული ნაბიჯი იყო, რადგან ფსიქიკური ჯანმრთელობის პრობლემების მქონე პირებს მიეცათ საშუალება დიდი ზომის, იზოლირებული დაწესებულებიდან გამოსვლის, ოჯახებში და თემში დაბრუნების, საზოგადოებაში რეინტეგრაციის. გაჩნდა ახალი სახის სერვისების საჭიროება, რომლებიც ადამიანებს მკურნალობას მიაწვდიდა საცხოვრებელ ადგილას. სამედიცინო საჭიროებების დაკმაყოფილების გარდა, სტაციონარიდან გამოსულ ადამიანებს, რომელთაც დროის უდიდესი ნაწილი ჰოსპიტალში გაატარეს, ჭირდებოდათ დახმარება სოციალური უნარების განვითარებაში, საკუთარ თავზე დამოუკიდებლად ზრუნვისა და თემში ცხოვრებისთვის მომზადება, ინფორმაციის მიწოდება შესაძლო სირთულეებისა და მასთან გამკლავების ხერხების შესახებ (Thornicroft&Tansella,2003). მეორეს მხრივ, გაჩნდა ფსიქიკური ჯანმრთელობის პრობლემების მქონე ადამიანის ოჯახის წევრების მხარდაჭერის აუცილებლობაც. ნათესავის სტაციონარში ყოფნისას ოჯახს არ ჭირდებოდა მუდმივად ყურადღების გამახვილება მის ჯანმრთელობის მდგომარეობაზე, რადგან ამას საავადმყოფოს სამედიცინო პერსონალი აკეთებდა. ჯანმრთელობასთან დაკავშირებული სირთულეებით გამოწვეული სტრესი ოჯახის ყოველდღიურობას ნაკლებად ეხებოდა. დეინსტიტუციონალიზაციის შემდეგ კი ოჯახი ახალი რეალობის წინაშე დადგა. აუცილებელი გახდა მათთვის ინფორმაციის მიწოდება დაავადებებზე, სიმპტომებზე და სხვა სირთულეების შესახებ (Hjärthag et al.,2016).

ზოგიერთი მეცნიერი მიიჩნევს, რომ სასურველი შედეგის მისაღებად მნიშვნელოვანია მოიძებნოს ბალანსი სტაციონარულ და სათემო სერვისებს შორის, რომელიც მიიღწევა დაბალანსებული ზრუნვის მოდელის გამოყენებით: სათემო და ჰოსპიტალური სერვისების კოორდინირებით. თუმცა ხაზგასმულია, რომ ნებისმიერი სახის სერვისის მიწოდება უნდა ხდებოდეს თემში ან თემთან ახლოს, ხოლო სტაციონარული მკურნალობა უნდა იყოს რაც შეიძლება ხანმოკლე და მხოლოდ აუცილებლობიდან გამომდინარე (Thornicroft&Tansella,2003).

ჯანდაცვის მსოფლიო ორგანიზაციის მიხედვით, 2007 წლის ქენევის გლობალურ ფსიქიკური ჯანმრთელობის სათემო სერვისების ფორუმზე, მკაფიო გზავნილი გაეგზავნათ ქვეყნებს და ხაზი გაესვა სათემო სერვისების უპირატესობასა და მნიშვნელობას. ფორუმზე აღინიშნა, რომ თემზე დაფუძნებული სერვისები, სტაციონარისგან განსხვავებით, ხელს უწყობენ ფსიქიკური აშლილობის მქონე ადამიანის საჭიროებების მაქსიმალურ დაკმაყოფილებას, ნაკლებადაა ძალადობის, ადამიანის უფლებებისა და ღირსების შემლახველი ფაქტები.

ხარჯთეფექტურობის კუთხით, კვლევები სხვადასხვა ქვეყანაში სხვადასხვა შედეგს იძლევა. მაგალითად, დიდ ბრიტანეთში თემზე დაფუძნებული სერვისი, სტაციონარულ მკურნალობასთან შედარებით ხარჯთეფექტურია, მაშინ როდესაც ავსტრალიაში ამ ორი სერვისის ხარჯებს შორის მნიშვნელოვანი განსხვავება არ აღინიშნება (McDaid&Thornicroft,2005). ორივე ქვეყანაში მიღებული შედეგი თემზე დაფუძნებული სერვისის სასარგებლოდ მეტყველებს, რადგან მომსახურების მიმღების მკურნალობა არა ჩაკეტილ და საზოგადოებისგან იზოლირებულ გარემოში, არამედ თემში უნდა მოხდეს. გარდა ამისა, თუ ადამიანს მიეცემა საშუალება და ექნება სახელმწიფოსგანაც შესაბამისი მხარდაჭერა, გამოჯანმრთელების ან ფსიქიკური მდგომარეობის დასტაბილურების შემდეგ, შეძლებს აღარ იყოს სერვისზე დამოკიდებული და პირიქით, გახდეს საზოგადოებისთვის პროდუქტიული ან თუნდაც დამოუკიდებლად შეძლოს საკუთარ თავზე ზრუნვა და გაზარდოს ცხოვრებით კმაყოფილების ხარისხი.

სათემო სერვისი ფსიქიკური ჯანმრთელობის პრობლემების მქონე პირს საშუალებას აძლევს, მკურნალობა და მომსახურება მიიღოს სახლში, ეს კი აღნიშნული სერვისის ერთ-ერთი დადებითი მხარეა, რადგან ინსტიტუციისგან განსხვავებით ადამიანს საკუთარ საცხოვრებელ გარემოში აქვს უსაფრთხოების, ავტონომიის, საკუთარ თავზე და ცხოვრებაზე კონტროლის განცდა. გარდა ამისა, სახლში ვიზიტისას მომსახურების მიმღების საცხოვრებელ გარემოზე დაკვირვებით შესაძლებელია მასზე ინფორმაციის შეგროვება, რაც შეიძლება გამოყენებულ იქნას მკურნალობის დაგეგმვისას. ასევე, სათემო სერვისმა ხელი უნდა შეუწყოს მომსახურების მიმღების საჭიროებებზე და ახალ

გარემოსთან ადაპტირების უნარების განვითარებაზე, საზოგადოებაში დამოუკიდებელ ცხოვრებას, დაავადების მართვის და სოციალური უნარების გაუმჯობესებას, მომსახურების მიმღების და მისი მხარდამჭერი ქსელის ფსიქოგანათლებას და ა.შ. (Femdal, 2018).

გარდა ამისა, რომ ფსიქიკური ჯანმრთელობის პრობლემების მქონე ადამიანებს ესაჭიროებათ სხვადასხვა სახისა და დანიშნულების მქონე სათემო სერვისი. მაგალითად, ისეთი, როგორცაა თერაპიული ჯგუფები, თანასწორგანმანათლებელი, თემში არსებული მხარდამჭერი ცენტრები, საცხოვრისები და სხვა (Miyamoto et al., 2015).

ყოფილიყო აღმოსავლეთ მეზობლების ინტეგრაციის დონის გაზრდა ევროკავშირთან, პროგრამის მონაწილე ქვეყნების მთავრობების წახალისება კანონმდებლობის მოსაწესრიგებლად, მიგრაციის კონტროლი, მოქალაქეთა ეკონომიკური ჩართულობის გაზრდა ქვეყნის შიგნით და ევროკავშირის ბაზართან ურთიერთობაში, ტრანსნაციონალურ კრიმინალთან ერთობლივი ძალებით ბრძოლა და პოლიტიკური სტაბილურობისთვის ხელშემწყობი ბერკეტების შექმნა, ვიზა-ლიბერალიზაცია და პროგრამის მონაწილე ქვეყნების მხრიდან ევროკავშირთან ასოცირების ხელშეკრულების დადება.³საერთაშორისო ურთიერთობების პერსპექტივიდან ყოველივე ზემოხსენებულმა გარემოებამ და ევროკავშირის მიზნებმა აღმოსავლეთ ევროპაში კიდევ უფრო საინტერესო გახადეს რეგიონზე და მის პერსპექტივებზე დაკვირვება, ვიდრე აღმოსავლეთ პარტნიორობის პროგრამის იმპლემენტაციის პროცესის დაწყებამდე იყო რეგიონში. ამის მიზეზი კი ისაა, რომ რუსეთი მის მიერ ახლო სამეზობლოდ მიჩნეულ გეოგრაფიულ რეგიონში ევროკავშირის გააქტიურებას არ მიესალმა და კონტროლებისთვის მზადებას შეუდგა, რამაც ორი დიდი გეო-პოლიტიკური ძალის, ევროკავშირისა და რუსეთის ფედერაციის მეტოქეობას ახალი მასშტაბები შესძინა⁴და ვინაიდან ევროკავშირის აღმოსავლეთ პარტნიორობის პროგრამა მიმდინარე პროცესია ისევე, როგორც რუსეთის აგრესიული პოლიტიკა „ახლო სამეზობლოში“, საკითხი აქტუალურობასა და ინტერესს არ კარგავს, რადგან მასზე დაკვირვება და მისი გამოწვლილვით შესწავლა საშუალებას იძლევა ახალი ცოდნა გაჩნდეს საერთაშორისო ურთიერთობების სფეროში, კონკრეტულად აღმოსავლეთ ევროპისა და რუსეთ-ევროკავშირის ურთიერთობების ველში.

აღმოსავლეთ პარტნიორობის პროგრამის ევროკავშირის მიერ ინიცირება ერთგვარ გამოცანას, „ფაზლს“ აჩენს მკვლევარისათვის, რადგან ამ პროგრამის

³ Åslund, A. (2013). Ukraine's Choice: European Association Agreement or Eurasian Union? *Policy Brief*, 2-4.

⁴ Haukkala, H. (2009). *From Zero-Sum to Win-Win? The Russian Challenge to the EU's Eastern Neighbourhood Policies*. Sweden: Swedish Institute for European Policy Studies.

შემქმნელთა მთავარი მოტივატორი უსაფრთოებაზე ზრუნვა იყო ორგანიზაციის აღმოსავლეთ საზღვრების მიმართულებით, ხოლო მთავარ მეტოქეს და გამომწვევ ძალას აღმოსავლეთით ევროკავშირისთვის რუსეთის ფედერაცია წარმოადგენს ევროპული გაერთიანების მხარდამჭერ იდეოლოგთა პერსპექტივიდან და ამ ვითარებაში აღმოსავლეთ პარტნიორობის პროგრამით გათვალისწინებული ნაბიჯების, მაგალითად ევროკავშირთან ასოცირების ხელშეკრულების იმპლემენტაცია – რაც აღმოსავლეთ ევროპის ქვეყნების ევრო-კავშირთან ასოცირებას და მასთან მზარდ ინტეგრაციას გულისხმობს – ევროპული ინტერესის არეალს რუსეთის ფედერაციის საზღვრებს უახლოვებს და აქვე შეიძლება ჰიპოტეტური ვარაუდის გამოთქმა, რომ თუ ოდესმე აღმოსავლეთ პარტნიორობის პროგრამაში ჩართული ქვეყნები ევროპულ პერსპექტივას მიიღებენ და ევროკავშირის სრული წევრები გახდებიან, ევროკავშირისა და რუსეთის ფედერაცია უშუალოდ გაუმეზობლდებიან ერთმანეთს ევროპის მთელ პერიმეტრზე. მართალია ევროკავშირს და „ნატოსაც“ საზღვარი რუსეთთან აქამდეც ქონდათ, თუმცა თუ აქამდე ევროკავშირს უშუალო საზღვარი რუსეთთან მხოლოდ ფინეთის, ბალტიისპერიტის სამი ქვეყნის, ესტონეთის, ლატვიისა, ლიეტუვას და კერელიის პატარა, ანკლავური გეოგრაფიულ-პოლიტიკური წარმონაქმნის გავლით პოლენეთის გასწვრივ ქონდა, აღმოსავლეთ პარტნიორობის პროგრამის მონაწილე ქვეყნების ევროკავშირში სრული ინტეგრაციის შემთხვევაში ხსენებული ორი გეო-პოლიტიკური ძალა ერთმანეთს გაუმეზობლდება ევროპის კონტინენტის მთელ პერიმეტრზე, სკანდინავიიდან შავ ზღვამდე და შედარებით ნაკლებად მოსალოდნელ პერსპექტივაში კასპიის ზღვამდეც კი (ამ უკანასკნელი ვარიანტის ნაკლებად მოსალოდნელობას აზერბაიჯანის აღმოსავლეთ პარტნიორობის პროგრამაში საქართველოსთან და უკრაინასთან შედარებით ამ ეტაპზე მინიმალისტური ჩართულობა განაპირობებს).⁵ გარდა ამისა იმ შემთხვევაში კი, თუ აღმოსავლეთ ევროპის პარტნიორობის პროგრამა მოწვეული ქვეყნების ევროკავშირთან ასოცირებით და სხვა ინტეგრაციული პოლიტიკებით შემოიფარგლება, ევროკავშირის პოლიტიკური ოფიციალური, ხელშეკრულებებით

⁵ Park, J. (2014). The European Union's Eastern. *Council on Foreign Relations* , 5-7.

დადასტურებული ინტერესის სფერო მაინც რუსეთის საზღვართან გაივლის – ამისთვის, თითქმის მთელი ევროპის პერიმეტრზე ევრო-კავშირს, მას მიმხრობილ ქვეყნებსა და რუსეთის ფედერაციას შორის საზღვრის გასაჩენად საკმარისია პარტნიორობის მონაწილე ექვსი ქვეყნიდან თუნდაც მხოლოდ უკრაინის ევროკავშირთან ასოცირება დასრულებულიყო წარმატებით, გათვალისწინებით უკრაინის გეოგრაფიული მდებარეობისა და ზომებისა. უკრაინამ კი, ისევე როგორც საქართველომ და მოლდოვამ ასოცირების ხელშეკრულებას ხელი უკვე მოაწერა და მისი რატიფიკაციაც მოახდინა.⁶

ზემოთ აღწერილი სცენარი კი გარკვეულწილად განსხვავებულია იმისგან, რაც ზოგადად ისტორიიდან და თანამედროვეობიდან ვიცით, კერძოდ, ზოგჯერ დიდი ან საშუალო გეო-პოლიტიკური ძალები ერთმანეთისგან დისტანცირებას და ერთმანეთს შორის ბუფერული ზონების გაჩენას უფრო ანიჭებენ უპირატესობას – თუ ამის შესაძლებლობას გეოგრაფია და პოლიტიკური დღის წესრიგი იძლევა – ვიდრე ერთმანეთის გამეზობლებას, რადგან საერთო საზღვრის არსებობის შემთხვევაში მეტია რისკი და შანსი ორი მეტოქე ძალის ურთიერთობებში სირთულეების გაღრმავების მომენტში უშუალო შემხებლობაში მოსვლის და პროცესის კონფლიქტში გადაზრდის, შესაბამისად უსაფრთოების მორყევის. თუმცა აქ საკვანძო სიტყვებია – თუ ამის შესაძლებლობას გეოგრაფია და პოლიტიკური ვითარება იძლევა. ხოლო როცა პოლიტიკური ვითარება ისეთია, რომ ორ მეტოქე პოლიტიკურად დომინანტ მოთამაშეს შორის ურთიერთობები იძაბება, ისინი ბუფერულ ზონაში გავლენის მოპოვებას ცდილობენ ერთმანეთის შიშით, რომ პირველმა მეორეს არ დაასწროს ბუფერული ზონის დაკავება. გვექონდა თუ არა უკანასკნელ მსგავს შემთხვევასთან ადგილი ევროკავშირისა და რუსეთის ფედერაციის ურთიერთობების შემთხვევაში გამოწვლილვით ნაშრომის ძირითად ნაწილში განვიხილავთ და ვნახავთ, თუმცა მანამდე მიზანშეწონილი იქნება

⁶ Silander, D., & Nilsson, M. (2016). Democracy and Security in the EU's Eastern Neighborhood? Assessing the ENP in Georgia, Moldova, and Ukraine. *Democracy and Security*, 50.

ბუფერული ზონის დეფინიცია მოვიყვანოთ და მივუსადაგოთ ჩვენი დაკვირვების რეგიონს.

ბუფერული სახელმწიფოს შესახებ აკადემიური ლიტერატურა საერთაშორისო ურთიერთობების მეცნიერებაში საკმაოდ მწირია, მასზე მკვლევარები როგორც წესი დიდი სახელმწიფოების მეტოქეობის და დიდ სახელმწიფოებს შორის გეოგრაფიულად მოქცეული პატარა სახელმწიფოების როლის კონტექსტში წერენ. მიუხედავად ამისა რამდენადმე შეთანხმებული და გაზიარებული ცნება ბუფერული სახელმწიფოს შესახებ მაინც მოგვეპოვება. მერიამ ვებსტერის ინგლისური ენის ლექსიკონში ვკითხულობთ, რომ ბუფერული არის პატარა ნეიტრალური სახელმწიფო, რომელიც მოქცეულია პოტენციურად მეტოქე მასზე დიდ ერებს / სახელმწიფოებს შორის.⁷ აქ მნიშვნელოვანია, ყურადღება გავამახვილოთ იმ ფაქტზე, რომ საერთაშორისო ურთიერთობების ველში პატარად აღქმული ქვეყანა ყოველთვის არ არის მართლაც პატარა თავისი სხვა და სხვა ან ყოველი მახასიათებლით. საერთაშორისო ურთიერთობების მკვლევრის აღქმაში ქვეყანას პატარად შესაძლოა აქცევდეს მისი ბევრად დიდი და ძლიერი მეზობელი. მაგალითად, ჩვენი დაკვირვების ერთერთი ქვეყანა, უკრაინა სულაც არ არის გეოგრაფიულად ან მოსახლეობის რაოდენობის მიხედვით პატარა ქვეყანა ევროპის, გეოგრაფიული ევრაზიისა და თუნდაც მსოფლიოს მასშტაბით, მაგრამ მისი მეზობელია ერთის მხრივ რუსეთის ფედერაცია – ატომური ქვეყანა, გაეროს უშიშროების საბჭოს მუდმივი წევრი, ტერიტორიულად ყველაზე დიდი სახელმწიფო პლანეტაზე და ბოლო ორი საუკუნის განმავლობაში მუდმივად მსოფლიოს დომინანტური სახელმწიფოების რიგში მყოფი – ხოლო მეორეს მხრივ ევრო-კავშირი, მსოფლიოს ყველაზე დიდი და ძლიერი სუპრანაციონალური ორგანიზაცია, რომლის წამყვანი წევრი ქვეყნები ამავე დროს არიან მსოფლიოში ყველაზე ძლევამოსილი სამხედრო ორგანიზაციის, „ნატოს“ წევრები. სწორედ ეს გარემოება აქცევს უკრაინას საერთაშორისო ურთიერთობების პერსპექტივიდან პატარა ქვეყნად საერთაშორისო სისტემაში.

⁷ <https://www.merriam-webster.com/dictionary/buffer%20state>. (n.d.).

აღწერილი „ფაზლის“ გათვალისწინებით იბადება საკვლევი ძირითადი კითხვა: რა პოლიტიკურმა ფაქტორებმა განაპირობეს ევროკავშირის მიერ აღმოსავლეთ პარტნიორობის პროგრამის შექმნა და რა იყო კონკრეტულად ის ფაქტორი, რომელმაც გადაწონა რისკი, რაც თან ახლავს ევროკავშირის და მასთან ასოცირებული ქვეყნების საზღვრების რუსეთთან ევროპის კონტინენტის მთელ პერიმეტრზე გამეზობლებას?

აღნიშნულ კითხვაზე ჰიპოთეზის სახით შემდეგი პასუხი მოგვეპოვება: აღმოსავლეთ პარტნიორობის პროგრამის შექმნა განაპირობა ევროკავშირის აღმოსავლეთით მდებარე წევრი ქვეყნების, პირველ რიგში პოლონეთის და ბალტიისპირეთის რესპუბლიკების შეშფოთებამ რუსეთის გავლენის მათ მეზობლად და საზღვრებთან გავრცელებასთან დაკავშირებით, ასევე მათ საზღვრებთან უსაფრთხოების გაძლიერების, ეკონომიკური სტაბილურობისა და დემოკრატიული მმართველობების დამკვიდრების გზით მათ მეზობლად მდებარე ქვეყნების რუსეთის მხრიდან პოლიტიკურად მოწყვლადობის პოტენციალის შემცირების აუცილებლობამ.

მოცემულ ნაშრომში გვაქვს შემდეგი ცვლადები:

ა) დამოუკიდებელი: ევროკავშირის აღმოსავლეთ საზღვრებთან არასტაბილური პოლიტიკური ვითარება

ბ) დამოკიდებული: ევროკავშირის აღმოსავლეთ საზღვრებთან უსაფრთხოება.

ცვლადების ოპერაციონალიზაციისთვის გამოვიკვლევთ როგორ მოახდინა გავლენა არასტაბილურმა პოლიტიკურმა ვითარებამ აღმოსავლეთ ევროპაში,

კერძოდ, არადემოკრატიულმა მმართველობებმა, რუსეთის ზეგავლენამ და მის მიერ რეგიონის ქვეყნების პოლიტიკურმა მოწყვლადობამ, რეგიონის ქვეყნების კონფლიქტებმა, ეკონომიკურმა პრობლემებმა და მას მოყოლილმა უკონტროლო მიგრაციამ შენგენის ზონაში და მიგრირებულთა კრიმინალურ წრეებში ინფილტრაციამ ევროკავშირის და განსაკუთრებით ევროკავშირის აღმოსავლელი წევრების უსაფრთხოების არქიტექტურის წინაშე გამოწვევების იმ მასშტაბით დაყენება, რომ ევროკავშირის აღმოსავლეთ წევრი ქვეყნების და შვედეთის წინამძღოლობით საჭირო გახდა ევროკავშირის აღმოსავლეთ პარტნიორობის პროგრამა შეექმნა მისი აღმოსავლელი მეზობლების მასთან ასოცირებისა და მზარდი ინტეგრაციისათვის.

კვლევა თეორიულ და მეთოდოლოგიურ ჭრილში

საერთაშორისო ურთიერთობების ველში და ზოგადად სოციალურ მეცნიერებებში ჩატარებული კვლევისას ხშირად ან პრაქტიკულად არასდროს არ არის შესაძლებელი ცვლადებს შორის მიზეზ-შედეგობრიობა საბუნებისმეტყველო მეცნიერებებისთვის დამახასიათებელი სიზუსტით დადგინდეს, ამიტომაც ჩვენს სფეროში ხშირად კრიტიკულ აუცილებლობას წარმოადგენს მოვლენის ახსნისათვის საერთაშორისო ურთიერთობების მეცნიერების ფარგლებში არსებულ თეორიებს მივმართოთ, რათა კვლევის ვალიდურობა განვამტყიცოთ და მოვლენა არა მხოლოდ ცვლადებს შორის კორელაციისა და მიზეზ-შედეგობრიობის დადგენის გზით ავხსნათ, არამედ ასევე ვაჩვენოთ, რომ მისი, მოვლენის ან ფენომენის თავისებურება და მახასიათებლები საერთაშორისო ურთიერთობების თეორიითაც დასტურდება ან / და განმტკიცებულია.

ჩვენი კვლევის ფორმატში მიზანშეწონილი იქნება თუ ევრო-ინტეგრაციის თეორიებიდან შევარჩევთ იმ თეორიას, რომელიც ევროკავშირის მხრიდან აღმოსავლეთ პარტნიორობის პროგრამის შექმნას და ევროკავშირის ინტერესებისა და მასთან ასოცირებული ქვეყნების საზღვრების _ დასავლეთის, კერძოდ და უშუალოდ ევროკავშირის პოტენციურ და მიმდინარე გამომწვევ მეტოქესთან _ რუსეთის ფედერაციის საზღვრებთან ევროპის კონტინენტის სრულ პერიმეტრზე გამეზობლების პოლიტიკურ საფუძვლებს განამტკიცებს და წარმოაჩენს. ასეთ თეორიად კი „ევროპა, როგორც ნორმატიული ძალა“ (Normative power Europe) გვესახება, რადგან ამ თეორიის მიხედვით ევროკავშირი წარმოგვიდგება არსებულთა შორის უკეთეს და მისაბამ პოლიტიკურ სისტემად, რომლისგანაც მეზობლებმა პოლიტიკური სტრუქტურის მოწყობის მექანიზმები უნდა ისწავლონ და გადაიღონ. ამ თეორიის მიხედვით ევროპის უსაფრთხოებისთვის პრინციპულად მნიშვნელოვანია ის, რომ ევროპამ (იგულისხმება ევროკავშირი) საკუთარი ღირებულებები და ფასეულობები როგორც თავად და ახალ შემატებული წევრ ქვეყნებში უნდა შეინარჩუნოს და განამტკიცოს, ასევე სამეზობლოშიც უნდა

გაავრცელოს.⁸ ამ ბოლო წინადადების პრაქტიკული გამოხატულება კი სწორედ ევროკავშირის აღმოსავლეთ პარტნიორობის პროგრამაა, რასაც ნაშრომის შემდეგ, ძირითად ნაწილში დაწვრილებით და გამოწვლილვით წარმოვაჩინთ და განვიხილავთ. ეს თეორია, კონცეპტი – „ევროპა, როგორც ნორმატიული ძალა“ – იან ჯეიმს მანერსის მიერ იქნა პოპულარიზებული 2002 წლიდან და გულისხმობს, რომ ევროკავშირის ძალუმს იყოს მისაბაძი მოდელი მისი მეზობლებისთვის ფასეულობითი და ღირებულებითი თვალსაზრისით და ვინაიდან 1950-იანი წლებიდან ევროკავშირი მუდმივად იზრდება, საჭიროა, რომ მისი ძირითადი ხუთი ფასეულობა – მშვიდობა, თავისუფლება, დემოკრატია, კანონის უზენაესობა და ადამიანის უფლებების პატივისცემა, ისევე როგორც, მეორეული ღირებულებები: სოციალური სოლიდარობა, ანტი-დისკრიმინაცია, მდგრადი განვითარება და კარგი მმართველობა – განმტკიცდეს ახალი წევრი ქვეყნების ფარგლებში და სამეზობლოში იმისათვის, რომ ევროკავშირმა შეინარჩუნოს და გაზარდოს მისი როლი, როგორც ნორმატიული ძალისა საერთაშორისო სისტემაში. მართლაც, პოსტ „ცივი ომის“ პერიოდში საბჭოთა კავშირის დაშლის შედეგად წარმოქმნილი ახალი აღმოსავლეთ ევროპული სახელმწიფოები მოკლებულნი არიან რა მეტნაკლებად ერთგვაროვანი განვითარების უწყვეტობას (მოგეხსენებათ საბჭოთა კავშირის დაშლას ცენტრალიზებული დაგეგმარებული ეკონომიკიდან თავისუფალ ბაზარზე ქაოტურად, მოუწესრიგებლად გადასვლა მოჰყვა ახალი რესპუბლიკების მხრიდან, რასაც თან ახლდა სახელმწიფოს მართვის სიძნელეები ახალ რეალობაში ნავიგაციისთვის ცოდნის არ არსებობის ან სიმწირის გამო) და პოლიტიკური მემკვიდრეობითობის ტრადიციას, მათთვის მისაღები გამოსავალი უნდა იყოს მეზობელი ევროპისთვის მიბაძვა, ამ უკანასკნელის გამოცდილების გაზიარება და მასთან ინტეგრაცია, რის საშუალებასაც სწორედ აღმოსავლეთ პარტნიორობის პროგრამა იძლევა. „ახალი ველოსიპედის“ გამოგონებისთვის აღმოსავლეთ ევროპის ქვეყნებს იმყოფებიან რა რუსეთის მხრიდან პოლიტიკურად მოწყვლად ატმოსფეროში, არც დრო აქვთ და არც რესურსი. მათი ევროპულ

⁸ Manners, I. J. (2010). *As You Like It: European Union Normative Power in the European Neighbourhood Policy*. London: Palgrave Macmillan.

პოლიტიკურ სტრუქტურებთან ინტეგრაცია ეფექტიანობის თვალსაზრისით დამზოგავი იქნება დროისა და რესურსებისა, რადგან სხვის გამოცდილებაზე მოუწევთ სწავლა და არა საკუთარ შეცდომებზე, რომლის დაშვებაც უკვე უხვად მოასწრეს, გამოსწორება კი ძნელად, თუმცა ამაზე ვრცლად ძირითად ნაწილში ვისაუბრებთ.

მეთოდოლოგიური თვალსაზრისით კვლევა ძირითადად აღწერილობითი ხასიათისაა და გამოყენებულია კვლევის თვისებრივი მეთოდები. კერძოდ, ისტორიული მეთოდისა და შემთხვევის შესწავლის (Case Study) საშუალებით ვიხელმძღვანებლებთ კვლევისას. ისტორიული მეთოდის საშუალებით გამოვარკვევთ იმ ემპირიულ საბუთებსა და ფაქტებს, რომლებმაც განაპირობეს აღმოსავლეთ პარტნიორობის პროგრამის შექმნა და მასში აღმოსავლეთ ევროპის ზოგიერთი ქვეყნის ჩართვა და ერთგვარად მოვახდენთ წარსულის რეპრეზენტაციას და მასზე დაფუძნებით აწმყოში და უახლოეს წარსულში ხსენებული პროგრამის უწყვეტი იმპლემენტაციის თავისებურებებს განვიხილავთ, ხოლო შემთხვევის შესწავლის საშუალებით ემპირიულად შევისწავლით იმ მოვლენებს, რომლებმაც განაპირობეს ევროკავშირის ინტერესი აღმოსავლეთ ევროპის ზოგი ქვეყნის მათთან ინტეგრირებისათვის და იმ გარემოებებს, რომლებმაც აღმოსავლეთ ევროპის ზოგი ქვეყნის მხრიდან განაპირობეს სურვილი ესარგებლათ აღმოსავლეთ პარტნიორობის პროგრამით და აერჩიათ პოლიტიკურად ევროკავშირთან ასოცირება და მზარდი ინტეგრაცია ევროპული ერების ოჯახთან. კვლევისთვის გამოვიყენებთ მეორად წყაროებს, აკადემიურ ლეტერატურას, წიგნებსა და სტატიებს, რომლებიც რელევანტურია ჩვენი კვლევის საგანთან მიმართებით, თუმცა ასევე ზოგ შემთხვევაში დავეყრდნობით პირველად წყაროებსაც, იქნება ეს ასოცირების ხელშეკრულება, ქვეყნების პირველი პირების განცხადებები თუ სხვა მსგავსი, კერძოდ იმ დოკუმენტებსა და პერსონების განცხადებებს, რომლებიც უკავშირდებიან და წვლილი მიუძღვით აღმოსავლეთ პარტნიორობის პროგრამის იმპლემენტაციის იმ სახით განხორციელებაში, როგორსაც დღეს აქვ ადგილი.

ლიტერატურის მიმოხილვა

წელს, 2019 წელს აღმოსავლეთ პარტნიორობის პროგრამა საიუბილეო, მეათე წელს აითვლის, რასთან დაკავშირებითაც ევროკავშირისა და პროგრამაში ჩართული ქვეყნების მონაწილეობით, როგორც ევროკავშირის საგარეო მოქმედების სამსახურის ვებ-გვერდი გვაუწყებს ასამდე სადღესასწაულო ღონისძიება არის დაგეგმილი. თუმცა სანამ საქმე სადღესასწაულო ღონისძიებებამდე მივიდოდა ქვეყნებმა გაწიეს მძიმე რუტინული სამუშაო პროცესი, რათა ხსენებული პროგრამის ნაწილობრივ მაინც იმპლემენტაცია მომხდარიყო და მძიმე შრომას წვევენ ახლაც, რათა ეს პროცესი მომავალშიც გაგრძელდეს და პროგრამით იმ ქვეყნებმაც ისარგებლონ, რომლებმაც აქამდე ასოცირების ხელშეკრულებას ხელი არ / ვერ მოაწერეს, კერძოდ ბელორუსმა, სომხეთმა და აზერბაიჯანმა.

ევროკავშირის აღმოსავლეთ პარტნიორობის პროგრამა 2009 წელს შეიქმნა. აღმოსავლეთ პარტნიორობის პროგრამის შექმნის ინიციატივა 2008 წლის მაისის პოლონურ-შვედურ წინადადებიდას ეფუძნება, მას წინ უძღოდა ევროპული საბჭოს მიერ კომისიის მოწვევა საკითხის განსახილველად და წინადადების მოსამზადებლად. ხოლო უკვე 2009 წლის 7 მაისს პრელაში ევროკავშირმა წარმოადგინა აღმოსავლეთ პარტნიორობის პროგრამა.⁹ პროგრამა ევროკავშირში მუშავდებოდა, მაგრამ მის სააშკარაოზე გამოტანას დიდი კამათი და დავა უძღოდა წინ ევროკავშირის წევრი ქვეყნების სხვა და სხვა წარმომადგენლების მხრიდან, რადგან 2008 წლის აგვისტოს ომი რუსეთ-საქართველოს შორის ახალი დასრულებული იყო და პროგრამის მიმართ სკეპტიკურად განწყობილი ევროკავშირში გადაწყვეტილების მიმღები შიშობდნენ, რომ ამ ინიციატივის სააშკარაოზე გამოტა კიდევ უფრო დამაბავდა და ბიძგს მისცემდა რუსეთსა და აღმოსავლეთ ევროპის ქვეყნებს შორის პოლიტიკურად მადესტაბილიზებელ

⁹ Gromadzki, G. (2008). Eastern Partnership – Commentary. *Analiza* , 1-3.

ინტერაქციას. ამავე პერიოდს დაემთხვა რუსეთის ფედერაციის მხრიდან საქართველოს კონფლიქტური რეგიონების, აფხაზეთისა და სამხ. ოსეთის დამოუკიდებელ სახელმწიფოებად აღიარება. ეს კი აძლიერებდა სკეპტიკოსთა მოლოდინს იმის შესახებ, რომ რუსეთი იმ შემთხვევაში თუ ევროკავშირს მზარდ პოლიტიკურ და რაც მთავარია პრაქტიკულ, ხელშესახებ, განხორციელების პროცესში მყოფ ინტერესს (როგორცაა აღმოსავლეთ პარტნიორობის პროგრამა და მისგან გამომდინარე პოლიტიკები) შეამჩნევდა აღმოსავლეთ ევროპაში, ყველა საშუალებას გამოიყენებდა, მათ შორის ძალადობრივს იმისათვის, რომ დაეკავებინა შეძლებისდაგვარად ის ტერიტორიები _ ფიზიკურად ან / და გავლენის თავსმოხვევის საშუალებით _ რომლებიც მას ევროკავშირიდან გეოგრაფიულად გამოყოფდა. თუმცა საბოლოოდ პოლონურმა და ბალტიისპირული ქვეყნების, ესტონეთის, ლატვიისა და ლიეტუვის _ რომლებიც ალბათ ყველაზე მძაფრად და ნათლად აღიქვამდნენ აღმოსავლეთ ევროპაში რუსეთის გავლენის ზრდას და მათ წინაშე მიახლოებულ საფრთხეებს (ნიშანდობლივია, რომ ჩამოთვლილი ქვეყნების ევროკავშირში გაწევრიანებასაც აღმოსავლეთ პარტნიორობის მსგავსი საინტეგრაციო პოლიტიკები უძლოდა წინ მაშინაც შვედეთის თაოსნობით(!)) _ პოზიციებმა გადასძალა და ევროკავშირის აღმოსავლეთ პარტნიორობის პროგრამამ დღის სინათლე იხილა.

აღმოსავლეთ პარტნიორობის პროგრამა ექვს ქვეყანას მოიცავს _ უკრაინას, ბელორუსს, მოლდოვას, საქართველოს, სომხეთს და აზერბაიჯანს და ამ ქვეყნებთან ურთიერთობაში კონცენტრირებულია ოთხ სამოქმედო ასპექტზე: ორმხრივ და მრავალმხრივ ურთიერთობებზე, მმართველობაზე და ფინანსურ დახმარებაზე. ორმხრივი ურთიერთობების ჭრილში აღმოსავლეთ პარტნიორობის პროგრამა ითვალისწინებს ასოცირების ხელშეკრულებების დადებას, რაც ასევე მოიცავს გაძლიერებულ სავაჭრო ურთიერთობებსა და გაზრდილ პოლიტიკურ დიალოგს ევროკავშირსა და პროგრამაში ჩართულ ქვეყნებს შორის, ხოლო მრავალმხრივი ურთიერთობების ფორმატში ფოკუსი კეთდება ენერგეტიკულ პროექტებზე. აღმოსავლეთ პარტნიორობის პროგრამა ასევე ისახავს მიზნად ხელი შეუწყოს სოციალურ განვითარებას და შექმნას სტაბილური, გაუმჯობესებული

ადმინისტრაციული შესაძლებლობები, გააძლიეროს რეგიონული თანამშრომლობა მაღალი და საშუალო დონის საერთაშორისო აქტორების ჩართულობით. პროგრამის ძირითადი პრაქტიკული მიზნები მოიცავს თავისუფალი სავაჭრო არეალის შექმნას და ეტაპობრივი ვიზა-ლიბერალიზაციას. ინიციატივა ასევე ითვალისწინებს პროგრამის მონაწილე ქვეყნების სახელმწიფოებისა თუ მთავრობის მეთაურებისა და საგარეო საქმეთა მინისტრების რეგულარულ შეხვედრებს წელიწადში ორჯერ. ევროპის საინვესტიციო ბანკმა კი მზადყოფნა გამოთქვა დააფინანსოს საინვესტიციო პროექტები.¹⁰

ევროკავშირი აცხადებს, რომ აღმოსავლეთ პარტნიორობის მთავარი მიზანია, ხელი შეუწყოს მასში ჩართული ქვეყნების რამდენადაც შესაძლებელია ევროკავშირთან პოლიტიკურ ასოციაციას და ეკონომიკურ ინტეგრაციას, რადგან უსაფრთხოება, სტაბილურობა, კეთილდღეობა, დემოკრატია და კანონის უზენაესობა აღმოსავლეთ ევროპაში და სამხრეთ კავკასიაში ევროკავშირისთვის პრიორიტეტია. ამ დროისათვის ევროკავშირს ღრმა და ყოვლისმომცველი თავისუფალი სავაჭრო არეალი (DCFTA) ხელშეკრულებებით გავრცელებული აქვს საქართველოზე, მოლდოვაზე და უკრაინაზე.

ძირითადად, რაც ზემოთ დავწერეთ აღმოსავლეთ პარტნიორობის პროგრამის ის პრაქტიკული გამოხატულებებია, რომლებიც პროგრამის მონაწილე ქვეყნების ევროკავშირთან ინტეგრაციასა და პოლიტიკურ ასოცირებას უზრუნველყოფს, თუმცა მთავარი ასპექტი, რაც პროგრამას თან ახლავს უშუალოდ პოლიტიკური, სტრატეგიული ყაიდისაა. კერძოდ, პროგრამის იმპლემენტაციის კომპონენტები წაკითხვისას კი გამოიყურება განსახორციელებლად მეტ-ნაკლებად უმტკივნეულოდ, მაგრამ რეალობაში რუსეთის ფაქტორმა და მის მიერ ამ

¹⁰ Cianciara, A. (2008). *The Union for the Mediterranean and the Eastern Partnership: Perspectives from Poland, Czech Republic and Hungary*. Warsaw: Institute of Public Affairs .

პროგრამის მტრულად აღქმამ მასსა და მეზობელ უკრაინას შორის თითქმის სრულმასშტაბიანი ომის გაჩაღებას შეუწყო ხელი. ეს კი ნათელს ჰყოფს, რომ პროგრამის იმპლემენტაციის ეტაპი სახელმწიფოებს შორის განხილულია, როგორც პროგრამის მონაწილე ქვეყნების მხრიდან პოლიტიკური მიმხრობა ორ მეტოქე გეო-პოლიტიკურ ძალას შორის ერთერთის სასარგებლოდ. ამ ეტაპზე უკრაინამ, საქართველომ და მოლდოვამ არჩევანი ევროკავშირზე გააკეთეს, ხოლო სომხეთმა და განსაკუთრებით ბელორუსმა რუსეთის ფედერაციის სასარგებლოდ. აზერბაიჯანის პოზიცია სრულად ჯერ არ გამოვლენილა, ის დამოუკიდებლად ცდილობს ევროკავშირთან შეთანხმებების მიღწევას და კავშირების გაზრდას. გარდა ამისა, დასავლელი, უკრაინელი და ქართველი უმაღლესი თანამდებობების პოლიტიკოსების მხრიდან პროგრამის იმპლემენტაციის კონტექსტში მუდმივად კეთდებოდა განცხადებები, რომ ქვეყნებს აქვთ უფლება დამოუკიდებლად გააკეთონ არჩევანი ევროკავშირსა და რუსეთის „ევრაზიულ სივრცეს“ შორის, რასაც რუსეთის მხრიდან ე.წ ახლო სამეზობლოს ცნებაზე აპელირება და მასში რუსეთის როლის განსაკუთრებულობაზე განცხადებები უპირისპირდებოდა. ეს კი აშკარას ხდის, რომ აღმოსავლეთ ევროპის ქვეყნები აღმოსავლეთ პარტნიორობის პროგრამაში ჩართვა-თავის შეკავების გადაწყვეტილების მიღებით გეო-პოლიტიკურ არჩევანს აკეთებენ, რასაც ზოგჯერ ერთერთი დაპირისპირებული დიდი ძალის, ამ შემთხვევაში რუსეთის ფედერაციის მხრიდან მეზობლებზე პირდაპირი აგრესიაც მოჰყვება ხოლმე. ამ შემთხვევაში მსგავს მოცემულობასთან გვექონდა ადგილი უკრაინის მხრიდან ასოცირების ხელშეკრებულების გაფორმების გადაწყვეტილების მიღებისას, რასაც რუსეთმა უკრაინის რეგიონის, ყირიმის ნ.კ-ის სრული ანექსირებით უპასუხა და ამავე დროს კიდევ ორ უკრაინულ სეპარატისტულ რეგიონში ლუგანსკსა და დონბასში არამხოლოდ სიტუაციის ესკალაციას შეუწყო ხელი, არამედ ამბოხებულებს მიემხრო, რომლებიც ამბოხების ერთერთ მთავარ მიზეზად უკრაინის მხრიდან პრო-ევროპული არჩევანის გაკეთებას აცხადებდნენ. ვფიქრობთ, ამით ბევრი რამ ნათქვამია და ზოგი რამ პროგნოზირებადიც, კერძოდ ძალთა მეტოქეობის პოლიტიკის მიწინააღმდეგე ევროპის კონტინენტზე ახალ ეტაპზე გადასვლა.

ნაწილი I

1. არასტაბილური პოლიტიკური ვითარება ევროკავშირის აღმოსავლეთ სამეზობლოში

პოლიტიკური არასტაბილურობა აღმოსავლეთ ევროპის ქვეყნებში სამარკო ნიშნად იქცა 1990 წლებიდან, რომელიც მეტ-ნაკლები ინტენსივობით დღემდე ხან მწვავდება და ხან იკლებს. ჩვენი დაკვირვების ფოკუსში ამ ასპექტში ძირითადად მოქცეულია უკრაინა და საქართველო, რადგან ისინი არიან რუსეთის ის უშუალო მეზობლები, რომლებმაც პრო-ევროპული არჩევანი გააკეთეს აღმოსავლეთ პარტნიორობის პროგრამის ფარგლებში და არა მხოლოდ და ასევე მეტწილად ისინი ქმნიან გეოგრაფიულ საზღვარს ევროპის მთელ პერიმეტრზე რუსეთთან, რაც თავის მხრივ განაპირობებს მათი როლის წინ წამოწევას ევრო-კავშირისა და რუსეთის მეტოქეობის კონტექსტში.

როგორც აღვნიშნეთ პოლიტიკური არასტაბილურობა რეგიონის სამარკო ნიშანია ჯერ კიდევ 90-იანი წლებიდან. მას შემდეგ რაც საბჭოთა კავშირი დაიშალა რეგიონში ახლად წარმოქმნილ ქვეყნებს ახალ რეალობებთან დამოუკიდებლად მოუწიათ გამკლავება. ყველაზე რთული დაგეგმარებული ეკონომიკიდან საბაზრო ეკონომიკაზე გადასვლის პროცესი აღმოჩნდა, რამაც თან მოიტანა სოციალური უთანსწორობის კრიტიკულად გაღრმავება და ახალ მოთხოვნებზე მოსახლეობის მხრიდან ფეხის ვერ აწყო. ყოველივე ამის შედეგად კი მიტინგები და ყველა მიტინგზე მთავრობის გადადგომის მოთხოვნა დღიურ რუტინად იქცა იმ ათიათასობით მოქალაქისთვის, რომლებმაც ახალ დროში საკუთარი ადგილი ვერ იპოვეს ან ეს ადგილი არ აკმაყოფილებდათ. განსაკუთრებით 90 წლებში ქვეყნები ჩაეშვნენ კორუფციის ქაობში, რომელიც არა მხოლოდ ეკონომიკურ არამედ ცხოვრების ყველა შრეს მოიცავდა იქნებოდა ეს საგანმანათლებლო სფერო თუ

სამსახურებრივი დაწინაურების პროცესი. უმუშევართა რაოდენობამ კრიტიკულ ზღვრებს მიაღწია, კანონისა და სამართლის ადგილი დაიკავეს კრიმინალურმა ავტორიტეტებმა და მათთან დაახლოებულმა კორუმპირებულმა მმართველებმა მმართველობის სხვა და სხვა დონეზე. ყველაფერი აღწერილი ზოგადად რეგიონისთვის იყო დამახასიათებელი, თუმცა განსაკუთრებით უკრაინისა და საქართველოსათვის. ამ რეალობაში და მუდმივ პოლიტიკურ ანტაგონიზმში განვლო 90-იანმა წლებმა უკრაინასა და საქართველოში. შეიძლება ითქვას ეს იყო პერიოდი, როცა ბევრი რამ ხდებოდა, ბევრი ემოცია იხარჯებოდა, მაგრამ რეალურად ქვეყნებში პოლიტიკურად არაფერი არ ხდებოდა, ქაოსი რუტინად იქცა. 2000-იანების დასაწყისში ჯერ საქართველოში და შემდეგ უკრაინაში ე.წ ხავერდოვანი რევოლუციები განხორციელდა, როგორც მათ უწოდებდნენ „ვარდების რევოლუცია“ საქართველოში და „ხავერდოვანი რევოლუცია“ უკრაინაში, რასაც ახალი რეფორმატორული სულისკვეთების პოლიტიკური ძალების ხელისუფლებაში მოსვლა მოჰყვა, მიხელ სააკაშვილის ხელმძღვანელობით საქართველოში და ვიქტორ იუშჩენკოს ხელმძღვანელობით უკრაინაში. ახალგაზრდა მმართველების პოლიტიკებს მართლაც ბევრი კრიტიკულად აუცილებელი ღონისძიებების გატარება მოჰყვა ქვეყნებში, რის შედეგადაც მნიშვნელოვანწილად საქართველოში და გარკვეულწილად უკრაინაში შემცირდა კორუფციის დონე, რამდენიმე წელი შესაძლებელი გახდა ეკონომიკის სწრაფი ტემპებით განვითარება და რამდენიმე წლითვე ხალხის საპროტესტო მუხტის ჩაცხრომა, კრიმინალის წინააღმდეგ გადაიდგა ნაბიჯები, პრო-დასავლელი ლიდერების საშუალებით უკრაინამაც და საქართველომაც გარკვეულწილად დაახლოებოდნენ ტრანს-ატლანტიკურ სივრცეს და დისტანცირებულიყვნენ რუსეთის გავლენისგან. მაგრამ ყოვილივე ეს დროებითი და არასაკმარისი აღმოჩნდა გრძელვადიანი სტაბილურობის მისაღწევად, პრობლემად დარჩა ეკონომიკური სიდუხჭირე, სოციალური რადიკალური უთანაბრობა, ქვეყანაში კანონიერების, ადამიანის უფლებების და სამართლის აღმქ და 2000-იანი წლების მიწურულიდან ორივე ქვეყანა ისევ მოიცვა საპროტესტო მუხტმა, თბილისში მიტინგები ისევ რუტინად იქცა, ხოლო უკრაინაში 2010 წელს

ხალხმა ხელისუფლების სათავეში, პრეზიდენტის პოსტზე ისევ პრორუსულად განწყობილი პოლიტიკოსი, ამჯერად ვიქტორ იანუკოვიჩი მოიყვანა.

ხელისუფლება საქართველოშიც შეიცვალა 2012 წელს და ნიშანდობლივი და ხაზგასასმელი ფაქტია ის გარემოება, რომ ამ წელს პირველად მოხერხდა ხელისუფლების დემოკრატიული არჩევნების გზით გადაბარება. მანამდე, როგორც ზვიად გამსახურდიას, ასევე ედუარდ შევარდნაძის მმართველობა პირველ შემთხვევაში ხუნტით და მეორე შემთხვევაში რევოლუციით დასრულდა, პრეზიდენტ სააკაშვილის პირველი ვადის დასრულებაც და ვადამდელი არჩევნების დანიშვნაც ქუჩაში მიტინგებით იყო ინსპირირებული. ამავე პერიოდში, რომელშიც უკრაინის და საქართველოს სიტუაციას წარმოვაჩენდით, კიდევ ერთი აღმოსავლეთ ევროპული ქვეყანა ბელორუსის სახით „ევროპის უკანასკნელი დიქტატორის“ სტატუსით შემკული ალექსანდრე ლუკაშენკოს მიერ იყო და არის (2019) მართული, რომელიც მთლიანად რუსული გავლენების გამტარად აღიქმება დღემდე. მართალია აქ შედარებით სტაბილურობა იყო იმ თვალსაზრისით, რომ არაფერი პოლიტიკურად ქვეყანაში არ იცვლებოდა, მაგრამ რეგიონულ ჭრილში ქვეყანა, რომელსაც დიქტატორი მართავს რეგიონის სტაბილურობას არ აძლიერებს. შედარებით სუსტად გამოხატულ ფორმებში, მაგრამ ამგვარივე არასტაბილური პოლიტიკური სიტუაცია გვქონდა სომხეთში, აზერბაიჯანსა და მოლდოვაშიც ბოლო სამი დეკადის მანძილზე.¹¹ ყოველივე აღწერილმა გარემოებამ ევროკავშირის აღმოსავლეთ სამეზობლოში ევროკავშირისთვის მიუღებელი პოლიტიკური ატმოსფეროს ჩამოყალიბება განაპირობა ვინაიდან პოლიტიკური ქაოსი, რასაც ევფემურად ვუწოდებთ ზოგჯერ არასტაბილურობას, ხშირად ახლო სამეზობლოშიც გადამდებია და თუნდაც ადგილზე გაიყინოს მეზობლებისთვის სახარბიელო ატმოსფეროს არ ქმნის, არ გამოდგება რა მაღალი დონის და პასუხისმგებლიანი კავშირების დამყარებისა და სხვა და სხვა დონის სამეზობლო ინტერაქციისათვის. ალბათ ნიშანდობლივია, რომ პოლონეთი, რომელიც ევროკავშირს მიღმა დარჩენილი აღმოსავლეთ

¹¹ <https://www.euractiv.com/section/global-europe/news/eastern-europe-gripped-by-political-instability/>

ევროპული რეგიონის, პირველ რიგში უკრაინის მეზობელი ქვეყანა ყველაზე მეტ ინიციატივას იჩენდა და იჩენს რეგიონის ევროკავშირთან ინტეგრაციის გზაზე, რეგიონის პოლიტიკური სისტემების ევროპულთან დაახლოების გზაზე, რადგან ალბათ პოლონეთი ყველაზე მეტადაა დაინტერესებული აღმოსავლეთ სანდო და სტაბილური მეზობლები ეგულებოდეს და არა ქაოტური სივრცე, სადაც რუსეთი ფედერაცია ცდილობს გავლენების გაზრდას. მოგეხსენებათ პოლონეთსა და რუსეთს ისტორიულად და დღემდე პრობლემატური ურთიერთობები ჰქონდათ და აქვთ ყველაზე მშრალი და ლაკონური შეფასებით. ამ პრობლემატურობის ყველაზე მკაფიო გამოვლენა ახლო წარსულში, სამოცდაათიოდე წლის წინ განვითარებულ მოვლენებში მოგვეპოვება, კერძოდ მეორე მსოფლიო ომისას ჯერ გერმანელებისგან ოკუპირებული პოლონეთი საბოლოოდ საბჭოთა ოკუპაციის მსხვერპლო გახდა და მისი ნების საწინააღმდეგოდ კომუნისტური ქოლგის ქვეშ მოექცა. საბჭოთა კავშირის სამართლებრივი მემკვიდრე კი რუსეთის ფედერაციაა, რომელსაც პოლონეთამდე, თუ არ ჩავთვლით კარელიის პატარა ანკლავურ ტერიტორიულ წარმონაქმნს რუსეთის ფედერაციის შემადგენლობაში, ერთი ქვეყანა ამორებს და სხვა და სხვა გზით იმ ერთი ქვეყნის, უკრაინის საკუთარ პოლიტიკურ ორბიტაზე მოქცევას მუდმივად ცდილობს. ბუნებრივია ამ ვითარებაში რუსეთის და მისი წინამორბედი ქვეყნის ზეგავლენის ერთერთი ყველაზე ცოცხალი გამოცდილების მქონე ქვეყანა აღმოსავლეთ პარტნიორობის პროგრამის პოლიტიკების იმპლემენტაციის გზაზე სხვა ევროკავშირის წევრ ქვეყნებთან შედარებით გამორჩეულად აქტიურობს, რათა იმ სუპრანაციონალურმა ორგანიზაციამ გაავრცელოს გავლენა პოლონეთის მეზობლად, რომლის წევრი თავადაა, ისევე როგორც შვედეთი ცდილობდა თავის დროზე პოლონეთისა და ბალტიის ქვეყნების ევროკავშირთან ინტეგრირებას მსგავსივე მოსაზრებების და საფრთხეების აღქმის საფუძველზე.

2. რუსეთის ზეგავლენა აღმოსავლეთ ევროპაზე და კონფლიქტები

საბჭოთა კავშირის დაშლიდან მეოთხედი საუკუნის შემდეგაც ქვეყნები, რომლებიც ამ უკანასკნელის დაშლის შედეგად წარმოიქმნენ საბჭოთა მემკვიდრეობით არიან გარემოცული. ამ უკანასკნელთა ურთიერთობები რუსეთთან, ევროკავშირთან და ზოგ შემთხვევაში ერთმანეთთან არასტაბილურია და ზოგჯერ მტრულიც. აღმოსავლეთ პარტნიორობის მონაწილე ექვსი ქვეყნიდან ზოგმა, კონკრეტულად საქართველომ, უკრაინამ და მოლდოვამ მათი მომავალი ევროკავშირთან ინტეგრაციას დაუკავშირეს, ხედავდნენ რა ამ უკანასკნელში კეთილდღეობისა და მდგრადი განვითარების შესაძლებლობის მომცემ საშუალებას, თუმცა რუსეთისთვის ეს გამოწვევა აღმოჩნდა ის ისევე ცდილობს სხვა და სხვა საშუალებით, მათ შორის ძალადობრივითაც შეინარჩუნოს გავლენა ამ ქვეყნებზე განიხილავს რა მათ ახლო სამეზობლოს, რომელშიც უფლება აქვს დომინანტად და საგარეო და საშინაო საქმეებში მინიმუმ ტონის მსაზღვრელად დაფიქსირდეს. ევროკავშირსა და რუსეთს ორივეს აქვთ რბილი და ხისტი ძალის გამოყენების შესაძლებლობა იმისათვის, რომ გავლენა მოახდინონ აღმოსავლეთ პარტნიორობის პროგრამის მონაწილე ექვსი ქვეყნის პოლიტიკური გზის მიმართულებაზე. თუმცა კი აქამდე ორივე მათგანმა გამოიყენეს საკუთარი ძალები, რუსეთმა მათ შორის სამხედრო, ხსენებულ ექვს ქვეყანაზე გავლენის მოსაპოვებლად, ჯერ-ჯერობით არც რუსეთს და არც ევროკავშირს სრულად წარმატებისთვის არ მიუღწევიათ რეგიონში საკუთარი პერსპექტივებიდან.

რუსეთის ერთერთი მთავარი, რეგიონის ქვეყნებზე ზეგავლენის მოხდენის საშუალებაა რუსულენოვანი მოსახლეობა, რომელიც ჭარბადაა წარმოდგენილი რეგიონის ქვეყნებში. ხსენებული მოსახლეობა რუსეთის ერთერთი მთავარი სამიზნე ჯგუფია საკუთარი ინტერესების განსახორციელების გზაზე, კერძოდ ის ხშირად მიმართავს პროპაგანდის საშუალებით მეზობელ ქვეყნებში მასშტაბურად

წარმოდგენილი რუსულენოვანი მოსახლეობის დასავლური ინსტიტუტების წინააღმდეგ განსაწყობად სხვა და სხვა ღონისძიებებს. თუმცა ზოგჯერ რუსეთის ეკონომიკური და სამხედრო ძალა მისი მეზობლების წინააღმდეგ შედეგებს ვერ იღებს, რადგან რეგიონის ზოგი ქვეყანა, რუსეთისაგან დისტანცირების და ევროკავშირთან ინტეგრაციის გზას ადგას მიუხედავად რუსეთის ფედერაციის მხრიდან წარმოქმნილი ბარიერებისა და ხაფანგებისა ამ პროცესში. რუსეთის მთავარი შიშია, რომ აღმოსავლეთ პარტნიორობის პროგრამის მონაწილე ქვეყნები ერთ დღეს სრულად მოხვდებიან დასავლეთის ორბიტაზე და ეს რომ არ მოხდეს კრემლი სხვა და სხვა მეთოდებს მიმართავს საპრევენციოდ. რუსეთის შეირაღებულ ძალებს დღეისათვის დაკავებული აქვთ საქართველოს ორი ტერიტორიული ერთეული, აფხაზეთი და სამხ. ოსეთი, ასევე მოლდოვის კონფლიქტური დნესტრისპირეთის რეგიონი და უკრაინის ნაწილი ყირიმის ნ.კ - ის სახით, ასევე ამავე ქვეყანაში ღიად მხარს უჭერს სეპარატისტულ რეგიონებს აღმოსავლეთ უკრაინაში. გარდა ამისა, რუსეთს საკუთარი სამხედრო ძალები ასევე განლაგებული ყავს სომხეთში და ბელორუსში. რუსეთს არაერთხელ გამოუყენებია პოლიტიკურად მოტივირებული ეკონომიკური სანქციები საქართველოს, მოლდოვასა და უკრაინის წინააღმდეგ.¹²

მიმართავს რა ეკონომიკურ ზეგავლენას (Economic Statecraft) მეზობლების პოლიტიკაზე გავლენის მოსახდენად, თუ შედეგებს ვერ აღწევს, რუსეთი არც სამხედრო ძალით პირდაპირი ინტერვენციის განხორციელებისგან იხევს უკან. ამის მაგალითია დღესაც რუსეთის მხრიდან ანექსირებული ყირიმის ნ.კ. რომელიც დე-იურე უკრაინის ტერიტორიაა. ეს შემთხვევა ალბათ ყველაზე სიმპტომატურია იმ მოცემულობის წარმოსაჩენად, რომელსაც ამ ნაშრომით ვცდილობთ იმიტომ, რომ ყირიმის ნ.კ-ს რუსეთის მიერ ანექსირება სწორედ აღმოსავლეთ პარტნიორობის პროგრამის ფარგლებში უკრაინის მხრიდან ევროკავშირთან

¹² Bollerup, S. (1997). *Nationalism in Eastern Europe: Causes and Consequences of the National revivals and conflict late-Twentieth-Century Eastern Europe*. Great Britain: Macmillan Press LTD.

ასოცირების ხელშეკრულების გაფორმების თანადროულად განხორციელდა. ვითარება შემდეგგვარად განვითარდა: უკრაინის მაშინდელი პრო-რუსი მმართველი, ვიქტორ იანუკოვიჩი 2014 წელს ევროკავშირთან ასოცირების ხელშეკრულებას ხელს არ აწერდა, ამ მხრივ საკუთარი ხალხის ნების საწინააღმდეგოდ, რომლებმაც ცოტა ხანში კიდევ ერთი რევოლუცია მოაწყვეს და ამბოხის ერთერთ მთავარ მიზეზადაც ასოცირების ხელშეკრულებაზე ხელის არ მოწერა გამოცხადდა რევოლუციონერთაგან. რევოლუცია უკრაინაში პრო-ევროპული ლოზუნგებით განხორციელდა რა, რუსეთი მიხვდა, რომ მთელს უკრაინაში გავლენას ვეღარ შეინარჩუნებდა და ამიტომ გადაწყვიტა რადიკალური ზომებისთვის მიემართა და უკრაინის დასჯის და საკუთარი გავლენის ნაწილობრივ მაინც შენარჩუნების მიზნით უკრაინის ის ნაწილები დაეკავებინა, რომელთა მოსახლეობა რუსულენოვანია და პრო-რუსულად განწყობილი. ასეთი რეგიონი კი ყირიმის ნ.კ აღმოჩნდა, სადაც რუსეთმა სამხედრო ნაწილები გადასხა და არ შეხვდა რა უკრაინის მხრიდან ამ მიმართულებით სამხედრო წინააღმდეგობას მთელი ნ.კ მალევე დაიკავა, შემდეგ უკრაინის კონსტიტუციით არალეგალური რეფერენდუმი ჩაატარა ყირიმის ნ.კ. და ამ არალეგალური რეფერენდუმისვე შედეგებზე აპელირებით ხსენებული ნ.კ შავ ზღვაზე უშუალოდ მის ტერიტორიებს მიაწერა. თუმცა რუსეთი უკრაინაში ამით არ დაკმაყოფილდა და კიდევ ორ რუსულენოვან და სეპარატისტულად განწყობილ რეგიონს უკრაინის აღმოსავლეთში დონეცკსა და ლუგანსკს ღია პოლიტიკური და ირიბი სამხედრო დახმარება აღმოუჩინა, რის შედეგადაც უკრაინა ხსენებული რეგიონების მიმართულებით დღემდე აქტიურ ცვლადი ინტენსივობის სამხედრო კონფლიქტშია გახვეული.

უკრაინის გარდა კონფლიქტური რეგიონები გააჩნია საქართველოსაც აფხაზეთისა და სამხ. ოსეთის სახით, რომლებიც 90-იან წლებში გაჩაღდნენ და მას შემდეგ რამდენჯერმე განახლდნენ. ყველა შემთხვევაში რუსეთის ფედერაცია პოლიტიკურად საქართველოს განდგომილი რეგიონების მხარს იჭერდა და მათ

წახალისებასაც არ ერიდებოდა საკუთარი ინტერესის, კერძოდ საქართველოს პოლიტიკურ მარწუხებში მოქცევის და ამ გზით მისი მართვის სურვილის ქონის გამო და ამ საფუძვლით ზოგ შემთხვევაში უშუალო სამხედრო ჩარევასაც არ ერიდებოდა. მაგალითად, 2008 წლის აგვისტოში სამხ.ოსეთის მიმართულებით რუსეთი პირდაპირ იყო ჩართული საქართველოსთან ომში და ამ ომში იმ ეტაპისთვის სასურველი შედეგის მიღწევის შემდეგ ხსენებული რეგიონები დამოუკიდებელ სახელმწიფოებად აღიარა და ამავე დროს საკუთარი ჯარებიც ამავე რეგიონებში დატოვა, რასაც შედეგად მოჰყვა ის, რომ საქართველომ რუსეთის ომში უშუალო ჩართვის და საკუთარ ტერიტორიაზე რუსეთის ჯარების უნებართვოდ განლების გათვალისწინებით, რუსეთის ფედერაცია ოკუპანტად გამოაცხადა. ასეთი სტატუს-კვო კი დღემდე გრძელდება, რაც რუსეთს საშუალებას აძლევს ქვეყანაში სამხედრო ძალით ისევ დარჩეს მიუხედავად იმისა, რომ ქვეყანამ პრო-ევროპული და პრო-დასავლური არჩევანი გააკეთა და უცვლელად არჩეულ გზაზეა ბოლო რამდენიმე დეკადაა, ფაქტობრივად მას შემდეგ რაც დამოუკიდებლობა მოიპოვა.

კიდევ ერთი კონფლიქტი, რომელიც აღმოსავლეთ ევროპის რეგიონში არსებობს და მისი საშუალებით რუსეთის ფედერაცია საგარეო მიზნებს აღწევს, ყარაბაღის კონფლიქტია, რომელიც ჯერ კიდევ საბჭოთა კავშირის დაშლამდე, 1988 წელს დაიწყო საბჭოთა სომხეთსა და საბჭოთა აზერბაიჯანს შორის და საბჭოთა კავშირის დაშლის შემდეგაც გაგრძელდა 1994 წლამდე. ეს კონფლიქტი უშუალოდ მიმდინარეობდა აზერბაიჯანსა და აზერბაიჯანის სომეხი ეროვნების მკვიდრებით კომპაქტურად დასახლებულ ყარაბაღის რეგიონს შორის, თუმცა კონფლიქტში სომხების მხარეს ჩაერთო საბჭოთა სომხეთიც. გამარჯვება ამ ომში სომხურ მხარეს დარჩა, თუმცა კონფლიქტი დღემდე გრძელდება ცვალებადი ინტენსივობით. რუსეთის როლი კი ამ კონფლიქტით სარგებლობაში იმაში გამოიხატება, რომ ეს უკანასკნელი კონფლიქტში ჩართული ქვეყნების შიშებზე აპელირებს და რეგიონში მშვიდობის შენარჩუნების გარანტორად წარმოაჩენს თავს. საქმე ის არის,

რომ აზერბაიჯანს, რომელიც ლინგვისტურად თურქიკულ ენათა ოჯახის წევრ ქვეყნებს განეკუთვნება, პოლიტიკურად მხარს თურქეთი უჭერს, რომელიც ახლო აღმოსავლეთის რეგიონში ერთერთი დომინირებული ქვეყანაა და რომელიც სომხეთსა და აზერბაიჯანსაც ემეზობლება, ხოლო სამხედრო თვალსაზრისით ითვლება, რომ ერთერთი მოწინავეა მსოფლიოში სომხეთისაგან განსხვავებით.¹³ ამ ვითარებაში რუსეთის ფედერაცია სარგებლობს რა სომხეთის სისუსტით მას დამცველის გარანტორად წარმოუდგება, რის საფუძველზე სომხეთში ჯარებიც ყავს განლაგებული და პოლიტიკურადაც ქვეყანა საკუთარი დომინირებით შექმნილ სამხედრო და პოლიტიკურ-ეკონომიკურ ორგანიზაციებშიც ყავს გაწევრიანებული. სწორედ ეს გარემოება გახდა ერთერთი ძირითად მიზეზი იმისა, რომ სომხეთმა ევროკავშირთან ასოცირების ხელშეკრულებას აღმოსავლეთ პარტნიორობის პროგრამის ფარგლებში ხელი ვერ მოაწერა მიუხედავად მსგავსი ხელმოწერის გაკეთების სურვილის ქონის არაერთგზის განცხადების გაკეთებისა, მას, სომხეთს უბრალოდ და ხისტად რუსეთის ფედერაციამ საშუალება არ მისცა ევრო-კავშირთან დამოუკიდებლად ეწარმოებინა ურთიერთობა სასურველი ურთიერთობა. ამიტომაც სომხეთმა მოგვიანებით არჩევანი რუსეთის მხრიდან ორგანიზებული ევრაზიული ეკონომიკური გაერთიანების სასარგებლოდ გააკეთა, თუმცა დღემდე აგრძელებს ევრო-კავშირთან კონსულტაციებს შესაძლო თანამშრომლობის ფორმებთან დაკავშირებით.

აღმოსავლეთ ევროპის კონფლიქტების რიგს მიეკუთვნება დნესტრისპირეთის კონფლიქტიც მოლდოვაში. აქაც რუსეთი მოხალისე კაზაკების (რომლებიც დღევანდელ რეალობაში ყოველთვის რუსულ პოლიტიკას გამოხატავენ და მას იზიარებენ) გასამხედროებული ჯგუფების გავლით ჩართულია რუსულენოვანი მოსახლეობის ინტერესების დაცვით მოტივით მოლდოვასთან კონფლიქტში. თუმცა ეს კონფლიქტი მაღალი ინტენსივობის არ არის, როგორც რეგიონის სხვა კონფლიქტები და აქტიური ფაზაც 90-იანების დასასწყისში ქონდა. ალბათ ამიტომაც მიუხედავად რუსეთის მონდომებისა, მოლდოვის პრო-ევროპულ

¹³ Cornell, S. (1999). *The Nagorno-Karabakh Conflict*. Uppsala: Department of East European Studies.

არჩევანზე, რაც ასოცირების ხელშეკრულების ხელმოწერით გამოიხატა, მას გავლენა დიდად არ მოუხდენია, თუმცა ქვეყანაში დღემდე გრძელდება პოლიტიკურ ძალებს შორის აქტიური კამათი საგარეო კურსის არჩევასთან დაკავშირებით. პრო-რუსი ძალები მოლდოვაში სწორედ დნესტრისპირეთის კონფლიქტის გასაღებს რუსეთში ხედავენ, რაც კიდევ ერთხელ ააშკარავებს, რომ აღმოსავლეთ ევროპის ევროკავშირთან ინტეგრაციის გზაზე რუსეთი სხვა ინსტრუმენტთა შორის კონფლიქტებზე მანიპულაციების შესაძლებლობასაც იყენებს და ქვეყნების დაშანტაჟებას ცდილობს.¹⁴

¹⁴ Kaufman, S. (2007). Transnational dimensions of the Transnistrian conflict. *Nationalities Papers* , 129-130.

3. ეკონომიკური პრობლემები, არადემოკრატიული მმართველობები, უკონტროლო მიგრაცია შენგენის ზონაში და ტრანსნაციონალური კრიმინალი

აღმოსავლეთ ევროპის ევროკავშირის არაწევრი ქვეყნების არასტაბილური პოლიტიკური ვითარების განმაპირობებელი შიდა პრობლემებიდან ერთერთი ყველაზე მწვავე საკითხი ეკონომიკურ ჩამორჩინელობას უკავშირდება. ისევ და ისევ, დაგეგმარებული ეკონომიკიდან საბაზრო ეკონომიკაზე ელვისებურმა გადასვლამ ქვეყნებში ქაოსის ატმოსფერო შექმნა. მოსახლეობამ ეკონომიკური ცვლილებების სისწრაფის კვალდაკვალ ვერ მოასწრო ასევე სწრაფად გაეცნობიერებინა, რომ ამიერიდან სახელმწიფო როგორც „მეწველი ძროხა“ აღარ არსებობდა და ქვეყანაში ეკონომიკურ საკითხებზე პასუხისმგებელი ცენტრალიზებული ერთი უწყება აღარ არსებობდა. დაიწყო ქაოტური პრივატიზაციის პერიოდი, რასაც თან დაერთო სუსტი მმართველობის ფონზე კრიმინალური დაჯგუფებების ეკონომიკური დოვლათის განაწილების პროცესში ჩართვა. ამ მხრივ ერთადერთი გამონაკლისი ბელორუსი აღმოჩნდა, რომელმაც თავისებური რეზისტენტულობა გამოავლინა და დღემდე ამ ქვეყანაში სახელმწიფო აქტიურადაა ჩართული ეკონომიკურ ცხოვრებაში, ისევე როგორც დოვლათის გადანაწილების პოლიტიკაში, თუმცა ცხოვრების სტანდარტი აქაც მეტ-ნაკლებად საშუალო აღმოსავლეთ ევროპულია და მნიშვნელოვნად ჩამოუვარდება ცენტრალურ და დასავლურ ევროპულს. აღმოსავლეთ ევროპაში 1990-იან წლებში არსებობდა მოლოდინი, რომ ეს ქვეყნები საბაზრო ეკონომიკაზე გადასვლიდან მალევე წამოეწეოდნენ თავიანთ დასავლელ მეზობლებს ეკონომიკურ მაჩვენებლებში, თუმცა ასე არ მოხდა და ამის ერთერთი მთავარი მიზეზი ის იყო, რომ ხსენებული ზონის ქვეყნები არ იყვნენ გლობალურ ეკონომიკაში ინტეგრირებული, ამასთან არც რაიმე განსაკუთრებულ ბუნებრივ რესურსებს ფლობდნენ (აზერბაიჯანის ნავთობის გამოკლებით), რომ მის ხარჯზე რუსეთის მსგავსად ცხოვრების ასე თუ ისე დამაკმაყოფილებელი პირობები შეექმნათ, ამას თან დაერთო ემიგრაციის პრობლემა და შობადობის მაჩვენებლის

მკვეთრი კლება, რომელთა გათვალისწინებითაც ბოლო არასრულ სამ დეკადაში 1990-2015 წლებში რეგიონის სამუშაო ასაკის მოსახლეობის რიცხვი 10 მილიონით შემცირდა და კლებას განაგრძობს.¹⁵

ეკონომიკურ პრობლემებს პოსტ-საბჭოთა აღმოსავლურ ევროპულ ქვეყნებში თან დაერთო სუსტი და არადემოკრატიული მმართველობები. ეს განსაკუთრებით თვალშისაცემი იყო უკრაინის, საქართველოს და ბელურუსის მაგალითზე. თუ მხედველობაში მივიღებთ ოთხ ძირითად გამოწვევას ამ მიმართულებით, როგორცაა პოლიტიკური არასტაბილურობა, მთავრობის არაეფექტური ფუნქციონირება, არადამაკმაყოფილებელი უფლებების დაცვის მაჩვენებელი და უპასუხისმგებლო ურთიერთობები მთავრობებსა და მოქალაქეებს შორის, რეგიონის ხსენებული ქვეყნები მართლაც სუსტად გამოიყურებოდნენ ბოლო დეკადებში და განსაკუთრებით აღმოსავლეთ პარტნიორობის პროგრამის პოლიტიკების იმპლემენტაციამდე, მათ დასავლელ მეზობლებთან შედარებით. საქართველომ და უკრაინამ ვარდებისა და ნარინჯისფერი რევოლუციების შემდეგ სხვა და სხვა მაჩვენებლები ამ მიმართულებით გაიუმჯობესეს, თუმცა კორუფცია და მოქალაქეების ჩართულობის ნაკლებობა სახელმწიფოს ფუნქციონირების პროცესში კვლავაც პრობლემად დარჩა ოლიგარქების მხრიდან სახელმწიფოს პოლიტიკის თითქმის სრული მონოპოლიზების პირობებში, განსაკუთრებით უკრაინაში. არადემოკრატიულ მმართველობის კიდევ ერთი გამოხატულება, მოქალაქეთა გამოხატვის თავისუფლების შეზღუდვა და რეპრესიები ასევე არ ყოფილა უცხო რეგიონის ქვეყნებისთვის, განსაკუთრებით ბელორუსისთვის, რომელსაც ლუკაშენკო 1994 წლიდან დღემდე ერთპიროვნულად მართავს და თავისუფლებების შეზღუდვისკენ მიდრეკილების გამო დასავლეთში ევროპის უკანასკნელ დიქტატორად მოიხსენიება მედიაში.

¹⁵ Cornell, S. (1999). *The Nagorno-Karabakh Conflict*. Uppsala: Department of East European Studies.

კიდევ ერთი პრობლემა, რაც აღმოსავლეთ პარტნიორობის მონაწილე ქვეყნებს ბოლო ათწლეულებში გააჩნდათ და გააჩნიათ ამ ქვეყნებიდან დასავლეთ ევროპაში უკონტროლო მიგრაციას და ამ პრობლემის ტრანსნაციონალურ დანაშაულთან ბმას უკავშირდება. 1990-2015 წლებში აღმოსავლეთ ევროპის მოსახლეობა 28 მილიონით შემცირდა და ამ შემცირებაში ყველაზე მაღალი ხვედრითი წილი ემიგრაციას უკავშირდება ძირითადად განვითარებულ დასავლურ ევროპულ ქვეყნებში და ჩრდ. ამერიკაში. ემიგრაციის ძირითადი მიზეზი კი ისაა, რომ ემიგრირებულებს დასავლურ სამყაროში თავიანთ სამშობლოსთან შედარებით უკეთესი შემოსავლების გამომუშავების იმედი აქვთ და ცხოვრების კეთილდღეობის სახელმწიფოებში გატარებას ესწრაფვიან. აღმოსავლეთ ევროპელთა ემიგრაციას დასავლეთ ევროპაში, განსაკუთრებით პოსტ-საბჭოთა სივრციდან თან ერთვის ის გარემოება, რომ მიგრირებულთა ის ნაწილი, რომელიც შესაფერის სამსახურს ვერ პოულობს, კრიმინალურ ქსელებში ერთვება და ტრეფიკინგისა და სხვა და სხვა წვრილმანი და მასშტაბური დანაშაულებების როგორც მსხვერპლი ასევე წყარო ხდება. ცნება „რუსული მაფია“ სწორედ ზემოხსენებულ მოვლენასთანაა დაკავშირებული დასავლურ მედიაში.¹⁶

გარდა ნაშრომის საწყის თავებში განხილული მიზეზებისა, წინამდებარე ტრივიალური პრობლემებიც გახდა ერთერთი მაინსპირებული ევროკავშირში, რათა ამ უკანასკნელს აღმოსავლეთ პარტნიორობის პროგრამა შეექმნა. ამ პროგრამით გათვალისწინებული პოლიტიკები, პირველ რიგში ასოცირების ხელშეკრულება და ვიზა-ლიბერალიზაცია პროგრამის მონაწილე ქვეყნებისგან გარკვეული კრიტერიუმების დაკმაყოფილებას მოითხოვდა, რომელთა შორის იყო მიგრაციასთან დაკავშირებით კოორდინირებული მოქმედებებისთვის მზადყოფნის გამოთქმა, აღმოსავლეთ ევროპული ქვეყნების მხრიდან და შესაბამისი კანონდებლობისთვის მუშაობა. ამავე ხელშეკრულების გათვალისწინებით ქვეყნებს მოუწიათ რიგი რეგულაციური ღონისძიებების

¹⁶ (n.d.). Retrieved from <https://www.ft.com/content/70813826-0c64-33d3-8a0c-72059ae1b5e3>

გატარება, როგორც ადამიანის უფლებებთან დაკავშირებით კანონმდებლობის მოწესრიგება, შრომის უფლების და ნორმების შესახებ კანონების მიღება, მთავრობის მუშაობის გამჭვირვალობის უზრუნველყოფის მისაღწევად ზომების მიღება, ქვეყნის დეცენტრალიზაციისკენ მიმართული კანონების შემოღება და სხვა მსგავსი.

4. დასავლელ პოლიტიკოსთა გამოხმაურება აღმოსავლელთა პრობლემებზე

წინა თავებში აღწერილი პრობლემები გახდა მიზეზი იმისა, რომ ევროკავშირში აღმოსავლეთ პარტნიორობის პროგრამის მიღების საკითხი დღის წესრიგში დადგა. ამგვარად, დასავლეთში ხედავდნენ რა, რომ აღმოსავლელი მეზობლები დესტაბილიზაციის კერას წარმოადგენდნენ და ყოველივე ამით მათი მეტოქე სახელმწიფო რუსეთის ფედერაცია სარგებლობდა, გადაწყვიტეს, რომ მეტოქე, სანამ მათ საზღვრებს მიაღწევდა, თავად დაეკავებინათ და მათთან ასოცირებული და მოკავშირე გაეხადათ აბსტრაქტული დაშვებით და პოტენციურად ნეიტრალური ბუფერული ზონის როლის მორგების შესაძლებლობის მქონე რეგიონის ქვეყნები და ამ საქმეში აღმოსავლეთ პარტნიორობის პროგრამის გავლით უკრაინაში, მოლდოვასა და საქართველოში წარმატებას მიაღწიეს ასოცირდნენ რა ეს ქვეყნები ევრო-კავშირთან და ადგანად რა პრო-ევროპულ კურსს მზარდი ინტეგრაციის პირობებში.

ის, რომ აღმოსავლეთ პარტნიორობის პროგრამაში ჩართვა და მისით სარგებლობა საგარეო პოლიტიკური არჩევანის გაკეთებას გულისხმობდა ნათლად ჩანს _ გარდა ფაქტობრივი მოცემულობებისა, რომელზეც ზემოთ ვისაუბრეთ _ დასავლელ პოლიტიკოსთა საჯარო ვერბალური განცხადებებიდან, კერძოდ იმ გადაწყვეტილების მიმღებ პოლიტიკოსთა განცხადებებიდან, რომლებმაც უკრაინას, საქართველოს და მოლდოვას მხარდაჭერა გამოუცხადეს პრო-დასავლური არჩევანის გაკეთებისა და შესაბამისი ნაბიჯების გადადგმის პროცესში და არაერთხელ განაცხადეს რუსეთის მისამართით, რომ ხსენებულ სუვერენულ ქვეყნებს აქვთ უფლება თავად გადაწყვიტონ თუ როგორ საგარეო პოლიტიკურ კურსს გაატარებენ და რომელი პოლიტიკური თუ სამხედრო სტრუქტურების მოკავშირეები გახდებიან, ასეთ განცხადებებში ყოველთვის იყოს აპელირება საგარეო პოლიტიკურ არჩევანზე, რის მაგალითებსაც ქვემოთ

მოვიყვანო. სწორედ ის, რომ ასოცირების ხელშეკრულების ევროკავშირთან დადება უკრაინის პრო-დასავლურ კურსსა და რუსეთის გავლენის ორბიტიდან ჩამოცილებას განაპირობებს, ცხადყოფს ფაქტს, რომ საზღვარი დღეს ევროკავშირის და რუსეთის ფედერაციის საგარეო ინტერესების ჭრილში ევროპის მთელ პერიმეტრს გასდევს და მათ შორის კლასიკური ნეიტრალური ბუფერული სახელმწიფოები აღარ არსებობენ, თუმცა კი ორივე მათგანი, მის ხელთ არსებული საშუალებებით, რუსეთის შემთხვევაში სამხედრო ძალითაც კი, იბრძვის, რათა საკუთარი პოზიციები განამტკიცოს და აღმოსავლეთ ევროპის ევროკავშირის არაწევრი ყველა ქვეყანა საკუთარი მოკავშირე და მასთან ასოცირებული გახადოს. იმის ხაზგასასმელად, რომ ევროკავშირი აღმოსავლეთ ევროპაში პარტნიორობის პროგრამის გავლით უკრაინის მაგალითზე სამოკავშირეო საწყისებზე პროგრამის მონაწილე ქვეყნების არჩევანს იცავს შეგვიძლია მოვიყვანოთ ანგელა მერკელის, ევროკავშირის ლიდერი ქვეყნის, გერმანიის კანცლერი 2018 წლის პირველ ნოემბერს კიევში გაკეთებული განცხადება, სადაც ქალბატონმა კანცლერმა განაცხადა, რომ გააგრძელებს მხარდაჭერას და ხელს შეუწყობს ახალი სანქციების ინიცირებას რუსეთის წინააღმდეგ, სანამ ეს ქვეყანა არ დატოვებს უკრაინაში უკანონოდ დაკავებულ ტერიტორიებს და არ აღიარებს უკრაინის უფლებას აირჩიოს საგარეო მოკავშირე.¹⁷ უკრაინის და პროგრამის სხვა მონაწილე ქვეყნების პრო-ევროპულ არჩევანს საგარეო პოლიტიკის მიმართულებით იცავდნენ ამერიკელი უმაღლესი თანამდებობის პირებიც.¹⁸

¹⁷ (n.d.). Retrieved from <https://www.euractiv.com/section/global-europe/news/merkel-in-ukraine-vows-to-uphold-russia-sanctions/>

¹⁸ (n.d.). Retrieved from <https://www.degruyter.com/downloadpdf/j/sjps.2017.17.issue-3-4/sjps-2017-0013/sjps-2017-0013.pdf>

ნაწილი II

1. ევროპა, როგორც ნორმატიული ძალა და აღმოსავლეთ პარტნიორობის პროგრამა

ევრო-ინტეგრაციის თეორია „ევროპა როგორც ნორმატიული ძალა“ (Normative Power Europe) იანს ჯეიმს მანერსის მიერ იქნა პოპულარიზებული 2002 წლიდან და ეს თეორია გულისხმობს, რომ ევრო-კავშირი არის ის პოლიტიკური სტრუქტურა, რომელსაც შეუძლია წარმოქმნდეს, როგორც მისაბამი „როლ მოდელი“. მისი ძირითადი ფასეულობები და ღირებულებები საყოველთაო და ამ ფასეულობებისა და ღირებულებების დაცვის პროცესში ევრო-კავშირი სამაგალითოა. ევრო-კავშირის ხუთი ძირითადი ფასეულობაა: მშვიდობა, თავისუფლება, დემოკრატია, კანონის უზენაესობა და ადამიანის უფლებების პატივისცემა, ხოლო მნიშვნელოვით მეორეული, მაგრამ დასაცავად აუცილებელი ღირებულებებია: სოციალური სოლიდარობა, ანტი-დისკრიმინაცია, მდგრადი განვითარება, კარგი მმართველობა. ხსენებული თეორიის მიხედვით ყოველი ეს ჩამოთვლილი ფასეულობა ევრო-კავშირში სამაგალითოდ დაცული, თუმცა მუდმივი დახვეწისა და გაუმჯობესების პროცესშია მათი რეალურ ცხოვრებაში გატარების მექანიზმები. ამავე დროს ევრო-კავშირია ის ძალა, რომელიც ამ ფასეულობებსა და ღირებულებებს სხვებზე უკეთ იცავს.¹⁹

საგარეო პოლიტიკის ველში „ევროპა _ ნორმატიული ძალის“ თეორია თვლის, რომ ვინაიდან 1950 -იანი წლებიდან მოყოლებული ევროპა მუდმივად ფართოვდება, ახალ წევრ ქვეყნებში ზემოხსენებული ფასეულობები და ღირებულებები იმ სტანდარტით არ არის დაცული და ცხოვრებაში გატარებული, როგორც ევროპაში და ამიტომ ევროკავშირმა ხელი უნდა შეუწყოს და მოსთხოვოს ახალ წევრ ქვეყნებს, ევრო-კავშირის ძირეული ფასეულობები დაიცვან პირნათლად და ამის კვალდაკვალ სრულად ინტეგრირდნენ ევროპულ ოჯახში. გარდა ახალ წევრ ქვეყნებზე ზრუნვისა, ამ თეორიის მიხედვით ევრო-კავშირის საერთაშორისო სისტემაში როლის განსამტკიცებლად კრიტიკულად აუცილებელია რათა ბრიუსელმა და გაერთიანების წამყვანმა სახელმწიფოებმა ხელი

¹⁹ Manners, I. (2006). Normative power Europe reconsidered: beyond the crossroads. *Journal of European Public Policy* , 182-190.

შეუწყონ ევრო-კავშირის მეზობელი სივრცეების და პირველ რიგში აღმოსავლეთ ევროპის ევროკავშირის წევრობის მიღმა დარჩენილი ქვეყნების ფასეულობითი და ღირებულებითი თვალსაზრისით ევრო-კავშირთან დაახლოებას და ამ ქვეყნებში შესაბამისი პოლიტიკების წახალისებას. ამ გზაზე კი აღმოსავლეთ პარტნიორობის პროგრამის შესაძლებლობები სრულად უნდა იქნეს გამოყენებული. ამავე თეორიის მიხედვით აღმოსავლეთ ევროპის ევრო-კავშირთან ინტეგრაცია იმისთვისაცაა აუცილებელი, რომ ევრო-კავშირის ფასეულობების დაცვის არეალი გაფართოვდეს ნაცვლად პოტენციურად ევრო-კავშირთან უცხო და მიუღებელი პოლიტიკური ძალის მოახლოებისა.²⁰

ნაშრომის მიზნებისა და მეთოდოლოგიის გათვალისწინებით, რელევანტური მეცნიერული ნაშრომების მასშტაბი ვიწროვდება 21-ე საუკუნის დასაწყისიდან 2018 წლამდე შექმნილ ლიტერატურამდე. რუსეთ-ჩინეთის ურთიერთობების თეორიული ანალიზი ერთ-ერთი ყველაზე ფართო განხილვის საგანია თანამედროვე საერთაშორისო ურთიერთობების მკვლევარებს შორის. ამ თავში განხილული ლიტერატურა, სწორედ ამ უკანასკნელი საკითხის მრავალმხრივ გამოუქებაზე იქნება ორიენტირებული. თუმცა, მნიშვნელოვანია ჩინეთის ზოგადი საგარეო პოლიტიკური მახასიათებლებისა და მიდობილი ძალის შესახებ შექმნილი ლიტერატურის მიმოხილვაც. 21-ე საუკუნეში ჩინეთი მსოფლიოს სხვადასხვა რეგიონში გავლენის მოსაპოვებლად სხვა დიდი ძალებისთვის დამახასიათებელ ხისტ მეთოდებს არ იყენებს. შესაბამისად, რბილ ძალასთან დაკავშირებული ნარატივი ყველაზე ხშირად დომინირებს მისი წარმოჩენა საჭიროა ფართო კონტექსტის გასაანალიზებლად.

ჩინეთის საგარეო პოლიტიკის ზოგად და ყოვლისმომცველ ნაშრომს მიეკუთვნება 2015 წელს გამოცემული წიგნი - „შესავალი ჩინეთის საგარეო პოლიტიკაში“, რომელიც ხსნის თუ ვინ და რა ქმნის ჩინეთის საგარეო პოლიტიკას 21-ე საუკუნეში და როგორ ურთიერთობს იგი სხვადასხვა საერთაშორისო და საშინაო აქტორებთან. ასევე, მიმოხილავს თანამედროვე ჩინეთის საერთაშორისო ურთიერთობების მთავარ საკითხებს, გამოწვევებსა და მახასიათებლებს (Lanteigne, 2015). ზოგადი ხასიათის ნაშრომებიდან აღსანიშნავია ჩინეთის გამორჩეული მკვლევარების ესეების კრებული, რომელიც მოიცავს ისეთ საკითხებს, როგორცაა საგარეო პოლიტიკის წარმოებაში ლიდერების, კვლევითი ინსტიტუტების, ეროვნული იდენტობისა და სხვა ფაქტორების როლი (Rozman, 2012). ერთ-ერთი ყველაზე უახლესი წიგნი, რომელიც ჩინეთის თანამედროვე დიპლომატიის ანალიზს ეძღვნება ჩინეთს ახასიათებს, როგორც რეგიონულ და გლობალურ სუპერ-ძალას, რომელიც ერთდროულად უნდა გაუმკლავდეს საერთაშორისო წნეხსა, უამრავ შესაძლებლობებსა და პასუხისმგებლობებს (Qu & Dzong, 2018). წიგნში მოცემულია 1980 წლიდან 2018 წლამდე

ჩინეთის დიპლომატიური სტრატეგიების გარდაქმნისა და განვითარების ფაზები, რომელიც, ავტორების აზრით, ყოველ 10 წელიწადში ერთხელ იცვლება, რათა მოერგოს ცვალებად საერთაშორისო გამოწვევებს. მაგალითისთვის, თუ 1980-იან წლებში ჩინეთი მისდევდა „მიუმხრობლობის“ პოლიტიკას, რათა შეექმნა მაქსიმალურად კომფორტული გარემო ახალი რეფორმების გასატარებლად, 1990-იან წლებში შედარებით ჩაიკეტა და სოციალიზმის გზას მშვიდად მიუყვებოდა, თავიდან იცილებდა ახალი მტრების გაჩენას. თანამედროვე პერიოდს კი ავტორები ახასიათებენ, როგორც ჩინეთში ეროვნული ძალის და საერთაშორისო სტატუსის განმტკიცების ხანას, როცა ჩინეთი დგამს „პოზიტიურ ნაბიჯებს“, რათა უფრო მეტად გააქტიურდეს საერთაშორისო პოლიტიკურ პროცესებში.

ჩინეთის რბილი ძალის შესახებ ერთ-ერთი პირველი და კომპლექსური მონოგრაფია ეკუთვნის ჯომუა კურლანციკს (Kurlantzick, 2007). ავტორი აღწერს რბილი ძალის სხვადასხვა ტექნიკებს - დიპლომატიას, სავაჭრო ურთიერთობების განვითარებას, კულტურულ და საგანმანათლებლო გაცვლით პროგრამებს, რომლის მიზანიცაა წარმოაჩინოს ჩინეთის, როგორც სოციალური და ეკონომიკური წარმატების მაგალითი, რომელიც, ამავდროულად ახერხებს საერთაშორისო კავშირების დამყარებას. სწორედ ჯომუა კურლანციკსმა შემოიტანა ახალი ტერმინი "charm offensive", როგორც კრებითი სახელი ჩინეთის სპეციფიკური საგარეო პოლიტიკის აქტივობების აღსაწერად.

თანამედროვე ანალიზის მხრივ, ასევე, საინტერესოა თავად რბილი ძალის დამფუძნებელი მამის - ჯოსეფ ნაის ნააზრევი ჩინეთის რბილ ძალასთან დაკავშირებით. ნაის აზრით, ჩინეთის ერთ-ერთი მთავარი სტრატეგია მისი კულტურის პოპულარიზაციაა, კერძოდ - კონფუციანისტური ინსტიტუტებისა და ჩინური მედიის ინტერნაციონალაზიაში ინვესტირება. რბილი ძალის დემონსტრირების სხვა წყაროებს შორის ნაი ასახელებს კონკრეტულ საჯარო პოლიტიკურ გადაწყვეტილებებს, ჩინეთის იმ ეკონომიკურ წარმატებას, რასაც მან ბოლო დეკადებში მიაღწია და იმასაც, თუ როგორ იმართება ქვეყანა შიგნიდან. თუმცა, ამ უკანასკნელს ისევ და ისევ უფრო მეტი ეკონომიკური მომხიბვლელიობა აქვს, ვიდრე პოლიტიკური. (Nye, 2016)

ცივი ომის შემდგომი ჩინეთ-რუსეთის ურთიერთობის ბუნება საერთაშორისო ურთიერთობების მკვლევარებისთვის ერთ-ერთი ცენტრალური საკითხი და ფართო დებატების საგანია. საბოლოოდ, სხვადასხვა წარმომოხისა და სხვადასხვა დროს შექმნილი ლიტერატურის ანალიზის შედეგად, შეგვიძლია დავასკვნათ, რომ მკვლევარები ამ საკითხს ორ განსხვავებულ პრიზმაში განიხილავენ. პირველი ჯგუფი იზიარებს ე.წ. „მომგებიანი/მოსახერხებელი ღერძის“ (*Axis of Convenience*) ნარატივს. ტერმინის ავტორი 2009 წელს გამოცემული წიგნის - „რუსეთი და ახალი მსოფლიო წესრიგი“ - ავტორი ბობო ლოა. (Lo, 2015) უფრო ადრინდელ ლიტერატურაშიც გამოყენებულია მსგავსი ტერმინები, მაგალითად „მომგებიანი ქორწინება“. (Azizan, 2003)

მომგებიანი თანამშრომლობის ღერძის ნარატივის მიმდევრებისთვის, რუსეთ-ჩინეთის ურთიერთობა პრაგმატული, ფრაგმენტული და საერთო ინტერესებზე დაფუძნებული კავშირია, რომელსაც საფუძვლად არ უდევს საერთო ღირებულებები ან გაზიარებული სტრატეგიული მიზნები. ამასთან, როგორც ბობო ლო აღნიშნავს, ორი ქვეყნის დამოკიდებულება საერთაშორისო სისტემის მიმართ დიამეტრალურად განსხვავებულია (Lo, 2016, p. 13)

ჩინეთს, რუსეთისგან განსხვავებით, არ სურს არსებული სისტემის დანგრევა და სურს რომ მის სასარგებლოდ შემოატრიალოს ის. მაგალითისთვის, პეკინი, მოსკოვისგან განსხვავებით არ არის დაინტერესებული ევროკავშირის დასუსტებით, პირიქით - იგი ხშირ შემთხვევაში სარგებლობს მასთან ვაჭრობით, აშშ-სთან გაუარესებული ეკონომიკური ურთიერთობის ფონზე. მსგავსად, კაზმარსკი აღნიშნავს, რომ პეკინი დაინტერესებულია მეტად სტაბილური საერთაშორისო გარემოთი, სადაც იგი შეძლებს თავისი ეკონომიკური ინტერესების გაფართოებას მაშინ, როცა მოსკოვმა არაერთხელ დაამტკიცა, რომ ამ მხრივ იგი მიისწარფვის არასტაბილურობისა და მსხვერვალობისკენ (Kaczmarek, 2016).

რუსეთ-ჩინეთის ურთიერთობება მკვლევართა მეორე ჯგუფისთვის ინტერპრეტირდება, როგორც სტრატეგიული პარტნიორობა. აღსანიშნავია, რომ ამ ნარატივს, ძირითადად, გავლენიანი რუსი და ჩინელი ექსპერტები ავითარებენ. ორივე ქვეყნის პოლიტიკური ელიტის წარმომადგენლები თვლიან, რომ სტრატეგიული

პარტნიორობის მთავარი მამოძრავებელი ძალა ენერგო რესურსებით ვაჭრობაა. ამ მოსაზრებების გასამყარებლად ისინი 2006 წელს რუსეთსა და პეკინს შორის გამოფრმებულ შეთანხმებასაც იშველიებენ, რომელმაც ნავთობის, ბუნებრივი აირის, ელექტროენერჯისა და ატომური ენერჯის სფეროში მომავალ თანამშრომლობას ჩაუყარა საფუძველი. 2009 წელს იგი 100 მილიარდიანი სანავთობო შეთანხმებით გამყარდა. ამ სტრატეგიული პარტნიორობას ისიც ამყარებს, რომ რუსეთისა და ჩინეთის მიერ გაზიარებული სასაზღვრო ხაზი მოხერხებული გზაა ბუნებრივი რესურსებით ვაჭრობის უზრუნველსაყოფად და რთულია მოიძებნოს მესამე ქვეყანა, რომელიც ამ პროცესში ჩაებმება. დიმიტრი ტრენინის მიხედვით, სწორედ ამაზეა დამყარებული პეკინის აზრი იმის შესახებ, რომ მხოლოდ რუსეთი შეიძლება იყოს „გულწრფელი სტრატეგიული პარტნიორი“ მაშინ როცა სხვა ქვეყნები ჩინეთს აღიქვამენ როგორც პარტნიორად, ასევე კონკურენტად. (Blank, 2011, p. 78)

ევრაზიის ეკონომიკური კავშირისა და სარტყლისა და გზის ინიციატივის ინტეგრაციის საკითხთან მიმართებაშიც განსხვავებული მოსაზრებები იკვეთება. მკვლევართა ნაწილი ამ ორ პროექტს აპრიორი კონკურენტებად აღიქვამს და ცენტრალურ აზიაში ინტერესთა შეჯახების ფონზე სამომავლო კონფლიქტსაც არ გამორიცხავს. სხვათა აზრით, პეკინისა და რუსეთის დაახლოვება, მათ შორის ამ ორი პროექტის ინტეგრაციისა და მასთან დაკავშირებული დიპლომატიური აქტივობების ფონზე ხორცი ესხმება „დიდი ევრაზიის“ (Greater Eurasia) იდეას. (Escobar, 2018)

ამ დიამეტრალურად განსხვავებულ და შეიძლება ითქვას რადიკალური მოსაზრებების გარდა გვხვდება, შედარებით, ნეიტრალური პოზიციიდან შექმნილი ლიტერატურა. მაგალითისთვის, ფრიდრიხ ებერტის ფონდის ანალიტიკური ნაშრომი - „ევრაზიის ეკონომიკური კავშირი და აბრეშუმის გზის ეკონომიკური სარტყელი: შეჯიბრი თუ შერწყმა?“ ავითარებს აზრს იმის შესახებ, რომ ორი პროექტი ერთმანეთს კიდევ ეთავსება და კონკურენციასაც უწევს და ეს დამოკიდებულია კოლაბორაციის სფეროზე. ამასთან, ორივე პროექტი პირდაპირი თუ ირიბად აერთიანებს შუა აზიის ქვეყნებს და მოაზილიზებს მათ დიდი ძალების მიზნების განსახორციელებლად - ევრაზიის კონტინენტის დაკავშირებულობის გაზრდისთვის. ამ ანალიზის მიხედვით,

ამ მიზნის განსახორციელებლად რუსეთისა და ჩინეთის ინიციატივებს ყველაზე მთავარი - კარგად ფუნქციონირებადი რეგიონული მექანიზმი არ აქვთ (Gusarova, Aminjonov and Khon, 2017) თავად რეგიონის ქვეყნების ერთმანეთთან ეფექტური ინტეგრაციის გარეშე კი ეს პროექტები რთული განსახორციელებელი იქნება.

საერთაშორისო კრიზისის ჯგუფის მიერ გამოქვეყნებულ ანგარიშში ნათქვამია, რომ BRI-ის მიზანია სატრანსპორტო ინფრასტრუქტურის განვითარება და უფრო მარტივი სავაჭრო გზების შენება, რომელიც ჩინეთისთვის ექსპორტსა და მის მიერ ენერგორესურსებზე წვდომას გაამარტივებს. EEU კი საბაჟო კავშირია, რომელიც საიმპორტო გადასახადებს უზრდის კავშირის არაწევრს ქვეყნებს, ცდილობს სხვა ბლოკებთან, მაგალითად, ევროკავშირთან ეკონომიკური ურთიერთობების დამყარებას და რუსეთის გავლენის ლეგიტიმაციის ერთ-ერთი ინსტრუმენტია. მიუხედავად ამისა, გეოპოლიტიკურმა რეალობამ აიძულა ორივე ქვეყანა, რომ ერთმანეთთან ეთანამშრომლათ.

რუსეთს სჭირდება ჩინეთთან პოზიტიური ურთიერთობის შენარჩუნება რათა დააბალანსოს დასავლეთთან გართულებული პრობლემები. ჩინეთი კი აზიის რეგიონში რუსეთის ისტორიულ როლს და უსაფრთხოების სფეროში მის დომინირებას აღიარებს. ანგარიშის მიხედვით, ორივე სახელმწიფოს მოწოდებაა ევრაზიის კონტინენტზე აშშ-ის გავლენის შეკავება და ეს საკმარისი მიზეზია იმისთვის, რომ პოტენციური უთანხმოებები მოაგვარონ (International Crisis Group, 2017).

საინტერესოა და ცალკე უნდა გამოვყოთ ის თუ, როგორ აღიქმება ამ ურთიერთობის ბუნება თავად ჩინელი მკვლევარების მხრიდან. ამ მხრივ აღსანიშნავია ის, რომ ავტორიტარული სახელმწიფოს აკადემიური ავანგარდიც კი სახელმწიფოს მიერ გაცხადებული პოლიტიკის ნარატივს მიჰყვება. ჩინელი მკვლევარების აზრით მიუხედავად იმისა, რომ პეკინმა და მოსკოვმა აზიაში რეგიონული სტრატეგიის განსხვავებული გეგმები წარმოადგინეს, ეს ორი პროექტი (BRI და EEU) ერთმანეთს არ ეწინააღმდეგება. კონკურენტული სფეროების დარეგულირება კი მათ წარმატებით მოახერხეს. „რუსეთის მიერ დაინიცირებული ევრაზიის ეკონომიკური გაერთიანება მისი ისტორიული მემკვიდრეობაა და არა ჩინეთის პოლიტიკის საპირწონედ შემუშავებული

გეგმა. ჩინეთის მიერ რესურსების ძიებისა და ეკონომიკური თანამშრომლობისკენ სწრაფვა ცენტრალურ აზიაში კი შიდა ეკონომიკური მოთხოვნების შედეგია და არა რუსეთის განზრახ გზიდან ჩამოშორების“ - ვკითხულობ ფუდანის უნივერსიტეტის წამყვანი მკვლევარის სტატიაში (Huasheng, 2013).

4. თანამედროვე ჩინეთის საგარეო პოლიტიკის ბუნება

ჩინეთის სახალხო რესპუბლიკის საგარეო პოლიტიკაზე დაკვირვება მრავალ სირთულესთან არის დაკავშირებული. პირველ რიგში, დასავლური ქვეყნებისგან განსხვავებით, ინფორმაციის მოპოვება პოლიტიკის შემქმნელი აგენტებსა და სტრუქტურაზე შეზღუდულია ინფორმაციის ღია წყაროების ლიმიტირებული რაოდენობის გამო. ამას გარდა, ელიტური და ერთპარტიული მმართველობის პირობებში, შიდა და საგარეო აქტორების გავლენები ერთმანეთშია გადახლართული. ჩინეთის სახალხო რესპუბლიკის პირველი ორ ლიდერს - მაო ძედუნსა და დენ სიაოპინგს - ძალაუფლება იმ დონემდე ჰქონდათ კონსოლიდირებული, რომ საშინაო და საგარეო არენაზე პოლიტიკის ფორმირება მათ გარშემო ბრუნავდა და უკიდურესად ცენტრალიზებული იყო. მათი მმართველობის შემდგომმა პერიოდმა აჩვენა, რომ ერთ ლიდერზე ორიენტირებული საგარეო-პოლიტიკური გადაწყვეტილებების მიღების ერა დასრულდა და საჭირო იყო ამ პროცესის გაფართოება საერთაშორისო, სხვადასხვა მინისტრიალების და, თუნდაც, ბიუროკრატიული კონსულტაციების დონეებზეც. ამასთან, არასახელმწიფო აქტორებმა - ბიზნესებმა, არასამთავრობო ორგანიზაციებმა, ლობისტურმა ჯგუფებმა მეტად მნიშვნელოვანი აქტორების ამპლუაში გადაინაცვლეს. გლობალიზაციამ და მისმა თანმდევემა პროცესებმა ჩინეთის საგარეო პოლიტიკას გამჭვირვალობის ელემენტების შესძინა. მიუხედავად ამისა, ვერსად გავექცევით ჩინეთის დომინანტ პოლიტიკურ ბუნებას - პარტიას, რომელიც ქმნის და მართავს სახელმწიფოს ძალაუფლების ბირთვს და მისგან მომდინარე გადაწყვეტილებებს.

2000-იანი წლებში ჰუ ძინ ტაო ქვეყნის სათავეში მოსვლის შემდგომ რბილი ძალით დაინტერესდა, რადგან აშკარა იყო ქვეყნის ტრანსფორმაცია რეგიონული ძალიდან გლობალური ძალისკენ, რომელიც დამყარებული იქნებოდა არა მხოლოდ ეკონომიკურ და სამხედრო ძალაზე, არამედ ექნებოდა ჩინეთის მიმართ ალტაცების გამოწვევისა და მიზამვის ელემენტები - რაც რბილი ძალის სწორი რეალიზებით მიიღწეოდა. ამისთვის, საჭირო იყო რაღაც დონეზე დასავლური რბილი ძალის დაბალანსება, არა მხოლოდ საგარეო ასპარეზზე, არამედ, პირველ რიგში, ქვეყნის შიგნით. იმთავითვე ჩამოყალიბდა

ჩინეთის რბილი ძალის ასპექტები, რომელსაც ჩინეთის ერთ-ერთი გავლენიანი თანამდროვე მკვლევარი ამგვარად აღწერს (Economy, 2016) :

1. რბილი ძალის კონტენტის შექმნა - პოლიტიკური პრინციპებსა თუ იდეებსა და ღირებულებებზე დაფუძნებული, რომელიც საერთო იყო ჩინელებისთვის და რომლის ექსპორტიც შესაძლებელია. ბოლო ორი დეკადის მანძილზე ვხედავთ იდეებს, რომელიც დაკავშირებულია „მშვიდობიან განვითარებასთან“, „ჰარმონიულ საზოგადოებასთან“, სი ძინ პინის „ჩინური ოცნებასთან“ და BRI-სთან - ანუ იმგვარი პოლიტიკური კულტურის ჩამოყალიბებასთან, რომელიც მიმზიდველი იქნება დანარჩენი მსოფლიოსთვის;
2. კულტურის ტრადიციული მონაპოვრები - ხელოვნება, მუსიკა, ლიტერატურა, კონფუციონიზმი, მედიცინა. ამისათვის ჩინეთის საგარეო პოლიტიკის შემოქმედთ უწევთ წარსულში ქექვა, რათა წინ წამოწიონ ასპექტები, რომელიც ჩინეთს მიმზიდველს ხდიდა საუკუნეების წინ;
3. მექანიზმები, რომლითაც შეუძლია ამ რბილი ძალის წარმოჩინება - ინვესტიციები ადგილობრივ მედიაში, რომ მსოფლიოს სხვადასხვა მხარეში გაავრცელონ ჩინეთისთვის მომგებიანი კონტენტი, იგივე შეიძლება ითქვას კონფუციანისტურ და კვლევითი ინსტიტუტებზე.

როგორც ზემოთ აღინიშნა, BRI სწორედ ძინ პინის „ჩინური ოცნებას“ უკავშირდება და მის ნაწილადაც შეიძლება აღიქმებოდეს. ეს ტერმინი 2013 წლიდან გახდა ჩინეთის კომუნისტური პარტიის, მედიის, მთავრობის წევრთა გამოსვლების ლაიტმოტივი და ერთგვარ სახელმწიფო დევიზად იქცა. იგი დამყარებულია სოციალიზმის იდეების სიკეთეებზე, ჩინელი ხალხის კოლექტიურ სწრაფვაზე საერთო კეთილდღეობის მისაღწევად. მსგავსი კონცეფციაა ასევე ძინ პინის პიერ გამოცხადებული „ჩინეთის სახელმწიფოს დიდი განახლება“ ("great rejuvenation of the Chinese nation") რომლის საბოლოო წერტილად 2049 წელი დასახელდა - ჩინეთის სახალხო რესპუბლიკის დაარსების ასი წლის თავი. ამ დროისთვის, ჩინეთი კიდევ ერთხელ წარმოჩნდება, როგორც გლობალური სუპერძალა (Hein, 2018).

5. ევრაზიის ეკონომიკური ინტეგრაციის პროექტები

5.1. სარტყლის და გზის ინიციატივის მიზნები

21-ე საუკუნეში მსოფლიოს წამყვანმა ძალებმა ევრაზიის კონტინენტისთვის მათთვის სასარგებლო გეგმების დაანონსება დაიწყეს. რუსეთმა ევრაზიის ეკონომიკური კავშირით განიზრახა თავის „უკანა ეზოების“ რეინტეგრაცია, ჩინეთმა კი უპრეცედენტოდ ამბიციური BRI დააანონსა. ამ მეგა პროექტების ბუნება, ნამდვილი მიზნები და მათი გავლენა ევრაზიის გეოპოლიტიკური კონფიგურაციის მიმართ ფართო განხილვის თემაა. ეს თავი წარმოაჩენს სწორედ BRI-სა და ევრაზიული კავშირის მიმოხილვას და შეეცდება წარმოაჩინოს, თუ რის მიღწევას ცდილობენ პეკინი და მოსკოვი.

BRI შედგება აბრეშუმის გზის ეკონომიკური სარტყლისა (SREB) და 21-ე საუკუნის საზღვაო აბრეშუმის გზის პროექტებისგან. პირველი მათგანი კონცენტრირებულია ცენტრალური აზიისა და აღმოსავლეთ ევროპის კონტინენტურ ქვეყნებზე, ხოლო მეორე სამხრეთ-აღმოსავლეთ აზიის საზღვაო ქვეყნებზე, სამხრეთ აზიაზე, ახლო აღმოსავლეთსა და აღმოსავლეთ აფრიკაზე. ამ მეგა პროექტმა აზია, ევროპა და აფრიკა ერთმანეთთან უნდა დააკავშიროს 5 მთავარი გზით. SREB-ის ფარგლებში ესენია: პირველი - ჩინეთის დაკავშირება ევროპასთან ცენტრალური აზიისა და რუსეთის გავლით, მეორე - ჩინეთის დაკავშირება ახლო აღმოსავლეთთან ცენტრალური აზიის გავლით, მესამე - ჩინეთსა და სამხრეთ-აღმოსავლეთ აზიის, სამხრეთ აზიისა და ინდოეთის ოკეანის დაკავშირება. საზღვაო აბრეშუმის გზა საზღვაო პორტების მეშვეობით ერთმანეთთან დააკავშირებს ჩინეთს ევროპასთან, სამხრეთ ჩინეთის ზღვისა და ინდოეთის ოკეანით, ასევე, ჩინეთს დააკავშირებს წყნარი ოკეანის სამხრეთთან, სამხრეთ ჩინეთის ზღვით. (იხილეთ დანართი 1)

ზოგადი თვალთახედვით, ჩინეთის ამ მეგაპროექტის უკან მდგარი მოტივაციების განხილვისას, ორი ძირითადი მოსაზრება იკვეთება. პეკინის მიმართ სკეპტიკურად განწყობილი ხედვით, ჩინეთი ევრაზიის ჰეგემონობისთვის ნოყიერ ნიადაგს ამზადებს

და ეს პროექტიც ამ გეგმის განხორციელების გზაზე ერთ-ერთი პირველი ნაბიჯია. მეორე ხედვა მეტად ოპტიმისტურია და, მართალია, აღიარებს ჩინეთის სწრაფვას ახალი ბაზრების ათვისებისთვის, მაგრამ ამ ინიციატივაში ჩართული ქვეყნების ეკონომიკური განვითარების რეალურ პერსპექტივასაც ხედავს. აღსანიშნავია, რომ რუსული ნარატივში, ხშირად, სწორედ უკანასკნელი მოსაზრება დომინირებს. საკითხის კვლევამ აჩვენა, რომ BRI-ის აქვს როგორც წმინდა იდეოლოგიური, ასევე სტრატეგიული და ეკონომიკური ასპექტებიც.

ის, რომ BRI არ წარმოადგენს მხოლოდ და მხოლოდ სატრანსპორტო დერეფნების ინფრასტრუქტურის განვითარების პრაგმატულ გეგმას და საფუძვლად უდევს იდეოლოგიური და საერთაშორისო ურთიერთობის მეცნიერებისთვის აქტუალური საკითხები, პროექტის სათანადო ანალიზის შემდგომ ცხადი ხდება. პირველ რიგში, ჩინეთი, ალბათ ყველაზე მეტად აღმერთებს თავის ისტორიას და ცდილობს მის მორგებას თავის ახალ დოქტრინებთან ქვეყნისთვის გადამწყვეტ მომენტებში. მაგალითად, მათ ძედუნი სამხედრო ტაქტიკის შემუშავებისას სუნ ძუს ტექნიკებს იყენებდა. 21-ე საუკუნეში კი როგორც წინა თავებში აღინიშნა, პეკინის რბილი ძალის მამომძრავებელ მთავარ ძალად კონფუციონისტური ინსტიტუტები და წარსულის გადმონაშთი კულტურული არტეფაქტები რჩება. მსგავსად, როდესაც სი ძინ პინმა ევრაზიის კონტინენტის სავაჭრო გზებითა და ინფრასტრუქტურული პროექტებით დაკავშირების ინიციატივის შესახებ განცხადება გააკეთა, ჩინეთის მკვლევარებისთვის გასაკვირი არ ყოფილა კონოტაცია „ახალი აბრეშუმის გზასთან“. „ორ ათასწლეულზე მეტი ხნის წინ, გულმოდგინე და მამაცმა ევრაზიელმა ხალხმა განავითარა სავაჭრო გზები, რომელიც ერთმანეთის კულტური გაზიარების საშუალებასაც იძლეოდა, რომელმაც ერთმანეთთან დააკავშირა აზიის, ევროპისა და აფრიკის ცივილიზაციები და რომელსაც კოლექტიური სახელი - აბრეშუმის გზა დაერქვა შემდგომი თაობების მიერ“ - ვკითხულობთ ჩინეთის ეროვნული განვითარებისა და რეფორმების კომისიის მიერ გამოქვეყნებულ ტექსტში (State Council of People’s Republic of China, 2017)

უფრო პრაგმატულ მიზეზებს შორის ექსპერტები ყურადღებას ამახვილებენ იმაზე, რომ ჩინეთის ინფრასტრუქტურული ბუმის შემდეგ, მას დაუფროვდა იმ

სექტორში მომუშავე პირთა ნამატი, რომლებიც სპეციალიზდებიან მასშტაბური ინსფრასტრუქტურული პროექტების მშენებლობაში. იგივე შეიძლება ითქვას ფოლადისა და ცემენტის მწარმოებელ კომპანიებზე, რომლებიც ამ ინფრასტრუქტურულ პროექტებს ამარაგებდნენ. 2015 წლისთვის ჩინეთზე მსოფლიოში ზედმეტად წარმოებული ფოლადის მოცულობის 50% მოდიოდა (Cooley, 2015) და აშშ-მ 2016 წლის მსოფლიო ფოლადის კრიზისზე პასუხისმგებლობა სწორედ პეკინს დააკისრა და მოუწოდა მას წარმოების შეჩერებისკენ (Blenkison, 2016) ამრიგად, პეკინისთვის ახალი აბრეშუმის გზის პროექტი იძლევა ამ პრობლემებთან გამკლავების შესაძლებლობას თავისი კონტარქტორი კომპანიებისა და სამუშაო ძალის გამოყენების კუთხით.

სხვა მოტივაციებს შორის, მნიშვნელოვანია, აღინიშნოს პეკინის სურვილი, წახალისოს სინძიანის (უიღურებით დასახლებული ავტონომიური რეგიონი ჩინეთის სამხრეთ დასავლეთით) ეკონომიკური განვითარება. ჩინეთის დასავლეთის პროვინციები, სწრაფი ეკონომიკური განვითარების სამზე მეტი დეკადის მიუხედავად, ჩინეთის სხვა პროვინციებს ჩამორჩებიან. უიღურების სეპარატისტული განწყობა და რელიგიური ექსტრემიზმთან გასამკლავებლად, სინძიანის რეგიონის ეკონომიკური გაძლიერება, პეკინისთვის კომპლექსური პრობლემის მოგვარების საშუალებაა. ამასთან, ჩინეთის „ჰარმონიული საზოგადოების“ პოლიტიკის მიხედვით, უსაფრთხოებასა და განვითარების დონეს შორის პირდაპირი კავშირია. 2015 წელს შემუშავებულ დოკუმენტშიც სინძიანზე საუბრისას აღნიშნულია, რომ ახალი აბრეშუმის გზის პროექტმა უნდა გამოიყენოს პროვინციის გეოგრაფიული უპირატესობები და აქციოს ის „მთავარ სატრანსპორტო, სავაჭრო, ლოჯისტიკურ, კულტურულ, სამეცნიერო და საგანმანათლებლო ცენტრად“ (State Council of People’s Republic of China, 2017)

მიუხედავად პროვინციის მიმართ საჯაროდ გაცხადებული გეგმებისა, მისი ეკონომიკური განვითარების გეგმა უიღურების უმთავრეს გამოწვევებსა და პრობლემებს, როგორცაა დისკრიმინაცია, რომელიც ზღუდავს მათ კულტურული და ეთნიკური თვითმყოფადობის გამოხატვას, არ ამსუბუქებს. ამასთან „არ არსებობს იმის გარანტია, რომ უიღურებზე ამ პოლიტიკიდან მომდინარე ეფექტები რაიმე სახით

ასახეობა, რადგან პროვინციაში ეკონომიკური უპირატესობა მიგრირებულ ჰან-ჩინელებს ეკუთვნით“. (Laurelle, 2018, p. 2)

5.2. რუსეთის რეგიონული ინტეგრაციის გეგმა

მეორე დიდ ევრაზიული პროექტი - ევრაზიის ეკონომიკური გაერთიანებაა, რუსეთს, ყაზახეთს, ბელორუსს, ყირგიზეთსა და სომხეთს აერთიანებს. (იხილეთ დანართი 2) კავშირს გაცხადებულ მიზნად წევრ სახელმწიფოებს შორის ეკონომიკური აქტივობების რეგულაცია და სატარიფო ბარიერების მოხსნა აქვს. ორგანიზაციის სტრუქტურა და ხასიათი ევროკავშირს უფრო მოგვაგონებს. მისი შემქმნელები აშკარად ცდილობდნენ ამ უკანასკნელის დუბლირებას. ამ პარაგრაფში წარმოდგენილი იქნება რუსეთის რეგიონული ინტეგრაციის სტრუქტურა და ხასიათი, რათა უკეთ წარმოჩნდეს ევრაზიის კონტინენტზე მისი მნიშვნელობა.

EEU, ოფიციალურად სუპრანაციონალური კავშირია, რომლის უმაღლესი ორგანოც არის უზენაესი საბჭო და იგი წევრი-სახელმწიფოების პირველი პირებისგან შედგება. მთავრობათაშორისი საბჭო კი წევრ-სახელმწიფოთა მთავრობათა თანამშრომლობის პლატფორმაა. ევრაზიის ეკონომიკური კომისია სუპრანაციონალური მარეგულირებელი ორგანოა, რომელთა წევრებიც ინიშნებიან კომისიის საბჭოსა და მრჩეველთა საბჭოს მიერ. ეკონომიკური კომისიის მთავარი ამოცანაა კავშირის საქმიანობის მხარდაჭერა და გადრმავება და ეკონომიკის დარგში ინიციატივების წარმოდგენა. ევრაზიის ეკონომიკური კავშირის სასამართლო კი უზრუნველყოფს EEU ხელშეკრულებაში გათვალისწინებული პირობებისა და დათქმების შესრულებას წევრი სახელმწიფოების მიერ (eaunion.org, 2018).

EEU, როგორც რუსეთის მიერ ცენტრალური აზიისა და ყოფილი საბჭოთა კავშირის წევრი ქვეყნების რეინტეგრაციის ერთ-ერთი ინსტრუმენტი 2014 წელს დამფუძნებელ დოკუმენტზე ხელმოწერის დროს არ შექმნილა. იგი 1991 წელს, საბჭოთა კავშირის დაშლისთანავე შექმნილი დამოუკიდებელ სახელმწიფოთა თანამეგობრობის მეტამორფოზის შედეგია და, შესაბამისად, ბევრად სცდება პრაგმატულ ეკონომიკურ მიზნებს. ევრაზიის ეკონომიკური კავშირიც, ისევე, როგორც BRI ბევრად უფრო ზოგადი

და სისტემური ხედვის ნაწილია. (იხილეთ ცხრილი 1) ევრაზიულმა კავშირმა, როგორც ეკონომიკურმა მოდელმა პირველი ფიასკო 2014 წელსვე განიცადა, როცა უკრაინის მაიდანის მოვლენებმა და შემდგომ ომმა განუსაზღვრელი დროით გადაავადა რუსეთის ევროპასთან დამაკავშირებელი უდიდესი ბაზრის ევრაზიულ ეკონომიკურ კავშირში ინტეგრაცია.

ცხრილი 1.

ხელი მოეწერა	1991 1991	1996	2000	1995–2007	2007 და 2011	2014
ძალაში შევიდა	1991	1996	2001	2010	2012	2015
ოფიციალური დოკუმენტები	დამოუკიდებელ სახელმწიფოთა თანამეგობრობის ხელშეკრულება	ეკონომიკურ და ჰუმანიტარულ სფეროებში გაზრდილი ინტეგრაციის შესახებ ხელშეკრულება	ევრაზიის ეკონომიკური საზოგადოების ხელშეკრულება	ევრაზიის საბაჟო გაერთიანებასთან დაკავშირებული ხელშეკრულებები	ევრაზიის ეკონომიკური სივრცის შექმნასთან დაკავშირებული ხელშეკრულებები	ევრაზიის ეკონომიკური კავშირის ხელშეკრულება

რაც შეეხება კავშირში გაერთიანებული შუა აზიის სახელმწიფოებთან ურთერთობის პერსპექტივებს, 2016 წლის პირველ ცხრა კვირაში რეგიონის უმსხვილესი ეკონომიკის, ყაზახეთის ვაჭრობა წევრ-ქვეყნებთან 26,5 პროცენტით დაეცა, 2015 წლის მონაცემებთან შედარებით. რუსეთის ეკონომიკური კრიზისმა და რუსული რუბლის ამერიკულ დოლართან დევალვაციამ დამატებითი პრობლემები შექმნა ყირგიზეთისთვისაც, რომლის აგრო-ინდუსტრიაც ნელ-ნელა ნადგურდება და დამოკიდებული ხდება გარე მომწოდებლებზე (International Crisis Group, 2017) ამასთან, ევრაზიის ეკონომიკურ კავშირს არ გააჩნია ისეთი სტრუქტურული ფონდები, რომელიც ყირგიზეთის მსგავს სუსტ ეკონომიკას დაეხმარებოდა სავაჭრო პოტენციალის ამაღლებაში.

შუა აზიისთვის EEU-ს პოზიტიურ მონაპოვრად ხშირად ფასდება მნიშვნელოვნად გამარტივებული ტრანზიტი. კავშირის შექმნამდე ტვირთის გადატანას

საზღვარზე ერთკვირიანი ლოდინი, ერთჯერადი ქრთამები და სხვა გართულებები სდევდა თან. ყაზახი ბიზნესმენების აზრით, სწორედ ამ ბარიერების გაქრობაა კავშირის მთავარი მონაპოვარი. ამისდა მიუხედავად, ყაზახეთ-ყირგიზეთის საზღვრის ერთ-ერთ მონაკვეთზე, ადგილობრივების თქმით, ისევ მოუგვარებელია და სიტუაცია კიდევ უფრო გაუარესდა. მესაზღვრეები ისევ ითხოვენ ქრთამს და უარის შემთხვევაში აფერხებენ გადაადგილებას. (International Crisis Group, 2017)

ყირგიზეთისთვის კავშირში წევრობის ერთ-ერთ მთავარ მონაპოვრად სამუშაო ძალის რუსეთში მიგრაციის გამარტივებული მექანიზმია. ოფიციალურად, ევრაზიის ეკონომიკური კავშირის წევრი ქვეყნის მოქალაქე რუსეთში აღარ იხდის მუშაობის უფლების თვიურ გადასახადს და აღარ აბარებს რუსული ენის ტესტებს, თუმცა მიგრანტებისთვის შექმნილი სამუშაო პირობები და ოფიციალური დოკუმენტაცია რუსი დამსაქმებლების მხრიდან მოწოდების სიმაღლეზე მაინც ვერ არის. ამას ამძაფრებს რუსეთში შუა აზიელი მიგრანტების წინააღმდეგ მიმართული აგრესიული მუხტი. (International Crisis Group, 2017)

ამგვარი რეალობის მიუხედავად, კავშირის ოპონენტებს თავიანთ ქვეყნებში ანგარიშგასაწევი პოლიტიკური წონა არ აქვთ. ასეც რომ იყოს, არ არსებობს მექანიზმი, რომელიც წევრი-ქვეყნებს კავშირიდან გაიყვანს. ამდენად, ისინი „განწირულნი“ არიან წევრებად განუსაზღვრელი დროით იმის იმედით, რომ ორგანიზაცია თავის ეკონომიკურ მანდატს რამენაირად გააძლიერებს ან კიდევ ერთ ისეთ ორგანიზაციად გადაიქცევა, რომელიც მხოლოდ ფურცელზე არსებობს.

5.3. ჩინეთის გლობალური ინტეგრაციის გეგმა და შუა აზია

აბრეშუმის გზის ეკონომიკური სარტყლის (SREB) ყველაზე მნიშვნელოვანი ნაწილი სწორედ ცენტრალური აზიის სახელმწიფოებია, რომლებთანაც 2013 წლის შემდეგ უამრავი ინფრასტრუქტურულ, ენერგო, სავაჭრო ხელშეკრულებები დაიდო. ეს პარაგრაფი მოიცავს ჩინური ინვესტიციების ბუნებოსა და მიზნების წარმოჩენას შუა აზიაში.

„დაკავშირებადობა“ (Connectivity) BRI-ის ერთგვარი სლოგანია, რომელიც 24-ჯერ არის ნახსენები ჩინეთის ეროვნული განვითარებისა და რეფორმების კომისიის, საგარეო საქმეთა სამინისტროსა და ვაჭრობის სამინისტროს მიერ 2015 წელს გამოცემულ დოკუმენტში - „აბრეშუმის გზის ეკონომიკური სარტყლისა და 21-ე საუკუნის საზღვაო აბრეშუმის გზის საერთო მშენებლობის ხედვები და სამოქმედო გეგმა“. დაკავშირებადობა გულისხმობს არა მხოლოდ სატრანსპორტო, საკომუნიკაციო და ენერჯო ინფრასტრუქტურის განვითარებას, არამედ სხვადასხვა სახის ინფორმაციის მიმოცვლას, სავაჭრო და საინვესტიციო ბარიერების მოხსნას და თანამშრომლობას ფინანსური რეგულაციების სფეროში. მსოფლიოს სხვადასხვა კუთხის ერთმანეთთან დაკავშირებას პეკინი პირდაპირ უკავშირებს ეკონომიკურ განვითარებას, ხოლო ამ უკანასკნელს უსაფრთხოებასა და სტაბილურობასთან, მათ შორის შუა აზიაში (ChinaDaily, 2014).

დაკავშირებადობის ამ მრავალმხრივ გეგმაში, ჩინეთის პრიორიტეტს არ წარმოადგენს მოკლევადიანი მოგების მიღება. მაგალითისთვის, ის ელოდება რომ ცენტრალურ აზიაში განხორციელებული ინვესტიციების 30%-ს დაკარგავს (Miller, 2017). ამისდა მიუხედავად იგი აგრძელებს გზების, ხიდების, გვირაბების, ჩქაროსნული მატარებლებისთვის რკინიგზის მშენებლობას და იბრძვის იმისთვის, რომ მთელი ეს ქსელი უფრო დაუახლოვოს ევროპას.

ზოგადად, ჩინეთის ინვესტიციები ცენტრალურ აზიაში არახალია. SREB, პრაქტიკაში, წარმოადგენს რეგიონში უკვე არსებული ეკონომიკური პოლიტიკის გაფართოვებას და მის ხელახალ შეფუთვას, როგორც მეტად გლობალური, და win-win პროექტების ერთობლიობა. ამაზე მიუთითებს ისიც, რომ ინიციატივის გამოცხადებამდე დასრულებული პროექტებიც კი ამ გლობალური პროექტის ნაწილად გამოცხადდა.

ცენტრალურ აზიაში ყაზახეთი BRI-ისთვის ყველაზე მნიშვნელოვანი სახელმწიფოა. პროექტის შესახებ ასტანაში გამოცხადებაც, ნაწილობრივ, ამ ფაქტზე მიუთითებს. მისი მნიშვნელობა ბუნებრივიცაა მისი სიდიდის, რესურსებისა სიმდიდრისა და გეოგრაფიული მდებარეობის გათვალისწინებით. ყაზახეთს ყველაზე

დიდი პოტენციალი აქვს, როგორც ტრანზიტულ სახელმწიფოს დასავლეთ ჩინეთის დაკავშირებისთვის ევროპასა და ახლო აღმოსავლეთთან. ამასთან, ასტანას, Nurly Zhol-ის სახელით ცნობილი საკუთარი გეგმაც აქვს, რომელიც სატრანსპორტო და ლოჯისტიკური ინფრასტრუქტურის მოდერნიზებას გულისხმობს (Government of the Republic of Kazakhstan, 2018) აღსანიშნავია, რომ ყაზახეთში, ინფრასტრუქტურული პროექტების დიდი ნაწილი უკვე დასრულებულია. მაგალითად, ცენტრალური აზიისა და ჩინეთის დამაკავშირებელი გაზსადენის მშენებლობა 2014 წელს დასრულდა. ჩრდილო-დასავლეთ ჩინეთის ქალაქ ალშანკოუზე (Alashankou) გამავალი ჩინეთ-ყაზახეთის რკინიგზა კი პეკინის ინვესტიციების შედეგად ეკონომიკურად ისე განვითარდა, რომ 2014-2018 წლებში მოსახლეობა გასამმაგდა და 2016 წლის მონაცემებით ქალაქში 1220-მა ევროპისკენ მიმავალმა მატარებელმა გაიარა (Moss, 2017)

აღსანიშნავია, რომ SREB-ისთვის უმნიშვნელოვანესი ცენტრალური „პორტი“ ხორგოსი სწორედ ყაზახეთისა და რუსეთის საზღვარზე მდებარეობს. ეს ადგილი ყველაზე კარგად ასახავს ჩინეთის მეგა-პროექტის სიმბოლურ, იდეოლოგიურ და პრაქტიკულ დატვირთვას. ჩინეთის უმსხვილესი გადამზიდი კომპანია COSCO (China Ocean Shipping Company) მილიარდობით დოლარს ახანდებს და ყიდულობს პორტებს საბრძნეთსა და მსოფლიოს სხვა ზღვისპირა ქვეყნებში, თუმცა ამ მხირვ ხორგოსი საკმაოდ საინტერესოა, რადგან უახლესი ოკეანე მისგან 2500 კილომეტრშიც კი ვერ მოიძებნება COSCOმ 2017 წლის ზაფხულში ევრაზიის მიუწვდომლობის პოლუსის გარემემო მდებარე ტერიტორიაში მსხვილი ინვესტირება განახორციელა. ხორგოსის „პორტში“ ჩინური ამწეებით გემების ნაცვლად მატარებლები იტვირთება და „უდაბნო, რომელიც ლიანდაგების ხაზებისა და საწყობების უდაბნოა, ჩინეთისა და ყაზახეთისთვის გლობალური ვაჭრობის ახალ ფრონტად წარმოჩნდება.“ (Higgins, 2018)

პორტების გარემემო, ისტორიულად, შენდებოდა და ვითარდებოდა ქალაქები, ინფრასტრუქტურა და ეს ყველაფერი იზიდავდა მოსახლეობას, აქტიურებდა ეკონომიკურ საქმიანობას. ამ „მშრალი პორტის“ ბაზაზეც აშენდა ახალი ქალაქი ნურკენტი, სულ რაღაც 1200 მოსახლით, თუმცა სამომავლო ინვესტიციების გათვალისწინებით, მზარდი პოტენციალით. სიმბოლურია, რომ ხორგოსის პორტის

ჩრდილოეთით, 1969 წელს ჩინეთისა და სსრკ-ის ჯარები ერთმანეთს დაუპირისპირდნენ, დღეს კი იგი ჩინეთიდან ევროპის მიმართულებით ერთ-ერთი ყველაზე სწრაფი სავაჭრო გზის საკვანძო ადგილია.

რაც შეეხება ტაჯიკეთს, რომელიც ცენტრალური აზიის სახელმწიფოებს შორის ჰუმანური განვითარების ინდექსის (“Human Development Index and its components” 2018) ყველაზე დაბალი მაჩვენებლით და ყველაზე არასახარბიელო რელიეფით გამოირჩევა, პროექტში ინტეგრაციის გზაზე ყველაზე დიდი სირთულეებს აწყდება. აქ BRI-ის მრავალფეროვანი პროექტები აქვს უკვე განხორციელებული და დაგეგმილი დაწყებული გზებითა და რკინიგზით, დამთავრებული საგზაო კამერების სისტემით. ამ უკანასკნელთან დაკავშირებითაც ჩინეთი 2017 წლის მიწურულიდან საერთაშორისო სკანდალშია გახვეული, რომელიც პეკინის მხრიდან მასობრივი სათვალთვალო ქსელის მეშვეობით მოქალაქეთა კონტროლს უკავშირდება (Ma, 2018).

ტაჯიკეთში ჩინეთმა ჩაანაცვლა რუსეთი, როგორც ყველაზე მსხვილი ინვესტორი, თუმცა ამ ქვეყნის მაგალითზე ყველაზე ნათლად ჩანს ის, რომ პეკინი თავისი მეგაპროექტით მასპინძელი ქვეყნის ეკონომიკურ განვითარებაზე სულაც არ ზრუნავს. პირველ რიგში, ჩინური კომპანიები ტაჯიკეთში, ძირითადად ჩინელ მუშახელს ქირაობს. ეს იმ ქვეყანაზე, რომელიც მსოფლიოში ყველაზე მეტად არის დამოკიდებული რემისიებზე, დამატებით დარტყმას წარმოადგენს და ჩინეთი ამ გარემოებით სარგებლობს, ნაცვლად იმისა, რომ წაახალისოს ადგილობრივთა დასაქმება. ამას გარდა, პეკინმა შეისყიდა 1,100 კილომეტრის ფართობის ურანიუმით და ოქროთი მდიდარ მიწა ავღანეთისა და ჩინეთის საზღვარზე, რომელიც მიუყვება ისტორიულად მნიშვნელოვან, ვახანის დერეფანს. ასევე, დუშანბეში 2016 წელს ორი ელექტროსადგურის მშენებლობის სანაცვლოდ ჩინეთის ელექტრო-კომპანიას მიენიჭა ორი უმსხვილეს ოქროს მადანზე ექსკლუზიური უფლება. პეკინი აქაც საკუთარი კომპანიებისა და მუშახელის რესურსს იყენებს (Reynolds, 2018).

ჩინეთი ტაჯიკეთში ფასადურ და თავისი იმიჯის პოპულარიზაციისთვის გათვლილ პროექტებში მილიარდობით დოლარს ხარჯავს. ქვეყანაში, რომლის მთლიანი შიდა პროდუქტიც ერთ სულ მოსახლეზე ჰაიტისას უტოლდება, პეკინის

ინვესტიციებით აშენდა მსოფლიოში ყველაზე მაღალი ფლაგშტოკი, მოგვიანებით, მსოფლიოს უდიდესი მუზეუმი, ჩაის სახლი და თეატრი. 2018 წელს კი 230 მილიონი დოლარის დახარჯვა ახალი პარლამენტის მშენებლობისთვის იგეგმება (Trilling, 2013).

პეკინის ჩართულობა ყირგიზეთსა და ტაჯიკეთში აჩვენებს, რომ ჩინეთის მიერ მრავალჯერადად გამოყენებული არგუმენტი იმის შესახებ, რომ მულტიპოლარული საერთაშორისო სისტემის გულშემატკივრები არიან, ისევ და ისევ, ფაქტებით არ მყარდება. „ცენტრალურ აზიაში მომუშავე ორგანიზაციები აღნიშნავენ, რომ პეკინი მხოლოდ საკუთარი გეგმების განხორციელებაზეა ორიენტირებული და არ კოორდინირებს ისეთ ინსტიტუტებთან, როგორცაა EBRD (ევროპის რეკონსტრუქციისა და განვითარების ბანკი), EDB (ეკონომიკური განვითარების საბჭო) და OECD (ეკონომიკური თანამშრომლობისა და განვითარების ორგანიზაცია)” (Laurelle, 2018, p. 50)

ყირგიზეთში BRI-ის პროექტები სატრანსპორტო და საკომუნიკაციო ქსელების განვითარებაზეა ორიენტირებული. ჰუავეისა და China Teleco-ს პარტნიორობის შედეგად, ჰუავეიმ წამოიწყო ბიშკეკისა და ოშოს „ჭკვიან ქალაქებად“ განვითარების პროექტი, რომლის გაცხადებული მიზანიც არის ადგილობრივი მუნიციპალიტეტების ხელშეწყობა იმისათვის, რომ უკეთ გაუწიონ მონიტორინგი ქალაქის რესურსებს, გააუმჯობესონ მოძრაობა სატრანსპორტო მაგისტრალეებზე და უფრო დროული მექანიზმები შეიმუშაონ საგანგებო რეჟიმში მუშაობის დროს. მეორე მხრივ, ეს პროექტი საშუალებას იძლევა ჩინეთის სადაზვერვო სერვისები ელექტრონულად დაუკავშირდეს სამიზნე ქვეყნებს. დასაშვებია, რომ რეალურად, სწორედ ეს მიზანი იდგეს მსგავსი ტიპის თანამშრომლობის მიღმა (Laurelle, 2018).

თურქმენეთის შემთხვევაში, ენერგორესურსები, კერძოდ კი ბუნებრივი აირი წარმოადგენს ორმხრივი თანამშრომლობის მთავარ მამოძრავებელ ძალას (თურქმენული ბუნებრივი აირის ექსპორტის ნახევარზე მეტი სწორედ ჩინეთზე მოდის) და ეს ფაქტი არც BRI-ისთვის კარგავს აქტუალობას. მის ფარგლებში მთავარი პროექტი თურქმენეთ-ჩინეთის გაზსადენია, რომელსაც ოთხი სხვადასხვა ხაზი აქვს და რომელთაგანაც სამი თურქმენეთიდან უზბეკეთისა და ყაზახეთის გავლით

უკავშირდებოდა ჩინეთს. მეოთხე ხაზი კი, პეკინის გადაწყვეტილებით უზბეკეთს, ტაჯიკეთსა და ყირგიზეთს გაივლის. თუმცა, მეოთხე ხაზის მშენებლობა განუსაზღვრელ პერიოდამდე გადაიდო (Pannier, 2017).

უზბეკეთში 700-ზე მეტ ჩინური კომპანია ჩართულია ნავთობისა და გაზის ამოღების, გაზსადენების მშენებლობის, სატრანსპორტო ინსფრასტრუქტურისა და ტელეკომუნიკაციების, ირიგაციისა და ენერჯის ახალი რესურსების რეალიზაციის პროექტებში. BRI-ის ფარგლებში უზბეკეთს უფრო მეტად ლოჯისტიკური და სატრანსპორტო მაგისტრალების გამტარის ფუნქცია აქვს. 2016 წელს დასრულდა Angren–Pap რკინიგზის მშენებლობა, რომელიც ფერგანის დაბლობს ქვეყნის ცენტრალურ ნაწილთან აკავშირებს და აქვს იმის პოტენციალიც, რომ ჩინეთი უფრო მარტივად გავიდეს ცენტრალურ აზიაში და, შესაბამისად, სამხრეთ, დასავლეთ აზიასა და ევროპაში (Vakulchuk & Overland, 2018)

6. ჩინეთ-რუსეთის თანამშრომლობის ბუნება

6.1. საერთაშორისო ინსტიტუტები

21-ე საუკუნეში ჩინეთისა და რუსეთის ურთიერთობის განმსაზღვრელად საერთაშორისო არენაზე მიმდინარე მოვლენები იკვეთება, განსაკუთრებით კი აშშ-სთან მიმართებაში. 2003 წელს აშშ-ის ინტერვენციამ ერაყში გაეროს უშიშროების საბჭოს თანხმობის გარეშე და „ბოროტების ღერძის“-ს რიტორიკამ ჩინეთი და რუსეთიც კიდევ ერთხელ დაარწმუნა იმაში, რომ ორივე ქვეყნისთვის მიუღებელ, აშშ-ის დომინირებულ უნიპოლარულ სისტემაში მოუწევდათ ოპერირება. დემოკრატიის ექსპორტი ჩინეთისა და რუსეთის მეზობელ ქვეყნებში ამ უკმაყოფილებას კიდევ უფრო აღრმავებდა და ორ ქვეყანას შორის ნელნელა ყალიბდებოდა აშშ-ის დასაბალანსებლად, საერთო ინტერესებზე დაფუძნებული კავშირები. ქვეყნის ლიდერების ოფიციალური რიტორიკაც იგივე მესიჯებს აჟღერებდა - ისინი აპელირებდნენ იდებით, რომ ყველა ქვეყანას უნდა ჰქონდეს უფლება აერჩია მართვის მათთვის მიღებული პოლიტიკური წყობილება. პარაგრაფში წარმოდგენილია მაგალითები ამ პოლიტიკური წყობილების შეცვლისა თუ ოპონირების მცდელობები ჩინეთისა და რუსეთის მხრიდან საერთაშორისო ინსტიტუტების გამოყენებით.

2003 წელსვე შევიდა ძალაში შანხაის თანამშრომლობის ორგანიზაციის (SCO) ქარტია, რომელშიც ლიდერ სახელმწიფოებად მოგვევლინნენ ჩინეთი და რუსეთი. სხვა წევრებს შორის, ორგანიზაციის დაარსების დღიდან იყვნენ ყაზახეთი, ყირგიზეთი, უზბეკეთი და ტაჯიკეთი. SCO არ წარმოადგენს არც ფორმალურ ალიანსს და არც თავდაცვით ან უსაფრთხოების ორგანიზაციას. მას უფრო სადისკუსიო, მუდმივმოქმედი დიპლომატიური ფორუმის სახე აქვს, რომელიც ორიენტირებულია კონტრტერორსიტულ საქმიანობაზე. ზოგიერთი მკვლევარის აზრით, ეს ორგანიზაცია უფრო იმისთვისაც შეიქმნა, რომ პეკინსა და მოსკოვს ერთმანეთისთვის თვალყური ედევნებინათ. 2017 წელს ორგანიზაციას შეუერთდა ინდოეთი და პაკისტანი. ამრიგად, შანხაის თანამშრომლობის ორგანიზაცია პეკინისა და მოსკოვის საერთო სურვილის -

მულტიპოლარული საერთაშორისო სისტემის შექმნის ინსტიტუციურ გამოვლინებად იქცა. 2016 წელს SCO-ს ფარგლებში პეკინმა ოთხმხრივი თანამშრომლობისა და კოორდინაციის მექანიზმიც შექმნა, რომელშიც პაკისტანი, ტაჯიკეთი და ავღანეთი გაერთიანდნენ. (“China, Afghanistan, Pakistan agree to maintain regional peace, stability”, 2017). გაერთიანების პირველი შეხვედრა სინძიანში გაიმართა. ამგვარი თანამშრომლობის მექანიზმები რუსეთსა და ჩინეთს აძლევს გაფართოვებულ მანდატს რეგიონისთვის მნიშვნელოვან საკითხებზე სამჯელოდ მარავალმხივი ფორუმებსა და საერთაშორისო ორგანიზაციების მოლაპარაკების მაგიდებზე.

შანხაის თანამშრომლობის ორგანიზაციის გარდა, ჩინეთი და რუსეთი, აშშ-ის გამოკლებით, კიდევ ორ სხვა საერთაშორისო ორგანიზაციასა და საფინანსო ინსტიტუტში არიან გაერთიანებულნი. ესენია - BRICS (დამფუძნებელი წევრი-სახელმწიფოების აკრონიმი: ბრაზილია, რუსეთი, ინდოეთი, ჩინეთი, სამხრეთ აფრიკა) და AIIB (აზიის ინფრასტრუქტურის განვითარების ბანკი), რომელიც შემდეგ პარაგრაფში იქნება განხილული. „BRICS-ის ფორუმის შექმნა გლობალური მასშტაბით ახალი ინსტიტუციური კონტექსტის შექმნის მცდელობაა. წევრმა ქვეყნებმა შექმნეს ახალი განვითარების ბანკი და სარეზერვო ფონდი, ასევე მართავენ რეგულარულ შეხვედრებსა და წლიურ სამიტებს ფინანსთა სამინისტროების, ცენტრალური ბანკების ხელმძღვანელი პირების, მეცნიერების, ვაჭრობის, ტექნოლოგიებისა და ინოვაციების სამინისტროების წარმომადგენლების, ბიზნეს-სექტორის მონაწილეობით.” (Kaczmarek, 2018, p.6) მიუხედავად იმისა, რომ მოსკოვსა და ჩინეთს დიდი რესურსები არ დაუხარჯავთ BRICS-ის ინსტიტუციურ განვითარებაზე, ეს ორგანიზაცია არა-დასავლური სახელმწიფოების მიერ შექმნილი პლატფორმის თვალსაჩინო მაგალითია.

მსგავსი ორგანიზაციების წევრობა რუსეთსა და ჩინეთს საშუალებას აძლევს რეგიონულ და გლობალურ არენაზე მოქმედების უფრო ძლიერად წარმოჩენენ და ხშირად საერთო პოზიციებიც დააფიქსირონ. ეს განსაკუთრებით შეიმჩნევა გაეროს უშიშროების საბჭოს მაგალითზე, რომელიც გლობალურ დონეზე პოზიციონირების უმნიშვნელოვანესი პლატფორმაა. უშიშროების საბჭოს ფორმატის გამოყენებით, პეკინი და მოსკოვი ხშირად აფიქსირებს საერთო პოზიციას დასავლეთის მიერ

დემოკრატიული ინიციატივებისა და ადამიანის უფლებათა დაცვის მიმართულებით შემუშავებული პოლიტიკის წინააღმდეგ. ეს რეზისტენტულობა კარგად ჩანს მათ მიერ რეზოლუციების მხარდაჭერისა თუ ვეტოს დადების ხასიათში. აღსანიშნავია ის, რომ რეზოლუციის პროექტის დასაბლოკად ერთი ვეტოც საკმარისია, თუმცა 2007 წლიდან 2018 წლამდე როგორც ჩინეთმა, ასევე რუსეთმა 8 რეზოლუციას დაადო ვეტო ერთხმად. (მათ შორის, ნაშრომისთვის აქტუალურ 2014-2018 წლებში - 3-ჯერ):

- 2007 წელს, რეზოლუციის პროექტი S/2007/14 , მიანმართან დაკავშირებით;
- 2008 წელს, რეზოლუციის პროექტი S/2008/14, ზიმბაბვესთან დაკავშირებით;
- 2011 წელს, რეზოლუციის პროექტი S/2011/612 სირიასთან დაკავშირებით;
- 2012 წელს - S/2012/77 და S/2012/538 სირიასთან დაკავშირებით;
- 2014 წელს - S/2014/348, სირიასთან დაკავშირებით;
- 2016 წელს - S/2016/846, სირიასთან დაკავშირებით;
- 2017 წელს - S/2017/172, ასევე, სირიასთან დაკავშირებით.

ჩინეთმა, დამატებით 3-ჯერ გამოიყენა ვეტოს უფლება, რუსეთი საბჭოთა კავშირის დაშლის შემდგომ კი 13-ჯერ წავიდა რეზოლუციების წინააღმდეგ, დამოუკიდებლად (UN Security Council, 2018)

იმ საკითხებს შორის, რომელის მიმართაც ორ ქვეყანას სრულიად განსხვავებული ხედვები აქვს სუვერენულობისადმი მიდგომაა. ჩინეთისთვის ეს თემა სწორხაზოვანია და მისი პოლიტიკაც ამ მხრივ ერთგვაროვანია. შესაბამისად, 2008 და 2014 წლებში პეკინი რუსეთის აგრესია საქართველოსა და უკრაინის მიმართ ნეიტრალური პოზიციიდან შეხვდა. ჩინეთი არ აღიარებს „სამხრეთ ოსეთისა“ და აფხაზეთის დამოუკიდებლობას, ხოლო უკრაინასთან მიმართებაში ძინ პინმა მედიატორის როლის შეთავსებაც კი ისურვა და განაცხადა, რომ კონსტრუქციულ როლს ითამაშებს კრიზისის პოლიტიკური მოგვარების საქმეში და იმედოვნებს, რომ უკრაინა შეინარჩუნებს სოციალურ სტაბილურობასა და ეკონომიკური განვითარებას (“China's Xi says willing to help resolve Ukraine crisis”, 2017). პეკინისთვის, სწორედ ეკონომიკური განვითარებაა უსაფრთხოებისა და სტაბილურობის გარანტი. შუა აზიის ქვეყნებთან მიმართებაშიც ჩინეთი იგივე რიტორიკა აქვს.

6.2. ენერგოსექტორი

ჩინეთმა მოახერხა ის, რომ გაერდვია რუსეთის მონოპოლია ცენტრალური აზიის ბუნებრივი აირისა და ნავთობის ექსპორტზე. BRI კი მიუხედავად მის გარშემო არსებული სამართლიანი თუ ხშირად ზედმეტად სკეპტიკური კრიტიკისა მნიშვნელოვნად ამცირებს რუსულ გავლენას ამ რეგიონის ქვეყნებზე. ეს განსაკუთრებით იგრძნობა მათი „უკანა ეზოების“ ტერიტორიებზე. რუსეთისთვის ეს არის აღმოსავლეთ ევროპა და კავკასია, ჩინეთისთვის - სამხრეთ-აღმოსავლეთ აზია და სამხრეთ ჩინეთის ზღვა. ცენტრალური აზია კი ორივე მათგანის უკანა ეზოა. შესაბამისად, 2013 წელის ძინ პინის მიერ ახალი აბრეშუმის გზის ინიციატივის გამოცხადების შემდეგ, ოფიციალური პეკინი მოუთმენლად ელოდა მოსკოვის რეაქციას. კრემლი პროექტთან მიმართებაში ზოგადი კომენტარებით შემოიფარგლებოდა. სწორედ ამ პერიოდიდან დაიწყო აკადემიურ და პოლიტიკურ წრეებში იმაზე ხმამაღლა საუბარი, თუ რას მოიტანდა ორი ქვეყნის ურთიერთობისთვის ჩინეთის მეგა პროექტით გამოწვეული ძალთა ბალანსის მნიშვნელოვანი რღვევა როგორც შუა აზიის, ასევე, მთელი ევრაზიის კონტინენტზე.

ჩინეთის დომინანტური პოზიცია შუა აზიის ენერგო და ინფრასტრუქტურულ სექტორზე მოსკოვისთვის დისკომფროტის შექმნილი უნდა იყოს იმ ფონზე, როცა სულ რაღაც 10 წლის წინ რეგიონი რუსეთზე იყო დამოკიდებული თავისი რესურსების საერთაშორისო ბაზარზე ექსპორტის მხრივ. ეს გარემოება მოსკოვისთვის მისთვის ერთ-ერთი ყველაზე მნიშვნელოვან რეგიონზე გავლენის შენარჩუნების საშუალებას აძლევდა. თუმცა, 2007 წლიდან, როცა პეკინმა ცენტრალური აზიისა და ჩინეთის დამაკავშირებელი გაზსადენების მშენებლობა დაიწყო, რეგიონის რესურსების ექსპორტი რუსეთის გვერდის ავლით გახდა შესაძლებელი. აღსანიშნავია ისიც, რომ გაფართოვებული ეკონომიკური ინტერესები ცენტრალური აზიის ქვეყნებში ნიშნავდა იმას, ეკონომიკური საქმიანობის სტაბილურობის უზრუნველსაყოფად, პეკინს, უსაფრთხოების პროფილის გაზრდაც მოუწევდა იმ რეგიონში, სადაც რუსეთის

რამოდენიმე სამხედრო ბაზა დეკადების მანძილზე არსებობს. ის ფაქტი, რომ ძინ პინმა ახალი აბრეშუმის გზის შესახებ ინიციატივა ყაზახეთის დედაქალაქ ასტანაში გააჟღერა, მოსკოვისთვის დისკომფორტის შექმნის დამატებითი ფაქტორი უნდა გამხდარიყო. ყაზახეთი შუა აზიის ყველაზე დიდი და მდიდარი ქვეყანაა, რომელიც რეგიონში რუსეთის უმთავრეს პარტნიორად ითვლება.

2014 წლის უკრაინის მოვლენებმა გარდამტეხი როლი შეასრულა კრემლის პოზიციის ჩამოყალიბებაზე BRI-ის მიმართ. დასავლეთის მიერ დაწესებულმა სანქციებმა და უკრაინის, როგორც პოსტ-საბჭოთა სივრცეში სიდიდით მეორე ეკონომიკის დაკარგვამ სავაჭრო პარტნიორად, მოსკოვი ჩიხში შეიყვანა. კრემლს დასავლეთის წნეხიდან თავის დასაღწევად სხვა ქვეყნის ეკონომიკურ ორბიტაზე გადასვლა აიძულა. საბოლოოდ, 2015 წლის მარტში რუსეთი შეუერთდა აზიის ინსფრასტრუქტურის საინვესტიციო ბანკს (Gabuev, 2015), რომელიც აშშ-ის მიერ დონმირებული მსოფლიო ბანკის ალტერნატივად ითვლება, როგორც ჩინეთის მიერ საპირწონედ შექმნილი მსოფლიო ფინანსური ინსტიტუტი. თავის მხრივ, აშშ აქტიურად ცდილობდა თავისი პარტნიორების ბანკის წევრობისგან აცილებას, თუმცა მხოლოდ იაპონია და თავისი თავი „გადაარჩინა“ (Parker, 2015).

რაც შეეხება თავად რუსეთსა და ჩინეთს შორის პარტნიორობას ენერგოსექტორში, უკვე 2015 წლისთვის, რუსეთი ჩინეთისთვის ნავთობის მიმწოდებელი ნომერ პირველი ქვეყანა გახდა, გადაუსწრო რა საუდის არაბეთს. ამისდა მიუხედავად ორ ქვეყანას შორის ენერგორესურსებზე ვაჭრობის განსხვავებული პრაქტიკა შეინიშნება. მაგალითისთვის, პეკინი, მრავალრიცხოვანი მომწოდებლებისა და ამ მომწოდებლებისთვის ჩინეთის მიმზიდველი მარკეტის გათვალისწინებით, მათთან ფასებზე ვაჭრობს და, საბოლოოდ, საკმაოდ ხელსაყრელ შეთანხმებებსაც აღწევს. რუსეთი კი მიჩვეულია თვითნებურად აკონტროლოს ფასები და იმ ქვეყნებში, სადაც ენერგორესურსების ექსპორტს ეწევა, ალტერნატიული მიმწოდებლები შეუზღუდოს (Luhn, Walker, Sedghi & Rice-Oxley, 2015)

მიუხედავად ამისა, 2015 წელს რუსეთსა და ჩინეთს შორის მნიშვნელოვანი ხელშეკრულება დაიდო - 55 მილიარდი დოლარის ღირებულების „ციმბირის ენერჯის გაზსადენი“, რომელიც აღმოსავლეთ ჩინეთს მომდევნო 30 წლის მანძილზე 38 მილიარდი კუბური მეტრი მოცულობის ბუნებრივი აირით წლიურად მოამარაგებს. მეორე შეთანხმება, რომლის ფარგლებშიც ალტაიდან მომავალი გაზსადენი რესურს მიაწვდის დასავლეთ ჩინეთს ამავე წლის ნოემბერში გაფორმდა და მომდევნო 30 წლის მანძილზე წლიური 30 მილიარდი კუბური მეტრი მოცულობის ბუნებრივი აირით მომარაგების პოტენციალი აქვს (“Power of Siberia Pipeline”, 2018).

პირველი პროექტის მშენებლობა თითქმის დასრულებულია, თუმცა მეორე შეთანხმების განსახორციელებლად რუსეთის წინააღმდეგ გატარებული ეკონომიკური სანქციებისა და რუსული რუბლის გაუფასურების ფონზე, გაზპრომს ჯერჯერობით არ ყოფნის. რუსული რუბლის გაუფასურების კონტექსტში უნდა აღინიშნოს, რომ მოსკოვსაც და პეკინსაც აქვთ საერთო სურვილი, შეასუსტონ ამერიკული დოლარის, როგორც მსოფლიოს სარეზერვო ვალუტის დომინანტური პოზიცია. ამასთან, რუსეთი 2015 წლიდან იღებს ჩინურ იუანს ენერჯო რესურსების მიწოდების სანაცვლოდ, რაც, მეტწილად, ისევ და ისევ დასავლურ ფინანსურ ინსტიტუტებთან გაუარესებული ურთიერთობებითაა განპირობებული.

6.3. სამხედრო წვრთნები და კიბერუსაფრთხოება

2015 წლის მაისში რუსეთმა და ჩინეთმა ხმელთაშუა ზღვის წყლებში საერთო სამხედრო წვრთნები - საზღვაო ომის სიმულაცია - ჩაატარეს. ხმელთაშუა ზღვის სანაპიროზე არც ერთ ქვეყანას ეკუთვნის სანაპიროს ნაგლეჯიც კი. ხმელთაშუა ზღვა კი, ტრადიციულად, ჩრდილო-ატლანტიკური ალიანსის შიდა ზღვად ითვლება. ამიტომაც, ეს წვრთნები საკმაოდ პროვოკაციულ მესიჯს ატარებდა - აღმოსავლეთის ახალი, ძლევამოსილი ალიანსის კუნთების თამაში დასავლეთ ევროპის „უკანა ეზოში“. ეს

წვრთნები დასავლეთის წინააღმდეგ პოტენციური კონფლიქტის სცენარით მიმდინარეობდა.

„ადამიანები, რომლებიც ამ ორი ქვეყნის კავშირს „მოსახერხებელი კავშირის“ ნარატივში განიხილავენ, ვერ ხედავენ უფრო დიდ სურათს“ - განმარტავს გილბერტ როზმანი. მისი აზრით, პარტიორობის მსგავსი გამოვლინებები ასახავს მცდელობებს - შეიქმნას განსხვავებული სახის საერთაშორისო წესრიგი“. (Williams, 2015, paragraph 6) მიუხედავად ამისა, ორ ქვეყანას შორის სამხედრო ალიანსის ფორმალიზების შანსები საკმაოდ დაბალია და ეს მათ საჯარო რიტორიკაშიც შეიმჩნევა. პეკინი და მოსკოვი მუდმივად აფიქსირებენ მზაობას იყვნენ ერთმანეთის პარტნიორები, მაგრამ არა აპრიორი მეკავშირეები.

2018 წლის სექტემბერში რუსეთისა და ჩინეთის კიდევ ერთი, ამჯერად ბოლო დეკადების მანძილზე ყველაზე ფართომასშტაბიანი სამხედრო წვრთნები გაიმართა. ომის სიმულაციის არეალი ამჯერად აღმოსავლეთ ციმბირი იყო (“Russia and China hold the biggest military exercises for decades”, 2018) წვრთნები სახელად Vostok-2018 თითქმის ერთი კვირა გაგრძელდა და მასში ჩართული იყო 300,000-მდე რუსი ჯარისკაცი, 36 000-მდე სამხედრო ტრანსპორტი, 80 გემი, 1000-მდე საჰაერო ძალის ერთეულები, ვერტმფრენები, დრონები და 3500-მდე ჩინელი ჯარისკაცი. რამოდენიმე დღით ადრე, მინ პინისა და პუტინის შეხვედრაზე ვლადივასტოკში პუტინმა განაცხადა, რომ რუსეთსა და ჩინეთს სანდო კავშირები აქვთ პოლტიკურ, უსაფრთხოებისა და თავდაცვის სფეროებში, ხოლო კომუნისტური პარტიის პირველმა პირმა ეს გამოსვლა გაამყარა ორი ქვეყნის მეგობრობის სამომავლო გაძლიერების აღთქმით (Chita, 2018)

აღსანიშნავია, რომ მსგავს მასშტაბთან მიახლოებული სამხედრო წვრთნა ბოლოს 1981 წელს გაიმართა ვარშავის პაქტის ქვეყნების მონაწილეობით, სახელწოდებით Zapad-81 და იგი საბჭოთა დროის უდიდესი საომარი სიმულაცია იყო 150 000-მდე ჯარისკაცის მონაწილეობით. „აღმოსავლეთი - 2018“ , როგორც „დასავლეთი - 1981“-ის ერთგვარი Deja vu ბევრის გონებაში გაიელვებდა. ასევე, აქამდე ჩატარებულ

„აღმოსავლეთის“ წვრთნებში რუსეთის თეორიული მეტოქე ჩინეთი იყო, ამჯერად კი წვრთნებში ჩინეთი რუსეთის მხარეს მოგვევლინა, რაც ცალსახად მიანიშნებს ორი ქვეყნის საერთო მიზნებზე, წარმოაჩინონ უფრო მსხვილი ძალისგან მომდინარე საფრთხე და აჩვენონ მის წინააღმდეგ თანამშრომლობის მზაობა.

ამ წვრთნების ბუნებაზე CIA-ის ყოფილი ანალიტიკოსის ქრისტოფერ ჯონსონის აზრით, აშშ თავდაჯერებულია იმაში, რომ ეს ორი დიდი მეზობელი ზედმეტად არასდროს დაუხლოვდება ერთმანეთს, რადგან მათ შორის უნდობლობა მაინც არსებობს. რუსეთის გადმოსახედიდან კი, როგორც ამას კარნეგი მოსკოვი ცენტრის ანალიტიკოსი აღწერს, წვრთნებში ჩინეთის მონაწილეობა ორ მესიჯს აგზავნის. ერთი პეკინისთვის არის განკუთვნილი, ხოლო მეორე ვაშინგტონისთვის. მიუხედავად იმისა, რომ ჩინეთი და რუსეთი ფორმალური მოკავშირეები არ არიან, ჩინეთისთვის თავისი უახლესი სამხედრო ტექნოლოგიის მიყიდვით და მის ფართომასშტაბიან სამხედრო წვრთნებში მოპატიჟებით, პუტინი პეკინს აჩვენებს, რომ ჩინეთი რუსეთისთვის საფრთხედ აღარ აღიქმება. არც თუ შორეულ წარსულში, რუსეთის ლიდერები შიშისა და ეჭვის თვალთ უყურებდნენ ჩინეთის მიერ ციმბირისა და შორეული აღმოსავლეთის ათვისების პერსპექტივებს. ამის საპასუხოდ კი პეკინმა უფრო მსხვილი დაფინანსება უნდა გამოეყოს რუსეთს, რათა იგი გაუმკლავდეს ამერიკულ სანქციებს. ამავდროულად, კრემლიდან თეთრ სახლში იგზავნება სიგნალი - თუ აშშ-ს არ სურს ჩინეთ-რუსეთის უფრო მეტად დაახლოვება, ამ სანქციებით რუსეთის კუთხეში მიმწყვდევა უნდა შეწყვიტოს (Russia and China hold the biggest military exercises for decades, 2018).

რაც შეეხება კიბერუსაფრთხოების სფეროში თანამშრომლობას, მიუხედავად ჰუავეის გლობალური წარმატებისა, ორივე ქვეყნისთვის აშშ-ის დომინანტი პოზიცია ამ მხრივაც შემაწუხებელია. 2015 წლის იანვარში შანხაის თანამშრომლობის ორგანიზაციის წევრმა ქვეყნებმა გაეროს გენერალურ ასამბლეას წარუდგინეს საინფორმაციო უსაფრთხოების საერთაშორისო ქცევის წესების განახლებული ინიციატივა, რომელიც „კიბერ-სუვერენიტეტის“ დაცვის იდეას უსვამს ხაზს (Gribsby, 2015) როგორც ჩანს,

პეკინი და მოსკოვი კიბერსივრცეშიც კი აშშ-ის მიერ შევიწროვებულად გრძნობს თავს. ასევე, გარკვეული სოციალური ქსელებისა და გვერდების დაბლოკვით (ცნობილია, რომ ჩინეთს, facebook-ის და სხვა ამერიკული ქსელების ჩინური დუბლიკატები აქვს შექმნილი) ორივე ქვეყანა ცდილობს თავის სასარგებლოდ დაარეგულიროს ვირტუალური რეალობაც კი. ამასთან, ნაშრომის წინა თავებში აღნიშნული თავდაუსხმელობის პაქტი რუსეთსა და ჩინეთს შორის, რომელიც კიბერსივრცეზე ვრცელდება, ტექნოლოგიებისა ინფორმაციის გაზიარების პლატფორმასაც ქმნის, რომელიც გარე ძალის თავდასხმას მეტად რთულს გახდის.

მიუხედავად იმისა, რომ პეკინი გავლენის გაფართოვების არაკონვენციურ გზებს მიმართავს, მან თანამედროვე ტექნოლოგიების გამოყენება გლობალურ ასპარეზზე აქტიურად დაიწყო და ერთგვარ ჰიბრიდულ იარაღად აქცია. კერძოდ, ჩინეთმა დაიწყო კომუნიკაციებისა და ტექნოლოგიების გიგანტის - ჰუავეის გამოყენება ციფრული კავშირგაბმულობის ჩინური ვერსიის პოპულარიზაციის მიზნით. ეს აქტივობები სრულებითაც არ ჯდება „ჰარმონიული თანაცხოვრების“ ნარატივში. ჰუავეი 2018 წელს საერთაშორისო სკანდალში გაეხვა, როცა დეკემბერში კომპანიის დამფუძნებლის შვილი კანადაში დააპატიმრეს. სასამართლო მას აშშ-ის რამოდენიმე ბანკისთვის ჰუავეის ირანთან კავშირებზე ცრუ ინფორმაციის მიწოდებას ედავებოდა („Huawei CFO Meng Wanzhou arrested in Canada, faces extradition to United States“, 2018). თებერვალში კი აშშ-ის სადაზვერვეო კომიტეტს ჰუავეის საქმიანობასთან დაკავშირებით სადაზვერვეო სამსახურების ხელმძღვანელმა პირებმა ანგარიში წარუდგინეს. გამოძიების ფედერალური ბიუროს ხელმძღვანელმა კომიტეტს მოახსენა, რომ ამერიკელებმა თავი უნდა შეიკავონ ჰუავეის მიერ შემოთავაზებული სერვისებისა და პროდუქტების შეძენისგან. „ჩვენ ძალიან გვაწუხებს ის რისკები, რომელიც ჩვენს სატელეკომუნიკაციო სივრცეში იმგვარი კომპანიების პოზიციების გამყარებას უკავშირდება, რომლებიც არ იზიარებენ ჩვენს ღირებულებებს. ეს ამ კომპანიებს საშუალებას აძლევს ინფორმაცია არაკანონიერი გზებით მოპოვონ და შეუმჩნეველად ჩაერთონ ესპიონაჟში“ (“Six top US intelligence chiefs caution against buying Huawei phones“, 2018). აღსანიშნავია, რომ ევროპის რამოდენიმე სახელმწიფომ სრულად ან ნაწილობრივ აკრძალა სამთავრობო

უწყებებში ჰუავეის მობილური ტელეფონების გამოყენება (“Poland detains employee of Chinese tech giant Huawei on spying charges”, 2019).

თუ ჩინეთისთვის ჰუავეი წარმატებული ეკონომიკური ტრანსფორმაციის მოდელია და ინოვაციების, ტექნოლოგიური განვითარების სიმბოლო, დასავლეთისთვის იგი ჰიბრიდულ საფრთხეს წარმოადგენს. ეს გარემოებები კიდევ ერთხელ მიანიშნებს იმაზე, რომ ჩინეთის ამბიციები არის გლობალური და იგი მსგავსი გზებით ცდილობს ევრაზიის კონტინენტზე და მის მიღმა თავისი პოზიციების გამყარებს. BRI-ის რეალიზაციით კი მიიღწევა ვაჭრობისა და ინფორმაციის გაზიარების ეს კომპლექსური ქსელი ჩინეთის და არა ევროპისა და აშშ-ის გავლით, რაც საბოლოო ჯამში, გლობალური ძალის ცენტრის დასავლეთიდან აღმოსავლეთში გადმოტანის მიზანს ემსახურება.

6.4. არაფორმალური ალიანსი

2015 წლის მაისში ძინ პინი და პუტინი ერთმანეთს მოსკოვში შეხვდნენ და ერთმანეთს აღუთქვეს ევრაზიის ეკონომიკური კავშირისა და აბრეშუმის გზის ეკონომიკური ქამრის სინგერიის შესახებ. ეს შეხვედრა იმგვარი მოვლენათა წყებით გაგრძელდა, რომელიც რბილი დაბლანსებისთვის დამახასიათებელ არაფორმალური ალიანსის ელემენტებს შეიცავს. ეს განსაკუთრებით შეინიშნება ჩინეთის BRI-ის და პუტინის „დიდი ევრაზიის“ იდეების თანხვედრაში.

მაისში ქვეყნებს შორის 32 ორმხრივ შეთანხმება გაფორმდა, მათ შორის 6 მილიარდი აშშ დოლარის ინვესტიცია რუსეთის ქალაქთაშორისი რკინიგზის ასაშენებლად და საინფორმაციო უსაფრთხოების შესახებ შეთანხმება, რომელმაც კიბერსივრცეში „თავდაუსხმელობის პაქტის“ სახელით გაეცნო მედიას (Roth, 2015). ოფიციალური ხელმოწერის შემდგომ გამართულ პრესკონფერენციაზე პუტინმა ყურადღება გაამახვილა ორ ქვეყანას შორის ეკონომიკური თანამშრომლობის

მნიშვნელობაზე და დეტალრად აღწერა ამ სექტორებში განხორციელებული და დაგეგმილი აქტივობები, თუმცა შეხვედრის მთავარი მიზნის შესახებ საკმაოდ ბუნდოვანი მესიჯები გააუღერა. პუტინმა აღნიშნა, რომ ევრაზიის ინტეგრაციის პროექტი და SREB ერთმანეთთან ჰარმონიაშია და პროექტების გარშემო დადებული ხელშეკრულებების საბოლოო მიზანი მთელი ევრაზიის კონტინენტზე საერთო ეკონომიკური სივრცის შექმნაა. ამ ინტეგრაციასთან დაკავშირებით იდენტური მესიჯი გააუღერა ძინ პინმაც, თუმცა მან ორ ქვეყანას შორის „ახალი სახის საერთაშორისო ურთიერთობების“ ჩამოყალიბებაზეც ისაუბრა და ამ საქმეში შანხაის თანამშრომლობის ორგანიზაციასა და სხვა მულტილატერალური ინსტიტუტების მნიშვნელობაზეც გაამახვილა ყურადღება. (“Press statements following Russian-Chinese talks”, 2015) ეს მესიჯიც მინიშნებაა იმასთან დაკავშირებით, რომ რუსეთი და ჩინეთი ამ ინსტიტუტებსა და საერთო პროექტებში თანამშრომლობით მათთვის ხელსაყრელი საერთაშორისო სისტემის ჩამოყალიბებისთვის იბრძვიან.

2017 წლის მაისში პეკინში BRI-ის ფორუმი გაიმართა, რომელსაც 100-ზე მეტი ქვეყნისა და 60-ზე მეტი საერთაშორისო ორგანიზაციის წარმომადგენელი დაესწერო. ქვეყნის პირველ პირებს შორის იყო პუტინიც. აშშ-ის ახლადარჩეულმა პრეზიდენტმა დონალდ ტრამპმა ფორუმზე ეროვნული უსაფრთხოების საბჭოს აზიის განყოფილების ხელმძღვანელი მიავლინა. ფორუმზე გამოსვლის დროს ძინ პინმა კიდევ ერთხელ გაუსვა ხაზი ჰარმონიული თანაარსებობის იდეას. მისი თქმით, სარტყლისა და გზის პროექტების მეშვეობით მოიძებნება გლობალური განვითარებისა და მსოფლიოს ეკონომიკური გლობალიზაციის რე-ბალანსირების გზები (Rapoza, 2017). სიტყვებში აშკარად იგრძნობა მინიშნება იმის შესახებ, რომ მსოფლიოს სხვადასხვა რეგიონში, რომელთა ეკონომიკურ ცხოვრებაშიც აშშ დომინირებს, ჩინეთმა მისი ჩანაცვლების მზაობა გამოთქვა. მისი გამოსვლის დიდი ნაწილი ინიციატივის გამოცხადებიან 2017 წლამდე - ანუ ოთხი წლის განმავლობაში განხორციელებული პროექტების მიმოხილვას დაეთმო (Full text of President Xi's speech at opening of Belt and Road forum, 2017) ამ ტექსტშიც დაკავშირებადობა საკმაოდ ბევჯერ გამოყენებული სიტყვა იყო. ტექსტის ანალიზის შედეგად სხვა ყველაზე ხშირად გამოყენებულ სიტყვებს შორისაა

განვითრება, თანამშრომლობა, შენება, გაცვლა, მოგება, საერთო. ძინ პინის ეს გამოსვლა, საბოლოოდ, 2017 წლამდე BRI-ის გარშემო არსებულ ჩინურ სულისკვეთებას იმეორებს.

პუტინის გამოსვლა ფორუმზე სრულ თანხვედრაშია ძინ პინის ტექსტთან იმ განსხვავებით, რომ რუსეთის პირველი პირი ამ თანამშრომლობის ფარგლებში მეტ დატვირთვას ანიჭებს ევრაზიის და მომავალში მისი მნიშვნელობის გაზრდას. ამასთან დაკავშირებით პუტინმა გამოსვლის დასკვნით ნაწილიში საკმაოდ ხმამაღალი განცხადებაც გააკეთა:

„მსურს ავღნიშნო, რომ რუსეთი ამ პროექტს არ უყურებს როგორც მხოლოდ და მხოლოდ სახელმწიფოებისა და ეკონომიკების დამაკავშირებელ პლატფორმას. ამ პარტიორობამ უნდა შეცვალოს კონტინენტის ეკონომიკური და პოლიტიკური ლანდშაფტი და მოიტანოს მშვიდობა, სტაბილურობა და კეთილდღეობა ევრაზიისთვის. ნათელია, რომ ჩვენს მოქალაქეებს სჭირდებათ, რომ თავი უსაფრთხოდ იგრძნონ და ხვალინდელი დღის იმედი ჰქონდეთ, რათა გაიუმჯობესონ თავიანთი ოჯახების ეკონომიკური მდგომარეობა და ცხოვრების ხარისხი. ჩვენი მოვალეობაა ამ შესაძლებლობების განხორციელების დაცვა. ამ მხრივ, დიდი ევრაზია აბსტრაქტული გეოპოლიტიკური წყობა არ არის, არამედ ის, ყოველგვარი გადაჭარბების გარეშე, ცივილიზაციების დამაკავშირებელი პროექტია, რომელსაც დიდი მომავალია აქვს“ (Belt and Road international forum, 2017, paragraph 29-32)

პუტინმა BRI ევრაზიის ეკონომიკური კავშირს, შანხაის თანამშრომლობის ორგანიზაციისა და ASEAN-საც დაუკავშირა უფრო გაფართოვებული ევრაზიული თანამშრომლობის წარმოსაჩენად.

BRI და ევრაზიული კავშირი, ერთი შეხედვით, ერთმანეთთან იმთავითვე შეუთავსებელია. BRI-ის ხედვაა ერთმანეთთან დააკავშიროს მსოფლიოს სამ კონტინენტზე გადაჭიმული ბაზარი და შეკრას გლობალური ვაჭრობის წრე, რომლის მამომრავებელი ძალაც ჩინეთი იქნება და რომლისგანაც სარგებელს მეტწილად

პროექტში ჩართული ყველა მხარე მიიღებს. ევრაზიული კავშირი ამ მხრივ სრულად საპირისპირო იდეას ეფუძნება - შექმნას ჩაკეტილი სავაჭრო სივრცე, საიდანაც მრავალმხრივ სარგებელს უფრო მეტად რუსეთი მიიღებს, ვიდრე კავშირში გაერთიანებული სხვა ქვეყნები. ამასთან, ცენტრალური აზიის სახელმწიფოები ჩინეთთან SREB-ის ფარგლებში ორმხრივ ხელშეკრულებებს აფორმებენ და თავს არიდებენ მოსკოვის ჩართულობას მიუხედავად რუსეთის მოთხოვნისა, რომ ამგვარი ხელშეკრულებები უკვე ევრაზიის ეკონომიკური კავშირის ჩართულობით უნდა გაფორმდეს. 2015 წლიდან 2018 წლამდე არ შეინიშნება ამ ორი პროექტის ინტეგრაციისკენ გადადგმული ხელშესახები ნაბიჯები. მეტიც, არ არსებობს კოორდინაციის მექანიზმი, რომელიც მომავალ აქტივობებსა და შეთანხმებებს დაგეგმავს.

დასტურდება, რომ ამ ორი პროექტის გაერთიანებას პრაგმატული ეკონომიკური თანამშრომლობის ნიშნები არ აქვს. ეს კიდევ ერთხელ უსვამს ხაზს ნაშრომში წარმოდგენილ მოსაზრებას იმის შესახებ, რომ დიპლომატიური ფორუმები, საერთო ინსტიტუტებში გაერთიანება და ეკონომიკურ ინტეგრაციაზე საუბარი თანამშრომლობის ისეთ ფორმას მიეკუთვნება, რომელიც ამ ორ ქვეყანას ახალი საერთაშორისო სისტემის პიონერებად და დასავლეთის მიერ დომინირებული სისტემის ალტერნატივად წარმოაჩენს. ამასთან, ჩინეთი არგაცხადებულ, თუმცადა ნაშრომში წარმოჩენილ მოტივაციას შეცვალოს ჯერ ისევ დასავლური ცივილიზაციის მიერ დომინირებული საერთაშორისო სისტემა - რუსეთთან თანამშრომლობით აღწევს. რუსეთი კი აშშ-სგან მომავალ წნეხთან გასამკლავებლად, ჩინეთის მიერ შემოთავაზებული თანამშრომლობის მექანიზმებს იყენებს. შანხაის საერთაშორისო სტრატეგიისა და პოლიტიკის ანალიზის ინსტიტუტის ხელმძღვანელის სიტყვებით, პეკინი და მოსკოვი იზიარებენ სტრატეგიულ ხედვას იმის შესახებ, თუ როგორ უნდა აიცილონ აშშ-ის გავლენა ევრაზიის კონტინენტზე. „ჩინეთს, ისევე როგორც რუსეთს, არ სურს ორ ფრონტზე ომი. ამიტომაც ჩინეთი აღმოსავლეთს, ხოლო რუსეთი - დასავლეთს“ (Trofimov, 2019, paragraph 8)

მსგავსად, სერგეი კარაგანოვის აზრით, რუსეთი და ჩინეთი დე-ფაქტო პარტნიორები არიან, მიუხედავად იმისა, რომ მათ შორის ფორმალური ალიანსი მომავალში გამორიცხულია. რუსეთი ჩინეთის ეკონომიკაზე დამოკიდებული, ხოლო ჩინეთი რუსეთის გარეშე ვერასდროს შეინარჩუნებდა ძლიერ პოზიციას აშშ-სთან უკვე შეუქცევად დაპირისპირებაში (Trofimov, 2017) ვალდაის კლუბის ანგარიშში კი ვკითხულობთ: „რუსეთი, ჩინეთი ყაზახეთი და შუა აზიის სხვა ქვეყნები, ასევე ირანი, მონღოლეთი და სხვა ქვეყნები იზიარებენ საერთო საგარეო და, რიგ შემთხვევებში, საშინაო საფრთხეებს: რელიგიურ ექსტრემიზმს, გარემოსდაცვით გამოწვევებს, წყლის დეფიციტს, ნარკოტიკებით ვაჭრობას და ექსტრარეგიონული ძალების მიერ განხორციელებული პოლიტიკის უარყოფით შედეგებს (Toward the Great Ocean 3 - Creating Central Eurasia, 2015, p. 6)

ამერიკული პერსპექტივიდან, BRI წარმოადგენს ჩინეთის კომუნისტური პარტიის მცდელობას, ძირი გამოუთხაროს საერთაშორისო წესრიგის უსაფრთხოებისა და ეკონომიკურ არქიტექტურას. პეკინის ამგვარი ხელგაშლილობა და სხვადასხვა კონტინენტზე გაფართოება კი ამერიკული საერთაშორისო ინსტიტუტებისა და გავლენების ხარჯზე მიმდინარეობს (Greer, 2018). აშშ-ს ამ შიშებმა რამოდენიმე მიმართულებით ჰპოვა გამოხატულება. მაგალითისთვის, აზია-წყნარი ოკეანის ეკონომიკური თანამშრომლობის სამიტზე, ავსტრალიამ, იაპონიამ და აშშ-მ გამოაცხადეს სამმხრივი ინვესტირების ინიციატივის შესახებ, რომლის მეშვეობითაც სამხრეთ-აღმოსავლეთ აზიის ინსფრასტრუქტურულ პროექტებს დაფინანსების მზაობა გამოთქვეს. ასევე, აშშ-ჩინეთის ეკონომიკისა და უსაფრთხოების შესწავლის კომიტეტმა რეკომენდაცია გასცა დამატებითი ფონდის შესაქმნელად დამატებითი ორმხრივი დახმარების გამოსაყოფად იმ ქვეყნებისთვის, რომლებიც მოწყვლადნი არიან ჩინეთის ეკონომიკური და დიპლომატიური წნეხის მიმართ (Lee, 2018)

7. რბილი დაბალანსების თეორია

7.1. ძალთა ბალანსიდან - საფრთხის დაბალანსებამდე

სტრუქტურული ნეორალისტური სკოლის წარმომადგენლების მიხედვით სახელმწიფოები საერთაშორისო სისტემაში ოპერირებენ თვითგადარჩენიდან მსოფლიო ჰეგემონობის დიაპაზონში (Waltz, 1979) ეს მოსაზრება თავის მხრივ, ეფუძნება საერთაშორისო სისტემის ანარქიულობის შესახებ, სადაც არც ერთ სახელმწიფოს გააჩნია ლეგიტიმური ძალაუფლება მეორეზე და სადაც ყველა მათგანმა თავადვე უნდა უზრუნველყოს საკუთარი უსაფრთხოება. შესაბამისად, მირშიმერის ფორმულირების მიხედვით „საერთაშორისო სისტემა წარმოდგენილია, როგორც სასტიკი არენა, სადაც სახელმწიფოები ეძებენ და იყენებენ შესაძლებლობებს, რათა ისარგებლოს ერთმანეთით და, შესაბამისად, ცოტა მიზეზი აქვთ იმისთვის, რომ ერთმანეთს ენდონ“ (Mearsheimer 1994, p.10) ამისდა მიუხედავად, თვითდახმარების სისტემა სახელმწიფოებისთვის აპრიორი უფრო მეტად უსაფრთხო გარემოს არ ქმნის და ხშირად ქვეყნები უსაფრთხოების დილემის წინაშე აღმოჩნდებიან, რაც აქტორებს რთულ სიტუაციაში აყენებს და აიძულებს მუდმივად თვალი ეჭირონ ერთმანეთზე.

რეალიზმის სკოლის უმთავრესი ქვაკუთხედეა ძალთა ბალანსის თეორია, რომლის მიხედვითაც ზემოაღნიშნული სისტემის ბუნების გათვალისწინებით და დაუბალანსებელი სისტემის პირობებში, სახელმწიფოები ცდილობენ გაძლიერდნენ და დაუხლოვდნენ სხვა სახელმწიფოებს, რათა სისტემაში ძალთა გადანაწილება დააბალანსონ. ამიტომაც, ნებისმიერი სისტემის შემთხვევაში, არსებობს ბალანსირების ზოგადი ტენდენცია, განსაკუთრებით კი ისეთი აქტორის წინააღმდეგ, რომლსაც ჰეგემონური მისწრაფებები აქვს ან სისტემაში დომინირებას ინარჩუნებს.

ძალთა ბალანსის თეორეტიკოსებისთვის ცივი ომის ბიპოლარულმა სისტემამ ახალი რეალობა შექმნა. ამ დროისთვის, ცენტრალურ შეკითხვას წარმოადგენდა ის, თუ

რომელი სახელმწიფოები მიემხრობოდნენ აშშ-ს და რომლები - საბჭოთა კავშირს. ამის ფონზე სტივენ ვოლტმა ტრადიციული ძალთა ბანალისის თეორიის მოდიფიცირებული ვარიანტი შემოგვთავაზა, რასაც „საფრთხის ბალანსი“ დაარქვა. მან აქტორის ძალა და მისგან მომდინარე საფრთხე ერთმანეთისაგან განაცალკევა. ვოლტის განმარტებით, სახელმწიფოები, როგორც წესი, ბალანსის პოლიტიკას აწარმოებენ არა ყველაზე ძლიერი სახელმწიფოს წინააღმდეგ, არამედ ისეთი აქტორის წინააღმდეგ, რომელიც მათთვის ყველაზე მეტად საფრთხისშემცველია. საფრთხეს შეიძლება შეიცავდეს რამოდენიმე გარემოება და ფაქტორი: მისი საერთო ძალა, გეოგრაფიული მდებარეობა, თავდასხმის შესაძლებლობები და თავდასხმის განზრახვები. (Walt, 2010). ვოლტმა ამგვარად ახსნა ის ფენომენი, თუ როგორ მოახერხა აშშ-მა მიერ საბჭოთა კავშირზე უფრო ძლიერი ალიანსის ჩამოყალიბება.

ცივი ომის დასრულების შემდეგ, საერთაშორისო ურთიერთობების მკვლევართა მნიშვნელოვანი ნაწილი თანხმდებოდა იმაზე, რომ საერთაშორისო სისტემა დომინირებული იყო აშშ-ის მიერ და უნიპოლარული სისტემა სახელმწიფოებს შორის მეტი დამაბულობის და გრძელვადიან პერსპექტივაში დაპირისპირების ნიადაგს ქმნიდა. ეს მოსაზრება 21-ე საუკუნის პირველი დეკადის მიწურულს და მეორე დეკადის კვალდაკვალ დადასტურდა. აშშ-ის დომინირებით შევიწროვებულმა და რეჟიმის გადარჩენით მოტივირებულმა რუსეთმა ყოფილ გავლენის სფეროებში აგრესიული მოქმედებები დაიწყო. მეტიც, უკვე დადასტურებული ინფორმაციით, ჩაერია აშშ-ის პრეზიდენტის არჩევნებში (Russian Hacking and Influence in the U.S. Election, 2018) ჩინეთმა საერთაშორისო სისტემაში დიდი ძალის სტატუსის დასამკვიდრებლად გლობალური მასშტაბით მოქმედებები დაიწყო ისეთ რეგიონებშიც კი, სადაც არც კულტურული, არც ისტორიული და არც განსაკუთრებული სტრატეგიული მიზნები გააჩნდა, პარალელურად კი აშშ-სთან სავაჭრო ომში ჩაება. ამას თან ერთვის ორივე სახელმწიფოს მხრიდან თითქმის მუდმივი კიბერთავდასხმები აშშ-ის დემოკრატიულ ინსტიტუტებზე, ხოლო ჩინეთის მხრიდან ახალი ტექნოლოგიების გამოყენებით გლობალური სათვალთვალო ინფრასტრუქტურის შექმნისკენ მიამართული

მოქმედებები. ორივე სახელმწიფოსთვის, აშშ ისევ აღიქმება თუ არა ერთდაერთ, ერთ-ერთ მოწინავე და რეგიონული ჰეგემონებისთვის ყველაზე საშიშ ძალად.

7.2. საფრთხის დაბალანსებიდან რბილ დაბალანსებამდე

ნაშრომში წარმოდგენილი ანალიზისა და წინა თავში განხილული მოცემულობებით, შეგვიძლია დავასკვნათ, რომ მიუხედავად იმისა, რომ 21-ე საუკუნის მეორე დეკადაში საერთაშორისო სისტემა მკაცრად უნიპოლარულად არ აღიქმება, რუსეთისა და ჩინეთის ქმედებები და საჯარო რიტორიკა მიაჩნებდა იმაზე, რომ ორივე სახელმწიფოსთვის, აშშ და დასავლეთის მიერ დომინირებული სისტემა საერთოდ გამოწვევა. სახეზეა დიდ ძალთა მეტოქეობის დაბრუნება, რომელიც აღიარებულია აშშ-ის დავდაცვისა და უსაფრთხოების დოქტრინებში (“Worldwide Threat Assessment of the US Intelligence Community”, 2018) ამასთან ამ სისტემაში არც ერთ აქტორს აქვს იმდენად დიდი ძალა, რომ დამოუკიდებლად დაბალანსოს მოწინავე სახელმწიფო (Pape 2005, p,11)

ცივი ომის შემდეგ, აშშ მსოფლიოს მოწინავე ძალად მოგვევლინა და ამ ძალის ერთ-ერთი გამოვლინებები იყო ახლო აღმოსავლეთისა და სამხრეთ აზიის რეგიონში წარმოებული ომები. მოგვიანებით, ჩინეთმა დაიწყო აგრესიული პოლიტიკის გატარება სრუტის გადაღმა და სამხრეთ ჩინეთის ზღვაში და რუსეთმა თავის დასავლეთ საზღვრებთან, პოსტსაბჭოთა სივრცეში. ძალთა ბალანსის თეორიის მიხედვით, თითოეულ შემთხვევაში, სხვა სახელმწიფოებს უნდა ეწარმოებინათ დაბალანსების პოლიტიკა, სამხედრო ბლოკებში გაერთიანებით და ახალი ალიანსების შექმნით, აგრესიულად განწყობილი სახელმწიფოს წინააღმდეგ. თუმცა, მსგავს მოქმედებებს ადგილი არ ჰქონია. ამის მიზეზი მკვლევართა ერთი ნაწილისთვის იყო ის, რომ ამ სახელმწიფოებმა ჩათვალეს, რომ აშშ მათ სუვერენულობას საფრთხეს არ შეუქმნიდა და თავს იკავებდნენ ამკარად მის წინააღმდეგ მიმართული საერთო მოქმედებებისგან.

აგრესიული დაბალანსებისკენ მიმართული აქტივობების არ არსებობა არ ნიშნავს, რომ ძალთა ბალანსის თეორია რელევანტური აღარ არის. მან, უბრალოდ, სახე და

გამოხატვის ფორმა იცვალა. სწორედ ამ ცვლილებების კვალდაკვალ 21-ე საკუნის პრიველ და მეორე დეკადებში აღმოცენდა ახალი კონცეფცია „რბილი დაბალანსება“, რომელიც სტიველ ვოლტის იდეას აგრძელებს იმის შესახებ, რომ თანამედროვე მსოფლიოში მიმდინარეობს არა ძალის, არამედ საფრთხის დაბალანსება. სხვა მეცნიერებმა ეს მოსაზრება უფრო მეტად განავრცეს.

კერძოდ, რობერტ პეიპმა 2005 წელს გამოქვეყნებულ სტატიაში „რბილი დაბალანსება აშშ-ის წინააღმდეგ“ გააჟღერა მოსაზრება იმის შესახებ, რომ 21-ე საუკუნეში, მოწინავე ძალის (აშშ-ის) პირდაპირი და ღია დაბალანსება სხვა ძალების მხრიდან სარისკოა და დიდ დანაკარგებს შეიცავს. ამიტომაც, სხვა წამყვანი ძალები აწარმოებენ „რბილი დაბალანსების“ პოლიტიკას, რაც გულისხმობს არაკონვენციური გზების გამოყენებას იმისთვის, რომ დაასუსტოს, შეაფერხოს და დააკნინოს აშშ-ს დომინირება. ამგვარი „რბილი“ დაბალანსების განხილვისას, ნიშანდობლივია ის, რომ სახელმწიფოებმა ნებისმიერ დროს შეიძლება შეიცვალონ აზრი და რბილიდან ტრადიციულ დაბალანსებაზე გადავიდნენ (Pape, 2005) ნიშანდობლივია, რომ პეიპმა სტატია იმ დროს დაწერა, როცა საერთაშორისო სისტემაში სახეზე იყო აშშ-ის დომინირება და ერაყში ინტერვენციის შემდეგ კიდევ უფრო ცხადი ხდებოდა ვაშინგტონის გეგმები მსოფლიოს სხადასხვა კუთხეში გააქტიურების მხრივ. ამიტომ, როდესაც პეიპი „რბილი დაბალანსების“ სტრატეგიებზე საუბრობს, იგი „საშუალო“ და სუსტი ქვეყნების მიერ გამოყენებულ სტრატეგიებს გულისხმობს, რომლებიც სტატიაში ჩამოყალიბებულია, როგორც (Pape, 2005):

1. ტერიტორიული აცილება - ძლიერი სახელმწიფოები ხშირად იყენებენ სხვა ქვეყნების ტერიტორიებს სამხედრო ბაზების მოსაწყობად ან მათ საჭარეო და საზღვაო ტრანზიტის პოტენციალს. „საშუალო“ ძალების მიერ ძლიერი სახელმწიფოს არდაშვება ზემოხსენებულ ტერიტორიებზე ამცირებს ამ უკანასკნელის წარმატების შანსს;

2. საერთაშორისო ინსტიტუტები - სახელმწიფოები იყენებენ ამ ინსტიტუტებსა და ad hoc დიპლომატიური მანევრებს, რათა ხელი შეუშალონ ან გადაავადონ ძლიერი ქვეყნის აგრესიული გეგმები;
3. ეკონომიკური გაძლიერება - ძლიერი სახელმწიფოს დაბალანსება ეკონომიკური თანამშრომლობით იმგვარად, რომ ეკონომიკური ძალის ცენტრი გადაიხაროს „საშუალო“ ქვეყნებისკენ. ამის ყველაზე ნათელი მაგალითია რეგიონული ეკონომიკური ბლოკების შექმნა, რომელიც ზრდის შიდა რეგიონული პოტენციალს;
4. ძალთა ბალანსის აღდგენის სიგნალების გაგზავნა - როცა სხვა ქვეყნები ერთმანეთის მიმართ მუდმივად ავლენენ თანამშრომლურ ბუნებას ზემოთ ჩამოთვლილი ან სხვა „რბილი“ გზებით, სუპერძალას ამით ეგზავნება სიგნალი იმის შესახებ, რომ მომავალში ეს თანამშრომლობა გაძლიერდება და წინააღმდეგობას გაუწევს მას.

პეიპის მიერ ჩამოთვლილი სტრატეგიების შესაბამისი მაგალითები ნაშრომის წინა თავში იყო განხილული. კერძოდ, საერთაშორისო ინსტიტუტების პლათფორმის გამოყენების კუთხით აღსანიშნავია რუსეთისა და ჩინეთის მიერ გაეროს უშიშროების საბჭოში გამოყენებული ვეტოები აშშ-ის და მისი მოკავშირეების რეზოლუციების წინააღმდეგ; ეკონომიკური გაძლიერებისა და ძალთა ბალანსის აღდგენის სიგნალების სტრატეგია კი გამოყენებულ იქნა ნაშრომში განხილული ქეისის მაგალითზე. ორი ქვეყნის თანამშრომლობა ევრაზიის კონტიტენენტზე BRI-ის ფარგლებში აჩვენებს იმას, რომ პეკინი და ვაშინგტონი, ერთის მხრივ, „დიდი ევრაზიის“ ეკონომიკური პოტენციალს ზრდიან, ხოლო მეორეს მხრივ სამიტებსა და საჯარო გამოსვლებში მუდმივად საუბრობენ ერთმანეთთან თანამშრომლობის განმტკიცებაზე.

7.3. რბილი დაბალანსება დიდი ძალების მეტოქეობის ხანაში

როგორც აქამდე აღინიშნა, აშშ-ის 2018 წლის საერთაშორისო საფრთხეების შეფასების დოკუმენტში აღნიშნულია, რომ დიდ ძალებს შორის დაპირისპირების ალბათობა ცივი ომის შემდეგ ყველაზე დიდია და რომ ჩინეთი და რუსეთი შეეცდებიან გააფართოვონ გავლენები თავიანთ რეგიონში აშშ-ის დასაბალანსებლად. 21-ე საუკუნის მეორე დეკადაში ამგვარი მოქმედებები სახეზეა და ნაშრომის წინა თავებშიც იყო აღწერილი. ამ დინამიკის კვალდაკვალ კიდევ უფრო განივრცო რბილი დაბალანსების თეორია და დიდი ძალების მეტოქეობის ერაში დამატებითი მნიშვნელობა შეიძინა. ამ მხრივ მნიშვნელოვანი ნაშრომია ს. პოლის წინგი „დიდი ძალების შეკავება: რბილი დაბალანსება იმპერიების ეპოქიდან გლობალურ ერამდე“.

პოლი რბილ დაბალანსებას განმარტავს, როგორც სახელმწიფოთა მიერ საერთაშორისო ისნტიტიტების, არაფორმალური ალიანსებისა და ეკონომიკური სანქციების გამოყენებას, რათა შეაკავონ მათთვის საფრთხისშემცველი ძალა (Paul 2018). პოლი გვთავაზობს რბილი დაბალანსების ისტორიულ პერსპექტივას ნაპოლეონის შემდგომი პერიოდიდან თანამედროვე, გლობალიზებული მოსფლიომდე.

ჩინეთისა და რუსეთის თანამშრომლობის კონტექსტში, ავტორი განმარტავს, რომ ორი სახელმწიფო ცივი ომის შემდგომი პერიოდიდანაა ჩართული რბილი დაბალანსების კოალიციებში და მაგალითებად მოჰყავს კოსოვოსა და ერაყის კრიზისების დროს პეკინის და მოსკოვის კოორდინაცია გაეროში, ასევე მათი თანამშრომლობა ცენტრალურ აზიაში შანხაის კოოპერაციის ორგანიზაციის შექმნის კუთხით, რომელიც ზღუდავს აშშ-ის გავლენას რეგიონში (მაგალითად, წნეხი, რომელიც უზბეკეთიდან აშშ-ის სამხედრო ძალების გაყვანით დასრულდა, ანტიტერორისტული სამხედრო წვრთნების ჩატარება, სხვადასხვა ნორმებისა და თანამშრომლობის მექანიზმების ჩამოყალიბება). დამატებით, ჩინეთი აქტიურად ჩაება ისეთი ისნტიტიტების მშენებლობაში, როგორიცაა აზია-წყარი ოკეანეთის ტელეკომუნიკაცია და აღმოსავლეთ აზიის სამიტი, რათა დაებალანსებინა აშშ-ის გავლენა ამ რეგიონში (Paul, 2018).

თეორიული ბუნდოვანების თავიდან ასაცილებლად, მნიშვნელოვანია განიმარტოს განსხვავებები ხისტ, ხისტ შეზღუდულ და რბილ დაბალანსებას შორის. ავტორს ეს შედარება წარმოდგენილი აქვს კონრეტულ მაგალითებზე დაყრდნობით (Paul, 2018) p. (იხილეთ ცხრილი 3.) ხისტი დაბალანსების დროს იქმნება ფორმალური გაერთიანებები, რომელთაც თავისი სტრუქტურა, ოპერაციული გეგმები, ბიუროკრატიული ჩარჩო და მუდმივად სამხედრო მზადყოფნაში დანაყოფები აქვს.

ცხრილი 3.

ტიპი	მექანიზმები	მიზნები	მაგალითები
ხისტი დაბალანსება	ფორმალური ალიანსები, სამხედრო მობილიზება	დიდი ძალის წინააღმდეგ დაბალასება/კონფრონტაცია	მეორე მსოფლიო ომის ალიანსები; ჩრდილო ატლანტიკური ალიანსი vs ვაშავის პაქტი
შეზღუდული ხისტი დაბალანსება	კოორდინირებული სამხედრო აქტივობები ფორმალური ალიანსების გარეშე, ასიმეტრიული სამეხედორ მობილიზება	ძალის შეკავება/შესაშინებელი აქტივობები	ჩინეთი vs აშშ, ინდოეთი და აშშ vs ჩინეთი (2010 წლიდან)
რბილი დაბალანსება	შეზღუდული ინსტიტუციური თანამშრომლობა, არაფორმალური ალიანსები	ძალის შეკავება/შესაშინებელი აქტივობები	რუსეთი და ჩინეთი vs აშშ (1996 წლიდან); ინდოეთი და იაპონია vs ჩინეთი (2014 წლიდან)

რბილი დაბალანსების კოალიციებს კი მსგავსი სტრუქტურა არ აქვთ. ისინი აყალიბებენ დიპლომატიური კოალიციებსა და შეთანხმებებს რათა დააბალანსონ სხვა დიდი ძალა. საერთაშორისო ინსტიტუტი ამ მხრივ კარგ შესაძლებლობას იძლევა. ამგვარი ინსტიტუტების მაგალითები ნაშრომში განხილული იყო BRICs-ის, აზიის განვითარების ინფრასტრუქტურის ბანკის მაგალითებზე. ამასთან, ხისტი დაბალანსებისგან განსხვავებით, რბილი ბალანსი მიმართულია საფრთხისკენ და არა უბრალოდ დიდი ძალისკენ. ამგვარ კავშირებს ხშირად უწოდებენ სტრატეგიულ პარტიორობას, რომელიც შედგება პერიოდული შეხვედრებისგან, საერთო სამხედრო წვრთნებისგან, ფორმალური სამხედრო ალიანსის გარეშე.

პოლი საერთო სამხედრო წვრთნებს, რბილი დაბალანსების ერთგვარ სიგნალად განიხილავს, რომელიც მომავალში, შესაძლოა, შეზღუდულ ხისტ დაბალანსებაში გადაიზარდოს. ამის მაგალითად ნაშრომში განხილული იყო ჩინეთისა და რუსეთის მიერ ჩატარებული ომის სიმულაციები ხმელთაშუა ზღვასა და ციმბირში. ამ მხრივ მნიშვნელოვანია კიბერუსაფრთხოების სფეროში პეკინსა და მოსკოვს შორის პრაქტიკაში საკმაოდ ბუნდოვანი, თუმცა შეთანხმებებით ფორმალიზებული თანამშრომლობაც. რაც შეეხება არაფორმალური ალიანსების გამოყენებას, ეს სტრატეგია ისევ და ისევ ჩინეთისა და რუსეთის მიერ დიდი ევრაზიული ეკონომიკური პროექტებში თანამშრომლობითა და მასთან დაკავშირებული სამიტებისა და შეხვედრების მაგალითებზე გამოჩნდა.

8. დასკვნა

21-ე საუკუნის მეორე დეკადის მსოფლიო დიდი ძალების დაპირისპირების ახალ ეპოქად წარმოგვიდგება. მიუხედავად იმისა, რომ ცივი ომის შემდგომი უნიპოლარული საერთაშორისო სისტემა ნელნელა გარდაიქმნება მულტიპოლარულ სისტემად, ლიბერალური მსოფლიო წესრიგი, რომელიც დასავლურ ღირებულებებსა და ინსტიტუტებს ეფუძნება, ძირეულად არ შეცვლილა. თუმცადა, შეინიშნება თანამედროვე ავტოკრატიული რეჟიმების - ჩინეთისა და რუსეთის ინდივიდუალური და კოლექტიური მცდელობები, რომელიც ამ წესრიგის შეცვლისკენაა მიმართული. არსებობს რეგიონები, სადაც პეკინისა და მოსკოვის ინტერესები ერთმანეთს ეჯახება, მაგრამ ეს ორი სახელმწიფო ამ შემთხვევაშიც ინარჩუნებს თანამშრომლურ ბუნებას. ევრაზიის კონტინენტზე, კონკრეტულად კი შუა აზიის რეგიონში ორი ქვეყნის მიერ წამოყენებული ეკონომიკური ინტეგრაციის გეგმების შეუსაბამობისდა მიუხედავად, ჩინეთი და რუსეთი აგრძელებენ BRI-ის ფარგლებში და მის მიღმა თანამშრომლობას.

ნაშრომში წარმოჩნდა ამ თანამშრომლობის კონკრეტული მექანიზმები და ღონისძიებები, რომელიც მიმართულია აშშ-ის დაბალანსებისკენ. კერძოდ, თანამშრომლობა საერთაშორისო ორგანიზაციებსა და ფინანსური ინსტიტუტებში, არსებული წესრიგის შეცვლის სურვილის გამომხატველი რიტორიკა საჯარო გამოსვლებში, საერთო სამხედრო წვრთნები და ad hoc პლატფორმები ეკონომიკური უსაფრთხოების სფეროში თანამშრომლობის გაღრმავების მიზნით.

მიუხედავად იმისა, რომ რუსეთ-ჩინეთის ფორმალური ალიანსის შექმნას გამორიცხავენ როგორც ამერიკელი, ასევე ჩინელი და რუსი მკვლევარები, ორი ქვეყნის მზარდი თანამშრომლობის პირობებში, დასავლეთს საკმარისზე მეტი სიგნალები ეგზავნება იმისთვის, რომ იბრძოლოს ლიბერალური წესრიგის შესანარჩუნებლად და თავადაც შეაკავოს პეკინ-მოსკოვის გავლენების გაზრდა ევრაზიის კონტინენტზე.

გამოყენებული ლიტერატურა

- Azizian, A. (2003). A Marriage of Convenience: Russia and U.S. Foreign Policy. *Asian Affairs*,30(2), 151-159. doi:<http://www.jstor.org/stable/30172855>
- Balancing Threat: The United States and The Middle East. (2010). *Yale Journal of International Affairs*,10-16. Retrieved from <http://yalejournal.org/wp-content/uploads/2010/09/105202walt.pdf>
- Belt and Road international forum. (2017, May 14). Retrieved February 5, 2019, from <http://en.kremlin.ru/events/president/news/54491>
- Birnbaum, M. (2019, January 11). Poland detains employee of Chinese tech giant Huawei on spying charges. Retrieved February 4, 2019, from https://www.washingtonpost.com/world/europe/poland-detains-employee-of-chinese-tech-giant-huawei-on-spying-charges/2019/01/11/ac148e42-15a0-11e9-90a8-136fa44b80ba_story.html
- Blenkinsop, P. (2016, April 19). As global steel crisis grips, China says March output was a record. Retrieved January 22, 2019, from <https://uk.reuters.com/article/us-china-steel-overcapacity-idUKKCN0XF2LI>
- Center for Strategic & International Studies. (2016, April 28). Joseph S. Nye: Is China's soft power strategy working? Retrieved January 22, 2019, from https://www.youtube.com/watch?v=R6nkFbQ_3LY
- Center for Strategic & International Studies. (2016, April 19). Liz Economy: Is China's soft power strategy working? Retrieved January 22, 2019, from <https://www.youtube.com/watch?v=ih7Y2Fj8GZ8&t=2s>

Central Asia's Silk Road Rivalries(Rep.). (2017, July 27). Retrieved February 4, 2019, from International Crisis Group website: <https://www.crisisgroup.org/europe-central-asia/central-asia/245-central-asias-silk-road-rivalries>

China, Afghanistan, Pakistan agree to maintain regional peace, stability. (n.d.). Retrieved February 5, 2019, from http://www.xinhuanet.com//english/2017-06/26/c_136395185.htm

China's Xi proposes security concept for Asia. (2014, May 21). Retrieved February 4, 2019, from http://www.chinadaily.com.cn/china/2014-05/21/content_17531900.htm

China's Xi says willing to help resolve Ukraine crisis. (2017, January 18). Retrieved February 5, 2019, from <https://www.reuters.com/article/us-ukraine-crisis-china-idUSKBN1520AN>

Chita, A. F. (2018, September 11). Russia begins its largest ever military exercise with 300,000 soldiers. Retrieved February 5, 2019, from <https://www.theguardian.com/world/2018/sep/11/russia-largest-ever-military-exercise-300000-soldiers-china>

Coats, D. R. (2018, February 13). *Worldwide Threat Assessment of the US Intelligence Community*(USA, United States Government, Director of the National Intelligence). Retrieved February 5, 2019, from <https://www.dni.gov/files/documents/Newsroom/Testimonies/2018-ATA---Unclassified-SSCI.pdf>

Cooley, A. (2015, October 22). Новый шелковый путь или классический вариант тупикового развития? Перспективы и проблемы китайской инициативы ОПОП. Retrieved January 22, 2019, from <http://www.ponarseurasia.org/node/8015>

Eurasian Economic Union. (n.d.). Retrieved February 4, 2019, from <http://www.eaeunion.org/?lang=en#about-administration>

- Fish, I. S. (2016, January 19). Crouching Tiger, Sleeping Giant. Retrieved from https://foreignpolicy.com/2016/01/19/china_shakes_the_world_cliche/
- Full text of President Xi's speech at opening of Belt and Road forum. (n.d.). Retrieved February 5, 2019, from http://www.xinhuanet.com//english/2017-05/14/c_136282982.htm
- Government approves the adjusted draft of the Nurly Zhol Infrastructure Development State Program Date: 03 July 2018. (2018, July 3). Retrieved February 4, 2019, from <http://www.government.kz/en/novosti/1015206-government-approves-the-adjusted-draft-of-the-nurly-zhol-infrastructure-development-state-program.html>
- Gabuev, A. (2015, April 1). Russia Joins the AIIB ... Finally. Retrieved from <https://themoscowtimes.com/articles/russia-joins-the-aiib-finally-45354>
- Graham-Harrison, E., Luhn, A., Walker, S., Sedghi, A., & Rice-Oxley, M. (2015, July 07). China and Russia: The world's new superpower axis? Retrieved February 5, 2019, from <https://www.theguardian.com/world/2015/jul/07/china-russia-superpower-axis>
- Greer, T. (2018, December 06). One Belt, One Road, One Big Mistake. Retrieved February 5, 2019, from <https://foreignpolicy.com/2018/12/06/bri-china-belt-road-initiative-blunder/>
- Gribsby, A. (2015, January 28). Will China and Russia's Updated Code of Conduct Get More Traction in a Post-Snowden Era? Retrieved from <https://www.cfr.org/blog/will-china-and-russias-updated-code-conduct-get-more-traction-post-snowden-era>
- Gussarova, A., Aminjonov, F., & Khon, Y. (2017). *The Eurasian Economic Union and the Silk Road Economic Belt: Competition or Convergence? Implications for Central Asia*(Rep.). Almaty, Kazakhstan: Friedrich Ebert Stiftung. doi:<https://library.fes.de/pdf-files/bueros/kasachstan/13620.pdf>

- Hein, M. V. (2018, May 7). Xi Jinping and the 'Chinese Dream' | DW | 07.05.2018. Retrieved February 4, 2019, from <https://www.dw.com/en/xi-jinping-and-the-chinese-dream/a-43685630>
- Higgins, A. (2018, January 01). China's Ambitious New 'Port': Landlocked Kazakhstan. Retrieved February 5, 2019, from https://www.nytimes.com/2018/01/01/world/asia/china-kazakhstan-silk-road.html?_r=0
- Horowitz, J. (2018, December 06). Huawei CFO Meng Wanzhou arrested in Canada. Retrieved February 4, 2019, from <https://edition.cnn.com/2018/12/05/tech/huawei-cfo-arrested-canada/index.html>
- Huasheng, Z. (2013, November 22). China-Russia Relations in Central Asia. Retrieved February 4, 2019, from <http://www.theasanforum.org/china-russia-relations-in-central-asia/>
- Human Development Index and its components. (n.d.). Retrieved February 5, 2019, from <http://hdr.undp.org/en/composite/HDI>
- Kaczmarek, M. (2016, March 10). Russia-China: The West's Dual Challenge. Retrieved January 22, 2019, from <https://thediplomat.com/2016/03/russia-china-the-west-s-dual-challenge/>
- Kaczmarek, M. (2018, August). (Valdai Club Rep.). doi:https://storage.googleapis.com/upi-live/2018/08/bp244_russia_and_china_in_global_governance.pdf
- Kurlantzick, J. (2008). *Charm Offensive: How Chinas Soft Power Is Transforming the World*. S.L.: Yale University Press.
- Lee, J. L. (2018, November 14). UPDATE 1-U.S. should create fund to counter China's Belt and Road... Retrieved February 5, 2019, from <https://af.reuters.com/article/commoditiesNews/idAFL2N1XP06A>

- Laurelle, M. (2018). *China's Belt and Road Initiative and Its Impacts in Central Asia*. Washington, DC: George Washington University. doi:http://centralasiaprogram.org/wp-content/uploads/2017/12/OBOR_Book_.pdf
- Lanteigne, M. (2015). *Chinese Foreign Policy: An Introduction*(3rd ed.). New York: Routledge.
- Lo, B. (2015). *Russia and The New World Disorder*. London: Chatham House.
- Lo, B. (2016, March 26). The Illusion of Convergence-Russia, China, and the BRICS. Retrieved January 22, 2019, from <https://www.ifri.org/en/publications/enotes/russieneivisions/illusion-convergence-russia-china-and-brics>
- Ma, A. (2018, April 29). China is building a vast civilian surveillance network - here are 10 ways it could be feeding its creepy 'social credit system'. Retrieved February 5, 2019, from <https://www.businessinsider.com/how-china-is-watching-its-citizens-in-a-modern-surveillance-state-2018-4>
- Mearsheimer, J. J. (1994). The False Promise of International Institutions. *International Security*, 19(3), 5-49. Retrieved from http://www.guillaumenicaise.com/wp-content/uploads/2013/10/mearsheimer_The-False-Promise-of-International-Institutions.pdf
- Miller, T. (2017). *Chinas Asian dream: Empire building along the New Silk Road*. London: Zed Books.
- Moss, T. (2017, May 11). China Now Has a Rail Link Into the Heart of Europe. Retrieved February 5, 2019, from <https://www.wsj.com/articles/china-now-has-a-rail-link-into-the-heart-of-europe-1494519829>

- Pannier, B. (2017, March 06). The End Of The (Gas Pipe-) Line For Turkmenistan. Retrieved February 5, 2019, from <https://www.rferl.org/a/turkmenistan-gas-pipeline-china-berdymukhammedov-iran-russia/28353522.html>
- Pape, R. A. (2005). Soft Balancing against the United States. *International Security*, 30(1), 7-45. Retrieved February 5, 2019, from <http://www.jstor.org/stable/4137457> .
- Parker, G. (2015, March 16). Europeans defy US to join China-led development bank. Retrieved February 5, 2019, from <https://www.ft.com/content/0655b342-cc29-11e4-beca-00144feab7de?ftcamp=crm/email/2015317/nbe/USMorningHeadlines/product&siteedition=intl>
- Paul, T. V. (2018). *Restraining great powers: Soft balancing from empires to the global era*. New Haven, CT ; London: Yale University Press.
- People's Republic of China, State Council of People's Republic of China. (2017, June 20). *Full Text of the Vision for Maritime Cooperation under the Belt and Road Initiative*. Retrieved January 22, 2019, from http://english.gov.cn/archive/publications/2017/06/20/content_281475691873460.htm
- Power of Siberia The largest gas transmission system in Russia's East. (n.d.). Retrieved from <http://www.gazprom.com/projects/power-of-siberia/>
- Press statements following Russian-Chinese talks. (2015, May 08). Retrieved February 5, 2019, from <http://en.kremlin.ru/events/president/transcripts/49433>
- Qu, X., & Zhong, L. (2018). *Contemporary Chinas diplomacy*. Abingdon, Oxon: Routledge.
- Rapoza, K. (2017, May 16). China's Silk Road Project Shows Putin Needs Xi Way More Than Trump. Retrieved February 5, 2019, from

<https://www.forbes.com/sites/kenrapoza/2017/05/16/chinas-silk-road-project-shows-putin-needs-xi-way-more-than-trump/#28fa0f27b79e>

Reynolds, S. (2018, August 23). For Tajikistan, the Belt and Road Is Paved with Good Intentions.

Retrieved February 5, 2019, from <https://nationalinterest.org/feature/tajikistan-belt-and-road-paved-good-intentions-29607>

Rozman, G. F. (2013). *Chinas foreign policy: Who makes it, and how is it made?* New York:

Palgrave Macmillan.

Russia and China hold the biggest military exercises for decades. (2018, September 06). Retrieved

February 5, 2019, from <https://www.economist.com/europe/2018/09/06/russia-and-china-hold-the-biggest-military-exercises-for-decades>

Russia-China relations The Current state, alternative futures, and implications for the West(Rep.).

(2011). Helsinki, Finland: The Finish Institute of International Affairs. Retrieved from https://www.files.ethz.ch/isn/132874/FIIA_Report_30_web.pdf.

Russian Hacking and Influence in the U.S. Election. (2019, February 03). Retrieved February 5,

2019, from <https://www.nytimes.com/news-event/russian-election-hacking>

Roth, A. (2017, December 21). Russia and China Sign Cooperation Pacts. Retrieved February 4,

2019, from <https://www.nytimes.com/2015/05/09/world/europe/russia-and-china-sign-cooperation-pacts.html>

Salinas, S. (2018, February 15). Six top US intelligence chiefs caution against buying Huawei

phones. Retrieved February 4, 2019, from <https://www.cnbc.com/2018/02/13/chinas-hauwei-top-us-intelligence-chiefs-caution-americans-away.html>

- The World, Built by China. (2018, November 18). Retrieved from
<https://www.nytimes.com/interactive/2018/11/18/world/asia/world-built-by-china.html>
- Toward the Great Ocean 3 - Creating Central Eurasia*(Rep.). (2015, June). Retrieved
<http://valdaiclub.com/files/17658/>
- Trilling, D. (n.d.). Tajikistan: Building the World's Biggest Teahouse. Retrieved from
<https://eurasianet.org/tajikistan-building-the-worlds-biggest-teahouse>
- Trofimov, Y. (2019, February 01). The New Beijing-Moscow Axis. Retrieved February 5, 2019,
from <https://www.wsj.com/articles/the-new-beijing-moscow-axis-11549036661>
- United Nations, Security Council. (n.d.). Retrieved February 5, 2019, from
<http://research.un.org/en/docs/sc/quick>
- Vakulchuk, I., & Overland, R. (n.d.). *Regional Connection under the Belt and Road Initiative The Prospects for Economic and Financial Cooperation*,. Retrieved February 5, 2019, from
<https://www.routledge.com/Regional-Connection-under-the-Belt-and-Road-Initiative-The-Prospects-for-Cheung-Hong/p/book/9781138607491>
- Waltz, K. N. (1979). *Theory of International Politics*. Reading, Massachusetts: Addison-Wesley.
- Williams, C. J. (2015, May 11). First Russia-China naval war games underway in Mediterranean.
Retrieved February 5, 2019, from <https://www.latimes.com/world/europe/la-fg-china-russia-joint-naval-maneuvers-20150511-story.html>
- Yelejournal (2010). Balancing Threat: The United States and The Middle East. Retrieved February 5, 2019, from <http://yalejournal.org/wp-content/uploads/2010/09/105202walt.pdf>

දැක්වීම 1.


Center for Strategiv and International Studies: Reconnecting Asia via https://reconnectingasia.csis.org/analysis/competing-visions/?fbclid=IwAR3nn3VAL0vxG3xPbWs6RBIDR-7_sYtVi-



დაწარმო 2.

Center for Strategiv and International Studies: Reconnecting Asia via
https://reconnectingasia.csis.org/analysis/competing-visions/?fbclid=IwAR3nn3VAL0vxG3xPbWs6RBIDR-7_sYtVi-2kR6Z7FZID_aoyTAv4FaSpBOY

Russia's Vision



ივანე ჯავახიშვილის სახელობის თბილისის
სახელმწიფო უნივერსიტეტი

რომან ბაღდავაძე

ადგილობრივი თვითმმართველობების პოლიტიკური და
ეკონომიკური შეფასება: 2012-2018 წლებში, დეცენტრალიზაციის
ხელის შეშლელი ფაქტორები

სახელმწიფო მართვა და საჯარო პოლიტიკა

სამაგისტრო ნაშრომი შესრულებულია სახელმწიფო მართვისა და
საჯარო პოლიტიკის მაგისტრის ხარისხის მოსაპოვებლად

ნაშრომის ხელმძღვანელი: ალექსანდრე სვანიშვილი
დოქტორი მოწვეული პროფესორი
ნანა მაჭარაშვილი პოლიტიკის მეცნიერების დოქტორი

თბილისი

2019

ანოტაცია

მოცემული ნაშრომის მთავარი მიზანი იმ ძირითადი ფაქტორების გამოვლენა და იდენტიფიცირებაა, რომელიც ქვეყანაში ხელს უშლის დეცენტრალიზაციის განხორციელებას და საქართველოში დასავლური ღირებულებების დამკვიდრებას. კერძოდ ნაშრომის უმთავრესი ამოცანაა, ძირითადი ფისკალური და პოლიტიკური ბარიერების იდენტიფიცირება, რომლებიც საქართველოში, ადგილობრივი თვითმმართველობის დონეზე, ხელს უშლიან დეცენტრალიზაციისა და დემოკრატიული პროცესების განვითარებას.

ნაშრომში განხილულია მნიშვნელოვანი საკითხები, რომელთა დახმარებითაც მოხდა საკვლევ კითხვაზე პასუხის გაცემა, რომელიც შემდეგნაირადაა ფორმულირებული: „საქართველოში ადგილობრივი თვითმმართველობები რამდენად ეფექტურად ახერხებენ იყვნენ დეცენტრალიზებულნი, როდესაც ისინი პოლიტიკურად და ეკონომიკურად დამოკიდებულნი არიან ცენტრალურ ხელისუფლებაზე?“. კვლევის ფარგლებში ჩამოყალიბებულია ჰიფოთეზე, რომლის თანახმადაც „ქვეყნის დეცენტრალიზაციის საკითხი დამოკიდებულია, თვითმმართველი ორგანოების პოლიტიკურ და ეკონომიკურ თავისუფლებასთან. შესაბამისად თვითმმართველობები ეკონომიკურად, რაც უფრო დამოკიდებულნი არიან ქვეყნის ცენტრალურ ხელისუფლებაზე, მით უფრო მცირე შანსებია იმისა, რომ დეცენტრალიზაცია წარმატებით განხორციელდება და ქვეყანა გადავა დასავლური დემოკრატიის მოდელზე“.

ნაშრომის ჰიპოთეზის დასადასტურებლად გამოყენებულია კვლევის თვისებრივი მეთოდოლოგია. კვლევის თეორიულ ჩარჩოდ აღებულია Paul Smoke-ნაშრომი „Fiscal Decentralization in Developing Countries : A Review of Current Concepts and Practice“.

ნაშრომში გამოყენებულია შედარებითი ანალიზი, კერძოდ განხილულია ბალტიისპირეთის ქვეყნების დეცენტრალიზაციის პოლიტიკა და მასთან შედარებულია საქართველოს ქეისი. ამ მოდელით ქვეყნები შედარებულია ერთმანეთს და გამოყოფილია წარმატებისა და წარუმატებლობის ძირითადი ფაქტორები.

საკითხი, ადგილობრივი თვითმმართველობის განვითარების მისაღწევად, ყველაზე მნიშვნელოვანია და იგი აქტუალურია დღევანდელი პოლიტიკური შინაარსიდან გამომდინარე, ვინაიდან მას ერთ-ერთი ძირითადი როლი უკავია საქართველოში საჯარო პოლიტიკის ადმინისტრირებაში. შესაბამისად კვლევის აქტუალობიდან და მრავალფეროვნებიდან გამომდინარე მკითხველისთვის მნიშვნელოვანი და საინტერესო იქნება, ის თუ რა განაპირობებს საქართველოში 2012-18 წლებში დეცენტრალიზაციის პოლიტიკის ხელის შეშლელ ფაქტორებს. შესაბამისად კვლევა ინფორმაციული თვალსაზრისით მნიშვნელოვან საკითხებს მოიცავს.

Annotation

Title of the paper: Political and Economic Assessment of Local Self-Governments: In 2012-2018, Factors Disrupting Decentralization

Author of the paper: R. Bagdavadze

The main goal of the paper is to identify key factors that prevent decentralization in the country and establish Western values in Georgia. Specifically, the main task of the work is to show up the major fiscal and political barriers in the country at the local self-government level to prevent decentralization and democratic processes.

The paper discusses the important issues in which the answer to the research question has been formulated as follows: "How effectively local self-governments are able to be decentralized, when they politically and economically are depended on central government?". Within the scope of the study, the hypothesis states that "the decentralization of the country depends on the political and economic freedom of the self-governing bodies. Accordingly, if the self-governments are economically more dependent on the country's central government, there are smaller chances that decentralization will successfully develop and the country will move to the Western model of democracy."

Qualitative methodology of research has been used to prove the hypothesis of the work. The theoretical framework of the study is taken by Paul Smoke - "Fiscal Decentralization in Developing Countries: A Review of Current Concepts and Practice".

Comparative analysis has been used in the paper, namely the decentralization policy of the Baltic States and the comparison of the Georgian case. By this model, countries are comparable to each other and the main factors of success and failure are represented.

The issue is important for achieving the development of the local self-government and it is relevant because of current political content, since it is one of the key roles in the administration of public policy in Georgia. Therefore, it will be important and interesting for readers which based on the relevance of the research, as to what kind of factors affect the

decentralization policy of Georgia in 2012-2018. Consequently, for more information in this regard research involves important issues.

სარჩევი

ანოტაცია.....	2-5
შესავალი.....	7-14
I თავი. ადგილობრივი თვითმმართველობები საქართველოში	
1.1 ადგილობრივი თვითმმართველობების რეფორმა 2012-2018 წლებში.....	15-17
1.2 ადგილობრივ თვითმმართველობებში როგორმის შედეგად მიღებული შემოსულობები.....	18-24
1.3 ადგილობრივი თვითმმართველობების პოლიტიკა.....	25-29
1.4 ადგილობრივი თვითმმართველობების პოლიტიკური გადაწყვეტილებების კომპეტენცია.....	30-36
თავი II. საერთაშორისო რეკომენდაციების ანალიზი	
2.1 ევროსაბჭოს რეკომენდაციები.....	37-44
თეორია.....	45-53
თავი III. პოსტ-საბჭოთა ქვეყნების შედარებითი ანალიზი	
3.1 ბალტიისპირეთის ქვეყნების დეცენტრალიზაციის პოლიტიკა	54-58
დასკვნა.....	59
გამოყენებული ლიტერატურა.....	60-63

შესავალი

თანამედროვე საზოგადოებებში მნიშვნელოვანი როლი უკავია ქვეყნის დემოკრატიზაციის პროცესს, რაც გულისხმობს საზოგადოების მაღალი დონის ჩართულობას ქვეყნის პოლიტიკურ და ეკონომიკურ ცხოვრებაში. იმისათვის რომ ქვეყანა განვითარდეს და გადავიდეს ახალ საფეხურზე მნიშვნელოვანია, მასში არსებულმა თითოეულმა ორგანომ დამოუკიდებლად იფუნქციონიროს, ყოველგვარი ბიუროკრატიული და შემაფერხებელი ფაქტორების გამორიცხვით. ბიუროკრატიის და შემაფერხებელი ფაქტორების უგულვებელყოფა შესაძლებელია გამჭვირვალობით და ჩართულობის პოლიტიკით, რაც თავის მხრივ ხელს უწყობს დემოკრატიზაციის პროცესის განვითარებას. როგორც წესი თითოეული ქვეყანა შედგება ინსტიტუტებისა და მასზე დაქვემდებარებული უწყებებისგან, რომელთა ძირითადი და ფუნდამენტალური საზრუნავია, დემოკრატიულ-საზოგადოებრივი წყობილების დამკვიდრება, ეკონომიკური თავისუფლება, სოციალური და სამართლებრივი სახელმწიფოს შექმნა, უზრუნველყონ ადამინთა უფლებებისა და თავისუფლებების დაცვა, დაიცვან სახელმწიფოს დამოუკიდებლობა და შეინარჩუნონ მშვიდობიანი პოლიტიკა, რათა საერთაშორისო სისტემა უფრო მშვიდი და გაწონასწორებული იყოს. საერთაშორისო მშვიდობა განპირობებულია სიტემაში მოთამაშე სახელმწიფოების პოლიტიკით, რომელთა გამართულ ფუნქციონირებას ადგილობრივი ადგილობრივი თვითმმართველობები უზრუნველყოფენ.

რამდენიმე ათეული წელია ცივილიზებული საზოგადოებები მნიშვნელოვან ნაბიჯებს დგამენ, ადგილობრივ დონეზე დემოკრატიისა და თავისუფალი მმართველობის ჩამოსაყალიბებლად. რაც თავის თავში გულისხმობს პატარა და დიდი ქალაქების, სოფლებისა და ოლქების თვითმმართველობას დემოკრატიული მეთოდებით, ეს ადგილობრივ დონეზე ხდება არჩეული მერების საკრებულოსა და მინდობილი პირების მიერ. მიუხედავად თანამდებობრივი უფლებამოსილებებისა, ადგილობრივ დონეზე მნიშვნელოვანია საზოგადოების ჩართულობა, სერვისების მიწოდების გაუმჯობესება, ადგილობრივი თემთა გაძლიერება და განვითარება. მნიშვნელოვანია დეცენტრალიზაციის მაღალი დონე, რათა საზოგადოებამ და ადგილობრივმა თვითმმართველობამ, ერთობლივად მიიღონ დამოუკიდებელი

გადაწყვეტილებები და იფუნქციონირონ, როგორც ორგანომ, რომელიც ხელს შეუწყობს ადგილობრივ განვითარებას, რაც ხელს უწყობს ქვეყნის სტაბილურობისა და სიძლიერის ჩამოყალიბებას, იგი თავის მხრივ სათავეს უდებს საერთაშორისო მშვიდობის დამკვიდრებას. ასევე მნიშვნელოვანია, ის თუ რა ადგილი უკავია საქართველოს ამ პროცესში და რამდენად პასუხობს თანამედროვე გამოწვევებს, ქვეყნის ადგილობრივი თვითმმართველობების განვითარებისა და დეცენტრალიზაციის საკითხში.

- საქართველო ახლადჩამოყალიბებული დემოკრატიული სახელმწიფოა, რომელიც ჯერ კიდევ განიცდის პოსტ-საბჭოთა გავლენას და როგორც წესი ადგილობრივ დონეზე ყოფილი კომუნისტური სივრცის ქვეყნები არც თუ ისე დემოკრატიულ განვითარებას მისდევენ და პირიქით ქვეყნის დეცენტრალიზაციისა და დემოკრატიულობის პროცესს ცენტრალიზაციასა და ავტოკრატიულობას უპირისპირებენ. საქართველო, როგორც სახელმწიფო გარდამავალ ეტაპზე იმყოფება, ვინაიდან ორ ათეულ წელზე მეტია, რაც ქვეყანამ დამოუკიდებლობა მიიღო გამოეყო სსრკ-ს და ამ პერიოდის განმავლობაში სამი ხელისუფლება გამოიცვალა, რომელთაც ქვეყნის განვითარებისა და დემოკრატიული პროცესების წარმართვის საკუთარი ხედვები გააჩნდა. თავის მხრივ თითოეულ ხელისუფალს თავისი შეხედულებები ქონდა ადგილობრივი თვითმმართველობის შესახებ, რომელიც გარკვეულ კვალს ქვეყნის დღევანდელ მდგომარეობაზე ტოვებს. მიუხედავად არც თუ ისე დიდი პოლიტიკური წარსულისა ქვეყანამ ადგილობრივი თვითმმართველობების განვითარების მხრივ ძირეული ცვლილებები განიცადა, თუმცა განვითარების პროცესთან მნიშვნელოვანი ახალი ხელისუფლების პირობებში არსებული საკითხებია, ვინაიდან 2012 წლიდან იწყება განვითარების ახალი ეტაპი, სწორედ ამიტომ მნიშვნელოვანია თუ რამდენად ეფექტურად ახერხებს ადგილობრივი თვითმმართველობები თავი გაართვან პოლიტიკურ და ეკონომიკურ გამოწვევებს 2012-2018 წლებში? რაც თავის თავში დეცენტრალიზაციასა და ადგილობრივი მმართველობის გაძლიერებას გულისხმობს.

საქართველოში 2005 წლიდან ძალაში შევიდა ევროპული ქარტია ადგილობრივი თვითმმართველობების შესახებ. რომლის თანახმადაც ხელისუფლების ადგილობრივ ორგანოებს, კანონის ფარგლებში აქვთ სრული თავისუფლება განახორციელონ თავიანთი ინიციატივა ნებისმიერი საკითხის მიმართ, რომელიც არ გამოირიცხება მათი კომპეტენციიდან ან რომელიც მინიჭებული არა აქვს ხელისუფლების რომელიმე სხვა ორგანოს. როგორც წესი, სახელმწიფო უფლებამოსილებების განხორციელება ხდება ხელისუფლების იმ ორგანოების მიერ, რომელშიც ყველაზე ახლოს არის მოქალაქეებთან. ხელისუფლების ადგილობრივი ორგანოებისთვის მინიჭებული უფლებამოსილება, როგორც წესი იქნება სრული და ექსკლუზიური. იგი არ შეიძლება იქნას შეზღუდული სხვა ცენტრალური ან რეგიონული ორგანოს მიერ, კანონით განსაზღვრული შემთხვევების გარდა. ქარტიის თანახმად ხელისუფლების ადგილობრივ ორგანოებს ენიჭებათ თავისუფლება, განახორციელონ უფლებამოსილებები ადგილობრივ პირობებთან მისადაგებაში.¹ როგორც წესი ევროპული ქარტია ადგილობრივი თვითმმართველობების განვითარებასა და დემოკრატიულობას უწყობს ხელს, რომელსაც საქართველოც იზიარებს, თუმცა ქარტია ასევე ითვალისწინებს ადგილობრივი თვითმმართველობების ფინანსურ და ეკონომიკურ საკითხებს, რომლის თანახმადაც ადგილობრივ თვითმმართველობებს უფლება აქვთ ეროვნული ეკონომიკური პოლიტიკის ფარგლებში გააჩნდეთ საკუთარი ფინანსური სახსერები, რომელთა განკარგვა მათ შეეძლებათ თავიანთი უფლებამოსილებების ფარგლებში. ეს უფლება ადგილობრივ თვითმმართველობებს, ენიჭებათ „ ადგილობრივი თვითმმართველობის კოდექსის“ თანახმად, რომლის ფარგლებშიც, მუნიციპალური ბიუჯეტი დამოუკიდებელია, როგორც სხვა მუნიციპალიტეტის, ისე ავტონომიური რეპუბლიკის რესპუბლიკური და საქართველოს სახელმწიფო ბიუჯეტისაგან. მუნიციპალიტეტის ბიუჯეტის დამოუკიდებლობას განაპირობებს საკუთარი

¹ ევროპული ქარტი ადგილობრივი თვითმმართველობების შესახებ. (1985). სტრასბურგი. ვებგვერდი: http://smr.gov.ge/Uploads/evropuli_q_354b65fe.pdf. მოძიებულია. 10.29.2018.

შემოსულობები და უფლებამოსილებათა განხორციელებისთვის გადასახადების დამოუკიდებლად განსაზღვრის უფლებამოსილება.²

მიუხედავად კანონმდებლობით უზრუნველყოფილი უფლებამოსილებებისა, ფაქტია რომ, საქართველოს ადგილობრივი თვითმმართველობები მეტწილად დამოკიდებულნი არიან ცენტრალურ ხელისუფლებაზე და ადგილობრივ დონეზე უჭირთ დამოუკიდებლად მნიშვნელოვანი გადაწყვეტილებების მიღება, რომელიც ხელს შეუწყობს მუნიციპალიტეტის განვითარებას და დემოკრატიულ პრინციპებთან დაახლოებას. როგორც წესი ადგილობრივი ბიუჯეტი მოცავს საკუთარ და არასაკუთარ შემოსულობებს, ვინაიდან საკუთარი შემოსულობები ადგილობრივ დონეზე საკმაოდ მწირია, ადგილობრივი თვითმმართველობები დაფინანსებას იღებენ ქვეყნის ცენტრალური ბიუჯეტიდან, რომელიც მოიცავს გათანაბრებით, მიზნობრივ, კაპიტალურ და სპეციალურ ტრანსფერებს. სწორედ ამიტომ, ვინაიდან ადგილობრივი თვითმმართველობები ძირითად შემოსულობებს ქვეყნის ბიუჯეტიდან იღებენ ისინი დამოკიდებულნი არიან ქვეყნის ცენტრალურ ხელისუფლებაზე და დამოუკიდებლად გადაწყვეტილებების მიღება ნაკლებად შეუძლიათ, ცენტრალურ ხელისუფლებასთან კონსულტაციისა თუ ვალდებულებების თავის ავლის გარეშე. შესაბამისად ეკონომიკურად დამოკიდებული ადგილობრივი ხელისუფლება პოლიტიკურადაც დამოკიდებულია ცენტრალურ ხელისუფლებაზე. მიუხედავად ევროპული ქარტიისა და ასოცირების ხელშეკრულების რატიფიცირებისა, რომლებიც ადგილობრივი თვითმმართველობის დეცენტრალიზაციასა და დამოუკიდებლად განვითარებას ითვალისწინებენ, საქართველოში ნათლად ჩანს, მულიციპალურ დონეზე ცენტრალური ხელისუფლებისადმი დაქვემდებარება.

საერთაშორისო გამოცდილება და ცალკეული სახელმწიფოების მიერ მიღებული გადაწყვეტილებები, მეტი დეცენტრალიზაცია მინიჭონ

² საქართველოს პარლამენტი. (2014). *საქართველოს ორგანული კანონი, ადგილობრივი თვითმმართველობის კოდექსი* (დოკუმენტის ნომერი, 1958-III). ქუთაისი. ვებ-გვერდი: <https://matsne.gov.ge>. მოძიებულია. 10.29.2018

ადგილობრივ თვითმმართველობებს, რათა მათ დამოუკიდებლად შეძლონ განვითარება, რაც ხელს შეუწყობს ქვეყნის წინსვლას, ცხადყოფს იმას რომ თვითმმართველობების განვითარება აქტუალურ და პრინციპულ მნიშვნელობას იძენს. შესაბამისად აუცილებელია საქართველომ გაითვალისწინოს საერთაშორისო გამოცდილება და მხოლოდ საკანონმდებლო დონეზე არ შემოიფარგლოს საკითხის მოსაგვარებლად, არამედ მიმართოს ქმედით ზომებს და გარდამავალი ეტაპიტან გადავიდეს ახალ საფეხურზე, რაც ქვეყანას დაეხმარება განვითარებასა და წინსვლაში. ნაშრომის მიზანიც პოლიტიკური და ეკონომიკური ფაქტორების იდენტიფიცირებაა, რომელთა კავშირიც ხელს უშლის დეცენტრალიზაციას და იწვევს ადგილობრივი თვითმმართველობების ეფექტური მუშაობის ჩავარდნას. პრობლემის ანალიზის შედეგად სიახლესთან ერთად ნათლად იქნება ნაჩვენები დეცენტრალიზაციის წარუმატებელი მცდელობის პროცესი საქართველოში.

კვლევის მიზანი: პოლიტიკური და ეკონომიკური ფაქტორების იდენტიფიცირება, რომლებიც განაპირობებენ ადგილობრივი თვითმმართველობების ეფექტური მუშაობის ჩავარდნას.

კვლევის ამოცანები:

- ადგილობრივი თვითმმართველობის კოდექსის ანალიზის შედეგად თვითმმართველი ორგანოების ეკონომიკური და პოლიტიკური შეფასება და მათი ანალიზი.
- ევროპული ქარტიისა და ადგილობრივი თვითმმართველობის კოდექსის მიღების შედეგად მიღებული შედეგების შესწავლა და შეფასება.
- ძირითადი ფისკალური და პოლიტიკური ბარიერების იდენტიფიცირება, რომლებიც ხელს უშლიან საქართველოში დეცენტრალიზაციისა და დემოკრატიული პროცესების განვითარებას, ადგილობრივი თვითმმართველობების დონეზე.

- ყოფილი პოსტსაბჭოთა ქვეყნების (ლიეტუა, ლატვია, ესტონეთი) თვითმმართველობის პოლიტიკის მიმოხილვა, ევროკავშირში გაწევრიანების შემდეგ და მათი წარმატების გამომწვევი მიზეზების ანალიზი.
- საქართველოში თვითმმართველობის პოლიტიკის განხილვა და მისი წარუმატებლობის გამომწვევი ფაქტორების იდენტიფიცირება და ანალიზი.
- სწორი პოლიტიკის გატარების შედეგად მიღებული შედეგებისა და საკითხების ჩვენება, რომელთა გათვალისწინება დაეხმარება საქართველოს დეცენტრალიზაციისა და დამოუკიდებელი ეკონომიურ-პოლიტიკური საკითხების წარმართვაში.

საკვლევი კითხვა: საქართველოში ადგილობრივი თვითმმართველობები რამდენად ეფექტურად ახერხებენ იყვნენ დეცენტრალიზებულნი, როდესაც ისინი პოლიტიკურად და ეკონომიკურად დამოკიდებულნი არიან ცენტრალურ ხელისუფლებაზე?

The aim of the research was to identify the problems of a former prisoner women with less serious offences during their work recruitment process in a state and private sector and to investigate the reasons behind these problems. The research also reflects the employers attitudes towards them, because, often women with past criminal records become victims of stigmatization and gender-based discrimination, which prevents them from employment and re-socialization process.

Also, it is important that the government has a great role in creating and implementing proper employment and the re-socialization strategies of a former prisoner women. The report reflects the attitude of the former convicted women on the programs implemented by the Ministry of Corrections and Legal Assistance, Ministry of Justice.

The research is important for the former convicts, their families, employers, the Ministry of Corrections and Legal Assistance, the Ministry of Justice and the persons interested in this issue. There is currently no study that concerns the issue of employment in private and public sectors of former prisoners with less serious offenses.

Keywords: less serious crime, private and public sector, stigmatization, discrimination,

segregation, status, resocialization.

სარჩევი

შესავალი.....	6
1. თემის პრობლემატიკა და აქტუალობა.....	8
1.1 სოციოლოგიური კვლევის მიზანი, ამოცანა, ჰიპოთეზა.....	11
2. თეორიული ჩარჩო	
2.1 სოციოლოგიური კვლევის მეთოდოლოგია.....	12
2.2 თეორიული დისკურსის ინტერპრეტაცია.....	13
2.3 სამეცნიერო ლიტერატურის მიმოხილვა.....	17
3. კვლევის შედეგები - ნაკლებად მძიმე დანაშაულის მქონე ყოფილი პატიმარი ქალების პრობლემები.....	20
3.1 კერძო სექტორის დამსაქმებლის დამოკიდებულება ნაკლებად მძიმე დანაშაულის მქონე ყოფილი ქალი პატიმრების დასაქმებისას.....	26
3.2 საჯარო სკოლის მასწავლებლების დამოკიდებულება ნაკლებად მძიმე დანაშაულის მქონე ყოფილი ქალი პატიმრების მასწავლებლის პოზიციაზე დასაქმებისას.....	31
დასკვნა.....	36
ბიბლიოგრაფია.....	39
დანართი #1	41

შესავალი

საქართველოში საკითხი დასაქმების შესახებ აქტუალურია, რადგან ჩვენს ქვეყანაში საქართველოს სტატისტიკის ეროვნული სამსახურის 2017 წლის მონაცემებით მოსახლეობის 13.9% უმუშევარია¹.

განსაკუთრებით საკითხი რთულდება, როდესაც ვსაუბრობთ მდედრობითი სქესის წარმომადგენლების დასაქმებაზე, რადგან ხდება სქესის ნიშნით შრომის დანაწილება, როდესაც ამა თუ იმ სამუშაოს რომელიმე ერთ სქესს მიაკუთვნებენ, როგორც „მისთვის განკუთვნილს“, რასაც თანსდევს გენდერული დისკრიმინაცია, სქესობრივ სტერეოტიპებს იმის შესახებ, თუ რომელი ტიპის სამუშაოს როგორი თვისებები ესაჭიროება, შედეგად მოჰყვება ე.წ. 'მამაკაცურ' (უფრო მამაკაცისათვის შესაფერის) და 'ქალურ' (უფრო ქალისათვის შესაფერის) სამუშაოებად სეგრეგაცია.²

სტერეოტიპები მნიშვნელოვანია აღვნიშნოთ, რომ გავლენას ახდენენ საზოგადოების წევრზე: პოტენციურ დასაქმებულებზე, დამსაქმებლებსა და მომხმარებლებზე. სქესის ნიშნითა და გენდერული სტერეოტიპების გავლენით დიფერენციაცია ქალის დასაქმების შესაძლებლობას ამცირებს.³

ეკონომიკური აქტივობის მიხედვით, 15 წლისა და უფროსი ასაკის ქალების განაწილების მიხედვით 2017 წელს აქტიურ მოსახლეობას წარმოადგენდა 936,7(ათასი) ქალი, რომელთა 12.7% უმუშევარია, ხოლო მამაკაცები 1046,3(ათასი), რომელთა 15.0% უმუშევარია.⁴

ზემო აღწერილი მდგომარეობის გათვალისწინებით შეგვიძლია ვთქვათ, რომ ყოფილი პატიმარი ქალიების შემთხვევაში, ვითარება კიდევ უფრო მძიმდება, რადგან მათ

¹http://www.geostat.ge/?action=page&p_id=145&lang=geo საქართველოს სტატისტიკის ეროვნული ბიურო, დასაქმება და უმუშევრობა.

²პადავიჩი, ირენ, რესკინი, ბარბარა, ქალები და მამაკაცები სამსახურში, 2007,87.

³პადავიჩი, ირენ, რესკინი, ბარბარა, ქალები და მამაკაცები სამსახურში, 2007,86.

⁴http://www.geostat.ge/?action=page&p_id=145&lang=geo საქართველოს სტატისტიკის ეროვნული ბიურო, 15 წლის და უფროსი ასაკის მოსახლეობის განაწილება ეკონომიკური აქტივობის მიხედვით,

1998-2017.

კანონის ძალითაც ეზღუდებათ, ეკრძალებათ ყველა სფეროში დასაქმება.⁵

სასჯელალსრულების დაწესებულების დატოვების შემდგომ პატიმარი ინცებს რესოციალიზაციის პროცესს, რეინტეგრაციას საზოგადოებაში - ახალ ცხოვრებას და მნიშვნელოვანია, რომ ეს პროცესი წარმატებით დასრულდეს.

საქართველოში, როგორც წესი დანაშაულის მოხდის შემდგომ ყოფილ მსჯავრდებულებს ექმნებათ პრობლემები საზოგადოებაში ინტეგრირებისას. საზოგადოების ნაწილისთვის რთული წარმოსადგენია მდედრობითი სქესის ნასამართლეობა და უფრო მიუღებელია მათთვის ყოფილი მსჯავრდებული ქალი, ვიდრე მამაკაცი, რაც შესაძლოა ქალბატონების რესოციალიზაციის პროცესს უფრო ართულებს და დასაქმების შესაძლებლობას ამცირებს.

კანონით ყოფილ ქალ პატიმარს აქვს სრული უფლება დასაქმდეს კერძო სექტორში ნებისმიერ პოზიციაზე, მაგრამ რაც შეეხება სახელმწიფო სექტორს აქ არის შეზღუდვებიც, მაგალითად, ყოფილ პატიმარს განურჩევლად სქესისა, საჯარო სამსახურში არ შეუძლია დასაქმება, თუ იგი ნასამართლევია განზრახ ჩადენილი დანაშაულისათვის და მოხსნილი არა აქვს ნასამართლეობა.⁶

როგორც ვხედავთ ნასამართლევი ქალების დასაქმების შანსები და არეალები შეზღუდულია. მაგრამ საინტერესოა რამდენად მისაღებია სკოლის პედაგოგებისათვის ყოფილი პატიმარი ქალბატონის მასწავლებლის პოზიციაზე მუშაობა. ყოფილ პატიმარს სრული უფლება აქვს იმუშაოს სკოლაში პედაგოგად.⁷ სახელმწიფო სექტორს მიეკუთვნება მასწავლებელი, მაგრამ ის არ არის საჯარო სამსახურის წარმომადგენელი.

კვლევის აქცენტს წარმოადგენს კერძო და სახელმწიფო სექტორში დაბალ პოზიციებზე ნაკლებად მძიმე დანაშაულის მქონე ყოფილი პატიმარი ქალების დასაქმების

⁵საქართველოს კანონი საჯარო სამსახურის შესახებ, თავი 2, მუხლი 17.

⁶საქართველოს კანონი საჯარო სამსახურის შესახებ, თავი 2, მუხლი 17.

⁷საქართველოს კანონი საჯარო სამსახურის შესახებ, თავი 1, მუხლი 5.

შესაძლებლობა

ჩვენი კვლევის ფოკუსი ძირითადად მიმართულია კერძო სექტორში დაბალანაზღაურებად პოზიციებზე ყოფილი პატიმარი ქალების დასაქმების საკითხების იდენტიფიცირებაზე (მკერავ და მალაზიის გამყიდველის და ა.შ.), ხოლო სახელმწიფო სექტორიდან მხოლოდ ყურადღებას გავმახვილებთ ნაკლებად მძიმე დანაშაულის მქონე ყოფილი პატიმარი ქალის მასწავლებლად მუშაობის შესაძლებლობაზე. ვვარაუდობთ, რომ სახელმწიფოს მიერ განხორციელებული პროგრამები არაეფექტურია, ნაკლებად მძიმე დანაშაულის მქონე ყოფილი პატიმარი ქალების დასაქმებისას კერძო და სახელმწიფო სექტორში დამსაქმებლის მხრიდან ხდება, როგორც მათი დისკრიმინაცია გენდერული ნიშნით, ასევე სტიგმატიზაცია ყოფილი პატიმრის სტატუსის გამო, რაც ხელს უშლის მათი დასაქმებისა და რესოციალიზაციის პროცესს.

სამაგისტრო ნაშრომის ორი თავი და შესაბამისი ქვეთავები ეთმობა კვლევის მიზნის, თეორიის გაცნობას და არსებული ლიტერატურის მიმოხილვას, ხოლო მესამე თავი მთლიანად ეთმობა ჩატარებული კვლევის შედეგებსა და მიგნებებს, რომელიც ნათლად დაგვანახებს ნაკლებად მძიმე დანაშაულის მქონე ყოფილი პატიმარი ქალების დასაქმებისას წარმოქმნილ პრობლემებს.

1. თემის პრობლემატიკა და აქტუალობა

დასაქმების პრობლემა ერთ-ერთი უმნიშვნელოვანესი გამოწვევაა, რომლის წინაშეც დგას საქართველოს ხელისუფლება და საზოგადოება. პრობლემის აქტუალობას საქართველოს სტატისტიკის ეროვნული სამსახურის 2017 წლის მონაცემებიც ცხადყოფს, მოსახლეობის 13.9% საქართველოში უმუშევარია.⁸ დასაქმებისა და

⁸http://www.geostat.ge/?action=page&p_id=145&lang=geo საქართველოს სტატისტიკის ეროვნული ბიურო, დასაქმება და უმუშევრობა.

უმუშევრობის საკითხი უფრო მწვავედ ეხმიანება ყოფილი პატიმრების შემთხვევაში. მასობრივი ამინისტიის, შეწყველების, კალენდარულის, პირობით ვადამდე გათავისუფლების გათვალისწინებით ციხეებს პატიმრები ტოვებენ.⁹

ამის გარდა, ციხის გარეთ ყოფილი პატიმრები ნასამართლევის სტატუსით აგრძელებენ ცხოვრებას, რაც მათ დიდ წინააღმდეგობებს უქმნის, როგორც დასაქმებაში, ასევე საზოგადოებაში ინტეგრაციისას. საკითხი უფრო პრობლემური ხდება, როდესაც თემა ეხება ნაკლებად მძიმე დანაშაულის მქონე ყოფილი პატიმარი ქალების დასაქმებას კერძო და სახელმწიფო სექტორში.

სამუშაო ადგილების დეფიციტს თან ახლავს საქართველოში ყოფილი პატიმრების სტიგმატიზაციის ფართოდ გავრცელებული პრაქტიკა, ხოლო როდესაც ამ ორ ფაქტორს, კიდევ ერთი უმნიშვნელოვანესი მოცემულობა ყოფილი ქალი პატიმრის სტატუსი ემატება დასაქმების შანსი და პერსპექტივა უკიდურესად მცირდება.

საქართველოში გარდა აღნიშნული ფაქტორებისა დასაქმების პროცესზე ზეგავლენის მატარებელია შრომის გენდერული სეგრეგაცია და დასაქმების სქესობრივი ნიშნით დისკრიმინაცია, რაც გულისხმობს, რომ ამა თუ იმ სამუშაოზე კომპეტენციისა და განათლების, გამოცდილების კრიტერიუმებზე პრევალირებს ადამინების სქესობრივი, გენდერული კუთვნილება.¹⁰ ასევე, გასათვალისწინებელია დასაქმების სფერო და დანაშაულების პერსპექტივა.

როგორც ცნობილია „საჯარო სამსახურის შესახებ“ საქართველოს კანონის მე-17 მუხლის თანახმად, საჯარო სამსახურში არ მიიღება პირი, თუ იგი ნასამართლევია განზრახ ჩადენილი დანაშაულისათვის და მოხსნილი არა აქვს ნასამართლეობა.¹¹ როგორც ვხედავთ, მათ არ შეუძლიათ საჯარო სექტორში მუშაობა, რითიც უფრო რთულდება ყოფილი პატიმრების დასაქმება.

⁹სასჯელაღსრულებისა და პრობაციის სამინისტროს სისტემის სტატისტიკის წლიური ანგარიში, პენიტენციური სისტემიდან გასვლა, 2015, 22.

¹⁰ჰადავიჩი, ირენ, რესკინი, ბარბარა, ქალები და მამაკაცები სამსახურში, 2007, 109.

¹¹საქართველოს კანონის აჯაროსამსახურის შესახებ, თავი 2, მუხლი 17.

მნიშვნელოვანია სახელმწიფოს როლი ნაკლებად მძიმე დანაშაულის მქონე ყოფილი პატიმარი ქალების დასაქმებაში. საქართველოში დღეს ფუნქციონირებს ორი პროგრამა, რომელიც ხელს უწყობს ყოფილი პატიმრების დასაქმებას. იუსტიციის სამინისტროს დანაშაულის პრევენციისა და ინოვაციური პროგრამების ცენტრმა ყოფილი მსჯავრდებულების რესოციალიზაცია-რეაბილიტაციის პროცესი დაიწყო 2013 წელს, ცენტრი წინასწარ გეგმავს საზოგადოებაში მათი რეინტეგრაციის პროცესს. ყოფილი მსჯავრდებულების რეაბილიტაციის პროექტის მიზანია იმ ახალგაზრდებზე ზრუნვა, რომლებიც ერთხელ უკვე მოხვდნენ საპატიმროში. პროგრამა მიზნად ისახავს ყოფილი პატიმრის სასჯელალსრულებით დანესებულებაში ხელახალი მოხვედრის აღბათობის შემცირებას. დანაშაულის პრევენცია კი საზოგადოებაში დაცულობის, უსაფრთხოების განცდის შენარჩუნებას უწყობს ხელს.¹²

ასევე, მეორე პროგრამა ხორციელდება სასჯელალსრულებისა და პრობაციის და განათლებისა და მეცნიერების სამინისტროებს შორის დადებული ხელშეკრულებით, რომლის მეშვეობითაც ქალი მსჯავრდებულები ჩართულნი არიან პროფესიული კოლეჯების კურსებში, იღებენ ფსიქო-სოციალურ მომსახურებას და დასაქმების ხელშეწყობას.¹³

თემა - ნაკლებად მძიმე დანაშაულის მქონე ყოფილი პატიმარი ქალების დასაქმება კერძო და სახელმწიფო სექტორში აქტუალური და პრობლემური საკითხია, რომელიც არ არის ჯერ შესწავლილი და საჭიროებს კვლევას.

¹²<http://prevention.gov.ge/page/4/geo> დანაშაულის პრევენციის ცენტრი.

¹³<http://www.moc.gov.ge/ka/zrunva-qalebze/msjavrdebul-qaltha-reabilitacia> სასჯელალსრულებისა და

პრობაციის სამინისტრო.

1.1 სოციოლოგიური კვლევის მიზანი, ამოცანა, ჰიპოთეზა

საქართველოს სტატისტიკის ეროვნული სამსახურის 2017 წლის მონაცემების მიხედვით დასაქმებული პირების 83,4% მუშაობს კერძო სექტორში, ხოლო 16,6% - სახელმწიფო სექტორში.¹⁴ ჩვენს კვლევაში მნიშვნელოვანია აღნიშნული სექტორების არსებობა, გვინტერესებს თუ როგორი დამოკიდებულება აქვს კერძო და სახელმწიფო სექტორების წარმომადგენლებს ნაკლებად მძიმე დანშაულის მქონე ყოფილი პატიმარი ქალების დასაქმებაზე.

კვლევითი ნაშრომის მიზანია, ნაკლებად მძიმე დანშაულის მქონე ყოფილი პატიმარი ქალების პრობლემების იდენტიფიცირება კერძო და სახელმწიფო სექტორში დასაქმებისას, პრობლემების გამომწვევი მიზეზების დადგენა, დამსაქმებლის დამოკიდებულებისა და სახელმწიფოს როლის შესწავლა ყოფილი პატიმარი ქალების დასაქმებისას.

ამგვარად, საკვლევი ამოცანებია:

- სასჯელაღსრულების დაწესებულების დატოვების შემდეგ მიზანია ნაკლებად მძიმე დანშაულის მქონე ყოფილი პატიმარი ქალების ცხოვრებაში წარმოქმნილი პრობლემების შესწავლა;
- კერძო და სახელმწიფო სექტორში ნაკლებად მძიმე დანშაულის მქონე ყოფილი პატიმარი ქალების დასაქმებისას წარმოქმნილი წინააღმდეგობების შესწავლა;
- სახელმწიფოს როლი ნაკლებად მძიმე დანშაულის მქონე ყოფილი პატიმარი ქალების დასაქმებაში.

¹⁴http://www.geostat.ge/?action=page&p_id=145&lang=geo საქართველოს სტატისტიკის ეროვნული ბიურო, დასაქმებულთა განაწილება ინსტიტუციური სექტორების მიხედვით, 2007-2017.

შესაბამისად, კვლევის ჰიპოთეზაა: სახელმწიფოს მიერ განხორციელებული პროგრამები არაეფექტურია ნაკლებად მძიმე დანაშაულის მქონე ყოფილი პატიმარი ქალების დასაქმებისას კერძო და სახელმწიფო სექტორში დამსაქმებლის მხრიდან ხდება მათი დისკრიმინაცია გენდერული ნიშნით, სტიგმატიზაცია ყოფილი პატიმრის სტატუსის გამო, რაც ხელს უშლის მათი დასაქმებისა და რესოციალიზაციის პროცესს.

2. თეორიული ჩარჩო

2.1 სოციოლოგიური კვლევის მეთოდოლოგია

სამაგისტრო კვლევითი ნაშრომი დაფუძნებულია თეორიული მასალის შესწავლასა და ემპირიული მონაცემების შეგროვებაზე. სოციოლოგიური კვლევა ეყრდნობა თვისებრივი კვლევის მეთოდებს, შესასწავლი საგნის სიღრმისეულ შესწავლას და ანალიზს. შესწავლის შემდეგ მოხდება ძირითადი პრობლემების განსაზღვრა.

ემპირიული მონაცემების მოპოვება განხორციელდა სიღრმისეული ინტერვიუს მეთოდით. ემპირიული სოციოლოგიური კვლევის ინსტრუმენტი არასტრუქტურირებული სოციოლოგიური კითხვარი, რომელიც დაყოფილია თემატურ ბლოკებად სამი სამიზნე ჯგუფის სპეციფიკის გათვალისწინებით.

კვლევაში მონაწილეობა მიიღო 16-მა რესპონდენტმა, მათგან 7 იყო ნაკლებად მძიმე დანაშაულის მქონე ყოფილი პატიმარი ქალი, რომელთა ასაკიც მიეკუთვნება 35-55 წლის კატეგორიას, 1 საჯარო სკოლის 4 მასწავლებელი და 5 პირი კერძო სექტორიდან.

ნაკლებად მძიმე დანაშაულის ჩადენის დროს, დამნაშავე ისჯება 5 წლამდე თავისუფლების აღკვეთით¹⁵ და ვფიქრობ, რომ ნაკლებად მძიმე დანაშაულის მქონე ყოფილ პატიმარ ქალს აქვს უფრო მეტი შანსი დასაქმდეს ჩვენს საზოგადოებაში უფრო

¹⁵თეგელიშვილი, სოლომონ, იურიდული ენციკლოპედია, დანაშაულის კატეგორიები, 2008, 191.

მარტივად, ვიდრე მძიმე ან განსაკუთრებით მძიმე დანაშაულის ჩამდენი. 35-55 ასაკის კატეგორიის ქალბატონები უფრო ადვილად დასაქმდებიან, ვიდრე მათზე ასაკოვნები, ისინი არიან შრომისუნარიანები, ჰყავთ შვილები და მოხუცი მშობლები, რომელთა წინაშეც ვალდებულებები გააჩნიათ.

გამომდინარე იქედან, რომ კვლევა ეხება ნაკლებად მძიმე დანაშაულის მქონე ყოფილი პატიმარი ქალების დასაქმებას სახელმწიფო და კერძო სექტორში, სახელმწიფო სექტორიდან ვინტერესდებით მხოლოდ საჯარო სკოლებში არსებული სიტუაციით, რადგან გავიგოთ როგორი დამოკიდებულება აქვთ მასწავლებლებს ყოფილი ქალი პატიმრების დასაქმებაზე სკოლაში მასწავლებლის პოზიციაზე. კერძო სექტორიდან კი შევარჩიე სამკერვალოსა და მაღაზიების ხელმძღვანელები, რომლებიც ასაქმებენ მკერავისა და გამყიდველის პოზიციაზე პირებს. ვფიქრობთ, შედარებით დაბალი თანამდებობებია, რომელზეც ნაკლებად მძიმე დანაშაულის მქონე ყოფილ პატიმარ ქალებს უფრო შეუძლიათ დასაქმება და ჩვენს ქვეყანაში ეს პოზიციები მიჩნეულია, როგორც „ქალურ“ სამუშაოებად.

- დაცული იყო კონფიდენციალობა.
- ინტერვიუების ხანგრძლივობა შეადგენდა 35 წუთს.
- ინტერვიუები ჩატარდა 2018 წლის ნოემბერში.

2.2 თეორიული დისკურსის ინტერპრეტაცია

პიროვნება, რომელიც აღმოჩნდება ტოტალურ ინსტიტუტში, როგორცაა ციხე, სადაც მკაცრად განსაზღვრულ რეჟიმში ხანგრძლივად ცხოვრობს მსჯავრდებული ფართო₂₁

საზოგადოებისაგან იზოლირებული,¹⁶ იწყება მისი დესოციალიზაცია, რაც გულისხმობს „თვით-იმიჯისა და ღირებულებების დაკარგვის პროცესს, რომელსაც ჩვეულებრივ თან მოსდევს ღირებულებებისა და თვით-აღქმის განსხვავებულ სისტემაში რესოციალიზაცია“. რესოციალიზაცია კი არის „ნორმებისა და ღირებულებების ახალი წყების გათავისება, რომელიც სრულიად განსხვავებულია აქამდე ჩვენთვის არსებული ნორმებისა და ღირებულებებისგან“.¹⁷

სასჯელაღსრულების დანესებულებაში მყოფი პირი, შეგვიძლია ვთქვათ, რომ გადის დესოციალიზაციის და რესოციალიზაციის პროცესს ციხეში, დანაშაულის მოხდის შემდგომ კი იწყება მისთვის ახალი ცხოვრება და რესოციალიზაცია საზოგადოებაში, ხელახალი სოციალიზაცია ანუ ინდივიდი ითვისებს სოციალურ ნორმებს, კანონებს, ქცევებსა და ღირებულებებს. სოციალიზაცია აქტიური პროცესია. სოციალიზაციის თეორიის წარმომადგენლები არიან: გ. ტარდი, ტ. პარსონსი, ჯ. მიდი და სხვები. ტრადის მტკიცებით, სოციალიზაციის შესაძლებლობა დაკავშირებულია მიბაძვასთან. პარსონსმა გაიგო, როგორც სოციალურ რეალობაში ინდივიდის ინტეგრაცია. მიღთან პიროვნების სოციალიზაცია სხვათა როლების ათვისების შედეგად ხდება.¹⁸

მაგრამ დღევანდელ ქართულ საზოგადოებაში ნაკლებად მძიმე დანაშაულის მქონე ყოფილი პატიმარი ქალების ხელახალი სოციალიზაციის პროცესი არც თუ ისე წარმატებულად მიმდინარეობს. ყოფილი პატიმარი ქალების რესოციალიზაციასა და დასაქმებას ხელს უშლის სტიგმის არსებობა ნასამართლეობის სტატუსის გამო, დისკრიმინაცია და სეგრეგაცია სქესის ნიშნის მიხედვით.

¹⁶კალჭუნი, ქრეგ, ლაითი, დონალდ, კელერი, სუზენ, სოციოლოგია, სოციალიზაცია ზრდასრულ ასაკში, დესოციალიზაცია და რესოციალიზაცია, 2008, 228-229.

¹⁷კალჭუნი, ქრეგ, ლაითი, დონალდ, კელერი, სუზენ, სოციოლოგია, სოციალიზაცია ზრდასრულ ასაკში, დესოციალიზაცია და რესოციალიზაცია, 2008, 234.

¹⁸სოციალურ მეცნიერებათა ცენტრი, სოცილაურ და პოლიტიკურ ტერმინთა ლექსიკონი-ცნობარი,

2004, 278.

ადამიანისათვის ან ჯგუფისათვის დამახასიათებელი რომელიმე ნაკლსა თუ მანკიერებას სტიგმა ეწოდება. ირგვლივ მყოფთაგან სტიგმატიზებული ადამიანები განიცდიან დასჯას, დამცირებას, გარიყვას.¹⁹ ნეგატიური ნიშანი, რომელიც პიროვნების ღრმა დისკრედიტაციას იწვევს, გამოარჩევს მას საზოგადოებისგან, პიროვნულ გაუფასურებას იწვევს და ისე ამცირებს მას სხვების თვალში, რომ სრულფასოვანი პიროვნების ნაცვლად, არასრულფასოვან, შელახულ და „ბინძურ“ ინდივიდად გამოიყურება. სტიგმა ადამიანს სხვა „ნორმალურ“ ადამიანზე ნაკლები ღირებულების მქონედ აქცევს. სტიგმატიზირებული პიროვნებები მთლიანობაშელახულ, კომპრომისულ და, ზოგ შემთხვევაში, სრულფასოვან პიროვნებაზე დაბლა მდგომ ადამიანებად მიიჩნევიან.²⁰ სტიგმა შეიძლება იყოს სხეულებრივი ნიშანი, როგორცაა ფიზიკური სიმახინჯე ანდა, ისეთი სოციალური მახასიათებლები, როგორცაა ინდივიდის კრიმინალური რეპუტაცია. საზოგადოება არასწორედ აფასებს სტიგმატი ადამიანის შესაძლებლობებს. მაგალითად, ითვლება, რომ დამნაშავეები მხოლოდ კითხულობენ იაფყდიან დეტექტურ რომანებს. თუ ისინი კითხულობენ ლორენ ღურენის წიგნებს, მაშინ მათ უჩვეულო პიროვნებებად თვლიან.²¹

გოფმანის მთავარი სათქმელი არის, რომ ყველა ადამიანი ამა თუ იმ დროსა და მდგომარეობაში რაღაც ხარისხით სტიგმატიზირებულია. ის განიხილავდა ორ სფეროს შორის დპირისპირებას 1. რაც უნდა იყოს ადამიანი, „ფაქტიური სოციალური იდენტობა“ და 2. როგორც მას საკუთარი თავი წარმოუდგენია „რეალურ სოციალური იდენტურობა“. თუ ადამიანს ამ ორ სფეროს შორის განხეთქილება აქვს, მაშინ „იარლიყი“ აკრია.²² არსებობს დისკრედიტირებული და დისკრედიტირებადი სტიგმა. დისკრედიტირებული სტიგმის შემთხვევაში, ყველასთვის ცნობილია ან ცხადია განსხვავებები (ფიზიკური ნაკლის შემთხვევაში), რაც წარმოქმნის პრობლემებს: ზეწოლა, კონტროლი საზოგადოებისგან, ადამიანებისთვის სირთულეები ცნობილია.

¹⁹სოციალურ მეცნიერებათა ცენტრი, სოცილურ და პოლიტიკურ ტერმინთა ლექსიკონი-ცნობარი, 2004, 290-291.

²⁰GOFFMAN ERVING, STIGMA NOTES ON THE MANAGEMENT OF SPOILED IDENTITY, 1963, 3.

²¹GOFFMAN ERVING, STIGMA NOTES ON THE MANAGEMENT OF SPOILED IDENTITY, 1963, 6.

²²GOFFMAN ERVING, STIGMA NOTES ON THE MANAGEMENT OF SPOILED IDENTITY, 1963, 2-3.

დისკრედიტირებადის დროს განსხვავებები უცნობია ან არ შეიგრძნება მათ მიერ (მაგ., პირი, რომელიც პროსტიტუციას ეწევა), პრობლემას აქ წარმოადგენს ინფორმაციის მართვა, რომ საზოგადოებისათვის უცნობი დარჩეს მათი სირთულეები.²³

ნაკლებად მძიმე დანაშაულის მქონე ყოფილი პატიმარი ქალების სტიგმატიზაცია ხდება სოციალური მახასიათებლის მიხედვით, რაც იწვევს ჩვენი საზოგადოებისგან უარყოფით დამოკიდებულებას, ხდება ყოფილი ქალი პატიმრების დამცირება, იზოლაცია. სასჯელაღსრულების დანესებულების დატოვების შემდგომ ზოგიერთი ყოფილი მსჯავრდებული გარკვეული პერიოდის განმავლობაში ახერხებს ინფორმაციის შენახვას ნასამართლეობის შესახებ, მაგრამ დროთა განმავლობაში საზოგადოების ნაწილი იღებს ინფორმაციას, რომ ეს პიროვნება არის ყოფილი მსჯავრდებული, ამ წუთიდან კი წარმოიქმნება დისკრედიტირებული სტიგმა, რაც წარმოქმნის სირთულეებს.

რობერტ მერტონმა დისკრიმინაცია შემდეგნაირად განმარტა: „დისკრიმინაცია თუნქსიურად არარელევანტურ მახასიათებელზე ყურადღების გამახვილებაა ისე, თითქოს ისინი რელევანტური იყვნენ“.²⁴

სწორედ, ნაშრომში საუბარია დამსაქმებლის მხრიდან სქესის ნიშნის მიხედვით დისკრიმინაციაზე, რომლის დროსაც ყოფილ პატიმარ ქალს არ შეუძლია დასაქმდეს ამა თუ იმ სამუშაოზე მიუხედავად იმისა, რომ გააჩნია ყველა ის თვისება, რაც საჭიროა ამ სამუშაოს შესასრულებლად.

სქესის ნიშნის მიხედვით დისკრიმინაცია არა მხოლოდ აფერხებს ყოფილი ქალი პატიმრების რესოციალიზაციისა და დასაქმების პროცესს, არამედ მოიცავს სქესობრივ სეგრეგაციასაც. „დასაქმებისას არსებული სქესობრივი სეგრეგაცია გულისხმობს ქალისა და მამაკაცის გადანაწილებას სხვადასხვა ტიპის პროფესიებში, სამსახურებსა და სამუშაო ადგილებზე“. სქესობრივ სეგრეგაციას კი უარყოფითი შედეგები მოაქვს

²³სოციალურ მეცნიერებათა ცენტრი, სოციალურ და პოლიტიკურ ტერმინთა ლექსიკონი -ცნობარი, 2004, 290-291.

²⁴პადავიჩი, ირენ, რესკინი, ბარბარა, ქალები და მამაკალები სამსახურში, 2007, 94.

მდედრობითი სქესის წარმომადგენელთათვის: როგორც წესი ქალები მამაკაცებთან შედარებით დაბალ სამსახურეობრივ პოზიციას იკავებენ, აქვთ ნაკლები ძალაუფლება, ანაზღაურება.²⁵

2.3 სამეცნიერო ლიტერატურის მიმოხილვა

საქართველოში მცირეა ლიტერატურა, რომელშიც საუბარია ყოფილი პატიმრის დასაქმების შესახებ კერძო და სახელმწიფო სექტორში. უურნალ „ლიბერალის“ 2014 წლის აგვისტო - სექტემბრის N 154-ში დაბეჭდილია სტატია, სადაც საუბარია ყოფილი პატიმრების დასაქმების შესახებ კერძო და სახელმწიფო სექტორში, ინტერვიუ ჩაწერილია ახალგაზრდა ყოფილ პატიმარ მამაკაცთან, რომელიც ეძებს სამუშაოს და არ ეთაკილება არცერთ პოზიციაზე მუშაობა, მაგრამ ამჟამად უმუშევარია. ასევე, სტატიაში არის ინტერვიუ აფთიაქის და ბანკის ხელმძღვანელთან, რომლებიც აცხადებენ, რომ ყოფილი პატიმრის დასაქმებისას გაითვალისწინებენ თუ რა მიზეზის გამო იხდიდა სასჯელს და რა პოზიციაზე სურს დასაქმდეს ნასამართლევ პიროვნებას, მაგრამ ინტერვიუში ამბობენ, რომ თუ დადგებიან არჩევანის წინაშე არანასამართლევ და ნასამართლევ პირს შორის, უპირატესობას არანასამართლევს მიანიჭებენ. სტატიაში საუბარია სტიგმასა და დისკრიმინაციის შესახებ, რომელიც გამომწვეულია კრიმინალური წარსულის გამო, სახელმწიფოს მიერ განხორციელებული პროგრამებისა და მათი მიზნების შესახებ. ბოლოს, დასკვნის სახით მოცემულია, რომ არა მარტო სახელმწიფომ უნდა იზრუნოს ყოფილი პატიმრების რესოციალიზაციის პროცესზე, არამედ საზოგადოებამ უნდა გამოიჩინოს სოციალური პასუხისმგებლობა მათ წინაშე, ნდობა და დახმარების ხელი უნდა გაუწოდოს ყოფილ პატიმარს.²⁶

არასამთავრობო ორგანიზაციებმა: სიღამ, საქართველოს ფერმერთა ასოციაციამ და

²⁵ ჰადავიჩი, ირენ, რესკინი, ბარბარა, ქალები დამამკაების მსახურში, 2007, 107.

²⁶ ღვედაშვილი, ქეთევან, ნასამართლეობა = უმუშევრობას? 2014, 52-55.

DDV International წარმოადგინეს 2018 წლის 13 ივლისს კვლევის შედეგები, რომელიც კანონთან კონფლიქტში მყოფი პირების პროფესიული განათლებისა და დასაქმების პროგრამების ეფექტიანობას ეხება.²⁷ აღნიშნულია ნაშრომში, რომ რესოციალიზაციისა და საზოგადოებაში რეინტეგრაცია რთული, ხანგრძლივი პროცესია, რომელიც წარმატებით განხორციელდება თუ გათვალისწინებული იქნება შემდეგი ფაქტორები: სარეაბილიტაციო პროგრამების ხელმისაწვდომობა, მიმღებლობა საზოგადოების მხრიდან, არადისკრიმინაციული დამოკიდებულებების არ არსებობა.²⁸ ზოგადად დაბალია საგანმანათლებლო და სარეაბილიტაციო პროგრამებში ბენეფიციართა ჩართვის მოტივაცია, რაც განპირობებულია მათი პროფესიული დამოკიდებულებით სასწავლო პროცესისადმი, საზოგადოებისადმი უნდობლობით და, ასევე შესაძლოა ვერ ხედავდეს მიღებული ცოდნის გამოყენების შესაძლებლობას და მინიმალურად აფასებდეს შემდგომი დასაქმების პერსპექტივას. კვლევის ფარგლებში საუბარია, რომ მათი დაბალი მოლოდინები დასაქმებასთან მიმართებით, საფუძველს მოკლებული ხშირად არ არის, რადგან საზოგადოებაში არსებული სტიგმა, დამსაქმებლების დამოკიდებულება ნასამართლეობის მქონე პირებისადმი, ართულებს კანონთან კონფლიქტში მყოფი პირების სამსახურში მიღებას და/ან მათ მიერ დაკავებული პოზიციების შენარჩუნებას.²⁹

ხელმისაწვდომი აღმოჩნდა ასევე, ინგლისურ ენაზე შესრულებული ნამუშევრები ყოფილი პატიმრის დასაქმების შესახებ.

²⁷ http://www.cso.ge/view.php?type=research_reports&slug=kanontan-konfliqtshi-myof-pirtatvis-arsebuli-saganmanatleblo-da-dasaqmebis-programebis-analizi&fbclid=IwAR11HujR18vBt5011OBHnadHJLUxWiMBOIYNp8wNt8jnXL8u6bikKcsAAww სამოქალაქო

საზოგადოების პორტალი, კანონთან კონფლიქტში მყოფ პირთათვის არსებული საგანმანათლებლო და დასაქმების პროგრამების ანალიზი.

²⁸ იქვე.

კალიფორნიის უნივერსიტეტის პროფესორი, სტივენ რაფაელი საუბრობს ყოფილი პატიმრების დასაქმების პერსპექტივებზე. ყოფილი მსჯავრდებულები ხშირად განიცდიან სტიგმატიზაციას შრომის ბაზარზე მათი დანაშაულებრივი ისტორიის გამო, დიდ სირთულეებს ხვდებიან ისინი სამუშაოს ძებნის პროცესში. საზოგადოებას მიაჩნია, რომ წარმატებული რეინტეგრაციის დროს ყოფილი პატიმრები სირთულეებს წააწყდებიან. მნიშვნელოვანია გაუმჯობესდეს ნასამართლევი პირებისა და მათი ოჯახების გარემო. დასაქმებაში, ტრენინგებში, სოციალური მომსახურებასა და სხვა სახის დახმარებაში საჭიროა ჩაიდოს ინვესტიცია. ყოფილმა პატიმარმა უნდა გადაინაცვლოს პროდუქტიული და სტაბილური ცხოვრებისაკენ, შეამციროს სიღარიბე, რითიც თავიდან აიცილებს დანაშაულებრივ საქმიანობას.³⁰

შოუნ ფლოვერის ნაშრომი „დასაქმება და ქალი პატიმარი“ დათუქნებულია ემპირულ კვლევაზე, რომელიც აღწერს ამერიკის შეერთებულ შტატებში არსებულ სიტუაციას. რეინტეგრაციის პროცესის დროს ქალი და მამაკაცი ბევრი გამოწვევის წინაშე დგას, სტიგმა მათი კრიმინალური ისტორიის გამო, დასაქმების პრობლემა და შესაბამისი უნარ-ჩვევების არ ქონა. არსებობს კონკურენცია, რაც მათ დასაქმების შანსს ამცირებს. უმრავლესობა ქალი დამნაშავეები არიან ეკონომიკურად მარგინალურნი, როდესაც ისინი გარკვეული პერიოდის შემდგომ უბრუნდებიან საზოგადოებას დგანან მნიშვნელოვანი გამოწვევების წინაშე. ეს გამოწვევები ხელს უშლის ქალებს მოიპოვონ ძალისხმევა, შეინარჩუნონ სამუშაო. ქალები მუშაობენ ნაკლები საათი, ვიდრე მამაკაცები და ხშირად დასაქმებულნი არიან არამუდმივ, დაბალი დონის, შემოსავლის პოზიციაზე და მცირე შანსი აქვთ დაწინაურების. ხშირად დამსაქმებლები არიდებენ თავს, რომ აიყვანონ ყოფილი დამნაშავე სამუშაოდ, რადგან ისინი გრძნობენ შიშს, რისკს, უნდობლობას მათ მიმართ. მიუხედავად იმისა, რომ 1964 წლიდან სამოქალაქო უფლებების აქტი კრძალავს დამსაქმებლის მხრიდან უარის თქმას, მხოლოდ ნასამართლეობის გამო, ბევრი გამონაკლისი არსებობს. არსებობს დარგები, სადაც იკრძალება ყოფილი დამნაშავეის დასაქმება მაგალითად, სამედიცინო და პირადი

³⁰Steven Raphael, The employment prospects of ex-offenders, University of California, Berkeley.

მომსახურების სფეროებში (კოსმეტოლოგია, ძიძა). ეს შეზღუდვები განსაკუთრებით მოქმედებს უარყოფითად ქალი პტიმრების დასაქმებაზე. ყოფილ ქალ პტიმრებს აქვთ მცირე ცოდნა და გამოცდილება, ძირითადად ისინი საქმდებოდნენ მოვლისა და მომსახურების სფეროში, მაგრამ ახლა შეზღუდვებია. ნასამართლეობა არის ხშირად ბარიერი ნაყოფიერი დასაქმების. ქალები, რომლებიც არ არიან ფინანსურად დამოუკიდებლები უფრო სავარაუდოა, რომ გააგრძელონ ციკლი რეციდივის.³¹

პატრიცია ობრიენი თავის ნაშრომში „ყოფილი ქალი პტიმრების დასაქმებისას ბარიერის შემცირებაში“ წერს, რომ დარღვევები და ახალი დანაშაული ხდება ხშირად იმის გამო, რომ პტიმრებს არ გააჩნიათ რეინტეგრაციის უნარი და არ იციან თუ როგორ უნდა მოერგოს საზოგადოებას. ბევრი ვერ საქმდება არა მხოლოდ იმის გამო, რომ არ გააჩნიათ მუშაობის უნარ-ჩვევები, არამედ სოციალური სტიგმის გამო, რომელიც მათ კრიმინალურ ისტორიას ეხება. ადამინებს, რომლებსაც უჭირთ ინტეგრაციის პროცესი მაღალია რისკი, რომ ისინი კვლავ ჩაიდენენ დანაშაულს.³²

3. ნაკლებად მძიმე დანაშაულის მქონე ყოფილი პტიმარი ქალების პრობლემები

ნაკლებად მძიმე დანაშაულის მქონე ყოფილი პტიმარი ქალების პრობლემების შესწავლის მიზნით, სილრმისეული ინტერვიუს მეშვეობით გამოიკითხა 7 ნაკლებად მძიმე დანაშაულის მქონე ყოფილი პტიმარი ქალი, რომელთა წლოვანება მიეკუთვნება 35 წლიდან - 55 წლამდე ასაკის კატეგორიას. 2 წელზე მეტია, რაც თითოეულმა მათგანმა სასჯელაღსრულების დაწესებულება დატოვა. განათლების მიღწეული დონე 4 რესპონდენტებისთვის არის საშუალო, 1-ს აქვს პროფესიული განათლება, ხოლო 2

³¹Flower, Shawn M., Employment and Female Offenders: An Update of the Empirical Research, U.S. Department of Justice, November 2010.

³²O'Brien, Patricia, Reducing Barriers to Employment for Women Ex-Offenders, University of Illinois, Chicago, June

2002.

მათგანს უმაღლესი აქვთ დამთავრებული.

რესპონდენტები აღნიშნავენ, რომ სასჯელაღსრულების დაწესებულების დატოვების შემდგომ უამრავ პრობლემებს ხვდებიან დღესაც მიუხედავად იმისა, რომ წლებია, რაც მოიხადეს სასჯელი. ისინი საუბრობენ, რომ საზოგადოებას აქვს მათდამი უარყოფითი დამოკიდებულება, გრძნობენ უნდობლობას, გაუცხოებას, იზოლირებას, არამხოლოდ ნაცნობებისგან, არამედ ახლობლებისგან, ოჯახის წევრებისაგან. ინტერვიუში გამოიკვეთა ასევე, პრობლემები დასაქმების შესახებ. ეს ყოველივე კი მათი ნასამართლეობის გამო იჩენს თავს.

„პირველ რიგში, რაც ყველაზე საშინელებაა საზოგადოებისგან ვგრძნობ უარყოფით დამოკიდებულებას, აღმაცერად მიყურებენ, როდესაც გაიგებენ, რომ ყოფილი პატიმარი ვარ არა მარტო უცხოები, არამედ ჩემი ნათესავებიც კი. ხალხი არ მენდობა. მეგონა ცხოვრებას თავიდან დავიწყებდი, მაგრამ ვერა საზოგადოების მზერა სულ მახსენებს, რომ ერთ დროს დანაშაული ჩავიდინე. არადა ამ დანაშაულისთვის სასჯელი მოვიხადე, მაგრამ ეს საკმარისი არ აღმოჩნდა ჩემი დასჯა დღესაც გრძელდება. პრობლემები მაქვს ასევე სამუშაოსთანაც დაკავშირებითაც. ეს ყველაფერი რა თქმა უნდა, გამონწვეულია ჩემი ნასამართლეობით“. (გვანცა, 3 წელია თავისუფალია.)

„პირველი პრობლემა, რაც ციხიდან გამოსვლის შემდეგ გხვდება არის საზოგადოების მიუღებლობა. ჩემთან ურთიერთობა არ უნდოდათ. მეორე პრობლემა, რაც ჩემთვის მტკივნეული იყო, ეს არის ჩემს შვილთან ურთიერთობა. სამსახურის მოძებნა ძალიან რთული იყო, ჩვენს ქვეყანაში გაუსამართლებელი არავის უნდა და ნასამართლეები მითუმეტეს. პრობლემებს და დაბრკოლებებს ყოველ ფეხის ნაბიჯზე ვხვდები“. (თამარი, 4 წელია თავისუფალია.)

„ყველა ეჭვის თვალით მიყურებდა. ჩემი ეშინოდათ და არავის უნდოდა ჩემთან ურთიერთობა. ყელას უჭირდა ჩემს მდგომარეობაში შესვლა“. (ნათია, 4 წელია თავისუფალია.)

თავისუფალია)

„როდესაც სამსახურს ვეძებდი, კეთილგანწყობის მოპოვების მიუხედავად, ყველა უარს აცხადებდა ჩემს დასაქმებაზე მას შემდეგ, რაც იგებდნენ რომ ნასამართლევი ვიყავი“. (ქეთი, 3 წელია თავისუფალია.)

„საზოგადოებას ჩემს მიმართ ცივი დამოკიდებულება აქვს მიუხედავად იმისა, რომ 3 წელია, რაც ციხე დავტოვე. მაინც ბევრი ადამიანი ცდილობს ჩემგან თავის შორს დაჭერას. ისინი ფიქრობენ, რომ მე არ ვარ სანდო ადამიანი, რადგან მე დავუშვი შეცდომა და აღმოვჩნდი ციხეში“. (ლანა, 3 წელია თავისუფალია.)

ასევე, ისინი საკუთარი თავის სტიგმატიზაციასაც ახდენდნენ და უსვამდნენ ხშირად ხაზს, რომ იყვნენ ყოფილი პატიმრები.

„საზოგადოება ჩვეულებრივად მექცეოდა სანამ არ გაიგებდნენ, რომ ნასამართლევი ვიყავი. ნუ, ეგ ყოველთვის მასეა, რალაც უნდობლობის გრძნობა უჩნდება ხალხს და ეს ბუნებრივიცაა, მე ხომ ნასამართლევი ვარ“. (შორენა, 4 წელია თავისუფალია.)

გამოკითხული რესპონდენტების ნაწილი დასაქმებულია კერძო სექტორში, ნაწილი კი უმუშევარია. ზოგიერთს აქვს კერძო მცირე ბიზნესი, ზოგი კი თავიანთი ნაცნობებისა და ნთესავების დახმარების საშუალებით მუშაობენ კერძო სექტორში.

„რავიცი, ამასაც თუ დასაქმება ქვია, ეზოიანი ბინა მაქვს სკოლის წინ და ვყიდი ჩემს გამომცხვარ ლობიანსა და კარტოფილის ღვეზელს“. (გვანცა, 3 წელია თავისუფალია.)

„დღესდღეობით არ ვარ დასაქმებული“. (ლანა, 3 წელია თავისუფალია.)

„დიახ დასაქმებული ვარ, კერძო სექტორში, მაგრამ ეს ნაცნობების წყალობით მოხდა მხოლოდ“. (ანა, 5 წელია თავისუფალია.)

თითოეულ რესპონდენტს არაერთხელ უცდიათ დასაქმება სხვადასხვა პოზიციაზე, მაგრამ დამსაქმებლის მხრიდან ხდებოდა სტიგმატიზაცია ნასამართლეობის სტატუსის გამო, გენდერული ნიშნით დისკრიმინაცია. როდესაც დამსაქმებელი იგებდა მათი ნასამართლეობის შესახებ ავტომატურად ხდებოდა მათი დაბლოკვა. ყოფილმ⁷

პატიმრის სტატუსი ხელს უშლის პიროვნებას, რომ იყოს უფრო წარმატებული.

„რა თქმა უნდა მიცდია, მყავს შვილები, მოხუცი მშობლები, რომელბსაც ჩემი დახმარება სჭირდებათ, მეხერხება ცომეულის მომზადება და ვცადე დამეწყოს რამდენიმე საცხობში მუშაობა, მაგრამ ამაოდ, ნასამართლეობა ეს არის დიდი ბარიერი. ერთხელ ვიყავი მისული თონეში პურის მცხობელი სჭირდებოდათ, მაგრამ მითხრეს რომ ამ პოზიციითვის კაცი სჭირდებოდათ, კიდევ კარგი ის არ მქონდა ნათქვამი რომ ნასამართლევი ვიყავი, თორემ ალბათ თონეშიც კი არ შემიშვებდნენ“. (გვანცა, 3 წელია თავისუფალია.)

„დიახ, ბევრჯერ ვცადე მუშაობის დაწყება და დღესაც აქტიურად ვცდილობ დავიწყო მუშაობა, თუმცა უშედეგოდ. როდესაც ჩემი ნასამართლეობის შესახებ იგებენ, ყველა უარს მეუბნება“. (ლანა, 3 წელია თავისუფალია.)

„დიდხანს ვცდილობდი ჩემით გამეკათა გზა, მაგრამ ამაოდ. მახსენდება შემთხვევა, რომ სამსახურში აყვანის ეტაპების გავლის შემდეგ ნასამართლეობა, რომ ნახეს უარი განაცხადეს ჩემთან მუშაობაზე, ეს კერძო სექტორში მოხდა. დღესდღეობით ჩემი დეიდაშვილის მაღაზიაში ვმუშაობ კონსულტანტად“. (ანა, 5 წელია თავისუფალია.)

„რასაკვირველია, ნასამართლეობის სტატუსი რომ არ მქონდეს ჩემზე ბედნიერი ადამიანი არავინ იქნებოდა. ნასამართლეობა ეს იცით როგორი რალაცაა თითქოს დალი გასვია და ეს დალი ყელში ხელს გიჭერს, გახრჩობს, და სიცოცხლის უფლებას არ გაძლევს“. (გვანცა, 3 წელია თავისუფალია.)

„დარწმუნებული ვარ ვიქნებოდი უფრო წარმატებული, ნასამართლეობის სტატუსი აფერხებს და ხელს უშლის ადამიანის განვითარებას“. (ქეთი, 3 წელია თავისუფალია.)

ყოფილი პატიმრი ქალების აზრით ყოფილ მსჯავრდებულებს გაუჭირდებათ დასაქმება, რადგან ისედაც მაღალია უმუშევართა რიცხვი საქართველოში, მაგრამ ისინი

ფიქრობენ, რომ განსაკუთრებით რთულია ნასამართლვი ქალის დასაქმება,

ვიდრე მამაკაცის, რადგან საზოგადოება უფრო განიკითხავს ქალებს, მათთვის წარმოუდგენელია მდებრობითი სქესის წარმომადგენელი პირების ნასამართლეობა. ასევე, მათ მიაჩნიათ, რომ მამაკაცს უფრო შეუძლია დასაქმდეს მეტ პოზიციაზე, ვიდრე ქალს.

„დღეს ჩვენს ქვეყანაში დასაქმების პრობლემა მართლაცაა, ამდენი უმუშევარი ხალხია. რა თქმა უნდა, ყოფილი პატიმარი უფრო ნაკლებად დასაქმდება, მაგრამ ყოფილი პატიმარ კაცებთან შედარებით ყოფილი პატიმარი ქალები უფრო ცუდ დღეში ვართ. საზოგადოებას ნაკლებად უკვირს, როდესაც დამნაშავე კაცია, როცა საქმე ეხება ქალებს აქ გაკვირვება, აღშფოთება მატულობს, ასევე კრიტიკაც ქალებისადმი“. (გვანცა, 3 წელია თავისუფალი.)

„ქართველი ხალხისთვის წარმოუდგენელია ქალის ციხეში ჯდომა და შესაბამისდ უფრო განგვიკითხვენ ვიდრე მამაკაცებს“. (ლანა, 3 წელია თავისუფალი.)

„ყოფილი პატიმარი კაცი იმიტომ, რომ მათ შეუძლიათ თუნდაც მშენებლობაზე მუშაობა, ასევე ტაქსზე და არის კიდევ სხვადასხვა პროფესიები, მეტი ვიდრე ქალებს გვაქვს“. (ანა, 5 წელია თავისუფალი.)

ყოფილი პატიმარი ქალების უმრავლესობას მიაჩნია, რომ კერძო სექტორში უფრო დასაქმდებიან, ვიდრე სახელმწიფო სექტორში. მათ აქვთ უფრო იმის იმედი, რომ ვინმე ნათესავი დაასაქმებთ. კერძო სექტორში უფროა შესაძლებელი ნასამართლეობის დამალვა, ვიდრე სახელმწიფო სექტორში. ყოფილი მსჯავრდებულის დასაქმება კი უარყოფითად აისახება სახელმწიფო სექტორის სახელზე.

„კერძოში, რადგან ზოგი არც ითხოვს ნასამართლეობას და შეგიძლია ეს დამალო კიდევ“. (ანა, 5 წელია თავისუფალია.)

„ზოგადად ყოფილ პატიმარს დასაქმება უჭირს, მაგრამ უფრო შესაძლებელი იქნება კერძო სექტორში, ვინმე ღვთისნიერი ნათესავის ბიზნესში“. (ქეთი, 3 წელია თავისუფალია.)

„რა თქმა უნდა კერძო სექტორში უფრო მეტად. სახელმწიფო სექტორში პირველ რიგში ხდება სრული ინფორმაციის მოპოვება პიროვნებაზე. კერძო სექტორში და დაბალ საფეხურზე, მუშა, დამლაგებელი, ან ასე შემდეგ დასაქმების შანსი არსებობს შედარებით. სახელმწიფო სექტორში სტრუქტურას არ აწყობს და ეს ერთგვარად იმიჯის შელახვაზეც მეტყველებს თუ ნასამართლევია დასაქმებული“. (თამარი, 4 წელია თავისუფალია.)

რაც შეეხება სახელმწიფოს როლზე ნაკლებად მძიმე დანაშაულის მქონე ყოფილი პატიმარი ქალის დასაქმების შესახებ საუბრისას რესპონდენტებთან აღმოჩნდა, რომ ზოგიერთ მათგანს აქვს ინფორმაცია სასჯელსრულებისა და პრობაციის სამინისტროს, იუსტიციის სამინისტროს მიერ განხორციელებული პროგრამების შესახებ. ყოფილ პატიმრებს აქვთ მიღებული მონაწილეობა სასჯელსრულებისა და პრობაციის სამინისტროს მიერ განხორციელებულ პროგრამაში, სადაც მათ შეეძლოთ დაუფლებოდნენ სხვადასხვა ხელობას, ისინი აღნიშნავენ კურსების მაღალ ხარისხს, მაგრამ ხაზს უსვამენ, რომ დანესებულების დატოვების შემდგომ მიღებულ ცოდნას ვერ იყენებენ, არ ხდება მათი დასაქმება. რაც შეეხება იუსტიციის სამინისტროს მიერ განხორციელებულ პროგრამას არცერთ მათგანს არ მიუღია მონაწილეობა მასში, რადგან ჰკონიათ, რომ ეს პროგრამები მნიშვნელოვნად ვერ ცვლიან

ყოფილი

მსჯავრდებულის ცხოვრებას.

3.1 კერძო სექტორის დამსაქმებლის დამოკიდებულება ნაკლებად მძიმე დანაშაულის მქონე ყოფილი ქალი პატიმრების დასაქმებისას

კერძო სექტორიდან ინტერვიუ ჩატარდა 5 რესპონდენტთან, რომელთაგან 3 იყო მაღაზიის მენეჯერი და 2 სამკერვალოს ხელმძღვანელი, არცერთი მათგანი არ იყო ნასამართლევნი. ზემო აღნიშნულ დანესებულებებში არ მუშაობს ყოფილი პატიმრი ქალი. სამკერვალოში დასაქმებულები არიან მხოლოდ მდებდრობით სქესის წარმომადგენლები, ხოლო მაღაზიაში ვხვდებით რამდენიმე მამრობითი სქესის თანამშრომელს.

სამკერვალოს ხელმძღვანელებთან საუბრისას თუ რატომ არ არის მათთან დასაქმებული მამრობითი სქესის წარმომადგენელი, ისინი შემდეგნაირად ხსნიან ამ ვითარებას, რომ მომხმარებლისათვის ურო მისაღებია მკერავი ქალი ვიდრე მამაკაცი, შესაბამისად მომხმარებლის სურვილი, კომფორტი სამკერვალოს მეპატრონებისთვის მნიშვნელოვანია. საზოგადოებას მიაჩნია მკერავის პოზიცია „ქალურ სამუშაოდ“, შესაბამისად მათი სტერეოტიპული შეხედულებები გავლენას ახდენს დამსაქმებლის გადწყვეტილებაზე თუ ვინ დაასაქმოს ვაკანტურ ადგილზე.

გამოკითხული რესპონდენტებიდან უმრავლესობა აღნიშნავს, რომ ნაკლებად მძიმე დანაშაულის მქონე ყოფილ პატიმარ ქალს დაასაქმებდა თუ ის იქნებოდა თავისი საქმის სპეციალისტი, მაგრამ ამასთანავე მას მიაქცევდნენ განსაკუთრებულ ყურადღებას, დააკვირდებოდნენ.

„კი რატომაც არა, დავასაქმებდი, თუ მასში დავინახავდი მე იმ პოტენციალს, რაც მაღაზიის უკეთ მუშაობაში დამეხმარება“. (ნინო, მაღაზიის ხელმძღვანელი)

„კი, რატომაც არა, უბრალოდ მე ჯერ მასეთი შემთხვევა არ მქონია. ყველა ადამიანს მოსდის შეცდომა.... შეიძლება მასზე გაორმაგებული დაკვირვება მენარმოებინა, მაგრამ მხოლოდ იმის გამო, რომ მან წარსულში, რაღაც ჩაიდინა, მხოლოდ ამ ნიშნით არ მოხდებოდა მისი დაბლოკვა“. (მარი, მაღაზიის ხელმძღვანელი)

როგორც რესპონდენტებთან საუბრისას გამოჩნდა დამსაქმებლისთვის მნიშვნელოვანია თუ რისთვის არის ნასამართლევი პიროვნება და რა სიმძიმის დანაშაული აქვს ჩადენილი, ასევე ყურადღებას აქცევენ იმას თუ რამდენად კარგი სპეციალისტია. იყო რესპონდენტი, რომელიც კატეგორიულად უარს აცხადებდა ყოფილი ქალი პატიმრის დასაქმებაზე, მას არ სურდა, რომ შექმნოდა ზედმეტი პრობლემები, რაც ყოფილი პატიმრის დასაქმებას შეიძლება მოყოლოდა.

„ალბათ უფრო არა, ვერ დავასაქმებდი, რადგან ეს არის მაღაზია და კადრებს ფრთხილაად ვარჩევთ, რომ არ შექმნას ზედმეტი პრობლემა. მაგ., ქურდობა და ა.შ.“. (ელენე, მაღაზიის ხელმძღვანელი)

ერთ-ერთმა რესპონდენტმა განაცხადა, რომ თუ ნკლებად მძიმე დანაშაულის მქონე ყოფილი პატიმარი ქალი იქნებოდა მისი ნათესავი აუცილებლად მისცემდა მას ახალი ცხოვრების დაწყებისთვის შანსს, მაგრამ უცხო პიროვნებას, რომელიც ნასამართლევა მის მონაცემებს არც კი განიხილავდა. ეს პიროვნება ინტერვიუში აღნიშნავს, რომ ამით ყოფილი პატიმრების უფლებებს არღვევს, ახდენს დისკრიმინაციას, მაგრამ თავს იმართლებს იმით, რომ ეს მისი დაფუძნებული დაწესებულებაა და ვისაც სურს მას დაასაქმებს.

ისინი, ვინც აცხადებდნენ, რომ ყოფილ პატიმარს დაასაქმებდნენ მათ უფრო აქვთ ნდობა ყოფილი მსჯავრდებულების მიმართ, ვიდრე, ვინც წინააღმდეგია მათი

დასაქმების. რესპონდენტებს მიაჩნიათ, რომ სასჯელაღსრულების დაწესებულება პატიმრებზე დადებითად მოქმედებს, ამ პერიოდში ისინი იაზრებენ თვითნათ

დანაშაულს, აცნობიერებენ იმას თუ რა შედეგებამდე შეიძლება მიიყვანოს არაკანონიერმა ქცევამ. ერთ-ერთი რესპონდენტი ამბობს, რომ ციხე პატიმრებზე ერთის მხრივ დადებითად, მეორეს მხრივ კი უარყოფითად მოქმედებს - პატიმრებს ექმნებათ ფსიქოლოგიური პრობლემები.

„წესით დადებითად უნდა მოქმედებდეს, რადგან ეს პერიოდი ადამიანს შეუძლია ფიქრისთვის და თავისი შეცდომების გაანალიზებისთვის გამოიყენოს. შეხედულებებიც ეცვლება თავისთავად“. (მარი, მალაზიის ხემძღვანელი)

„თუ გავიხსენებთ იმას თუ როგორი მდგომარეობა იყო ციხეებში, მაშინ შეგვიძლია ვთქვათ, რომ ფსიქოლოგიური პრობლემები ექმნებათ პატიმრებს. ვფიქრობ უარყოფითად მოქმედებს სასჯელალსრულების დანესებულება პატიმარზე. მაგრამ ვფიქრობ იმასაც, რომ ამ პერიოდში ადამიანი ფიქრობს თავის დანაშაულზე და აცნობიერებს იმას თუ რა შედეგებამდე შეიძლება მიიყვანოს მისმა უარყოფითმა ქცევამ“. (სოფო, სამკერვალოს ხელმძღვანელი)

„ალბათ მოქმედებს, ანალიზს უწევს თავის ნამოქმედარს“. (ნანა, სამკერვალოს ხემძღვანელი)

რესპონდენტებს მიაჩნიათ, რომ სასჯელის მიზანია პიროვნების უკეთესობისკენ შეცვლა, მათში შიშის გაღვიძება, დანაშაულის გააზრება და მისი შემცირება. სასჯელალსრულების დანესებულების დატოვების შემდგომ ყოფილი პატიმრი ქალის დასჯა გრძელდება საზოგადოების მხრიდან, ხდება მათი დისკრიმინაცია, იჩენს თავს ეჭვი, უნდობლობა და აგრესია.

„სამწუხაროდ გრძელდება, პატიმრები დისკრიმინაციის მსხვერპლნი ხდებიან საზოგადოების მხრიდან. ყველა ეჭვის თვალთ უყურებს და არაა ეს სწორი საქციელი, რადგან არავინ არ ვართ არათურისგან დაზღვეულები“. (მარი, მალაზიის ხემძღვანელი)

„კი, რა თქმა უნდა გრძელდება, საზოგადოება ასეთ ადამიანს ეჭვის თვალთ უყურებს

და ცოტა შიშის განცდა ეუფლებათ“. (ელენე, მაღაზიის ხელმძღვანელი)

„კი, მას უნდობლად ექცევიან. ვფიქრობ ნაკლებად სჯერათ ალბათ პატიმრის გამოსწორების და მათში ეს ყოველივე შიშს, აგრესიას, უნდობლობას იწვევს“. (ნინო, მალაზიის ხელმძღვანელი)

„რასაკვირველია გრძელდება, ჩვენ მათ არ ვენდობით, ნასამართლეობის გამო არ ვასაქმებთ, არ ვუწყობთ ხელს, რომ ცხოვრება ხელახლა დაიწყონ“. (სოფო, სამკერვალოს ხელმძღვანელი)

„დასჯა გრძელდება რა თქმა უნდა, იმიტომ რომ უნდობლობის გრძნობა უჩნდება ადამიანს მის მიმართ, ციხეში უბრალოდ არ ხვდებიან“. (ნანა, სამკერვალოს ხელმძღვანელი)

რესპონდენტების უმეტესობას გაუჭირდათ ეთქვათ ჩაიდენს თუ არა ყოფილი პატიმარი ქალი დანაშაულს კიდევ. მაგრამ რესპონდენტების ნაწილმა გაამახვილა ყურადღება გარემოზე, თუ როგორ გარემოში მოხვდებიან ყოფილი მსჯავრდებულები სასჯელალსრულების დაწესებულების დატოვების შემდგომ მნიშვნელოვანია, როგორ მიიღებს საზოგადოება მათ და როგორ წარიმართება რესოციალიზაციის პროცესი. გარემო პირობებზე და საზოგადოებაზე დამოკიდებული დანაშაულის ხელმეორედ ჩადენა.

„თუ საზოგადოების მხრიდან კვლავ დისკრიმინაციის მსხვერპლნი გახდებიან დიდი ალბათობით კი, რადგან თუ არ მოხდა მათი რესოციალიზაცია. თუ ვერ შეძლეს სამსახურის დაწყება და ჩვეულ, ადამიანურ რიტმში ჩადგომა, შეიძლება საზოგადოების მიმართ აგრესია გაუჩნდეთ და ისევ გაიმეორონ თავიანთი შეცდომა“. (მარი, მალაზიის ხელმძღვანელი)

„არ ვიცი, ვერ გეტყვით, ალბათ გააჩნია რა გარემოში მოხვება საპატიმროს დატოვების შემდეგ ყველაფერი მასზეა დამოკიდებული“. (ნინო, მალაზიის ხელმძღვანელი)

სასჯელალსრულების დატოვების შემდგომ რესპონდენტების აზრით, ყოფილი

მსჯავრდებული ქალების ცხოვრება რთულად წარიმართება, რადგან საზოგადოებას

მათდამი აქვს უნდობლობა, არიან იზოლირებულები, აქვთ პრობლემები ინტეგრაციასა და დასაქმების პროცესში. საზოგადოებას უარყოფითი დამოკიდებულება აქვთ ყოფილი პატიმრის მიმართ რესპონდენტების აზრით და, რაც მთავარია რესპონდენტები თავიან თავს მოიაზრებენ ამ საზოგადოებაში, იციან, რომ დამოკიდებულება უნდა შეიცვალოს ყოფილი მსჯავრდებულის მიმართ და შეუწყონ ხელი რესოციალიზაციის პროცესს. ეს ყველაფერი თითოეულმა მათგანმა კარგად იცის, მაგრამ პრაქტიკაში არცერთი მათგანი არ ანხორციელებს ზემო აღნიშნულს, რადგან არჩევანის წინაშე, როცა დადგებიან ნასამართლევ და არანასამართლევ პიროვნებების დასაქმების თაობაზე, არჩევანს არ აკეთებენ ყოფილ ქალ პატიმარზე.

„არც თუ ისე კარგი დამოკიდებულება აქვს საზოგადოებას, როგორც კი იგებენ, რომ ყოფილი პატიმარია მაშინვე ხდება ის გარიყული. საზოგადოებას ასეთი ადამიანებისთვის განაჩენი აქვს გამოტანილი, მათ ეჭვის თვალით უყურებენ და აღარ ენდობიან. ეს დამოკიდებულება შესაცვლელია, რადგან წარსული შეცდომების გამო არ უნდა ხდებოდეს მათი იზოლირება“. (მარი, მალაზიის ხელმძღვანელი)

„საზოგადოება გულგრილია მათ მიმართ, მე მაგალითად, როგორც მენეჯერი უპირატესობას ვანიჭებ „სანდო“ კადრებს. როცა წინ გიღვეს უამრავი CV და არჩევა გიწვეს საუკეთესოსი და მათ შორის არის ყოფილი პატიმარი რა თქმა უნდა მას არ აიყვან უსაფრთხოების მიზნით“. (ელენე, მალაზიის ხელმძღვანელი)

„უნდობელად ექცევა საზოგადოება და მე ვფიქრობ ყველა იმსახერებს კიდევ ერთ შანსს და ამგვარად ყოფილ პატიმარსაც უნდა ჰქონდეს ცხოვრების ხელახლა დაწყების შანსი“. (ნინო, მალაზიის ხელმძღვანელი)

„უარყოფითად ვართ მათდამი განწყობილი, უნდა შევიცვალოთ, მათ უნდა მივცეთ შანსი გახდნენ ჩვენი ნაწილნი, რა თქმა უნდა ესე სიტყვებით ლაპარაკი ადვილია მთავარია ვინ რას ვაკეთებთ ამისთვის“. (სოფო, სამკერვალოს ხელმძღვანელი)

3.2 საჯარო სკოლის მასწავლებლების დამოკიდებულება ნაკლებად მძიმე დანაშაულის მქონე ყოფილი ქალი პატიმრების მასწავლებლის პოზიციაზე დასაქმებისას

გამოკითხული იყო საჯარო სკოლის 4 მასწავლებელი. არცერთი მათგანი არ იყო ნასამართლელი, მუშაობენ მასწავლებლად 15 წელზე მეტია. სკოლაში მუშაობს მხოლოდ ერთი კაცი მასწავლებელი. გამოკითხულ რესპონდენტთა უმრავლესობა აღნიშნავს, რომ კანონით ყოფილ პატიმარ ქალს აქვს უფლება დასაქმდეს სკოლაში მასწავლებლად, მაგრამ ზოგიერთ მათგანი საუბრობს მორალზე, რომელიც არ აძლევს უფლებას ნაკლებად მძიმე დანაშაულის მქონე ყოფილ პატიმარ ქალს დასაქმდეს მასწავლებლის პოზიციაზე.

ყოფილ მსჯავრდებულ კოლეგასთან ექნებოდათ ჩვეულებრივი ურთიერთობა, მაგრამ მაინც თავს შორს დაიჭერდნენ მისგან. ერთადერთი რესპონდენტი აღნიშნავს, რომ არ ექნებოდა მისთვის მნიშვნელობა ნასამართლეობას, მთავარია მისთვის, რომ ხასიათით შეეწყოს. გამოკითხულთა ნაწილი დიდ სურვილს ვერ გამოხატავს მათთან ერთად მუშაობის, ამის მიზეზად უნდობლობას აცხადებენ, მოსწავლეების სოციალიზაციის პროცესზე უარყოფითად აისახება, რომ მათი მასწავლებელი ყოფილი მსჯავრდებული იყოს. ნაწილი კი მზაობას გამოხატავს ყოფილ პატიმართან ერთად მუშაობისას, რადგან მას უკვე სასჯელი მოხდილი აქვს დანაშაულისათვის და ამით პატიმრის რესოციალიზაცია მოხდება, რაც ხელს უწყობს დანაშაულის შემცირებას.

„ვისურვებდი-თქო ვერ გეტყვით, ალბათ უფრო არაა, ალბათ იმიტომ, რომ ნდობა მაინც ნაკლები მექნებოდა მის მიმართ... ჩვენ მასწავლებლებს საქმე გვაქვს მომვალე თაობის არზრდასთან, ჩვენ უნდა ჩამოვუყალიბოთ მომავლისთვის სწორი აზროვნება, განათლება და ა.შ ... ჩვენ დიდი ნდობა გვაქვს მშობლების მხრიდან და ის ფაქტი, რომ ყოფილი პატიმარია ნაკლებ ნდობას გამოიწვევს“. (ბიოლოგიის მასწავლებელი, 20 წლის სტაჟით)

„არ აქვს მნიშვნელობა, ის რა ადამიანი არ არის? მან თავისი ქმედებებისთვის მოიხადა სასჯელი“. (ქართული ენის მასწავლებელი, 27 წლის სტაჟით)

„არ ვისურვებდი, რადგან ეჭვის განცდა მექნებოდა და ბოლომდე ვერ ვენდობოდი“. (ქიმიის მასწავლებელი, 16 წლის სტაჟით)

„დიახ, ვფიქრობ პატიმრების რესოციალიზაცია ხელს უწყობს ზოგადად დანაშაულის პრევენციას“. (ისტორიის მასწავლებელი, 18 წლის სტაჟით)

რესპონდენტები აღნიშნავენ, რომ მნიშვნელოვანია სკოლაში იყოს უსაფრთხო გარემო. ყოფილი მსჯავრდებული ქალის დასაქმება მასწავლებლის პოზიციაზე ცუდად აისახება სკოლის სახელზე და ამის გამო შესაძლებელია სკოლაში მოსწავლეების რაოდენობა შემცირდეს.

„რადგანაც მე მიმაჩნია, რომ პედაგოგად არ უნდა მუშაობდეს. აქედან გამომდინარე, ბევრი იფიქრებს ასე და რა თქმა უნდა სკოლის სახელზეც იმოქმედებს. მშობლებმაც შეიძლება არ მოიყვანონ სკოლაში ბავშვი მის გამო“. (ქართული ენის მასწავლებელი, 27 წლის სტაჟით)

„კი, რა თქმა უნდა. მე, როგორც მშობელს უნდობლობის განცდა მექნებოდა“. (ქიმიის მასწავლებელი, 16 წლის სტაჟით)

რესპონდენტებს მიაჩნიათ, რომ სასჯელალსრულების დაწესებულება პატიმრის

ფსიქოლოგიურ მდგომარეობაზე გარკვეულწილად უარყოფითად აისახება.

მასწავლებლებს სასჯელის მიზნად მიაჩნიათ, რომ პატიმარმა უნდა გაიაზროს დანაშაული, მოინანიოს, აღიკვეთოს უარყოფითი ქმედება მისგან, გამოსწორდეს და იყოს სხვებისათვის მაგალითი.

„სასჯელის მიზანია, რომ დამნაშავემ დანაშაული გაითავისოს, აღიკვეთოს უარყოფითი ქმედება ამ ადამიანის მხრიდან და რომ იგი გამოსწორდეს, ცუდი ქმედება არ განავითაროს ისევ. ასევე ეს მაგალითი იქნება სხვებისთვისაც“. (ქართული ენის მასწავლებელი, 27 წლის სტაჟით)

„ადამიანის გამოსწორება და მაგალითი სხვა ადამიანებისთვის, რომ მსგავსი დანაშაული არ ჩაიდინოს“. (ქიმიის მასწავლებელი, 16 წლის სტაჟით)

რესპონდენტებს მიაჩნიათ, რომ საზოგადოება ყოფილი პატიმრის დასჯას კვლავ აგრძელებს გათავისუფლების შემდგომ მიუხედავად იმისა, რომ მან უკვე აგო პასუხი თავის დანაშაულზე. საზოგადოება უცხადებს უნდობლობას მას, თრგუნავს, რიყავს და ამასთანავე ვერ საქმედება.

„კი გრძელდება იმიტომ, რომ საზოგადოება მას არ იღებს, და უჭირს ზოგადად რამის გაკეთება, თუნდაც ელემენტარული სამუშაოს პოვნა“. (ბიოლოგიის მასწავლებელი, 20 წლის სტაჟით)

„რა თქმა უნდა ხდება, ხალხი მაინც ეჭვის თვალთ უყურებს პატიმრებს“. (ქიმიის მასწავლებელი, 16 წლის სტაჟით)

„დიახ, ნდობის ნაკლებობიდან გამომდინარე“. (ისტორიის მასწავლებელი, 18 წლის სტაჟით)

მასწავლებლების ნაწილი თავს იკავებს დააფიქსიროს აზრი იმის შესახებ თუ ჩაიდენს კვლავ დანაშაულს ყოფილი პატიმარი ქალი, მაგრამ ნაწილი საუბრობს იმაზე, რომ მნიშვნელოვანია თუ როგორ განვითარდება ყოფილი მსჯავრდებულის რესოციალიზაციის პროცესი და როგორ მიიღებს საზოგადოება მას.

„ხანდახან საზოგადოებისგან გარიყულობა, არანაირი მომავლის გაგარძელების პერსპექტივა, მათ იმედს უკარგავს და უკან დაბრუნების სურვილს უჩენს“. (ბიოლოგიის მასწავლებელი, 20 წლის სტაჟით)

„გააჩნია, რამდენად სწორად განვითარდა მისი რესოციალიზაციის პროცესი“. (ისტორიის მასწავლებელი, 18 წლის სტაჟით)

რესპონდენტების აზრით, ნაკლებად მძიმე დანაშაულის მქონე ყოფილი პატიმარი ქალის ცხოვრება იქნება სირთულეებით სავსე თუ მას საზოგადოება არ მიიღებს, მოხდება მათი სტიგმატიზაცია, იზოლირება. ერთ-ერთი მასწავლებელი აღნიშნავს, რომ ყოფილ მსჯავრდებულს „ვიღაცამ ხელი უნდა შეუწყოს ინტეგრირებაში“.

„თუკი საზოგადოება მიიღებს, როგორც საჭიროა ისე, ეს მისთვის შვებაა, ხოლო თუ უარყოფენ ეს უარესი ტანჯვა და სასჯელია. ვიღაცამ ხელი უნდა შეუწყოს საზოგადოებაში ინტეგრირებაში“. (ქართული ენის მასწავლებელი, 27 წლის სტაჟით)

„ჩემი აზრით, ასეთ ადამიანს უჭირს საზოგადოებასთან კომუნიკაცია, ურთიერთობა“. (ქიმიის მასწავლებელი, 16 წლის სტაჟით)

„საზოგადოებამ უნდა გაიაზროს მისი წილი მოვალეობა ყოფილი პატიმრის ცხოვრების უბრუნველსაყოფად, რაც თავის მხრივ მარტივს გახდის ცხოვრების ხელახლა დანყებას დანაშაულებრივი ქმედებებისგან დამოუკიდებლად, რაც 34

საზოგადოებისთვისაც იქნება ხელშემწყობი, რომ აღარ მოხდეს დანაშაულის ჩადენა“.
(ისტორიის მასწავლებელი, 18 წლის სტაჟით)

რესპონდენტებს მიაჩნიათ, რომ საზოგადოებამ მათდამი დამოკიდებულება უნდა შეცვალოს, ნასამართლევ პირებს უნდა მისცეს საშუალება რესოციალიზაციის, მათ ადგილას უნდა წარმოიდგინონ თავი. ერთ-ერთი მასწავლებელი კი ფიქრობს, რომ საზოგადოებამ მათდამი დამოკიდებულება არ უნდა შეცვალოს, რადგან ლოიალური დამოკიდებულებით შესაძლებელია მოხდეს დანაშაულის წახალისება.

„უმეტესი ნაწილი უარყოფითადაა განწყობილი და აუცილებლად უნდა შეიცვალოს ეს განწყობა, არავინ არვართ დაზღვეული, რომ იგივე არ დაგვემართება. საკუთარი თავი უნდა წარმოვიდგინოთ მათ მდგომარეობაში და ისე განვსაზღვროთ“. (ქართული ენის მასწავლებელი, 27 წლის სტაჟით)

„საზოგადოება ასეთ ადამიანებს ეჭვის თვალით უყურებს, სანდო პირებად აღარ აღიქვამენ. არუნდა შეიცვალოს, რადგან შეიძლება ჩვენი ლოიალური დამოკიდებულებით დანაშაულის წახალისება მოხდეს.“ (ქიმიის მასწავლებელი, 16 წლის სტაჟით)

„ნაწილობრივ უნდა შეიცვალოს, ისე რომ მისცეს საშუალება რესოციალიზაციის. პირველ რიგში სხვა დანაშაულისგან თავის აცილების მიზნით“. (ისტორიის მასწავლებელი, 18 წლის სტაჟით)

დასკვნა

დასკვნის სახით შეიძლება ითქვას, რომ საკვლევო კატეგორიის ყოფილი პატიმარი ქალები სასჯელალსრულების დაწესებულების დატოვების შემდეგ აწყდებიან პრობლემებს, რომლებიც გამომწვეულია მათი ნასამართლეობის სტატუსის, გენდერული ნიშნით დისკრიმინაციით. ზოგადი უარყოფითი დამოკიდებულება ყოფილი მსჯავრდებულის მიმართ დამსაქმებელზეც ახდენს გავლენას, მათ ნაკლებად აქვთ ნდობა ყოფილი პატიმარი ქალების მიმართ. ამასთანავე არა მხოლოდ საზოგადოების მხრიდან შეინიშნება სტიგმატიზაცია, არამედ ყოფილი მსჯავრდებულები ახდენენ თვით-სტიგმატიზაციასაც.

საქართველოს სტატისტიკის ეროვნული სამსახურის 2018 წლის მონაცემებზე დაყრდნობით, საქართველოში ქალების რაოდენობა აღემატება მამაკაცებისას,³³ თუმცა 9248 სრულწლოვანი პატიმრიდან ქალი პატიმრის რაოდენობა 258-ია.³⁴ ფაქტია, რომ საერთო რაოდენობასთან შედარებით, ქალი პატიმრები ბევრად ცოტაა. სავარაუდოდ, მოსახლეობას მნიშვნელოვანწილად უჩნდება სწორედ ამის გამო უფრო უარყოფითი დამოკიდებულება ყოფილი პატიმარი ქალებისადმი, ვიდრე მამაკაცების მიმართ. მსჯავრდებულები ქალების რაოდენობა იმდენად მცირეა, რომ საზოგადოება მათ აღიქვამს, როგორც რადიკალურად განსხვავებულ პირებს და შესაბამისად მათ მიმართ უფრო უნდობლობა უყალიბდებათ. ამის გათვალისწინებით, შესაძლებელია დავასკვნათ, რომ საზოგადოებისათვის უფრო მიუღებელია ქალის ნასამართლეობა, რაც იწვევს რესოციალიზაციის პროცესის უფრო გართულებას.

მიუხედავად იმისა, რომ კერძო სექტორიდან რესპონდენტები მზაობას გამოხატავენ ყოფილი პატიმარ ქალებთან მუშაობისთვის, დამსაქმებელი მაინც უპირატესობას მიანიჭებდა არანასამართლევ პირს. საქართველოს კანონი საჯარო სამსახურის შესახებ ნასამართლევ პიროვნებას არ აძლევს საჯარო სამსახურში დასაქმების უფლებას, მაგრამ

³³ http://www.geostat.ge/?action=page&p_id=472&lang=geo საქართველოს სტატისტიკის ეროვნული ბიურო, მოსახლეობა³⁶

³⁴ http://www.geostat.ge/?action=page&p_id=601&lang=geo საქართველოს სტატისტიკის ეროვნული ბიურო, სისხლის სამართლის სტატისტიკა, პატიმართა რიცხოვნობა.

არსებობს პოზიციები, სადაც მათ შეუძლიათ დასაქმება, მაგალითად, სკოლაში მასწავლებლად, მაგრამ როგორც კვლევამ აჩვენა საჯარო სკოლის პედაგოგებს მიზანშეწონილად არ მიაჩნიათ, რომ მსგავს დანესებულებაში ყოფილმა მსწავრდებულმა ქალმა იმუშაოს. მათი აზრით, ნასამართლევი პირის დასაქმება სკოლის სახელზე უარყოფითად იმოქმედებს და კითხვის ნიშნებს გააჩენს მოსწავლეების უსაფრთხოებასთან დაკავშირებით.

დამსაქმებლის მხრიდან სამუშაოს გენდერული ნიშნით სეგრეგაციის გამო ნაკლებად მძიმე დანაშაულის მქონე ყოფილ პატიმარ ქალებს მიაჩნიათ, რომ დასაქმების შანსი უფრო აქვთ ნასამართლევ მამაკაცებს, ვიდრე მდედრობით სქესის წარმომადგენლებს. როგორც კვლევამ აჩვენა, მომხმარებლების სტრეოტიპული შეხედულებები თუ რომელი პოზიცია რომელი სქესისთვისაა შესაფერისი გავლენას ახდენს დამსაქმებლის გადწყვეტილებაზე თუ ვინ დაასაქმოს, შესაბამისად ვხვდებით სამუშაოს გენდერული ნიშნით სეგრეგაციას. ასევე, ყოფილი ქალი პატიმრების აზრით, ნაკლებად მძიმე დანაშაულის მქონე ყოფილ პატიმარ ქალს უფრო მარტივად შეუძლიათ სამუშაოს პოვნა კერძო სექტორში, ვიდრე სახელმწიფოში, რადგან მათ შეუძლიათ თავიანთი ნათესავების დახმარებით დასაქმდნენ მათ ბიზნესში.

კვლევამ აჩვენა, რომ სახელმწიფოს მიერ განხორციელებული პროგრამების მეშვეობით ნაკლებად მძიმე დანაშაულის მქონე ყოფილი პატიმარი ქალების ცხოვრება არ შეცვლილა, მათ აქვთ კვლავ რესოციალიზაციისა და დასაქმების პრობლემა. არამხოლოდ სახელმწიფო უნდა იყოს დაინტერესებული მათი საზოგადოებაში ინტეგრაციით, არამედ საზოგადოებაც. მათ უნდა გაიაზრონ თავიანთი წილი პასუხისმგებლობა ყოფილი პატიმრის რესოციალიზაციის პროცესში.

კვლევითი ნაშრომის მიზანი იყო ნაკლებად მძიმე დანაშაულის მქონე ყოფილი ქალი პატიმრების პრობლემების იდენტიფიცირება კერძო და სახელმწიფო სექტორში დასაქმებისას, პრობლემების გამომწვევი მიზეზების დადგენა, დამსაქმებლის დამოკიდებულებისა და სახელმწიფოს როლის განსაზღვრა, კვლევის შედეგადად

მიღებული ინფორმაციის გაცნობისა და შეჯამების შემდეგ დადასტურდა ჰიპოთეზა,

რომლის თანახმადაც სახელმწიფოს მიერ განხორციელებული პროგრამები არაეფექტურია, ნაკლებად მძიმე დანაშაულის მქონე ყოფილი პატიმარი ქალების დასაქმებისას კერძო და სახელმწიფო სექტორში დამსაქმებლის მხრიდან ხდება მათი დისკრიმინაცია გენდერული ნიშნით, სტიგმატიზაცია ყოფილი პატიმრის სტატუსის გამო, რაც ხელს უშლის მათ დასაქმებისა და რესოციალიზაციის პროცესს.

ბიბლიოგრაფია

- თეგელიშვილი, სოლომონ, იურიდული ენციკლოპედია, დანაშაულის კატეგორიები, 2008
- კალჭუნი, ქრეგ, ლაითი, დონალდ, კელერი, სუზენ, სოციოლოგია, სოციალიზაცია ზრდასრულ ასაკში, დესოციალიზაცია და რესოციალიზაცია, 2008
- პადავიჩი, ირენ, რესკინი, ბარბარა, ქალები და მამაკაცები სამსახურში, 2007
- სასჯელალსრულებისა და პრობაციის სამინისტროს სისტემის სტატისტიკის წლიური ანგარიში, პენიტენციური სისტემიდან გასვლა, 2015, 22
- საქართველოს კანონი საქარო სამსახურის შესახებ, თავი 2, მუხლი 17
- სოციალურ მეცნიერებათა ცენტრი, სოცილაურ და პოლიტიკურ ტერმინთა ლექსიკონი-ცნობარი, 2004
- ღვედაშვილი, ქეთევან, ნასამართლეობა=უმუშევრობას? 2014
- Goffman Erving, Stigma notes on the management of spoiled, 1963
- Flower, Shawn M., Employment and Female Offenders: An Update of the Empirical Research, U.S. Department of Justice, November 2010
- O'Brien, Patricia, Reducing Barriers to Employment for Women Ex-Offenders, University of Illinois, Chicago, June 2002
- Steven Raphael, The employment prospects of ex-offenders, University of California, Berkeley
- http://www.cso.ge/view.php?type=research_reports&slug=kanontan-konfliqtshi-myof-pirtatvis-arsebuli-saganmanatleblo-da-dasaqmebis-programebis-analizi&fbclid=IwAR11HujR18vBt5011OBHnadHJLUxWiMBOIYNp8wNt8jnXL8u6bikK⁴¹

csAAww სამოქალაქო საზოგადოების პორტალი, კანონთან კონფლიქტში მყოფ პირთათვის არსებული საგანმანათლებლო და დასაქმების პროგრამების ანალიზი, ბოლო წვდომა 27.01.2019

- http://www.geostat.ge/?action=page&p_id=145&lang=geo საქართველოს სტატისტიკის ეროვნული ბიურო, დასაქმება და უმუშევრობა, ბოლო წვდომა 27.01.2019
- http://www.geostat.ge/?action=page&p_id=145&lang=geo საქართველოს სტატისტიკის ეროვნული ბიურო, 15 წლის და უფროსი ასაკის მოსახლეობის განაწილება ეკონომიკური აქტივობის, ბოლო წვდომა 27.01.2019
- http://www.geostat.ge/?action=page&p_id=145&lang=geo საქართველოს სტატისტიკის ეროვნული ბიურო, დასაქმება და უმუშევრობა, ბოლო წვდომა 27.01.2019
- http://www.geostat.ge/?action=page&p_id=601&lang=geo საქართველოს სტატისტიკის ეროვნული ბიურო, სისხლის სამართლის სტატისტიკა, პატიმართა რიცხოვნობა, ბოლო წვდომა 27.01.2019
- http://www.geostat.ge/?action=page&p_id=145&lang=geo საქართველოს სტატისტიკის ეროვნული ბიურო, დასაქმებულთა განაწილება ინსტიტუციური სექტორების მიხედვით, 2006-2015, ბოლო წვდომა 27.01.2019
- <http://prevention.gov.ge/page/4/geo> დანაშაულის პრევენციის ცენტრი, ბოლო წვდომა 27.01.2019
- <http://www.moc.gov.ge/ka/zrunva-qalebze/msjavrdebul-qaltha-reabilitacia> სასჯელაღსრულებისა და პრობაციის სამინისტრო, ბოლო წვდომა 27.01.2019

Ivane Javakhishvili Tbilisi State University

Salome Mushtashvili

Employment of former prisoner women with less serious offences in
public and private sector

MA program – Sociology

Master's thesis is submitted to obtain Master's degree in Social Sciences

Supervisor: Associate Professor Nino Durglishvili

Tbilisi 2019

ივანე ჯავახიშვილის სახელობის თბილისის
სახელმწიფო უნივერსიტეტი

სალომე მუშტაშვილი

ნაკლებად მძიმე დანაშაულის მქონე ყოფილი პატიმარი ქალების
დასაქმება კერძო და სახელმწიფო სექტორში

სამაგისტრო პროგრამა - სოციოლოგია

სამაგისტრო ნაშრომი წარმოდგენილია ივანე ჯავახიშვილის სახელობის
თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის სოციალურ და პოლიტიკურ
მეცნიერებათა ფაკულტეტზე სოციოლოგიის მაგისტრის აკადემიური
ხარისხის მინიჭების მოთხოვნის შესაბამისად

სამეცნიერო ხელმძღვანელი: ასოცირებული პროფესორი,
ნინო დურგლიშვილი

თბილისი 2019

ანოტაცია

ნაკლებად მძიმე დანაშაულის მქონე ყოფილი პატიმარი ქალების დასაქმება კერძო და სახელმწიფო სექტორში

ნაშრომში წარმოდგენილია სასჯელაღსრულების დაწესებულების დატოვების შემდგომ ნაკლებად მძიმე დანაშაულის მქონე ყოფილი პატიმარი ქალების კერძო და სახელმწიფო სექტორში დასაქმებისას წარმოქმნილი პრობლემები და მათი გამომწვევის მიზეზების აღწერა/ანალიზი. ინფორმაცია მოპოვებულია სოციოლოგიური კვლევის თვისებრივი მეთოდის გამოყენებით, რომლის დროსაც სიღრმისეული ინტერვიუები ჩატარდა ნაკლებად მძიმე დანაშაულის მქონე ყოფილ პატიმარ ქალებთან, კერძო სექტორის დამსაქმებლებთან: მაღაზიისა და სამკერვალოს ხელმძღვანელებთან და სახელმწიფოს სექტორიდან - საჯარო სკოლის მასწავლებლებთან.

კვლევის მიზანს წარმოადგენდა ნაკლებად მძიმე დანაშაულის მქონე ყოფილი პატიმარი ქალების პრობლემების იდენტიფიცირება კერძო და სახელმწიფო სექტორში დასაქმებისას, პრობლემების გამომწვევი მიზეზების დადგენა და დამსაქმებლის დამოკიდებულების შესწავლა მათ მიმართ, რადგან დამსაქმებლისა და საზოგადოების მხრიდან ხდება სტიგმატიზაცია ნასამართლეობის სტატუსის გამო, ყოფილი მსჯავრდებული ქალების გენდერული ნიშნით დისკრიმინაცია, რაც ხელს უშლის მათ დასაქმებასა და რესოციალიზაციის პროცესს.

ასევე, მნიშვნელოვანია სახელმწიფოს როლი ყოფილი პატიმარი ქალების დასაქმებასა და რესოციალიზაციის სტრატეგიის სწორი შემუშავება და დანერგვა. ნაშრომში ასახულია ყოფილი მსჯავრდებული ქალების დამოკიდებულება სასჯელაღსრულებისა და პრობაციის სამინისტროს, იუსტიციის სამინისტროს მიერ განხორციელებული პროგრამების შესახებ.

კვლევა მნიშვნელოვანია ყოფილი მსჯავრდებულთათვის, მათი ოჯახებისათვის,

დამსაქმებლებისათვის, სასჯელადსრულებისა და პრობაციის სამინისტროსათვის, იუსტიციის სამინისტროსათვის და ამ საკითხით დაინტერესებული პირებისათვის. დღეისათვის არ არსებობს კვლევა, რომელიც ნაკლებად მძიმე დანაშაულის მქონე ყოფილი პატიმარი ქალების კერძო და სახელმწიფო სექტორში დასაქმების საკითხს შეეხება.

საკვანძო სიტყვები: ნაკლებად მძიმე დანაშაული, კერძო და სახელმწიფო სექტორი, სტიგმატიზაცია, დისკრიმინაცია, სეგრეგაცია, სტატუსი, რესოციალიზაცია.

Abstract

Employment of former prisoner women with less serious offences in public and private sector

The work presents the problems that occur during the employment in the private and public sector of women who have less serious offenses after leaving the penitentiary establishment and describe / analyze the reasons and their causes. The information is obtained using the qualitative method of sociological research, during which the in-depth interviews have been conducted with ex-prisoner women, private sector employers: shop and sewing facility owners and from the governmental departments - with the school teachers.

The aim of the research was to identify the problems of a former prisoner women with less serious offences during their work recruitment process in a state and private sector and to investigate the reasons behind these problems. The research also reflects the employers attitudes towards them, because, often women with past criminal records become victims of stigmatization and gender-based discrimination, which prevents them from employment and re-socialization process.

Also, it is important that the government has a great role in creating and implementing proper employment and the re-socialization strategies of a former prisoner women. The report reflects the attitude of the former convicted women on the programs implemented by the Ministry of Corrections and Legal Assistance, Ministry of Justice.

The research is important for the former convicts, their families, employers, the Ministry of Corrections and Legal Assistance, the Ministry of Justice and the persons interested in this issue. There is currently no study that concerns the issue of employment in private and public sectors of former prisoners with less serious offenses.

Keywords: less serious crime, private and public sector, stigmatization, discrimination, segregation, status, resocialization.

სარჩევი

შესავალი.....	6
1. თემის პრობლემატიკა და აქტუალობა.....	8
1.1 სოციოლოგიური კვლევის მიზანი, ამოცანა, ჰიპოთეზა.....	11
2. თეორიული ჩარჩო	
2.1 სოციოლოგიური კვლევის მეთოდოლოგია.....	12
2.2 თეორიული დისკურსის ინტერპრეტაცია.....	13
2.3 სამეცნიერო ლიტერატურის მიმოხილვა.....	17
3. კვლევის შედეგები - ნაკლებად მძიმე დანაშაულის მქონე ყოფილი პატიმარი ქალების პრობლემები.....	20
3.1 კერძო სექტორის დამსაქმებლის დამოკიდებულება ნაკლებად მძიმე დანაშაულის მქონე ყოფილი ქალი პატიმრების დასაქმებისას.....	26
3.2 საჯარო სკოლის მასწავლებლების დამოკიდებულება ნაკლებად მძიმე დანაშაულის მქონე ყოფილი ქალი პატიმრების მასწავლებლის პოზიციაზე დასაქმებისას.....	31
დასკვნა.....	36
ბიბლიოგრაფია.....	39
დანართი #1	41

შესავალი

საქართველოში საკითხი დასაქმების შესახებ აქტუალურია, რადგან ჩვენს ქვეყანაში საქართველოს სტატისტიკის ეროვნული სამსახურის 2017 წლის მონაცემებით მოსახლეობის 13.9% უმუშევარია¹.

განსაკუთრებით საკითხი რთულდება, როდესაც ვსაუბრობთ მდედრობითი სქესის წარმომადგენლების დასაქმებაზე, რადგან ხდება სქესის ნიშნით შრომის დანაწილება, როდესაც ამა თუ იმ სამუშაოს რომელიმე ერთ სქესს მიაკუთვნებენ, როგორც „მისთვის განკუთვნილს“, რასაც თანსდევს გენდერული დისკრიმინაცია, სქესობრივ სტერეოტიპებს იმის შესახებ, თუ რომელი ტიპის სამუშაოს როგორი თვისებები ესაჭიროება, შედეგად მოჰყვება ე.წ. *‘მამაკაცურ’* (უფრო მამაკაცისათვის შესაფერის) და *‘ქალურ’* (უფრო ქალისათვის შესაფერის) სამუშაოებად სეგრეგაცია.²

სტერეოტიპები მნიშვნელოვანია აღვნიშნოთ, რომ გავლენას ახდენენ საზოგადოების წევრზე: პოტენციურ დასაქმებულებზე, დამსაქმებლებსა და მომხმარებლებზე. სქესის ნიშნითა და გენდერული სტერეოტიპების გავლენით დიფერენციაცია ქალის დასაქმების შესაძლებლობას ამცირებს.³

ეკონომიკური აქტივობის მიხედვით, 15 წლისა და უფროსი ასაკის ქალების განაწილების მიხედვით 2017 წელს აქტიურ მოსახლეობას წარმოადგენდა 936,7(ათასი) ქალი, რომელთა 12.7% უმუშევარია, ხოლო მამაკაცები 1046,3(ათასი), რომელთა 15.0% უმუშევარია.⁴

ზემო აღწერილი მდგომარეობის გათვალისწინებით შეგვიძლია ვთქვათ, რომ ყოფილი პატიმარი ქალების შემთხვევაში, ვითარება კიდევ უფრო მძიმდება, რადგან მათ

¹http://www.geostat.ge/?action=page&p_id=145&lang=geo საქართველოს სტატისტიკის ეროვნული ბიურო, დასაქმება და უმუშევრობა.

²პადავიჩი, ირენ, რესკინი, ბარბარა, ქალები და მამაკაცები სამსახურში, 2007,87.

³პადავიჩი, ირენ, რესკინი, ბარბარა, ქალები და მამაკაცები სამსახურში, 2007,86.

⁴http://www.geostat.ge/?action=page&p_id=145&lang=geo საქართველოს სტატისტიკის ეროვნული ბიურო, 15 წლის და უფროსი ასაკის მოსახლეობის განაწილება ეკონომიკური აქტივობის მიხედვით, 1998-2017.

კანონის ძალითაც ეზღუდებათ, ეკრძალებათ ყველა სფეროში დასაქმება.⁵

სასჯელადსრულების დაწესებულების დატოვების შემდგომ პატიმარი იწყებს რესოციალიზაციის პროცესს, რეინტეგრაციას საზოგადოებაში - ახალ ცხოვრებას და მნიშვნელოვანია, რომ ეს პროცესი წარმატებით დასრულდეს.

საქართველოში, როგორც წესი დანაშაულის მოხდის შემდგომ ყოფილ მსჯავრდებულებს ექმნებათ პრობლემები საზოგადოებაში ინტეგრირებისას. საზოგადოების ნაწილისთვის რთული წარმოსადგენია მდედრობითი სქესის ნასამართლეობა და უფრო მიუღებელია მათთვის ყოფილი მსჯავრდებული ქალი, ვიდრე მამაკაცი, რაც შესაძლოა ქალბატონების რესოციალიზაციის პროცესს უფრო ართულებს და დასაქმების შესაძლებლობას ამცირებს.

კანონით ყოფილ ქალ პატიმარს აქვს სრული უფლება დასაქმდეს კერძო სექტორში ნებისმიერ პოზიციაზე, მაგრამ რაც შეეხება სახელმწიფო სექტორს აქ არის შეზღუდვებიც, მაგალითად, ყოფილ პატიმარს განურჩევლად სქესისა, საჯარო სამსახურში არ შეუძლია დასაქმება, თუ იგი ნასამართლევა განზრახ ჩადენილი დანაშაულისათვის და მოხსნილი არა აქვს ნასამართლეობა.⁶

როგორც ვხედავთ ნასამართლევი ქალების დასაქმების შანსები და არეალები შეზღუდულია. მაგრამ საინტერესოა რამდენად მისაღებია სკოლის პედაგოგებისათვის ყოფილი პატიმარი ქალბატონის მასწავლებლის პოზიციაზე მუშაობა. ყოფილ პატიმარს სრული უფლება აქვს იმუშაოს სკოლაში პედაგოგად.⁷ სახელმწიფო სექტორს მიეკუთვნება მასწავლებელი, მაგრამ ის არ არის საჯარო სამსახურის წარმომადგენელი.

კვლევის აქცენტს წარმოადგენს კერძო და სახელმწიფო სექტორში დაბალ პოზიციებზე ნაკლებად მძიმე დანაშაულის მქონე ყოფილი პატიმარი ქალების დასაქმების

⁵საქართველოს კანონი საჯარო სამსახურის შესახებ, თავი 2, მუხლი 17.

⁶საქართველოს კანონი საჯარო სამსახურის შესახებ, თავი 2, მუხლი 17.

⁷საქართველოს კანონი საჯარო სამსახურის შესახებ, თავი 1, მუხლი 5.

შესაძლებლობა.

ჩვენი კვლევის ფოკუსი ძირითადად მიმართულია კერძო სექტორში დაბალანაზღაურებად პოზიციებზე ყოფილი პატიმარი ქალების დასაქმების საკითხების იდენტიფიცირებაზე (მკერავ და მაღაზიის გამყიდველის და ა.შ.), ხოლო სახელმწიფო სექტორიდან მხოლოდ ყურადღებას გავმახვილებთ ნაკლებად მძიმე დანაშაულის მქონე ყოფილი პატიმარი ქალის მასწავლებლად მუშაობის შესაძლებლობაზე. ვვარაუდობთ, რომ სახელმწიფოს მიერ განხორციელებული პროგრამები არაეფექტურია, ნაკლებად მძიმე დანაშაულის მქონე ყოფილი პატიმარი ქალების დასაქმებისას კერძო და სახელმწიფო სექტორში დამსაქმებლის მხრიდან ხდება, როგორც მათი დისკრიმინაცია გენდერული ნიშნით, ასევე სტიგმატიზაცია ყოფილი პატიმრის სტატუსის გამო, რაც ხელს უშლის მათი დასაქმებისა და რესოციალიზაციის პროცესს.

სამაგისტრო ნაშრომის ორი თავი და შესაბამისი ქვეთავები ეთმობა კვლევის მიზნის, თეორიის გაცნობას და არსებული ლიტერატურის მიმოხილვას, ხოლო მესამე თავი მთლიანად ეთმობა ჩატარებული კვლევის შედეგებსა და მიგნებებს, რომელიც ნათლად დაგვანახებს ნაკლებად მძიმე დანაშაულის მქონე ყოფილი პატიმარი ქალების დასაქმებისას წარმოქმნილ პრობლემებს.

1. თემის პრობლემატიკა და აქტუალობა

დასაქმების პრობლემა ერთ-ერთი უმნიშვნელოვანესი გამოწვევაა, რომლის წინაშეც დგას საქართველოს ხელისუფლება და საზოგადოება. პრობლემის აქტუალობას საქართველოს სტატისტიკის ეროვნული სამსახურის 2017 წლის მონაცემებიც ცხადყოფს, მოსახლეობის 13.9% საქართველოში უმუშევარია.⁸ დასაქმებისა და

⁸http://www.geostat.ge/?action=page&p_id=145&lang=geo საქართველოს სტატისტიკის ეროვნული ბიურო, დასაქმება და უმუშევრობა.

უმუშევრობის საკითხი უფრო მწვავედება ყოფილი პატიმრების შემთხვევაში. მასობრივი ამინისტიის, შეწყალების, კალენდარულის, პირობით ვადამდე გათავისუფლების გათვალისწინებით ციხეებს პატიმრები ტოვებენ.⁹

ამის გარდა, ციხის გარეთ ყოფილი პატიმრები ნასამართლევის სტატუსით აგრძელებენ ცხოვრებას, რაც მათ დიდ წინააღმდეგობებს უქმნის, როგორც დასაქმებაში, ასევე საზოგადოებაში ინტეგრაციისას. საკითხი უფრო პრობლემური ხდება, როდესაც თემა ეხება ნაკლებად მძიმე დანაშაულის მქონე ყოფილი პატიმარი ქალების დასაქმებას კერძო და სახელმწიფო სექტორში.

სამუშაო ადგილების დეფიციტს თან ახლავს საქართველოში ყოფილი პატიმრების სტიგმატიზაციის ფართოდ გავრცელებული პრაქტიკა, ხოლო როდესაც ამ ორ ფაქტორს, კიდევ ერთი უმნიშვნელოვანესი მოცემულობა ყოფილი ქალი პატიმრის სტატუსი ემატება დასაქმების შანსი და პერსპექტივა უკიდურესად მცირდება.

საქართველოში გარდა აღნიშნული ფაქტორებისა დასაქმების პროცესზე ზეგავლენის მატარებელია შრომის გენდერული სეგრეგაცია და დასაქმების სქესობრივი ნიშნით დისკრიმინაცია, რაც გულისხმობს, რომ ამა თუ იმ სამუშაოზე კომპეტენციისა და განათლების, გამოცდილების კრიტერიუმებზე პრევალირებს ადამინების სქესობრივი, გენდერული კუთვნილება.¹⁰ ასევე, გასათვალისწინებელია დასაქმების სფერო და დაწინაურების პერსპექტივა.

როგორც ცნობილია „საჯარო სამსახურის შესახებ“ საქართველოს კანონის მე-17 მუხლის თანახმად, საჯარო სამსახურში არ მიიღება პირი, თუ იგი ნასამართლევი განზრახ ჩადენილი დანაშაულისათვის და მოხსნილი არა აქვს ნასამართლეობა.¹¹ როგორც ვხედავთ, მათ არ შეუძლიათ საჯარო სექტორში მუშაობა, რითიც უფრო რთულდება ყოფილი პატიმრების დასაქმება.

⁹სასჯელაღსრულებისა და პრობაციის სამინისტროს სისტემის სტატისტიკის წლიური ანგარიში, პენიტენციური სისტემიდან გასვლა, 2015, 22.

¹⁰კადავიჩი, ირენ, რესკინი, ბარბარა, ქალები და მამაკაცები სამსახურში, 2007, 109.

¹¹საქართველოს კანონისა და საჯარო სამსახურის შესახებ, თავი 2, მუხლი 17.

მნიშვნელოვანია სახელმწიფოს როლი ნაკლებად მძიმე დანაშაულის მქონე ყოფილი პატიმარი ქალების დასაქმებაში. საქართველოში დღეს ფუნქციონირებს ორი პროგრამა, რომელიც ხელს უწყობს ყოფილი პატიმრების დასაქმებას. იუსტიციის სამინისტროს დანაშაულის პრევენციისა და ინოვაციური პროგრამების ცენტრმა ყოფილი მსჯავრდებულების რესოციალიზაცია-რეაბილიტაციის პროცესი დაიწყო 2013 წელს, ცენტრი წინასწარ გეგმავს საზოგადოებაში მათი რეინტეგრაციის პროცესს. ყოფილი მსჯავრდებულების რეაბილიტაციის პროექტის მიზანია იმ ახალგაზრდებზე ზრუნვა, რომლებიც ერთხელ უკვე მოხვდნენ საპატიმროში. პროგრამა მიზნად ისახავს ყოფილი პატიმრის სასჯელაღსრულებით დაწესებულებაში ხელახალი მოხვედრის ალბათობის შემცირებას. დანაშაულის პრევენცია კი საზოგადოებაში დაცულობის, უსაფრთხოების განცდის შენარჩუნებას უწყობს ხელს.¹²

ასევე, მეორე პროგრამა ხორციელდება სასჯელაღსრულებისა და პრობაციის და განათლებისა და მეცნიერების სამინისტროებს შორის დადებული ხელშეკრულებით, რომლის მეშვეობითაც ქალი მსჯავრდებულები ჩართულნი არიან პროფესიული კოლეჯების კურსებში, იღებენ ფსიქო-სოციალურ მომსახურებას და დასაქმების ხელშეწყობას.¹³

თემა - ნაკლებად მძიმე დანაშაულის მქონე ყოფილი პატიმარი ქალების დასაქმება კერძო და სახელმწიფო სექტორში აქტუალური და პრობლემური საკითხია, რომელიც არ არის ჯერ შესწავლილი და საჭიროებს კვლევას.

¹²<http://prevention.gov.ge/page/4/geo> დანაშაულის პრევენციის ცენტრი.

¹³<http://www.moc.gov.ge/ka/zrunva-qalebze/msjavrdebul-galtha-reabilitacia> სასჯელაღსრულებისა და პრობაციის სამინისტრო.

1.1 სოციოლოგიური კვლევის მიზანი, ამოცანა, ჰიპოთეზა

საქართველოს სტატისტიკის ეროვნული სამსახურის 2017 წლის მონაცემების მიხედვით დასაქმებული პირების 83,4% მუშაობს კერძო სექტორში, ხოლო 16,6% - სახელმწიფო სექტორში.¹⁴ ჩვენს კვლევაში მნიშვნელოვანია აღნიშნული სექტორების არსებობა, გვინტერესებს თუ როგორი დამოკიდებულება აქვს კერძო და სახელმწიფო სექტორების წარმომადგენლებს ნაკლებად მძიმე დანშაულის მქონე ყოფილი პატიმარი ქალების დასაქმებაზე.

კვლევითი ნაშრომის მიზანია, ნაკლებად მძიმე დანშაულის მქონე ყოფილი პატიმარი ქალების პრობლემების იდენტიფიცირება კერძო და სახელმწიფო სექტორში დასაქმებისას, პრობლემების გამომწვევი მიზეზების დადგენა, დამსაქმებლის დამოკიდებულებისა და სახელმწიფოს როლის შესწავლა ყოფილი პატიმარი ქალების დასაქმებისას.

ამგვარად, საკვლევი ამოცანებია:

- სასჯელადსრულების დაწესებულების დატოვების შემდეგ მიზანია ნაკლებად მძიმე დანშაულის მქონე ყოფილი პატიმარი ქალების ცხოვრებაში წარმოქმნილი პრობლემების შესწავლა;
- კერძო და სახელმწიფო სექტორში ნაკლებად მძიმე დანშაულის მქონე ყოფილი პატიმარი ქალების დასაქმებისას წარმოქმნილი წინააღმდეგობების შესწავლა;
- სახელმწიფოს როლი ნაკლებად მძიმე დანშაულის მქონე ყოფილი პატიმარი ქალების დასაქმებაში.

¹⁴http://www.geostat.ge/?action=page&p_id=145&lang=geo საქართველოს სტატისტიკის ეროვნული ბიურო, დასაქმებულთა განაწილება ინსტიტუციური სექტორების მიხედვით, 2007-2017.

შესაბამისად, კვლევის ჰიპოთეზაა: სახელმწიფოს მიერ განხორციელებული პროგრამები არაეფექტურია ნაკლებად მძიმე დანაშაულის მქონე ყოფილი პატიმარი ქალების დასაქმებისას კერძო და სახელმწიფო სექტორში დამსაქმებლის მხრიდან ხდება მათი დისკრიმინაცია გენდერული ნიშნით, სტიგმატიზაცია ყოფილი პატიმრის სტატუსის გამო, რაც ხელს უშლის მათი დასაქმებისა და რესოციალიზაციის პროცესს.

2. თეორიული ჩარჩო

2.1 სოციოლოგიური კვლევის მეთოდოლოგია

სამაგისტრო კვლევითი ნაშრომი დაფუძნებულია თეორიული მასალის შესწავლასა და ემპირიული მონაცემების შეგროვებაზე. სოციოლოგიური კვლევა ეყრდნობა თვისებრივი კვლევის მეთოდებს, შესასწავლი საგნის სიღრმისეულ შესწავლას და ანალიზს. შესწავლის შემდეგ მოხდება ძირითადი პრობლემების განსაზღვრა.

ემპირიული მონაცემების მოპოვება განხორციელდა სიღრმისეული ინტერვიუს მეთოდით. ემპირიული სოციოლოგიური კვლევის ინსტრუმენტი არასტრუქტურირებული სოციოლოგიური კითხვარი, რომელიც დაყოფილია თემატურ ბლოკებად სამი სამიზნე ჯგუფის სპეციფიკის გათვალისწინებით.

კვლევაში მონაწილეობა მიიღო 16-მა რესპონდენტმა, მათგან 7 იყო ნაკლებად მძიმე დანაშაულის მქონე ყოფილი პატიმარი ქალი, რომელთა ასაკიც მიეკუთვნება 35-55 წლის კატეგორიას, 1 საჯარო სკოლის 4 მასწავლებელი და 5 პირი კერძო სექტორიდან.

ნაკლებად მძიმე დანაშაულის ჩადენის დროს, დამნაშავე ისჯება 5 წლამდე თავისუფლების აღკვეთით¹⁵ და ვფიქრობ, რომ ნაკლებად მძიმე დანაშაულის მქონე ყოფილ პატიმარ ქალს აქვს უფრო მეტი შანსი დასაქმდეს ჩვენს საზოგადოებაში უფრო

¹⁵თეზელიშვილი, სოლომონ, იურიდიული ენციკლოპედია, დანაშაულის კატეგორიები, 2008, 191.

მარტივად, ვიდრე მძიმე ან განსაკუთრებით მძიმე დანაშაულის ჩამდენი. 35-55 ასაკის კატეგორიის ქალბატონები უფრო ადვილად დასაქმდებიან, ვიდრე მათზე ასაკოვნები, ისინი არიან შრომისუნარიანები, ჰყავთ შვილები და მოხუცი მშობლები, რომელთა წინაშეც ვალდებულებები გააჩნიათ.

გამომდინარე იქედან, რომ კვლევა ეხება ნაკლებად მძიმე დანაშაულის მქონე ყოფილი პატიმარი ქალების დასაქმებას სახელმწიფო და კერძო სექტორში, სახელმწიფო სექტორიდან ვინტერესდებით მხოლოდ საჯარო სკოლებში არსებული სიტუაციით, რადგან გავიგოთ როგორი დამოკიდებულება აქვთ მასწავლებლებს ყოფილი ქალი პატიმრების დასაქმებაზე სკოლაში მასწავლებლის პოზიციაზე. კერძო სექტორიდან კი შევარჩიე სამკერვალოსა და მაღაზიების ხელმძღვანელები, რომლებიც ასაქმებენ მკერავისა და გამყიდველის პოზიციაზე პირებს. ვფიქრობთ, შედარებით დაბალი თანამდებობებია, რომელზეც ნაკლებად მძიმე დანაშაულის მქონე ყოფილ პატიმარ ქალებს უფრო შეუძლიათ დასაქმება და ჩვენს ქვეყანაში ეს პოზიციები მიჩნეულია, როგორც „ქალურ“ სამუშაოებად.

- დაცული იყო კონფიდენციალობა.
- ინტერვიუების ხანგრძლივობა შეადგენდა 35 წუთს.
- ინტერვიუები ჩატარდა 2018 წლის ნოემბერში.

2.2 თეორიული დისკურსის ინტერპრეტაცია

პიროვნება, რომელიც აღმოჩნდება ტოტალურ ინსტიტუტში, როგორცაა ციხე, სადაც მკაცრად განსაზღვრულ რეჟიმში ხანგრძლივად ცხოვრობს მსჯავრდებული ფართო

საზოგადოებისაგან იზოლირებული,¹⁶ იწყება მისი დესოციალიზაცია, რაც გულისხმობს „თვით-იმიჯისა და ღირებულებების დაკარგვის პროცესს, რომელსაც ჩვეულებრივ თან მოსდევს ღირებულებებისა და თვით-აღქმის განსხვავებულ სისტემაში რესოციალიზაცია“. რესოციალიზაცია კი არის „ნორმებისა და ღირებულებების ახალი წყების გათავისება, რომელიც სრულიად განსხვავებულია აქამდე ჩვენთვის არსებული ნორმებისა და ღირებულებებისგან“.¹⁷

სასჯელადსრულების დაწესებულებაში მყოფი პირი, შეგვიძლია ვთქვათ, რომ გადის დესოციალიზაციის და რესოციალიზაციის პროცესს ციხეში, დანაშაულის მოხდის შემდგომ კი იწყება მისთვის ახალი ცხოვრება და რესოციალიზაცია საზოგადოებაში, ხელახალი სოციალიზაცია ანუ ინდივიდი ითვისებს სოციალურ ნორმებს, კანონებს, ქცევებსა და ღირებულებებს. სოციალიზაცია აქტიური პროცესია. სოციალიზაციის თეორიის წარმომადგენლები არიან: გ. ტარდი, ტ. პარსონსი, ჯ. მიდი და სხვები. ტარდის მტკიცებით, სოციალიზაციის შესაძლებლობა დაკავშირებულია მიბამვასთან. პარსონსმა გაიგო, როგორც სოციალურ რეალობაში ინდივიდის ინტეგრაცია. მიდთან პიროვნების სოციალიზაცია სხვათა როლების ათვისების შედეგად ხდება.¹⁸

მაგრამ დღევანდელ ქართულ საზოგადოებაში ნაკლებად მძიმე დანაშაულის მქონე ყოფილი პატიმარი ქალების ხელახალი სოციალიზაციის პროცესი არც თუ ისე წარმატებულად მიმდინარეობს. ყოფილი პატიმარი ქალების რესოციალიზაციასა და დასაქმებას ხელს უშლის სტიგმის არსებობა ნასამართლეობის სტატუსის გამო, დისკრიმინაცია და სეგრეგაცია სქესის ნიშნის მიხედვით.

¹⁶კალჭუნი, ქრეგ, ლაითი, დონალდ, კელერი, სუზენ, სოციოლოგია, სოციალიზაცია ზრდასრულ ასაკში, დესოციალიზაცია და რესოციალიზაცია, 2008, 228-229.

¹⁷კალჭუნი, ქრეგ, ლაითი, დონალდ, კელერი, სუზენ, სოციოლოგია, სოციალიზაცია ზრდასრულ ასაკში, დესოციალიზაცია და რესოციალიზაცია, 2008, 234.

¹⁸სოციალურ მეცნიერებათა ცენტრი, სოციალურ და პოლიტიკურ ტერმინთა ლექსიკონი-ცნობარი, 2004, 278.

ადამიანისათვის ან ჯგუფისათვის დამახასიათებელი რომელიმე ნაკლსა თუ მანკიერებას სტიგმა ეწოდება. ირგვლივ მყოფთაგან სტიგმატიზებული ადამიანები განიცდიან დასჯას, დამცირებას, გარიყვას.¹⁹ ნეგატიური ნიშანი, რომელიც პიროვნების ღრმა დისკრედიტაციას იწვევს, გამოარჩევს მას საზოგადოებისგან, პიროვნულ გაუფასურებას იწვევს და ისე ამცირებს მას სხვების თვალში, რომ სრულფასოვანი პიროვნების ნაცვლად, არასრულფასოვან, შელახულ და „ბინძურ“ ინდივიდად გამოიყურება. სტიგმა ადამიანს სხვა „ნორმალურ“ ადამიანზე ნაკლები ღირებულების მქონედ აქცევს. სტიგმატიზირებული პიროვნებები მთლიანობაშეღებულ, კომპრომისულ და, ზოგ შემთხვევაში, სრულფასოვან პიროვნებაზე დაბლა მდგომ ადამიანებად მიიჩნევიან.²⁰ სტიგმა შეიძლება იყოს სხეულებრივი ნიშანი, როგორცაა ფიზიკური სიმახინჯე ანდა, ისეთი სოციალური მახასიათებლები, როგორცაა ინდივიდის კრიმინალური რეპუტაცია. საზოგადოება არასწორედ აფასებს სტიგმატი ადამიანის შესაძლებლობებს. მაგალითად, ითვლება, რომ დამნაშავეები მხოლოდ კითხულობენ იაფყდიან დეტექტურ რომანებს. თუ ისინი კითხულობენ ლორენ დურენის წიგნებს, მაშინ მათ უჩვეულო პიროვნებებად თვლიან.²¹

გოფმანის მთავარი სათქმელი არის, რომ ყველა ადამიანი ამა თუ იმ დროსა და მდგომარეობაში რაღაც ხარისხით სტიგმატიზირებულია. ის განიხილავდა ორ სფეროს შორის დპირისპირებას 1. რაც უნდა იყოს ადამიანი, „ფაქტიური სოციალური იდენტობა“ და 2. როგორც მას საკუთარი თავი წარმოუდგენია „რეალურ სოციალური იდენტურობა“. თუ ადამიანს ამ ორ სფეროს შორის განხეთქილება აქვს, მაშინ „არლიყი“ აკრია.²² არსებობს დისკრედიტირებული და დისკრედიტირებადი სტიგმა. დისკრედიტირებული სტიგმის შემთხვევაში, ყველასთვის ცნობილია ან ცხადია განსხვავებები (ფიზიკური ნაკლის შემთხვევაში), რაც წარმოქმნის პრობლემებს: ზეწოლა, კონტროლი საზოგადოებისგან, ადამიანებისთვის სირთულეები ცნობილია.

¹⁹სოციალურ მეცნიერებათა ცენტრი, სოციალურ და პოლიტიკურ ტერმინთა ლექსიკონი-ცნობარი, 2004, 290-291.

²⁰GOFFMAN ERVING, STIGMA NOTES ON THE MANAGEMENT OF SPOILED IDENTITY, 1963, 3.

²¹GOFFMAN ERVING, STIGMA NOTES ON THE MANAGEMENT OF SPOILED IDENTITY, 1963, 6.

²²GOFFMAN ERVING, STIGMA NOTES ON THE MANAGEMENT OF SPOILED IDENTITY, 1963, 2-3.

დისკრედიტირებადის დროს განსხვავებები უცნობია ან არ შეიგრძნება მათ მიერ (მაგ., პირი, რომელიც პროსტიტუციას ეწევა), პრობლემას აქ წარმოადგენს ინფორმაციის მართვა, რომ საზოგადოებისათვის უცნობი დარჩეს მათი სირთულეები.²³

ნაკლებად მძიმე დანაშაულის მქონე ყოფილი პატიმარი ქალების სტიგმატიზაცია ხდება სოციალური მახასიათებლის მიხედვით, რაც იწვევს ჩვენი საზოგადოებისგან უარყოფით დამოკიდებულებას, ხდება ყოფილი ქალი პატიმრების დამცირება, იზოლაცია. სასჯელაღსრულების დაწესებულების დატოვების შემდგომ ზოგიერთი ყოფილი მსჯავრდებული გარკვეული პერიოდის განმავლობაში ახერხებს ინფორმაციის შენახვას ნასამრთლეობის შესახებ, მაგრამ დროთა განმავლობაში საზოგადოების ნაწილი იღებს ინფორმაციას, რომ ეს პიროვნება არის ყოფილი მსჯავრდებული, ამ წუთიდან კი წარმოიქმნება დისკრედიტირებული სტიგმა, რაც წარმოქმნის სირთულეებს.

რობერტ მერტონმა დისკრიმინაცია შემდეგნაირად განმარტა: „დისკრიმინაცია ფუნქციურად არარელევანტურ მახასიათებელზე ყურადღების გამახვილებაა ისე, თითქოს ისინი რელევანტური იყვნენ“.²⁴

სწორედ, ნაშრომში საუბარია დასაქმებლის მხრიდან სქესის ნიშნის მიხედვით დისკრიმინაციაზე, რომლის დროსაც ყოფილ პატიმარ ქალს არ შეუძლია დასაქმდეს ამა თუ იმ სამუშაოზე მიუხედავად იმისა, რომ გააჩნია ყველა ის თვისება, რაც საჭიროა ამ სამუშაოს შესასრულებლად.

სქესის ნიშნის მიხედვით დისკრიმინაცია არა მხოლოდ აფერხებს ყოფილი ქალი პატიმრების რესოციალიზაციისა და დასაქმების პროცესს, არამედ მოიცავს სქესობრივ სეგრეგაციასაც. „დასაქმებისას არსებული სქესობრივი სეგრეგაცია გულისხმობს ქალისა და მამაკაცის გადანაწილებას სხვადასხვა ტიპის პროფესიებში, სამსახურებსა და სამუშაო ადგილებზე“. სქესობრივ სეგრეგაციას კი უარყოფითი შედეგები მოაქვს

²³სოციალურ მეცნიერებათა ცენტრი, სოციალურ და პოლიტიკურ ტერმინთა ლექსიკონი -ცნობარი, 2004, 290-291.

²⁴პადავიჩი, ირენ, რესკინი, ბარბარა, ქალები და მამაკაცები სამსახურში, 2007, 94.

მდედრობითი სქესის წარმომადგენელთათვის: როგორც წესი ქალები მამაკაცებთან შედარებით დაბალ სამსახურეობრივ პოზიციას იკავებენ, აქვთ ნაკლები ძალაუფლება, ანაზღაურება.²⁵

2.3 სამეცნიერო ლიტერატურის მიმოხილვა

საქართველოში მცირეა ლიტერატურა, რომელშიც საუბარია ყოფილი პატიმრის დასაქმების შესახებ კერძო და სახელმწიფო სექტორში. ჟურნალ „ლიბერალის“ 2014 წლის აგვისტო - სექტემბრის N 154-ში დაბეჭდილია სტატია, სადაც საუბარია ყოფილი პატიმრების დასაქმების შესახებ კერძო და სახელმწიფო სექტორში, ინტერვიუ ჩაწერილია ახალგაზრდა ყოფილ პატიმარ მამაკაცთან, რომელიც ეძებს სამუშაოს და არ ეთაკილება არცერთ პოზიციაზე მუშაობა, მაგრამ ამჟამად უმუშევარია. ასევე, სტატიაში არის ინტერვიუ აფთიაქის და ბანკის ხელმძღვანელთან, რომლებიც აცხადებენ, რომ ყოფილი პატიმრის დასაქმებისას გაითვალისწინებენ თუ რა მიზეზის გამო იხდიდა სასჯელს და რა პოზიციაზე სურს დასაქმდეს ნასამართლევ პიროვნებას, მაგრამ ინტერვიუში ამბობენ, რომ თუ დადგებიან არჩევანის წინაშე არანასამართლევ და ნასამართლევ პირს შორის, უპირატესობას არანასამართლევს მიანიჭებენ. სტატიაში საუბარია სტიგმასა და დისკრიმინაციის შესახებ, რომელიც გამოწვეულია კრიმინალური წარსულის გამო, სახელმწიფოს მიერ განხორციელებული პროგრამებისა და მათი მიზნების შესახებ. ბოლოს, დასკვნის სახით მოცემულია, რომ არა მარტო სახელმწიფომ უნდა იზრუნოს ყოფილი პატიმრების რესოციალიზაციის პროცესზე, არამედ საზოგადოებამ უნდა გამოიჩინოს სოციალური პასუხისმგებლობა მათ წინაშე, ნდობა და დახმარების ხელი უნდა გაუწოდოს ყოფილ პატიმარს.²⁶

არასამთავრობო ორგანიზაციებმა: სიდამ, საქართველოს ფერმერთა ასოციაციამ და

²⁵ პადავიჩი, ირენ, რესკინი, ბარბარა, ქალები დამამაკაცებისამსახურში, 2007, 107.

²⁶ ღვედაშვილი, ქეთევან, ნასამართლეობა=უმუშევრობას? 2014, 52-55.

DDV International წარმოადგინეს 2018 წლის 13 ივლისს კვლევის შედეგები, რომელიც კანონთან კონფლიქტში მყოფი პირების პროფესიული განათლებისა და დასაქმების პროგრამების ეფექტიანობას ეხება.²⁷ აღნიშნულია ნაშრომში, რომ რესოციალიზაციისა და საზოგადოებაში რეინტეგრაცია რთული, ხანგრძლივი პროცესია, რომელიც წარმატებით განხორციელდება თუ გათვალისწინებული იქნება შემდეგი ფაქტორები: სარეაბილიტაციო პროგრამების ხელმისაწვდომობა, მიმღებლობა საზოგადოების მხრიდან, არადისკრიმინაციული დამოკიდებულებების არ არსებობა.²⁸ ზოგადად დაბალია საგანმანათლებლო და სარეაბილიტაციო პროგრამებში ბენეფიციართა ჩართვის მოტივაცია, რაც განპირობებულია მათი პიროვნული დამოკიდებულებით სასწავლო პროცესისადმი, საზოგადოებისადმი უნდობლობით და, ასევე შესაძლოა ვერ ხედავდეს მიღებული ცოდნის გამოყენების შესაძლებლობას და მინიმალურად აფასებდეს შემდგომი დასაქმების პერსპექტივას. კვლევის ფარგლებში საუბარია, რომ მათი დაბალი მოლოდინები დასაქმებასთან მიმართებით, საფუძველს მოკლებული ხშირად არ არის, რადგან საზოგადოებაში არსებული სტიგმა, დამსაქმებლების დამოკიდებულება ნასამართლეობის მქონე პირებისადმი, ართულებს კანონთან კონფლიქტში მყოფი პირების სამსახურში მიღებას და/ან მათ მიერ დაკავებული პოზიციების შენარჩუნებას.²⁹

ხელმისაწვდომი აღმოჩნდა ასევე, ინგლისურ ენაზე შესრულებული ნამუშევრები ყოფილი პატიმრის დასაქმების შესახებ.

²⁷ http://www.cso.ge/view.php?type=research_reports&slug=kanontan-konfliqtshi-myof-pirtatvis-arsebuli-saganmanatleblo-da-dasaqmebis-programebis-analizi&fbclid=IwAR11HujR18vBt5011OBHnadHJLUxWiMBOIYNp8wNt8jnXL8u6bikKcsAAww

სამოქალაქო საზოგადოების პორტალი, კანონთან კონფლიქტში მყოფ პირთათვის არსებული საგანმანათლებლო და დასაქმების პროგრამების ანალიზი.

²⁸ იქვე.

²⁹ იქვე.

კალიფორნიის უნივერსიტეტის პროფესორი, სტივენ რაფაელი საუბრობს ყოფილი პატიმრების დასაქმების პერსპექტივებზე. ყოფილი მსჯავრდებულები ხშირად განიცდიან სტიგმატიზაციას შრომის ბაზარზე მათი დანაშაულებრივი ისტორიის გამო, დიდ სირთულეებს ხვდებიან ისინი სამუშაოს ძებნის პროცესში. საზოგადოებას მიაჩნია, რომ წარმატებული რეინტეგრაციის დროს ყოფილი პატიმრები სირთულეებს წააწყდებიან. მნიშვნელოვანია გაუმჯობესდეს ნასამართლევი პირებისა და მათი ოჯახების გარემო. დასაქმებაში, ტრენინგებში, სოციალური მომსახურებასა და სხვა სახის დახმარებაში საჭიროა ჩაიდოს ინვესტიცია. ყოფილმა პატიმარმა უნდა გადაინაცვლოს პროდუქტიული და სტაბილური ცხოვრებისაკენ, შეამციროს სიღარიბე, რითიც თავიდან აიცილებს დანაშაულებრივ საქმიანობას.³⁰

შოუნ ფლოვერის ნაშრომი „დასაქმება და ქალი პატიმარი“ დაფუძნებულია ემპირულ კვლევაზე, რომელიც აღწერს ამერიკის შეერთებულ შტატებში არსებულ სიტუაციას. რეინტეგრაციის პროცესის დროს ქალი და მამაკაცი ბევრი გამოწვევის წინაშე დგას, სტიგმა მათი კრიმინალური ისტორიის გამო, დასაქმების პრობლემა და შესაბამისი უნარ-ჩვევების არ ქონა. არსებობს კონკურენცია, რაც მათ დასაქმების შანსს ამცირებს. უმრავლესობა ქალი დამნაშავეები არიან ეკონომიკურად მარგინალურნი, როდესაც ისინი გარკვეული პერიოდის შემდგომ უბრუნდებიან საზოგადოებას დგანან მნიშვნელოვანი გამოწვევების წინაშე. ეს გამოწვევები ხელს უშლის ქალებს მოიპოვონ ძალისხმევა, შეინარჩუნონ სამუშაო. ქალები მუშაობენ ნაკლები საათი, ვიდრე მამაკაცები და ხშირად დასაქმებულნი არიან არამუდმივ, დაბალი დონის, შემოსავლის პოზიციაზე და მცირე შანსი აქვთ დაწინაურების. ხშირად დამსაქმებლები არიდებენ თავს, რომ აიყვანონ ყოფილი დამნაშავე სამუშაოდ, რადგან ისინი გრძნობენ შიშს, რისკს, უნდობლობას მათ მიმართ. მიუხედავად იმისა, რომ 1964 წლიდან სამოქალაქო უფლებების აქტი კრძალავს დამსაქმებლის მხრიდან უარის თქმას, მხოლოდ ნასამართლეობის გამო, ბევრი გამონაკლისი არსებობს. არსებობს დარგები, სადაც იკრძალება ყოფილი დამნაშავეის დასაქმება მაგალითად, სამედიცინო და პირადი

³⁰Steven Raphael, The employment prospects of ex-offenders, University of California, Berkeley.

მომსახურების სფეროებში (კოსმეტოლოგია, ძიძა). ეს შეზღუდვები განსაკუთრებით მოქმედებს უარყოფითად ქალი პტიმრების დასაქმებაზე. ყოფილ ქალ პტიმრებს აქვთ მცირე ცოდნა და გამოცდილება, ძირითადად ისინი საქმდებოდნენ მოვლისა და მომსახურების სფეროში, მაგრამ ახლა შეზღუდვებია. ნასამართლეობა არის ხშირად ბარიერი ნაყოფიერი დასაქმების. ქალები, რომლებიც არ არიან ფინანსურად დამოუკიდებლები უფრო სავარაუდოა, რომ გააგრძელონ ციკლი რეციდივის.³¹

პატრიცია ობრიენი თავის ნაშრომში „ყოფილი ქალი პტიმრების დასაქმებისას ბარიერის შემცირებაში“ წერს, რომ დარღვევები და ახალი დანაშაული ხდება ხშირად იმის გამო, რომ პტიმრებს არ გააჩნიათ რეინტეგრაციის უნარი და არ იციან თუ როგორ უნდა მოერგოს საზოგადოებას. ბევრი ვერ საქმდება არა მხოლოდ იმის გამო, რომ არ გააჩნიათ მუშაობის უნარ-ჩვევები, არამედ სოციალური სტიგმის გამო, რომელიც მათ კრიმინალურ ისტორიას ეხება. ადამინებს, რომლებსაც უჭირთ ინტეგრაციის პროცესი მაღალია რისკი, რომ ისინი კვლავ ჩაიდნენ დანაშაულს.³²

3. ნაკლებად მძიმე დანაშაულის მქონე ყოფილი პტიმარი ქალების პრობლემები

ნაკლებად მძიმე დანაშაულის მქონე ყოფილი პტიმარი ქალების პრობლემების შესწავლის მიზნით, სიღრმისეული ინტერვიუს მეშვეობით გამოიკითხა 7 ნაკლებად მძიმე დანაშაულის მქონე ყოფილი პტიმარი ქალი, რომელთა წლოვანება მიეკუთვნება 35 წლიდან - 55 წლამდე ასაკის კატეგორიას. 2 წელზე მეტია, რაც თითოეულმა მათგანმა სასჯელადსრულების დაწესებულება დატოვა. განათლების მიღწეული დონე 4 რესპონდენტებისთვის არის საშუალო, 1-ს აქვს პროფესიული განათლება, ხოლო 2

³¹Flower, Shawn M., Employment and Female Offenders: An Update of the Empirical Research, U.S. Department of Justice, November 2010.

³²O'Brien, Patricia, Reducing Barriers to Employment for Women Ex-Offenders, University of Illinois, Chicago, June 2002.

მათგანს უმაღლესი აქვთ დამთავრებული.

რესპონდენტები აღნიშნავენ, რომ სასჯელაღსრულების დაწესებულების დატოვების შემდგომ უამრავ პრობლემებს ხვდებიან დღესაც მიუხედავად იმისა, რომ წლებია, რაც მოიხადეს სასჯელი. ისინი საუბრობენ, რომ საზოგადოებას აქვს მათდამი უარყოფითი დამოკიდებულება, გრძნობენ უნდობლობას, გაუცხოებას, იზოლირებას, არამხოლოდ ნაცნობებისგან, არამედ ახლობლებისგან, ოჯახის წევრებისაგან. ინტერვიუში გამოიკვეთა ასევე, პრობლემები დასაქმების შესახებ. ეს ყოველივე კი მათი ნასამართლეობის გამო იჩენს თავს.

„პირველ რიგში, რაც ყველაზე საშინელებაა საზოგადოებისგან ვგრძნობ უარყოფით დამოკიდებულებას, აღმაცერად მიყურებენ, როდესაც გაიგებენ, რომ ყოფილი პატიმარი ვარ არა მარტო უცხოები, არამედ ჩემი ნათესავებიც კი. ხალხი არ მენდობა. მეგონა ცხოვრებას თავიდან დავიწყებდი, მაგრამ ვერა საზოგადოების მზერა სულ მახსენებს, რომ ერთ დროს დანაშაული ჩავიდინე. არადა ამ დანაშაულისთვის სასჯელი მოვიხადე, მაგრამ ეს საკმარისი არ აღმოჩნდა ჩემი დასჯა დღესაც გრძელდება. პრობლემები მაქვს ასევე სამუშაოსთანაც დაკავშირებითაც. ეს ყველაფერი რა თქმა უნდა, გამოწვეულია ჩემი ნასამართლეობით“. (გვანცა, 3 წელია თავისუფალია.)

„პირველი პრობლემა, რაც ციხიდან გამოსვლის შემდეგ გხვდება არის საზოგადოების მიუღებლობა. ჩემთან ურთიერთობა არ უნდოდათ. მეორე პრობლემა, რაც ჩემთვის მტკივნეული იყო, ეს არის ჩემს შვილთან ურთიერთობა. სამსახურის მოძებნა ძალიან რთული იყო, ჩვენს ქვეყანაში გაუსამართლებელი არავის უნდა და ნასამართლები მითუმეტეს. პრობლემებს და დაბრკოლებებს ყოველ ფეხის ნაბიჯზე ვხვდები“. (თამარი, 4 წელია თავისუფალია.)

„ყველა ეჭვის თვალით მიყურებდა. ჩემი ეშინოდათ და არავის უნდოდა ჩემთან ურთიერთობა. ყელას უჭირდა ჩემს მდგომარეობაში შესვლა“. (ნათია, 4 წელია თავისუფალია)

„როდესაც სამსახურს ვეძებდი, კეთილგანწყობის მოპოვების მიუხედავად, ყველა უარს აცხადებდა ჩემს დასაქმებაზე მას შემდეგ, რაც იგებდნენ რომ ნასამართლევი ვიყავი“.
(ქეთი, 3 წელია თავისუფალია.)

„საზოგადოებას ჩემს მიმართ ცივი დამოკიდებულება აქვს მიუხედავად იმისა, რომ 3 წელია, რაც ციხე დავტოვე. მაინც ბევრი ადამიანი ცდილობს ჩემგან თავის შორს დაჭერას. ისინი ფიქრობენ, რომ მე არ ვარ სანდო ადამიანი, რადგან მე დავუშვი შეცდომა და აღმოვჩნდი ციხეში“. (ლანა, 3 წელია თავისუფალია.)

ასევე, ისინი საკუთარი თავის სტიგმატიზაციასაც ახდენდნენ და უსვამდნენ ხშირად ხაზს, რომ იყვნენ ყოფილი პატიმრები.

„საზოგადოება ჩვეულებრივად მექცეოდა სანამ არ გაიგებდნენ, რომ ნასამართლევი ვიყავი. ნუ, ეგ ყოველთვის მასეა, რაღაც უნდობლობის გრძნობა უჩბნდება ხალხს და ეს ბუნებრივიცაა, მე ხომ ნასამართლევი ვარ“. (შორენა, 4 წელია თავისუფალია.)

გამოკითხული რესპონდენტების ნაწილი დასაქმებულია კერძო სექტორში, ნაწილი კი უმუშევარია. ზოგიერთს აქვს კერძო მცირე ბიზნესი, ზოგი კი თავიანთი ნაცნობებისა და ნათესავების დახმარების საშუალებით მუშაობენ კერძო სექტორში.

„რავიცი, ამასაც თუ დასაქმება ქვია, ეზოიანი ბინა მაქვს სკოლის წინ და ვყიდი ჩემს გამომცხვარ ლობიანსა და კარტოფილის ღვეზელს“. (გვანცა, 3 წელია თავისუფალია.)

„დღესდღეობით არ ვარ დასაქმებული“. (ლანა, 3 წელია თავისუფალია.)

„დიახ დასაქმებული ვარ, კერძო სექტორში, მაგრამ ეს ნაცნობების წყალობით მოხდა მხოლოდ“. (ანა, 5 წელია თავისუფალია.)

თითოეულ რესპონდენტს არაერთხელ უცდიათ დასაქმება სხვადასხვა პოზიციაზე, მაგრამ დამსაქმებლის მხრიდან ხდებოდა სტიგმატიზაცია ნასამართლეობის სტატუსის გამო, გენდერული ნიშნით დისკრიმინაცია. როდესაც დამსაქმებელი იგებდა მათი ნასამართლეობის შესახებ ავტომატურად ხდებოდა მათი დაბლოკვა. ყოფილი

პატიმრის სტატუსი ხელს უშლის პიროვნებას, რომ იყოს უფრო წარმატებული.

„რა თქმა უნდა მიცდია, მყავს შვილები, მოხუცი მშობლები, რომელსაც ჩემი დახმარება სჭირდებათ, მეხერხება ცომეულის მომზადება და ვცადე დამეწყო რამდენიმე საცხობში მუშაობა, მაგრამ ამაოდ, ნასამართლეობა ეს არის დიდი ბარიერი. ერთხელ ვიყავი მისული თონეში პურის მცხოვრებელი სჭირდებოდათ, მაგრამ მითხრეს რომ ამ პოზიციითვის კაცი სჭირდებოდათ, კიდევ კარგი ის არ მქონდა ნათქვამი რომ ნასამართლევი ვიყავი, თორემ ალბათ თონეშიც კი არ შემიშვებდნენ“. (გვანცა, 3 წელია თავისუფალია.)

„დიახ, ბევრჯერ ვცადე მუშაობის დაწყება და დღესაც აქტიურად ვცდილობ დავიწყო მუშაობა, თუმცა უშედეგოდ. როდესაც ჩემი ნასამართლეობის შესახებ იგებენ, ყველა უარს მეუბნება“. (ლანა, 3 წელია თავისუფალია.)

„დიდხანს ვცდილობდი ჩემით გამეკაფა გზა, მაგრამ ამაოდ. მახსენდება შემთხვევა, რომ სამსახურში აყვანის ეტაპების გავლის შემდეგ ნასამართლეობა, რომ ნახეს უარი განაცხადეს ჩემთან მუშაობაზე, ეს კერძო სექტორში მოხდა. დღესდღეობით ჩემი დეიდაშვილის მაღაზიაში ვმუშაობ კონსულტანტად“. (ანა, 5 წელია თავისუფალია.)

„რასაკვირველია, ნასამართლეობის სტატუსი რომ არ მქონდეს ჩემზე ბედნიერი ადამიანი არავინ იქნებოდა. ნასამართლეობა ეს იცით როგორი რაღაცაა თითქოს დალი გასვია და ეს დალი ყელში ხელს გიჭერს, გახრჩობს, და სიცოცხლის უფლებას არ გაძლევს“. (გვანცა, 3 წელია თავისუფალია.)

„დარწმუნებული ვარ ვიქნებოდი უფრო წარმატებული, ნასამართლეობის სტატუსი აფერხებს და ხელს უშლის ადამიანის განვითარებას“. (ქეთი, 3 წელია თავისუფალია.)

ყოფილი პატიმრი ქალების აზრით ყოფილ მსჯავრდებულებს გაუჭირდებათ დასაქმება, რადგან ისედაც მაღალია უმუშევართა რიცხვი საქართველოში, მაგრამ ისინი ფიქრობენ, რომ განსაკუთრებით რთულია ნასამართლევი ქალის დასაქმება,

ვიდრე მამაკაცის, რადგან საზოგადოება უფრო განიკითხავს ქალებს, მათთვის წარმოუდგენელია მდებრობითი სქესის წარმომადგენელი პირების ნასამართლეობა. ასევე, მათ მიაჩნიათ, რომ მამაკაცს უფრო შეუძლია დასაქმდეს მეტ პოზიციაზე, ვიდრე ქალს.

„დღეს ჩვენს ქვეყანაში დასაქმების პრობლემა მართლაცაა, ამდენი უმუშევარი ხალხია. რა თქმა უნდა, ყოფილი პატიმარი უფრო ნაკლებად დასაქმდება, მაგრამ ყოფილ პატიმარ კაცებთან შედარებით ყოფილი პატიმარი ქალები უფრო ცუდ დღეში ვართ. საზოგადოებას ნაკლებად უკვირს, როდესაც დამნაშავე კაცია, როცა საქმე ეხება ქალებს აქ გაკვირვება, აღშფოთება მატულობს, ასევე კრიტიკაც ქალებისადმი“. (გვანცა, 3 წელია თავისუფალი.)

„ქართველი ხალხისთვის წარმოუდგენელია ქალის ციხეში ჯდომა და შესაბამისდ უფრო განგვიკითხვენ ვიდრე მამაკაცებს“. (ლანა, 3 წელია თავისუფალი.)

„ყოფილი პატიმარი კაცი იმიტომ, რომ მათ შეუძლიათ თუნდაც მშენებლობაზე მუშაობა, ასევე ტაქსზე და არის კიდევ სხვადასხვა პროფესიები, მეტი ვიდრე ქალებს გვაქვს“. (ანა, 5 წელია თავისუფალი.)

ყოფილი პატიმარი ქალების უმრავლესობას მიაჩნია, რომ კერძო სექტორში უფრო დასაქმდებიან, ვიდრე სახელმწიფო სექტორში. მათ აქვთ უფრო იმის იმედი, რომ ვინმე ნათესავი დაასაქმებთ. კერძო სექტორში უფროა შესაძლებელი ნასამართლეობის დამალვა, ვიდრე სახელმწიფო სექტორში. ყოფილი მსჯავრდებულის დასაქმება კი უარყოფითად აისახება სახელმწიფო სექტორის სახელზე.

„კერძოში, რადგან ზოგი არც ითხოვს ნასამართლეობას და შეგიძლია ეს დამალო კიდევ“. (ანა, 5 წელია თავისუფალი.)

„ზოგადად ყოფილ პტიმარს დასაქმება უჭირს, მაგრამ უფრო შესაძლებელი იქნება კერძო სექტორში, ვინმე ღვთისნიერი ნათესავის ბიზნესში“. (ქეთი, 3 წელია თავისუფალი.)

„რა თქმა უნდა კერძო სექტორში უფრო მეტად. სახელმწიფო სექტორში პირველ რიგში ხდება სრული ინფორმაციის მოპოვება პიროვნებაზე. კერძო სექტორში და დაბალ საფეხურზე, მუშა, დამლაგებელი, ან ასე შემდეგ დასაქმების შანსი არსებობს შედარებით. სახელმწიფო სექტორში სტრუქტურას არ აწყობს და ეს ერთგვარად იმიჯის შელახვაზეც მეტყველებს თუ ნასამართლევა დასაქმებული“. (თამარი, 4 წელია თავისუფალი.)

რაც შეეხება სახელმწიფოს როლზე ნაკლებად მძიმე დანაშაულის მქონე ყოფილი პატიმარი ქალის დასაქმების შესახებ საუბრისას რესპონდენტებთან აღმოჩნდა, რომ ზოგიერთ მათგანს აქვს ინფორმაცია სასჯელდსრულებისა და პრობაციის სამინისტროს, იუსტიციის სამინისტროს მიერ განხორციელებული პროგრამების შესახებ. ყოფილ პატიმრებს აქვთ მიღებული მონაწილეობა სასჯელდსრულებისა და პრობაციის სამინისტროს მიერ განხორციელებულ პროგრამაში, სადაც მათ შეეძლოთ დაუფლებოდნენ სხვადასხვა ხელობას, ისინი აღნიშნავენ კურსების მაღალ ხარისხს, მაგრამ ხაზს უსვამენ, რომ დაწესებულების დატოვების შემდგომ მიღებულ ცოდნას ვერ იყენებენ, არ ხდება მათი დასაქმება. რაც შეეხება იუსტიციის სამინისტროს მიერ განხორციელებულ პროგრამას არცერთ მათგანს არ მიუღია მონაწილეობა მასში, რადგან ჰგონიათ, რომ ეს პროგრამები მნიშვნელოვნად ვერ ცვლიან ყოფილი

მსჯავრდებულის ცხოვრებას.

3.1 კერძო სექტორის დამსაქმებლის დამოკიდებულება ნაკლებად მძიმე დანაშაულის მქონე ყოფილი ქალი პატიმრების დასაქმებისას

კერძო სექტორიდან ინტერვიუ ჩატარდა 5 რესპონდენტთან, რომელთაგან 3 იყო მაღაზიის მენეჯერი და 2 სამკერვალოს ხელმძღვანელი, არცერთი მათგანი არ იყო ნასამართლელი. ზემო აღნიშნულ დაწესებულებებში არ მუშაობს ყოფილი პატიმრი ქალი. სამკერვალოში დასაქმებულები არიან მხოლოდ მდედრობით სქესის წარმომადგენლები, ხოლო მაღაზიაში ვხვდებით რამდენიმე მამრობითი სქესის თანამშრომელს.

სამკერვალოს ხელმძღვანელებთან საუბრისას თუ რატომ არ არის მათთან დასაქმებული მამრობითი სქესის წარმომადგენელი, ისინი შემდეგნაირად ხსნიან ამ ვითარებას, რომ მომხმარებლისათვის ურო მისაღებია მკერავი ქალი ვიდრე მამაკაცი, შესაბამისად მომხმარებლის სურვილი, კომფორტი სამკერვალოს მეპატრონებისთვის მნიშვნელოვანია. საზოგადოებას მიაჩნია მკერავის პოზიცია „ქალურ სამუშაოდ“, შესაბამისად მათი სტერეოტიპული შეხედულებები გავლენას ახდენს დამსაქმებლის გადაწყვეტილებაზე თუ ვინ დაასაქმოს ვაკანტურ ადგილზე.

გამოკითხული რესპონდენტებიდან უმრავლესობა აღნიშნავს, რომ ნაკლებად მძიმე დანაშაულის მქონე ყოფილ პატიმარ ქალს დაასაქმებდა თუ ის იქნებოდა თავისი საქმის სპეციალისტი, მაგრამ ამასთანავე მას მიაქცევდნენ განსაკუთრებულ ყურადღებას, დააკვირდებოდნენ.

„კი რატომაც არა, დავასაქმებდი, თუ მასში დავინახავდი მე იმ პოტენციალს, რაც მაღაზიის უკეთ მუშაობაში დამეხმარება“. (ნინო, მაღაზიის ხელმძღვანელი)

„კი, რატომაც არა, უბრალოდ მე ჯერ მასეთი შემთხვევა არ მქონია. ყველა ადამიანს მოსდის შეცდომა.... შეიძლება მასზე გაორმაგებული დაკვირვება მეწარმოებინა, მაგრამ მხოლოდ იმის გამო, რომ მან წარსულში, რაღაც ჩაიდინა, მხოლოდ ამ ნიშნით არ მოხდებოდა მისი დაბლოკვა“. (მარი, მაღაზიის ხელმძღვანელი)

როგორც რესპონდენტებთან საუბრისას გამოჩნდა დამსაქმებლისთვის მნიშვნელოვანია თუ რისთვის არის ნასამართლევი პიროვნება და რა სიმძიმის დანაშაული აქვს ჩადენილი, ასევე ყურადღებას აქცევენ იმას თუ რამდენად კარგი სპეციალისტია. იყო რესპონდენტი, რომელიც კატეგორიულად უარს აცხადებდა ყოფილი ქალი პატიმრის დასაქმებაზე, მას არ სურდა, რომ შექმნოდა ზედმეტი პრობლემები, რაც ყოფილი პატიმრის დასაქმებას შეიძლება მოყოლოდა.

„ალბათ უფრო არა, ვერ დავასაქმებდი, რადგან ეს არის მაღაზია და კადრებს ფრთხილად ვარჩევთ, რომ არ შექმნას ზედმეტი პრობლემა. მაგ., ქურდობა და ა.შ“. (ელენე, მაღაზიის ხელმძღვანელი)

ერთ-ერთმა რესპონდენტმა განაცხადა, რომ თუ ნკლებად მძიმე დანაშაულის მქონე ყოფილი პატიმარი ქალი იქნებოდა მისი ნათესავი აუცილებლად მისცემდა მას ახალი ცხოვრების დაწყებისთვის შანსს, მაგრამ უცხო პიროვნებას, რომელიც ნასამართლევი მის მონაცემებს არც კი განიხილავდა. ეს პიროვნება ინტერვიუში აღნიშნავს, რომ ამით ყოფილი პატიმრების უფლებებს არღვევს, ახდენს დისკრიმინაციას, მაგრამ თავს იმართლებს იმით, რომ ეს მისი დაფუძნებული დაწესებულებაა და ვისაც სურს მას დაასაქმებს.

ისინი, ვინც აცხადებდნენ, რომ ყოფილ პატიმარს დაასაქმებდნენ მათ უფრო აქვთ ნდობა ყოფილი მსჯავრდებულების მიმართ, ვიდრე, ვინც წინააღმდეგია მათი დასაქმების. რესპონდენტებს მიაჩნიათ, რომ სასჯელაღსრულების დაწესებულება პატიმრებზე დადებითად მოქმედებს, ამ პერიოდში ისინი იაზრებენ თვინათ

დანაშაულს, აცნობიერებენ იმას თუ რა შედეგებამდე შეიძლება მიიყვანოს არაკანონიერმა ქცევამ. ერთ-ერთი რესპონდენტი ამბობს, რომ ციხე პატიმრებზე ერთის მხრივ დადებითად, მეორეს მხრივ კი უარყოფითად მოქმედებს - პატიმრებს ექმნებათ ფსიქოლოგიური პრობლემები.

„წესით დადებითად უნდა მოქმედებდეს, რადგან ეს პერიოდი ადამიანს შეუძლია ფიქრისთვის და თავისი შეცდომების გაანალიზებისთვის გამოიყენოს. შეხედულებებიც ეცვლება თავისთავად“. (მარი, მალაზიის ხელმძღვანელი)

„თუ გავიხსენებთ იმას თუ როგორი მდგომარეობა იყო ციხეებში, მაშინ შეგვიძლია ვთქვათ, რომ ფსიქოლოგიური პრობლემები ექმნებათ პატიმრებს. ვფიქრობ უარყოფითად მოქმედებს სასჯელალსრულების დაწესებულება პატიმარზე. მაგრამ ვფიქრობ იმასაც, რომ ამ პერიოდში ადამიანი ფიქრობს თავის დანაშაულზე და აცნობიერებს იმას თუ რა შედეგებამდე შეიძლება მიიყვანოს მისმა უარყოფითმა ქცევამ“. (სოფო, სამკერვალოს ხელმძღვანელი)

„ალბათ მოქმედებს, ანალიზს უწევს თავის ნამოქმედარს“. (ნანა, სამკერვალოს ხელმძღვანელი)

რესპონდენტებს მიაჩნიათ, რომ სასჯელის მიზანია პიროვნების უკეთესობისკენ შეცვლა, მათში შიშის გაღვიძება, დანაშაულის გააზრება და მისი შემცირება. სასჯელალსრულების დაწესებულების დატოვების შემდგომ ყოფილი პატიმრი ქალის დასჯა გრძელდება საზოგადოების მხრიდან, ხდება მათი დისკრიმინაცია, იჩენს თავს ეჭვი, უნდობლობა და აგრესია.

„სამწუხაროდ გრძელდება, პატიმრები დისკრიმინაციის მსხვერპლნი ხდებიან საზოგადოების მხრიდან. ყველა ეჭვის თვალთ უყურებს და არაა ეს სწორი საქციელი, რადგან არავინ არ ვართ არაფრისგან დაზღვეულები“. (მარი, მალაზიის ხელმძღვანელი)

„კი, რა თქმა უნდა გრძელდება, საზოგადოება ასეთ ადამიანს ეჭვის თვალთ უყურებს და ცოტა შიშის განცდა ეუფლებათ“. (ელენე, მალაზიის ხელმძღვანელი)

„კი, მას უნდობლად ექცევიან. ვფიქრობ ნაკლებად სჯერათ ალბათ პატიმრის გამოსწორების და მათში ეს ყოველივე შიშს, აგრესიას, უნდობლობას იწვევს“. (ნინო, მაღაზიის ხელმძღვანელი)

„რასაკვირველია გრძელდება, ჩვენ მათ არ ვენდობით, ნასამართლეობის გამო არ ვასაქმებთ, არ ვუწყობთ ხელს, რომ ცხოვრება ხელახლა დაიწყონ“. (სოფო, სამკურვალოს ხელმძღვანელი)

„დასჯა გრძელდება რა თქმა უნდა, იმიტომ რომ უნდობლობის გრძნობა უჩნდება ადამიანს მის მიმართ, ციხეში უბრალოდ არ ხვდებიან“. (ნანა, სამკურვალოს ხელმძღვანელი)

რესპონდენტების უმეტესობას გაუჭირდათ ეთქვათ ჩაიდენს თუ არა ყოფილი პატიმარი ქალი დანაშაულს კიდევ. მაგრამ რესპონდენტების ნაწილმა გაამახვილა ყურადღება გარემოზე, თუ როგორ გარემოში მოხვდებიან ყოფილი მსჯავრდებულები სასჯელაღსრულების დაწესებულების დატოვების შემდგომ მნიშვნელოვანია, როგორ მიიღებს საზოგადოება მათ და როგორ წარიმართება რესოციალიზაციის პროცესი. გარემო პირობებზე და საზოგადოებაზე დამოკიდებული დანაშაულის ხელმეორედ ჩადენა.

„თუ საზოგადოების მხრიდან კვლავ დისკრიმინაციის მსხვერპლნი გახდებიან დიდი ალბათობით კი, რადგან თუ არ მოხდა მათი რესოციალიზაცია. თუ ვერ შეძლეს სამსახურის დაწყება და ჩვეულ, ადამიანურ რიტმში ჩადგომა, შეიძლება საზოგადოების მიმართ აგრესია გაუჩნდეთ და ისევ გაიმეორონ თავიანთი შეცდომა“. (მარი, მაღაზიის ხელმძღვანელი)

„არ ვიცი, ვერ გეტყვით, ალბათ გააჩნია რა გარემოში მოხვება საპატიმროს დატოვების შემდეგ ყველაფერი მასზეა დამოკიდებული“. (ნინო, მაღაზიის ხელმძღვანელი)

სასჯელაღსრულების დატოვების შემდგომ რესპონდენტების აზრით, ყოფილი მსჯავრდებული ქალების ცხოვრება რთულად წარიმართება, რადგან საზოგადოებას

მათდამი აქვს უნდობლობა, არიან იზოლირებულები, აქვთ პრობლემები ინტეგრაციასა და დასაქმების პროცესში. საზოგადოებას უარყოფითი დამოკიდებულება აქვთ ყოფილი პატიმრის მიმართ რესპონდენტების აზრით და, რაც მთავარია რესპონდენტები თავიან თავს მოიაზრებენ ამ საზოგადოებაში, იციან, რომ დამოკიდებულება უნდა შეიცვალოს ყოფილი მსჯავრდებულის მიმართ და შეუწყონ ხელი რესოციალიზაციის პროცესს. ეს ყველაფერი თითოეულმა მათგანმა კარგად იცის, მაგრამ პრაქტიკაში არცერთი მათგანი არ ანხორციელებს ზემო აღნიშნულს, რადგან არჩევანის წინაშე, როცა დადგებიან ნასამართლევ და არანასამართლევ პიროვნებების დასაქმების თაობაზე, არჩევანს არ აკეთებენ ყოფილ ქალ პატიმარზე.

„არც თუ ისე კარგი დამოკიდებულება აქვს საზოგადოებას, როგორც კი იგებენ, რომ ყოფილი პატიმარია მაშინვე ხდება ის გარიყული. საზოგადოებას ასეთი ადამიანებისთვის განაჩენი აქვს გამოტანილი, მათ ეჭვის თვალით უყურებენ და აღარ ენდობიან. ეს დამოკიდებულება შესაცვლელია, რადგან წარსული შეცდომების გამო არ უნდა ხდებოდეს მათი იზოლირება“. (მარი, მალაზიის ხელმძღვანელი)

„საზოგადოება გულგრილია მათ მიმართ, მე მაგალითად, როგორც მენეჯერი უპირატესობას ვანიჭებ „სანდო“ კადრებს. როცა წინ გიდევს უამრავი CV და არჩევა გიწევს საუკეთესოსი და მათ შორის არის ყოფილი პატიმარი რა თქმა უნდა მას არ აიყვან უსაფრთხოების მიზნით“. (ელენე, მალაზიის ხელმძღვანელი)

„უნდობელად ექცევა საზოგადოება და მე ვფიქრობ ყველა იმსახერებს კიდეც ერთ შანს და ამგვარად ყოფილ პატიმარსაც უნდა ჰქონდეს ცხოვრების ხელახლა დაწყების შანსი“. (ნინო, მალაზიის ხელმძღვანელი)

„უარყოფითად ვართ მათდამი განწყობილი, უნდა შევიცვალოთ, მათ უნდა მივცეთ შანსი გახდნენ ჩვენი ნაწილნი, რა თქმა უნდა ესე სიტყვებით ლაპარაკი ადვილია მთავარია ვინ რას ვაკეთებთ ამისთვის“. (სოფო, სამკერვალოს ხელმძღვანელი)

3.2 საჯარო სკოლის მასწავლებლების დამოკიდებულება ნაკლებად მძიმე დანაშაულის მქონე ყოფილი ქალი პატიმრების მასწავლებლის პოზიციაზე დასაქმებისას

<https://nsuworks.nova.edu/tqr/vol13/iss4/2/> (Accessed January 31. 2019)

British Petroleum Full Report 2018

<https://www.bp.com/content/dam/bp/en/corporate/pdf/energy-economics/statistical-review/bp-stats-review-2018-full-report.pdf> (Accessed: January 30, 2019)

Esakova, Natalya. ‘‘European Energy Security – Analyzing the EU Russia Energy Security in Terms of Interdependence Theory’’. 2012 15-39.

EU Energy Diplomacy Action Plan, 2015 <http://data.consilium.europa.eu/doc/document/ST-10995-2015-INIT/en/pdf> (Accessed January 29, 2019)

European Commission ‘‘European Neighborhood Policy and Enlargement Negotiations’’.

European Commission: https://ec.europa.eu/neighbourhood-enlargement/neighbourhood/overview_en (Accessed: January 25, 2019)

European Parliament. ‘‘Security Aspects of the South Stream Project’’. 2008.

http://www.europarl.europa.eu/RegData/etudes/note/join/2008/388962/EXPO-AFET_NT%282008%29388962_EN.pdf (Accessed: January 31, 2019)

European Parliament. ‘‘Energy as a tool of foreign policy of authoritarian states in particular Russia’’ April 2018.

[http://www.europarl.europa.eu/RegData/etudes/STUD/2018/603868/EXPO_STU\(2018\)603868_EN.pdf](http://www.europarl.europa.eu/RegData/etudes/STUD/2018/603868/EXPO_STU(2018)603868_EN.pdf) (Accessed February 1, 2019)

European Union External Action: The link to the Website: ‘‘Eastern Partnership’’. 2017

https://eeas.europa.eu/headquarters/headquarters-homepage/419/eastern-partnership_en

Eurostat. ‘‘Sustainable development in the European Union’’. 2017. 145-167

FiliPPoS ProEDroU. EU Energy Security in the gas Sector Evolving Dynamics, Policy Dilemmas and Prospects

Gegeshidze. Archil ‘‘The European Neighborhood policy and Georgia’’ 2012.

<http://www.nplg.gov.ge> (Accessed: February 1, 2019)

Heinrich Boll Stiftung. “Report on the implication of Georgia’s European Neighborhood policy action plan”

https://ge.boell.org/sites/default/files/uploads/2014/01/georgia_enp_ap.pdf (Accessed: January 21. 2019)

<https://ec.europa.eu/eurostat/documents/3217494/8461633/KS-04-17-780-EN-N.pdf> (Accessed: January 24. 2017)

https://www.files.ethz.ch/isn/55482/commentary_03.pdf (Accessed: January, 26.2019)

https://www.hudson.org/content/researchattachments/attachment/616/07autumn_baran.pdf (Accessed: January, 28. 2019)

<https://www.iss.europa.eu/content/why-georgia-matters> (Accessed: January 29. 2019)

<https://www.transparency.ge/en/content/stub-12> (Accessed January, 28, 2019)

Huotari, Jussi. “ Energy policy and (energy security) as a part of Russian foreign policy”. 2011. Nordia Geographical Publications 40: 4, 121–132

Ibrayeva, Aigeri, Sannikov, Dmitriy. “Importance of the Caspian Countries for the European Union Energy Security”. International Journal of Energy Economics and Policy, 2018. 150-159

Keneth A. “Rational Choice Institutionalism”. Oxford Handbook of Political Institutions. 2006. 23-28

Kenneth, OYE. “Cooperation under Anarchy”. Princeton, Princeton University Press. 1993.

- Lebanidze, Bidzina. 2017. “Georgia’s European Integration: What Comes after The Eastern Partnership?” *Tbilisi Georgian Institute of Politics*.
- Lynch, Dov. “ Why Georgia Matters?” 2006. Institute of Security Studies N 86. 66-70
- Margvelashvili, Murman and Mukhigulishvili, George.’’Georgia’s role in energy transit towards the west’’. 2011. <http://weg.ge/sites/default/files/georgia-and-its-role-in-energy-transit-towards-the-west-final.pdf> (Accessed January, 27. 2019)
- Martin, Lisa. “Interests, Power and Multilateralism, International Organization” 1992. Vol. 46(4). 765–792
- Neal, Patrick. “Hobbes and Rational Choice theory”. *The Western Political Quarterly*, Vol. 41, No. 4 (Dec., 1988), pp. 635-652. <https://www.jstor.org/stable/448487> (Accessed: 31-01-2019)
- Newnham, Randall. “Oil, carrots, and sticks: Russia’s energy resources as a foreign policy tool”. *Journal of Eurasian Studies*, July 2011. 134-143
- Office of the State Minister of Georgia on European & Euro-Atlantic Integration. “Eastern Partnership”. <http://www.eu-nato.gov.ge/en/eu/eastern-partnership> (Accessed: January 22. 2019)
- Proderouy, Flippos. “EU energy security in the gas sector evolving dynamics, policy dilemmas and prospects’’. 2011. 1-20; 41-58.
- Rafael Leal-Arcas, Juan Alemany Ríos, Costantino Grasso. “The European Union and its energy security challenges’’. *The Journal of World Energy Law & Business*, Volume 8, Issue 4,

1 August 2015, Pages 291–293 <https://doi.org/10.1093/jwelb/jwv020> (Accessed January, 27. 2019)

Rinnert, David. 2011. “The Eastern Partnership in Georgia”. *Berlin: German Institute for International and Security Affairs*.

Seliverstov, Sergey. “Energy Security of Russia and the EU: Current Legal Problems” April 2009 https://inis.iaea.org/collection/NCLCollectionStore/_Public/42/052/42052644.pdf (Accessed: January 24, 2019)

Steenland, A. Robert. 2016. “Democratization in Georgia: what role for the EU? An analysis of the democratization process of Georgia and the influence of EU policies”. *Utrecht: Utrecht School of Governance*

Strachota, Agata. “Nabucco vs. South Stream – Rivalry over Balkan Gas Pipelines”. 2008

The European Parliament. “The Quest for Natural Gas Supply: EU and Eastern Partner energy policies: Security versus transit benefits [http://www.europarl.europa.eu/RegData/etudes/STUD/2016/586626/EPRS_STU\(2016\)586626_EN.pdf](http://www.europarl.europa.eu/RegData/etudes/STUD/2016/586626/EPRS_STU(2016)586626_EN.pdf) (Accessed: January 30. 2019)

Transparency International Georgia. “Energy Sector and Georgia’s Function as a Transit State after the Russian-Georgian Armed Conflict in August” 2010.

Tsintsiskiladze, Inga. 2016. “Georgian Political Democratization through European Perspectives”. *Tbilisi: Journal of Young Researchers*

Tsurtsumia, Tamar. “Gas Transit through Georgia in the light of Energy Charter and Energy Community provisions”. 2014.

https://energycharter.org/fileadmin/DocumentsMedia/Other_Publications/20151218-Gas_Transit_through_Georgia-Energy_Charter___Energy_Community_Provisions.pdf

(Accessed: January 27, 2019)

ივანე ჯავახიშვილის სახელობის
თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტი

თეონა ჯაფოშვილი

ენერგეტიკული უსაფრთხოების როლი საგარეო პოლიტიკის

განსაზღვრისას:

ევროკავშირის და საქართველოს მაგალითი

ევრაზიის და კავკასიის კვლევები

სამაგისტრო ნაშრომი შესრულებულია სოციალურ მეცნიერებათა

მაგისტრის აკადემიური ხარისხის მოსაპოვებლად

ხელმძღვანელი: ასოცირებული პროფესორი

დოქტორი ფიქრია ასანიშვილი

თბილისი

2019

ანოტაცია

ენერგოუსაფრთხოება ევროკავშირის ენერგოპოლიტიკის ქვაკუთხედს წარმოადგენს. იმის გათვალისწინებით, რომ რუსეთი ევროპის ყველაზე დიდი ენერგო- მიმწოდებელია, ევროკავშირი ენერგო უსაფრთხოების კუთხით მუდმივი გამოწვევების წინაშე დგას. ბოლო წლების მანძილზე ევროპამ არაერთხელ გამოსცადა თუ როგორ იყენებს რუსეთი ენერგო რესურსებს - როგორც ბერკეტს და პოლიტიკური მიზნების საშუალებას, სწორედ ამიტომ ევროკავშირისთვის ნათელი გახდა, რომ ენერჯის დივერსიფიკაცია და ალტერნატიული წყაროების მოძიება ენერგოუსაფრთხოების ერთ-ერთი ძირითადი ამოცანაა.

ნაშრომის მიზანია გამოიკვლიოს საქართველოს სატრანზიტო პოტენციალის გავლენა ევროკავშირის საგარეო პოლიტიკაზე საქართველოს მიმართ, შესაბამისად საკვლევი კითხვა შემდეგნაირად არის ფორმირებული: რატომ და რამდენად განსაზღვრავს საქართველოს სატრანზიტო პოტენციალი ევროკავშირის საგარეო პოლიტიკას საქართველოს მიმართ? კვლევაში წარმოდგენილია ჰიპოთეზა, რომლის თანახმადაც კასპიის ზღვის ენერჯის ევროპაში ტრანზიტის პოტენციალი ევროკავშირისთვის ენერჯის დივერსიფიკაციის მნიშვნელოვანი წყაროა, რაც რუსეთზე ენერგო დამოკიდებულების და მისი ბერკეტების შემცირების საშუალებას იძლევა, ეს ყოველივე კი, მნიშვნელოვნად აისახება ევროკავშირის საგარეო პოლიტიკაზე საქართველოს მიმართ.

ჰიპოთეზის ასახსნელად ნაშრომში გამოყენებულია რაციონალური არჩევანის თეორია.

ივანე ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო
უნივერსიტეტი

სოციალურ და პოლიტიკურ მეცნიერებათა ფაკულტეტი

ზაზა აბაშიძე

2003 წლის ერაყის ომი: აშშ-ს ხელისუფლების მიერ
განხორციელებული სამხედრო ოპერაციის ფუნდამენტური
მიზეზების ახსნა

სამაგისტრო პროგრამა: დიპლომატია და საერთაშორისო პოლიტიკა
სამაგისტრო ნაშრომი შესრულებულია საერთაშორისო დიპლომატიასა და
საერთაშორისო პოლიტიკაში მაგისტრის ხარისხის მოსაპოვებლად

ხელმძღვანელი: ფიქრია ასანიშვილი

ასოცირებული პროფესორი

თბილისი, 2019

ანოტაცია

2003 წლის ერაყის ომი აქტუალობას დღემდე არ კარგავს და დავის მიზეზი ხშირად ხდება. ამერიკის შეერთებული შტატების მხრიდან სამხედრო ოპერაციის დაწყებასა და შემდეგ განვითარებულ მოვლენებს ყურადღება დიდი დოზით დაეთმო, თუმცა მიკერძოვებითა და ზედაპირული ინფორმაციის გამოყენებით წარმოქნილი ბუნდოვანებები დღემდე სახეზე გვაქვს. ხშირად ხდება ისე, რომ ომის გამომწვევი მიზეზებზე საუბარი იდეოლოგიური პრიზმიდანაა ნაკარნახევი ან პოლიტიკური კაპიტალის მოპოვებას ისახავს მიზნად, რაც ობიექტური სურათის დანახვას მნიშვნელოვნად ართულებს.

ზემოთ აღნიშნული მიზეზებიდან გამომდინარე გადავწყვიტე, რომ ჩემი ნაშრომის ფარგლებში კონცენტრირება 2003 წლის ომის გამომწვევ მიზეზებზე მოვახდინო და მეტნაკლები სიცხადე შევიტანო საკითხის ირგვლივ. ომის გამომწვევი მიზეზების გარდა, ნაშრომი ისეთ საკითხებსაც მოიცავს, როგორცაა აშშ-ერაყის ისტორია და აშშ-ს დამოკიდებულება მთლიანად რეგიონის მიმართ.

2003 წლის ომის გამომწვევი ძირითადი მიზეზების ასახსნელად გამოვეყინებ საერთაშორისო ურთიერთობების რეალისტურ თეორიას, რომელიც ყველაზე მეტად ერგება და საფუძვლიანად ხსნის ამ თემის ჰიპოთეზას.

საკვლევი კითხვა - ძირითადი მიზეზები, რამაც 2003 წელს ამერიკის შეერთებული შტატების ხელისუფლების მხრიდან სამხედრო ინტერვენციის დაწყება განაპირობა?

რაც შეეხება ჰიპოთეზას, შემდეგნაირად ფორმულირდა: აშშ-ს მხრიდან ერაყში ოპერაციის დაწყება შემდეგი მიზეზებითაა გამოწვეული: 1) სადამ ჰუსეინის ხელში მასობრივი განადგურების იარაღის არსებობა; 2) ერაყის ხელისუფლებასა და ტერორისტებს შორის არსებული შესაძლო კავშირი;

ერაყის ომზე საუბარი დღემდე არ წყდება და ხშირად განსაკუთრებული ყურადღების ქვეშ ხვდება. ამ ომმა მართლაც ბევრი რამ შეცვალა (განსაკუთრებით რეგიონში) და მნიშვნელოვნი ზემოქმედება მოახდინა თანამედროვე საერთაშორისო პოლიტიკაზე. ასევე

მნიშვნელოვანია იმის გააზრებაც, რომ თუკი აშშ-ს ეროვნული უსაფრთხოება იმგვარი რისკის ქვეშ დადგება, როგორც ეს მიმდინარე საუკუნის დასაწყისში მოხდა, ერაყში წარმოებული სამხედრო კამპანიის გამეორება უცნაური და მოულოდნელი სრულაც არ იქნება.

Annotation

The 2003 Iraq war still doesn't lose its actuality and is often a cause of disputes. A lot of attention was given to the beginning of the United States' military operation and the following events, there is still a lot of ambiguity created around it because of the biased and superficial information. Often the discussions around the causes of the war is dictated from the ideological prism, which complicates the objective view of the whole picture.

Based on above mentioned, I decided to concentrate on the causes of the 2003 war within my thesis and to bring more clarity around this issue. Besides the causes of the war, the thesis also includes issues such as US-Iraq history and US's attitude towards the whole region.

To explain the main reasons of the 2003 war, I will use the realistic theory of the international relations, which best suits and explains this hypothesis.

Study question – main reasons that caused the military intervention of the government of the United States in 2003.

The formulation of the thesis is as follows: the beginning of the US operations in Iraq is caused by the following reasons: 1) the existence of the mass destruction weapons in the hands of Saddam Hussein; 2) possible connections between Iraq government and terrorists;

The conversations about the Iraq war still continues and is often under the special attention. This war changed a lot (especially in the region) and had an important impact on modern international politics. It is also important to understand, that if the national security of the United States will be under such risk as it happened in the beginning of the century, the recurring of the military campaign in Iraq will not be strange and unexpected at all.

სარჩევი

1. შესავალი.....	6
2. ისტორიული მიმოხილვა.....	13
3. ლიტერატურის მიმოხილვა.....	29
4. თეორიული ჩარჩო: რეალიზმი.....	46
5. ომის გამოწვევი ძირითადი მიზეზები.....	53
6. დასკვნა.....	68
6. ბიბლიოგრაფია.....	70

შესავალი

ამერიკის შეერთებულ შტატებსა და ერაყს შორის არსებული ურთიერთობები, მეორე მსოფლიოს ომის შემდეგ მუდმივად ცვალებადი ტენდენციით ხასიათდებოდა. მრავალი საინტერესო და ხაზგასასმელი ფრაგმენტის მიუხედავად ვფიქრობ, რომ მოვლენების განვითარებაში მნიშვნელოვანი ცვლილებები ორ თარიღს - 1990 წლის 2 აგვისტოსა და 2001 წლის 11 სექტემბერს უკავია.

პირველი თარიღის, ანუ სპარსეთის ყურის ომის დაწყების შემდეგ ქვეყნებს შორის არსებული დამოკიდებულება სტაბილურად უარყოფითი დინამიკით განვითარდა, რამაც შემდგომში განვითარებულ მოვლენებზე მნიშვნელოვანი ზეგავლენა მოახდინა. ხოლო, 2001 წლის 11 სექტემბრის ტრაგედია ის ათვლის წერტილი აღმოჩნდა, რის შემდეგაც არამხოლოდ აშშ-ერაყის ურთიერთობა, არამედ მსოფლიო პოლიტიკის დღისწესრიგი მნიშვნელოვნად შეიცვალა. ცივილიზებული სამყარო დადგა ახალი გამოწვევებისა და დილემების წინაშე, ვინაიდან მათი უსაფრთხოება ახალი რისკების წინაშე აღმოჩნდა.

ახალმა დროებამ სრულად მოშალა წარსულში დამკვიდრებული საზღვრები და სახელმწიფოებთან ერთად, საერთაშორისო პოლიტიკურ რუკაზე რეალური საფრთხეების წყარო ისეთი წარმონაქმნებიც გახდნენ, როგორცაა ტერორისტული ორგანიზაციები. „ტყუპების“ აფეთქება ამ შეცვლილი რეალობის სიმბოლოდ შეგვიძლია მივიჩნიოთ. საფრთხეს ყველას კართან შეეძლო მიეკაკუნებინა, მათ შორის ისეთი ზესახელმწიფოსთვისაც, როგორც ამერიკის შეერთებული შტატებია.

9/11-ის ტერაქტის შემდეგ, ახლად არჩეული პრეზიდენტის - ჯორჯ ბუში უმცროსისა და მისი გუნდის მთავარ გამოწვევა, აღნიშნულ ტერაქტზე პასუხის გაცემა გახდა.

2001 წლის 11 სექტემბრის ტერაქტის ავტორების მოძებნა დიდ სირთულეს არ წარმოადგენდა, რადგანაც ყველა გზა „ალ-ქაიდამდე“ მიდიოდა. საქმე კარგად ორგანიზებულ ტერორისტულ დაჯგუფებას ეხებოდა, რომელსაც რამდენიმე ძირითადი ნიშანი ქონდა: 1) რადიკალური ისლამისტური პლატფორმა, 2) გასამხედროებული

შემადგენლობა და 3) მულტინაციონალურობა. აღნიშნული კომპონენტების საფუძველზე შეიძლება ითქვას, რომ ორგანიზაცია „ალ-ქაიდა“, თავის ოსამა ბინ ლადენით, რომელიც იმ პერიოდში მათი ლიდერი იყო, საკმაოდ საშიშ და ანგარიშგასაწევ ძალას წარმოადგენდა.

მაღევე იდენტიფიცირდა ქვეყანაც, რომელსაც ტერორისტები თავს აფარებდნენ და სხვადასხვა სახის დახმარებას იღებდნენ - საქმე ავღანეთს ეხებოდა. 1996 წლიდან - 2001 წლამდე, ქვეყნის ტერიტორიის დაახლოებით 90%-ზე იურისდიქციას ისლამური ფუნდამენტალისტური, პოლიტიკურ-სამხედრო ორგანიზაცია „თალიბანი“ ფლობდა.

ამერიკის შეერთებული შტატების იმ დროინდელი ადმინისტრაცია მხოლოდ ავღანეთით შემოფარგვლას არ აპირებდა და ტერორიზმთან დაწყებული ბრძოლას უფრო ფართო გეოგრაფიით განიხილავდა. ამ მხრივ, თვალშისაცემი და საყურადღებო ერაყი აღმოჩნდა, რომელსაც შეერთებული შტატებისა და განსაკუთრებით, იმ პერიოდში მოქმედი ადმინისტრაციის წევრებისთვის კარგად ნაცნობი ლიდერი სადამ ჰუსეინი მართავდა.

ჰუსეინის მმართველობა ერაყში უკვე მეორე ათწლეულს ითვლიდა და მის ბიოგრაფიას არაერთი სისხლიანი ეპიზოდი „ამშვენებდა“. ქრონოლოგიურად თუკი გადავხედავთ, პირველ რიგში ერაყ-ირანს შორის არსებული 8 წლიანი სამხედრო დაპირისპირებაა გამოსარჩევი, რომელიც 1980-1988 წლით თარიღდება. დიდი ადამიანური და ფინანსური დანაკარგების გარდა, ეს ომი იმ ფაქტითაც არის გამორჩეული, რომ სადამ ჰუსეინმა ქიმიური იარაღი გამოიყენა ქურთი სეპარატისტებისა და ირანელი მეზობლების წინააღმდეგ. მიუხედავად იმისა, რომ ერაყ-ირანის ომის განმავლობაში, ამერიკის შეერთებული შტატები ფარულ მხარდაჭერას ერაყს უცხადებდა, ქიმიური იარაღის გამოყენება მნიშვნელოვან ფრაგმენტად დარჩება, რამაც შემდგომში კიდევ უფრო დიდი პოლიტიკური მნიშვნელობა შეიძინა.

ქიმიური იარაღის გამოყენებისას აუცილებელია სადამ ჰუსეინის მიერ დაგეგმილი ანტი-ქურთული კამპანია „ალ-ანფალის“ გახსენება. მიჩნეულია, რომ ამ კამპანიის ფარგლებში სადამის სამხედროებმა ქიმიური იარაღი იმ დროს გამოიყენეს, როდესაც ამის სამხედრო საჭიროება არ არსებობდა და მიზანს ქურთი მოსახლეობის გენოციდი წარმოადგენდა. ამის

დასამტკიცებლად საზღვრისპირა ქალაქ ჰალაბაჯას დაბომბვა გამოდგება, სადაც ერაყულმა ძალებმა საარტილერიო და საავიაციო დაბომბვასთან ერთად, ქიმიური იარაღი გამოიყენა და მხოლოდ ერთ დღეში 5000 ადამიანი გამოასალმა სიცოცხლეს, 10000 ქურთი კი სამუდამოდ დაინვალიდა. „ალ-ანფალის“ კამპანიის ფარგლებში, ჯამში სადამ ჰუსეინმა 50 000 - 100 000 ეთნიკურად ქურთი მოსახლე დახოცა.

ირანთან შეწყვეტილი ომის შემდეგ, ერაყის ეკონომიკა საკმაოდ მძიმე მდოგმარეობაში იყო და არაერთი ქვეყნის ვალი გააჩნდა. სადამ ჰუსეინმა თავდაპირველად ქუვეითს დაახლოებით 30 მილიარდი დოლარის განულება მოთხოვა, პარალელურად კი რეგიონის ნავთობის ექსპორტიორ ქვეყნებს წარმოების შემცირებისკენ უბიძგა, რაც ავტომატურად გამოიწვევდა ნავთობის ფასის გაზრდას, რაც ერაყის ეკონომიკას პრობლემების დაძლევის საშუალებას მიცემდა.

სადამის ორივე მოთხოვნა ფიასკოთი დასრულდა, მეტიც - ქუვეითმა მოპოვება და ექსპორტი კიდევ უფრო გააფართოვა, რასაც მსოფლიო ბაზარზე ნავთობის ფასის შემცირება მოყვა და ერაყის ეკონომიკა კიდევ უფრო საშინელ დღეში ჩააგდო. აღნიშნული და სხვა (მათ შორის ისტორიული) მოტივებიდან გამომდინარე, სადამ ჰუსეინმა ახალი ომი გააჩაღა.

1990 წლის 2 აგვისტოს ერაყის სამხედრო ძალებმა ოპერაცია დაიწყეს და ქუვეითის დაკავება მალევე მოახერხეს, თუმცა 1991 წელს, გაეროს უშიშროების საბჭოს მანდატით, კოალიციურმა ჯარებმა - ამერიკის შეერთებული შტატების მეთაურობით, რომლის პრეზიდენტიც ჯორჯ ბუშ უფროში იყო, მოახერხა ერაყის ჯარების დაკავებული ტერიტორიიდან გაძევება, რასაც ქუვეითის სუვერენიტეტის აღდგენა მოყვა.

სადამ ჰუსეინის სისხლიანი მმართველობის მიმართ ყურადღება არც ამ ომის დასრულების შემდეგ შეწყვეტილა. ერაყში შექმნილი საშიში ვითარებიდან გამომდინარე, რაც პირველ რიგში ქურთი მოსახლეობის წინაშე არსებულ სიცოცხლისთვის საშიშ რისკებს მოიცავდა, დასავლურმა ქვეყნებმა არასაფრენი ზონის დაწესება გადაწყვიტეს.

პარალელურად, ერაყის ხელისუფლება არ ითვალისწინებდა გაეროს რეზოლუციებს - რაც ზუსტი ინფორმაციის მიწოდებასა და მასობრივი განადგურების იარაღის პროგრამების

შეწყვეტაში მდგომარეობდა. სადამ ჰუსეინი მასობრივი განადგურების იარაღის შესახებ ანგარიშების წარდგენას არ ახორციელებდა. მეტიც, გაეროს სპეციალურ ინსპექტორებს 1998 წლიდან აღარ ქონდათ პროგრამის მიმდინარეობის გაცნობის, ინფრასტრუქტურაზე დაკვირვების და და კონტროლის გაწევის შესაძლებლობა. ერაყმა თანამშრომლობის ყველაზე მცირე საშუალებებზეც უარი განაცხადა და აბსოლიტურად ბუნდოვანი გახადა მსოფლიო საზოგადოებისთვის მასობრივი განადგურების იარაღის ირგვლივ არსებული პროცესები.

ამ საკითხის გარდა, სადამ ჰუსეინის ხელისუფლება დადანიშნულებული იყო ადამიანის უფლებების უხემ დარღვევასა და არაერთ ანტიდემოკრატიულ ქმედებაში. რეჟიმი ყოველ დღე უფრო სისხლიანი და დაუნდობელი ხდებოდა. ამის ნათელ მაგალითს კვლავინდებურად ქურთების მიმართ არსებული დამოკიდებულა გვაძლევს, რომელიც სასტიკი ხასიათით გამოირჩეოდა.

ისტორიული კონტექსტის განხილვას ნაშრომის განმავლობაში ცალკე თავს დავუთმობ და კიდევ უფრო საფუძვლიანად დავუბრუნდებით. განსაკუთრებით ყურადღებას სპარსეთის ყურის ომიდან - 2003 წლის სამხედრო ინტერვენციამდე არსებულ მონაკვეთზე გავამახვილებ, ვინაიდან აღნიშნული კონფლიქტის ასახსნელად, ყველაზე მნიშვნელოვანი სწორად ეს ისტორიული მონაკვეთია.

ავღანეთში მიმდინარე პროცესების მიუხედავად, აშშ-ს ხელისუფლების მიერ გამოცხადებული „War On Terror“-ის სიმძიმე ნელ-ნელა ერაყზეც გადმოდიოდა. სადამ ჰუსეინის მიმართ განსაკუთრებული უნდობლობა და ნეგატიური დამოკიდებულება არსებობდა, რასაც ნაშრომში უფრო ფართოდ მიმოვიხილავ.

ამერიკის ხელისუფლებას კიდევ ერთი ეჭვი გაუჩნდა - ჰუსეინისა და ტერორისტების შესაძლო კავშირი. გამოვიდა ისე, რომ სახეზე ორი კრიტიკული არგუმენტი - 1) მასობრივი განადგურების იარაღის ირგვლივ არსებული ბუნდოვანება, რაც გაეროს რეზოლუციებით დაკისრებული მოვალეობების იგნორირებაში, წარდგენილ ანგარიშებში ინფორმაციის არასათანადოდ ასახვაში, პროგრამის ირგვლივ არსებული გამჭირვალობის შეზღუდვასა და

მეტიც - თანამშრომლობაზე საერთოდ უარის თქმით იყო გამოწვეული. 2) აღნიშნულმა საკითხმა, სხვა ვარაუდებთან ერთად გააჩინა ეჭვი, რომ სადამ ჰუსეინი შესაძლოა ტერორისტებთან თანამშრომლობდა, რაც შეერთებული შტატების ხელისუფლებისთვის წითელი ხაზის გადაკვეთას წარმოადგენდა. ამავდროულად, არსებობდა რისკები იმის შესახებ, რომ მასობრივი განადგურების იარაღი შესაძლოა ტერორისტებისთვის ხელმისაწვდომი გამხდარიყო, რაც აშშ-ს და დასავლური სამყაროს უსაფრთხოებას მნიშვნელოვან დარტყმას მიაყენებდა.

ერაყის კამპანიის დაწყებამდე ერთი წლით ადრე, შეერთებული შტატების ადმინისტრაციის წევრებმა აქტიურად დაიწყეს მოკავშირებთან სადამ ჰუსეინის წინააღმდეგ გადასაგმელი ნაბიჯების ჩამოყალიბება. მათ მიერ შემუშავებული სამოქმედო გეგმა შემდეგნაირად გამოიყურებოდა: 1) სადამ ჰუსეინს და ერაყის ხელისუფლებას უნდა დაეწყო თანამშრომლობა გაეროსთან და გამჭირვალე გაეხადა პროცესი. ნათლად უნდა დადასტურებულიყო, რომ არ არსებობდა მასობრივ განადგურების იარაღზე მუშაობა. 2) თუკი ეს არ დადასტურდებოდა, მაშინ დღის წესრიგში სადამ ჰუსეინის ხელისუფლების განეიტრალების საკითხი დადგებოდა, რაც სამხედრო ინტერვენციის დაწყებასაც არ გამორიცხავდა.

2002 წლის ბოლოს, სადამ ჰუსეინმა გაეროს ინსპექტირებისა და მონიტორინგის კომისიის ხელმძღვანელ ჰანს ბლიქს წერილი მიწერა, სადაც იგი ერაყში ინსპექტორების შემოშვებასა და მონიტორინგის აღდგენაზე მზაობას გამოთქვამდა. გაეროს უშიშროების საბჭოს 1441 რეზოლუციის (2002) თანახმად, ერაყს უკანასკნელი შანსი მიეცა შეესრულებინა განიარაღების შესახებ ყველა ის ვალდებულება, რომელიც გაეროს უკანასკნელი ათი რეზოლუციით დაეკისრა. ინსპექტირების სისტემა იმგვარად იყო აგებული, რომ მტკიცების ტვირთი მთლიანად ერაყის ხელისუფლებაზე გადავიდა.

ამავდროულად, ერაყელებისთვის უცნობი იყო ადგილზე ინსპექტორების გამოჩენის თარიღი, რათა ფაბრიკაციის ან წინასწარ მომზადების შემთხვევებს არ ქონოდა ადგილი. სადამ ჰუსეინის მხრიდან დათმობაზე წასვლის მიუხედავად, მდგომარეობა უფრო და

უფრო მწვავე ხდებოდა. მასობრივი განადგურების იარაღის არსებობაზე პირდაპირი კვალი ან მტკიცებულებები ინსპექტირების ჯგუფმა ვერ აღმოაჩინა, თუმცა გაეროს მთავარმა ინსტრუქტორმა ჰანს ბლიქსმა ასევე აღნიშნა რომ ერაყელების მიერ გადმოცემული ანგარიშები სრულყოფილი არ იყო. (Blix,2003)

პარალელურ რეჟიმში, ამერიკის შეერთებული შტატების წარმომადგენლები აქტიურად საუბრობდნენ სადამ ჰუსეინისა და ტერორისტების კავშირზეც. ომისგან თავის არიდება პრაქტიკულად შეუძლებელი გახდა. ამ ეჭვებისა და მოსაზრებების ერთობლიობას საბოლოო ჯამში მოყვა სამხედრო ინტერვენციის დაწყება, რომელიც 2003 წლის 20 მარტით დათარიღდა.

აღნიშნულ ომზე დისკუსია და მისი სხვადასხვა პერსპექტივიდან ახსნა დღემდე პოპულარულია და კამათის საგანს წარმოადგენს. მიმაჩნია, რომ ხშირად ხდება ისე, რომ ძირითადი გარემოებები უკანა პლანზეა, ანდაც საერთოდ არ ხსენდება, ხოლო დისკუსია დაუსაბუთებელი და ზედაპირული ინფრომაციების გამოყენებით იგება. მაგალითისთვის, სხვადასხვა მედია საშუალებებისა თუ ორგანიზაციების პლატფორმებით დღემდე შეიძლება მოისმინოთ მოსაზრება, რომ აშშ-ს ხელისუფლებისთვის ერაყის კამპანიის მოტივაციას ეკონომიკური რესურსების ხელში ჩაგდება ან ქვეყანაში დასავლური ღირებულებების დათესვა წარმოადგენდა. სწორად აღნიშნული ტიპის არასწორი დასკვნები მიმყარებს სურვილს, რომ 2003 წლის ერაყის კამპანიის განმაპირობებელი მიზეზები უფრო ფართო სურათით წარმოვაჩინო.

2001 წლის 11 სექტემბერი, ტერორიზმისგან მომდინარე საფრთხეები, პოლიტიკურ რუქაზე შეცვლილი რეალობა, სადამ ჰუსეინის ხელში მასობრივი განადგურების იარაღის შესაძლო არსებობა და სხვა მნისვნელოვანი ფაქტორები თუ არ განვიხილეთ, მაშინ აღნიშნული საკითხის ირგვლივ ბუნდოვანების გაფანტვა ვერ მოხდება.

როგორც უკვე ავღნიშნე, ომის ირგვლივ არსებული კითხვის ნიშნების გაფანტვა იქნება ჩემი მიზანი, რაშიც სხვადასხვა საკითხების ასახსნელად რეალიზმის თეორიის გამოყენებას

შევეცდები. მიმაჩნია, რომ ამ თეორიული ჩარჩოს პრიზმაში ყველაზე უკეთ შეიძლება ერაყთან მიმართებით ჯორჯ ბუშის ადმინისტრაციის მოტივების თავმოყრა და ახსნა.

ნაშრომის საკვლევ კითხვა შემდეგი სახისაა: რა მიზეზებმა გამოიწვია აშშ-ს ხელისუფლების მიერ ერაყში სამხედრო ინტერვენციის დაწყება? კითხვა ყველა იმ ძირითად მიზეზს ფარავს, რამაც ამ გადაწყვეტილების მიღებაზე ზეგავლენა მოახდინა.

ჰიპოთეზა შემდეგი სახით ფორმულირდა: ამერიკის შეერთებული შტატების მიერ ერაყში სამხედრო ძალების გაგზავნა ორი ძირითადი ფაქტორით იყო გამოწვეული - 1) სადამ ჰუსეინის ხელში მასობრივი განადგურების იარაღის არსებობა; 2) ერაყის ხელისუფლებასა და ტერორისტებს შორის არსებული შესაძლო კავშირი. არსებობს დამატებითი, არაპირდაპირი გარემოებები, რამაც ზემოქმედება მოახდინა და ქვემოთ უფრო ფართოდ მიმოვიხილავ.

ნაშრომის ფარგლებში შევეცდები, რომ აშშ-ს ერაყში შესვლის მოტივების განხილვა მაქსიმალურად დასაბუთებულად და ფართო ჭრილში წარიმართოს. ერაყის 2003 წლის ომს დღემდე გარკვეული ტიპის „დემონიზაცია“ ახლავს თავს, რაც გადამეტებულად მეჩვენება. ამერიკის საგარეო პოლიტიკურ ისტორიას თუკი შევხედავთ ვნახავთ, რომ საქმე რაიმე „ატიპურ“ მოვლენასთან არ გვექონია, როგორც ამას ხშირად ხატავენ. აღნიშნული ომი, თავისი წარმატებებითა და ჩავარდნებით იყო პასუხი იმ რეალობაზე, რომელიც 2003 წლის მდგომარეობით ფიქსირდებოდა.

ისტორიული მიმოხილვა

მიუხედავად იმისა, რომ ნაშრომის შესავალში ნაწილობრივ ამ საკითხებს შევეხე, აშშ-ს და ერაყის ურთიერთობების ისტორიის მიმოხილვა, უფრო სრულად და კონკრეტულად აუცილებლად მიმაჩნია. 2003 წლის ომამდე პერიოდში, ქვეყნებს შორის მიმართება ცვალებადი იყო, თუმცა განსაკუთრებით ხაზგასასმელი და მნიშვნელოვანი ათვლის წერტილი 1990-1991 წლის სპარსეთის ყურის ომია, რის შემდეგადაც სახეზე სტაბილურად გაურესებისკენ მიმართული ურთიერთობების დინამიკა ჩამოყალიბდა.

1932 წლამდე არსებული ურთიერთობები: პირველ მსოფლიო ომამდე აშშ-ს ინტერესი დღევანდელი ერაყის მიმართ (იმ პერიოდში ერაყი ოსმალეთის იმპერიის შემადგენლობის ნაწილი იყო), მინიმალური იყო. ბაღდადისა და მოსულში მყოფი დაბალი კატეგორიის ამერიკელი დიპლომატების ძირითად საზრუნავს ქრისტიანი მისიონერებისთვის დახმარების აღმოჩენა, სავაჭრო საკითხებზე თვალყურის მიდევნება და ამერიკული უნივერსიტეტებისთვის არქეოლოგიური საქმიანობების ხელშეწყობა წარმოადგენდა.

პირველი მსოფლიო ომის დაწყების შემდეგ, ამერიკის მიზანს სწორად ამ ადამიანების უსაფრთხოებაზე ზრუნვა წარმოადგენდა. 1919 წელს პარიზის სამშვიდობო კონფერენციის პერიოდში, ამერიკის შეერთებული შტატების პრეზიდენტმა ვუდრო ვილსონმა უარი განაცხადა ოსმალეთის იმპერიის ყოფილი ტერიტორიების დაკავებაზე. პრეზიდენტის მსგავსი პოზიცია ქონდათ აშშ-ს სენატშიც, სადაც 1920 წელს აღნიშნული ტერიტორიების მიმართ ინტერესზე უარი ოფიციალურად დაადასტურეს. ამერიკის შეერთებული შტატების მიერ უარყოფილი წინადადების შემდეგ „ერთა ლიგის“ გადაეყვეტილების ფარგლებში, დღევანდელი ერაყზე კონტროლის გაწევა დიდ ბრიტანეთს დაეკისრა.

პოლიტიკური ინტერესების ნაკლებობისგან განსხვავებით, აშშ-თვის ერაყი კომერციული თვალსაზრისით საინტერესო და მიზნადგელი ადგილი იყო. ცხადია, საქმე ნავთობის წარმოებას გულისხმობდა. 1928 წლის მდგომარეობით, ხუთი ამერიკული ნავთობ კომპანიის მიერ დაარსებულმა კორპორაცია „Near East Development Corporation“-ი, რომელიც შემდგომში “Iraq Petroleum Company”(IPC) -ის სახელით ოპერირებდა, ჯამში მთელი ერაყის

ნავთობის ბაზრის 23.75% ფლობდა. აღნიშნულ პერიოდში, აშშ-ს ხელისუფლების მთავარ ინტერესს ერაყში ამერიკელების სავაჭრო უფლებების „დაცვა“ წარმოადგენდა, სადაც მთავარი ვიზავის სახით დიდი ბრიტანეთი ელოებოდათ.

მეორე მსოფლიო ომის დასრულებამდე არსებული ურთიერთობები: 1932 წლის ოქტომბერში დიდი ბრიტანეთის მანდატს ვადა გაუვიდა, რის შემდეგაც ერაყი ოფიციალურად გახდა დამოუკიდებელი სახელმწიფო. მიუხედავად ამისა, ბრიტანეთმა საკუთარი გავლენების შენარჩუნება მაინც გადაწყვიტა, რაც ერაყის ტერიტორიაზე სამხედრო ბაზის არსებობაში, ერაყული სამხედრო ნაწილის ჩამოყალიბებასა და მმართველად მეფე ფეისალ I-ის დატოვებაში გამოიხატა.

აშშ-ს და დამოუკიდებელ ერაყის ხელისუფლებას შორის დიპლომატიურ ურთიერთობები აქტიურად 1934 წლიდან დაიწყო. 1937 წელს, ქვეყნებს შორის პალესტინის საკითხი განიხილებოდა, რამაც ორმხრივ ურთიერთობებში პრობლემები მოგვიანებითაც შექმნა. 1938 წლიდან მოყოლებული, დღის წესრიგში მეორე მსოფლიო ომის საფრთხით გამოწვეული პოლიტიკური საკითხები დადგა. 1941 წლის 1 აპრილს, ერაყში პრო-ბრიტანული მთავრობის წინააღმდეგ გადატრიალება განხორციელდა და მართვის სადავეების რაშიდ ალი ალ-გაილანის ხელში აღმოჩნდა. იგი ბერლინი-რომი-ტოკოს ლერძის ღია აპოლოგეტი იყო. საბოლოო ჯამში, ამერიკის შეერთებულმა შტატებმა მხარი დაუჭირა დიდ ბრიტანეთს პრო-ფაშისტური ძალების განეიტრალებაში, რაც მოგვიანებით ერაყის ხელისუფლებაში კვლავ პრო-ბრიტანული მართველობის აღდგენით დასრულდა. 1943 წელს, ერაყი ოფიციალურად ჩაერთო მეორე მსოფლიო ომში და მოკავშირეების მხარე დაიჭირა. 1945 წელს თეთრ სახლში ქვეყნების ლიდერებს შორის პირველი ოფიციალური ვიზიტი გაიმართა. ჰარი ტრუმანისა და პრინც აბდ ალ-ილაჰის შეხვედრას მალევე მოყვა „ლენდ ლიზის“ ხელშეკრულების გაფორმება, რითიც ერაყმა აშშ-სგან მნიშვნელოვანი დახმარება მიიღო. სახელმწიფოებს შორის სწრაფად ჩამოყალიბებული ახლო ურთიერთობები გახდა მიზეზი, რომ 1946 წელს აშშ-მ პირველი სრულუფლებიანი ელჩი დანიშნა ერაყში.

მეორე მსოფლიო ომის დასრულებიდან-1958 წლამდე ურთიერთობები: მეორე მსოფლიო ომის დასრულების შემდეგ, აშშ-სა და ერაყს შორის დაწყებული ურთიერთობები ისე ჰარმონიულად აღარ განვითარდა, როგორც ეს აქამდე მიდიოდა. ამას რამდენიმე მიზეზი ქონდა: 1) ეკონომიკური კუთხით, ამერიკის შეერთებული შტატებისთვის ერაყი საინტერესო ქვეყანა იყო, თუმცა ნავთობის მოპოვების თვალსაზრისით ფოკუსირება საუდის არაბეთის რესურსებზე მოხდა. აღნიშნულმა ფაქტმა ერაყის მნიშვნელობა შეამცირა.; 2) ერაყის ხელისუფლება აშშ-თან ბილატერალური ურთიერთობების განმტკიცებას ცდილობდა, თუმცა პრობლემები აქაც არსებობდა. მეტოქეობის მიუხედავად, ახლო აღმოსავლეთის მიმართულებით აშშ-ს არაფორმალურ და დახურული კოორდინაცია ქონდა დიდი ბრიტანეთთან. ამერიკაში მიიჩნეოდნენ, რომ ბრიტანელებს ახლო აღმოსავლეთში მძლავრი პოლიტიკური, სტრატეგიული და ეკონომიკური პოზიციები ქონდათ, რასაც ანგარიში გაუწიეს (State Department, 1947); 3) ისრაელის საკითხი გახდა ერთ-ერთი მნიშვნელოვანი მიზეზი სახელმწიფოებს შორის ურთიერთობების გაფუჭების. აღნიშნულმა პრობლემამ თავი ჯერ კიდევ 1937 წელს იჩინა, როდესაც ერაყის ხელისუფლების წარმომადგენლები პალესტინის „გადანაწილების“ მოდელს არ დაეთანხმნენ. მოგვიანებით, ებრაელების პალესტინაში ემიგრაციამ, ისრაელის სახელმწიფოს ჩამოყალიბებამ და 1948-1949 წლების არაბულ-ებრაულმა კონფლიქტმა აშშ-თან ურთიერთობები გააფუჭა. აღნიშნულმა პროცესებმა ზეგავლენა ერაყის მოსახლეობაზეც მოახდინა, ვინაიდან ისინი უფრო რადიკალურები და კრიტიკულები გახდნენ დასავლეთის მიმართ.

1949 წელს ქვეყნებს შორის ურთიერთობები გაუმჯობესებდა, რაც არაბ-ისრაელის კონფლიქტიდან ერაყული კონტიგენტის გამოყვანით იყო გამოწვეული. აღნიშნული საკითხის გადაჭრაში ერაყის ხელისუფლებას ამერიკელები დაეხმარნენ. 1951 წელს გაფორმდა მნიშვნელოვანი ხელშეკრულება, რომელიც აშშ-ს პირდაპირ ფინანსურ დახმარებას გულისხმობდა და მოიცავდა ისეთ დარგებს, როგორცაა ჯანდაცვა, სოფლის მეურნეობა და ინფრასტრუქტურა. მსგავსი ტიპის შეთანხმება ქვეყნებს შორის პირველად გაფორმდა. აშშ-ს შემდეგი ნაბიჯი ნავთობის მოპოვების სამუშაოების გაფართოვება იყო, რითიც გაზრდილ სარგებელს ერაყული მხარეც ნახულობდა. ამის გარდა, ერაყელების

მოთხოვნით დღის წესრიგში სამხედრო ხასიათის მხარდაჭერაც დადგა, რაც მოგვიანებით შესრულდა. ბრიტანეთის მყარი პოზიციების მიუხედავად, უკვე ნათელი გახდა, რომ შეერთებულმა შტატებმა მეტნაკლებად ავტონომიური თამაში გადაწყვიტა და ეს მხოლოდ ერას არ გულისხმობდა, საქმე მთლიანად ახლო აღმოსავლეთის პოლიტიკას მოიცავდა.

არსებული ფაქტორების გარდა, დღისწესრიგში კიდევ ერთი მნიშვნელოვანი საკითხი დადგა, რამაც ერას „დასავლურ ბანაკში“ ჩაბმა უფრო მეტად აქტუალური გახდა. კომუნისტური გავლენების გაფართოვებით გამოწვეულიმა რისკებმა ერას, სხვა აღმოსავლურ ქვეყნებთან ერთად, დასავლეთისთვის აქტუალური გახდა.

1955 წელს ერასი „ბალდადის პაქტის“ მონაწილე ხდება ირანთან, პაკისტანთან, თურქეთთან და დიდ ბრიტანეთთან ერთად. აშშ პაქტის წევრი ქვეყანა არ გამხდარა, თუმცა გააჩნდა დამკვირვებლის სტატუსი და მონაწილეობას იღებდა გარკვეული კომიტეტების მუშაობაში. ბალდადის პაქტის უპირველეს ამოცანას ანტისაბჭოთა სარტყელის შექმნა და გავლენების შემცირება წარმოადგენდა. ერასის „დასავლურ ბანაკში“ მოთავსება პირველ ეტაპზე წარმატებული გამოდგა.

თუმცა სულ მალე გაირკვა, რომ მიღწეული პროგრესი დროებითი აღმოჩნდა. ერასის მოსახლეობა სულ უფრო რადიკალური და კრიტიკული ხდებოდა, როგორც საკუთარი ხელისუფლების მიმართ, ასევე დასავლეთის მიმართ. 1956 წლის სუეცის არხის კრიზისმა კიდევ უფრო დაძაბა სიტუაცია ქვეყნის შიგნით. ერასში ფართო მასშტაბიანი დემონსტრაციები დაიწყო, რაც პირველ რიგში ქვეყნის მთავრობისა და დიდი ბრიტანეთის თანამშრომლობით იყო გამოწვეული. გარდა ამისა, მოტივაციის წყაროს გამალ აბდელ ნასერის მოქმედებები წარმოადგენდა, რომლითაც სამოქალაქო პირებთან ერთად, ერასელი სამხედროებიც მოიხიბლნენ. 1958 წელს, ერასელმა სამხედროებმა ხელისუფლების გადატრიალება მოახერხეს, რასაც ერასის უკანასკნელი მეფისა და პრინცის დახვრეტა მოყვა.

საბოლოო ჯამში, მათ ქვეყნის სადავეები ხელში ჩაიგდეს. მონარქიის დასრულებასთან ერთად, აქამდე არსებული პოლიტიკური დღისწესრიგი წარსულს ჩაბარდა. პოლიტიკურ

სცენაზე ერაცელი ნაციონალისტი, სამხედრო აზდ ალ-ქარიმ ქასიმი გამოჩნდა, რომელიც მოგვიანებით ქვეყნის პრემიერ-მინისტრი გახდა.

1958-1979 წლებში არსებული ურთიერთობები:

აშშ-ს და ერაყის ურთიერთობებში ახალი ფაზა დაიწყო. მონარქიის გადაგდებდინა რამდენიმე დღეში, საბჭოთა კავშირმა აზდ ალ-ქარიმ ქასიმის მთავრობა ლეგიტიმურად აღიარა. აქამდე ერაყსა და საბჭოთა კავშირს შორის ურთიერთობები გაწყვეტილი იყო, რაც 1955 წლის ბაღდათის პაქტით იყო გამოწვეული. თუმცა გადატრიალების შემდეგ, ვითარება მალევე შეიცვალა. ერაყის მთავარი ეკონომიკური და სამხედრო პარტნიორი სსსრკ გახდა. ამერიკის შეერთებული შტატებისთვის თავსატეხს ისიც წარმოადგენდა, რომ ქასიმის მთავრობის მნიშვნელოვანი დასაყრდენი, ქვეყნის შიგნით მოქმედი კომუნისტური პარტია იყო.

საერთაშორისო პოლიტიკის მიმართულებით ცვლილებების პირველი ძლიერი ნიშანი სამხედრო გადატრიალებიდან ერთი წლის შემდეგ დაფიქსირდა, როდესაც ერაყის ახალმა მთავრობამ ბაღდათის პაქტიდან გამოსვლა დაადასტურა. ამავე პერიოდში, საბჭოთა კავშირმა ქასიმის ხელისუფლებას 137 მილიონი დოლარის ფინანსური დახმარება გაუწია. აშშ-მ გადატრიალების სამხედრო ხასიათის პასუხი არ გასცა. მეტიც, მიუხედავად შეცვლილი რეალობისა, ერაყის სრული იზოლაცია არ მომხდარა და სხვადასხვა დარგში ურთიერთობა კვლავ გაგრძელდა. ამის მაგალითად ერაცელი სტუდენტების ამერიკულ სამხედრო სასწავლებლებში ყოფნა ან ფინანსური დახმარების გაგრძელებაც საკმარისია.

1961 წელს რეგიონი საკმაოდ დიდ განხეთქილებას გადარჩა, რაც ქუვეითის დამოუკიდებლობის აღიარებით იყო გამოწვეული. გაუქმდა გაერთიანებულ სამეფოსა და ქუვეითს შორის 1899 წელს დადებული ხელშეკრულება, რომლის თანახმადაც ქუვეითი საპროტექტორო ქვეყანა იყო. აღნიშნულმა ფაქტმა ქასიმის ხელისუფლებას დიდძალი ქუვეითური რესურსებისა და ტერიტორიის შემოერთების მადა აღუძრა. ხოლო ოფიციალური დასაბუთებად ის ითქვა, რომ ქუვეითი ისტორიულად ერაყის შემადგენელი ნაწილი იყო (დაახლოებით 30 წლის შემდეგ, ზუსტად იგივეს იტყვის სადამ ჰუსეინიც,

რომელსაც ქუვეითთან მიმართებით ქასიმის მსგავსი სურვილები ამოძრავებდა). ვითარება იმ დონემდე დაიძაბა, რომ ქუვეითის ემირის მოთხოვნით, ქვეყანაში ბრიტანელი სამხედროები შევიდნენ, ვინაიდან ერაყიდან საფრთხე მნიშვნელოვნად გაზრდილი იყო.

საბოლოო ჯამში, ამერიკის შეერთებული შტატებისა და არაბული ქვეყნების ლიგის აქტიურობით, დაპირისპირებას სამხედრო ხასიათი არ მიეცა და მშვიდობიანად გადაწყდა. ურთიერთობაში მნიშვნელოვანი ბზარი მას შემდეგ გაჩნდა, რაც შეერთებულმა შტატებმა ქუვეითის ელჩი ოფიციალურად მიიღო, საპასუხოდ კი ახლად გათავისუფლებულ ქვეყანაში საკუთარი წარმომადგენლობა გაგზავნა. ამ ფაქტის საპასუხოდ, ერაყის ხელისუფლებამ აშშ-ს წარმომადგენლობას ქვეყანა დაატოვებინეს, ხოლო ვაშინგტონიდან საკუთარი ელჩი უკან გამოიწვია.

1958 წლის გადატრიალებას ერაყისთვის სტაბილურობა არ მოუტანია. ამის პირველი ნიშანი 1963 წლის რევოლუცია იყო, რასაც მოქმედი ხელისუფლების ჩამოგდება და აბდ ალ-ქარიმ ქასიმის სიკვდილი მოყვა. ქასიმის მიერ ქვეყნის უპრეცედენტო იზოლაციის გამო, აღნიშნულ ცვლილებას - აშშ, სსრკ და გამალ აბდელ ნასერი, ანუ ყველა მეტოქე კმაყოფილი შეხვდა. აშშ-მ მცირედი სამხედრო დახმარებაც კი გაუწია ახალ ხელისუფლებას და უფრო დიდი დოზით ხელის გაწვდენას მას შემდეგ აპირებდა, რაც უფრო ნათელი გახდებოდა, რომ ერაყის ახალი ხელისუფლება საბჭოთა კავშირთან ძველ ურთიერთობებს სრულად გაწყვიტავდა. სულ მალე დიპლომატიური ურთიერთობა ქვეყნებს შორის კვლავ აღდგა. საწყის ეტაპზე დადებითი იმპულსების ჩვენების მიუხედავად, საქმე საპირისპიროდ წავიდა. ერაყი შიდა ქაოსმა და არასტაბილურობამ მოიცვა. პოლიტიკური არასტაბილურობა მუდმივად ტოვებდა სივრცეს ახალი გადატრიალებისთვის.

კარდინალური ცვლილებები 1967 წლის ექვს დღიანი ომს მოყვა. ერაყმა დიპლომატიური ურთიერთობა ხელახლა გაწყვიტა, რაც აშშ-ს მიერ ისრაელისთვის სავარაუდო დახმარებით იყო გამოწვეული. ამის შემდეგ, ამერიკის შეერთებულ შტატებს ბალდადში ოფიციალური წარმომადგენლობა 1972 წლამდე აღარ ყოლია, ხოლო შუამავალი ქვეყნის როლს ბელგია ასრულებდა. ისრაელსა და არაბულ ქვეყნებს შორის მომხდარი ომის შედეგი იყო ის, რომ

ამერიკის შეერთებული შტატები არამხოლოდ ერაყში, არამედ არაბული სამყაროს უდიდეს ნაწილში დაიგმო და დამნაშავის სტატუსი მიენიჭა.

1968 წელს ქვეყანაში კიდევ ერთი სამხედრო გადატრიალება მოხდა, რასაც მალევე მოყვა ერაყელი ებრაელების წინააღმდეგ მიმართული ეგზეკუციები, აშშ-ს ყოფილი საელჩოს ქონების მითვისება და ყველაზე მთავარი - საბჭოთა კავშირთან მეგობრობისა და თანამშრომლობის შესახებ ხელშეკრულების გაფორმება, რომლის სამოქმედო ვადაც 50 წლით განისაზღვრა და „საჩუქრად“ სსრკ-გან 140 მილიონი დოლარის ფინანსურ დახმარებას მოიცავდა. ერაყის მთავრობა უფრო შორსაც წავიდა და 1972 წელს, ამერიკული კომპანიების მფლობელობაში არსებული სანავთობო კორპორაცია “Iraq Petroleum Company”-ის ნაციონალიზაცია მოახდინა. ამ სფეროშიც ერაყელების მთავარი პარტნიორი საბჭოთა კავშირი გახდა. აქვე ხაზგასასმელია, რომ ამ პროცესების პარალელურად, ახალი ხელისუფლების პირობებში სულ უფრო მეტად გავლენიანი ხდებოდა ახალგაზრდა პოლიტიკოსი - სადამ ჰუსეინი, რომელიც ამ დროს მხოლოდ 31 წლის იყო.

აღნიშნული მოვლენების პასუხად, მალევე აშშ-მ ახალი პოლიტიკის გატარება დაიწყო. დღის წესრიგში ქურთების მხარდაჭერა დადგა. ქურთების ხელმძღვანელები აშშ-ს მხარდაჭერას 1963 წლიდან თხოვდნენ, თუმცა თითქმის უშედეგოდ. დახმარება საჭმელსა და სხვადასხვა ჰუმანიტარული საშუალებების მიწოდებაში გამოიხატებოდა. 1972 წელს ვითარება შეიცვალა და ამერიკელებმა ქურთებს ჯამურად 5 მილიონი დოლარის სამხედრო და ფინანსური მხარდაჭერა გაუწიეს. დახმარების გაწევა 1975 წლამდე გაგრძელდა, თუმცა რაიმე ხელშესახები შედეგები არ მოყოლია. მეტიც, ამერიკის შეერთებული შტატები ამ ფაქტით უფრო მეტად იწვევდა ბაღდადის გაღიზიანებას.

1978 წლის მდგომარეობით, ამერიკის შეერთებულ შტატებსა და ერაყს შორის პოლიტიკურად საკმაოდ სუსტი კავშირები გააჩნდა. ბაღდადში არსებულ ბელგიის საელჩოში აშშ-ს სექცია ფუნქციონირებდა, რომელსაც დაბალი რანგის ურთიერთობებს ფარავდა. ამერიკის ხელისუფლებას დაბლოკილი ქონდა იყო ნებისმიერი სახის სამხედრო

ვაჭრობა ან ფინანსური დახმარება. დამოკიდებულების შემცირების მიუხედავად, ერაყი ბევრად უფრო ახლოს იყო სსრკ-თან, ვიდრე მათ მთავარ მეტოქესთან.

განსხვავებული მდგომარეობა იყო ეკონომიკური თანამშრომლობის მხრივ. ნავთობ კომპანიების ნაციონალიზაციის მიუხედავად, ერაყსა და ამერიკას შორის სავაჭრო ურთიერთობები მნიშვნელოვნად გაღრმავდა. 1972 წელს, ქვეყნებს შორის სავაჭრო ბრუნვა 20 მილიონ დოლარს შეადგენდა, ხოლო 1976 წელს, ეს მაჩვენებელი 500 მილიონ დოლარამდე იყო გაზრდილი.

80-იან წლებში არსებული ურთიერთობები: 70-იანი წლების მიწურულს რეგიონში მნიშვნელოვანი ცვლილებები მოხდა. ისრაელსა და ეგვიპტეს შორის მშვიდობის დამყარების გარდა, აღსანიშნავ მოვლენას წარმოადგენდა ის ფაქტი, რომ 1979 წელს ერაყის პრეზიდენტი სადამ ჰუსეინი გახდა. ფორმალური გარემოებების მიღმა, იგი პრეზიდენტობამდეც ერაყის ყველაზე გავლენიან პოლიტიკოსად მიიჩნეოდა. ჰუსეინმა სწრაფი მოქმედება გადაწყვიტა, რაც შემდეგ ნაბიჯებში გამოიხატა: 1) ყველა პოტენციური შიდა მეტოქე გაანადგურა; 2) ერაყში პოლიტიკური სტაბილურობის დამყარებას შეუდგა; 3) ისრაელის წინააღმდეგ მკაფიო და ხისტი ნაბიჯების გადადგმა დაიწყო, რაც სირიასთან ალიანსის გაბმასა და ბაღდადში არაბული ქვეყნების სამიტის მოწყობაში გამოიხატა. აღნიშნული შეხვედრების დროს, ჰუსეინმა ანვარ სადათს მოლაპატე და გამყიდველი უწოდა. აქვე აღსანიშნავია, რომ სადამის პოლიტიკური იმიჯი იმ პერიოდში სეკულარიზმს ეფუძებოდა, რაც აითოლა ხომეინისა და ირანში დატრიალებული მოვლენებიდან გამომდინარე, მასზე დადებითად მოქმედებდა.

1980 წელს რეგიონში კიდევ ერთი მნიშვნელოვანი რყევა მოხდა. ერაყის სამხედრო ნაწილებმა იერიში ირანის ისლამურ რესპუბლიკაზე მიიტანეს. სადამ ჰუსეინის ეს გადაწყვეტილება ორ ძირითადი მიზეზით აიხსნება: 1) ირანის ახალი შიიტური ხელისუფლება, რომელიც რადიკალური პოლიტიკური მისწრაფებებით ხასიათდებოდა, მომდინარეობდა საფრთხე, რომ ერაყში მცხოვრები შიიტები მოქმედი ხელისუფლების წინააღმდეგ აემხედრებინა. ამავდროულად, გასათვალისწინებელია ის მოვლენაც, რომ

ირანის რევოლუციამდე ერთი წლით ადრე, სადამ ჰუსეინმა ქვეყნიდან რუჰოლა ხომეინი გააძავა; 2) სურვილის. რომ კიდევ უფრო მეტად გამყარებულიყო და გაზრდილიყო სადამ ჰუსეინის რეპუტაცია არაბეთის სუნიტურ ნაწილში. ომის დაწყების პირველ წლებში უპირატესობა ირანის მხარეს იყო, თუმცა საბოლოო გამარჯვება ძალიან შორს ჩანდა. მოგვიანებით, აღნიშნული სიტუაცია სტაგნაციაში გადაიზარდა, რაც ორივე მხარისთვის დამანგრეველი შედეგების მომტანი ხდებოდა.

ვითარება მთლიანად ამოტრიალდა ამერიკის შეერთებული შტატებისთვის. 1979 წლამდე, რეგიონში აშშ-ს მთავარი პარტიონრი ირანი იყო, თუმცა ისლამური რევოლუციის წარმატებით დასრულებამ, ქვეყნებს შორის ძალიან ღრმა დაპირისპირება გამოიწვია. პარალელურ რეჟიმში, ერაყის მიმართ დამოკიდებულება ნელ-ნელა დადებითისკენ იცვლებოდა. 1982 წლის მდგომარეობით, ომში ირანის საწყისი უპიტარესობა გახდა იმის მიზეზი, რომ აშშ-ს ერაყთან ურთიერთობების დათბობა დაეწყო. ამის მიზეზად ის საფრთხეები მიიჩნევა, რაც ირანის გამარჯვების შემთხვევაში, რევოლუციური მუხტის გავრცელებაში, რეგიონში სტაბილურობის მოშლით და ნავთობის მოპოვება-მიწოდების შეზღუდვით შეიძლება დამდგარიყო.

აშშ-მ ერაყი ტერორიზმის მხარდამჭერი ქვეყნების სიიდან ამოიღო, რამაც ფინანსური და შემდგომში სამხედრო კომპონენტების მქონე მხარდაჭერის საშუალება მისცა. მოგვიანებით, თანამშრომლობა სადაზვერვო სამსახურებს შორის შედგა, სადაც მათ ინფორმაციები გაცვალებს. ცვლილებები დიპლომატიურ ურთიერთობებსაც შეეხო, რაც 1983 წელს ბაღდათში სადამ ჰუსეინისა და დონალდ რამსფელდის (იმ პერიოდში ახლო აღმოსავლეთში აშშ-ს პრეზიდენტის წარმომადგენელი იყო) შეხვედრით დაგვირგვინდა. თავისუფლად შეიძლება თქმა, რომ აღნიშნულ ვითარებაში რონალდ რეიგანის ადმინისტრაციის სიმპათია ერაყის მიმართ აშკარა იყო.

ხაზგასასმელია ის ფაქტიც, რომ თავდაპირველი უკმაყოფილების გარდა, ვაშინგტონის მხრიდან ერაყის მიერ ქიმიური იარაღის გამოყენებას მკაცრი რეაქცია არ მოყოლია. შეიძლება ითქვას, რომ აშშ-მ ამ ფაქტზე თვალი დახუჭა, რაც ომის მიმდინარეობით და

ირანის შესაძლო გამარჯვების შიშით იყო გამოწვეული. აღნიშნულმა ომმა, ერაყისა და აშშ-ს ურთიერთობების განვითარებაში კატალიზატორის როლი შეასრულა. 1986 წელს ცნობილი გახდა, რომ ამერიკის შეერთებული შტატები, მესამე ქვეყნის დახმარებით ირანს სამხედრო ტექნიკის შეძენის საშუალებას აძლევდა. ერაყელების მკაცრი რეაქციის მიუხედავად, ვერც ამ ფაქტმა შეაჩერა ქვეყნებს შორის არსებული ურთიერთობების დათბობის დინამიკა. მეტიც, აშშ-მ საპასუხოდ საზღვაო ძალების მობილიზაცია მოახდინა და ერაყული საზღვაო საშუალებები დაიცვა.

1988 წელს საბოლოოდ დასრულდა ერაყისა და ირანის 8 წლიანი ომი, რომელმაც ორივე ქვეყანას კატასტროფული ზიანი მიაყენა. ამავე წელს, სადამ ჰუსეინმა კიდევ ერთხელ გამოიყენა ქიმიური იარაღი ქურდების წინააღმდეგ, რასაც წინა შემთხვევისგან განსხვავებით უფრო მკაცრი რეაქცია მიეცა. აშშ-ს ხელისუფლების წევრები ერაყის ქურთების ლიდერს შეხვდნენ და ქიმიური იარაღის გამოყენების გამო, ოფიციალური ბალდადი მწვავედ გააკრიტიკეს.

უშედეგო და დამანგრეველი ომის შემდეგ, ამერიკა მზად იყო ერაყისთვის ეკონომიკური და სამხედრო დახმარება გაეწია, თუმცა სანაცვლოდ „ზომიერი“ პოლიტიკის გატარება იყო საჭირო, რაც მაგალითისთვის ქურდისტანში ადამიანის უფლებების მინიმალური სტანდარტის დაცვას მოითხოვდა. თუმცა, ასე არ ფიქრობდა სადამ ჰუსეინი, რამაც შემდგომში ქვეყნებს შორის არსებული ურთიერთობის ჩიხში შეყვანა გამოიწვია.

1989-2003 წლებში არსებული ურთიერთობები: სპარსეთის ყურის ომიდან - ერაყის გათავისუფლების ოპერაციამდე: ირანთან ომის დასრულების შემდეგ, ერაყის ეკონომიკას ძალიან დიდი ზარალი მიადგა. ამ პრობლემას ისიც ემატებოდა, რომ ერაყს სხვადასხვა ქვეყნების მიმართ, არაერთი ათეული მილიარდი დოლარის რაოდენობის ვალი დაუგროვდა. ეკონომიკაში არსებული ძალიან დიდი ჩავრდნის გარდა, სახეზე ახალი პოლიტიკური სახის კრიზისი მწვავედებოდა. აშშ-ს ადმინისტრაციის მხრიდან ადამიანის უფლებების დარღვევაზე მითითებას სადამ ჰუსეინი საკუთარ ხელისუფლებაზე თავდასხმად აღიქვავდა, რასაც საჯაროდ არაერთხელ გამოეხმაურა და ამერიკასთან ერთად, მტრის

ხატად დიდი ბრიტანეთი და ისრაელი დაასახელა. კრახით დასრულდა ჰუსეინის მოთხოვნა ნავთობის მწარმოებელი ქვეყნების მიმართ, შეემცირებინათ წარმოება, რითიც ნავთობზე ფასების გაზრდა მოხდებოდა და ამ გზით ერაყი საკუთარი ვალდებულებების გასტუმრებას მოახერხებდა. აღნიშნული მიმართვის მთავარი ადრესატი, პირველ რიგში სწორად ქუვეითის ხელისუფლება იყო.

ჯორჯ ბუშის ადმინისტრაცია, დამაბულობის ახალი ტალღის მიუხედავად, მკვეთრი ნაბიჯების გადადგმას არ ჩქარობდა და თანამშრომლობისთვის სივრცეს კვლავინდებურად ტოვებდა. აღნიშნული მიდგომა იმაშიც გამოიხატა, რომ 1990 წლის აპრილში, შეერთებული შტატების წარმომადგენლობამ ერაყზე სანქციების დაწესებაზე უარი განაცხადა.

თანამშრომლობის კუთხით მცირედი ოპტიმიზმის არსებობის მიუხედავად, ქუვეითის მდიდარი რესურსები და ირანთან ომის შემდეგ შელახული ეკონომიკისა და რეპუტაციის აღდგენა, სადამ ჰუსეინის დღის წესრიგში პირველ ნომრად მოგვევლინა. 1990 წლის მდგომარეობით, ქუვეითი 68 მილიარდი ბარელის ნავთობს ფლობდა, რაც დაახლოებით ორჯერ აღემატებოდა ერაყის იმ პერიოდის ნავთობ რესურსებს. ქუვეითის ინტერვენციის შემთხვევაში, სადამის ხელში მსოფლიო სანავთობო რეზერვების თითქმის მეხუთედი მოიყრიდა თავს, რაც ერაყს ეკონომიკური კრიზისის დაძლევისათან ერთად, რეგიონში პოზიციებს მნიშვნელოვანად გაუძლიერებდა. თითქმის ყველა გარემოება მუთითებდა, რომ სადამ ჰუსეინის სამხედროების ქუვეითში შესვლა აუცილებლად მოხდებოდა.

1990 წლის 1 აგვისტოს, ერაყისა და ქუვეითის წარმომადგენლები საუდის არაბეთში შეხვდნენ, თუმცა მოლაპარაკებები უშედეგოდ დასრულდა. მომდევნო დღეს, ერაყულმა ძალებმა გადაკვეთეს ქუვეითის საზღვარი და სამხედრო ოპერაცია დაიწყეს. ოფიციალურ განცხადებაში ნათქვამია, რომ აღნიშნულის მიზეზი ამერიკის შეერთებული შტატებისა და ქუვეითის ერთობლივი მოქმედება იყო, რომელიც ერაყში მთავრობის დამხობით უნდა დასრულებულიყო (ჰუსეინი, 1990).

ერაყულ სამხედრო შენაერთებს სერიოზული წინააღობები არ შეხვედრიათ და მათ მალევე მოახერხეს ქუვეითის ხელში ჩაგდება, რამაც დასავლეთი და პირველ რიგში ამერიკის

შეერთებული შტატები სერიოზული დილემის წინაშე დააყენა. უკანონო ინტერვენციის გარდა, ჩნდებოდა იმის რისკი, რომ ერაყის ეკონომიკური პოტენციალი ძალიან სწრაფად და მნიშვნელოვნად გაიზრდებოდა, რაც რეგიონში არსებული ბალანს კარდინალურად შეცვლიდა. სადამ ჰუსეინის ხელში ქუვეითის დატოვების შემთხვევაში, ახლო აღმოსავლეთის პოლიტიკური მოზაიკა ბევრად უფრო მსხვრევადი და არასტაბილური შეიძლება გამხდარიყო.

ამერიკის შეერთებულ შტატებში მიიჩნიეს, რომ პასუხის გაცემა მყისიერად უნდა მომხდარიყო. თავდაპირველად, ჯორჯ ბუშის ადმინისტრაციამ ერაყს სანქციები დაუწესა და საუდის არაბეთში სამხედრო ნაწილები გაგზავნა. მოგვიანებით, აშშ-ს თაოსნობით ჩამოყალიბებულმა საერთაშორისო კოალიციამ, სადამ ჰუსეინს ქუვეითის დატოვება მოთხოვა, რისთვისაც ბოლო ვადა 1991 წლის 15 იანვარი იყო (UNSCR 768, 1990). ერაყი ქუვეითის დათმობას არ აპირებდა, რასაც 12 იანვარს ბაღდადში ამერიკის საელჩოს დახურვა მოყვა, ხოლო რამდენიმე დღეში, კოალიციურმა გაერთიანებამ გაეროს მიერ ავტორიზებული სამხედრო მოქმედება დაიწყო.

გაეროს ფარგლებში შექმნილმა კოალიციის სამხედრო შენაერთებმა ერაყელების დამარცხება მალევე მოახერხეს. შეტაკების დროს, ჰუსეინის ძალებმა ქუვეითის სანავთობო ინფრასტრუქტურის ნაწილი გაანადგურა და რაკეტები საუდის არაბეთისკენ და ისრაელისკენ მიმართა, თუმცა უფრო შორს ვეღარ წავიდა.

1991 წლის 17 იანვარს დაწყებული „Desert Storm“-ის ოპერაცია, დაახლოებით ერთ თვეში, ერაყული ძალების ქვეყნიდან გაძევებითა და ცეცხლის შეწყვეტის შეთანხმებით დასრულდა. სადამ ჰუსეინმა მორიგი დამარცხება იწვნია, რამაც ერაყი მძიმე ეკონომიკურ და პოლიტიკურ სიტუაციაში ჩააგდო.

ქუვეითის გათავისუფლებას შემდეგ, ამერიკის შეერთებულმა შტატებმა სადამ ჰუსეინის სრული დემონტაჟი და ერაყში შესვლა არ მოისურვა, მათ ნაკლებად ხისტი პოლიტიკის გატარება განიზრახეს.

დღის წესრიგში დადგა ერაყის მასობრივი განადგურების იარაღის პროგრამების (WMD) საკითხიც. გაეროში მიღებული რეზოლუციის თანახმად, უნდა მომხდარიყო ერაყის ქიმიური, ბიოლოგიური და ბირთვული იარაღის განადგურება და ასევე ინსპექტირება, რათა შემოწმების შედეგად აღნიშნული მართლაც დადასტურებულიყო. ვალდებულების მიუხედავად, ერაყულმა მხარემ უარი განაცხადა მასობრივი გადგურების იარაღის (WMD) პროგრამის შეწყვეტაზე ინფრომაციის მიწოდებასა და ადგილზე სპეციალური ინსპექტორების დაშვებაზე. საპასუხოდ, გაერომ ერაყზე სანქციების დაწესება კვლავ განაგრძო. იქამდე, სანამ სადამ ჰუსეინი არ დაემორჩლებოდა გაეროს რეზოლუციებით არსებულ ვალდებულებებს, ერაყი მკაცრი სანქციების რეჟიმში იქნებოდა.

როგორც უკვე აღნიშნეთ, აშშ-ს იმდროინდელმა ადმინისტრაციამ სამხედრო ოპერაციის გაგრძელების ნაცვლად, სადამ ჰუსეინის მთავრობის მოშორება სხვა გზებით ცადა. ქუვეითის გათავისუფლების ოპერაციიდან მოკლე დროში, ჯორჯ ბუშმა ერაყელებს სადამ ჰუსეინის წინააღმდეგ მოქმედებისკენ მოუწოდა (Bush,1991). მართლაც, აღნიშნული გზავნილი განასაკუთრებით მკაფიოდ ერაყის ჩრდილოეთსა და სამხრეთ ნაწილში გაიგეს, რასაც მასობრივი პროტესტი და აჯანყებების მცდელობები მოყვა. ქურთებისა და შიიტი მოსახლეობის პროტესტს მალევე მოყვა ოფიციალური ბაღდათის პასუხი, რაც პროტესტის ძალადობრივი და სისხლიანი გზით ჩახშობაში გამოიხატა.

საპროტესტო მუხტით განწყობილი მოსახლეობის წინააღმდეგ რეპრესიების მანქანა ამოქმედდა. სადამ ჰუსეინის მიერ გამოყენებულ მკაცრ მეთოდებს გაეროს უშიშროების საბჭოს ახალი რეზოლუცია (UNSCR 688,1991) მოყვა, რომელის თანახმადაც ერაყის ხელისუფლებას რეპრესიების შეწყვეტა და ჰუმანიტარული ორგანიზაციების დაშვება დაევალა. შეერთებულმა შტატები მხოლოდ გაეროს რეზოლუციით მიღებული მოთხოვნებით არ შემოიფარგლა და ავიაციის ჩართულობით, ქურთების დაცვა გადაწყვიტა. აღნიშნულ წამოწყებას მალევე შეუერთდნენ მოკავშირეები, რამაც ერაყში არასაფრენი ზონების (Non fly zone) შექმნა გამოიწვია. პარალელურად, ადგილზე მოქმედება დაიწყო სხვადასხვა საერთაშორისო და არასამთავრობო ორგანიზაციებმა - ყველაზე მსვილი კონტრიბუტორი USAID-ი იყო.

1993-1996 წლებში მდგომარეობა კიდევ რამდენიმეჯერ დაიძაბა. იმ პერიოდში აშშ-ს უკვე ყოფილი პრეზიდენტი ჯორჯ ბუში ქუვეითში ვიზიტით იმყოფებოდა, რასაც ერაყული დაზვერვის ინფრასტრუქტურებზე იერიშის მიტანა მოყვა. ოფიციალური განმარტებით, მიზეზი ბუშის ლიკვიდაციის მცდელობა იყო.

1994 წელს, ერაყსა და ქუვეითს შორის სამხედრო დაპირისპირების განახლების საფრთხე ხელახლა წარმოიშვა, რაც საზღვარზე 80 000 ერაყელი სამხედროს მობილიზებით იყო გამოწვეული. სადამ ჰუსეინმა ამ გზით გაეროზე ზემოქმედების მოხდენა და სანქციების გაუქმებას შეეცადა. საპასუხოდ, აშშ-მ საკუთარი სამხედრო რესურსების მობილიზება დაიწყო, რასაც მოგვიანებით ერაყელი სამხედროების უკან დაბრუნება მოყვა. 1996 წელს, ერაყის ჯარებმა კიდევ ერთი მანევრი გაახორციელეს და ერაყის ქურთისტანის დედაქალაქ ერბილში შევიდნენ, რასაც შეერთებული შტატების მხრიდან კვლავინდებურად საჰაერო და საზღვაო ძალების მობილიზება მოყვა, რის შედეგადაც ჯამში 6 ათასზე მეტი ქურთის ევაკუაცია განხორციელდა.

პერიოდული სამხედრო მანევრირებების გარდა, მასობრივი განადგურების იარაღის ირგვლივ არსებული პროცესები უფრო ბუნდოვანი და მწვავე დაპირისპირების საკითხი ხდება. ერაყის ხელისუფლება კვლავინდებურად უარს აცხადებს თანამშრომლობაზე და გაეროს რეზოლუციებს არ ემორჩილება.

1998 წელს, სადამ ჰუსეინის ხელისუფლებამ უარი განაცხადა საერთაშორისო ინსპექტორების ქვეყანაში მიღებაზე, რასაც აშშ-ს და გაერთიანებული სამეფოს მიერ ჩატარებული საერთო სამხედრო ოპერაცია „Desert Fox“ მოყვა პასუხად. 4 დღიანი მოქმედებების ფარგლებში, საჰაერო ძალებმა იერიში მასობრივი განადგურების იარაღის პროგრამის ინფრასტრუქტურასა და სადამ ჰუსეინის რეზიდენციებზე მიიტანეს. მასიური დაბომბვების მიზანს, კონკრეტული ობიექტების განადგურების გარდა, სადამ ჰუსეინის „ქკუაზე მოყვანა“ და მასზე წნეხის გაძლიერება წარმოადგენდა.

როგორც უკვე ავღნიშნე, სპარსეთის ყურის ომის შემდეგ, გაეროს მხრიდან მასობრივი განადგურების იარაღის პროგრამაზე მოხდა ფოკუსირება. 1998 წლის მდგომარეობით,

სიტუაცია ბუნდოვანი და გაურკვეველი იყო, რაც შემდეგი მიზეზებით იყო გამოწვეული: 1) 1991 წლიდან მოყოლებული, ერაყმა პროგრამის შესახებ რამდენიმე ანგარიში გახადა ხელმისაწვდომი, თუმცა არცერთი მათგანი არ იყო სრულყოფილი და შესაბამისად, რეალური მონაცემების შეგროვება ვერ მოხდა. 2) ამავე წელს, ქვეყნის ხელისუფლებამ პირველად დაადასტურა, რომ ბილოგიური იარაღის პროგრამა მართლაც გააჩნდათ, რაც მხოლოდ თავდაცვითი ხასიათის იყო. 3) 1995 წლის მდგომარეობით, სიტუაცია მნიშვნელოვნად შეიცვალა. ერაყის ხელისუფლების წარმომადგენლებმა დაადასტურეს, რომ მათი პროგრამა თავდაცვითი ხასიათის არ იყო, როგორც ამას იუწყებოდნენ.

ამავდროულად, პროგრამის ფარგლებში მიმდინარეობდა აქტიური „შეიარღების“ (weaponization) პროცესი, რაც აქამდე არსებულ ჩვენებებთან წინააღმდეგობა მოდის. სულ უფრო და უფრო მეტად სარწმუნო გახდა მოსაზრებები, რომ ერაყის ხელისუფლება ინფრომაციას მალავდა და განზრახ არასრულად აწვდიდა გაეროს სპეციალურ წარმომადგენლობას, რაც რეალური სურათის დანახვას ხელს უშლიდა. ეჭვები იმის შესახებ, რომ სადამ ჰუსეინი ბირთვული იარაღის პროგრამას აშენებდა. მიიჩნეოდა, რომ ერაყი არ იყო სინამდვილეში განიარაღებული, რაც თავისტკივილს პრობლემას წარმოადგენდა.

ერაყის ხელისუფლებაზე წნეხი ყველა მხრიდან გაძლიერდა. ეკონომიკური სანქციების გარდა, ამერიკის შეერთებული შტატების კონგრესმა „ერაყის განთავისუფლების აქტი“ მიიღო, რომელის მთავარი მესიჯიც სადამ ჰუსეინის ხელისუფლებიდან მოცილების მხარდაჭერას გულისხმობდა. რეზოლუციის თანახმად, 1990-1998 წლებში ერაყმა საერთაშორისო სამართლის არაერთი ნორმა დაარღვია, სპარსეთის ყურის ომის შემდეგ არსებული შეთანხმებით დაკისრებული ვალდებულებები არ შეასრულა და გაეროს უშიშროების საბჭოს რეზოლუციები არ გაითვალისწინა. დასახელებული მიზეზების გამო, ამერიკის შეერთებული შტატების ხელისუფლებას ერაყში დემოკრატიული მოძრაობების მხარდაჭერა და არსებული რეჟიმის ჩანაცვლებისკენ მიმართული ნაბიჯების გადადგმა (რაც სხვადასხვა ჯგუფების დახმარებაში გამოიხატებოდა) დაეკისრა.

2001 წლის 11 სექტემბრამდე, ურთიერთობა ასეთ დაძაბულ გარემოებებში მიმდინარეობდა. მომხდარმა ტერაქტმა, აშშ-ერაყს შორის არსებული მძიმე ვითარების ესკალაცია კიდევ უფრო მწვავედ მოახდინა და სწრაფად მოახდინა.

ასეთ დაძაბულ ვითარებაში გრძელდებოდა ურთიერთობები 2001 წლის 11 სექტემბრამდე. აღნიშნული თარიღის შემდეგ, მდგომარეობის ესკალაცია ძალიან სწრაფად მოხდა. ამერიკის შეერთებული შტატები კიდევ უფრო აგრესიული გახდა. პრეზიდენტმა ჯორჯ ბუშმა, ერაყი იმ ქვეყნების რიგში მოიხსენია, რომლებიც მსოფლიო მშვიდობას საფრთხეს უქმნის (Bush, 2002).

2002 წლის ოქტომბერში, ამერიკის შეერთებული შტატების კონგრესმა ჯორჯ ბუშის ადმინისტრაციას დართო ერაყში სამხედრო ძალის გამოყენების უფლება იმ შემთხვევაში, თუკი აშშ-ს ეროვნულ უსაფრთხოებას ერაყიდან მომდინარე საფრთხე დაემუქრებოდა. სადამ ჰუსეინისადმი გაფრთხილებებისა და „ბოლო შანსის“ მიცემის მიუხედავად, ომის თავიდან აცილება უკვე გარდაუვალი ჩანდა. ომის ჩარხი უკვე დატრიალებული იყო, დიპლომატიური გზით საკითხის მოგვარების უკანასკნელი იმედების გადაწურვის შემდეგ, ჯორჯ ბუშმა კონგრესისგან მინიჭებული ავტორიზაციის გამოყენება დაიწყო, რასაც 2003 წლის 19 მარტი ერაყის გათავისუფლების ოპერაციის დაწყება მოყვა.

ლიტერატურის მიმოხილვა

ნაშრომის ეს ნაწილი ერაყის ომთან დაკავშირებული ძირითადი ლიტერატურის მიმოხილვას დაეთმობა. გადავწყვიტე, რომ ფოკუსირება იმ პერიოდის უმაღლესი რანგის სახელმწიფო პირების ჩანაწერებსა და ავტობიოგრაფიებზე მომეხდინა, ვინაიდან პირველწყაროდან მომეცეს სიღრმისეულად ინფორმაციის გაცნობის საშუალება.

გასაკვირი არ იქნება თუკი დავწერ, რომ საკუთარი სტატუსიდან გამომდინარე, ამ მხრივ ყურადღების ცენტრში ჯორჯ ბუში უმცროსია. სწორად ამიტომ, მიმოხილვას მისი წიგნით დავიწყებ. ჯორჯ ბუშმა ერაყის კამპანიის განხილვას ცალკე თავი დაუთმო საკუთარ ავტობიოგრაფიულ ნაშრომში-„Decision Points“. მან ბაღდადში შესვლის გადაწყვეტილება რამდენიმე მიზეზით ახსნა. ეროვნული უშიშროების პერსპექტივიდან დანახული კონკრეტული გამოწვევების გარდა, იგი ყურადღებას სადამ ჰუსეინის პიროვნებასა და მის პოლიტიკურ ბიოგრაფიას უთმობს.

საკუთარი მოსახლების წინააღმდეგ ქიმიური იარაღის გამოყენება და ქუვეითის დაკავების გარდა, იგი ჰუსეინის პოლიტიკური პორტრეტის უფრო კარგად წარმოსაჩენად, შეერთებული შტატების ავიაციის წინააღმდეგ ერაყელების მხრიდან განხორციელებულ მუდმივ თავდასხმებსა და მამამისის მკვლელობის მცდელობის ფაქტს ასახელებს. აღნიშნულ მოსაზრებებზე დაყრდნობით ჯორჯ ბუში დასაწყისშივე წერს, რომ სადამ ჰუსეინი ამერიკის შეერთებული შტატების მტერი იყო.

ერაყის ომის დაწყებაში უმნიშვნელოვანეს კომპონენტს მასობრივი განადგურების იარაღის საკითხი წარმოადგენს. სადამის მიერ თანამშრომლობასა და ინსპექტირებაზე უარის თქმის გარდა, ჯორჯ ბუში ამ საკითხს ორ მნიშვნელოვან პუნქტად ანაწილებს: 1) 2002 წელს ივლისის მდგომარეობით, მოპოვებული ინფორმაციებიდან დგინდებოდა, რომ სადამ ჰუსეინმა მასობრივი განადგურების იარაღის პროგრამისთვის აუცილებელი ინფრასტრუქტურა გააფართოვა. ცნობებში ასევე აღნიშნული იყო, რომ სადამი მასობრივი განადგურების იარაღის გამოყენებაზეც მზად იყო და პროგრამას მხოლოდ „შემაკავებელი“ მიზნით არ ახორციელებდა ; 2) სადაზვერვო სამსახურები იუწყებოდნენ, რომ ორგანიზაცია

„ალ-ქაიდასთან“ აფილირებული ტერორისტი აბუ მუსაბ ალ ზარქავი, ერაყის ჩრდილოეთ ნაწილში ბიოლოგიური იარაღის ლაბორატორიას ამუშავებდა. ალ ზარქავის ხელში ბიოლოგიური იარაღის არსებობამ, ერაყი კიდევ უფრო სახიფათო და აშშ-ს ეროვნული უსაფრთხოებისთვის სარისკო ქვეყანა გახადა. (Bush, 2011)

ერაყისა და ტერორისტების კავშირი სხვადასხვა კონტექტშიც იყო მნიშვნელოვანი, თუმცა მთავარი დატვირთვა მასობრივი განადგურების იარაღზე ხელმისაწვდომობის შესაძლებლობაზე მოდიოდა. სადაზვერვო სამსახურები იტყობინებოდნენ, რომ აბუ მუსაბ ალ ზარქავი ლაბორატორიული სამუშაოების გარდა, ორი თვის განმავლობაში ბაღდადში იმყოფებოდა - სამედიცინო სერვისის მიღების მიზნით. ასევე ცნობილი გახდა, რომ „ალ-ქაიდას“ ტერორისტების ნაწილი ერაყში გადმოვიდა. ამერიკის ცენტრალური დაზვერვის თხოვნით, მოკავშირე არაბულმა სახელმწიფოების სადაზვერვო სამსახურებმა სადამ ჰუსეინს ალ ზარქავის ექსტრადიცია მოთხოვეს, რაზეც უარი მიიღეს. (Bush, 2011)

ჯორჯ ბუში წერს, რომ ამ პერიოდში უკვე განიხილებოდა ერაყისთვის წერტილოვანი დარტყმების მიყენება, თუმცა რადგანაც დიპლომატიურ ნაწილში რესურსები მთლიანად ათვისებული არ ყოფილა, სამხედრო ხასიათის ნაბიჯების გადადგმაზე თავდაპირველად უარი განაცხადა. მან პოზიცია შემდეგნაირად ჩამოაყილბა: „დიღემის წინაშე ვიდექი. იმ შემთხვევაში, თუკი ერაყი აშშ-ს წინააღმდეგ ბიოლოგიურ იარაღს გამოიყენებდა, უმოქმედობაზე პასუხისმგებლობა მე დამეკისრებოდა. მეორეს მხრივ, ბანაკების დაბომბვა დიპლომატიაზე უარის თქმასა და სამხედრო კონფლიქტის ესკალაციას გამოიწვევდა. გადავწყვიტე, რომ დიპლომატიურ ასპარეზზე გამეგრძელებინა მუშაობა და სადაზვერვო სამსახურებს თვალყურის მიდევნება დავავალე.“ (Bush, 2011)

გასათვალისწინებელია 9/11-ის ტერაქტის ეფექტიც, რამაც მოვლენები მნიშვნელოვნად დაასწრაფა და წარმოდგენები კიდევ უფრო რადიკალური მიმართულებით შეცვალა. ჯორჯ ბუში წერს, რომ ტერაქტების შემდეგ ამერიკის ეროვნული უსაფრთხოება კიდევ უფრო დიდი რისკის ქვეშ დადგა. იმ შემთხვევაში, თუკი ტერორისტები მასობრივი განადგურების იარაღს ხელში ჩაიგდებდნენ, მაშინ ვითარება ბევრად უფრო მძიმე გახდებოდა. (Bush, 2011)

ჯორჯ ბუში ერყის კამპანის განხილვისას არყერთხელ აღნიშნავს, რომ მისი პირველადი სურვილი სამხედრო მოქმედებების დაწყება არ ყოფილა და ცდილობდა, რომ შედეგებისთვის დიპლომატიური ინსტრუმენტების გამოყენებით მიეღწია. იგი თავდაპირველად საერთაშორისო საზოგადოების ყურადღების მიპყრობასა და პარალელურად სამხედრო ნაწილის მობილიზაციას ეწეოდა, რასაც კონკრეტული მიზანი ქონდა. ეს ორპოლუსიანი პოლიტიკა იყო პირდაპირი გზავნილი სადამ ჰუსეინისთვის, რათა დამორჩილებულიყო საერთაშორისო თანამეგობრობის მიერ დადგენილ თამაშის წესებს, ხოლო წინააღმდეგ შემთხვევაში პასუხი მოეთხოვებოდა. სადამ ჰუსეინთან ომის დაწყებამდე არსებულ მდგომარეობას, საკუთარ წიგნში მოგვიანებით ცენტრალური სადაზვერვო სააგენტოს ყოფილი დირექტორი ჯორჯ ტენეტი შემდეგნაირად გამოეხმაურა: „სადამ ჰუსეინი ბოლომდე ვერ აცნობიერებდა, რომ ჩვენ არ ვხუმრობდით“. (Tennet, 2007)

დიპლომატიურ ფლანგზე მუშაობისას, ჯორჯ ბუში 2002 წლის გაეროს რეზოლუციას იხსენებს და ამბობს, რომ აღნიშნული ინიციატივის მიზანი საერთაშორისო საზოგადოებაში ეჭვების გაფანტვა და სადამ ჰუსეინისთვის სრულფასოვანი ანგარიშების წარმოდგენის საშუალების მიცემა იყო. იმ შემთხვევაში, თუკი აღნიშნული პირობის შესრულება არ მოხდებოდა, მაშინ სამხედრო მოქმედებების დაწყება უალტერნატივო გახდებოდა. (Bush, 2001).

ჯორჯ ბუში განმარტავს, რომ სადამ ჰუსეინს მიეცა ყველანაირი საშუალება და გონივრული ვადა იმისთვის, რომ კონსტრუქციული თანამშრომლობის ფორმებს დაბრუნებოდა და სამხედრო ხასიათის იერიში თავიდან აეცილებინა. 1998 წელს მან მთლიანად დაბლოკა ინსპექტირების პროცესი და გაეროს ინსპექტორები ქვეყნიდან გამოყარა. მოგვიანებით, კვლავ არ მოახდინა სრულფასოვნად ანგარიშების წარმოდგენა, ბოლო წერტილი კი შემდეგნაირად დაახასიათა: “ არაბულ სახელმწიფოებთან სადამის ქვეყნიდან გადასახლების საშუალება განვიხილეთ. ომის თავიდან აცილების მიზნით, სადამს და მის შვილებს უკასკნელი 48 საათი მივეცი ქვეყნის დასატოვებლად. დიქტატორმა ამ შესაძლობაზე უარი განაცხადა. ერთადერთი ლოგიკური დასკვნა, რაც აქედან გამომდინარეობდა იყო ის, რომ მას

რაღაც ჰქონდა დასამალი, იმდენად მნიშვნელოვანი რომ ომის დასაწყებადაც მზად იყო.“ (Bush, 2011)

განიარაღების საკითხზე საუბრისას, ჯორჯ ბუში ჰანს ბლიქსის მიერ 2003 წელს მიწოდებულ ინფორმაციას ეყრდნობა და წერს, რომ ერაყის ხელისუფლების არსენალში კვლავ რჩებოდა გაეროს ინსპექტორების მიერ აღუწერელი იარაღი და ხელსაწყოები. აღნიშნული გარემოება კიდევ ერთი ნათელი მაგალითი იყო სადამ ჰუსეინის მხრიდან თანამშრომლობაზე უარის თქმის.

ერაყზე საუბრისას ბუში მთლიანად ახლო აღმოსავლეთში არსებულ პრობლემებსაც მიმოიხილავს. მისი აზრით, რადიკალი ექსტრემისტები ძალადობისა და აგრესიული გზების გამოყენებით საკუთარი ინტერესების გატარებას ცდილობდნენ, რასაც უბრალო ადამიანების ინტერესები ეწირებოდა და მათ უიმედო მდგომარეობაში აგდებდა. ამის ალტერნატივა კი თავისუფლება იყო. ბუშის მოსაზრებით, ადამიანები რომლებიც საკუთარ ლიდერებს საარჩევნო გზით აირჩევდნენ, ძალადობისკენ ნაკლებად გადაიხრებოდნენ. თუკი თავისუფლება საზოგადოებაში ფეხს ერთხელ მოიკიდებდა, იგი გადამდები სახის აღმოჩნდებოდა. ჯორჯ ბუშის პერსპექტივიდან, ერაყის როლი ახლო აღმოსავლეთის მოზაიკაში შესაძლებელია ამ კუთხითაც იყოს დანახული.

შეჯამების სახით შეიძლება ითქვას, რომ ჯორჯ ბუში სადამ ჰუსეინის რეჟიმში ხედავდა ყველა იმ საფრთხის ერთობლიობას, რაც ამერიკის შეერთებულ შტატებს მნიშვნელოვანი რისკის ქვეშ აყენებდა. მასობრივი განდგურების იარაღი, ტერორისტების ხელში ამ იარაღის შესაძლო აღმოჩენა, საერთაშორისო საზოგადოების მოთხოვნებზე დაუმორჩილებლობა და წარსულში ჩადენილი დანაშაულებები იყო ის ძირითადი გარემოებები, რამაც ჯორჯ ბუში 2003 წლის სამხედრო კამპანიის დაწყებამდე მიიყვანა.

ამას ემატება ის გარემოებაც, რომ სადამ ჰუსეინმა ყველა არსებული შესაძლებლობა ამოწურა, რათა ომი თავიდან ყოფილიყო აცილებული. ომის წინა პერიოდში სადამ ჰუსეინის მდგომარეობა შეგვიძლია ბუშის სიტყვებითვე დავახასიათოთ: „ახლო აღმოსავლეთის ერთ-ერთმა მთავრობამ სადამ ჰუსეინს ბელორუსიაში გადასახლება შეთავაზა, ერთი თუ ორი

მილიარდი დოლარით. ამის ნაცვლად, მან ერთ-ერთი დისიდენტისთვის ენის მოჭრა ბრძანა, რასაც ამ ადამიანის სიკვდილი მოყვა. ერაყის დიქტატორმა საკუთარი გადაწყვეტილება მიიღო. მან ომი აირჩია“ (Bush, 2011)

ერაყის 2003 წლის ომზე საუბრისას ჯორჯ ბუშისა და სადამ ჰუსეინის შემდეგ, ალბათ ყველაზე ხშირად რიჩარდ ჩეინს - ამერიკის შეერთებული შტატების ყოფილ ვიცე-პრეზიდენტს ახსენებენ. მისი თანამდებობიდან და ჩართულობიდან გამომდინარე, იგი ერაყის სამხედრო ოპერაციის დაწყების ერთ-ერთ მთავარ ინიციატორად მიიჩნევა. „In My Time” - ასე ქვია რობერტ ჩეინის ავტობიოგრაფიულ წიგნს, სადაც ერაყის გათავისუფლების ოპერაციას და გამომწვევ მიზეზებს ის საკმაოდ დიდ ადგილს უთმობს.

რიჩარდ ჩეინი ათვლის წერტილად სპარსეთის ყურის ომის დასრულებასა და მის შემდეგ განვითარებულ მოვლენებს მიიჩნევს. იგი წერს, რომ 1991 წლის მდგომარეობით სადამ ჰუსეინი ბირთვული იარაღის პროგრამის წარმოებაში იმაზე ბევრად უფრო შორს იყო წასული, ვიდრე მათ ეგონათ. პრობლემას წარმოადგენდა ის ფაქტიც, რომ სადამ ჰუსეინი აქტიურად უგულველყოფდა გაეროს მიერ მიღებული რეზოლუციებს. გარდა ამისა, არაეფექტური იყო კიდევ ერთი ინსტრუმენტი - სანქციები, რომლის მხარდაჭერაც საერთაშორისო ასპარაზზე უფრო და უფრო მცირდება. „ ერაყის წინააღმდეგ დაწესებული სანქციებისადმი მხარდაჭერა რომ არ შემცირებულიყო, სიტუაცია მაინც არ შეიცვლებოდა. სადამ ჰუსეინი ბირთვული პროგრამის წარმოებას მაინც გააგრძელებდა“. (Cheney, 2012)

რიჩარდ ჩეინი კლინტონის ადმინისტრაციის პირობებში სადამ ჰუსეინის წინააღმდეგ განხორციელებულ საავიაციო ოპერაცია „Desert Fox“-ს იხსენებს და განმარტავს, რომ ოთხი დღის განმავლობაში საჰაერო ძალების მხრიდან განხორციელებული წერტილოვანი დარტყმების მიუხედავად, სადამ ჰუსეინი გონს ვერ მოეგო. ყოფილ ვიცე პრეზიდენტს ამის დასტურად 1999 წლიდან ერაყის სამხედრო ძალების მიერ არასაფრენ ზონაში აშშ-სა და გაერთიანებული სამეფოს საავიაციო ძალების წინააღმდეგ განხორციელებული თავდასხმები მოყავს. (Cheney, 2012)

არასაფრენ ზონაში განხორციელებული შეტევების პარალელურად, მასობრივი განადგურების იარაღის შექმნაზე ინფორმაციები სულ უფრო და უფრო ხშირი ხდებოდა. „1999 წელს, აშშ-ს სადაზვერვო სამსახურმა დაადგინა, რომ სადამმა ბიოლოგიური იარაღის პროგრამის წარმოება განაახლა“. ასევე მუდმივად არსებობდა ცნობები, რომ სადამ ჰუსეინი აგრძელებდა ისეთი ტექნოლოგიური საშუალებების შექმნას, რომლსაც ბიოლოგიური იარაღის შექმნის რესურსები გააჩნდა. (Cheney, 2012)

ჯორჯ ბუშისა და იმპერიოდის სხვა მაღალჩინოსნების მსაგვსად, მასობრივი განადგურების იარაღის გარდა, რიჩარდ ჩეინი ყურადღებას ერაცის ხელისუფლებისა და ტერორისტების კავშირზე ამახვილებს. გაეროს 1991 წლის რეზოლუციის თანახმად, ერაცს ტერორიზმის მხარდაჭერა ეკრძალებოდა. მათ შორის, დაუშვებელი იყო ტერორისტული ჯგუფების ერაცის ტერიტორიაზე მოქმედებაც. ამ დეკლარაციის მიუხედავად, ჩეინი მიიჩნევს რომ რეალური სურათი განსხვავებული იყო და ერაცის ხელისუფლება პირობებს არ იცავდა. ამის დასტურად იგი წერს, რომ 1993 წელს ერაცის სადაზვერვო სამსახურმა, აშშ-ს ყოფილი პრეზიდენტის ჯორჯ ბუში უფროსის მკვლეობა სცადა, რაც წარუმატებლად დასრულდა. ტერორისტებთან კავშირზე იგი უფრო შორსაც მიდის: „სადამმა დაცული სამოთხე მოუწყო აბდულ რაჰმან იასინს, ერაცელ ასაფეთქებელი საშუალებების მწარმოებელს, რომლის მომარაგებული ასაფეთქებლებითაც მოხდა 1993 წელს მსოფლიო სავაჭრო ცენტრზე პირველი ტერაქტის განხორციელება. სადამმა ასევე თავშესაფარი მიცა პალესტინელ ტერორისტ აბუ აბასს, რომელმაც 1985 წელს საკრუიზო გემი მოიტაცა და მოკლა ამერიკის მოქალაქე.“ (Cheney, 2012)

ომის დაწყების წინა პერიოდში, აშშ-ს ცენტრალური სადაზვერვო სააგენტოში (CIA) არაერთმა ინფორმაცია მოიყარა თავი, სადაც სადამ ჰუსეინის და ტერორისტების კავშირზე იყო განხილული. ჩეინი წერს, რომ სადამ ჰუსეინი 25 ათასს დოლარს აძლევდა პალესტინელი თვითმკვლელი ტერორისტების ნათესავებს. ამავდროულად, სულ უფრო და უფრო მზარდი ხდებოდა პალესტინელი ექსტრემისტების დახმარება. ჯორჯ ბუშის მსგავსად, ჩეინიც აქტიურად აღწერს ალ ზარქავის ერაცში ყოფნის ისტორიის.

იგი წერს, რომ აბუ მუსაბ ალ ზარქავი და ავღანეთიდან გამოპარული ორასამდე ალ ქაიდას მებრძოლი თავს ჩრდილო ერაყს აფარებდნენ, სადაც საწვრთნელი ბანაკი ქონდათ. იგი 2002 წელს იორდანიაში მოკლული ამერიკელი დიპლომატის ლორენს ფოლის ამბავსაც იხსნებს და ამბობს, რომ ამის ფაქტის უკან ალ ზარქავი იდგა. ჩეინი ამ მაგალითების გამოყენებით უფრო მკაფიოდ ცდილობს, რომ სადამ ჰუსეინისა და ტერორისტების კავშირისგან არსებული საფრთხე ნათლად იყოს დანახული.

რიჩარდ ჩეინმა ერაყიდან მომავალი საფრთხეები შემდეგნაირი სახით ჩამოაყალიბა: „ 11 სექტემბრის ტრაგედიის შემდეგ, ვერცერთი ამერიკის პრეზიდენტს ვერ შეძლებდა იმ ინფორმაციების იგნორირებას, სადაც ჰუსეინისგან მომავალი საფრთხეები იყო აღწერილი. ჩვენი სამშობლოს წინააღმდეგ განხორციელებული უპრეცედენტო თავდასხმის გამოცდილება უკვე გვქონდა მიღებული, რის შედეგადაც 3 ათასი ამერიკელი გარდაიცვალა. პრეზიდენტი და მე მოწადინებული ვიყავით, რომ თავიდან აგვეცილებინა მომავალი თავდასხმა, რომელიც ბევრად უფრო დამანგრეველი შეიძლება ყოფილიყო. შემდეგი ტალღა შესაძლებელია ქიმიური, ბიოლოგიური ან ბირთვული იარაღის გამოყენებით ყოფილიყო. 11 სექტემბრის ტერაქტის შემდეგ ჩვენ გადავხედეთ მსოფლიოს და დავადგინეთ, რომ არ არსებობდა იმაზე უფრო დიდი გადაკვეთის წერტილი ტერორიზმსა და მასობრივი განადგურების იარაღს (WMD), როგორც ეს სადამ ჰუსეინის ერაყის შემთხვევაში იყო.“ (Cheney,2012)

ჯორჯ ბუში უმცროსის მსგავსად, რიჩარდ ჩეინიც მიიჩნევს, რომ ომის დაწყება არ იყო ერთადერთი ალტერნატივა. იგი აშშ-ს ხელისუფლების მიერ მომზადებულ გეგმაზე საუბრობს, რომლის მიზანაც ერაყის ოპოზიციური ძალების მხარდაჭერა იყო, თუმცა სხვადასხვა გარემოებების გამო, შედეგი ვერ გამოიღო. (Cheney, 2012)

რიჩარდ ჩეინის შეხედულებების კიდევ უფრო ნათლად დასანახად, საინტერესოა მისი რეაქციის განხილვა Wall Street Journal-ში დაბეჭდილ სტატიაზე, რომლის ავტორიც ყოფილი მაღალჩინოსნის ბრენტ სკოუქროფტი იყო. ამ სტატიის განხილვა პრაქტიკულად

იმ პერიოდის ყველა მაღალი პოლიტიკური ფიგურის ავტობიოგრაფიულ წიგნში მოხვდა, თუმცა განსაკუთრებით დაუნდობლად ჩეინმა გააკეთა ეს საქმე.

სტატიის შინაარსი და პათოსი ომის დაწყების საწინააღმდეგოდ იყო განწყობილი. ამავდროულად, სტატიის ავტორმა მოგვიანებით ჩეინი გააკრიტიკა და აღნიშნა, რომ უფროსი ბუმის ადმინისტრაციაში მუშაობის შემდეგ, იგი მნიშვნელოვნად შეცვლილიყო. საპასუხოდ, რიჩარდ ჩეინმა მკაცრად გააკრიტიკა ბრენტ სკოუპროფტი და მისი თანამოაზრეები, რომლებიც თანამედროვე გამოწვევების ვერ დანახვაში დაადანშაულა. იგი მიიჩნევს, რომ 11 სექტემბრის ტერაქტის შემდეგ სამყარო ახალ რეალობაში აღმოჩნდა, რომელსაც ჯეროვნად გააზრება უნდოდა. „ჩვენ ვიმყოფებოდით ომში ტერორისტი მტრების წინააღმდეგ, რომელთან მოლაპარაკება, შეკავება ან დაკავება შეუძლებელი იქნებოდა და რომელიც არასოდეს დანებდებოდა. ეს არ იყო ის სამყარო, სადაც ზესახელმწიფოებს შორის არსებული დამაბულობა და სამხედრო ძალების კონტროლი შეთანხმებებს ეფუძნებოდა. სამყარო, სადაც ბრენტ სკოუპროფტს ქონდა ნამსახურები.“ (Cheney, 2012)

შეჯამების სახით ჩეინი წერს, რომ არსებული საფრთხეებისა და სადაზვერვო სააგენტოებისგან მიღებული ინფორმაციების საფუძველზე, ეროვნული უსაფრთხოების საბჭოში ყველა თანხმდებოდა სადამ ჰუსეინის ხელისუფლებაში გაჩერების დაუშვებლობაზე. საბოლოო ჯამში, აღნიშნული შიშები სრულად გაიაზრა ამერიკის პოლიტიკურმა ელიტამ, რაც 2002 წელს ძალის გამოყენების ავტორიზაციის მიღებაში გამოიხატა. რეზოლუციამ ინტერპარტიული მხარდაჭერა მოიპოვა.

ერაყის ომის წარმოებაში აშშ-ს ცენტრალური სადაზვერვო სააგენტოს (CIA) როლი უმნიშვნელოვანესია, აქედან გამომდინარე საინტერესოა ყოფილი დირექტორის ჯორჯ ბენეტის წიგნი “At The CENTER of the STORM”. ბენეტის წიგნის მიმოხილვა იმ კუთხითაც არის საინტერესო, რომ თანამდებობიდან წასვლის შემდეგ, იგი ბუმის ადმინისტრაციის კრიტიკოსი გახდა, რასაც ავტობიოგრაფიულ ნაშრომშიც ხშირად გადავწყდებით.

ერაყის ომის გამომწვევი მიზეზებსა და ამ საკითხთან დაკავშირებულ სხვადასხვა გარემოებების მიმოხილვისას, ჯორჯ ბენეტი ხშირადაა სკეპტიკურად განწყობილი, თუმცა

მთავარ საკითხთან - ამერიკის შეერთებული შტატების ეროვნული უსაფრთხოების წინაშე არსებული ახალი რისკები, რომელიც მასობრივი განადგურების იარაღსა და ტერორისტების მოქმედებას უკავშირდება, მისთვისაც ნათელია. „ტერორისტები განუკურნებელი პაციენტები არიან. ტყუპებზე განხორციელებულ ტერორაქტს ერთი დეკადით ადრე მსოფლიოს სავაჭრო ცენტრზე განხორციელებულული თავდასხმა უძღვოდა წინ. ერთი სოკოს ღრუბელი (mushroom cloud) ისტორიას შეცვლის. ჩემი ყველაზე ღრმა შიში კი სწორად ამას უკავშირდება, ვინაიდან მათ ამის გაკეთება აქვთ განზრახული.“ (Tenet, 2007)

სხვა ჩინოვნიკების გარდა, ჯორჯ ტენეტიც ალ ზარქავის ერაყში ოპერირების შესახებ საუბრობს. ამ კონკრეტული შემთხვევის მიმოხილვის გარდა, იგი უფრო ფართოდ აყალიბებს ალ ქაიდას მიერ მასობრივი განადგურების იარაღის ხელში ჩაგდების მნიშვნელობას: „ ჩემთვის ყველაზე დიდი საფრთხე ბირთვული იარაღი იყო. დარწმუნებული ვარ, რომ ოსამა ბინ ლადენსა და მის ხელქვეითები ამისკენ მიისწრაფოდნენ. მათ კარგად ესმოდათ, რომ მანქანების, ტრაილერების, მატარებლებისა და თვითმფრინავების აფეთქება ყურადღების ცენტრში ამყოფებდათ, თუმცა სოკოს ღრუბლის (mushroom cloud) შექმნის შემთხვევაში, ისინი ისტორიულ საქმეს იზავდნენ. ამ საქმის მოხერხების შემთხვევაში, ალ-ქაიდა სხვა ზესახელმწიფოებს გაუტოლდებოდნენ. ბინ ლადენის შიში გაანადგურებდა ჩვენ ეკონომიკას და ყველა ამერიკელის სახლში სიკვდილს შეიტანტა“. (Tenet, 2007)

კონკრეტულად ერაყის ომის მიმოხილვისას, ტენეტი რამდენიმე საინტერესო მოსაზრება განავითარა, მისი თქმით, 11 სექტემბრის ტერაქტის შემდეგ ყველაფერი შეიცვალა. ბუშის ადმინისტრაციის წევრებისთვის ერაყი „დაუმთავრებელი“ საქმე იყო, რაც მორიგ უსიამოვნო სიურპრიზად არ უნდა გადაქცეულიყო. ცენტრალური სადაზვერვო სააგენტოს ყოფილი დირექტორი წერს, რომ ტყუპების აფერთების შემდეგ არსებულმა ემოციურმა მდგომარეობამ, ერაყთან მიმართებით მცდარ რიტორიკას დაუდო საფუძველი, რამაც საკითხის ფორსირებულ რეჟიმში გადაწყვეტას ხელი შეუწყო.

იმის დასადასტურებლად, რომ სადამისთვის პასუხის გაცემა მხოლოდ მომდინარე საფრთხეების საფუძველზე არ იგეგმებოდა და თვალთახედვაში წარსულში არსებული შემთხვევებიც იყო გათვალისწინებული, ტენეტი შემდეგ შემთხვევას იხსენებს: „ცენტრალური სადაზვერვო სააგენტოს ერთ-ერთმა ექსპერტმა ახლო აღმოსავლეთის მიმართულებით ცოტა ხნის წინ მიაგზავნა, რომ 11 სექტემბრიდან რამდენიმე დღეში, იგი თეთრ სახლში გამართულ შეხვედრას დაესწრო. მისი თქმით, NSC-ის ერთ-ერთმა მაღალჩინოსანმა ადმინისტრაციის სურვილის შესახებ უთხრა, რომელიც სადამ ჰუსეინის ხელისუფლებიდან ჩამოშორებას მოიცავდა, რაზეც ჩვენმა ექსპერტმა შემდეგი პასუხი გასცა: სადამ ჰუსეინის მოშორება ძველი ცოდვებით თუა გამოწვეული, მაშინ გეთანხმებით. უბრალოდ არ მითხრათ, რომ იგი დაკავშირებულია 11 სექტემბრის ტერაქტთან ან ტერორიზმთან, ვინაიდან ამის არანაირი დამატკიცებელი საბუთი არ არსებობს“. (Tenet, 2007)

ჯორჯ ტენეტის დამოკიდებულება ერაყის ომის მიმართ არაერთგვაროვანია. ერთის მხრივ იგი სრულად აანალიზებს იმ საფრთხეებს, რაც ტერორისტებისა და მასობრივი განადგურების იარაღის გამოყენებიდან მომდინარეობს, მეორეს მხრივ კი მტკიცედ მიიჩნევს, რომ ერაყის ომის დაწყება ჯორჯ ბუშის ადმინისტრაციას თავიდანვე გადაწყვეტილი ქონდა, რამაც 11 სექტემბრის შემდეგ არსებულმა ვითარებამ ხელი კიდევ უფრო შეუწყო: „ამერიკის შეერთებულმა შტატებმა ომი მხოლოდ მასობრივი განადგურების იარაღის გამო არ დაიწყო. ჩემი აზრით, ეს იყო პრინციპული საკითხი“. (Tenet, 2007).

“Known and Unknown”- ასე ქვია თავდაცვის ყოფილი მდივნის, დონალდ რამსფელდის ავტობიოგრაფიულ წიგნს, სადაც ავტორმა ომის დაწყებამდე არსებულ მდგომარეობას დეტალურად აღწერა. ვიცე-პრეზიდენტ რობერტ ჩეინის მსგავსად, დონალდ რამსფელდიც გამოცდილი სახელმწიფო მოხელე იყო. მისთვის ერაყი საკმაოდ ნაცნობი ქვეყანა იყო. ამერიკის შეერთებული შტატების პრეზიდენტის სპეციალური დავალებით, მას ჯერ კიდევ 1983 წელს ჰქონდა სადამ ჰუსეინთან შეხვედრა გამართული.

დონალდ რამსფელდი მიიჩნევს, რომ ქუვეითში განცდილი სამხედრო მარცხის მიუხედავად, ერაყის ხელისუფლება პოლიტიკურად მაინც მყარი იყო და „დაჩქრებულ“

პრობლემად გადაიქცა. ამ ყველაფრის მთავარი შემოქმედი კი სადამ ჰუსეინი გახლდათ, რომელიც ბრუტალურ მეთოდებზე უარის კვლავ არ ამბობდა. ოპოზიციის წევრების წამება, შიიტი და ქურთი მოსახლეობის წინააღმდეგ განხორციელებული რეპრესიები, მისი რეჟიმის მოწინააღმდეგე ქალების გაუპატიურება და სხვა არაერთი საზარელი შემთხვევა, სადამ ჰუსეინის პოლიტიკური ბიოგრაფიის მუდმივი შემადგენელი ნაწილი იყო. „ბაღდადის ყასაბი“ - რამსფელდი ხშირად ასე იხსენიებს სადამ ჰუსეინს საკუთარ წიგნში.

ჯორჯ ბუში უმცროსის პრეზიდენტად არჩევამდე, სადამ ჰუსეინის რეჟიმის წინააღმდეგ აქტიური ნაბიჯების გადადგმა ბილ კლინტონმაც დაიწყო. ამის დასტურად 1998 წელს მიღებული რეზოლუცია იყო, რომლის თანახმადაც ამერიკის შეერთებული შტატების ოფიციალური პოლიტიკა ერაყის მიმართ უნდა წარმართულიყო იმგვარად, რომ სადამ ჰუსეინის ძალაუფლების წყაროებიდან ჩამოცილება მომხდარიყო. კლინტონის მხრიდან რეჟიმის შეცვლაზე მზაობის მიუხედავად, მის ადმინისტრაციაში კვლავ იყვნენ წევრები, ვინც სადამ ჰუსეინისგან მომავალ საფრთხეს გადაჭრილად მიიჩნევდნენ. მაგალითისთვის, მადლენ ოლბრაითი ამტკიცებდა, რომ სადამი კონტროლის ქვეშ იმყოფებოდა და ყუთში იყო გამოკეტილი. (Rusmfeld, 2012)

აღნიშნულ შეხედულებას დონალდ რამსფელდი კრიტიკულად უყურებდა და დაწერა, რომ ჯორჯ ბუში უმცროსის ხელისუფლებაში მოსვლის დროს, ერაყის წინააღმდეგ წარმოებული სახელმწიფო პოლიტიკა დრომოქმული და არაეფექტური იყო. ამის მაგალითად ისიც გამოდგება, რომ სადამ ჰუსეინს სერიოზული ფინანსური წყაროები კვლავ გააჩნდა, მათ შორის გაეროს ერთ-ერთი პროგრამის (Oil for food) გამოყენებით. რამსფელდი მიიჩნევს, რომ გასულ დეკადებში წარმოებული პოლიტიკა, რომელიც ერაყის შეკავებას გულისხმობდა, რელევანტური და ქმედითი აღარ იყო.

დონალდ რამსფელდი კრიტიკოსების საპასუხოდ ამბობს, რომ ჯორჯ ბუში უმცროსის უპირველესი ამოცანა სამხედრო გზით სადამ ჰუსეინის მოცილება და მამამისის პრეზიდენტობის პერიოდში დაშვებული „შეცდომის“ გამოსწორება არ ყოფილა. იგი ერთ-ერთ პირველ შეხვედრასაც იხსენებს ახლად არჩეულ პრეზიდენტთან, სადაც ერაყზე

საუბარი საერთოდ არ ყოფილა. ამის პარალელურად, რამსფელდი ხაზს უსვამს, რომ ერაყი იყო ერთადერთი ქვეყანა მსოფლიოში, რომელიც მუდმივად ახორციელებდა თავდასხმას ამერიკის შეერთებული შტატების სამხედრო პერსონალზე.

იგი არასაფრენ ზონაში, აშშ-ს ავიაციის წინააღმდეგ განხორციელებულ შეტევებს გულისხმობს. ასევე ცნობილი გახდა, რომ ერაყელები ანტი-საჰაერო სისტემის განახლებასა და გაძლიერებას აპირებდნენ, რისი მიზანიც ამერიკული თვითფრინავების მიერ არასაფრენ ზონაში პატრულირების გაწევის ხელშეშლა იყო. “2000 წლიდან 2002 წლის სექტემბრამდე, ორი ათასზე მეტი შეტევა დაფიქსირდა, რამაც მე ძალიან შემაშფოთა“. (Rumsfeld, 2012)

იმ მოსაზრების გასამტკიცებლად, რომ სამხედრო ოპერაციის განხორციელება არ გალხდათ სადამ ჰუსეინთან გამკლავების ერთადერთი მეთოდი, დონალდ რამსფელდი გეგმას იშვეილებს, რომლის თანახმადაც მასობრივი განადგურების იარაღზე უარის თქმის შემთხვევაში, სადამ ჰუსეინთან არსებული დაძაბულობის განეიტრალება კვლავ შესაძლებელი იქნებოდა. აღნიშნული დოკუმენტი 2001 წლით არის დათარიღებული. (Rumsfeld, 2012)

ზემოთ ჩამოთვლილი გარემოებების მიღმა, დონალდ რამსფელდიც ერაყის ომის წინა პერიოდს ორ ნაწილად ყოფს: 1) მასობრივი განადგურების იარაღის არსებობა; 2) ერაყის ხელისუფლებისა და ტერორისტების კავშირი. გარდა ამისა, რამსფელდი ხშირად მიუთითებს სადამის მხრიდან ადამიანის უფლებების მასობრივ დარღვევას, საერთაშორისო თანამეგობრობის მიერ დადგენილი წესებით თამაშზე უარის თქმას და სხვა იმ პრობლემატურ შემთხვევებს, რომლის ნაწილიც დასაწყისში უკვე ჩამოვთვალეთ.

2001 წლის განამავლობაში, დონალდ რამსფელდი აქტიურად მუშაობდა ერაყის ირგვლივ შესაძლო განვითარებად მოვლენების ანალიზზე. მისი აზრით, საკითხი იმდენად კომპლექსური ხასიათის იყო, რომ საფრთხეების სრულად დანახვა ბოლომდე ვერ ხდებოდა. ვითარების ამგვარ რეჟიმში გაგრძელების შემთხვევაში, იყო იმის რისკი, რომ რეგიონში ძალთა ბალანსი მნიშვნელოვნად შეცვლილიყო, რის მისაღწევადაც რამდენიმე შესაძლო ვარიანტი არსებობდა. ასევე, ახალი ადმინისტრაციის პირობებში, ჯერ ზუსტად და ცხადად

არ იყო ნათელი, თუ რომელ გზას აირჩევდა ამერიკის შეერთებული შტატები ერაყიდან მომდინარე საფრთხის გასაწმენად. თუმცა, როგორც რამსფელდი აღნიშნავს, ახალი ადმინისტრაციის ამოქმედებიდან სულ რამდენიმე კვირაში ბალდადს მკაფიო სიგნალი გაეგზავნა, რომ მათ მიერ განხორციელებულ პროვოკაციებზე არაეფექტური და მსუბუქი პასუხების გაცემა წარსულს ჩაბარდებოდა. (Rumsfeld, 2012)

რამსფელდი ცხადად წერს, რომ სადამ ჰუსეინს 9/11-ის ტერორისტულ თავდასხმასთან კავშირი არ ჰქონია, თუმცა პარალელურად აღნიშნავს, რომ ერაყი ტერორიზმის ხელშემწყობი სახელმწიფო იყო, რის გამოც აშშ-ს სახელმწიფო დეპარტამენტის ტერორიზმის დამფინანსებელ ქვეყანათა სიაში 1990 წლიდან იმყოფებოდა. ერაყის მმართველი რეჟიმი დაკავშირებული იყო როგორც კონკრეტულ ტერორისტებთან, ასევე ტერორისტულ ორგანიზაციებთან.

დონალდ რამსფელდი ცენტრალური სადაზვერვო სააგენტოდან (CIA) გამოთხოვილ ინფორმაციას იხსენებს, რომლის თანახმადაც საკითხები გაირკვა: 1) ერაყისა და „ალ-ქაიდას“ მაღალჩინოსნების ურთიერთობა, მთელი დეკადის განმავლობაში; 2) ერაყის ხელისუფლებასა და „ალ-ქაიდას“ შორის არსებული პარტნორული ურთიერთობა; 3) ავღანეთში განხორციელებული ოპერაციის შემდეგ ბევრი მტკიცებულებები დაგროვდა იმის შესახებ, რომ ტერორისტებმა თავი ერაყს შეაფარეს, მათ შორის ბალდადსაც; 4) სარწმუნო წყაროებზე დაყრდნობით ცნობილი გახდა, რომ „ალ-ქაიდას“ ლიდერები ურთიერთობას დამყარებას ცდილობდნენ იმ საკონტაქტო პირებთან, ვისაც მასობრივი განადგურების იარაღზე (WMD) ხელი მიუწვდებოდა. ამავდროულად ცნობილი გახდა, რომ ერაყელებმა საწვრთნელი ბაზა გაუმზადეს „ალ-ქაიდას“ წევრებს. (Rumsfeld, 2012)

სადამ ჰუსეინისა და ტერორისტების კავშირი სულ უფრო და უფრო სახიფათო და დამაჯერებელი ხდებოდა. ზემოთ ჩამოთვლილ მიზეზებს ემატებოდა სადამის მხრიდან თვითმკვლელი ტერორისტების ნათესავებისთვის გადახდილი 25 ათასი დოლარი, სხვადასხვა ტერორისტული ჯგუფების დაშვება ერაყის საზღვართან, სადამის მიერ მხარდაჭერილი ტერორისტული ჯგუფების მიერ მოწყობილი ტერაქტები რომსა და ვენაში,

რომელსაც აშშ-ს და ისრაელის მოქალაქეების მკვლელობა მოყვა. რამსფელდი წერს, რომ 2003 წლის სამხედრო ოპერაციის განხორციელების შემდეგ, ამ მხრივ კიდევ უფრო მეტი ინფორმაცია დაგროვდა. მაგალითისთვის, ცნობილი გახდა, რომ 1993 წელს სადამ ჰუსეინმა ბრძანებულება გასცა ჯგუფის ჩამოყალიბების შესახებ, რომელის მიზანიც არაბულ მიწებზე მყოფი ამერიკელების წინააღმდეგ დევნის განხორციელება იქნებოდა. (Rumsfeld, 2012)

საგანგაშო იყო მონაცემები, რომელიც მასობრივი განადგურების პროგრამის ირგვლივ არსებულ მდგომარეობას აღწერდა. რამსფელდი წერს, რომ 2002 წლის მდგომარეობით, მას ქონდა ინფორმაცია იმის შესახებ, რომ ერაყი ბიოლოგიური და ქიმიური იარაღის წარმოებას კვლავ აგრძელებდა, საერთაშორისო ინსპექტორების მხრიდან 3200 ტონა ქიმიური იარაღი აღურიცხავი იყო და არსებული რესურსების გათვალისწინებით ვარაუდი იმის შესახებ, რომ ერთ წლის შემდეგ, ერაყს ქონდა პოტენციური ბირთვული იარაღი ჰქონოდა. ამავდროულად აღსანიშნავია, რომ ბიოლოგიურ და ქიმიურ იარაღის წარმოებაზე ზუსტად ის ექსპერტები იყვნენ დასაქმებულები, რომლებიც სადამ ჰუსეინს სპარსეთის ყურის ომის წინ ყავდა. (Rumsfeld, 2012)

შეჯამების სახით შეგვიძლია ვთქვათ, რომ ზემოთ ჩამოთვლილი ძირითადი მიზეზების გარდა, ერაყის ომის დაწყების ფორსირებას დონალდ რამსფელდი 9/11-ის ტერორისტულ აქტსაც უკავშირებს. მისი კოლეგების მსგავსად, იგი მიიჩნევდა, რომ საერთაშორისო პოლიტიკურ ველზე აშშ-ს მოქმედება დროისა და გარემოებების ადექვატურად უნდა შეცვლილიყო.

ამის გარდა, რამსფელდი სადამ ჰუსეინისთვის პასუხის გაცემას კიდევ ერთი მოტივით - დაუსჯელობის სინდრომის ჩახშობით ამართლებს. წლების განმავლობაში, ჰუსეინი გაეროს რეზოლუციებს უგულველყოფისა და პროვოკაციული ქმედებების საპასუხოდ ადექვატურ პასუხს არ იღებდა, რაც დაუსჯელობისა და საერთაშორისო ნორმების დარღვევის სინდრომს ახალისებდა. ომის დაწყების განმაპირობებელ მიზეზებს თუ გავაანალიზებთ, შემდეგი განმარტება შეგვიძლია ჩამოვაყალიბოთ: დონალდ რამსფელდმა სამომავლო საფრთხეების პრევენციის მიზნით, 2003 წელს ერაყში სამხედრო კამპანიის დაწყებას მწვანე შუქი აუწოთ.

ერაყი სისტემატიურად არღვევდა 1991 წელს დადებულ სამშვიდობო ხელშეკრულებას და თავს იძვრენდა დაკისრებული საქნციებიდან. სწორად ასე იწყებს სადამ ჰუსეინის რეჟიმის აღწერას ეროვნული უსაფრთხოების საკითხებში აშშ-ს პრეზიდენტის ყოფილი მრჩეველი კონდოლიზა რაისი თავის ავტობიოგრაფიულ ნაშრომში - “No Higher Honor.” რაისი თავშივე აღნიშნავს, რომ სადამ ჰუსეინის წინააღმდეგ საერთაშორისო თანამეგობრობამ პოლიტიკაში არსებული ყველა ტიპის ინსტრუმენტი - დიპლომატიური წნეხი, იარაღის ინსპექცია, ეკონომიკური სანქციები, გადაადგილების შეზღუდვა, სამხედრო და სანავთობო ემბარგო, სამხედრო შეკავების ოპერაცია არასადრენ ზონებში და სამხედრო ძალების პირდაპირი ჩართულობაც (ქუვეითის ომის, 1991) გამოიყენა.

კონდოლიზა რაისი წერს, რომ აშშ-ს პრეზიდენტი შეშფოთებული იყო ერაყისადმი არაეფექტური პოლიტიკის გატარებით. ამას ემატებოდა ისიც, რომ არ არსებობდა სრული და ყოვლისმომცველი ინფორმაცია სადამ ჰუსეინის მასობრივი განადგურების იარაღის შესახებ. რაისი წერს, რომ ერაყის მსგავსი თაღლითი და მატყუარა რეჟიმებისთვის უცხო არ არის არალეგალური გზით მასობრივი განადგურების იარაღის პროგრამისთვის საჭირო საქონლის შეძენა და ამავდროულად ინსპექტირების დროს, თანხმობის მათთვის სასურველ დროს გაცემა და თავის დამკრენა. ამის გარდა, კონდოლიზა რაისი კიდევ ერთ შემადგენელ ნაწილს - მასობრივი განადგურების იარაღის შექმნის ცოდნასა და შესაძლებლობას გამოყოფს.

მისი აზრით, სადამ ჰუსეინის პირობებში აღნიშნული შესაძლებლობა რეალური იყო, ვინაიდან ექსპერტები რომლების სპარსეთის ყურის ომის წინ მასობრივი განადგურების იარაღზე მუშაობდნენ, კვლავ ჰუსეინის რეჟიმის სამსახურში იყვნენ. კიდევ ერთი საკითხი ინფრასტრუქტურისა და ლაბორატორიების ქონას შეეხებოდა. იქიდან გამომდინარე, რომ 1998 წლის შემდეგ საერთაშორისო ინსპექტორების ჯგუფს ადგილზე ყოფნის საშუალება აღარ ჰქონდათ, სწორება ძირითადად სატელიტური ფოტოებსა და რუკებზე მოხდა. აღნიშნულ მასალებზე დაყრდნობით ეჭვგარეშე იყო, რომ იმ გეოგრაფიულ ზონებში, სადაც სამხედრო საქმიანობა ხორციელდებოდა, უამრავი ახალი ნაგებობა აშენდა და მათი ინსპექტირება შეუძლებელი იყო.

კონდოლიზა რაისი ასევე სვამს ერთ მნიშვნელოვან კითხვას - აქვს თუ არა ქვეყანას მასობრივი განადგურების იარაღის შემქნის მოტივაცია? ერაყის შემთხვევაში ამ კითხვაზე პასუხი დადებითი იყო. სადამ ჰუსეინის სურვილი, რომ შეექმნა მსგავსი ტიპის იარაღი მხოლოდ თეორიული განხილვის საგანი არ იყო, ვინაიდან მას წარსულშიც ამოძრავებდა ანალოგიური სურვილი და მეტიც, პრაქტიკაში უკვე გამოყენებული ქონდა. რაისი წარსულის გამოცდილებას უსვამს ხაზს და წერს, რომ აშშ-ს ზედმიწევნით ფრთხილად და ყურადღებით უნდა ემოქმედა, რადგანაც საბჭოთა კავშირისა და ინდოეთის მსგავსად ბირთვული იარაღის გამოცდა არ გამოპარვოდა. იგი სადაზვერვო სამსახურების მონაცემებზე ამახვილებს ყურადღებას და წერს, რომ საბჭოთა კავშირის შემთხვევაში, პროგნოზით გათალისწინებული თარიღი 5 წლით ჩამორჩებოდა რეალურ დროის ათვლას. (Rice, 2012)

კოლეგების მსგავსად, კონდოლიზა რაისიც 2002 წლის მდგომარეობით არსებულ მონაცემებზე აპელირებს, სადაც ნათქვამი იყო, რომ სადამ ჰუსეინი მასობრივი განადგურების იარაღის პროგრამაზე მუშაობას აგრძელებდა. ამავდროულად, გააჩნდა ქიმიური და ბიოლოგიური იარაღი. აღნიშნული დინამიკით ნავარაუდები იყო, რომ ათწლეულის განმავლობაში სადამის ხელში ბირთვული იარაღიც აღმოჩნდებოდა. ამასთანავე, სადამის ბიოგრაფია უკვე მოიცავდა ქუვეითის ოკუპაციის სურვილსა და ამერიკის ყოფილი პრეზიდენტის მკვლელობის მცდელობას, შესაბამისად არ არსებოდა არანაირი გარანტია, რომ მასობრივი განადგურების იარაღი ერაყიდან ტერორისტების ხელში არ აღმოჩნდებოდა. ამერიკის შეერთებული შტატების წინაშე იმდენი წარსულის მაგალითი და აწმყოში მომდინარე საფრთხეების რისკი იყო, რომ მოქმედება ძალიან ფრთხილად და დროულად უნდა მომხდარიყო. (Rice, 2012)

კონდოლიზა რაისი მისი კოლეგების მიერ და ნაშრომში უკვე განხილული შემთხვევების საფუძველზე განმარტავს, რომ სადამ ჰუსეინი ტერორისტების დახმარებას აქტიურად ეწეოდა. აღნიშნული მხრიდან მომავალ საფრთხეებს იგი შემდეგნაირად აყალიბებს: „ 9/11-ის ტერორისტული შეტევის შემდეგ, სადამ ჰუსეინის მხრიდან ტერორისტებისთვის ქიმიური და ბიოლოგიური იარაღის, ან სულაც ბირთვული მოწყობილობების გადაცემის

შანსი, რომლის გამოყენებაც შემდგომში ამერიკის შეერთებული შტატების წინააღმდეგ მოხდებოდა, ჩვენთვის ძალიან რეალური ჩანდა. (Rice, 2012)

რაისი ეხმაურება ომის საკითხს და ამბობს, რომ სამხედრო ოპერაცია არ ყოფილა ჯორჯ ბუშის პირველადი არჩევანი. მისი თქმით, აშშ-ს იმდროინდელმა ხელისუფლებამ „იძულებითი დიპლომატიის“ (Coercive Diplomacy) გზა აირჩია, რომელიც საერთაშორისო საზოგადოების წნეხსა და სამხედრო ძალების კომპონენტებს აერთიანებდა. „მე ვუთხარი პრეზიდენტს, რომ იმ შემთხვევაში თუკი სადამ ჰუსეინს მისი ჩამოგდების შესაძლებლობას დავანახებთ, შეიძლება ის შეიცვალოს.“(Rice, 2012)

კოლინ პაუელთან ერთად, კონდოლიზა რაისიც ბუშის ადმინისტრაციის იმ ნაწილში მოიაზრებოდა, რომლებიც სამხედრო ინტერვენციის დაწყებას ნაკლებად ემხრობოდნენ, თუმცა საბოლოო ჯამში, მიზეზების ერთობლიობისა და იმ პერიოდში არსებული მომდინარე რისკებიდან გამომდინარე, რაისმა ომის წარმოება გამართლებულად მიიჩნია. კოლეგების ნაწილის მსგავსად, იგი ყურადღებას მხოლოდ მასობრივი განადგურების იარაღზე არ ამახვილებს და მნიშვნელოვან ადგილს უთმობს სადამის მხრიდან წარსულში ჩადენილ ბრუტალურ ქმედებებს, რომელსაც ბოლო არ უჩანდა. „სადამ ჰუსეინი იყო ახლო აღმოსავლეთის კიბო. იგი საკუთარ მეზობლებზე თავდასხმას ახდენდა და ქაოსში ითრევდა მთლიანად რეგიონს“ - სწორად ასე მკაფიოდ და მკაცრად ახასიათებს რაისი ერაყის ყოფილ პრეზიდენტს. (Rice, 2012)

სადაზვერვო სამსახურის მიერ გარკვეულ შემთხვევებში დაშვებული შეცდომებისა თუ სხვა კრიტიკული მოსაზრებების მიუხედავად, კონდოლიზა რაისი ყველა იმ „ინგრედიენტის“ ერთობას ხედავდა სადამ ჰუსეინში, რაც ამერიკის შეერთებული შტატების ეროვნულ უსაფრთხოებას მნიშვნელოვან საფრთხეებს უქმნიდა. განსაკუთრებით 9/11-ის ტერაქტის ფონზე.

თეორიული ჩარჩო: რეალიზმი

ერაყის ომის დაწყების მოტივების ასახსნელად საერთაშორისო ურთიერთობების რეალიზმის თეორიას გამოვიყენებ. ამ მიმოხილვის ფარგლებში ფოკუსირებას ნეორეალიზმზე მოვახდენ, ვინაიდან ვფიქრობ, რომ დასახელებული საკითხის ახსნა ყველაზე სწორად ამ კონკრეტული პერსპექტივიდანაა შესაძლებელი. მიმოვიხილავ როგორც თავდასხმითი რეალიზმის, ასევე თავდაცვითი რეალიზმის თეორიის მკვლევარებს.

რეალიზმის თეორიისა და 2003 წლის ერაყის კამპანიის დაკავშირებისას, პირველ რიგში ეროვნული ინტერესებისა და უსაფრთხოების საკითხის გაანალიზებაა მნიშვნელოვანი, რასაც დიდ ყურადღებას დავუთმობ.

რეალიზმის თეორიისთვის ფუძემდებლურ საკითხს წარმოადგენს პრინციპი, რომლის თანახმადაც საერთაშორისო პოლიტიკაში ანარქიული გარემოებაა გამეფებული. ამ ვითარებაში, სახელმწიფოების მოქმედების ერთადერთ მოტივაციას საკუთარი პოზიციებისა და მდგომარეობის გაუმჯობესება წარმოადგენს. მუდმივ ბრძოლასა და კონკურენციაში მყოფი სახელმწიფოებისთვის მნიშვნელოვანია, რომ მათი გავლენები ძლიერი და ფართო იყოს. ამავდროულად მიჩნეულია, რომ არ არსებობს „კეთილი“ და „ბოროტი“ ქვეყნები, ვინაიდან სახელმწიფოები პრაგმატული გადმოსახედიდან უყურებენ ვითარებას და რაციონალური ფაქტორებიდან გამომდინარე იღებენ გადაწყვეტილებებს.

რეალიზმის ამ საბაზისო და ფუნდამენტურ ცნებების თანახმად შეგვიძლია განვმარტოთ, რომ ამერიკის შეერთებული შტატები ერაყთან მიმართებით სწორად ამ კუთხით ოპერირებდა. ჯორჯ ბუშის ადმინისტრაციის მიზანი ბალდადიდან მომავალი საფრთხის აღმოფხვრა იყო, რისთვისაც ერაყის იმდროინდელი ხელისუფლების განეიტრალება და მტრულიდან ქვეყნის მოკავშირედ ტრანსფორმაცია იყო საჭირო.

2003 წლის ომამდე პერიოდის ერაყი აშშ-ს ეროვნული უსაფრთხოებისთვის კონკრეტულ საფრთხეს წარმოადგენდა. თუმცა, ამის გარდა სახეზე გვქონდა ერთის მხრივ სადამის „ჯიუტი“ და იზოლაციონისტური პოლიტიკა, რომელიც თანამშრომლობის სივრცეს და

აქედან რაიმე კონკრეტული ბენეფიტების მიღების შანს არ ტოვებდა. ამავდროულად, მთელი დეკადის განმავლობაში არსებულმა ეკონომიკურმა და სამხედრო ემბარგომ ჰუსეინის რეჟიმი მნიშვნელოვნად დაასუსტა. ამ მიზეზთა ერთობლიობის საფუძველზე, ალბათ სრულიად ლოგიკური ხდება აშშ-ს მხრიდან განხორციელებული ის პრაგმატული გათვლა, რომელიც საბოლოო ჯამში ერაყის სამხედრო ოპერაციაში გამოიხატა.

აღნიშნული ნაწილის გააზრება იმ კუთხითაც არის მნიშვნელოვანი, რომ რეალიზმის ერთ-ერთი მთავარი პრინციპის - სახელმწიფოების პრაგმატულ გათვლებზე დაფუძნებული პოლიტიკა კიდევ უფრო ცხადი გახდეს. ამის მაგალითად, ერაყის ომის შემდეგ კრიტიკოსების მხრიდან ჯორჯ ბუშის 2002 წლის გამოსვლის გახსენებაა, სადაც ყოფილმა პრეზიდენტმა სამი ქვეყანა - ერაყი, ირანი და ჩრდილოეთ კორეა დაასახელა მთავარ საფრთხეებად (Axis of Evil). (Bush, 2002)

კრიტიკა ძირითადად ეფუძნებოდა იმ მოსაზრებას, რომ თუკი მასობრივი განადგურების იარაღის პროგრამის არსებობა იყო ინტერვენციის გამომწვევი მიზეზი, მაშინ ჯორჯ ბუშმა სამიზნე ქვეყნად, რომელიმე სხვა დასახელებული ქვეყანა - მაგალითისთვის ჩრდილოეთ კორეა რატომ არ აირჩია, სადაც WMD-ს არსებობის კვალი ბევრად უფრო ხილული და ცხადი იყო.

ამ კრიტიკის პასუხი სწორად იმ პრაგმატულ გამოთვლაშია, რომელიც რეალიზმის ერთ-ერთ ფუნდამენტურ სვეტს წარმოადგენს. საქმე მოგებისა და დანახარჯების შორის არსებულ სხვაობის პრინციპს ეყრდნობა. მაგალითისთვის ერაყისგან განსხვავებით, ჩრდილო კორეაზე თავდასხმის შემთხვევაში არსებობდა დიდი საფრთხე, რომ ამ ქმედებს სამხრეთ კორეისთვის დამანგრეველი შედეგი შეიძლება გამოეწვია. აგრეთვე, გასხვავებული იყო ქვეყნების ეკონომიკური მდგომარეობა და ტერორისტებთან არსებული კავშირები. აქედან გამომდინარე, პრაგმატული გათვლის გარეშე გაკეთებული პირდაპირი შედარებები რეალობას ზუსტად ვერ ასახავს და მსგავსი შედარებები ზედაპირული იქნება.

თეორიულ ნაწილზე საუბრისას გასათვალისწინებელია ის ახალი რეალობა, რომელიც გასული საუკუნის უკანასკნელ ათწლეულში დადგა. ცივი ომის დამთავრებით, საბჭოთა

კავშირთან ერთად სიცოცხლე შეწყვიტა ბიპოლარულმა საერთაშორისო სისტემამაც. ამერიკის შეერთებული შტატები ერთადერთი სუპერსახელმწიფო იყო, რომელიც ომის დასრულების შემდეგ უკონკურენტო მსოფლიო ჰეგემონი გახდა. ჩარლზ კრაუტჰამერმა ეს პროცესი „უნიპოლარული მომენტის“ სახელით შეაფასა. (Krauthamer, 1991)

რეალიზმის პერსპექტივიდან გამოდიოდა ისე, რომ ცალსახა და კოლოსალურად დიდი სიძლიერის ფონზე, ამერიკის შეერთებული შტატებისთვის მიზნის მისაღწევად მულტილათერალური პოლიტიკის გატერება ისეთივე მნიშვნელოვანი აღარ იყო. პრაქტიკულ ნაწილში ამის კარგი გამოვლინებაა აშშ-ს თავდაცვის დეპარტამენტის მიერ შემუშავებული პროგრამა, რომელიც 1994-1999 წლებს მოიცავდა და არაოფიციალურად „ვოლფოვიცის დოქტრინის“ სახელით არის ცნობილი.

ანგარიშში ნათქვამია, რომ აშშ იყო მთავარი განსაზღვრელი მსოფლიო წესრიგის და საერთაშორისო თანამშრომლობის როლი ამ თვალთახედვით შემცირებულია. “ჩვენი ყველაზე მნიშვნელოვანი მიზანი ნებისმიერი წყაროდან მომავალი საფრთხეების შეკავება და განეტირალებაა.”(USDP, 1992)

აქედან გამომდინარე, ალბათ გასაკვირი არ უნდა იყოს ბუშის ადმინისტრაციის მხრიდან მეტწილად ერთპიროვნულ გადაწყვეტილებაზე დაფუძნებული ერაყის 2003 წლის კამპანიის დაწყება. ბუშის „წინსწრების დოქტრინა“ ამ საკითხზე საკმაოდ ნათელ პასუხს იძლევა: „ ამერიკის შეერთებული შტატები შეუწყვეტლად იმოქმედებს საერთაშორისო თანამეგობრობის მხარდაჭერის მოსაპოვებლად. ამავდროულად, ჩვენ არ ვიყოყმანებთ, ვიმოქმედოთ მართო, თუ ეს დასჭირდება ჩვენს თავდაცვას. ჩვენ ვიმოქმედებთ წინმსწრებად ტერორისტების წინააღმდეგ, რათა დავიცვათ ჩვენი ხალხი და ქვეყანა“. (Bush, 2002)

სახელმწიფოებისთვის ეროვნული ინტერესებიდან გამომდინარე მოქმედებაა მთავარი განმსაზღვრელი ჰანს მორგენტაუსთვის, რომელიც რეალიზმის თეორიის სკოლის ერთ-ერთი ყველაზე თვალსაჩინო წევრად ითვლება. მისი აზრით, ქვეყნის საგარეო პოლიტიკური კურსის განმსაზღვრელი კრიტერიუმები რაციონალურობა და ობიექტურობაა. (Morgenthau, 1948)

ჟურნალ Foreign Affairs-ის ფურცლებზე ჰანს მორგენტაუს სტატია დაიბეჭდა, რომელიც ინტერვენციის საკითხს მოიცავდა. ავტორის მიიჩნევს, რომ ეროვნული მიზნებისა და ინტერესების არსებობის შემთხვევაში, სახელმწიფოს მხრიდან ინტერვენციის განხორციელება შესაძლებელია. მორგენტაუ აქვე აღნიშნავს, რომ კიდევ ერთი მნიშვნელოვანი ფაქტორი მსგავსი გადაწყვეტილების მიღებისას, სახელმწიფოს ხელთ არსებული ძალების პრაგმატული გაანგარიშება გახლავთ. (Morgenthau, 1967)

ეროვნული ინტერესების საკითხს ეხება კიდევ ერთი რეალისტი მკვლევარის, რობერტ გილპინის არაერთი ნაშრომი. იგი მიიჩნევს, რომ ეს ინტერესი შეიძლება სხვადასხვა საკითხებს მოიცავდეს, მაგალითისთვის - ეკონომიკას ან ტერიტორიას. გილპინი ეთანხმებოდა ჰანს მორგენტაუს მოსაზრებას იმის შესახებ, რომ სახელმწიფოს ყველაზე მაღალი მნიშვნელობის მიზანს მისი ეროვნული ინტერესების დაცვა უნდა წარმოადგენდეს. „ანარქიულ საერთაშორისო სისტემაში სადაც სახელმწიფოები ერთმანეთის კონკურენტები არიან, მმართველმა ელიტამ სახელმწიფოს დაცვა და გადარჩენა ყველაზე მნიშვნელოვან ადგილზე უნდა დააყენოს. (Gilpin, 1996)

არანაკლებ საინტერესოა მისი მოსაზრება საერთაშორისო ურთიერთობებში ძალის პრიმატის შესახებ. გილპინის აზრით, მისთვის ძალის კონცეფცია - სამხედრო, ეკონომიკურ და ფსიქოლოგიურ ნაწილებად იყოფოდა. „პოლიტიკურ ანარქიასა და ინტერესთა კონფლიქტის პირობებში, ძალის ჩვენებას ფუნდამენტური როლი აქვს საერთაშორისო ურთიერთობებსა და პოლიტიკურ ცხოვრებაში“ (Gilpin, 1996)

ეროვნულ ინტერესებსა და უსაფრთხოებაზე საუბრისას გვერდს ვერ ავუვალთ თავდასხმითი რეალისმის თეორიის ერთ-ერთი ფუძემდებლის ჯონ მერშაიმერის წიგნს „The Tragedy of Great Powers“. ნაშრომის ერთ-ერთ მთავარ აზრს წარმოადგენს ფაქტი, რომ ზესახელმწიფოები საკუთარი ზალაუფლებისა და გავლენების მუდმივი გაფართოებისკენ მიისწრაფვიან და მათ ეს სურვილი არსად გაუქრებათ - „სამწუხარო ფაქტია, რომ საერთაშორისო პოლიტიკა დაუნდობელ და სახიფათო საქმეს წარმოადგენს. დიდი ალბათობით, ეს ასეც დარჩება“. (Mearsheimer, 2001)

მერშაიმერი წერს, რომ სახელმწიფოები სტატუს ქვოს შენარჩუნებისკენ არ იღწვიან და პირიქით, საკუთარი გაღვენებისა და ძალაუფლების გაზრდისკენ არიან მომართულები. იგი თვლის, რომ ზესახელმწიფოებს არ გააჩნიათ ერთმანეთს შორის ნდობა, მუდმივად შიშის ქვეშ არიან და ყოველთვის აქვთ სხვაზე თავდასხმისა და იერიშის მიტანის სურვილი, ოღონდ ერთ მნიშვნელოვან გარემოებასაც აკონკრეტებს - „ ძალთა ბალანსის ცვლილების შედეგად გამოწვეული რისკები და საფრთხეები პოტენციურად თუ მაღალია, მაშინ ზესახელმწიფოები მოცდას ამჯობინებენ და უფრო ხელსაყრელ პირობებს ელოდებიან.“ (Mearsheimer, 2001)

იგი ასევე წერს, რომ სამუდამოდ ვერცერთი სახელმწიფო მოახერხებს ჰეგემონის სტატუსის დასაკუთრებას, ამიტომ ზესახელმწიფოებს შორის ბრძოლა სულ გაგრძელდება. ისინი ყველა მათ ხელში არსებულ შესაძლებლობას გამოიყენებენ, რომ გააძლიერონ საკუთარი მდგომარეობა. ამ ფაქტს მერშაიმერი შემდეგი გარემოებით ხსნის - „ დიდი სახელმწიფოები მუდამ მზად არიან თავდასხმის განსახორციელებლად.“ (Mearsheimer, 2001)

უსაფრთხოებაზე საუბრისას მერშაიმერი წერს, რომ სახელმწიფოები ერთმანეთისთვის საფრთხეებს წარმოადგენენ და არ არსებობს რაიმე ზესახელმწიფოებრივი ავტორიტეტი, რომელიც წესრიგს უზრუნველყოფს. აქედან გამომდინარე, ქვეყნებს მარტო უწევთ ბრძოლა საკუთარი უსაფრთხოების დაცვისთვის და გადარჩენისთვის - „ალიანსები დროებით ქორწინებას გავს. დღევანდელი პარტნიორი შესაძლებელია ხვალ მტერი გახდეს და პირიქით“. (Mersheimer, 2001)

ჯონ მერშაიმერი როგორც „თავდაცვითი რეალიზმის“, ასევე სხვა თეორიული სკოლების წარმომადგენლების მოსაზრებას არ იზიარებს და წერს - „დიდი სახელმწიფოები ძალის გამოყენების ინსტრუმენტს ვერ დაივიწყებენ და საერთაშორისო მშვიდობის დამყარებას არ შეეცდებიან. ისინი ვერ იქნებიან დარწმუნებულები, რომ მათი პოლიტიკა წარმატებული იქნება. იმ შემთხვევაში, თუკი ეს მცდელობები წარუმატებლად ჩაივლის, სანაცვლოდ მკვეთრად გაზრდილი საფასურის გადახდა მოუწევთ“. (Mersheimer, 2001)

ჯონ მერშაიმერის მოსაზრებების გარდა, საინტერესოა კიდევ ერთი ნეორეალისტი მკვლევარის, ოლონდ „თავდაცვითი რეალიზმის“ თეორიის ფუძემდებლის კენეტ ვოლცის მოსაზრების გაზიარება. მთავარი განმასხვავებელი ფაქტორი გახლავთ ის, რომ აღნიშნული პერსპექტივიდან სახელმწიფოები მერშაიმერისგან გაკრიტიკებულ სტატუს კვოს დაცვას ცდილობენ.

კენეტ ვოლცი წერს რომ სახელმწიფოების, როგორც საერთაშორისო ურთიერთობების აქტორების ბუნებრივი მდგომარეობაა მუდმივად ომის პოზიციაში ყოფნა - „ზოგიერთმა სახელმწიფომ შესაძლებელია რომ ძალა ნებისმიერ მომენტში გამოიყენოს, ამიტომ ყველა სახელმწიფო უნდა იყოს მზად ანალოგიური ქმედების განსახორციელებლად“. (Waltz, 1979)

საინტერესოა ცნობილი ამერიკელი მკვლევარის მაქს ბუტის სტატია, რომელიც “The Weekly Standard”-ში 2001 წელს დაიბეჭდა და 9/11-ის ტერაქტის შემდეგ განსავითარებელ მოვლენებს ეხებოდა. უკანასკნელ პერიოდში ბუტმა საკუთარი მიდგომები მნიშვნელოვნად შეიცვალა, თუმცა საჭიროდ მივიჩნევ მისი იმდროინდელი მოსაზრებების განხილვას.

“ჩვენი მიზნები უფრო მეტად ექსპანსიური, ხოლო იმპლიმენტაცია უფრო მტკიცე სახის უნდა იყოს“- სწორად ამ ნაწილით იწყება მისი სტატია, სადაც 11 სექტემბრის ტერაქტის საპასუხო გეგმების მიმოხილული. ბუტი წუხდა, რომ ამერიკის შეერთებული შტატები მხოლოდ ე.წ „Proxy War“-ის გამოყენებით მოქმედებდა (რის მაგალითადაც ავღანეთისთვის გადაცემული იარაღი მოაქვს) და კითხვას სვამდა, რომ თუკი პრობლემები უფრო ფართო სახის გახდებოდა (თალიბანის აღზევება მაგალითად, რაც მოხდა კიდევ), მაშინ პასუხისმგებლობა ვის უნდა აეღო და საკითხი როგორ უნდა გადაწყვეტილიყო?

მაქს ბუტი მიიჩნევდა, რომ სამხედრო ძალის გამოყენება ეროვნული უსაფრთხოების დაცვის კონტექსტში მნიშვნელოვანი და აუცილებელი იყო, რისთვისაც პრეზიდენტ კლინტონს აკრიტიკებდა: „ 1998 წელს კენიასა და ტანზანიაში ამერიკის შეერთებული შტატების საელჩოებზე განხორციელებული თავდასხმების შემდეგ, ბილ კლინტონმა საზღვაო რაკეტების გამოყენება გადაწყვიტა. ჯარისკაცების გამოყენების ნაცვლად, კლინტონმა

სიმბოლური თავდასხმა განახორციელა ავღანეთში ოსამა ბინ ლადენის საწვრთნელ ბაზასა და სუდანში ფარმაცევტულ საწარმოზე.“(Boot, 2001)

სტატიაში ბუტი აკრძელებს კრიტიკული მოსაზრებების თავმოყრას ამერიკის შეერთებული შტატების პასიური ბოლიტიკის გამო და წერს, რომ სპარსეთის ყურის ომის შემდეგ ოპერაცი ბალდადამდე, სადამ ჰუსეინი ხელისუფლებიდან ჩამოგდებამდე უნდა მისულიყო. ჯორჯ ბუში უფროსის მხრიდან აღნიშნულ გაგრძელებაზე უარის თქმას და შემდგომში სადამის მიერ ქურთებისა და შიიტი მოსახლეობის წინააღმდეგ დაწყებულ რეპრესიებს ბუტი აშშ-ს ისტორიის ერთ-ერთ სამარცხვინო ფაქტად მოიხსენიებს. სადამ ჰუსეინზე საუბრისას ის წერს - „სადამ ჰუსეინის 11 სექტემბრის ტერაქტში ჩართულობაზე არსებული დებატები მთავარ საკითხს მთლიანად აცდენილია. ვის ადარდებს იყო თუ არა ის კონკრეტულად ამ ბარბაროსული ქმედების მონაწილე? უკანასკნელი წლების განმავლობაში, ის იმდენ მსგავს ბარბაროსულ ქმედებაში მონაწილეობდა - მაგალითად ქურთების გაზით დახოცვა და ქუვეითელების გაუპატიურება, რომ ათასჯერ იმსახურებდა სიკვდილით დასჯას. სადამის დამხობა მხოლოდ სამართალის ზეიმი არ გახლავთ, ეს საკითხი ეროვნული თავდაცვის მნიშვნელობისაა“. (Boot, 2001)

სტატიის გაგრძელებაში წერია, რომ აშშ-ს ყურადღება ერაყზეც უნდა გადაეტანა და სადამ ჰუსეინის სწრაფად მოცილებისთვის ამერიკელი სამხედროების ერაყში შეჭრა იქნებოდა საჭირო. ბუტი წერს იმას, რასაც ნაშრომის ზედა ნაწილში ავღნიშნავდი - ერაყის მოკავშირე ქვეყნად გადაქცევის თაობაზე: „სადამის გადაგდების შემდეგ, ჩვენ შეგვეძლება საერთაშორისო მართველობის დაფუძნება ბალდადში, სადაც წამყვანი როლი აშშ-ს მიენიჭება. ეს იქნება შანსი, რომ დაფუძნდეს პირველი არაბული დემოკრატია.“ (boot, 2001)

მაქს ბუტი სტატიას ბინ ლადენის ლიკვიდაციისა და ერაყის ოკუპაციის სურვილით ამთავრებს. იგი მტრების განადგურების გარდა, მათი „ბუდეების“ განადგურებაზე წერდა. ბუტის მოტივები ეროვნული უსაფრთხოების დაცვით იყო პირველრიგში გამოწვეული.

ომის გამოწვევი ძირითადი მიზეზები

2003 წლის ერაყის ომი რამდენიმე ძირითად მიზეზს ეფუძნება, რომელიც ნაშრომის განმავლობაში უკვე გამოვყავით. აღნიშნულ თავში, იმ ორ ფუნდამენტურ გარემოებაზე გავამახვილებ ყურადღებას, რამაც აღნიშნული სამხედრო კამპანიის დაწყება განაპირობა.

პირველი საკითხი გახლავთ სადამ ჰუსეინისა და ტერორისტების კავშირი. 90-იანი წლების დასაწყისში ერაყი მიერთებული იყო გაეროს იმ რეზოლუციას, რომლის თანახმადაც ქვეყანა ტერორისტულ დაჯგუფებებს დახმარებაზე უარს ამბობდა. სადამ ჰუსეინისა და მისი ხელისუფლების ერთ-ერთი დამახასიათებელი შტრიხი ისიც გახლდათ, რომ სეკულარული მმართველობის პრინციპს ეფუძნებოდნენ. თუმცა, საჯაროდ დეკლარირებული განცხადებებისა და პრინციპების მიუხედავად, ერაყის ხელისუფლებისა და რადიკალური ისლამისტური დაჯგუფებების კავშირი მაინც დღის წესრიგში იდგა. მიმოხილვისთვის საწყის წერტილად სპარსეთის ყურის ომის დასრულების შემდეგ პერიოდს ავიღებ და 2003 წლის ომის წინა პერიოდამდე მივალ.

სპარსეთის ყურის ომის დასრულების შემდეგ, ამ კუთხით ერთ-ერთი პირველი და თვალსაჩინო შემთხვევა ჯორჯ ბუში უმცროსის ლიკვიდირების მცდელობას უკავშირდება.

1993 წლის აპრილში, ამერიკის შეერთებული შტატების ყოფილი პრეზიდენტი ქუვეითში სამ დღიანი ვიზიტით იმყოფებოდა, რა დროსაც მასზე თავდასხმის განხორციელება იგეგმებოდა. აშშ-ს სპეცსამსახურება დროულად მოახერხერს თავდასხმის პრევენცია. ამერიკელი გამომძიებლების ორ თვიანი სამ მიმართულებით იმუშავეს: 1) გამოძიების ფედერალური ბიუროს (FBI) აგენტები ქუვეითში გაემგზავრნენ და მთავარი ეჭვმიტანილები დაკითხეს. 2) FBI-ის ექსპერტების დასკვნით, მანქანაში დამონტაჟებული ბომბი უკავშირდებოდა წარსულში ერაყში მომხდარ სხვადასხვა აფეთქებებს. 3) დაზვერვის სამსახურის მონაცემებით, სადამ ჰუსეინისგან მომავალი მუქარა ჯორჯ ბუში უფროსის წინააღმდეგ სერიოზული ხასიათის იყო. ამ მონაცემებზე დაყრდნობით პრაქტიკულად ეჭვგარეშე გახდა, რომ აშშ-ს ყოფილ პრეზიდენტზე თავდასხმის კვალი მხოლოდ ერთი მიმართულებით - ერაყის ხელისუფლებისკენ მიდიოდა.

ჯორჯ ბუში უფროსის წინააღმდეგ ჩაშლილ ტერაქტს საკმაოდ ხისტად გამოეხმაურა ამერიკის შეერთებული შტატების მაშინდელი პრეზიდენტი ბილ კლინტონი, რომელმაც ტერაქტის მოტივი სპარსეთის ყურის ომს და სადამ ჰუსეინის სამხედროების განდევნით ახსნა: „ეს გახლდათ საგულდაგულოდ დამუშავებული თავდასხმის გეგმა ერაყის მთავრობის მიერ, რომლის სამიზნესაც აშშ-ს ყოფილი პრეზიდენტი წარმოადგენდა. ამის მიზეზი ბუშის მიერ პრეზიდენტობისას მიღებული გადაწყვეტილებები გახლავთ. ერაყელების მიერ პრეზიდენტ ბუშზე თავდასხმა ნიშნავს ჩვენ ქვეყანასა და ყველა ამერიკელზე თავდასხმას.“ (Clinton, 1993)

აშშ-ს პირველი პასუხი ტერაქტზე ის გახლდათ, რომ 15-ზე მეტი ადამიანი დააკავა მომენტალურად, რომლებიც აღნიშნული თავდასხმის ორგანიზებაში იყვნენ ჩართული. ხოლო გამოძიების დასრულების შემდეგ, მათ გაცილებით უფრო აგრესიული პასუხი აირჩიეს - რაც ბაღდადში ერაყის სადაზვერვო სამსახურის შენობების დაბომბვებში გამოიხატა. ოფიციალური განმარტების მიხედვით, ცეცხლი იმ შენობებს გაუხსნეს, სადაც უშუალოდ განხორციელდა პრეზიდენტ ბუშის წინააღმდეგ ტერაქტის დაგეგმვა. ოფიციალურ განმარტებაში ისიც იყო აღნიშნული, რომ ამ შენობებში სხვა არაერთი ტერორისტული აქტი დაგეგმილა.

ტერორისტებთან თანამშრომლობის კუთხით, სადამ ჰუსეინის ბიოგრაფია კიდევ ერთ მძიმე ისტორიას - აბდულ რაჰმან იასნთან თანამშრომლობას იცნობს. ლიტერატურის მიმოხილვის ნაწილში როგორც უკვე ავღნიშნე, რიჩარდ ჩეინი ამ ფაქტს დიდ ყურადღებას უთმობდა საკუთარ ავტობიოგრაფიულ ნაშრომში, როდესაც სადამისა და ტერორისტების კავშირს მიმოიხილავდა.

აბდულ რაჰმან იასნი 1993 წელს მსოფლიოს სავაჭრო ცენტრზე განხორციელებული თავდასხმაში მონაწილე პირი იყო. მისი ჩართულობა ამ ტერაქტში ძირითადად ასაფეთქებელი საშუალებების დამზადებასა და მიწოდების კუთხით გამოიხატა.

2001 წელს პრეზიდენტმა ჯორჯ ბუშმა საჯაროდ განაცხადა, რომ აბდულ იასნი მსოფლიოს ერთ-ერთ ყველაზე საშიშ ტერორისტი იყო. მასზე ჯილდოც დაწესდა, რომელიც იმ

დროისთვის ორ ათეულ მილიონ ამერიკულ დოლარს უტოლდებოდა. სწორად ასეთი ადამიანის მფარველობასა და ხელისშეწყობაში იყო ერაყის ხელისუფლება ბრალდებული.

აბდულ რაჰმან იასინის გარდა, სადამ ჰუსეინის ირგვლივ კიდევ ერთი საშიში ტერორისტის - მუჰამედ ზაიდანი ფიგურირებს, რომელიც მეორენაირად აბუ აბასის სახელით არის ცნობილი. მუჰამედ ზაიდანი „პალესტინის განმანთავისუფლებელი ფრონტის“ (PLF) დამფუძნებელი და ლიდერი იყო. იგი ცნობილი იყო ისრაელის წინააღმდეგ გონხორციელებული არაერთი თავდასხმის ორგანიზებით.

1985 წელს აბუ აბასმა იტალიური საკრუიზო გემი „აკილე ლაურო“ გაიტაცა და ამერიკის შერეიებული შტატების მოქალაქე მოკლა, რომელიც შემდგომ გამტაცებლებმა წყალში გადააგდეს. სხვადასხვა ქვეყნის გავლით, მუჰამედ ზაიდანი საბოლოო ჯამში ერაყში მოხვდა, სადაც სადამ ჰუსეინმა მას დაცული პირობები შეუქმნა. ერაყის ხელისუფლება უარს ამბობდა ზაიდანის იტალიისთვის გადაცემაზე, სადაც მას 5-ჯერ ჰქონდა სამუდამო პატიმრობა დაუსწრებლად მისჯილი. ტერორიზმის, მეკობრეობისა და სხვა დანაშაულებების მიზეზით, ზაიდანზე ძებნა აშშ-იც იყო გამოცხადებული. საბოლოო ჯამში, იგი 2003 წლამდე ერაყში თავისუფლად ცხოვრობდა, ხოლო ომის დაწყების შემდეგ აშშ-ს სპეცდამსახურებმა დააკვეს, ერაყიდან სირიაში გადასვლის დროს.

საბრი ხალილ ალ-ბანა, სადამ ჰუსეინთან დაკავშირებული კიდევ ერთი სისხლიანი პიროვნება, რომელიც საზოგადოებისთვის აბუ ნიდალის სახელით არის ცნობილი. იგი იყო პალესტინური სამხედრო-ნაციონალისტური გაერთიანება „ აბუ ნიდალის ორგანიზაციის“ (ANO) დამფუძნებელი და ლიდერი. ამ ორგანიზაციას არაერთი თავდასხმა უკავშირდება, რომლის შედეგადაც 1500-ზე მეტი ადამიანი გარდაიცვალა და დაშავდა. აქედან ყველაზე გახმაურებულ საქმეებად გაერთიანებულ სამეფოში ისრაელის ელჩზე შლომო არგოვზე განხორციელებული თავდასხმა და 1985 წელს ვენისა და რომის აეროპორტში, პარალელურ რეჟიმში მომხდარი ტერაქტებია, რომლის შედეგადაც ჯამში 20 ადამიანი გარდაიცვალა. იგი 2002 წელს გარდაიცვალა და სიკვდილამდე ბოლო პერიოდში თავს ერაყს აფარებდა.

აღნიშნული შემთხვევების გარდა, სადამისა და ტერორისტებზე კავშირზე საუბრისას ძირითადად ნაშრომში უკვე დასახელებულ შემთხვევას, პალესტინელი თვითმკვლელების ნათესავებისთვის გაწეული ფინანსური დახმარებაა. გაზეთ New York Times-ის ცნობით, სადამ ჰუსეინის ხელისუფლება თითო კამიკაძეზე \$10 ათასიდან -\$25 ათასამდე დახმარებას გასცემდა.

აგრეთვე, საინტერესოა ისრაელის საგარეო საქმეთა სამინისტროს მიერ 2002 წელს გამოქვეყნებული ინფორმაცია, რომლის თანახმადაც ერაყელები მხარს უჭერდნენ და ახალისებდნენ პალესტინაში ტერორიზმს. მცირე ნაწყვეტი ანგარიშიდან: „ დოკუმენტების საფუძველზე დადგინდა, რომ იორდანიაში განთავსებული პალესტინის საელჩო აქტიურ როლს წარმოადგენს სადამ ჰუსეინისგან მომავალი ფინანსების განაწილებაში ტერორისტებისა და კამიკაძეების იორდანიაში მცხოვრები ოჯახის წევრებისთვის.“ (IMFA, 2002)

პალესტინელი ტერორისტების მხარდაჭერის ნაწილში მეტი სიცხადის დასანახად, თავად სადამ ჰუსეინის მიერ გაკეთებული განცხადებას შეგვიძლია გადავავლოთ თვალი: „ ჩვენ უზომოდ მოხარული ვართ პალესტინელი ხალხის გმირული და სუიციდური ხასიათის გამო. ალაჰის სახელით, რასაც პალესტინელი ხალხი ჩადის, ჩემი მოლოდინების მიღმაა...“ (Hussein, 2002)

ყურადღების ფოკუსირება ყველაზე მეტად აბუ მუსაბ ალ-ზარქავის ნაწილზე მოხდა, რომელიც სრული თავისუფლებით გადაადგილდებოდა და ახორციელებდა თავის საქმიანობას ერაყის ტერიტორიაზე. მისი გეოგრაფიული არეალი შემოფარგლული არ ყოფილა, იგი შემჩნეულია როგორც ბაღდათში, ასევე ქვეყნის სხვადასხვა ნაწილებში.

ალ-ზარქავი იმდენად „მსხვილი“ ფიგურა გახლდათ, რომ სადამისთვის იგი ყველაზე „მძიმე“ ბრალდებათ შეგვიძლია მივიჩნიოთ, ტერორისტებთან კავშირის თვალთახედვით. 9/11-ის ტერაქტის შემდეგ, იგი პირდაპირ იყო დაკავშირებული ამერიკის შეერთებული შტატების ნომერ პირველ სამიზნეებთან - „თალიბანთან“ და ტერორისტულ დაჯგუფება

„ალ-ქაიდასთან“. 2005 წლის მდგომარეობით, ამერიკის შეერთებული შტატების მთავრობა ზარქავის სანაცვლოდ დიდ საზღაურს - \$25 მილიონს იხდიდა.

ნაშრომის მეორე ცვლადს სადამ ჰუსეინის ხელში მასობრივი განადგურების იარაღის არსებობა შეადგენს. ამ საკითხის ირგვლივ სხვადასხვა ქვეყნების სადაზვერვო სამსახურების მიერ გაკეთებული ანგარიშები არსებობს, რომელსაც ქვემოთ მიმოვიხილავ.

აშშ-ს ცენტრალური სადაზვერვო სააგენტომ (CIA) 2002 წლის ოქტომბერში სპეციალური ანგარიში გამოაქვეყნა, რომელიც ერაყის მასობრივი განადგურების იარაღის პროგრამებს (WMD) აღწერდა. ანგარიშის შესავალ ნაწილში წერია, რომ გაეროს რეზოლუციისა და შეზღუდვების მიუხედავად, ერაყის ხელისუფლება მაინც განაგრძობდა მასობრივი განადგურების იარაღის პროგრამებს.

აქვე აღნიშნული იყო, რომ ოფიციალურ ბაღდადს ქიმიურ და ბიოლოგიურ იარაღთან ერთად, ისეთი სამხედრო ტიპის რაკეტები გააჩნდა, რომელთა ფლობაც გაეროს მიერ აკრძალული იყო. შესავალი ტექსტის მთავარ ნაწილს ის მოსაზრება წარმოადგენდა, რომლის მიხედვითაც ერაყს ათწლეულის განმავლობაში ბირთვული იარაღის შექმნა შეეძლო, თუკი წესებს არ დაემორჩილებოდა. (CIA, 2002)

ანალოგიური შინაარსის მქონე ტექსტს ვნახავთ 2002 წელს ბრიტანული გაერთიანებული სადაზვერვო კომიტეტის (JIC) მიერ მომზადებულ სპეციალურ ანგარიშში, რომელიც ერაყის მასობრივი განადგურების იარაღის პროგრამას ეხება. ამ ანგარიშის საწყის ნაწილში შემდეგი ინფრომაციაა მოცემული: „სანქციების, წარსულში მიყენებული ზიანის, გაეროს უშიშროების საბჭოს მიერ მკაცრად დაგმობისა და უარყოფის მიუხედავად, სადამ ჰუსეინი ეწევა აგრძელებს WMD-ს პროგრამების განვითარებას.“ (JIC, 2002)

CIA-ს მიერ მოზადებულ დოკუმენტაციაში ასევე წერია, რომ 1998 წელს გაეროს ინსპექტორების ქვეყნიდან გაძევების შემდეგ, სადამ ჰუსეინმა ქიმიური იარაღის პროგრამა შეინარჩუნა, გააძლიერა სარაკეტო პროგრამა და უფრო მსხვილი ინვესტიციები ჩადო ბიოლოგიური იარაღის წარმოებაში. „მრავალი ანალიტიკოსის შეფასებით, ერაყს ბირთვული იარაღის პროგრამა განახლებული აქვს.“ (CIA, 2002)

ანგარიშში ასევე ნათქვამია, რომ ოფიციალური ბალდადი სპარსეთის ყურის ომის შემდეგ WMD-ს ირგვლივ არსებულ მდგომარეობას და რეალურ სურათს განზრახ ამახინჯებდა და მალავდა.

არანაკლებ საინტერესოა მოსაზრება იმის შესახებ, რომ ერაყი თანამშრომლობაზე მუდმივად აცხადებდა უარს და წესების დარღვევით მოქმედებდა: „ერაყს არასდროს წარმოუდგენია დამაჯერებელი მკტიცებულება იარაღის, მარაგებისა და სამეწარმეო ინფრასტრუქტურის სრულად განადგურებაზე.“ (CIA,2002)

1998-2002 წლების პერიოდში მასობრივი განადგურების იარაღის პროგრამის მიმოხილვისას, ბრიტანეთის სპეცსამსახურები რამდენიმე ფაქტორზე ამახვილებენ ყურადღებას, მათ შორისაა სადამ ჰუსეინის მხრიდან რეგიონალური ძალთა ბალანსის მისთვის სასარგებლოდ შეცვლა. აღნიშნული მიზნის მისაღწევად, ჰუსეინისთვის მასობრივი განადგურების იარაღის შექმნა მნიშვნელოვან ინსტრუმენტს წარმოადგენდა.

იქიდან გამომდინარე, რომ ინფორმაცია უფრო მეტად ცხადი აღსაქმელი იყოს, სადამის მიერ წარმოებული იარაღების პროგრამების ზოგად მიმოხილვას აქ დავასრულებ და სანაცვლოდ ქიმიური, ბიოლოგიური და ბირთვული იარაღების პროგრამის შესახებ არსებულ ინფორმაციას ერთმანეთისგან გამოყოფილი და უფრო მარტივად აღსაქმელი სახით მოგაწვდით.

ბირთვული იარაღის პროგრამა: ცნობილია, რომ სპარსეთის ყურის ომამდე ერაყს ბირთვული იარაღის განვითარების პროგრამა დაწყებული ქონდა. ცენტრალური სადაზვერვო სააგენტოს რეპორტში ნათქვამია, რომ „ბალდადი ურანის გამდიდრების სხვადასხვა საშუალებას ცდილობდა, საიდანაც ყველაზე წარმატებული ელექტრომაგნიტური იზოტოპების (EMIS) დაცალკევება და გაზის ცენტრიფუგის პროგრამა იყო.“ (CIA, 2002).

ცნობები იმის შესახებ, რომ ერაყს ხელახლა ქონდა დაწყებული ბირთვული იარაღის პროგრამაზე სულ უფრო და უფრო ხშირი ხდებოდა.

ბირთვულ იარაღთან დაკავშირებით, აშშ-ს ცენტრალურ სადაზვერვო სააგენტოში მიაჩნდათ, რომ სანქციებისა და დანააკრგების მიუხედავად, სადამ ჰუსეინს კვლავ სურდა ბირთვული პროგრამის განვითარება. „ერაყის გაფართოებული საგარეო ვაჭრობა იძლევა გაზრდილ შესაძლებლობას ბირთვულ ტექნოლოგიაზე, მასალებსა და პოტენციურ უცხოურ ბირთვულ ექსპერტიზის ხელმისაწვდომობაზე.“ (CIA,2002)

სადაზვერვო მონაცემების მიხედვით, ბირთვული იარაღის შექმნის სურვილზე ის ფაქტიც მეტყველებდა, რომ ერაყი აქტიურად ცდილობდა მაღალი სიმძლავრის მქონე ალუმინის მილების მოპოვებას, რაც ბირთვული პროგრამის გამდიდრების სურვილით იყო გამწვეული. „მილების ზომებიდან გამომდინარე შეიძლება დავასკვნათ, რომ ერაყი ცდილობს ათობით ათასი ცენტრიფუგას გამოიმუშვებას, საკმარისად მაღლა განვითარებული ურანის მილების შესაძლებლობას, რომელიც თავის მხრივ წელიწადში რამდენიმე იარაღის მისაღებად საკმარისი იქნება“ (CIA, 2002)

სავარაუდო დრო, თუ რა პერიოდში მოახერხებდა სადამ ჰუსეინი ბირთვული იარაღის სრულყოფას, ზუსტად განსაზღვრული არ იყო. CIA-ს ანგარიშის მიხედვით, ეს საკითხი დამოკიდებული იყო, თუ როდის მიიღებდა ერაყის ხელისუფლება საკმარის რაოდენობის ნივთირებებს.

არსებული დინამიკით, ბაღდადს ბირთვული იარაღის ათწლეულის მეორე ნახევრამდე ვერ უნდა მოეხერხებინა, თუმცა იყო გამონაკლისი შემთხვევა, რაც პროცესს მნიშვნელოვნად დააჩქარებდა: „ბაღდადს ბირთვული იარაღის შექმნა ერთი წლის თავზე შეეძლება, თუკი მოახერხებდა საზღვარგარეთ იარაღისთვის საჭირო მასალის შექმნას“. (CIA, 2002).

ანალოგიურ შეფასებას იძლევა ბრიტანეთის სადაზვერვო სამსახური. მათი აღწერა ემთხვევა ამერიკელებისას და ნათქვამია, რომ მიუხედავად მატერიალური დანაკლისებისა, ერაყის ხელისუფლებას ბირთვულ იარაღზე მუშაობა დაწყებული აქვს. იმ შემთხვევაში, თუკი სადამ ჰუსეინი საზღვარგარეთული წყაროების გამოყენებით საჭირო შევესებას მიიღებდა, მაშინ ბირთვული იარაღის საწარმოებლად საჭირო დრო 1-2 წლამდე შემცირდებოდა. (JIC, 2002)

ქიმიური იარაღის პროგრამა: სადამ ჰუსეინისთვის ქიმიური იარაღი უცხო ნამდვილად არ იყო და მისი გამოყენების შედეგად, 1980-იან წლებში დაახლოებით 20 ათასი ადამიანი გარდაიცვალა ან სიცოცხლისთვის სახიფათო დაზიანება მიიღო. 1991 წლის სპასრსეთის ყურის ომამდე, ერაყს ქიმიური აგენტების დიდი მარაგი გააჩნდა.

„ბაღდადი ზრდის საკუთარ ინფრასტრუქტურას, რაც ქიმიური იარაღის წარმოების შესაძლებლობებს აფართოვებს. ამ ყველაფერს კი სამოქალაქო ინდუსტრიების საფარქვეშ მალავს“ - სწორად ასე შეფასებული CIA-ს ანგარიშში ქიმიური იარაღის პროგრამის მიმდინარეობა.

80-იანი წლების მიწურულს არსებულ რესურსთან შედარებით, ქიმიური იარაღის მოცულობა შემცირებული იყო, თუმცა უკანსკნელ პერიოდში ერაყი წარმოებაზე უარს არ ამბობს. „ერაყს სავარაუდოთ საიდუმლო სახით აქვს პრეკურსორები, წარმოებისთვის საჭირო აღჭურვილობა, დოკუმენტაცია და სხვა აუცილებელი მასალა, რაც ქიმიური იარაღის პროგრამის გასაგრძელებლად საჭირო“(CIA, 2002)

ქიმიური იარაღის წარმოებაზე მიუთითებდა ის ფაქტიც, რომ სადამ ჰუსეინმა ხელახლა ააშენა და გადააიარაღა ამ ტიპის რამდენიმე საწარმო. „აშენდა ახალი ქიმიური ობიექტები, რომლებიც სრული დატვირთვის ეწევიან წარმოებას ან მზად არიან ასამუშავებლად. მათ შორის არის ტარმიაჰში განთავსებული ქიმიური კვლევის ცენტრი“.(JIC, 2002)

ამავე ანგარიშში წერია, რომ წარსულში ქიმიური იარაღის პროგრამაში მოღვაწე ექსპერტები კვლავ ქვეყანაში რჩებოდნენ, ასევე აღმოჩენილი იყო არაერთი ტექნიკური ინსტრუქციების შემცველი დოკუმენტაცია, რომლის თაობაზეც ერაყის ხელისუფლება ცრუ ინფორმაციას ავრცელებდა და ამბობდა, რომ თითქოს სრულად იყო განადგურებული.

ბიოლოგიური იარაღის პროგრამა: ბიოლოგიური იარაღის პროგრამა კიდევ ერთი და მორიგი განშტოება იყო, სადაც ერაყის ხელისუფლება დეკლარირებულად ერთს ამბობდა, ხოლო სინამდვილეში მეორეს და საწინააღმდეგოს აკეთებდა. ნათელ დამადასტურებელ მაგალითს წარმოადგენს 1995 წლის „აღიარებითი ჩვენება“, რომლის მიხედვითაც ერაყის ხელისუფლებამ დაადასტურა ბიოლოგიური აგენტის ფართო მასშტაბით წარმოება. ამ

პერიოდამდე, სადამ ჰუსეინის რეჟიმის წარმომადგენლები მუდმივად იმეორებდნენ, რომ ბიოლოგიური იარაღის პროგრამა მცირე მასშტაბისა და თავდაცვითი ხასიათის იყო.

„ერაყის ხელისუფლებამ დაადასტურა, რომ სპარსეთის ყურის ომამდე აწარმოებდა ათასობით ლიტრ ანტრაქს ბიოლოგიური იარაღისთვის, ბოტულინუმს ტოქსინს (რომელიც კუნთის რეცეპტორების პარალიზებას იწვევს და შესაძლოა ფატალური შედეგის მომტანი აღმოჩნდეს 24- 36 საათის ფარგლებში), აფლატოქსინს (ძლიერმოქმედი კანცეროგენი, რომელიც ღვიძლს ურტყამს გადაყლაპვიდან რამდენიმე წელიწადში სიკვდილს იწვევს), ბიოლოგიური იარაღის ჭურვებს, საჰაერო ბომბებსა და საჰაერო ხსნარებს. ბაღდადს არ მოუწოდებია დამაჯერებელი მტკიცებულებები, ბიოლოგიური იარაღის აგენტისა და შეიარაღების ცალმხრივი განადგურების შესახებ“. (CIA, 2002)

დოკუმენტში ასევე ჩამოყალიბებულია მოსაზრება იმის შესახებ, რომ ერაყის ხელისუფლებას ბიოლოგიური იარაღისთვის საჭირო პროდუქციის საწარმოები მასობრივად განათავსა ქვეყნის ტერიტორიაზე და გავიდა უფრო დიდ მასშტაბებზე, ვიდრე ეს სპარსეთის ყურის ომის წინა პერიოდში იყო. კიდევ ერთ დამახასიათებელ თვისებას წარმოადგენდა ის ფაქტიც, რომ მსგავსი საწარმოები სამოქალაქო მიზნებისთვის განკუთვნილი ინფრასტრუქტურის საბურველის ქვეშ იყო შეფარული.

CIA-ს რეპორტში ასევე ნახსენებია, რომ „არსებობდა მყარი მიზეზები შეშფოთების გამოსახატავად“ ბიოლოგიური იარაღის გამოსაშვებად განსაზღვრული მოძრავი საწარმოებისა და ლაბორატორიების თაობაზე. აღნიშნულ საკითხს ანგარიშში ცალკე აქვს ყურადღება დათმობილი.

შეჯამების სახით შეიძლება ითქვას, რომ ქიმიური და ბიოლოგიური იარაღის შემთხვევაში, სადამ ჰუსეინს ერთის მხრივ 1991 წლის სპარსეთის ყურის ომამდე არსებული და არ განადგურებული მარაგი გააჩნდა და ამავდროულად აქტიურად ეწეოდა პროგრამებისთვის საჭირო „ინგრედიენტების“ ხელახლა წარმოებას.

ბირთვული, ქიმიური და ბიოლოგიური იარაღის პროგრამების გარდა, დღის წესრიგში ბალისტიკური რაკეტების საკითხიც იდგა. „2002 წლის დასაწყისში JIC-იმ დაასკვნა, რომ

ერაყს დაწყებული ქონდა ისეთი რაკეტების პროგრამა, რომელიც 1,000 კმ-ს დაფარავდა. JIC მიიჩნევდა, რომ იმ შემთხვევაში თუკი სანქციები ეფექტურ შედეგს გამოიღებდა, ერაყელები მსგავსი ტიპის რაკეტების შექმნას 2007 წლამდე ვერ შეძლებდნენ“. (JIC, 2002)

გაეროს უშიშროების საბჭოს რეზოლუციის თანახმად, ერაყს არ უნდა ჰქონოდა ისეთი ბალისტიკური რაკეტები, რომლის დაფარვის ზონაც 150 კილომეტრზე მეტს მოიცავდა. ამავდროულად ერაყი ვალდებული იყო, რომ ასეთი იარაღის არსებობის შემთხვევაში, უპირობოდ მომხდარი მათი განადგურება. (UN, 1991)

მიუხედავად ამისა, CIA-ს ანგარიშიდან ნათელი ხდება, რომ სხვა შემთხვევების მსგავსად, ერაყი აღნიშნულ ვალდებულებების შესრულებაზე უარს ამბობდა. „ერაყს არასდროს აღურიცხავს სრულად საკუთარი რაკეტების პროგრამა.“ (CIA, 2002)

ამ რეპორტიდან ასევე ირკვევა, რომ აღრიცხვისგან თავის არიდების გარდა, პრობლემატურ საკითხს წარმოადგენდა რაკეტების წარმოებისთვის საჭირო ინფრასტრუქტურის ხელახლა აწყობა და გაფართოვება. „ერაყელების შუამავლებებს სურდათ ტექნოლოგიების, ხელსაწყოები და ნედლი მასალები, სამხედრო ემბარგოს დარღვევის მიუხედავად“. (CIA, 2002)

სადაზვერვო სამსახურების ანგარიშებზე დაყრდნობით შეგვიძლია შევაჯამოთ, რომ სადამ ჰუსეინი ერთის მხრივ უკვე არღვევდა გაეროს რეზოლუციას, ვინაიდან 150 კმ-ზე დიდი დისტანციის რაკეტები გააჩნდა, მეორეს მხრივ კი აქტიურად ახორციელებდა პროგრამის განვითარებას, რისი მიზანიც უფრო ძლიერ და შორს მიმავალი ბალისტიკური რაკეტების შექმნა იყო. სპარსეთის ყურის ომისა და ოპერაცია „Desert Fox“-ის შემდეგ განადგურებული საწარმოების დიდი ნაწილი სადამს აღდგენილი ჰქონდა, ამავდროულად აქტიურად ცდილობდა საზღვარგარეთიდან არალეგალური ვაჭრობის გაფართოვებას.

ამერიკის შეერთებული შტატებისა და გაერთიანებული სამეფოს სადაზვერვო სამსახურების მიერ შემუშავებული ანგარიშების გარდა, ყურადღებას გაეროს მონიტორინგის,

ვერიფიკაციისა და ინსპექციის (UNMOVIC) ხელმძღვანელის, ჰანს ბლიქის ინფორმაციაზე გავამახვილებ.

2003 წლის 27 იანვრით დათარიღებულ გამოსვლაში, ჰანს ბლიქმა გაეროს უშიშროების საბჭოს ერაყში განხორციელებული მონიტორინგის შედეგები წარუდგინა. მისი შესავალი ტექსტი ერაყში არსებულ სამუშაო გარემოს შეფასებას ეხება, სადაც იგი რაიმე ხელშეშლას ან პრობლემას არ აფიქსირებს. მისი თქმით, ინსპექციები სხვადასხვა ადგილებსა და დღეებში (მათ შორის პარასკევს - მუსლიმთათვის დასვენების დღეს) შეფერხებების გარეშე განხორციელდა.

სამუშაო პროცესში ხელშეშლის ნაკლებობის მიუხედავად, ჰანს ბლიქმა კონკრეტული პრობლემა მაინც დაასახელა. საკითხი ერაყული მხრისგან საფრენ ზონაში უსაფრთხოების გარანტიების აღებას უკავშირდებოდა. საუბარი U-2-ის ტიპის თვითმფრინავით, გაეროს ჯგუფის მიერ საჰაერო დაკვირვებისა და გადაღების საკითხს ეხებოდა. „ჩვენ ავლნიშნეთ, რომ ერაყი წაყენებულ მოთხოვნას არ ითვალისწინებდა. იმედი მაქვს, რომ ეს მიდგომა მომავალში შეიცვლება“. (Blix, 2003)

2002 წელს გაეროს მიერ მიღებული რეზოლუცია-1441- ის თანახმად, ერაყის ხელისუფლებას ანგარიშის წარმოდგენის ვალდებულება ეკისრებოდა. პრობლემურმა საკითხებმა თავი ამ ნაწილშიც იჩინა. ერაყულმა მხარემ გაეროს 12,000 გვერდიანი ანგარიში დროულად ჩააბარა, სადაც ბლიქის მოსაზრებით არაერთი მიმართულებით აღინიშნებოდა. თუმცა, მიუხედავად ამისა, ბუნდოვანება მთლიანად არ ყოფილა გაფანტული. „12 ათას გვერდიანი დეკლარაცია ძირითადად ადრინდელი დოკუმენტების გამეორებას წარმოადგენდა და არ ჩანდა ახალი მტკიცებულებები, რომელიც კითხვებზე პასუხს სრლად ან ნაწილობრივ გასცემდა“. (Blix, 2003)

საკუთარ ანგარიშში ბლიქი ქიმიური იარაღის, ბიოლოგიური იარაღისა და რაკეტების ირგვლივ არსებულ საკითხებს მიმოიხილავს. ქიმიურ იარაღზე საუბრისას იგი აღნიშნავს, რომ ერაყის მხრიდან გაცხადებული ინფორმაციები ეჭვებს იწვევდა და რეალობას არ შეესაბამებოდა: „ერაყის მხარემ განაცხადა, რომ VX ნერვული აგენტი მცირე მასშტაბით,

მხოლოდ რამდენიმე აქვთ ნაწარმოები, რომელიც ცუდი ხარისხის იყო. ასევე ითქვა, რომ სპარსეთის ყურის ომის შემდეგ შემორჩენილი ნერვული აგენტის მცირე რაოდენობა 1991 წელს ცალმხრივად იყო განადგურებული. თუმცა, UNMOVIC-თვის ეს მტკიცება წინააღმდეგობრივია. მეტიც, წარმოდგენილი დოკუმენტაციიდანაც ირკვევა, რომ ნერვული აგენტის „სისუფთავე“ (purity) იყო გაცხადებულ მონაცემზე უფრო მაღალი. აგრეთვე, ჩვენ გვაქვს კითხვები VX-ის წინამორბედ ქიმიურ ნივთიერებასთან დაკავშირებით, რომელზეც პასუხი უნდა იყოს გაცემული.“ (Blix, 2003)

ჰანს ბლიქსი ბალდადიდან 170 კილომეტრში აღმოჩენილ ბუნკერზეც საუბრობს, სადაც ქიმიური რაკეტების ჭურვები ინახებოდა. მისი თქმით, ეს იყო ახალი ბუნკერი და შესაბამისად ჭურვებიც იმ პერიოდში იყო განთავსებული, როდესაც ერაყს ამის საშუალება არ უნდა ქონოდა.

ერაყის მიერ გადმოცემული ანგარიშიდან ასევე დადგინდა, რომ 1983 -1987 წლებში ერაყის საჰაერო ძალებმა 13,000 ქიმიური ბომბი ჩამოყარეს. ეს მაშინ, როდესაც ერაყის ხელისუფლების მტკიცებით 19,500 ქიმიური ბომბი ჰქონდათ ამ პერიოდში შექმნილი. აღნიშნულ საკითხზე ბლიქსის მოსაზრება შემდეგია: „ სხვაობა 6,500 ბომბს შეადგენს. ამ ბომბებში ქიმიური აგენტის შემადგენლობა 1,000 ტონა იქნება. ამ სხვაობის საწინააღმდეგო მტკიცებულებების არარსებობის გამო უნდა ვივარაუდოთ, რომ აღნიშნული რაოდენობის ქიმიური ნივთიერება აღურიცხავია“. (blix, 2003)

ჰანს ბლიქსმა საკუთარ გამოსვლაში ბიოლოგიურ იარღთან დაკავშირებულ პრობლემებზეც ისაუბრა. „ერაყის ხელისუფლებამ განაცხადა, რომ 8,500 ლიტრი ბიოლოგიური ნივთიერება აწარმოა, რომელიც 1991 წელს მათ მიერ ცალმხრივად განადგურდა. ერაყმა მცირე მტკიცებულებები წარმოადგინა ამ ნივთიერებების წარმოებაზე და საერთოდ ვერ დაადასტურა მისი განადგურების ფაქტი.“ (Blix, 2003)

მან ასევე განაცხადა, რომ ერაყული მხარე იმაზე მეტ ანტრაქს აწარმოებდა, ვიდრე ეს მათ მიერ გაკეთებულ დეკლარაციებში იყო. ბლიქსი ერაყის ხელისუფლებას მოუწოდებდა, რომ აღნიშნული ნივთიერება UNMOVIC-ის ზედამხედველობის ქვეშ განადგურებულიყო ან

საპასუხოდ ისეტი მტკიცებულებები წარმოედგინა, რომელიც ნივთიერების განადგურებას დაადასტურებდა.

ჰანს ბლიქსი ერაყში მუშაობის პერიოდში რაკეტების ირგვლივ არსებულ საკითხებსაც შეეხო. მისი თქმით, SCUD-ის ტიპის რაკეტების საკითხი კვლავ პრობლემატურად რჩებოდა. ერაყის ხელისუფლება ამტკიცებდა, რომ ეს რაკეტები 80-იან წლებში სრულად გახარჯა. “ამ დრომდე არ იყო წარმოდგენილი ტექნიკური ინფორმაცია, რაკეტების გახარჯვის თაობაზე“ (Blix, 2003)

რაკეტებზე საუბრისას ბლიქსი ყურადღებას ამახვილებდა იმ ფაქტზეც, რომ ერაყის ხელისუფლებამ თითქმის სრულად განაახლა პროდუქციის წარმოებისთვის საჭირო ინფრასტრუქტურა. არსებობდა ეჭვი, რომ აღნიშნული რესურსების პირობებში შესაძლებელი იყო ისეთი რაკეტის შექმნა, რომელიც ბევრად უფრო დიდ მანძილს დაფარავდა, ვიდრე ეს 150 კილომეტრია.

გაეროს მანდატით მომუშავე ჰანს ბლიქსის, ანუ ნეიტრალური ზედამხედველის ანგარიშიდან გამომდინარე შეგვიძლია ვთქვათ, რომ ერაყთან მიმართებით გარკვეული პროგრესი სახეზე იყო, თუმცა მნიშვნელოვანი კითხვის ნიშნები კვლავ რჩებოდა. პრაქტიკულად, არ არსებობდა არეალი, სადაც UNMOVIC-ის წარმომადგენლობას ეჭვები არ გაუჩნდა. გაეროს უშიშროების საბჭოს წინაშე წარმოთქმული სიტყვამ ერაყის ირგვლივ სტაბილურობისა და სიცხადის განცხდა ვერ გააჩინა. მეტიც, ძირეულ საკითხებში პრობლემები კვლავ რჩებოდა.

მოყვანილი საკითხების გარდა, საინტერესო და მნიშვნელოვანია ფულადი სახსრების წყაროების მოკლე მიმოხილვა, რომლის წყალობითაც სადამი აღნიშნულ პროგრამებს აფინანსებდა.

ემბარგოსა და სანქციების ქვეშ მყოფი სადამ ჰუსეინის ხელისუფლებისთვის, ლეგალურ შემოსავლის წყაროს გაეროს პროგრამა „Oil For Food“ წარმოადგენდა. ამ პროგრამის წარმოება ჰუმანიტარული მიზნებით გადაწყდა. რაც შეეხება არალეგალურ საქმიანობას, ამ

შემთხვევაშიც ფოკუსირება ნავთობზე ხდებოდა. CIA-ის მონაცემების მიხედვით, 2002 წლის მდგომარეობით, ერაყის ხელისუფლებამ \$3 მილიარდის არალეგალური შემოსავალი მიიღო.

ამ საკითხზე უფრო დეტალური განმარტება JIC-ის ანგარიშში გვხვდება, სადაც ინფორმაცია უფრო ჩამოილადა, ომის წინა წლების მიხედვით არის მოცემული.

არალეგალური გზით მიღებული შემოსავლები

წლები	მიღებული თანხა მილიარდებში (\$)
1999	0.8-1
2000	1.5- 2
2001	3
2002	3 (დაახლოებით)

ნავარაუდებია რომ ამ თანხებს სადამ ჰუსეინი საკუთარ სამხედრო შენაერთებს და მასობრივი განადუგრების პროგრამაზე ხარჯავდა, თუმცა უფრო კონკრეტული და ზუსტი ციფრები ხარჯების ნაწილში დაზვერვისთვის ცნობილი არ არის. (JIC, 2002)

ამ თავში აღწერილი ორი დამოუკიდებელი ცვლადის გარდა, მიმაჩნია რომ 2003 წლის ერაყის ომის დაწყებაში დამატებითი ზეგავლენა იქონია სადამ ჰუსეინის პერსონამ და მასთან ჯორჯ ბუშის ადმინისტრაციის წევრების დამოკიდებულებამ.

ნაშრომში მოყვანილი ფაქტების საფუძველზე მარტივად შეიძლება იმის დასკვნა, რომ სადამ ჰუსეინს სათანამშრომლოდ თითქმის ყველა სახის რესურსი ჰქონდა ამოწურული და მისი „გამოსწორების“ რაიმე რეალური გარემოებები აღარ არსებობდა.

ამ უიმედო მდგომარეობას ემატებოდა ბუშის ადმინისტრაციის წევრების წარსულის გამოცდილება, განსაკუთრებით სადამ ჰუსეინთან ურთიერთობაში. მაგალითისთვის, დონალდ რამსფელდისა და რიჩარდ ჩეინის დასახელება შეგვიძლია, ვინაიდან ჯორჯ ბუში უმცროსის ხელისუფლებამდეც მონაწილეობდნენ ამერიკის შეერთებული შტატების

საგარეო პოლიტიკურ პროცესებში. დონალდ რამსფელდი ჯერ კიდევ რონალდ რეიგანის პრეზიდენტობის დროს იყო სადამ ჰუსეინთან პირადად შეხვედრილი, ხოლო რიჩარდ ჩეინი ჯორჯ ბუში უფროსის დროს თავდაცვის მდივნის პოსტს იკავებდა. სწორად იმ პერიოდში, რა დროსაც სპარსეთის ყურის ომი მოხდა.

ჯორჯ ბუში უმცროსის გუნდში ბევრი ისეთი პირი იყო თავმოყრილი, რომელსაც საერთაშორისო პოლიტიკის მიმართულებით მუშაობის გამოცდილება მამამისის ადმინისტრაციიდან ან კიდევ უფრო ადრინდელი პერიოდიდან გააჩნდა. ამ ადამიანების პოზიცია სადამ ჰუსეინის მიმართ მკაფიოდ ჩამოყალიბებული და ნეგატიური იყო.

ამის დასტურად ჩემს მიერ უკვე მოყვანილი მაგალითი, CIA-ს ყოფილი ხელმძღვანელის ჯორჯ ტენეტის მოსაზრება გამოდგება. მისი მტკიცებით, სადამ ჰუსეინის წინააღმდეგ ქმედებების განხორციელებაზე და „დაუმთავრებელი“ საქმის დასრულებაზე ჯორჯ ბუში უმცროსი 9/11-ის ტერაქტამდეც ფიქრობდა.

საბოლოო ჯამში, მასობრივი განადგურების იარაღის პროგრამებისა და ტერორისტებთან შესაძლო კავშირის რისკებს აღნიშნული განწყობებიც ემატებოდა, რამაც ამერიკის შეერთებული შტატები 2003 წლის 20 მარტამდე მიიყვანა.

დასკვნა

ნაშრომის ფარგლებში შევეცადე დამემტკიცებინა, რომ ერაყის 2003 წლის ომი განსაკუთრებული მოვლენა ან „ამოვარდნა“ არ ყოფილა ამერიკის შეერთებული შტატების ისტორიიდან. განხილული მასალიდან გამომდინარე თამამად შემიძლია დავასკვნა, რომ ეროვნული უსაფრთხოების წინაშე არსებული რისკებიდან გამომდინარე, ამ ომის წარმოება სრულიად ლოგიკურია. ჯორჯ ბუში უმცორის ადმინისტრაციის ამოსავალ წერილებს ეროვნული ინტერესების დაცვა და 9/11-ის შემდეგ არსებული დიდი გამოწვევები იყო, რომელიც პირველ რიგში აშშ-ს უსაფრთხოებას ემუქრებოდა.

ერაყის ომზე საუბარი, განსაკუთრები უკანასკნელ წლებში მრავალი სპეკულაციისა და არაზუსტი დასკვნების გაკეთების მიზეზი გახდა. აღნიშნული ტენდენცია პირველ რიგში პოლიტიკური კაპიტალის მოპოვებით არის გამოწვეული, რასაც არაერთი პირი - მათ შორის ისეთებიც, ვინც წარსულში ომის წარმოებას მხარს უჭერდა, დღემდე აქტიურად ახორციელებს.

ეკონომიკური ინტერესები, ერაყის ვესტრნიზაცია, ბუშის ადმინისტრაციაში თავმოყრილი პირების იდეოლოგიური მისწრაფებები - ეს ის ძირითადი მიზეზებია, რასაც ხშირად შევხდებით როგორც მედიის მასალებში, ასევე სამეცნიერო ნაშრომებში. მიმაჩნია, რომ აშშ-ს იმდროინდელი ხელისუფლების რეალურ მოტივები აქამდე არნახულ საფრთხეების რისკებსა და იმ პერიოდში მსოფლიოს პოლიტიკურ რუკაზე არსებულ ფეთქებად საშიშ სიტუაციას ეფუძნებოდა. ამავდროულად, გასათვალისწინებელია კიდევ ერთი ასპექტი - ომის დაწყება არ გახლდათ ჯორჯ ბუშის პირველადი და უალტერნატივო გამოსავალი.

ერაყის 2003 წლის ომის უკეთ გასაანალიზებლად, პრაქტიკულად სრულად მიმოვიხილე მეოცე საუკუნის დასაწყისიდან არსებული აშშ-ერაყის ურთიერთობა, რომელიც მუდმივად ცვალებადი ხასიათით გამოირჩეოდა. განსაკუთრებული ყურადღება დაიმსახურა სპარსეთის ყურის ომმა, რაც გარკვეულწილად ათვლის წერტილადაც მივიჩნიე. აღნიშნული გადაწყვეტილების მიზეზი ის ფაქტია, რომ ამ კონფლიქტის შემდეგ აშშ- ერაყს შორის

ურთიერთობები სტაბილურად უარესობისკენ მიდიოდა, რაც მნიშვნელოვანი განმაპირებელი მიზეზი გახდა 2003 წლის ინტერვენციის დაწყებისთვის.

საერთაშორისო ურთიერთობების რეალიზმის თეორია მიმაჩნია, რომ ამ კონფლიქტს ყველაზე სწორი პერსპექტივიდან ხსნის, ამიტომ ფოკუსირება ნეორეალიზმზე მოვახდინე. ყურადღება დავუთმე როგორც თავდაცვით რეალიზმს, ასევე თავდასხმით რეალიზმს, რადგან სურათის ფართოდ დანახვა ყოფილიყო შესაძლებელი.

2003 წლის ერაყის სამხედრო კამპანია სრულად ჯდებოდა ამერიკის საგარეო პოლიტიკის მოზაიკაში. იმ შემთხვევაში, თუკი აშშ-ს ეროვნულ უსაფრთხოებასა და ინტერესებს მსგავსი ხარისხის საფრთხე მიადგება, სამხედრო ინტერვენციისა და ახალი საომარი კამპანიის განხორციელება დღის წესრიგში კვლავ დადგება. 2003 წელს, ბაღდადში ამერიკული სამხედროების გამოჩენა ამის ნათელი დადასტურებაა.

ბიბლიოგრაფია

- (JIC), Joint Intelligence Committee. (2002). *IRAQ'S WEAPONS OF MASS DESTRUCTION THE ASSESSMENT OF THE BRITISH GOVERNMENT*. JIC.
- Blix, H. (2003, 01 27). THE SECURITY COUNCIL: AN UPDATE ON INSPECTION .
- Boot, M. (2001). The Case for American Empire. *The Weekly Standard*.
- Bush, G. W. (2010). *Decision Points*. Crown Publishing Group.
- Cheney, D., & Cheney, L. (2011). *In My Time: A Personal and Political Memoir*. Simon & Schuster.
- CIA. (2002). *Iraq's Weapons of Mass Destruction Programs*. CIA.
- Gilpin, R. G. (2007, 12 24). No one loves a political realist.
- Hoagl, J. (2001). What About Iraq? *The Washington Post*.
- Israel Ministry of Foreign Affairs. (2002). *Iraqi Support for and Encouragement of Palestinian Terrorism* . Israel Ministry of Foreign Affairs.
- Krauthammer, C. (1991). The Unipolar Moment. *Foreign Affairs*.
- Margenthau, H. J., Thompson, K. W., & Clinton, D. (2006). *Politics Among Nations* (7th edition ed.). McGraw-Hill Publishing Company.
- Mearsheimer, J. (2001). *The Tragedy of Great Power Politics* . W. W. Norton Company .
- Morgenthau, H. J. (1967). To Intervene or Not to Intervene. *Foreign Affairs*.
- Rice, C. (2011). *No Higher Honor: A Memoir of My Years in Washington*. Simon & Schuster.
- Rumsfeld, D. (2011). *Known and Unknown: A Memoir*. A Perigee Book/Penguin Group.
- Tenet, G., & Harlow, B. (2007). *At the Center of the Storm: My Years at the CIA*. HarperCollins.
- United Nations. (1991). *Security Council Resolution 687*. United Nations.
- Von Drehle, D., & Smith, J. R. (1993). U.S. Strikes Iraq for Plot to Kill Bush. *Washington Post*, A01.

ივანე ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო
უნივერსიტეტის სოციალურ და პოლიტიკურ მეცნიერებათა ფაკულტეტი

სამაგისტრო პროგრამა „ პოლიტიკის მეცნიერება “

ეკატერინე ჩიკვილაძე

აფხაზეთის ოკუპირებულ ტერიტორიაზე მცხოვრები მოსახლეობის
ინტეგრაციის სახელმწიფო პოლიტიკა

ნაშრომი შესრულებულია პოლიტიკის მეცნიერების მაგისტრის
აკადემიური ხარისხის მოსაპოვებლად

სამეცნიერო ხელმძღვანელი: ზვიად აბაშიძე - პოლიტიკურ
მეცნიერებათა დოქტორი, ასისტენტ-პროფესორი

თბილისი

2019

Ivane Javakhishvili Tbilisi State University

Faculty of Social and Political Science

Master's Program "Political Science"

Ekaterine Chikviladze

Integration Politics of Occupied Territory of Abkhazia

Thesis was written to obtain Master's Degree in Political Science

Scientific mentor: Zviad Abashidze Doctor of Political Science, Assistant Professor

Tbilisi

2019

ანოტაცია

ჩემი სამაგისტრო ნაშრომი ეხება საქართველოს პოლიტიკურ სტრატეგიებს ოკუპირებულ ტერიტორიაზე მცხოვრები მოსახლეობის ინტეგრაციისათვის. 2008 წლის რუსეთ-საქართველოს ომის შემდეგ, კვლავ აქტუალური გახდა აფხაზთა ინტეგრაციის საკითხი. საქართველოს მთავრობამ ჩადო რესურსები, რათა განევიტარებინა ეფექტური ინტეგრაციის სტრატეგია ოკუპირებული ტერიტორიებისათვის. სტრატეგია თითქმის 8 წელია მუშაობს, რაც შესაძლებლობას გვაძლევს შევაფასოთ მისი მუშაობის ხარისხი და ეფექტურობა.

საქართველოს მთავრობის მიერ ოკუპირებული ტერიტორიების ინტეგრაციისთვის შემუშავებული სტრატეგიის შესაფასებლად, გამოვიყენე ორი კრიტერიუმი: ოკუპირებულ ტერიტორიაზე მცხოვრებელთა ინფორმირებულობის დონე, თუ რამდენად აქვთ მათ ინფორმაცია არსებულ პროგრამებთან დაკავშირებით და ანტიპროპაგანდის გავლენა მათ განწყობაზე, ინფორმირებულობის მიუხედავად, რამდენად არის მათში მზაობა, ისარგებლონ აღნიშნული პროგრამებით.

ოკუპირებულ ტერიტორიაზე მცხოვრებ მოსახლეობას არ აქვს წვდომა საქართველოს მთავრობის მიერ შემუშავებულ პროგრამებზე, რისი მიზეზიც შეიძლება იყოს ამ პროგრამების არაეფექტური გავრცელება აფხაზ მოსახლეობაში. აგრეთვე, საქართველოს შეზღუდული წვდომა აფხაზურ მედიასივრცეზე. ინფორმაციის გავრცელებას ხელს უშლის არაეფექტური სოციალური კომუნიკაცია ოკუპირებულ ტერიტორიაზე მცხოვრებთა და ქართველ მოსახლეობას შორის.

ერთ-ერთი უმნიშვნელოვანესი ფაქტორი, რომელიც აფერხებს ინტეგრაციის პროცესისთვის განკუთვნილი პროგრამების ეფექტურ მუშაობას, ანტიპროპაგანდაა. ოკუპირებულ ტერიტორიაზე მცხოვრებელთა ნაწილს, ინფორმირებულობის მიუხედავად, არ სურს ქართულ პროგრამებში ჩართვა, რადგან ეს ანტიაფხაზურ ქმედებად მიაჩნიათ, ხოლო საქართველო - მტრად.

Annotation

The purpose of the MA thesis is to investigate the political integration strategies of Georgian government used for the citizens in occupied territories. The integration process of Abkhazians became significantly actual after 2008 Russian-Georgian war. Georgian government has put an effort to improve and develop the integration strategies that have been working for approximately 11 years. Therefore, some conclusions can be made about its quality and efficiency.

I used two criteria to analyze Georgian integration strategies for occupied territories: 1. the awareness level about the integration programs of Georgian government among the citizens in occupied territories. It is also important to define if they have some information about these programs or are influenced with anti-propaganda; 2. The influence it results in the attitudes of citizens in occupied territories toward Georgian government integration programs.

Citizens of occupied territories do not have an access to the integration programs. Lack of information could be the basic reason for non effective distribution of information in Abkhazia. Moreover, limited access of Georgian government on Abkhazian media space, non-effective social communication between citizens of occupied territories and Georgia.

One of the most important reasons that interrupt the effectiveness of the integration process is anti-propaganda spread all over occupied territories. Most of the informed citizens do not want to be involved in the integration programs as they think it is Anti Abkhazian action and consider Georgia to be their enemy.

სარჩევი

შესავალი.....	6
თავი 1. ქართულ-აფხაზური ურთიერთობების ტრანსფორმაცია, პერსპექტივები და პრობლემები რუსეთ-საქართველოს 2008 წლის აგვისტოს ომის შემდეგ	16
1.1 საქართველოს სახელმწიფო სტრატეგია სეპარატისტული რეგიონებისადმი 2008 წლის აგვისტოს ომის შემდეგ	16
1.2 საქართველოს კანონი ოკუპაციის შესახებ და მისი როლი ინტეგრაციის საქმეში .	25
თავი 2. სახალხო დიპლომატიის და სამშვიდობო პოლიტიკის როლი	32
2.1 სახალხო დიპლომატიის როლი საქართველოს ოკუპირებულ ტერიტორიებთან ინტეგრაციაში	32
2.2 სამშვიდობო პოლიტიკის როლი მოსახლეობის ინტეგრაციის პროცესში.....	36
თავი 3. ინტეგრაციის ხარისხი გამოწვევები და ანალიზი	39
3.1 საქართველოს ცენტრალური ხელისუფლების სახელმწიფო სტრატეგიის შეფასება ქართველი და აფხაზი ექსპერტების მიერ	39
3.2 არსებული სტატისტიკა / კვლევა.....	44
დასკვნა	49
ბიბლიოგრაფია	51

შესავალი

საკითხის აქტუალურობა: ქართულ-აფხაზური კონფლიქტი საბჭოთა კავშირის დაშლის შემდეგ წარმოიშვა, კონფლიქტს საფუძვლად უდევს სახელმწიფოს ტერიტორიული მთლიანობის პრინციპსა და ერთა თვითგამორკვევის უფლებას შორის წინააღმდეგობა. სამწუხაროდ, კონფლიქტის მოგვარება დღემდე ვერ მოხერხდა და ინტეგრაციის ნაცვლად ჩამოყალიბდა უნდობლობის გრძნობა, გახანგრძლივდა ადამიანების დევნილობაში ყოფნა და სხვა.

კონფლიქტის სხვადასხვა მხარეს მყოფი ადამიანები, აფხაზები და ქართველები ფიზიკურად არიან იზოლირებული ერთმანეთისაგან, გარდა ამისა ორივე მხარეს სხვადასხვა ორიენტირი აქვთ აღებული, აფხაზები - რუსეთს ირჩევენ, საქართველო კი - დასავლეთს.

რუსეთი თავის მხრივ ყველანაირად ცდილობს, რომ აფხაზეთზე კონტროლი არ დაკარგოს. პირიქით, მუდმივად აძლიერებს თავის გავლენას. ეს იმ ფონზე, როდესაც საქართველოს, ქართველ ხალხს თითქმის არანაირი კონტაქტი აღარ აქვთ აფხაზეთთან. საქართველო თითქოს ცდილობს კომუნიკაციას მათთან, მაგრამ ამ დრომდე უშედეგოდ და კონკრეტული მიღწევების გარეშე. თუმცა, უნდა აღინიშნოს, რომ კონფლიქტი მხოლოდ აფხაზეთის და საქართველოს შეთანხმებით არ გადაწყდება, ძალიან მნიშვნელოვანია რუსეთის და ევროკავშირის, ასევე ამერიკის როლი.

ევროკავშირი საქართველოსთვის მნიშვნელოვან დონორსა და პოლიტიკურ მოთამაშეს წარმოადგენს. მისი მიზანია სტაბილური გარემოს შენარჩუნება. სწორედ ამ მიზნით, 2008 წლის აგვისტოს ომის შემდეგ იგი შუამავლობდა ცეცხლის შეწყვეტის პროცესს. რის შემდეგაც ევროკავშირი უფრო აქტიურად ჩაერთო რუსეთსა და საქართველოს, შესაბამისად, აფხაზეთთან მოლაპარაკების პროცესებში. რაც რა თქმა უნდა, რუსეთისთვის არახელსაყრელია, საქართველოსთვის კი ერთადერთი ბერკეტი და სწორი არჩევანი.

ქართული პოლიტიკის მიერ აღებული ინტეგრაციის კურსი გულისხმობს ევროპული სტანდარტების შესაფერისი სისტემის ჩამოყალიბებას და ყველა იმ მექანიზმის ამოქმედებას, რომელიც ქვეყანას ამ მძიმე გამოწვევების დაძლევაში შეუწყობს ხელს.

თავის მხრივ, რუსეთი ცდილობს სრულიად მოწყვიტოს აფხაზეთი საქართველოს. რთული ვითარებაა ოკუპირებულ რეგიონებში, სადაც გრძელდება მოსახლეობის ეთნიკური ნიშნით დისკრიმინაცია. დე-ფაქტო ხელისუფლება გალის რაიონში მცხოვრებ მოსახლეობას აიძულებს ქართული გვარების შეცვლას აფხაზურით, რასაც „ისტორიულ ფესვებთან“ დაბრუნების პროცესს უწოდებს.

ასეთ ვითარებაში, საქართველოს ხელისუფლების მიერ აღებული მშვიდობიანი ინტეგრაციის კურსი გულისხმობს ევროპული სტანდარტების შესაფერისი, ჰუმანური სისტემის ჩამოყალიბებას და ყველა იმ მექანიზმის სრულ ამოქმედებას, რომელიც ქვეყანის გაერთიანების წინაპირობას შექმნის.

ამჟამინდელი სამთავრობო ინიციატივა - „ნაბიჯი უკეთესი მომავლისაკენ“ ორ ძირითად მიმართულებას აერთიანებს. ესენია:

- „ვაჭრობის წახალისება გამყოფი ხაზების გასწვრივ“ ;
- „აფხაზეთისა და ცხინვალის რეგიონის/სამხრეთ ოსეთის მოსახლეობისათვის განათლების შესაძლებლობების განვითარება“.

როგორც ვხედავთ, აფხაზეთთან ინტეგრაციის პრობლემის მოუგვარებლობა მას აქტუალურობას სძენს.

კვლევის მიზნები: კვლევის მიზანია, საქართველოსა და მის ოკუპირებულ ტერიტორიებზე მცხოვრებ მოსახლეობას შორის ინტეგრაციის პროცესების გააზრება და შესწავლა. კერძოდ, რამდენად სიცოცხლისუნარიანია საქართველოს ცენტრალური ხელისუფლების მიერ გადადგმული ნაბიჯები და შემუშავებული ინტეგრაციის პოლიტიკა რუსეთ საქართველოს 2008 წლის აგვისტოს ომის შემდეგ და რამდენად მიყვავართ ოკუპირებულ ტერიტორიებზე მცხოვრებ ხალხთან ინტეგრაციისკენ.

კველვის ამოცანები :

- შვეიცარიაში საქართველოს ცენტრალური მთავრობის მიერ განხორციელებული მოქმედებების, ინტეგრაციის პოლიტიკის ეფექტურობა;
- გავანალიზოთ საქართველოს და მის ოკუპირებულ ტერიტორიებზე მცხოვრებ მოსახლეობას შორის ინტეგრაციის ხელშემშლელი ფაქტორები;
- გავარკვიოთ რუსეთის და ევროკავშირის, როგორც პროცესში მონაწილე მხარეების როლი.

მთავარი საკვლევი კითხვა: ოკუპირებულ ტერიტორიებზე მცხოვრები მოსახლეობის ინტეგრაციის პროცესში რამდენად ქმედითია ქართული სახელმწიფოს მიერ შემუშავებული ინტეგრაციის პოლიტიკა?

ოკუპირებულ ტერიტორიებზე მცხოვრები მოსახლეობის ინტეგრაციის სახელმწიფო პოლიტიკის შესწავლისას, აღმოჩნდა, რომ რეალურად საქართველოს სახელმწიფო აქტიურად მუშაობს საქართველოს ოკუპირებულ ტერიტორიებთან ინტეგრაციაზე, თუმცა რეალური და ხელშესახები შედეგები ამ დრომდე არ ჩანს. საინტერესოა, რა იწვევს ამას და რა არის რეალურად საქართველოს ცენტრალური მთავრობის მიზანი, რეალური შედეგები თუ ფორმალური მოქმედებები.

კვლევის ჰიპოთეზა: 2008 წლის რუსეთ-საქართველოს ომის შემდეგ საქართველოს სახელმწიფოს მიერ განხორციელებული მოქმედებები ნაკლებად ეფექტურია, რადგან მიუხედავად იმისა, რომ ახალი სამშვიდობო პოლიტიკის ფარგლებში, ქართული სახელმწიფო უკვე ათ წელზე მეტია ცდილობს ოკუპირებულ ტერიტორიებზე მცხოვრებ მოსახლეობასთან ინტეგრაციას, დაახლოებას და ამ მიზნით სთავაზობს მათ სხვადასხვა პროგრამას, პროექტს, ასევე ანიჭებს გარკვეულ პრივილეგიებს საქართველოს სხვა მოქალაქეებთან შედარებით, მიუხედავად ამისა ამ დრომდე რეალური შედეგები არ ჩანს.

თეორიული მიმოხილვა:

1989 წლის შემდეგ მსოფლიო პოლიტიკა ძალიან შეიცვალა, ის ცვალებადი და მრავალპოლუსიანი გახდა ყველა მიმართულებით. ჩვენი თემის მიზნებიდან

გამომდინარე, ჩვენ განვიხილავთ ინტეგრაციის კონცეფციებს. ინტეგრაცია შეიძლება გაგებულ იყოს, როგორც პირობა ან პროცესი ან გამოყენებული იყოს გარკვეული პოლიტიკური პროცესების ასახსნელად.

ინტეგრაცია შესაძლოა ატარებდეს ფორმალურ ან არაფორმალურ ხასიათს:

- ✓ ფორმალურია ინტეგრაცია, რომელიც გამოიხატება პოლიტიკური გადაწყვეტილებებით;
- ✓ არაფორმალური კი გულისხმობს ურთიერთობებს ეკონომიკურ, კულტურულ, სოციალური სფეროში.

თავის მხრივ, ეკონომიკური ინტეგრაცია გულისხმობს საბაჟო კავშირების, საზღვრისპირა თავისუფალი ბაზრების არსებობას.

პოლიტიკური ინტეგრაცია კი თანმხვედრი მიზნებისა და ფასეულობების ჩამოყალიბებას გულისხმობს, ასევე უთანხმოებების მშვიდობიან გადაწყვეტას და ზოგადად მჭიდრო კავშირებს.

მნიშვნელოვანია კულტურული ინტეგრაციაც, რაც გულისხმობს საერთო კულტურულ ღონისძიებებს ან ერთმანეთის კულტურის ახლო გაცნობას.

სამოქალაქო ინტეგრაცია კომპლექსური მოვლენაა და მეტად ინდივიდუალური სხვადასხვა შემთხვევებში. ინტეგრაციის პროცესი და მექანიზმები მორგებული უნდა იყოს კონკრეტულ შემთხვევებს თუ უმცირესობათა ჯგუფს. აუცილებელია კულტურული და სოციალური კომუნიკაცია საინტეგრაციო ჯგუფთან, შესაბამისად მთავრობის პოლიტიკა უნდა ეფუძნებოდეს აქტიურ კავშირს და კომუნიკაციას ამ კონკრეტული ჯგუფის მედია საშუალებებთან, აქცენტს აკეთებდეს საგანამანათლებლო საქმიანობაზე და ა.შ. ვინაიდან ეს არის ორმხრივი პროცესი, აუცილებელია უაშუაო კომუნიკაცია საინტეგრაციო ჯგუფის წევრებთან, რათა მოხდეს მათი რეკრუტირება მიმდინარე რეფორმებსა და მოვლენებში.

აფხაზეთის შემთხვევაში ყველა ეს პროცესი გართლებულია, რადგან კომპლიქტურმა მდგომარეობამ მეტად გაართულა ინტეგრაცია და არასწორი პოლიტიკის შემთხვევაში კიდევ უფრო დამძიმდება სიტუაცია, შესაბამისად ფრთხულად უნდა შემუშავდეს და

განხორციელდეს ინტეგრაციის პოლიტიკა, რომელის უშუალოდ იქნება მორგებული აფხაზეთის სპეციფიკასა და საჭიროებებზე.

მიმაჩნია, რომ ყველაზე კარგი ვარიანტი იქნება ეროვნული ჯგუფების სამოქალაქო ინტეგრირება ქართულ საზოგადოებაში/სახელმწიფოში. სამოქალაქო ინტეგრაციის კონცეფციამ შეიძლება დადებითი როლი ითამაშოს როგორც ეთნიკურ ჯგუფებს შორის ურთიერთობათა ნორმატიული დარეგულირების თვალსაზრისით, ასევე ზოგიერთი სამართლებრივი დავის გადაწყვეტისას. თუმცა, გასატარებელია სერიოზული ღონისძიებანი, რათა ეთნიკური ჯგუფების ინტეგრირება მომავალ ქართულ საზოგადოებაში უკეთესად წავიდეს, რაც ფართომასშტაბიანი სახელმწიფო პროგრამების გარეშე ვერ განხორციელდება. ვინაიდან მენტალიტეტის შეცვლა ასე სწრაფად და ადვილად არ ხდება, ეს დამოკიდებული იქნება იმაზე, თუ რამდენად წარმატებული იქნება დემოკრატიული ღირებულებების და სამოქალაქო ინსტიტუტების შენება, ლიბერალურ-დემოკრატიული ღირებულებების დამკვიდრება ჩვენს ქვეყანაში.

ვფიქრობ, საქართველოს და მისი ოკუპირებული ტერიტორიების შემთხვევაში ინტეგრაცია საუკეთესო გამოსავალია და არამხოლოდ ოკუპირებული ტერიტორიების აქეთ დარჩენილი საქართველოსთვის. რადგან როგორც მეცნიერები ვარაუდობენ რუსეთთან არსებულ რეჟიმში ურთიერთობამ აფხაზეთი შესაძლოა იზოლაციამდეც კი მიიყვანოს, რაც მათთვის ხელსაყრელს ხდის საქართველოსთან ინტეგრაციას.

კვლევის მეთოდოლოგია: კვლევის დროს მოპოვებული მონაცემების დასამუშავებლად და გასაანალიზებლად გამოყენებულია აღწერითი და თვისობრივი კვლევის ანალიზის მეთოდი.

თვისობრივი კვლევის ანალიზის მეთოდის მიზანია კვლევისთვის საინტერესო მასალის შინაარსის დამუშავება და გაანალიზება. ნარატიული ანალიზის საშუალებით, დავამუშავებ ჩემი კვლევის საკითხთან დაკავშირებულ არსებულ ლიტერატურასა და სხვადასხვა ნარატიულ მასალას, რათა აღნიშნული მასალებიდან გამოვყო კვლევისთვის მნიშვნელოვანი საკითხები და გავაანალიზო.

კვლევის პროცესში, დამატებითი მონაცემების მოსაპოვებლად გამოვიყენებ სიღრმისეული ინტერვიუები ესპერტებთან, რომლებიც ინტეგრაციის მიმართულებით მუშაობენ. აღნიშნული ინტერვიუს საშუალებით შესაძლებელი გახდება მანამდე მიღებული ინფორმაციის სტანდარტიზირება და საერთო კრიტერიუმის აღმოჩენა.

გამოყენებული ლიტერატურის მიმოხილვა:

ნაშრომი შედგება წარმოდგენილი თემის ირგვლივ არსებული სხვადასხვა მეცნიერის ნაშრომების თეორიული ანალიზისგან. მეცნიერთა ნაწილი რუსეთ საქართველოს ომს და შემდეგ მოსალოდნელ პრობლემებსაც ომამდე განიხილავდნენ. მაგალითად დე ვაალი საქართველო რუსეთის ომთან დაკავშირებით მიიჩნევს, რომ “სიტუაცია რეალურად რუსეთში ადმინისტრაციის ცვლილებამ შეცვალა. ხელისუფლებაში ვლადიმირ პუტინი მოვიდა და თანდათანობით დაიწყო საქართველოს დასჯის, აფხაზეთის იზოლაციის დასრულების და კონფლიქტში ძალაუფლების ბალანსის შეცვლისკენ მიმართული პოლიტიკის გატარება”.

ამავე კონტექსტში აკაბა (Akaba, N. An Overview of the Parties' Positions, in Transformation of the Georgian-Abkhaz Conflict: Rethinking the Paradigm, edited by Natella Akaba and Iraklii Khintba, <http://www.c-r.org/our-work/caucasus/documents/2011/CR%20Ab-Ge%20ENG%20Web.pdf> (Retrieved May, 2011) მართებულად შენიშნავს: “რაც უფრო ისწრაფოდა საქართველო დასავლეთისკენ, უფრო მკაცრდებოდა რუსეთის პოლიტიკა საქართველოს მიმართ და რბილდებო და ის აფხაზეთისადმი”.

აფხაზეთსა და ცხინვალის რეგიონში 2008 წლის ომის შემდეგომი მოვლენების გათვალისწინებით, ო'ლონგვილი და მისი კოლეგები (O'Loughlin, J., Kolossov, V. and Toal, G. (2011). “Inside Abkhazia: Survey of Attitudes in a De Facto State,” Post-Soviet Affairs, 27, 1-46.) ამტკიცებენ, რომ განვითარებულმა პროცესებმა “აფხაზეთსა და სამხრეთ ოსეთში საზოგადოებრივი აზრის მარგინალიზაცია გამოიწვია: ეს რეგიონები გარედან კონსტრუირდება, პირველ რიგში, როგორც სტრატეგიული ობიექტები”. მნიშვნელოვანია აფხაზეთისადმი რუსეთის პოლიტიკურ-ეკონომიკური მხარდაჭერის ზრდა, განსაკუთრებით კოსოვოს დამოუკიდებლობის აღიარების შემდგომ.

ჩარლზ კინგი კი (King, Ch. (2001). “The Benefits of Ethnic War: Understanding Eurasia’s Unrecognized States,” World Politics 53 (July). ამტკიცებს, რომ “კონფლიქტის საბოლოო მოგვარების რეალური დამაბრკოლებელი მიზეზი შეიძლება შეუთანხმებელ პრეტენზიებსა და საერთაშორისო მოლაპარაკებების მიღმა იძებნებოდეს და ეს თითოეულ რეგიონში პოლიტიკური ელიტების მიერ რეალურად ფუნქციონირებადი სახელმწიფოების ჩამოყალიბება იყოს; ისინი ისევე მოქმედებენ, როგორ ის ქვეყნები, რომელთა ნაწილს ისინი ფორმალურად წარმოადგენენ”.

ავგისტოს ომის შემდეგ თბილისის მიერ ინიცირებული სამშვიდობო პროექტების კრახის მიზეზების ანალიზისას ხაინდრავა (Khaindrava, I. (2011a) Conflict Resolution Policies Before August 2008, Transformation of the Georgian-Abkhaz Conflict: Rethinking the Paradigm, by Archil Gegeshidze and Ivliane Haindrava. http://www.c-r.org/our-work/caucasus/documents/2011/CR%20Ge-Ab%20ENG%20web_Georg_perspective.pdf (Retrieved May, 2012) აღნიშნავს:

“კონფლიქტის მოგვარებისადმი საქართველოს მიდგომის ძირითადი პრინციპები ... არ შეცვლილა და ისინი აფხაზეთის სტატუსს საქართველოს ტერიტორიული მთლიანობის ფარგლებში განსაზღვრას და იძულებით გადაადგილებულ პირთა აფხაზეთში დაბრუნებას ეფუძნება” ეს გამორიცხავს აფხაზური მხარეების მიერ აღნიშნული სამშვიდობო პროექტით დაინტერესებას, მით უმეტეს რუსეთის მიერ მათი დამოუკიდებლობის აღიარების შემდეგ.

ჩვენი საკვლევი თემისათვის ასევე ძალიან მნიშვნელოვანია ქეთევან ციხელაშვილის ნაშრომი: „დასავლური პარადიგმის ფარგლებში აფხაზეთის „იზოლაცია / დეიზოლაციის“ საკითხი“. აღნიშნულ ნაშრომში ქ. ციხელაშვილი აღნიშნავს, რომ: იმ შემთხვევაში, თუ აფხაზური მხარე მოიაზრებს მოსკოვს, როგორც სტრატეგიულ პარტნიორს და გარე სამყაროსთან წვდომის „ერთადერთ“ გზას ანუ თუ მოახდენს თბილისის, როგორც ალტერნატივის იგნორირებას, ის, რასაც მოვიხსენიებთ ტერმინით „იზოლაცია,“ ფაქტობრივად აღწერს განვითარებულ მდგომარეობას, როდესაც აფხაზეთი გახსნილია მხოლოდ რუსეთისათვის.

ვფიქრობ, აფხაზეთთან ინტეგრაციაში მნიშვნელოვნად დაგვეხმარება სწორედ ეს მოსაზრება. თუ შევძლებთ და დავანახებთ აფხაზებს, რომ მხოლოდ რუსეთთან კავშირი მათ სრულ იზოლაციაში ამყოფებთ, ვფიქრობ, დაიწყება მნიშვნელოვანი ძვრები ინტეგრაციის მიმართულებით.

ამ საკითხის პრევენციისათვის 2010 წლის იანვარში, საქართველოს მთავრობამ გამოაქვეყნა „სახელმწიფო სტრატეგია ოკუპირებული ტერიტორიების მიმართ: ჩართულობა თანამშრომლობის გზით.“

სტრატეგიამ პოზიტიური გამოხმაურება ჰპოვა დასავლურ წრეებში და შეფასებული იქნა, როგორც მნიშვნელოვანი წინგადადგმული ნაბიჯი და „მოსახლეობის ინტერესებზე“ ორიენტირებული მრავალი კონსტრუქციული წინადადების შემცველი დოკუმენტი.

დასავლურმა საზოგადოებამ მოიწონა სტრატეგიაში ქართული მხარის მიდგომა 'სუვერენიტეტის' პრინციპთან მიმართებაში, რაც ტერიტორიაზე კონტროლის გარდა, იქ მცხოვრებ მოსახლეობაზე პასუხისმგებლობის აღებას გულისხმობდა. "კეთილი ნების" გამოხატვის გარდა, სტრატეგია ერთგვარად ასახავს ქართული მხარის მიერ ქმედითი ნაბიჯების გადადგმის აუცილებლობის გაცნობიერებას, ნაცვლად „სტრატეგიული მოთმინებისა," თუ ეს უკანასკნელი მოცდის რეჟიმში ყოფნას და შესაბამისად, რეგიონის „იზოლირებულად" ანუ, სავარაუდოდ სრული „რუსიფიკაციის" საფრთხის წინაშე დატოვებას გულისხმობს.

ასევე საინტერესოა საერთაშორისო საკითხების შემსწავლელი მეცნიერების მოსაზრებები, ზოგადად საქართველოს მსგავს ქვეყნებთან დაკავშირებით. რობერტ ტაკერის (R.W.Tucker,1977) მოსაზრებით, სახელმწიფოთა შორის უთანასწორობა ყველაზე მეტად საერთაშორისო სისტემის ხასიათით არის გამოწვეული. იგი შენიშნავს, რომ საერთაშორისო სისტემაში მოქმედი ძალთა თანასწორობის მექანიზმი, მართალია, პატარა ქვეყნებს ხშირად შველოდა საკუთარი დამოუკიდებლობის შენარჩუნებაში, მაგრამ ამავე მექანიზმს სუსტთა ინტერესი ასევე ხშირად უმსხვერპლია. ჰ. ბული კი შენიშნავს, რომ ძალთა წონასწორობის შენარჩუნების პრინციპი, ეჭვგარეშეა ძლიერი ქვეყნისათვის არის ხელსაყრელი, ხოლო სუსტ ქვეყნებს იგი ხელს არ აძლევს, რადგანაც

ხშირად ეს მათ დაქუცმაცებას და გაქრობას ნიშნავს.(H. Bull, New York, 1999:107) ჰანს მორგენტაუ თავის ნაშრომში „Politiks Among Nations: The Struggle for Power and Peace“ საუბრობს, იმის შესახებ რომ პატარა ქვეყანამ საკუთარი უფლებების დასაცავად უფრო ძლიერი მეგობრის მფარველობა უნდა მიიღოს და რომ პატარა ქვეყნის უფლებების დაცვა ძალთა წონასწორობის მექანიზმის მეშვეობით ხდება (H. Morgenthau. York. 1967. 282).

ზემოთ განხილული მეცნიერთა მოსაზრებები თითქმის მთლიანად ესადაგება საქართველოს დღევანდელ მდგომარეობას. საქართველო არის პატარა ქვეყანა, რომელმაც სულ ახლახან დააღწია თავი რუსეთს და მოიპოვა დამოუკიდებლობა, თუმცა ძალიან ძვირად დაუჯდა ეს ფაქტი. ძლიერმა მეზობელმა ყველა ხერხს მიმართა ქვეყნის დაშლისათვის. დღეს კი გვაქვს ოკუპირებული ტერიტორიები და მათთან ინტეგრაციის პრობლემა, აღნიშნულს კი სრულიად მიესადაგება ჰანს მორგენტაუს მოსაზრება იმის შესახებ, რომ სუსტ და პატარა ქვეყანას არაფერი დარჩენია თავის უფლებების დასაცავად, გარდა ძლიერი მეგობრის მფარველობისა. ძლიერ მეგობრად კი საქართველოს ევროკავშირი მოეკლინა. სწორედ ევროკავშირთან თანამშრომლობით ცდილობს საქართველო აფხაზეთთან ინტეგრაციის პრობლემის მოგვარებას, რაც ვფიქრობ ძალიან სწორი ნაბიჯია, რადგან რუსეთთან პირის-პირ ყოფნა მხოლოდ დამღუპველი იქნებოდა საქართველოსთვის.

განსაკუთრებით აღსანიშნავია ა.რონდელის წიგნი „პატარა ქვეყნების საერთაშორისო სისტემები“, საუბარია ძალთა ბალანსის თეორიაზე, პატარა ქვეყნების როლზე და საერთაშორისო აქტორების გავლენაზე, აქ ასევე განხილულია, საერთაშორისო სისტემის თეორიები, (ა. რონდელი თბ.2003)

აღნიშნული ნაშრომი მნიშვნელოვანია საკვლევ თემისთვის, რითიც შესაძლებელი გახდა განმესაზღვრა, საქართველოს როგორც პატარა ქვეყნის მნიშვნელობა, რომელიც საბჭოთა კავშირის დაშლის შემდეგ გამოვიდა საერთაშორისო ასპარესზე.

დავით პიპინაშვილის „სამხრეთ კავკასიის კონფლიქტები და რეგიონული სტაბილურობის პრობლემები“ კი განხილულია გლობალური და რეგიონალური ზესახელმწიფოების გავლენა სამხრეთ კავკასიის სტაბილურობაზე. მნიშვნელოვან თავს

წარმოედგენს სამხრეთ კავკასიის კონფლიქტები: პრობლემები და მათი გადაწყვეტის გზები. აღნიშნული ნაშრომი საფუძვლიანად განიხილავს აფხაზეთის კონფლიქტის დარეგულირების პერსპექტივებს. კონფლიქტის დარეგულირება კი ინტეგრაციის აუცილებელი წინაპირობაა.

ასევე გამოყენებულ სამეცნიერო ლიტერატურას მიეკუთვნება გიორგი სანიკიძისა და ნინო კილურაძის სახელმძღვანელო „თანამედროვე საერთაშორისო ურთიერთობები: მსოფლიო პოლიტიკის გლობალიზაცია“. მასში დეტალურადაა განხილული ყველა ის ძირითადი ასპექტი, რაც ქმნის თანამედროვე მსოფლიო წესრიგს და საფუძვლებს სხვადასხვა სახის კონფლიქტის მშვიდობიანი დარეგულირებისათვის. სახელმძღვანელოში მოცემული ხედვები კვლევის პროცესში წარმოადგენდა ძირითად დასაყრდენს თანამედროვე მსოფლიო წესრიგის აღქმისათვის.

კვლევის დროს ასევე გამოყენებულ იქნა ნაშრომთა კრებული თემაზე „საქართველოში არსებული კონფლიქტები და მშვიდობის პერსპექტივები“, დამუშავდა რუსულენოვანი ინტერნეტ ფორუმები (სადაც აფხაზური და ოსური საზოგადოება აქტიურია) და მედიასაშუალებები.

თავი 1. ქართულ-აფხაზური ურთიერთობების ტრანსფორმაცია, პერსპექტივები და პრობლემები რუსეთ-საქართველოს 2008 წლის აგვისტოს ომის შემდეგ

1.1 საქართველოს სახელმწიფო სტრატეგია სეპარატისტული რეგიონებისადმი 2008 წლის აგვისტოს ომის შემდეგ

რუსეთ-საქართველოს 2008 წლის აგვისტოს ომის შემდეგ შეცვალა საქართველო-რუსეთს შორის ურთიერთობები და აუცილებელი გახდა კონფლიქტის მოსაგვარებლად ახალი მიდგომების შემუშავება. აღნიშნული მიდგომების შესამუშავებლად აუცილებელია გავანალიზოთ აგვისტოს ომის შემდეგ აფხაზეთის კონფლიქტის ირგვლივ შექმნილი რეგიონული და საერთაშორისო მდგომარეობა, კერძოდ კონფლიქტის მიმართ ქართული, აფხაზური, რუსული და ევროპული ხედვების ურთიერთმიმართება.

აგვისტოს ომის შემდეგ საქართველოს მთავრობის პოლიტიკა შეგვიძლია დავყოთ რამდენიმე მიმართულებად:

- ✓ ოკუპირებული ტერიტორიების შესახებ კანონის მიღება, რომელმაც აფხაზეთის და ცხინვალის რეგიონის სტატუსი განსაზღვრა როგორც რუსეთის ფედერაციის მიერ დროებით ოკუპირებული ტერიტორიების და არა როგორც სეპარატისტული რეგიონების.
- ✓ საერთაშორისო მასშტაბით რუსეთის მიერ ინიცირებული აფხაზეთის და სამხრეთ ოსეთის აღიარების პოლიტიკის შეკავებისთვის გატარებული ღონისძიებები, რომლებიც მოიცავდა ამ რეგიონების პოტენციურად აღიარების მსურველ სახელმწიფოებთან ახლო პოლიტიკურ-კულტურული ურთიერთობების დამყარებას და ამით მათი შემდგომი აღიარების თავიდან აცილებას.
- ✓ ცნება ოკუპირებული ტერიტორიების საერთაშორისო მასშტაბით დამკვიდრებას. პარალელურად, კონფლიქტის მოსაწყესრიგებლად შემუშავებული ახალი სამშვიდობო გეგმები აფხაზეთის და სამხრეთ ოსეთის საზოგადოებებთან

უშუალო კონტაქტების დამყარებაზე და მათთვის კონკრეტული პოლიტიკური და ეკონომიკური სარგებლის, ასევე ერთობლივი ეკონომიკური პროექტების შეთავაზებაზე კონცენტრირდა.

- ✓ სასაზღვრო ზონებში ერთობლივი ეკონომიკური პროექტების განხორციელებას თავისუფალი ეკონომიკური ზონის ფარგლებში.

2008 წლის აგვისტოს ომის შემდეგ საქართველოს ხელისუფლების მიერ ინიცირებული სამშვიდობო გეგმის პროექტი განხილული იქნა როგორც აფხაზეთის კონფლიქტის დარეგულირების ახალი მექანიზმი. თუმცა, როგორც აფხაზეთა პოზიციებიდან ჩანს ისინი მყარად იცავენ თავის “დამოუკიდებლობას”, მაგრამ მათ ასევე აღელვებთ რუსეთის ფედერაციაზე მზარდი პოლიტიკური-ეკონომიკური დამოკიდებულება და უკვე მისი ალტერნატიული და დამაბალანსებელი ძალის გამონახვის აუცილებლობაზე ფიქრობენ.

ვარდების რევოლუციის ხელისუფლების პოლიტიკა სამოქალაქო საზოგადოების საფუძვლების და ინკლუზიური მოქალაქეობის მშენებლობას ეფუძნებოდა, რასაც თან უმცირესობის უფლებების დაცვის და ქართულ საზოგადოებაში ინტეგრაციის შეთავაზებები ახლდა. თვითმმართველობის უფლება, ქვეყნის ცენტრალური ხელისუფლების დონეზე წარმომადგენლობა და უმცირესობების ენის და კულტურის შენარჩუნების საკითხი, საქართველოს მიერ აფხაზეთისადმი და სამხრეთ ოსებისადმი შეთავაზებული სამშვიდობო გეგმების ცენტრალურ ასპექტებს წარმოადგენდნენ.

დერლუგუიანი აფხაზეთისთვის რუსეთ-საქართველოს ომს ვარაუდობდა: “რა შედეგიც არ უნდა მოჰყვეს აფხაზეთის დაუფლებისათვის წამოწყებულ ახალ ბრძოლას, ოლიმპიური პროექტი აშკარად უზრუნველყოფს სეპარატისტული ანკლავის რუსეთში ინტეგრაციას. მაგრამ, პირველ რიგში, როგორც ჩანს, კიდევ ერთ ომს ექნება ადგილი, რადგანაც ნაკლებად სავარაუდოა, რომ საქართველო უმოქმედოდ დაელოდება აფხაზეთის კიდევ უფრო მჭიდრო დაკავშირებას სოჭის ტურისტულ კომპლექსთან”.¹

¹ Derluguian, G.M. (2007). Abkhazia: A Broken Paradise. in M. Narula, S. Sengupta, J. Bagchi, R. Sundaram (Eds), Sarai Reader 07: Frontiers; (pp. 65-82). The Director Centre for the Study of Developing Societies. 79.

საქართველოს ხელისუფლების მიერ გატარებულ არაღიარების პოლიტიკას თანახმაა ამ მიმართულებით შემუშავებული კონკრეტული დოკუმენტები: სახელმწიფო სტრატეგია ოკუპირებული ტერიტორიების მიმართ:

- ✓ ჩართულობა თანამშრომლობის გზით² და
- ✓ ჩართულობის სამოქმედო გეგმა,³

რომლებიც საქართველოს რეინტეგრაციის სამინისტრომ შეიმუშავა.

აღნიშნული დოკუმენტები ყოფილ სეპარატისტულ რეგიონებთან ახალი ურთიერთობების ჩამოყალიბებისთვის ამზადებენ საფუძვლებს და მათ ოკუპირებულ ტერიტორიებად მოიხსენიებენ; დოკუმენტების მთავარი მიზანია ამ კონფლიქტების სახელმწიფოს შიგა პრობლემიდან სახელმწიფოთაშორის პრობლემად წარმოჩენა, რაც ხელს შეუწყობს ეთნიკური კონფლიქტის იარლიყის ჩანაცვლებას. კონფლიქტები წარმოჩინდება ფართო კონტექსტში, სამხრეთ კავკასიის და ცენტრალური აზიის რეგიონის ყოფილ საბჭოთა ქვეყნებში რუსეთის პოსტსაბჭოთა გეოპოლიტიკური ინტერესების გათვალისწინებით.

სამოქმედო გეგმაში ასახული პრინციპები თანაბრად ეხება აფხაზეთსა და ცხინვალის რეგიონს და ამ რეგიონებში ლეგიტიმურად მცხოვრებ მოსახლეობას. სახელმწიფო სტრატეგიაში ჩამოყალიბებული მიდგომა ადამიანზეა ორიენტირებული. სამოქმედო გეგმის მიზანია შექმნას ისეთი გარემო, რომელიც ხელს შეუწყობს გამყოფი ხაზებით დაშორებული მოსახლეობის ინტენსიურ ურთიერთობებს, თანამშრომლობას, პარტნიორობასა და საქართველოში მცხოვრებთა შორის ნდობის აღდგენას.⁴

სამოქმედო გეგმა მოიცავს ისეთ ღონისძიებებს, რომლებიც უფრო აქტიურად ემსახურება აფხაზური და ოსური კულტურული მემკვიდრეობისა და იდენტობის შენარჩუნებას საქართველოში. ეს ასევე გულისხმობს ოსური ენის, როგორც ეროვნული უმცირესობის ენის და საქართველოს კონსტიტუციის თანახმად აფხაზური ენის,

² "State Strategy on Occupied Territories: Engagement Through Cooperation," <http://www.smr.gov.ge/uploads/file/SMR-Strategy-en.pdf> (Retrieved May, 2011)

³ "Action Plan for Engagement," Office of the State Minister for Reintegration, endorsed on July 6, 2010. http://www.smr.gov.ge/uploads/action_plan_en.pdf (Retrieved May, 2011)

⁴ ჩართულობის სტრატეგიის სამოქმედო გეგმა - http://smr.gov.ge/Uploads/_94d96fb2.pdf

როგორც აფხაზეთში სახელმწიფო ენის დაცვას. აფხაზური და ოსური კულტურის კუთხეების დაარსება მუზეუმში, თბილისში. აფხაზურ და ოსურენოვანი რადიო მაუწყებლობის ხელშეწყობა. ღვთისმსახურების თავისუფლად აღსრულების ხელშეწყობა, სასულიერო პირების გადაადგილებისა და რელიგიური სიწმინდეების ტრანსპორტირების თავისუფლების უზრუნველყოფის გზით. სამოქმედო გეგმა მოიცავს სპორტულ, კულტურულ და გასართობ ღონისძიებებს, რათა ერთად შეკრიბოს გამყოფი ხაზებით დაშორიშორებული ახალგაზრდობა. ახალგაზრდა ლიდერთა ერთობლივი პროგრამების შემუშავება საქართველოს მომავალი ელიტისათვის; საქართველოსათვის განკუთვნილ ახალგაზრდულ საგრანტო პროგრამებში აფხაზეთსა და ცხინვალის რეგიონში მცხოვრები მოსახლეობის მონაწილეობა.

აფხაზების პოლიტიკური ელიტისთვის მიუღებელი აღმოჩნდა სამშვიდობო ინიციატივა, რადგანაც სამშვიდობო გეგმის თანახმად, წამყვანი პოზიცია საქართველოს ენიჭება, ხოლო აფხაზები უბრალოდ სამშვიდობო გეგმის მონაპოვრებით ისარგებლებენ.

ჩარლზ კინგი ამტკიცებს, რომ “კონფლიქტის საბოლოო მოგვარების რეალური დამაბრკოლებელი მიზეზი შეიძლება შეუთანხმებელ პრეტენზიებსა და საერთაშორისო მოლაპარაკებების მიღმა იძებნებოდეს და ეს თითოეულ რეგიონში პოლიტიკური ელიტების მიერ რეალურად ფუნქციონირებადი სახელმწიფოების ჩამოყალიბება იყოს; ისინი ისევე მოქმედებენ, როგორ ის ქვეყნები, რომელთა ნაწილს ისინი ფორმალურად წარმოადგენენ”⁵. დღეისათვის ამას ემატება 2008 წლის აგვისტოს ომის შემდეგ რუსეთის ფედერაციის გაბატონებული მდგომარეობა რეგიონში. დაპირისპირებულ მხარეებს შორის მათ მიერ შემუშავებულ სამშვიდობო პროექტების ფარგლებში კომპრომისზე წასვლის სურვილის არქონა სერიოზულად აბრკოლებს მომავალ მოლაპარაკებებს.

აგვისტოს ომის შემდეგ თბილისის მიერ ინიცირებული სამშვიდობო პროექტების კრახის მიზეზების ანალიზისას ხაინდრავა აღნიშნავს:

⁵ King, Ch. (2001). “The Benefits of Ethnic War: Understanding Eurasia’s Unrecognized States,” World Politics 53 (July). 535.

“კონფლიქტის მოგვარებისადმი საქართველოს მიდგომის ძირითადი პრინციპები არ შეცვლილა და ისინი აფხაზეთის სტატუსს საქართველოს ტერიტორიული მთლიანობის ფარგლებში განსაზღვრას და იძულებით გადაადგილებულ პირთა აფხაზეთში დაბრუნებას ეფუძნება”⁶ ეს გამორიცხავს აფხაზური მხარეების მიერ აღნიშნული სამშვიდობო პროექტით დაინტერესებას, მით უმეტეს რუსეთის მიერ მათი დამოუკიდებლობის აღიარების შემდეგ.

2008 წლის აგვისტოს ომის დასრულებისთანავე საქართველოს ხელისუფლება კონფლიქტური ტერიტორიებისადმი ახალი მიდგომის შემუშავებას შეუდგა. მოგეხსენებათ აგვისტოს ომი საქართველოსა და რუსეთის ფედერაციას შორის მანამდე არსებული ფარული დაპირისპირების ღია გამოვლინებას წარმოადგენდა, რადგან 2008 წლის ომამდე რუსეთი მშვიდობისმყოფელის სტატუსით სარგებლობდა. გასათვალისწინებელია ისიც, რომ მაშინდელმა ხელისუფლებამ მიუღებლად მიიჩნია კონფლიქტების ქართულ-აფხაზურ და ქართულ-ოსურ კონფლიქტად მონათვლა და მათ ჩანაცვლებას სხვა ტერმინით შეეცადა. ამან საქართველოს ხელისუფლებას რუსეთის ფედერაციის ოკუპანტ ძალად გამოცხადების საშუალება მისცა, რამაც წერტილი დაუსვა მის მედიატორის სტატუსს, რომლითაც ეს ქვეყანა რეგიონში 1993-2008 წლებში სარგებლობდა. გარდა ამისა, საქართველოს ხელისუფლება 2008 წლის 12 აგვისტოს შეთანხმებით აპელირებდა, რომლითაც საფრანგეთის, საქართველოს და რუსეთის პრეზიდენტებმა ცეცხლის შეწყვეტის ხელშეკრულება გააფორმეს საქართველოსა და რუსეთს, და არა საქართველოსა და აფხაზეთს/სამხრეთ ოსეთს შორის.⁷

ქოლი და მიტჩელი მიიჩნევენ, რომ საქართველოს ხელისუფლების ახალი შეთავაზება მნიშვნელოვანი გარღვევაა, რადგანაც “აფხაზეთის, როგორც დამოუკიდებელი ქვეყნის სტატუსს, არასოდეს სცნობენ არც აშშ, და არც ევროკავშირი”. ახალი სტრატეგია

⁶ Khaindrava, I. (2011a) Conflict Resolution Policies Before August 2008, Transformation of the Georgian-Abkhaz Conflict: Rethinking the Paradigm, by Archil Gegeshidze and Ivliane Haindrava. http://www.c-r.org/our-work/caucasus/documents/2011/CR%20Ge-Ab%20ENG%20web_Georg_perspective.pdf (Retrieved May, 2012), 19.

⁷ The Abkhaz Paper: the Agreement on the non-Use of Force as an Important Factor in the Resolution of the Georgian-Abkhaz Conflict, in Dialogue on Security Guarantees in the Context of the Georgian-Abkhaz Conflict, September 2009 http://www.international-alert.org/sites/default/files/publications/Dialogue_on_security_guarantees_in_the_context_of_the_georgian_abkhaz_conflict_en.pdf .22.

მნიშვნელოვან შემობრუნებად შეიძლება იქცეს თბილისსა და სოხუმს შორის არსებულ ურთიერთობებში, რადგან ახალი სამშვიდობო ინიციატივით “აფხაზეთს დასავლეთთან ურთიერთობების დამყარების შესაძლებლობა ეძლევა კონკრეტულ პოლიტიკურ, ეკონომიკურ, სოციალურ და კულტურულ საკითხებზე, რაც რუსეთის გავლენის შემცირებს შეუწყობს ხელს”⁸.

2008 წლის აგვისტოს ომამდე კონფლიქტების მოგვარების ბოლო ინიციატივა სააკაშვილის მიერ გაუღედა. ინიციატივის ფარგლებში, რეგიონს შესთავაზეს ფართო ავტონომია ფედერალური ურთიერთობების ფარგლებში, ასევე კულტურის, ენის და აფხაზური იდენტობის დაცვის გარანტიები. საერთაშორისო ვოკრშოპზე – “რეინტეგრაციის პროცესში არასამთავრობო ორგანიზაციების როლი საქართველოში” – გამოსვლისას, რომელიც საქართველოს რეინტეგრაციის სამინისტროს მიერ იყო ორგანიზებული, სააკაშვილმა გაახმაურა აფხაზეთის კონფლიქტის მოსაგვარებლად შემუშავებული მთელი რიგი წინადადებები, რომლებიც მოიცავდნენ ერთიანი თავისუფალი ეკონომიკური ზონის შექმნას, აფხაზეთის წარმომადგენლების შეყვანას საქართველოს ცენტრალურ ხელისუფლებაში, ეთნიკური აფხაზისთვის ვიცე-პრეზიდენტის პოსტს, აფხაზეთთან დაკავშირებულ საკითხებზე ვეტოს უფლებას, შეუზღუდავ ავტონომიას, და უსაფრთხოების მთელ რიგ გარანტიებს.⁹

ს. ბაღაფშმა უარჰყო სააკაშვილი შეთავაზება და ის მიუღებლად გამოაცხადა. აგვისტოს ომმა აჩვენა, რომ სეპარატისტული აფხაზეთის მხრიდან არ არსებობდა დიალოგისთვის მზაობა და ბაღაფშის უარი საქართველოს წინააღმდეგ მიმართული რუსეთის ფედერაციის ფართო გეგმის ნაწილად შეიძლება განვიხილოთ, სადაც მნიშვნელოვანი როლი ქვეყნის სეპარატისტულ რეგიონებს ენიჭებოდათ.

2010 წლის 27 იანვარს საქართველოს ხელისუფლებამ დაამტკიცა ახალი დოკუმენტი სახელმწიფო სტრატეგია ოკუპირებული ტერიტორიებისადმი: ჩართულობა თანამშრომლობის გზით. ეს დოკუმენტი ეფუძნება:

⁸ Cooley, A. and Mitchell, L. (2010). Engagement without Recognition: A New Strategy Toward Abkhazia and Eurasia's Unrecognized States. *The Washington Quarterly*, 33(4), 59-73.

⁹ Martins, V. (2010). The Geopolitics of Abkhazia's Sovereignty, in *Portuguese Journal of International Affairs*, #3, Spring/Summer www.ipris.org/php/download.php?fid=242 (Retrieved June, 2011)

- ✓ ოკუპირებული ტერიტორიების შესახებ კანონს, რომელიც დამტკიცდა 2008 წლის ოქტომბერში.
- ✓ 2008 წლის 12 აგვისტოს ცეცხლის შეწყვეტის ხელშეკრულებას.
- ✓ ევროსაბჭოს 2008 წლის 1 სექტემბერის შეხვედრის შემაჯამებელ ოქმს.
- ✓ გაეროს გენერალური ასამბლეის 2009 წლის 28 აგვისტოს დადგენილებას “იძულებით გადაადგილებულ პირთა და ლტოლვილთა სტატუსის შესახებ.”
- ✓ ევროსაბჭოს საპარლამენტო ასამბლეის დადგენილებებს “საქართველო-რუსეთის ომის შედეგების შესახებ” (#1633 (2008), #1647 (2009), #1648 (2009), #1644 (2009), #1683 (2009).“

ახლადშემუშავებული დოკუმენტის – სახელმწიფო სტრატეგია ოკუპირებული ტერიტორიებისადმი: ჩართულობა თანამშრომლობის გზით – ძირითადი მიზანი 2008 წლის აგვისტოს ომის შემდეგ თბილისსა და სოხუმს შორის წარმოქმნილი ჩიხიდან გამოსავლის მოძებნაა.

2008 წლის შემდეგ განვითარებულმა მოვლენებმა აჩვენა, რომ საქართველოს მიერ კონფლიქტურ რეგიონებთან მიმართებაში გამოყენებული ტერმინები უფრო მნიშვნელოვანი იყო, ვიდრე რეალური პოლიტიკური და ეკონომიკური შეთავაზებები.

ახალი სამშვიდობო გეგმა დაფუძნებულია ევროპული სახელმწიფოების მიერ გაზიარებულ და ჰელსინკის საბოლოო აქტში ასახულ საერთო პრინციპებზე. სახელმწიფო სტრატეგიის თანახმად, “ამ ტერიტორიების ანექსირების პროცესი უნდა შებრუნდეს და ისინი მშვიდობიანი გზით უნდა ინტეგრირდნენ საქართველოს საკონსტიტუციო წყობაში”.¹⁰

საქართველოს სახელმწიფო ცდილობს წინ აღუდგეს იზოლაციას და დაყოფას, რისთვისაც ქმნის მოტივაციას და მექანიზმებს. ჩართულობის სტრატეგია მიზნად ისახავს კულტურული მემკვიდრეობის და იდენტობის დაცვას, ინფორმაციის თავისუფალი გავრცელებს ხელშეწყობას და ზემოთდასახელებული პუნქტების

¹⁰ “Russia Gains a Foothold in the South Caucasus – With New Military Bases, Moscow has Secured its Influence in the Region,” by Archil Gegeshidze (N.D.). The International Institute for Strategic Studies (IISS), <http://www.iiss.org/programmes/russia-and- eurasia/about/georgian-russian-dialogue/caucasus-security insight/archil-gegeshidze/russia- gains-a-foothold-in-the-south-caucasus/> (Retrieved May, 2011)

განხორციელებისათვის ლეგალური საფუძვლების გამონახვას.¹¹ მიუხედავად იმისა, რომ ამ ეტაპზე ვერ ხერხდება უფრო მჭიდრო ურთიერთობების დამყარება ოკუპირებულ ტერიტორიებთან, მაინც მნიშვნელოვანია ყველა ეს მიდგომა საქართველოს ტერიტორიული მთლიანობის აღიარებისათვის.

საქართველოს ხელისუფლება გარკვეული პრაქტიკული შეთავაზებითაც გამოდის, რამაც ოკუპირებული ტერიტორიის ადგილობრივ მოსახლეობას საქართველოში დაბრუნებისკენ უნდა უბიძგოს. თუმცა, სამშვიდობო გეგმის მომავალზე მნიშვნელოვან გავლენას ახდენს კონფლიქტის წარსული მემკვიდრეობა და რატემა უნდა რუსეთის ფაქტორი.

ოკუპირებული ტერიტორიების რეინტეგრაციის მიზნით შექმნილ დოკუმენტში – ჩართულობის სამოქმედო გეგმა – აღნიშნულია, რომ “საქართველო ესწრაფის ამ მოსახლეობასთან კონტაქტების დამყარებას, ადამიანთა და რეგიონული უსაფრთხოების ინტერესებიდან გამომდინარე მათი იზოლაციის შემცირების და ცხოვრების პირობების გაუმჯობესებისათვის”.¹² ჩართულობის მიღწევა შესაძლებელია მჭიდრო ეკონომიკური ურთიერთობების, განათლების, ინფრასტრუქტურის, ჯანდაცვის სექტორში თანამშრომლობის შედეგად.

რადგანაც, ოკუპირებულ ტერიტორიებთან ჩართულობა ოკუპანტებთან ახლო ურთიერთობას მოითხოვს, დოკუმენტის დასკვნით ნაწილში აღნიშნულია, რომ საქართველოს ხელისუფლება “გააგრძელებს ურთიერთობას ოკუპანტ ძალასთან ჟენევის პროცესის ფარგლებში, ან რომელიმე პოტენციური ფორუმის მეშვეობით, რათა სტრატეგიისა და სამოქმედო გეგმის წარმატებული განხორციელება იქნეს უზრუნველყოფილი”.¹³ ოფიციალური სოხუმი უარს ამბობს თანამშრომლობაზე, თუმცა წარმოქმნილი ჩიხური სიტუაციის გარღვევას ცდილობს საქართველოს ხელისუფლება და ერთდროულად ოთხი მიმართულებით მოქმედებს:

✓ ჰუმანიტარული,

¹¹ იქვე.

¹² “Action Plan for Engagement,” Office of the State Minister for Reintegration, endorsed on July 6, 2010. http://www.smr.gov.ge/uploads/action_plan_en.pdf (Retrieved May, 2011)

¹³ “Action Plan for Engagement,” Office of the State Minister for Reintegration, endorsed on July 6, 2010. http://www.smr.gov.ge/uploads/action_plan_en.pdf (Retrieved May, 2011)

- ✓ ადამიანური,
- ✓ სოციალური და
- ✓ ეკონომიკური.

ამ სფეროებში თანამშრომლობას კი ჩართულობის შემდეგი ინსტრუმენტები განამტკიცებს:

- ✓ **ნეიტრალური სტატუსის მქონე ურთიერთქმედება:** ხელს უწყობს საქართველოს ხელისუფლებასა და აფხაზეთის და ცხინვალის რეგიონის ფაქტობრივი ხელისუფლების კავშირს ნეიტრალური სტატუსის მქონე ოფიცრების დახმარებით, რომლებიც იმოქმედებენ საერთაშორისო ჰუმანიტარული ორგანიზაციის ეგიდით და ორივე მხარის მიერ დამტკიცებული პროექტების განხორციელებას შეეცდებიან.
- ✓ **ნეიტრალური საიდენტიფიკაციო ბარათი და სამოგზაურო დოკუმენტი:** ადგილობრივი მოსახლეობისათვის ხელმისაწვდომი გახდება სოციალური სერვისები და შესაძლებელი იქნება თავისუფალი გადაადგილება.
- ✓ **ნდობის ფონდი:** გასცემს გრანტებს აფხაზეთსა და ცხინვალის რეგიონში მოქმედ ორგანიზაციებზე, რომლებიც საზღვრის ორივე მხარეს ახორციელებენ პროექტებს.
- ✓ **ერთობლივი საინვესტიციო ფონდი:** მხარს უჭერს ბიზნესებს, რომლებიც ხელს უწყობენ ადგილობრივი ეკონომიკის განვითარებას, ქმნიან სამუშაო ადგილებს და გამყოფი საზღვრის ორივე მხარეს მცხოვრებ საზოგადოებებს შორის კომერციულ კავშირებს აყალიბებენ.
- ✓ **თანამშრომლობის სააგენტო:** ხელს შეუწყობს გამყოფი მიჯნების გასწვრივ ურთიერთობებს.
- ✓ **საფინანსო ინსტიტუტები:** შესაძლებელს გახდის ანგარიშების, ნაღდი ფულის გადარიცხვის და სხვა ლეგალური ტრანზაქციების განხორციელებას; ხელს შეუწყობს ჰუმანიტარული და აგრეთვე აფხაზეთსა და ცხინვალის რეგიონში არსებული ბიზნესების ნორმალურ საქმიანობას.

- ✓ **ერთიანი სოციალურ-ეკონომიკური სააგენტო:** დაადგენს ფასებს გამყოფ მიჯნებზე, ყველა სფეროში, დაუმუშავებელი პროდუქციით დაწყებული, შეფუთვით, ხარისხის კონტროლით და დისტრიბუციით დამთავრებული.¹⁴

ეს ინსტრუმენტები სახელმწიფოს შიგნით საერთო ინსტიტუტების ურთიერთქმედების ახალ შესაძლებლობებს ქმნიან. წარმოქმნიან თანამშრომლობის ერთიან სივრცეებს ოკუპირებული ტერიტორიების პოლიტიკური სტატუსის განსაზღვრის გარეშე და საქართველოს ცენტრალურ ხელისუფლებასთან პოლიტიკურ ურთიერთობას არ საჭიროებენ. პოლიტიკური საკითხების გადაჭრა სამომავლოდ არის გადადებული, როდესაც ახალი ინსტიტუტების ფარგლებში თანამშრომლობისა და ურთიერთობის რეალური პროცესი დაიწყება, ხოლო ეს ინსტიტუტები ყველა მხარის ინტერესების გათვალისწინებისთვის ინტენსიურად იმუშავებენ.

1.2 საქართველოს კანონი ოკუპაციის შესახებ და მისი როლი ინტეგრაციის საქმეში

რუსეთ-საქართველოს ომი, ისევე როგორც ზოგადად რუსეთისა და საქართველოს ურთიერთობები არის კომპლექსური საკითხი, რომელიც პირველ რიგში თავის თავში გულისხმობს რუსეთის ურთიერთობებს დასავლეთის მიმართ. საქართველო მიმართ გატარებული პოლიტიკა მისთვის მნიშვნელოვანია იმდენად, რამდენადაც ეს პირადად რუსეთის საერთაშორისო პრესტიჟს ეხება. სწორედ ამ სცენარიდან გამომდინარე, რუსული იმპერიალისტური ზრახვები ყოველგვარ საზღვრებს გასცდა მას შემდეგ, რაც საქართველომ ღიად აირჩია და არჩევანი გააკეთა ქვეყნის ევროპულ და ევროატლანტიკურ კურსზე. აგვისტოს ომი, ისევე როგორც რუსეთ-უკრაინის კონფლიქტი აშკარაა, რომ არის ერთი დიდი გეგმის შემადგენელი ნაწილი – ომი დასავლეთის წინააღმდეგ, რომლის სამიზნე გახდა საქართველო.

¹⁴ “Action Plan for Engagement,” Office of the State Minister for Reintegration, endorsed on July 6, 2010. http://www.smr.gov.ge/uploads/action_plan_en.pdf (Retrieved May, 2011)

სამშვიდობო პოლიტიკის როლი მოსახლეობის ინტეგრაციის პროცესში ძალიან დიდია. ჩემს კვლევაში განხილულია პარლამენტის მიღებული კანონი „კანონი ოკუპაციის შესახებ“. კანონი არის 6 ფურცლიანი, მცირე მოცულობის მქონე აქტი, რომლის ყველა მუხლი პირდაპირ გამოხატავს სუვერენული, ერთიანი და განუყოფელი ქართული სახელმწიფოს ლეგიტიმურ ინტერესებს და ადგენს შემდეგ რეგულაციებს:

- ✓ ოკუპირებულ ტერიტორიაზე თავისუფლად გადაადგილების შეზღუდვა;
- ✓ ოკუპირებულ ტერიტორიაზე ეკონომიკური საქმიანობის განხორციელების წესი;
- ✓ უძრავი ქონების განკარგვასთან დაკავშირებულ წესებს.

საერთაშორისო სამართალთან შესაბამისობაში მოყვანის მიზნით, საქართველოს პარლამენტმა რამდენჯერმე შეიტანა ცვლილებები აღნიშნულ კანონში, რასაც წინ, ძირითადად, ვენეციის კომისიის დასკვნები უძღოდა. მიუხედავად ამისა, კვლავ დღის წესრიგში დადგა კანონში ცვლილებების შეტანის აუცილებლობა, რაც უცხო ქვეყნის მოქალაქეთა და მოქალაქეობის არმქონე პირთა ოკუპირებულ ტერიტორიებზე თავისუფალ გადაადგილებას ეხება.

დღეს ასეთი ქმედება საქართველოს ხელისუფლების გვერდის ავლით სისხლის სამართლის წესით ისჯება. საუბარი იყო ამ მუხლის შერბილებაზე იმდაგვარად, რომ ის ადმინისტრაციული წესით დასჯადი გახდეს. ოკუპირებულ ტერიტორიაზე შესვლის შეზღუდვის გარდა, ასევე პრობლემურია ეკონომიკური საქმიანობის აკრძალვა აღნიშნულ ტერიტორიებზე. კანონის დღევანდელი რეგულაცია იმდენად ფართოა, რომ შესაძლოა, შეზღუდვაში მოექცეს ყველა ტიპის ეკონომიკური საქმიანობა, რომელიც ამ ტერიტორიებზე საქართველოს ხელისუფლების გვერდის ავლით ხორციელდება. გარდა ამისა, პრაქტიკული გამოცდილება ცხადყოფს, რომ კანონს სამართლებრივ ეფექტთან ერთად უმეტესად გააჩნია პოლიტიკური დანიშნულება, რაც უნდა განიხილებოდეს აფხაზეთისა და ცხინვალის რეგიონების მიმართ მოქმედი საერთო მიდგომების კონტექსტში.

ოკუპაცია საერთაშორისო სამართლის ტერმინია და არის თუ არა ტერიტორია ოკუპირებული, საერთაშორისო სამართლის ნორმების შესაბამისად განისაზღვრება. 1907 წლის ჰააგის მე-4 კონვენციის მიხედვით, ტერიტორია განიხილება

ოკუპირებულად, როდესაც ის მოწინააღმდეგე ძალის ხელისუფლების ქვეშ მოექცევა¹⁵ და ამ მომენტიდან, ოკუპანტ სახელმწიფოს რიგი ვალდებულებები უჩნდება ოკუპირებული ტერიტორიის მიმართ, მათ შორის, დაიცვას წესრიგი, პატივი სცეს ქვეყანაში მოქმედ კანონებს და ა.შ.¹⁶

საქართველოს ხელისუფლებამ ამ კანონის მეშვეობით ოკუპირებულ ტერიტორიებზე აკრძალა ისეთი ეკონომიკური საქმიანობა, რომელიც საჭიროებს ლიცენზიას საქართველოს კანონმდებლობის შესაბამისად, თუ ასეთი ლიცენზია პირს არ მიუღია საქართველოს ხელისუფლებისაგან. ასევე იკრძალება სამხედრო და ორმაგი დანიშნულების პროდუქციის შეტანა / გამოტანა, საერთაშორისო საჰაერო და საზღვაო მიმოსვლა, სარკინიგზო მიმოსვლა და საერთაშორისო სატრანსპორტო გადაზიდვა, სახელმწიფო რესურსებით სარგებლობა, ფულადი გადარიცხვების ორგანიზება და ამ ყველა ჩამოთვლილი საქმიანობის დაფინანსება ან სხვა ფორმით ხელ შეწყობა¹⁷ შესაბამისად, კანონი კრძალავს არა მხოლოდ საერთაშორისო აქტორების მოქმედებას ოკუპირებულ ტერიტორიებზე, არამედ ოკუპირებულ ტერიტორიების მცხოვრებთა მიერ კონკრეტული ეკონომიკური საქმიანობის განხორციელებასაც. მუხლის ფორმულირება იმდენად ფართოა, რომ შეიძლება მოიცვას ნებისმიერი ეკონომიკური აქტივობა, ისეთიც კი, რომელიც ადგილობრივი მოსახლეობის გადარჩენისათვის არის აუცილებელი, მათ შორის, საკვები პროდუქტის იმპორტი და რეალიზაცია, სამედიცინო და საგანმანათლებლო დაწესებულებების ფუნქციონირება და ა.შ.

მიუხედავად იმისა, რომ კანონში შესული ცვლილებების შემდეგ, ეს აკრძალვა აღარ ვრცელდება იმ პირებზე, რომლებიც გადაუდებელ ჰუმანიტარულ დახმარებას ახორციელებენ და წინასწარ ან მოგვიანებით აცნობებენ ამის შესახებ საქართველოს ხელისუფლებას, ვენეციის კომისიის შეფასებით, მუხლი მაინც ძალიან ფართოდ არის ჩამოყალიბებული და ტოვებს სივრცეს სუბიექტური მიდგომისათვის. კანონი ითვალისწინებს საქართველოს ხელისუფლების მიერ სპეციალურ თანხმობას, რომელიც

¹⁵ 1907 წლის ჰააგის მე-4 კონვენცია მუხლი 42.2

¹⁶ ჰააგის მე-4 კონვენციის 43-ე მუხლი, ქენევის მე-4 კონვენციის 47-ე მუხლი

¹⁷ საქართველოს კანონი ოკუპირებული ტერიტორიების შესახებ მუხლი 6.1

მხოლოდ განსაკუთრებულ შემთხვევებში გაიცემა, თუ ეს ეკონომიკური საქმიანობა შეესაბამება საქართველოს სახელმწიფოს ინტერესებს.

შესაბამისად, იმ კომპანიებს, რომლებსაც ოკუპირებულ ტერიტორიებზე ეკონომიკური საქმიანობა სურთ, აქვთ საშუალება მიმართონ საქართველოს ხელისუფლებას და მიიღონ სპეციალური თანხმობა, თუ ეს საქმიანობა, საქართველოს ხელისუფლების შეხედულებით, ემსახურება სახელმწიფო ინტერესებს, კონფლიქტის მშვიდობიანი მოგვარების, დეოკუპაციის, ომით დაზარალებულ მოსახლეობას შორის ნდობის აღდგენის ან ჰუმანიტარულ მიზნებს. მიუხედავად კანონის მკაცრი დანაწესისა, ის ფაქტობრივად არ აღსრულდება და ოკუპირებულ ტერიტორიებზე ეკონომიკური საქმიანობა, ბუნებრივია, მაინც ხორციელდება. ამასთან, ეს არა მხოლოდ რუსეთის ფედერაციის კომპანიებს ეხებათ, არამედ კომპანიებს ისეთი ქვეყნებიდან, რომლებიც არ აღიარებენ აფხაზეთისა და სამხრეთ ოსეთის დამოუკიდებლობას. აფხაზეთში ოპერირებენ კომპანიები თურქეთიდან, ასევე ევროპის და აზიის სხვა ქვეყნებიდან. საქართველოს კი არ აქვს ბერკეტი, რომ ეფექტურად აღასრულოს კანონი და სისხლის სამართლის პასუხისგებაში მისცეს დამრღვევი პირები.

ჯერ 2013 წელს, ხოლო შემდეგ 2016 წლის ნოემბერში საქართველოს პარლამენტში განიხილებოდა კანონპროექტი ოკუპირებულ ტერიტორიებზე შესვლის წესის შეცვლისათვის. კერძოდ, შემოთავაზებული კანონპროექტით, კანონის დარღვევის პირველ შემთხვევა იქნებოდა ადმინისტრაციული სამართალდარღვევა და პირს დაეკისრებოდა ჯარიმა, ხოლო დარღვევის მეორე შემთხვევაში გათვალისწინებული იქნებოდა სისხლის სამართლებრივი პასუხისმგებლობა, რომელიც დაისჯებოდა ჯარიმით, ხოლო დამამძიმებელ გარემოებებში ჩადენილი – ჯარიმით, ან თავისუფლების აღკვეთით ვადით 1 წლამდე.

საქართველოს აქვს უფლება, განსაზღვროს წესები და პირობები უცხოელებისათვის სახელმწიფოს ტერიტორიაზე შემოსვლისათვის, თუ ეს, რა თქმა უნდა, არ ეწინააღმდეგება მის მიერვე აღებულ საერთაშორისო სამართლებრივ ვალდებულებას (მაგალითად, გაეროს ლტოლვილთა კონვენცია). ამასთან, საქართველოს კონსტიტუციის მიხედვით, საქართველოს ყველა მოქალაქეს აქვს უფლება შემოვიდეს საქართველოს

ტერიტორიაზე. ოკუპირებული ტერიტორიების შესახებ საქართველოს კანონი არ ეწინააღმდეგება ამ ორ პრინციპს და შესაბამისად, არ არღვევს არც საერთაშორისო და არც შიდა სამართალს. ამის დასტურია ისიც, რომ ვენეციის კომისიამ თავის პირველად დასკვნაში ისაუბრა არა რეგულირების შეუსაბამობაზე საერთაშორისო სამართალთან, არამედ ცალკეულ პრობლემებზე, რომლებიც შესაძლოა, წინააღმდეგობაში ყოფილიყო საქართველოს მიერ აღებულ საერთაშორისო ვალდებულებებთან. კომისიამ აქცენტი გააკეთა კანონის ძალიან ფართო აკრძალვაზე, რომელიც არ ითვალისწინებდა გადაუდებელ შემთხვევებს და რთულ მდგომარეობაში აყენებდა ჰუმანიტარული დახმარების განმახორციელებელ პირებს. ასევე არ იყო გათვალისწინებული საქართველოს მიერ გაეროს ლტოლვილთა კონვენციით აღებული ვალდებულება, არ დასაჯოს თავშესაფრის მაძიებელი ქვეყნის ტერიტორიაზე უკანონოდ შესვლისათვის. ვენეციის კომისიას ასევე კითხვები ჰქონდა სპეციალური ნებართვის გაცემის წესზე, რომელიც მიიჩნია, რომ იყო ბუნდოვანი და პროცედურა გაუმჭვირვალე. ვენეციის კომისიის უმეტესი შენიშვნები გათვალისწინებული იყო კანონში მომდევნო ცვლილებებით, თუმცა არა ის რეკომენდაციები, რომლებიც ეხებოდა საგანგებო სიტუაციებისას გამონაკლისის დაშვებას და სპეციალური ნებართვის გაცემის პროცედურის უფრო გამჭვირვალედ ჩამოყალიბებას. მიუხედავად ამისა, როდესაც საქართველომ 2013 წელს ცვლილების ინიცირება მოახდინა და გადაწყვიტა კრიმინალური სანქცია გაეუქმებინა ოკუპირებულ ტერიტორიებზე შესვლის წესის დარღვევისათვის, ეს ვენეციის კომისიამ მოიწონა, უფრო მეტიც, ურჩია, რომ ეს ქმედება სრულად ადმინისტრაციულ სამართალდარღვევათა კოდექსში გადმოტანილიყო, რაც მეტად წაახალისებდა ჩართულობას ამ ტერიტორიებზე. მიუხედავად იმისა, რომ ჩანაწერი პირდაპირ არ ეწინააღმდეგება საერთაშორისო სამართალს, სადაც, თუ რამდენად გამართლებულია მისი არსებობა კონფლიქტის ტრანსფორმაციის მიზნებისათვის.

2013 წლის დასაწყისში შერიგებისა და სამოქალაქო თანასწორობის საკითხებში სახელმწიფო მინისტრის აპარატის ავტორობითა და მთავრობის ინიციატივით მომზადდა ცვლილებები “ოკუპირებული ტერიტორიების შესახებ” კანონში და მასთან

ერთად “საქართველოს სისხლის სამართლის კოდექსსა“ და “საქართველოს ადმინისტრაციულ სამართალდარღვევათა კოდექსში“.

აღნიშნული ცვლილებების თანახმად, უცხო ქვეყნის მოქალაქე ან მოქალაქეობის არმქონე პირი, რომელიც ოკუპირებულ ტერიტორიებზე “ოკუპირებული ტერიტორიების შესახებ” კანონით დადგენილ წესს დაარღვევს, თავისუფლების აღკვეთის ნაცვლად, 400 ლარით დაჯარიმდება. პირის მიერ პირველ ჯერზე წესის დარღვევისთვის პასუხისმგებლობა ადმინისტრაციული სახდელით განისაზღვრება, ხოლო სისხლისსამართლებრივი პასუხისმგებლობა იმ შემთხვევაში დადგება, თუ ასეთი ქმედება პირმა ადმინისტრაციული სახდელის შეფარდების შემდეგაც ჩაიდინა.

გარდა ამისა, ცვლილებებით განისაზღვრება, რომ კანონით აკრძალული მიმართულებიდან ოკუპირებულ ტერიტორიებზე შესვლის სპეციალურ თანხმობა სახელმწიფოს ინტერესებიდან გამომდინარე შეიძლება გაცემულ იქნეს როგორც ოკუპირებულ ტერიტორიებზე შესვლამდე, ისე შესვლის შემდეგ. კანონპროექტით, აკრძალული მიმართულებიდან ოკუპირებულ ტერიტორიებზე შესვლისთვის პასუხისმგებლობისგან თავისუფლდება პირი, რომელიც საქართველოს მთავრობის სპეციალური თანხმობის გარეშე შევიდა/შევა აკრძალული მიმართულებიდან ოკუპირებულ ტერიტორიაზე, თუმცა, საქართველოს სახელმწიფოებრივი ინტერესებიდან გამომდინარე, ოკუპირებულ ტერიტორიებზე შესვლის შემდეგ საქართველოს მთავრობის სპეციალურ თანხმობას მიიღებს.

პარლამენტის მიერ 2013 წელს მომზადებული საექსპერტო დასკვნით, შემოთავაზებული ცვლილებები დასახვეწი იყო იურიდიული ტექნიკისა და რედაქციის თვალსაზრისით. ამავე დროს, ბუნდოვანებას ქმნიდა კანონის დარღვევის შემდგომ სპეციალური ნებართვის გაცემის/მოთხოვნის წესის შემოღება.

„კავკასიური სახლის“ ანალიტიკური პორტალის ცნობით, 2009 – 2015 წლებში აღნიშნული ბრალდებით საქართველოს სამართალდამცავი ორგანოების მიერ დაკავებული იქნა 333 ადამიანი. 2012 წლის შემდეგ საერთოდ არ ხდებოდა კანონის დამრღვევი მოქალაქეების პასუხისგებაში მიცემა. გარდა ამისა, ოფიციალურად არ

მოიპოვება ინფორმაცია იმის შესახებ, თუ რომელი ქვეყნის მოქალაქეები იყვნენ დაკავებული კანონის დარღვევის გამო და რა გარემოებებში მოხდა მათი დაკავება.

თავი 2. სახალხო დიპლომატიის და სამშვიდობო პოლიტიკის როლი

2.1 სახალხო დიპლომატიის როლი საქართველოს ოკუპირებულ ტერიტორიებთან ინტეგრაციაში

ინტეგრაციის კონცეფცია რთული ჩამოსაყალიბებელია. სხვადასხვა მეცნიერი სხვადასხვაგვარად განმარტავს მას, საყურადღებოა ინტეგრაციის შემდეგი განსაზღვრება: „მანამდე ავტონომიურად არსებულ ერთობებს შორის ურთიერთქმედების ინტენსიური და მრავალმხრივი კავშირების შექმნა და შენარჩუნება. ეს კავშირები თავისი ხასიათით ნაწილობრივ შეიძლება იყოს ეკონომიკური, ნაწილობრივ სოციალური, ნაწილობრივ კი პოლიტიკური: პოლიტიკურ ინტეგრაციის თან ახლავს ეკონომიკური და სოციალური ურთიერთქმედების მაღალი დონე“.¹⁸

მსოფლიო რეგიონებს შორის ინტეგრაცია შეიძლება იყოს კომპლექსური და მრავალმხრივი პროცესი, რომელშიც ჩართულნი არიან აქტორთა სხვადასხვა ტიპები. ეს აქტორები მოქმედებენ საზოგადოებრივი მოღვაწეობის სხვადასხვა სფეროებში და ასევე არიან ამ სფეროების დამაკავშირებელი.

ეკონომიკური ინტეგრაცია ხშირად გულისხმობს საბაჟო კავშირებს, თავისუფალ ბაზარს, რის შედეგადაც იქმნება ეკონომიკური მოღვაწეობის ლიბერალიზაციისათვის აუცილებელი პირობები და მიიღება რეგულირებისათვის საერთო წესები სხვადასხვა ეროვნული კანონების სანაცვლოდ.¹⁹

პოლიტიკური ინტეგრაცია შეიძლება გულისხმობდეს არა მხოლოდ ინსტიტუციონალური მექანიზმების ფორმირებასა და გადაწყვეტილებათა მიღების პროცედურებს, არამედ ასევე თანმთხვევი ფასეულობებისა და მიზნების ჩამოყალიბებას, უთანხმოებათა მშვიდობიან გადაწყვეტასა და სოციალურ-პოლიტიკურ მჭიდრო დაკავშირებას.²⁰

¹⁸ <http://www.nplg.gov.ge/gsd/cgi-bin/library.exe?e=d-00000-00---off-0civil2--00-1----0-10-0---0---0prompt-10---4----0-1l--10-ka-50---20-about---00-3-1-00-0-0-01-1-0utfZz-8-00&a=d&cl=CL2.10&d=HASH1d0a9dbec01b35bd43ea30.9>

¹⁹ <http://www.nplg.gov.ge/gsd/cgi-bin/library.exe?e=d-00000-00---off-0civil2--00-1----0-10-0---0---0prompt-10---4----0-1l--10-ka-50---20-about---00-3-1-00-0-0-01-1-0utfZz-8-00&a=d&cl=CL2.10&d=HASH1d0a9dbec01b35bd43ea30.9>

²⁰ <http://www.nplg.gov.ge/gwdict/index.php?a=term&d=5&t=12311>

ინტეგრაციის შესწავლა დაკავშირებულია იმ პრობლემებთან, თუ როგორ შეიძლება გადაწყდეს კონფლიქტები, განვითარდეს თანამშრომლობა და შენარჩუნდეს სტაბილურობა.

საქართველოს ხელისუფლების უპირველესი ინტერესი არის მშვიდობა და სტაბილურობა ქვეყანასა და რეგიონში, სწორედ კონფლიქტის მოგვარება არის მდგრადი მშვიდობისა და სტაბილურობის წინაპირობა. აქედან გამომდინარე, საქართველოს ხელისუფლების პოლიტიკა მიმართულია უფრო დინამიკური და ქმედითი ნაბიჯების გადაგმის, შერიგებისა და ნდობის მშენებლობის, კონფლიქტით დაზარალებული მოსახლეობის მდგომარეობის გაუმჯობესების შექმნილი ვითარების ტრანსპორმაციისა და შესაბამისად, კონფლიქტის მშვიდობიანი და სრულმასშტაბიანი მოგვარების მყარი საფუძვლის შექმნისკენ.

ოკუპირებულ ტერიტორიებთან რეინტეგრაციის საშუალებების განხილვისას არ უნდა დაგვავიწყდეს სახალხო დიპლომატია, რომელიც არის მნიშვნელოვანი ინსტრუმენტი დაპირისპირებულ მხარეთა პოზიციების დაახლოების. ოკუპირებულ ტერიტორიებზე მცხოვრებ ადამიანებთან პირდაპირ დიალოგს ალტერნატივა არ აქვს, რადგან ქვეყნის ტერიტორიული მთლიანობის აღდგენის შემთხვევაშიც კი, თუ ადამიანებს შორის არ აღდგა ნდობა და ურთიერთგაგება, კონფლიქტი არ გადაიჭრება და გაყოფილი საზოგადოება მუდამ იდგება ფარული კონფრონტაციის ღია კრიზისში გადაზრდის საშიშროების წინაშე. ამდენად, სახალხო დიპლომატია აუცილებელია როგორც დღეს არსებულ რეალობაში, ისე პერსპექტივაში - დევნილთა დაბრუნებისა და თანაცხოვრების პირობების აღდგენის შემთხვევისათვის.

სახალხო დიპლომატია იმით არის მისაღები, რომ გვერდს უვლის ურთულეს პოლიტიკურ საკითხებს და ემყარება პოზიტივს ადამიანების განწყობებსა და სასიცოცხლო ინტერესებში, წინა პლანზე აყენებს ადამიანს და არა კონიუნქტურას, ვისიმე მერკანტილურ პოლიტიკურ ინტერესებსა და თამაშებს, მუშაობს და ვითარდება შინაგანი კანონზომიერებით, რომელიც ემყარება ადამიანთა თვითგადარჩენის ინსტიქტებს, გააზრებულ სამშვიდობო მისწრაფებებს და ახდენს დაპირისპირებულ მხარეთა ურთიერთობის დარეგულირებას მათი შეკავშირებით საერთო საჭიროებების ირგვლივ.

სახალხო დიპლომატია ზეგავლენას ახდენს საზოგადოებრივ აზრზე, ხელს უწყობს რა ინფორმაციის გაცვლას დაპირისპირებულ მხარეებს შორის და სახალხო-დიპლომატიური პროცესების მონაწილეთა მიერ მიღებული ინფორმაციის გაზიარებას თავიანთი საზოგადოებებისადმი, რაც საბოლოო ჯამში, ამსხვრევს სტერეოტიპებს და ამცირებს სიძულვილს.²¹

სახალხო დიპლომატიის წარმატებისთვის ძალიან მნიშვნელოვანია, ურთიერთბრალდებები შეიცვალოს საკუთარი ბრალეულობის აღიარებითა და მონანიებით. ორივე მხარემ ხალხისა და მთავრობის დონეზე უნდა აღიაროს საკუთარი წვლილი კონფლიქტის გაჩაღებაში.

სახალხო დიპლომატია შეიძლება განვიხილოთ, როგორც გადამწყვეტი მექანიზმი კონფლიქტის მოგვარებისათვის, რადგან სწორედ ის მუშაობს მაშინ, როცა ვერ მუშაობს ოფიციალური დიპლომატია, როცა კონფლიქტი გაყინულია ან ცხელია და ოფიციალურ მხარეებს შორის კონტაქტები მოშლილია. სწორედ სახალხო დიპლომატია იღებს თავის თავზე ინფორმაციის გაცვლას მხარეებს შორის მაშინ, როცა ოფიციალური არხები დახურულია. სწორედ უბრალო ადამიანები იღებენ თავის თავზე პოზიციათა დაახლოების ძიებას, როცა პოლიტიკოსებს არ სურთ ან არ შეუძლიათ ერთმანეთთან საუბარი. ამასთან, თავდაპირველად სწორედ არაფორმალური დიალოგის მეშვეობით ხდება სხვადასხვა პოლიტიკური გადაწყვეტილების მოსინჯვა, რომელთაც შეიძლება მიგვიყვანონ კონფლიქტის გადაჭრამდე.

ჯანსაღი საზოგადოებრივი აზრი მეტად მნიშვნელოვანია ოფიციალური პოლიტიკის გათავისუფლებისთვისაც პოპულიზმისა და საომარი რიტორიკისაგან, რომელიც ხშირად წარმოადგენს ხარკს საომრად განწყობილი მოსახლეობის დაკვეთისათვის. საზოგადოებრივი აზრი დიდი ძალაა, მას შეუძლია, აიძულოს ხელისუფლება, ეძებოს კონფლიქტის გადაჭრის რეალური და ეფექტიანი გზები, ჯანსაღი საზოგადოებრივი აზრი, საზოგადოებად ქცეული მოსახლეობა ბევრ რამეს წყვეტს ოფიციალურ პოლიტიკაში.

²¹ სახალხო დიპლომატიის აღდგენა – კონფლიქტის არამალადობრივი გადაწყვეტა, სამეგრელოს მოსახლეობის ხელდა რეგიონში არსებული პრობლემების შესახებ 2010.

ხელისუფლება ხშირად უფრო მეტად არის სტერეოტიპების ტყვეობაში, ვიდრე უბრალო ხალხი და მით უმეტეს, სამოქალაქო სექტორი, რომელიც შინაგანად უფრო თავისუფალია და ღია სიახლისათვის, ამიტომ სახალხო დიპლომატია უფრო იოლად იღებს საკუთარ თავზე პირველმკვალავის როლს, ხოლო ოფიციალური დიპლომატია, რომელიც შეზღუდულია სხვადასხვა გარემოებითა და ზოგჯერ ობიექტური, უმრავლეს შემთხვევაში კი, სუბიექტური ფაქტორებით, უკან ექაჩება მას. ოფიციალური დიპლომატიის აქტორებმა უნდა გაითვალისწინონ სახალხო დიპლომატიის მონაპოვრები და მის წიაღში არსებული რესურსები, რათა პოლიტიკა დაუახლოვდეს ხალხის ნებას და უპასუხოს არა მხოლოდ გარეშე, თუნდაც კეთილგანწყობილ ძალთა, არამედ საკუთარი ჯანსაღი საზოგადოებრივი აზრის დაკვეთას.

დღეს სახალხო დიპლომატიაში აუცილებელი წინაპირობაა, რომ ახალგაზრდები მეტად იყვნენ ჩართული ამ პროცესში. რაც მეტი ახალგაზრდა გაიცნობს ერთმანეთს ორივე მხრიდან, მით ნაკლები იქნება უნდობლობა, შიში და სიძულვილი მათ შორის. სწორედ ამ მოსაზრებით დაისვა ახალგაზრდების ჯგუფის მხრიდან სახალხო დიპლომატიაში ორივე მხარის ახალგაზრდობის უფრო აქტიურად ჩართვის საკითხი.

თაობათა ცვლასთან ერთად, გაჩნდა ახალი, ერთი შეხედვით, წინააღმდეგობრივი, მაგრამ სიღრმისეულად ურთიერთდაკავშირებული ტენდენცია კონფლიქტის მხარეთა ურთიერთდამოკიდებულებაში. კერძოდ, წამოვიდა თაობა, რომელსაც, ერთი მხრივ, გაცილებით ნაკლებად ამბიციურებს ომის მწარე მოგონებები, რაც თავის თავში მოიცავს რესურსს კონფლიქტის გადაჭრის გზების გონივრულად ძიებისათვის.

ამგვარად, სამივე მხარის ინტერესებში შედის და აფხაზებმაც და ოსებმაც უნდა გაიცნობიერონ, რომ მსგავსი განწყობების გამძლავრებისა და პრევალირების პირობებში, ვერც ისინი იქნებიან მშვიდად, რაც უნდა მკაცრად აჟღარუნებდეს იარაღს რუსეთი.

2.2 სამშვიდობო პოლიტიკის როლი მოსახლეობის ინტეგრაციის პროცესში

ნდობის აღდგენა და ოკუპირებულ ტერიტორიებზე მცხოვრები მოსახლეობის მეტი ჩართულობისთვის ხელსაყრელი პირობების შექმნა სახელმწიფო მინისტრის აპარატის ერთერთი მთავარი ამოცანაა. ამითომ საქართველოს მთავრობა აგრძელებს დაშორიშორებულ საზოგადოებებს შორის ეფექტიანი კომუნიკაციის, ნდობის აღდგენის პროექტების განხორციელების და სახალხო დიპლომატიის მხარდაჭერას.

შერიგებისა და სამოქალაქო თანასწორობის საკითხებში სახელმწიფო მინისტრის აპარატი იყენებს ყველა შესაძლებლობას აფხაზურ და ოსურ საზოგადოებებთან კომუნიკაციის განხორციელებისთვის და აქტიურად მუშაობს დიალოგისა და ნდობის აღდგენის ახალი შესაძლებლობების შექმნისათვის.²²

სახელმწიფო მინისტრის აპარატის თანამშრომლები რეგულარულად მონაწილეობენ საერთაშორისო ორგანიზაციების სხვადასხვა პროექტებში, ერთ-ერთი ამგვარი შეხვედრა გაიმართა 2017 წლის ივლისში ბერლინში ქართული და აფხაზური საზოგადოების წარმომადგენლების, მათ შორის პოლიტიკოსების, ექსპერტებისა და საერთაშორისო ორგანიზაციების წარმომადგენლების მონაწილეობით. გარდა ამისა, სახელმწიფო მინისტრის აპარატის წარმომადგენლებმა 2017 წელს დამატებით მონაწილეობა მიიღეს, როგორც საქართველოს კონტროლირებად ტერიტორიაზე, ისე საზღვარგარეთ საერთაშორისო და არასამთავრობო ორგანიზაციების მიერ გამართულ 13 ქართულ-აფხაზურ და ერთ ქართულ-ოსურ შეხვედრაში. აღნიშნული შეხვედრების მიზანს წარმოადგენდა კონფლიქტით დაშორიშორებულ საზოგადოებებს შორის დიალოგი, ნდობის აღდგენა, ერთობლივ სასწავლო ვიზიტში მონაწილეობა, განათლების, ჯანდაცვის, ვაჭრობის, გარემოს დაცვის და სხვა თემების განხილვა, არსებულ გამოწვევებზე საუბარი, ა.შ.²³

მიუხედავად მთავრობის მიერ ინტეგრაციის პროცესში გადადგმული ქმედითი ნაბიჯებისა, საკმაოდ მძიმე ვითარებაა ოკუპირებულ ტერიტორიებზე. რუსეთის ფედერაცია აგრძელებს საქართველოს ოკუპირებული ტერიტორიების ინტენსიურ მილიტარიზაციას.

აფხაზეთის რეგიონის მიმართულებით 2017 წლის მარტში საოკუპაციო რეჟიმმა გამყოფ ხაზზე არსებული ორი გამშვები პუნქტი - ხურჩა-ნაბაკევი და ოტობაია-ორსანტია - გააუქმა. განსაკუთრებით რთული მდგომარეობა არის გალის რაიონში, სადაც გრძელდება მოსახლეობის ეთნიკური ნიშნით დისკრიმინაცია, ქართულ ენაზე

²² http://smr.gov.ge/Uploads/2017_overa_16bf3023.pdf

²³ <http://smr.gov.ge/srcResult.aspx?srch=შერიგებისდასამოქალაქოთანასწორობისსაკითხებში> საქართველოს სახელმწიფო აპარატის 2017 წლის წლიური ანგარიში

განათლების მიღების უფლების შეზღუდვა. 2016-2017 სასწავლო წლიდან მე-6 კლასის ჩათვლით ქართულ ენაზე სწავლება აიკრძალა გალის რაიონის ამ დრომდე დარჩენილ ქართული სკოლის სტატუსის მქონე 10 სკოლაში, რაც რა თქმა უნდა წარმოადგენს ე.წ. რუსიფიკაციის პოლიტიკის გაგრძელებას. იმავდროულად, გალის რაიონში არ ფუნქციონირებს ქართულენოვანი საბავშვო ბაღი, რაც არის გაეროს ბავშვთა უფლებათა კონვენციის და სხვა საერთაშორისო სამართლებრივი ინსტრუმენტების უხეში დარღვევა.²⁴

რუსიფიკაციის პოლიტიკის ეს გამოვლინება გაგრძელდა ახალგორის რაიონის მიმართულებითაც. მიმდინარე წლიდან ყველა სკოლა გადავიდა ე.წ. სამხრეთ ოსეთის სწავლების ერთიან სისტემაზე და დაწყებით კლასებში (მე-4 კლასის ჩათვლით) გაკვეთილები რუსულ ენაზე ტარდება. (2017 წლის სექტემბრამდე აქ მოქმედი 11 სკოლიდან 6 იყო ქართული). ანალოგიურ პროცესს აქვს ადგილი საჩხერის რაიონის ოკუპირებულ ნაწილში მდებარე სინაგურისა და ქარელის რაიონის ოკუპირებული ნაწილის სოფელ ახალშენის საშუალო სკოლებში.²⁵

სამშვიდობო პროცეს აფერხებს ასევე მოსახლეობის ინფორმაციული ვაკუუმი.

ადამიანებს არ შეუძლიათ პირადი კავშირებით, პირველწყაროებიდან შეიტყონ, რა ხდება სოხუმში, ცხინვალსა თუ თბილისში, რაც თავის მხრივ, დიდ როლს თამაშობს ამ საზოგადოებებს შორის გაუცხოებაში, რადგან ახალი ინფორმაციის გარეშე წარსული ნარატივები და სტერეოტიპები კიდევ უფრო ძლიერდება. გასათვალისწინებელია ის ფაქტი, რომ ოკუპირებულ ტერიტორიაზე მხოლოდ რუსული კვლევითი ორგანიზაციები მუშაობენ. მათ მიერ ჩატარებული კვლევაში ხშირია კითხვა, რომელი საინფორმაციო არხებიდან იღებენ ინფორმაცია. ოკუპირებულ ტერიტორიებზე მცხოვრები ადამიანების 90 % მასობრივი კომუნიკაციის არხებიდან იღებს ინფორმაციას. რაც იმას ნიშნავს, რომ მათ ხელი არ მოუწვდებათ ქართულ არხებთან, ასეთი ვითარება კიდევ უფრო ართულებს ინტეგრაციის პროცესს.

ასევე საინტერესოა, რომ მთავრობის სამშვიდობო ინიციატივით სარგებლობენ უმეტესად ის ადამიანები, ვისაც ჯერ კიდევ აქვთ მისვლა-მოსვლა საქართველოს მიერ კონტროლირებად ტერიტორიაზე. იღებენ, როგორც საქართველოს მთავრობის მიერ დანიშნულ პენსიას ასევე ოკუპირებული ტერიტორიაზე არსებულ რუსულ პენსიას. ეს ადამიანები გადმოდიან საქართველოს ტერიტორიაზე და ურთიერთობა აქვთ საკუთარ ნათესავებთან. გასათვალისწინებელია ის ფაქტი, რომ მთავრობის ამ ინიციატივის გარეშეც ქონდათ და აქვთ გადაკვეთა საქართველოსთან.

²⁴ http://smr.gov.ge/Uploads/Untitled_f9cbac80.pdf

²⁵ http://smr.gov.ge/Uploads/2017_over_16bf3023.pdf

ჩართულობის სახელმწიფო სტრატეგიის საფუძვლები კონფლიქტის მოგვარების პოლიტიკის პრინციპებს წარმოადგენს კონფლიქტის მხოლოდ მშვიდობიანი მოგვარება, პირდაპირი დიალოგის შეთავაზება. მოსახლეობის ინტეგრაცია უნდა მოხდეს მხოლოდ მშვიდობიანი გზით.

2017 წლის 11 იანვარს ცვლილებები განხორციელდა „ოკუპირებულ ტერიტორიებზე მიღებული უმაღლესი განათლების აღიარების წესის დამტკიცების შესახებ“ საქართველოს განთლებისა და მეცნიერების მინისტრის 2009 წლის 1 დეკემბრის N1067 ბრძანებაში. ცვლილებების თანახმად, ოკუპირებულ ტერიტორიებზე მცხოვრებ პირებს უმაღლესი განათლების აღიარების თაობაზე სათანადო განაცხადი შეუძლიათ წარადგინონ ონლაინ, მათ შორის აფხაზურ ენაზე, ან საერთაშორისო ორგანიზაციის მეშვეობით. გარდა ამისა, გაუქმდა საქართველოს მოქალაქის პირადობის მოწმობის წარმოდგენის ვალდებულება. განხორციელებული ცვლილებები ამცირებს ოკუპირებულ ტერიტორიებზე მიღებული განათლების აღიარების ტექნიკურ დაბრკოლებებს და გზას უხსნის ოკუპირებულ ტერიტორიებზე მცხოვრებ პირებს სწავლის გასაგრძელებლად დანარჩენ საქართველოში ან/და საზღვარგარეთ.

2016-2017 სასწავლო წწ. ოკუპირებული აფხაზეთის ტერიტორიიდან სახელმწიფომ დააფინანსა 91 სტუდენტის სწავლა, ასევე გაგრძელდა გამყოფ ხაზთან მდებარე სოფლებში მცხოვრები სტუდენტების სწავლის დაფინანსება. აღსანიშნავია, რომ განათლების პროგრამას 78% შემთხვევებისა გალის დაბალი ზონის მოსახლეობა იყენებს და მაგალითად, სოხუმიდან და აფხაზეთის ავტონომიის ჩრდილოეთ რაიონებიდან დაინტერესება დაახლოებით 5-7% ის ფარგლებშია.

მთავრობა საკმაოდ დიდ თანხას ხარჯავს სამშვიდობო ინიციატივაში, იმისთვის რომ ჩვენ მოსახლეობასა და ოკუპირებულ ტერიტორიაზე მცხოვრებ მოსახლეობას შორის მოხდეს ინტეგრაცია. თუმცა მათ მიერ შეთავაზებული სერვისებით მცირე ჯგუფი სარგებლობს, რომლებიც რეალურ სტატისტიკას არ მქნიან, იმის შესახებ რამდენად წარმატებულია მთავრობის სამშვიდობო ინიციატივა.

თავი 3. ინტეგრაციის ხარისხი გამოწვევები და ანალიზი

3.1 საქართველოს ცენტრალური ხელისუფლების სახელმწიფო სტრატეგიის შეფასება ქართველი და აფხაზი ექსპერტების მიერ

საქართველოს მთავრობის მიერ შემუშავებულ სამშვიდობო გეგმასთან დაკავშირებით პოლიტიკოსთა და ექსპერტთა მოსაზრება ორ ნაწილად იყოფა: ერთნი თვლიან, რომ სამშვიდობო გეგმა განუხორციელებელია, რადგან ის რუსეთის ფაქტორს არ ითვალისწინებს და კონფლიქტის რუსეთის გვერდის ავლით მოგვარებას ცდილობს.

გ. ხუციშვილის აზრით, საქართველოს სამშვიდობო პროექტს სამომავლო პერსპექტივა არ გააჩნია. სტრატეგიის მთავარი დოკუმენტი, ჩართულობა თანამშრომლობის გზით მიმართულია არა მხოლოდ მოქალაქეებისადმი და ჯგუფებისადმი, არამედ კონფლიქტური ზონების დე-ფაქტო ხელისუფლებისადმიც. “იმთავითვე ნათელი იყო, რომ დე-ფაქტო ხელისუფლება საქართველოს სახელმწიფოს მიერ ინიცირებულ ნებისმიერ ინიციატივას შეეწინააღმდეგებოდა”.²⁶ რუსეთის ფედერაციის მიერ სამშვიდობო გეგმის მოწონებისა და მისი აქტიური მონაწილეობის გარეშე ამ მიმართულებით საქართველოს ხელისუფლების მიერ გაწეული მუშაობა ნაყოფს ვერ გამოიღებს.

ა. გეგეშიძე კი მიიჩნევს, რომ ყურადღებას ამახვილებს იმ ფაქტზე, რომ “სოხუმისთვის თბილისის მიერ შეთავაზებული ნებისმიერი წინადადება მიუღებელია, და მას სუვერენიტეტის დაკარგვის და საქართველოსთან ინტეგრაციის გზაზე დადგომად განიხილავს”.²⁷ თუმცა, ამავე დროს აუცილებლად მიიჩნევს გარკვეული ზომების მიღებას, რადგან აფხაზეთი 2002-2003 წლებიდან დაადგა რუსეთთან ცალმხრივი დე-იზოლაციის გზას.

²⁶ “Gogi Khutsishvili - The Vision of the Collective Security Will Emerge Among Caucasians,” on www.ambebi.ge – Information Portal, 11.03.2011; <http://www.ambebi.ge/politika/33297-qadre-thu-gvian-kavkasielebs-koleqtiuri-usaftrtkhoebis-khedva-gauchndebathq.html#ixzz1GJuTjXcr> (Retrieved June, 2011)

²⁷ Gegeshidze, A. (2011b). Introduction, in The De-Isolation of Abkhazia, Part 2 – The Georgian Perspective - Prospects for Abkhazia’s De-Isolation in the context of the Non- Recognition Policy, April 2011, Understanding conflict. Building peace. International Alert (Retrieved May, 2012)

გეგეშიძე ერთ ასპექტზე ამახვილებს ყურადღებას, რაც საქართველოს წისქვილზე ასხამს წყალს: აფხაზეთის განვითარებისა და მოდერნიზაციისთვის აუცილებელია დასავლეთთან თანამშრომლობა, რითაც მას რუსეთის ვერ უზრუნველყოფს. ეს კი, პირველ რიგში, საერთაშორისო ურთიერთობების დივერსიფიკაციითა შესაძლებელი.²⁸ ამ მხრივ ცენტრალური ხელისუფლების სამშვიდობო გეგმა დიდ პერსპექტივებს იძლევა. თუმცა, გეგეშიძის აზრით გარკვეული წინააღმდეგობა მაინც არსებობს აფხაზეთის დე-იზოლაციის საქართველოს და ევროკავშირის ხედვებს შორის. ა. გეგეშიძის აზრით აზრით, საქართველოს მიერ ოკუპირებულ ტერიტორიებზე მოქმედი ორგანიზაციების ჩართულობის პირობები და წესები დასავლეთს არჩევანის წინაშე აყენებს: “ან დამორჩილდეს ამ წესებს, და რისკის ქვეშ დააყენოს მისი მხრიდან სოხუმზე ზეგავლენის მოხდენის შესაძლებლობა, ან დაუპირისპირდეს საქართველოს.”²⁹

გეგეშიძე მიიჩნევს, რომ “არალიარების” პოლიტიკა საქართველოს დროის მოგების საშუალებას აძლევს, რაც ხელსაყრელია:

- ✓ მისადმი ნდობის მოსაპოვებლად, და არა მხოლოდ სეპარატისტულ რეგიონებში, არამედ მთლიანად სამხრეთ კავკასიაში;
- ✓ მომავლის იმ მოდელის ჩამოსაყალიბებლად, სადაც საქართველო სანდო პარტნიორად იქნება წარმოჩენილი;
- ✓ ისტორიის და პოლიტიკური ცხოვრების დემითოლოგიზაციისთვის.³⁰

ნოდია ცენტრალური ხელისუფლების მიერ ინიცირებული გეგმის კრიტიკით გამოდის, და აღნიშნავს, რომ ჩართულობა ძნელი მისაღწევი იქნება, რადგან ამით რუსეთი და აფხაზეთი/სამხრეთ ოსეთი არ არიან დაინტერესებულნი. მისი აზრით

²⁸ Gegeshidze, A. (2011b). Introduction, in The De-Isolation of Abkhazia, Part 2 – The Georgian Perspective - Prospects for Abkhazia’s De-Isolation in the context of the Non- Recognition Policy, April 2011, Understanding conflict. Building peace. International Alert (Retrieved May, 2012)

²⁹ .Gegeshidze, A., (2011d). New Realities after August 2008, Transformation of the Georgian- Abkhaz Conflict: Rethinking the Paradigm, by Archil Gegeshidze and Ivliane Haindrava. http://www.c-r.org/our-work/caucasus/documents/2011/CR%20Ge- Ab%20ENG%20web_Georg_perspective.pdf (Retrieved June, 2011)

³⁰ .Gegeshidze, A. (2011f). The policy of non-recognition of Georgia: Prospects and Challenges, Part 2 – The Georgian Perspective, The Politics of non-Recognition in the context of the Georgian-Abkhazian Conflict, March, 2011, Understanding conflict. Building peace. International Alert <http://www.international.alert.org/sites/default/files/publications/201103GeorgiaAbkhaziaEN-1.pdf> (Retrieved May, 2012), 37.

სასურველია ჩართულობა არა აფხაზურ და სამხრეთ ოსურ საზოგადოებებთან არამედ საქართველოს და რუსეთს შორის.³¹

ზაქარეიშვილის აზრით აფხაზეთის და სამხრეთ ოსეთის ხელისუფლება არ დათანხმდება საქართველოს ცენტრალური ხელისუფლების მიერ შეთავაზებულ სამშვიდობო გეგმას; თუმცა, რუსეთის მიერ აფხაზეთის აღიარება ძალზედ ორაზროვანია: რეალურად ეს აფხაზეთისთვის არა საოცნებო დამოუკიდებლობას, არამედ ჩრდილოეთ კავკასიის მეშვეობით რუსეთის პოლიტიკურ სივრცეში ინტეგრაციას წარმოადგენს, რაც საერთაშორისო საზოგადოებას აფხაზეთისთვის გარკვეული ალტერნატივის შეთავაზების საშუალებას აძლევს.³²

როგორც ვხედავთ აგვისტოს ომის შემდგომი პერიოდის სამშვიდობო გეგმის პოლიტიკური მხარე ერთი მხრივ არაღიარებაზე, ხოლო, მეორე მხრივ, ჩართულობაზეა კონცენტრირებული; ორივე მათგანი კი ძნელი მისაღწევი იქნება რუსეთის ფაქტორის გათვალისწინებით. თუმცა, მიუხედავად პოლიტიკური წინააღმდეგობებისა აფხაზები გარკვეულწილად ხედავენ სამშვიდობო ინიციატივის საერთო ასპექტებს სამომავლო ეკონომიკური თანამშრომლობის მხრივ, თუმცა დასძენენ, რომ ნებისმიერი სახის ეკონომიკური ურთიერთობა ორ თანასწორ მხარეს შორის შეთანხმებას უნდა წარმოადგენდეს და არა სოხუმის თბილისისადმი დაქვემდებარებას.

აფხაზების დამოკიდებულება საქართველოს ცენტრალური ხელისუფლების მიერ ინიცირებული სამშვიდობო გეგმისადმი რამდენიმე განზომილებისაგან შედგება; ესენია: საშინაო სოციალურ-პოლიტიკური დისკურსი და ამით განსაზღვრული დამოკიდებულება საქართველოსადმი და რუსეთისადმი; აგრეთვე, სამშვიდობო გეგმაში დანახული პოლიტიკურ-ეკონომიკური და კულტურული/იდენტობის საფრთხეები.

³¹ Nodia, G. (N.D.). "Trying to Find Common Ground – Coming to Any Consensus in the Region will be Difficult, but a Policy of Engagement is Better than no Policy at All," The International Institute for Strategic Studies (IISS), <http://www.iiss.org/programmes/russia-and-eurasia/about/georgian-russian-dialogue/caucasus-security-insight/ghia-nodia/trying-tofind-common-ground/> (Retrieved June, 2011)

³² Zakareishvili, P. (2011b). Future Prospects and Challenges – a Georgian Perspective, in in EU-Caucasus Dialogue on Georgian-Abkhaz Relations, Roundtable, 29th November 2010, Understanding conflict. Building peace. International Alert. <http://www.international-alert.org/sites/default/files/publications/201011EUCaucasusDialogue.pdf> (Retrieved May, 2011)

აფხაზების მხრიდან სამშვიდობო გეგმის კრიტიკა ცნება ოკუპირებულ ტერიტორიებს ეფუძნება, რომელიც საქართველოს ტერიტორიულ მთლიანობასთან არის დაკავშირებული. გარდა ამისა აფხაზი მკვლევარები აღნიშნავენ, რომ ევროპის მიერ ინიცირებული ჩართულობის გეგმა აფხაზეთს ევროპასა და რუსეთს შორის არჩევანის გაკეთების აუცილებლობის წინაშე არ უნდა აყენებდეს და ევროპული ინიციატივა რაც შეიძლება მაქსიმალურად უნდა დისტანცირდეს საქართველოს რეინტეგრაციის სამინისტროს მიერ ინიცირებული პოლიტიკური კურსისაგან.³³

მიუხედავად იმისა, რომ ახალი კანონი საერთაშორისო ორგანიზაციების მონიტორინგის პირობებში აფხაზეთს თბილისისადმი ჰორიზონტალურ, და არა ვერტიკალურ დაქვემდებარებაში აქცევს, ეს ფაქტი მაინც მიუღებელია სოხუმისათვის. ამასთანავე, ხინტა ვერ ხედავს კავშირს “აფხაზეთის, როგორც საერთაშორისოდ აღიარებულ სახელმწიფოს, და საქართველოსთან ერთად კონფლიქტის მოგვარებას შორის”.³⁴

ლ. კვარჩელიას აზრით, საქართველოს ხელისუფლებამ სტრატეგიის დეპოლიტიზირებაზე უნდა იზრუნოს და სამშვიდობო გეგმის ძირითად მიზნად “ნდობის აღდგენისკენ თანამშრომლობა უნდა გამოაცხადოს”.³⁵

ძირითადად აფხაზი ექსპერტები აფხაზეთში არსებული სიტუაციას მისაღებად აფასებენ და აცხადებენ, რომ “ნაწილობრივი აღიარება მხოლოდ დროებითი ფენომენია და ეს შუალედური ნაბიჯია ფართო იურიდიული აღიარებისაკენ მიმავალ გზაზე”.³⁶

ამგვარად, შეიძლება დავასკვნათ, მიუხედავად იმისა, რომ აფხაზები საქართველოსთან მოლაპარაკებების წარმოებას გამორიცხავენ და რუსეთის მიერ

³³ Inal-Ipa, A. (2011b). Why is the engagement strategy not working? in in EU-Caucasus Dialogue on Georgian-Abkhaz Relations, Roundtable, 29th November 2010, Understanding conflict. Building peace. International Alert. <http://www.international-alert.org/sites/default/files/publications/201011EUCaucasusDialogue.pdf> (Retrieved May, 2012)

³⁴ Markedonov, S. (N.D.). “Through Cooperation or Without Recognition – Georgia’s Approach is Paradoxical, Europe’s More Realistic,” The International Institute for Strategic Studies (IISS), <http://www.iiss.org/programmes/russia-and-eurasia/about/georgian-russian-dialogue/caucasus-security-insight/sergey-markedonov/through-cooperation-or-withoutrecognition/>(Retrieved May, 2011), 34.

³⁵ Kvarchelia, L. (2011a). Georgian policy on Abkhazia: Strategy or Tactic? in The De-Isolation of Abkhazia, Part 1 – The Abkhaz Perspective: Current prospects for the De-isolation of Abkhazia (April), Understanding Conflict. Building Peace. International Alert. <http://www.international-alert.org/sites/default/files/publications/1107Abkhazia.pdf> (Retrieved May, 2011)

³⁶ Inal-Ipa A. and Shakryl, A. (2011). Expert Opinion on the Prospects of International Recognition of Abkhazia and the Role of Georgia in The Politics of Non-Recognition in the Context of the Georgian-Abkhaz Conflict, Part 1 – The Abkhaz Perspective The prospects for international recognition of Abkhazia, Understanding Conflict. Building peace. International Alert, March. <http://www.international-alert.org/sites/default/files/publications/201103GeorgiaAbkhaziaEN-1.pdf> (Retrieved May, 2012)

აფხაზეთის დამოუკიდებლობის აღიარებაზე ამახვილებენ ყურადღებას. მათთვის საქართველოს ხელისუფლების მიერ ინიცირებული სამშვიდობო პროექტები მიუღებელია.

აფხაზები არც სამშვიდობო პროექტის საერთაშორისო გარანტიებით არიან კმაყოფილნი. საქართველოს ცენტრალური ხელისუფლების მიერ ინიცირებული სამშვიდობო გეგმის კრიტიკის კიდევ ერთ ასპექტს თავად შემოთავაზებული ფორმულირება ოკუპირებული ტერიტორიები წარმოადგენს. ხინტბა აცხადებს, რომ ის ვერ ხედავს აფხაზეთს თბილისის სამშვიდობო გეგმაში, რომელიც “იზოლაციის მოხსნის ცნებას დე-ოკუპაციით ანაცვლებს და აფხაზებს საქართველოს ხელისუფლებასთან აფხაზეთის მმართველი წრეების გვერდის ავლით კონტაქტების დამყარებისაკენ უბიძგებს”.³⁷

ამკარაა, რომ აფხაზებს არ მოსწონთ მათი ოკუპირებულად წამორჩენა. ისინი საქართველოს ცენტრალური ხელისუფლების მიერ ინიცირებული სამშვიდობო გეგმის არც ერთ პოლიტიკურ ასპექტს არ ეთანხმებიან და სამშვიდობო გეგმის ფარგლებში დასავლეთთან კავშირის პოზიტიურ ასპექტებზე დათანხმებას მათი დამოუკიდებლობის დათმობაზე წასვლად განიხილავენ. მათთვის ასევე მიუღებელია დასავლეთთან კავშირის დამყარება, თუ ეს პირდაპირი ან არაპირდაპირ საქართველოს მეშვეობით მოხდება და მიიჩნევენ, რომ ადრე თუ გვიან დასავლეთი მათი აღიარების გზას დაადგება.

³⁷ March, J.G. and Olsen, J.P. (2005) Elaborating the “New Institutionalism,” Working Paper, #11, Center for European Studies, University of Oslo. March. http://www.sv.uio.no/arena/english/research/publications/arena-publications/workingpapers/working-papers2005/wp05_11.pdf (Retrieved June, 2011)

3.2 არსებული სტატისტიკა / კვლევა

არსებული სტატისტიკა რუსეთ-საქართველოს 2008 წლის აგვისტოს ომის შედეგად 125,000 ქართველი იძულებული გახდა კონფლიქტის ზონაში ან მის სიახლოვეს საკუთარი სახლი დაეტოვებინა. დაახლოებით 20,000 ადამიანი ვეღარ დაბრუნდა საკუთარ სახლში შეიარაღებული კონფლიქტის შემდეგ, მუდმივ დევნილად დარჩა და დაემატა 1990 წლის დასაწყისში ძალადური კონფლიქტის შემდეგ არსებულ 247,000 იძულებით გადაადგილებულ პირთა რიცხვს.³⁸

შეიარაღებული კონფლიქტის დასრულების შემდეგ, საქართველოს მთავრობამ, საერთაშორისო დახმარებით, სწრაფად დაიწყო როგორც დევნილების დახმარება, ასევე აფხაზეთის ტერიტორიაზე მცხოვრებ მოსახლეობასთან ურთიერთობა და მათი მხარდაჭერა.

დევნილთა და განსახლების სამინისტრომ 2008 წლის კონფლიქტის შემდეგ შეიმუშავა სამოქმედო გეგმა, სადაც გათვალისწინებულია ახალი საცხოვრებელი სახლების მშენებლობა და კოლექტიური ცენტრების განახლება, როგორც “ძველი”, ასევე “ახალი” იგპ-ებისათვის.

კონფლიქტის მოგვარების სფეროში სახელმწიფო მინისტრის აპარატის ამოცანაა შექმნას ხელსაყრელი გარემო ნდობის აღდგენისა და ოკუპირებულ ტერიტორიებზე მცხოვრები მოსახლების მეტი ჩართულობისთვის. ამისათვის, საქართველოს მთავრობამ აირჩია მშვიდობიანი კურსი.

ადამიანებს ეძლევა შესაძლებლობა მიიღონ სერვისები და გამოიყენონ ყველა ის უპირატესობა, რომელსაც ქართული სახელმწიფო უზრუნველყოფს მისი მოქალაქეებისათვის. განვიხილავ ჩართულობის სტრატეგიით გათვალისწინებულ ღონისძიებებს.

ჯანდაცვა

ჯანდაცვის უფასო მომსახურეობა წარმოადგენს ჩართულობის სტრატეგიის ერთ-ერთ ყველაზე აქტიურ მიმართულებას. ოკუპირებულ ტერიტორიებზე მცხოვრები

³⁸ <https://bim.lbg.ac.at/files/sites/bim/Recommendations%20Document%20GEO.pdf>

ადამიანები სარგებლობენ სხვადასხვა სახელმწიფო პროგრამით, რომელთა შორის უმთავრესია „რეფერალური მომსახურების“ სახელმწიფო პროგრამა. მასში მონაწილეობის მისაღებად ოკუპირებული რეგიონების მაცხოვრებლები განცხადებით მიმართავენ სახელმწიფო მინისტრის აპარატს, რომელიც თავის მხრივ, შუამდგომლობას უწევს მათ საქართველოს შრომის, ჯანმრთელობისა და სოციალური დაცვის სამინისტროში. სახელმწიფო ცდილობს, აღნიშნული პროგრამა მაქსიმალურად დაცული იყოს ბიუროკრატიისაგან. გასული სამი წლის განმავლობაში, უფასო სამედიცინო მომსახურებით ათასზე მეტმა ბენეფიციარმა ისარგებლა. მიუხედავად მავთულხლართებისა და გამყოფ ხაზზე გადაადგილების მაქსიმალური შეზღუდვისა, 2012 წელთან შედარებით, მნიშვნელოვნად გაიზარდა ცხინვალის რეგიონიდან მკურნალობის მსურველთა რაოდენობა. ამ ადამიანების 70% დანარჩენ საქართველოში ჩამოდის ლარსის გამშვები პუნქტიდან, მაგრამ არსებობს შემთხვევები, როდესაც ადამიანები სიცოცხლის რისკის ფასად მავთულხლართებისა და საოკუპაციო რეჟიმის გვერდის ავლით გადმოდინან საქართველოს ხელისუფლების მიერ კონტროლირებად ტერიტორიაზე. ასევე, გაზრდილია აფხაზეთიდან პაციენტთა რაოდენობა, ვინც ჩართულია რეფერალურ პროგრამაში. საერთო ჯამში, ყოველწლიურად ბოლო 3 წლის განმავლობაში მზარდი დინამიკაა.

2013 წლის თებერვალში საქართველოს ხელისუფლების მიერ შემუშავებული საყოველთაო დაზღვევის პროგრამა გავრცელდა ოკუპირებულ რეგიონებში მცხოვრები, ნეიტრალური დოკუმენტების მფლობელი, მოსახლეობის ყველა ასაკობრივ ჯგუფზე. 2015 წლის აპრილში საქართველოში ამოქმედდა C ჰეპატიტის ელიმინაციის პროგრამა, რაშიც საქართველოს ხელისუფლებამ ოკუპირებულ ტერიტორიებზე მაცხოვრებლებსაც შესთავაზა ჩართვა. ეს არის მნიშვნელოვანი სიახლე და ის დამატებითი სიკეთე, რაც ძვირადღირებული მკურნალობის უფასოდ შეთავაზებას გულისხმობს და პირდაპირ უკავშირდება ათასობით ადამიანის სიცოცხლის შენარჩუნებას. პრობლემა განსაკუთრებით აქტუალურია, როგორც აფხაზეთის, ისე ცხინვალის რეგიონის/სამხრეთ ოსეთის მოსახლეობისთვის. 2013-2015 წლების განმავლობაში აფხაზეთში მცხოვრებ მოქალაქეებს გაეროს განვითარების ფონდთან არსებული „საკოორდინაციო მექანიზმის“ ფარგლებში რეგულარულად მიეწოდებოდა სხვადასხვა მედიკამენტები და ვაქცინები;

რომლის თვითღირებულება ჯამში 500 ათას ლარზე მეტს წარმოადგენს. საკოორდინაციო მექანიზმის საშუალებით აფხაზეთს გადაეცა სამედიცინო ინვენტარი, ტექნიკა, აღჭურვილობა და სხვადასხვა სამედიცინო დანიშნულების ნივთი.

2013-2015 წლების განმავლობაში საქართველოს მთავრობის მიერ ოკუპირებულ რეგიონებში მცხოვრები მოსახლეობის ჯანდაცვის მომსახურებაზე დახარჯული თანხების ოდენობა დაახლოებით 7 მილიონ ლარზე მეტია. საოკუპაციო ხაზის სიახლოვეს, ზუგდიდთან, სოფელ რუხში მიმდინარეობს 220- ადგილიანი მრავალპროფილიანი, თანამედროვე ტექნოლოგიით აღჭურვილი, საუნივერსიტეტო კლინიკის მშენებლობა, თავისი საერთო საცხოვრებელით, რომელიც თბილისის, ქუთაისის, ზუგდიდისა და სხვა ქალაქების საავადმყოფოების გარდა დამატებით მოემსახურება ოკუპირებული რეგიონების მაცხოვრებლებს. 2018 წელს დაახლოებით 10 % ზრდა იყო დაგეგმილი თუმცა შედეგები ჯერ არაა დათვლილი.

განათლება

საქართველოს მთავრობა ძალისხმევას არ იშურებდა ოკუპირებულ ტერიტორიებზე მცხოვრები მოსახლეობისათვის საქართველოში განათლების მიღების შესაძლებლობის წახალისების, საზღვარგარეთ სწავლის გაგრძელებისათვის შესაბამისი მექანიზმებისა და პროცედურების შექმნისა და ერთობლივი კვლევითი საქმიანობის მხარდაჭერისათვის.

ამ მიზნით, საქართველოს მთავრობა ახორციელებს სპეციალურ 1+4 პროგრამას, რომელიც საშუალებას აძლევს ოკუპირებულ ტერიტორიებზე მცხოვრებ პირებს, ჩაირიცხონ და ისწავლონ ქვეყანაში მოქმედ უმაღლეს საგანმანათლებლო დაწესებულებებში გამარტივებული პროცედურების საფუძველზე. სახელმწიფო მინისტრის აპარატმა შეიმუშავა ოკუპირებული ტერიტორიების შიგნით მიღებული განათლების აღიარების პროცედურების გამარტივების ინიციატივები, რომელთა განხილვა ხორციელდება საქართველოს განათლებისა და მეცნიერების სამინისტროსთან თანამშრომლობით. 2014 წლის მაისში საქართველოს პრემიერ-მინისტრის დაქვემდებარებაში შეიქმნა განათლების საერთაშორისო ცენტრი, რომლის მიზანია ქვეყნის მოსახლეობისათვის, მათ შორის საქართველოს ოკუპირებულ ტერიტორიებზე მცხოვრები პირებისათვის, ევროპისა და აშშ-ის წამყვან

უნივერსიტეტებში სამაგისტრო და სადოქტორო სწავლების შესაძლებლობის მიცემა. როგორც აღინიშნა, ცენტრი განაცხადს იღებს აფხაზეთსა და ცხინვალის რეგიონში მცხოვრები პირებისაგანაც.. თუმცა აქაც არ არსებობს რეალური სტატისტიკა, თუ რამდენი ადამიანი დაინტერესებული არ განათლების ამ ინიციატივით. განათლების ინიციატივის ამ ფონზე რთული ვითარებაა ოკუპირებულ ტერიტორიებზე, მაგალითად, გალის რაიონში შეზღუდულია განათლების მიღება მშობლიურ ენაზე. გამომდინარე აქედან რთულია მოსახლეობა დაინტერესდეს საქართველოს მთავრობის ინიციატივით. სამინისტრომ 2013-2014 წლებში დააფინანსა ბაკალავრიატის და მაგისტრატურის სტუდენტები ჯამში 471 სტუდენტი.

შერიგების და სამოქალაქო თანასწორობის საკითხებში სახელმწიფო მინისტრის აპარატის ოფიციალურ ვებ გვერდზე განთავსებული - [„სამშვიდობო ინიციატივის "ნაბიჯი უკეთესი მომავლისკენ" საერთაშორისო გამოხმაურებები“](#) ის თანახმად ინიციატივა მოწონებულია ჩვენი დასავლელი პარტნიორებისა და საერთაშორისო საზოგადოების მიერ. თუმცა აქვე უნდა აღინიშნოს, რომ რადიკალურად განსხვავებული სურათის მიღება შეიძლება აფხაზეთ და ოსურ ინტერნეტ პლატფორმებზე (რუსულენოვანი) კვლევის პროცესში გაანალიზებულ იქნა:

- <http://forum-abkhazia.ru/>,
- <https://ugo-osetia.ru/>
- <https://www.facebook.com/Sputnikabkhazia/>
- <https://sputnik-ossetia.ru/>

პლატფორმებზე სამშვიდობო ინიციატივების შესახებ 2018 წელს ჯამურად გამოქვეყნებული სტატიებისა და პოსტების რაოდენობამ 2347 შეადგინა. მოძიებული მასალების კონტენტ ანალიზის შედეგად კი გამოიკვეთა აშკარა ტენდენცია, რომ ოკუპირებულ ტერიტორიებზე მცხოვრები ადამიანების უმრავლესობა 89.9% არ აპირებს გამოიყენოს ქართული მხარის მიერ შეთავაზებული სერვისები.

7% მდე (6.56%) თანახმაა გამოიყენოს სამედიცინო სერვისი მხოლოდ იმ ვითარებაში, როცა რუსული ჯანდაცვის სისტემა ვერ უზრუნველყოფს პაციენტთა ჯანმრთელობაზე ზრუნვას, ხოლო დარჩენილი 3.44% თანახმაა მიიღოს საქართველოს ხელისუფლების მიერ ოკუპირებულ ტერიტორიებზე მცხოვრები მოსახლეობისათვის განკუთვნილი სერვისები და ინიციატივები.

მოცემული შედეგების დამუშავების შემდეგ შესამჩნევი ტენდენციას წარმოადგენდა, რომ საიტებსა და ფორუმებზე სამშვიდობო ინიციატივის შესახებ განთავსებული ინფორმაციის დიდი ნაწილი შეუსაბამო იყო მთავრობის მიერ შემუშავებულ სამშვიდობო პოლიტიკისთან.

ფორუმებსა და სოციალური ქსელის მიხედვით არსებულ კომენტარებში ცალსახა იყო ოკუპირებულ ტერიტორიებზე მცხოვრები პირების ნეგატიური და სკეპტიკური დამოკიდებულება საქართველოს ხელისუფლების ყველა შეთავაზების მიმართ.

აღნიშნული მონაცემების შედეგების კომენტარებისას (სიღრმისეული ინტერვიუს ჩაწერის გზით მიღებული ინფორმაცია) საინფორმაციო ომების მკვლევარმა დავით ძიძიშვილმა განაცხადა, რომ შედეგი თავისთავად მეტყველებს, თუ სად არის მთავარი ჩავარდნა. სამწუხაროდ, საქართველოს ხელისუფლება ვერ ახერხებს ინფორმაციისადმი წვდომის უზრუნველყოფას და რუსული მხარე კარგად იყენებს ე.წ. განზოგადებული/აგრესიული ინფორმაციული ზემოქმედების ტაქტიკას, რაც კიდევ უფრო მეტად აშორებს ქართულ საზოგადოებრივ სივრცეს ოკუპირებულ ტერიტორიებზე მცხოვრებ მოსახლეობას.

ჩემი მოსაზრებით, რამდენადაც ნარატიულმა ანალიზმა აჩვენა, მოსახლეობის უმეტესობას აქვს ინფორმაცია, მაგრამ არ სურს მონაწილეობა მიიღოს პროგრამაში და სწორედ ამ ვითარებას ხელს უწყობს ნეგატიური პროპაგანდა რუსეთის მხრიდან და ხელს უშლის ოკუპირებულ ტერიტორიებზე მოსახლეობასთან ურთიერთობების გამყარებას მსგავსი პროგრამების დანერგვის ეფექტურობის თვალსაზრისით. ნეგატიური პროპაგანდა მეტწილად აგებულია შავი პიარის პრინციპზე და მოქმედებს ე.წ. ჭორის მეთოდის გამოყენებით.

დავით ძიძიშვილის მოსაზრებით, ჯანდაცვის პროგრამა კარგია, მაგრამ იგი გაჯერებულია აგრესიული საინფორმაციო კამპანიით რუსეთის ფედერაციისა და სეპარატისტული ხელისუფლების მხრიდან. ამისათვის ხშირია ისეთი მეთოდების გამოყენება, როგორცაა შავი პიარი. როგორც ძიძიშვილი ნაშრომში „ჭორი და მისი გავრცელების თავისებურებანი“ ამბობს, ჭორი–ეს არის გადაუმოწმებელი, არასანდო ინფორმაცია (ან ნებისმიერი გადასაცემი ინფორმაციის დამახინჯებული ფორმა), რომელიც, ჩვეულებრივ, ზეპირ სიტყვიერი ფორმით ვრცელდება, თითქოს „საიდუმლოდ“.

უკეთესია თუ მოვახერხებთ და შევქმნით ისეთ საინფორმაციო გარემოს, სადაც ჭორი ვერ მოახერხებს ფეხის მოკიდებას. ასეთი გარემოს შესაქმნელად კი, აუცილებელია საზოგადოების მუდმივი ინფორმირება, რაც მინიმუმამდე დაიყვანს საინფორმაციო ვაკუუმის შექმნის ალბათობას.

დასკვნა

2008 წლის რუსეთ-საქართველოს ომი და მას შემდეგ განვითარებული მოვლენები რუსეთის მხრიდან მკაფიო გზავნილი იყო. მისთვის მიუღებელია კონფლიქტურ რეგიონებთან დაკავშირებული ნებისმიერი სცენარი, რომელიც მის კავკასიურ ინტერესებს არ ემსახურებოდა. მიუხედავად რუსეთის პოზიციისა საქართველოს პრობლემის მოგვარების ერთადერთ გზად სწორედ ევროპის და აშშ-ის დახმარება მიაჩნია.

მიუხედავად ამ დრომდე განხორციელებული მოქმედებებისა, ინტეგრაციის კუთხით მნიშვნელოვანი ძვრები არ შეინიშნება, თუმცა ჩიხიდან გამოსავალის მოძებნა არც ისე იოლია. საბჭოთა კავშირის ეთნო-კულტურული და პოლიტიკური მემკვიდრეობის გათვალისწინებით, აფხაზეთის კონფლიქტი სცდება ქართულ-აფხაზური ურთიერთობების საზღვრებს, და პოსტ-საბჭოთა ქართულ-აფხაზური ურთიერთობების და კონფლიქტის სივრცეში შემოჰყავს როგორც რუსეთი და ჩრდილოეთ კავკასიაში მცხოვრები ცალკეული ეთნიკური ჯგუფები, ასევე უფრო შორეული აქტორები – ევროკავშირი და აშშ.

ქართულ-აფხაზური ურთიერთობების აღდგენა მოითხოვს გარე აქტორების გადახედვას და ხელახლა ჩამოყალიბებას. თუმცა აღსანიშნავია, რომ ინსტიტუციური გადაწყვეტილებების მოქნილობა, ქართველებსა და აფხაზებს შორის მომავალი პოლიტიკური ურთიერთობების დარეგულირების გარკვეულ იმედს იძლევა.

პოლიტიკა ითვალისწინებს საერთაშორისო გამოცდილებას, თუმცა არ არის შესწავლილი წარმატების წინაპირობები. საქართველოს მთავრობის შეთავაზებებით ძირითადად გალის დაბალი ზონის სოფლებისა და ახალგორის მცხოვრებლები სარგებლობენ, რომლებსაც თავად ისედაც სურთ ქონდეთ უფრო ახლო კავშირი საქართველოს ხელისუფლების მიერ კონტროლირებად სივრცესთან. ქართული მხრიდან არსებული სხვადასხვა სოციალური და საგანმანათლებლო პროგრამების შეთავაზებებით დაინტერესებული პირების რაოდენობა მზარდია, თუმცა ამის პარალელურად იზრდება რუსული პროპაგანდის ეფექტიანობა, რაც სავარაუდოდ

გამოიღებს შედეგს და ქართული მხრიდან იგივე ძალისხმევის შენარჩუნების ან ძალისხმევის შემცირების შემთხვევაში დაინტერესებული მოსახლეობის რაოდენობა დაიკლებს. შესაბამისად, ქართულმა მხარემ უნდა მოახდინოს არსებული ტენდენციების გაძლიერება და ამის პარალელურად ინოვაციული მეთოდებით უნდა შეეცადოს მისი დამოკიდებულების და შეთავაზებული პრიორიტეტების ფართოდ გავრცელების გზების მოძიებას ოკუპირებულ ტერიტორიაზე მცხოვრებ საზოგადოებაში. იმის გათვალისწინებით, რომ ქართული მხარის მიერ შეთავაზებული სერვისები არ სარგებლობს პოპულარულობით და ხშირად ხდება მოწინააღმდეგე მხრიდან დეზინფორმაცია, ოკუპირებულ ტერიტორიაზე მცხოვრებ საზოგადოებაში იკლებს კეთილგანწყობა ქართული მხარის მიმართ, რაც ასევე ერთ - ერთი განმაპირობებელი ფაქტორია სახელმწიფოს მიერ შეთავაზებული პროგრამების არაეფექტურ მუშაობაში.

ბიბლიოგრაფია

1. პიპინაშვილი დ. სამხრეთ კავკასიის კონფლიქტები და რეგიონული სტაბილურობის პრობლემები. თბ. 2009 წელი;
2. დავითაშვილი ზ. კავკასიის კონფლიქტები. მიზეზები და შესაძლო შედეგები. თბ. 2001 წელი;
3. ფუტკარაძე ი. საკონსტიტუციო კონტროლის პრესპექტივები აფხაზეთში. ჟურ. #4 2002 წელი;
4. სახალხო დიპლომატიის აღდგენა – კონფლიქტის არაძალადობრივი გადაწყვეტა, სამეგრელოს მოსახლეობის ხედვა რეგიონში არსებული პრობლემების შესახებ 2010 წელი;
5. სამოქალაქო დიპლომატია ქართულ-აფხაზეთურ კონფლიქტში. ასოციაცია “სამართალი და თავისუფლება” 2011 წელი;
6. ახალი სახელმწიფო სტრატეგია ოკუპირებულ ტერიტორიებთან დაკავშირებით საფრთხეს უქმნის მშვიდობის პროცესს საქართველოში
<http://www.humanrights.ge/index.php?a=main&pid=12961&lang=geo;>
7. ჩართულობის სტრატეგიის სამოქმედო გეგმა
(http://smr.gov.ge/Uploads/_94d96fb2.pdf);
8. თანამედროვე საერთაშორისო ურთიერთობები (მსოფლიო პოლიტიკის გლობალიზაცია) <http://www.nplg.gov.ge/gsdll/cgi-bin/library.exe?e=d-00000-00---off-0civil2--00-1----0-10-0---0---0prompt-10---4-----0-11--10-ka-50---20-about---00-3-1-00-0-0-01-1-0utfZz-8-00&a=d&cl=CL2.10&d=HASH1d0a9dbec01b35bd43ea30.9;>
9. სოციალური ინტეგრაციის ახალი სტრატეგია <http://www.nplg.gov.ge/gsdll/cgi-bin/library.exe?e=d-00000-00---off-0civil2--00-1----0-10-0---0---0prompt-10---4-----0-11--10-ka-50---20-about---00-3-1-00-0-0-01-1-0utfZz-8-00&cl=CL2.20&d=HASHcae29b9bbc4971dfc66af5.1>=1;>

10. სახელმწიფო სტრატეგიის ოკუპირებული ტერიტორიების მიმართ – ჩართულობა თანამშრომლობის გზით დამტკიცების შესახებ
<https://matsne.gov.ge/ka/document/view/2251491?publication=0;>
11. საქართველოს ოკუპირებულ ტერიტორიებზე საქმიანობის წარმართვის წესები, მუხლი 6. ოკუპირებულ ტერიტორიებზე განსახორციელებელი პროექტის შეფასების კრიტერიუმები
[http://www.smr.gov.ge/uploads/file/041010/dadgenileba%20320.pdf.;](http://www.smr.gov.ge/uploads/file/041010/dadgenileba%20320.pdf;)
12. <http://www.smr.gov.ge/uploads/file/041010/statement;>
13. <http://www.smr.gov.ge/uploads/file/strategy.pdf>
14. <http://www.smr.gov.ge/uploads/file/SMR-Strategy-en.pdf>
15. Derluguian, G.M. (2007). Abkhazia: A Broken Paradise. in M. Narula, S. Sengupta, J.Bagchi, R.Sundaram (Eds), Sarai Reader 07: Frontiers; (pp. 65-82). The Director Centre for the Study of Developing Societies.
16. “State Strategy on Occupied Territories: Engagement Through Cooperation,” <http://www.smr.gov.ge/uploads/file/SMR-Strategy-en.pdf> (Retrieved May, 2011)
17. “Action Plan for Engagement,” Office of the State Minister for Reintegration, endorsed on July 6, 2010. http://www.smr.gov.ge/uploads/action_plan_en.pdf (Retrieved May, 2011)
18. ჩართულობის სტრატეგიის სამოქმედო გეგმა - http://smr.gov.ge/Uploads/___94d96fb2.pdf
19. King, Ch. (2001). “The Benefits of Ethnic War: Understanding Eurasia’s Unrecognized States,” World Politics 53 (July). 535.
20. Khaindrava, I. (2011a) Conflict Resolution Policies Before August 2008, Transformation of the Georgian-Abkhaz Conflict: Rethinking the Paradigm, by Archil Gegeshidze and Ivliane Haindrava. [http://www.c-r.org/our work/caucasus/documents/2011/CR%20Ge-Ab%20ENG%20web_Georg_perspective.pdf](http://www.c-r.org/our_work/caucasus/documents/2011/CR%20Ge-Ab%20ENG%20web_Georg_perspective.pdf) (Retrieved May, 2012), 19.
21. The Abkhaz Paper: the Agreement on the non-Use of Force as an Important Factor in the Resolution of the Georgian-Abkhaz Conflict, in Dialogue on Security Guarantees in the Context of the Georgian-Abkhaz Conflict, September 2009 [http://www.international alert.org/sites/default/files/publications/Dialogue_on_security_guarantees_in_the_context_of_the_georgian_abkhaz_conflict_en.pdf](http://www.international-alert.org/sites/default/files/publications/Dialogue_on_security_guarantees_in_the_context_of_the_georgian_abkhaz_conflict_en.pdf) .22.

22. Cooley, A. and Mitchell, L. (2010). Engagement without Recognition: A New Strategy Toward Abkhazia and Eurasia's Unrecognized States. *The Washington Quarterly*, 33(4), 59-73.
23. Martins, V. (2010). The Geopolitics of Abkhazia's Sovereignty, in *Portuguese Journal of International Affairs*, #3, Spring/Summer www.ipris.org/php/download.php?fid=242 (Retrieved June, 2011)
24. "Russia Gains a Foothold in the South Caucasus – With New Military Bases, Moscow has Secured its Influence in the Region," by Archil Gegeshidze (N.D.). The International Institute for Strategic Studies (IISS), http://www.iiss.org/programmes/russia-and-eurasia/about/georgian-russian-dialogue/caucasus-security_insight/archil-gegeshidze/russia-gains-a-foothold-in-the-south-caucasus/ (Retrieved May, 2011)
25. "Action Plan for Engagement," Office of the State Minister for Reintegration, endorsed on July 6, 2010. http://www.smr.gov.ge/uploads/action_plan_en.pdf (Retrieved May, 2011)
26. "Action Plan for Engagement," Office of the State Minister for Reintegration, endorsed on July 6, 2010. http://www.smr.gov.ge/uploads/action_plan_en.pdf (Retrieved May, 2011)
27. July 6, 2010. http://www.smr.gov.ge/uploads/action_plan_en.pdf (Retrieved May, 2011)
28. 1907 წლის ჰააგის მე-4 კონვენცია მუხლი 42.2
29. ჰააგის მე-4 კონვენციის 43-ე მუხლი, ჟენევის მე-4 კონვენციის 47-ე მუხლი
30. საქართველოს კანონი ოკუპირებული ტერიტორიების შესახებ მუხლი 6.1
31. <http://www.nplg.gov.ge/gsd/cgi-bin/library.exe?e=d-00000-00---off-0civil2--00-1----0-10-0---0---0prompt-10---4-----0-11--10-ka-50---20-about---00-3-1-00-0-0-01-1-1-0utfZz-8-00&a=d&cl=CL2.10&d=HASH1d0a9dbec01b35bd43ea30.9>
32. <http://www.nplg.gov.ge/gsd/cgi-bin/library.exe?e=d-00000-00---off-0civil2--00-1----0-10-0---0---0prompt-10---4-----0-11--10-ka-50---20-about---00-3-1-00-0-0-01-1-1-0utfZz-8-00&a=d&cl=CL2.10&d=HASH1d0a9dbec01b35bd43ea30.9>
33. <http://www.nplg.gov.ge/gwdict/index.php?a=term&d=5&t=12311>
34. სახალხო დიპლომატიის აღდგენა – კონფლიქტის არამალადობრივი გადაწყვეტა, სამეგრელოს მოსახლეობის ხედვა რეგიონში არსებული პრობლემების შესახებ 2010.
35. "Gogi Khutsishvili - The Vision of the Collective Security Will Emerge Among Caucasians," on www.ambebi.ge – Information Portal, 11.03.2011; <http://www.ambebi.ge/politika/33297-qadre-thu-gvian-kavkasielebs-koleqtiuri-usaftrthkhebis-khedva-gauchndebathq.html#ixzz1GJuTjXcr> (Retrieved June, 2011)

36. Gegeshidze, A. (2011b). Introduction, in *The De-Isolation of Abkhazia, Part 2 – The Georgian Perspective - Prospects for Abkhazia’s De-Isolation in the context of the Non-Recognition Policy*, April 2011, *Understanding conflict. Building peace. International Alert* (Retrieved May, 2012)
37. Gegeshidze, A., (2011d). *New Realities after August 2008, Transformation of the Georgian- Abkhaz Conflict: Rethinking the Paradigm*, by Archil Gegeshidze and Ivliane Haindrava. http://www.c-r.org/our-work/caucasus/documents/2011/CR%20Ge-Ab%20ENG%20web_Georg_perspective.pdf (Retrieved June, 2011)
38. Gegeshidze, A. (2011f). *The policy of non-recognition of Georgia: Prospects and Challenges, Part 2 – The Georgian Perspective, The Politics of non-Recognition in the context of the Georgian-Abkhazian Conflict*, March, 2011, *Understanding conflict. Building peace. International Alert* <http://www.international-alert.org/sites/default/files/publications/201103GeorgiaAbkhaziaEN-1.pdf> (Retrieved May, 2012)
39. Inal-Ipa, A. (2011b). *Why is the engagement strategy not working? in in EU-Caucasus Dialogue on Georgian-Abkhaz Relations, Roundtable, 29th November 2010, Understanding conflict. Building peace. International Alert.* <http://www.international-alert.org/sites/default/files/publications/201011EUCaucasusDialogue.pdf> (Retrieved May, 2012)
40. Markedonov, S. (N.D.). “Through Cooperation or Without Recognition – Georgia’s Approach is Paradoxical, Europe’s More Realistic,” *The International Institute for Strategic Studies (IISS)*, <http://www.iiss.org/programmes/russia-and-eurasia/about/georgian-russian-dialogue/caucasus-security-insight/sergey-markedonov/through-cooperation-or-withoutrecognition/>(Retrieved May, 2011), 34.
41. Kvarchelia, L. (2011a). *Georgian policy on Abkhazia: Strategy or Tactic? in The De-Isolation of Abkhazia, Part 1 – The Abkhaz Perspective: Current prospects for the De-isolation of Abkhazia (April), Understanding Conflict. Building Peace. International Alert.* <http://www.international-alert.org/sites/default/files/publications/1107Abkhazia.pdf>
42. (Retrieved May, 2011)
43. Inal-Ipa A. and Shakryl, A. (2011). *Expert Opinion on the Prospects of International Recognition of Abkhazia and the Role of Georgia in The Politics of Non-Recognition in the Context of the Georgian-Abkhaz Conflict, Part 1 – The Abkhaz Perspective The prospects for international recognition of Abkhazia, Understanding Conflict. Building peiace. International Alert, March.*

- <http://www.internationalalert.org/sites/default/files/publications/201103GeorgiaAbkhaziaEN-1.pdf> (Retrieved May, 2012)
44. <https://bim.lbg.ac.at/files/sites/bim/Recommendations%20Document%20GEO.pdf>
 45. http://smr.gov.ge/Uploads/2017_overa_16bf3023.pdf
 46. <http://smr.gov.ge/srcRresult.aspx?srch=> შერიგების და სამოქალაქო თანასწორობის საკითხებში საქართველოს სახელმწიფო აპარატის 2017 წლის წლიური ანგარიში
 47. http://smr.gov.ge/Uploads/Untitled_f9cbac80.pdf
 48. http://smr.gov.ge/Uploads/2017_overa_16bf3023.pdf

ივანე ჯავახიშვილის სახელობის თბილისის
სახელმწიფო უნივერსიტეტი

ლაშა მჭავია

სასტუმროს ონლაინ დაჯავშნის გლობალური სისტემები
საქართველოში

საზოგადოებრივი გეოგრაფია

სამაგისტრო ნაშრომი შესრულებულია საზოგადოებრივი გეოგრაფიის
მაგისტრის აკადემიური ხარისხის მოსაპოვებლად

ხელმძღვანელი: ნინო პავლიაშვილი
ასოცირებული პროფესორი

თბილისი 2019

ანოტაცია

სასტუმროს ონლაინ დაჯავშნის გლობალური სისტემები საქართველოში

თანამედროვე მსოფლიოში, ტურისტული მომსახურებისა და მოგზაურობის ონლაინ დაჯავშნა გარკვეულ ნორმად იქცა. შესაბამისად, ინტერნეტი წარმოადგენს ბრწყინვალე შესაძლებლობას ტურიზმის ინდუსტრიისთვის, რომ თავისი სერვისები გაყიდოს ონლაინ. თუ გასულ დეკადადღე ტურ-ოპერატორები წარმოადგენდნენ დაჯავშნის სერვისის მთავარ მიმწოდებლებს ბაზარზე, დღეს ეს ტრენდი შეიცვალა და ბაზარზე გამოჩნდნენ ახალი ლიდერები ონლაინ ტურისტული აგენტების (OTA – Online Travel Agency) სახით. OTA-ს არიან სასტუმროს ონლაინ დაჯავშნის სისტემები, რომლებიც ერთის მხრივ, საწარმოს საქმიანობის ეფექტურობის ამაღლებაში ეხმარებიან, მეორეს მხრივ კი, აადვილებენ მომხმარებლის მიერ ოთახის დაჯავშნის პროცესს.

ვინაიდან და რადგანაც, საქართველოსთვის ტურიზმი პრიორიტეტული დარგია, აქ სასტუმრო ინდუსტრიისთვის განსაკუთრებული სიმწვავეთ დგას მართვის ეფექტიანობის ამაღლების საკითხი, რომელიც პირდაპირ კავშირშია საინფორმაციო ტექნოლოგიების გამოყენებასთან, რაც უპირველესად ონლაინ დაჯავშნის გლობალურ სისტემებთან ეფექტური თანამშრომლობით გამოიხატება.

აღნიშნული სამაგისტრო ნაშრომი მიზნად ისახავს გამოავლინოს, რამდენად ეფექტიანად იყენებენ ქართულ ბაზარზე წარმოდგენილი განთავსების საშუალებები სასტუმროს ონლაინ დაჯავშნის გლობალურ სისტემებს და გამოკვეთოს, რამდენად მნიშვნელოვანია ონლაინ დაჯავშნის გლობალური სისტემები საქართველოში არსებულ სხვადასხვა კატეგორიის განთავსების საშუალებებისთვის.

ნაშრომის პირველი და მეორე თავი ზოგადინფორმაციულია, კერძოდ პირველ თავში საუბარი იქნება ზოგადად სასტუმროს ონლაინ დაჯავშნის გლობალური

სისტემების შექმნისა და განვითარების ისტორიაზე, მათ შორის კონკურენციაზე. მეორე თავი უშუალოდ უკავშირება საქართველოს და აღწერს სასტუმროს ონლაინ დაჯავშნის გლობალურს სისტემებს საქართველოში, ასევე განხილული იქნება ქართული ონლაინ დაჯავშნის სისტემებიც.

იმისათვის, რომ შვეძლო ყველა მნიშვნელოვანი თეორიების განზოგადება და დასკვნის გაკეთება, ნაშრომის მესამე თავი ეთმობა ქართულ ბაზარზე არსებული, სამი სხვადასხვა კატეგორიის სასტუმროში ჩატარებულ კვლევასა და მის ანალიზს, დასკვნაში კი შეჯამებული იქნება ყველა იმ თეორიული თუ სტატისტიკური მასალის მონაცემები, რომლის საფუძველზეც მოხდა ჩატარებული კვლევის ანალიზი.

Annotation

Arranging and booking a trip via the Internet is now the norm for travelers. The Internet presents a great possibility for the tourism industry to sell and market their services online. Travel agents used to be the main providers of booking systems but with the development of information technology, this trend has shifted, and new leaders appeared on the market such as online travel agents (OTA - Online Travel Agency). Hotel Online Booking Systems, which on the one hand, help in enhancing the efficiency of the enterprise, on the other hand, facilitate the booking process.

Since tourism is a priority sector for Georgia, the hotel industry is especially strong in terms of increasing efficiency management, which is directly related to the use of information technologies, primarily an efficient cooperation with online booking systems.

This master's thesis aims to study how efficiently Georgian Hotel industry uses online hotel booking systems and their significant impact on different types of hotels.

The first chapter of the paper investigates the history and development of hotel online booking global systems, including competition between them. The second chapter is directly related to Georgia and describes the global and local systems for online hotel reservations in Georgia.

To be able to generalize the theories and conclusions of the paper, the third chapter is devoted to the study and analysis of the survey, which was held in three different types of Hotels. The conclusion will summarize and provide analysis for the theoretical and statistical data received from the conducted survey.

MA thesis. Mzhavia Lasha – Global systems for online hotel reservations in Georgia.

სარჩევი

შესავალი.....	6
თავი I. სასტუმროს დაჯავშნის გლობალური სისტემების შექმნისა და განვითარების ისტორია.....	9
1.1 სასტუმროს დაჯავშნის გლობალური სისტემების წარმოშობის ისტორია და სასტუმროს დაჯავშნის არხები	9
1.2 დაჯავშნის გლობალური სისტემები მსოფლიოში და კონკურენცია მათ შორის.....	12
1.3 OTA - ონლაინ ტურისტული სააგენტოები და მოწინავე ბრენდები.....	16
1.3.1 ბრენდების პორტფოლიო: Priceline, Expedia.....	16
1.3.2 OTA - ონლაინ ტურისტული სააგენტოები.....	23
1.4 სასტუმროს მარკეტინგი - OTA-ს ზემოქმედების შემცირება და პირდაპირი ჯავშნების გაზრდა.....	29
თავი II. სასტუმროს ონლაინ დაჯავშნის გლობალური სისტემები საქართველოში.....	32
2.1 OTA - ონლაინ ტურისტული სააგენტოები საქართველოში.....	33
2.2 სასტუმროს მართვისა და ონლაინ დაჯავშნის სისტემების ქართული ანალოგები.....	38
თავი III. კვლევის ანალიზი	34
3.1 კვლევის შედეგები.....	42
3.2 კვლევის შედეგების განზოგადება თეორიების მიხედვით.....	50
დასკვნა	53
გამოყენებული ლიტერატურა.....	56
დანართი	59

შესავალი

თემის აქტუალობა. საინფორმაციო ტექნოლოგიების განვითარებასთან ერთად უფრო იზრდება და ადვილად ხელმისაწვდომი ხდება სასტუმროს დაჯავშნის საშუალებები. თანამედროვე საზოგადოებაში ამ საშუალებათაგან ერთ-ერთი ყველაზე მნიშვნელოვანია ინტერნეტი. ეს გულისხმობს სასტუმროს დაჯავშნის ყველა იმ სისტემას, რომელიც ელექტრონული სახით გვხვდება ქსელში. სხვანაირად მას “ონლაინ დაჯავშნის სისტემები“ ეწოდება.

საზოგადოება დღითიდღე ვითარდება, რაც პირველ რიგში, ცოდნის დაგროვებას უკავშირდება. ადამიანები ყოველ დღე ცდილობენ მიიღონ ახალი გამოწვევები და ამის ხარჯზე დაზოგონ საკუთარი დრო. თანამედროვეობის მიღწევები კი ამის უდიდეს შესაძლებლობას იძლევა. სწორედ ამის ნათელი მაგალითია სასტუმროს ონლაინ დაჯავშნის სისტემები, რომლებიც ერთის მხრივ, საწარმოს საქმიანობის ეფექტურობის ამაღლებაში ეხმარებიან, მეორეს მხრივ კი, აადვილებენ მომხმარებლის მიერ ოთახის დაჯავშნის პროცესს.

ონლაინ მოძიების და დაჯავშნის შესაძლებლობამ რადიკალურად შეცვალა ტურიზმის გლობალური ტენდენციები. იგი მომხმარებელს აძლევს შესაძლებლობას მარტივად და სწრაფად მოიძიოს და დაჯავშნოს მისთვის სასურველი ტურისტული პროდუქტი თუ მომსახურება. აქედან გამომდინარე, ინტერნეტ საინფორმაციო და დაჯავშნის სისტემებში წარმომადგენლობითობა კომპანიისთვის გადამწყვეტი მნიშვნელობისაა, თუ მას საერთაშორისო ტურისტულ ბაზარზე შეღწევა და დამკვიდრება სურს. სწორ დროს, სწორ ადგილზე განთავსებულ ტურისტულ ინფორმაციას შეუძლია მნიშვნელოვნად შეცვალოს და გაზარდოს პროდუქტსა თუ მომსახურებაზე მოთხოვნა კომპანიის სასარგებლოდ.

დღესდღეობით უკვე რთულია წარმოდგენა როგორ ხდებოდა დაჯავშნის ონლაინ სისტემების გარეშე სასტუმროების, ავიაბილეთებისა თუ სხვა ტურისტული მომსახურებების დაჯავშნა სხვადასხვა სააგენტოებისა და კომპანიების მიერ. ამჟამად

ეს სისტემები ფართოდ გავრცელებული და კარგად კოორდინირებულია. დაჯავშნის კომპიუტერული სისტემების გამოყენების მაღალმა ეკონომიკურმა ეფექტიანობამ აიძულა ამ სისტემების მესაკუთრეები მუდმივად იბრძოლონ ტურისტულ ბაზარზე მოწინავე ადგილის დაკავებისათვის.

კვლევის ობიექტი.

საკვლევი თემის ობიექტებია:

1. ტურისტები, რომლებიც ჯავშნიან სასტუმროს პირდაპირი ან ონლაინ ტურისტული დაჯავშნის სისტემების გზით.
2. სასტუმროს ონლაინ დაჯავშნის გლობალური სისტემები.
3. სასტუმროს მენეჯერები.

კვლევის ძირითადი მიზანი და ამოცანები. სამაგისტრო ნაშრომში ასახული კვლევის ძირითად მიზანია:

- გამოავლინოს, რამდენად ეფექტიანად იყენებენ ქართულ ბაზარზე წარმოდგენილი განთავსების საშუალებები სასტუმროს ონლაინ დაჯავშნის გლობალურ სისტემებს.
- გამოკვეთოს, რამდენად მნიშვნელოვანია ონლაინ დაჯავშნის გლობალური სისტემები საქართველოში არსებულ სხვადასხვა კატეგორიის განთავსების საშუალებებისთვის.

მიზნის მისაღწევად შესწავლილ და გაანალიზებულ იქნა ისეთი მნიშვნელოვანი საკითხები, როგორებიცაა:

- ონლაინ დაჯავშნის გლობალური სისტემების არსებობის პირობებში სასტუმრო ბიზნესის ეფექტიანობის განსაზღვრა სხვადასხვა კატეგორიის სასტუმროებში.
- სასტუმრო ბიზნესის განვითარებაზე ონლაინ დაჯავშნის გლობალური სისტემების გავლენის დადგენა.

კვლევის მეთოდი და მეთოდოლოგიური საფუძვლები. კვლევის მეთოდის არჩევანი საკვლევი თემის მრავალფეროვნებამ განსაზღვრა. კვლევაში გამოყენებული

იქნა თანამედროვე და აპრობირებული მეთოდოლოგიები, მათ შორის: რაოდენობრივი და თვისებრივი კვლევის მეთოდები, გარდა ამისა, შედარებითი ანალიზის, სტატისტიკური და გრაფიკული მეთოდები. კვლევის პროცესში ასევე გამოყენებულ იქნა სხვადასხვა სახის პრაქტიკული და თეორიული მასალა, ფუნდამენტური შრომები, სტატიები და გლობალური ქსელი.

თეორიული ჩარჩო. კვლევის ანალიზში განხილულია ყველა ის გავრცელებული თეორია, რომლებიც ესადაგება კვლევის შედეგებს: რაციონალური არჩევანის თეორია, მასობრივი კომუნიკაციის თეორია და ტურისტული ქსელის თეორია.

კვლევის თეორიული და პრაქტიკული მნიშვნელობა. ჩატარებული კვლევა და საბოლოო დასკვნა ვფიქრობ საინტერესო იქნება: ტურიზმის სფეროში ჩართული ადამიანებისთვის, მათ შორის სასტუმროს მენეჯერებისთვის; ტურიზმის სპეციალობის სტუდენტებისთვის; შესაბამის საგანმანათლებლო პროგრამებში სასტუმროს დაჯავშნის სფეროსთან დაკავშირებული სასწავლო კომპონენტების განახლებისთვის. ნაშრომს გააჩნია გარკვეული პრაქტიკული მნიშვნელობა. ის სტატისტიკური თუ თეორიული მასალა, რომელიც მასში არის გაანალიზებული, კარგ სამსახურს გაუწევს ტურიზმის საკითხით დაინტერესებულ ყველა ადამიანს.

თავი I. სასტუმროს დაჯავშნის გლობალური სისტემების შექმნისა და განვითარების ისტორია

1.1 სასტუმროს დაჯავშნის გლობალური სისტემების წარმოშობის ისტორია და სასტუმროს დაჯავშნის არხები

მოგზაურობისა და ტურიზმის სამყარო წლების განმავლობაში იცვლებოდა. ადამიანთა მოგზაურობა ინოვაციების განვითარებამ და ინფორმაციის წვდომის გამარტივებამ შეცვალა. სასტუმროების დაჯავშნა არა მხოლოდ ერთი გზით, არამედ რამდენიმე არხის საშუალებით გახდა შესაძლებელი. კერძოდ Online Travel Agency (OTA) (ონლაინ ტურისტული სააგენტო)-ით, Global Distribution Systems (GDS)(გლობალური დისტრიბუციის სისტემები)-ით, ტურისტული ოფისების მეშვეობით, სასტუმროს საკუთარი ვებსაიტით ან ტელეფონით დაჯავშნა. ამასთან ერთად, დაჯავშნის არხებმა დაასტიმულირეს კონკურენცია და მომხმარებლებში მრავალფეროვანი ქცევები წარმოშვეს. (Pitoska, 2013)

დაჯავშნის გლობალური კომპიუტერული სისტემები ტურისტულ ბაზარზე მასიურად გავრცელდა მე-20 საუკუნის 90-იან წლებში. თავდაპირველად ერთიანი დაჯავშნის კომპიუტერული სისტემის შემუშავება და ბაზარზე მისი გატანა ავიაკომპანიათა გაერთიანებამ გამოიწვია. სწორედ ამ ინტეგრაციის შედეგია ოთხი დაჯავშნის გლობალური (GDS-GLOBAL DISTRIBUTION SYSTEMS): AMADEUS, GALILEO, SABRE, WORLDSPAN და ასევე რეგიონალური სისტემების: GVS, GABRIEL, SAHARA ჩამოყალიბება. GDS არის „დაჯავშნის ინსტრუმენტი, რომელსაც ტურისტული აგენტები ავიაბილეთების, სასტუმროების, მანქანებისა და სხვა სერვისების დაჯავშნისას იყენებენ შექმნის დროს GDS-ს უმთავრესი მოვალეობა მომხმარებლისთვის ავია ბილეთების მარტივად მიწოდება იყო, მაგრამ იმისათვის, რომ უფრო მეტი და მეტი ტურისტული სააგენტო ჩართულიყო ამ სისტემაში,

კომპანიებმა გადაწყვიტეს გაეფართოვებინათ მათი გამოყენების სფერო. მათ პროგრამებში დაამატეს ტურისტული მომსახურებების ფართო წრე: სასტუმრო ადგილების, რკინიგზისა და სხვადასხვა კულტურულ და სპორტულ ღონისძიებებზე დასასწრები ბილეთების დაჯავშნა-გამოსყიდვა, ავტომობილების გაქირავება, სამოგზაურო დაზღვევა, გიდისა და თარჯიმნების მომსახურება და ყვავილების შეკვეთის სერვისიც კი (Amadeus, 2018).

GDS-ს საპირწონედ გვხვდება ონლაინ ტურისტული აგენტები (OTA), რომლებიც არიან სამოგზაურო სისტემები და მომხმარებელს სასტუმროების, ავიახაზების, მანქანებისა და მოგზაურობასთან დაკავშირებული სხვა სერვისების ონლაინ დაჯავშნას სთავაზობენ. დაახლოებით 20 წლის წინ არავინ არაფერი იცოდა OTA-ს შესახებ. კონცეფცია განვითარდა Microsoft-თან ერთად, რომელიც 1996 წელს უშვებდა Expedia Travel Services (Expedia-ს სამოგზაურო სერვისს) აშშ-ში, შემდეგ კი, 1997 წელს მის ევროპულ კოლეგას - Priceline-ს. ორივე პლატფორმა აძლევდა და დღესაც აძლევს მომხმარებლებს საშუალებას დაჯავშნონ თავიანთი დასვენება ონლაინში. თავდაპირველად ონლაინ ტურისტული აგენტები მიაჩნდათ როგორც დაჯავშნის საექვო ინსტრუმენტი, თუმცა ინტერნეტის ზრდასთან ერთად OTA-ს მომსახურების სერვისები სწრაფად ვითარდებოდა, ხოლო ონლაინ დაჯავშნის მომსახურეობა ფართოვდებოდა. ონლაინ ტურისტული აგენტების მუშაობა თავდაპირველად სასტუმროების დაჯავშნით დაიწყო, შემდეგ კი დროთა განმავლობაში დაემატა მანქანების, რეისების, კრუიზების, რესტორნებისა და სადღესასწაული პაკეტების ონლაინ დაჯავშნის სერვისები (Jill Barthel, 2015). დღეისათვის Priceline-სა და Expedia Group-ს სრული ტურისტული სერვისის ონლაინ დაჯავშნის სისტემებია გლობალურ ბაზარზე, ფაქტობრივად, მონოპოლია უკავიათ, თუმცა ჰყავთ რეგიონალური კონკურენტები: Ctrip (ჩინეთის უდიდესი OTA, რომელსაც უკავია ჩინეთის ბაზრის უდიდესი ნაწილი), MakeMyTrip(ინდოეთის უდიდესი OTA), Trivago და Despegar (ლათინურ ამერიკაში არსებული ყველაზე დიდი OTA) (Cloudbeds, 2018). კიდევ ერთი მნიშვნელოვანი კონკურენტია Tripadvisor,

რომლის მფლობელობაშიცაა ვებსაიტი TripAdvisor.com, თუმცა აღნიშნული კომპანია ონლაინ დაჯავშნის რაოდენობით ახლოსაც ვერ მივა კონკურენტებთან, მისი მთავარი პლუსია მეტაძებნის პლატფორმა, რომელიც ტურისტებს განთავსების საშუალებების, რესტორნების, ტურების, ტურისტული დესტინაციებისა და კრუიზების დიდ არჩევანს



დიაგრამა #1 წყარო (Lawrence, 2017)

შტატების ტურისტული ბაზრის 13% ეკავა, 2014-ში - 16%, დღეს მაჩვენებელი დაახლოებით 39%-მდეა გაზრდილი, ხოლო 2020 წლის პროგნოზით იგი 41%-ს მიაღწევს. 2013 წელს OTA-ს მიერ განთავსების საშუალებების გაყიდვებმა შეადგინა დაახლოებით 45% ევროპული გაყიდვების მთლიანი შემოსავლიდან, რომლიდანაც 76% მიიღო ორმა ძირითადმა მოთამაშემ: Priceline-მა (82%) და Expedia-მ (18%), რაც ხაზს უსვამს Priceline-ის ბევრად უფრო ძლიერ არსებობას ევროპის ბაზარზე. ეს ლიდერობა, უპირველეს ყოვლისა, ონლაინ დაჯავშნის გლობალური ბრენდის, Booking.com-ის დამსახურებაა, რომელიც Priceline-ს მფლობელობაშია (Lawrence, 2017).

პროდუქტის მომხმარებლამდე მიწოდების ორი გზა არსებობს: დისტრიბუციის პირდაპირი და არაპირდაპირი არხი. პირდაპირი დისტრიბუცია, როგორც არის მაგალითად ჯავშანი ვებგვერდით ან ტელეფონით, გულისხმობს ისეთ შემთხვევებს, როდესაც პროდუქტი ან სერვისი მწარმოებლიდან პირდაპირ მომხმარებელს გადაეცემა, მაშინ როდესაც არაპირდაპირი დისტრიბუციის შემთხვევაში, პროცესში

სთავაზობს, მილიონობით მომხმარებელის ვერიფიცირებული შეფასებებით (Tripadvisor, 2018). პერიოდულად რომ მოყვეთ, ონლაინ ტურისტული აგენტების აღმასვლა სასტუმროს დაჯავშნის გლობალურ ბაზარზე 2009 წლიდან დაიწყო. მაგალითისთვის, 2008 წელს OTA-ს ამერიკის შეერთებული

მონაწილეობას ასევე შუამავალი იღებს. მაგალითად, OTA და GDS დისტრიბუციის არაპირდაპირი არხებია. ორივე, პირდაპირი და არაპირდაპირი არხები, შეიძლება იყოს როგორც ოფლაინი, ასევე ონლაინ. პირდაპირი ჯავშანი განიმარტება როგორც პირდაპირ დისტრიბუციასთან დაკავშირებული ქმედება. ამ დროს პროდუქტი ან სერვისი შუამავლის ჩართულობის გარეშე, პირდაპირ მიმწოდებლისგან, სასტუმროსგან შეისყიდება. ასეთი გზა შესაძლებელს ხდის როგორც სასტუმროს პროდუქტების მომხარებელზე მორგებას, მაგალითად განთავსების საშუალებების შეთავაზებების შემუშავებას, ასევე სხვადასხვაგვარ მიზნობრივ ბაზრებზე გასვლას. შესაბამისად, პირდაპირი ჯავშნის მეთოდს აქვს პოტენციური გაყიდოს მეტი, რაც სასტუმროსთვის, Expedia.com-ისა და Booking.com-ის მსგავს OTA-ებთან შედარებით, მეტ ჯავშნებსა და შემოსავალს გულისხმობს (Morales, 2017).

1.2 დაჯავშნის გლობალური სისტემები მსოფლიოში და კონკურენცია მათ შორის

სასტუმროს დაჯავშნის ბაზარი ყოველი წლის განმავლობაში უფრო და უფრო კონკურენტული ხდება. ბაზრის ყველა მონაწილეს უკვე ჩამოყალიბებულ და დამწყებ ონლაინ და ტრადიციულ გამყიდველებთან უწევთ კონკურენცია. ესენია:

- ონლაინ და ტრადიციული ტურისტული სააგენტოები და ტურ ოპერატორები;
- ტურისტული სერვისის მიმწოდებლები, მათ შორის - სასტუმროები, ავიახაზები.
- საძიებო სისტემები და მსხვილი ონლაინ პორტალები;
- ტურისტული მეტასაძიებო ვებგვერდები;
- კორპორატიული ტურისტული მენეჯმენტის სერვისის მიმწოდებლები;
- მობილური პლატფორმის ტურისტული აპლიკაციები;
- სოციალური მედიის ვებგვერდები;
- ონლაინ დაჯავშნის ვებგვერდები;
- საცხოვრებელის ალტერნატიული ვებგვერდები (Booking Holdings, 2019).

ონლაინ და ტრადიციული ტურისტული სააგენტოები: სასტუმროს დაჯავშნის ბაზრის მთავარი მოქმედი აქტორები სწორედ ონლაინ ტურისტული სააგენტოები (OTA-ები) არიან და სწორედ მათ შორის მიმდინარეობს მთავარი კონკურენცია მსოფლიოს ბევრ რეგიონში. მათ შორის მოიაზრებიან The Priceline Group და მისი შვილობილი კომპანიები Booking.com და Agoda.com, Expedia Group, აგრეთვე რეგიონული კონკურენტები, როგორცაა Ctrip, რომელსაც, ზოგ შემთხვევაში, უკეთესი შეთავაზებები აქვს ტურისტებისთვის ან მიმწოდებლებისთვის, მათ შორის ფასებისა და მიწოდების მოცულობის მხრივ. ამასთან ერთად, გლობალური OTA-ს სეგმენტი აგრძელებს კონსოლიდირებას - ერთმანეთს ერწყმიან კონკურენტები ან ქმნიან სტრატეგიულ პარტნიორობებს.

ტურისტული სერვისის მიმწოდებლები: ტურისტული სერვისის მიმწოდებლებმა კლიენტებს პროდუქტებზე და სერვისებზე უფრო სახარბიელო პირობები შეიძლება შესთავაზონ, ვიდრე ონლაინ და ტრადიციულმა ტურისტულმა სააგენტოებმა. მრავალი ასეთი კონკურენტი, როგორებიცაა ავიახაზები, სასტუმროები და ავტომობილების გამქირავებელი კომპანიები, უფრო და უფრო კონცენტრირდებიან საკუთარ ვებგვერდებსა და მობილურ აპლიკაციებზე გაზრდილ ონლაინ მოთხოვნაზე, ნაცვლად მესამე პირი დისტრიბუტორებისა, როგორებიცაა Expedia.com-ისა თუ Booking.com-ის ვებგვერდები. მაგალითად, რამდენიმე მსხვილი სასტუმროს ქსელი გაერთიანდა და იაფ ავიახაზებთან თანამშრომლობის შედეგად ჩამოაყალიბა სასტუმროს ონლაინ ძიების საერთო პლატფორმა, რომელიც პირდაპირ უკავშირდება თავიანთ ვებგვერდებსა და მობილურ აპლიკაციებს. ასევე, ბოლო წლებში, ზოგიერთმა სასტუმროს ქსელმა დაიწყო სარეკლამო კამპანია, რომელიც სპეციალურად იმისთვისაა შექმნილი, რომ მომხმარებლების ნაკადი პირდაპირ მათი ვებგვერდებისკენ მიმართოს. უმეტესად, მიმწოდებლები, რომლებიც ტურისტულ პროდუქტს საკუთარ ვებგვერდებზე ყიდნიან, მომხმარებლებს სთავაზობენ სახარბიელო ფასებს, ექსკლუზიურ პროდუქტებსა და ლოიალურობის ქულებს (Westcott, 2015).

საძიებო სისტემები და მსხვილი ონლაინ პორტალები: ბოლო წლებში, საძიებო სისტემები სულ უფრო და უფრო კონცენტრირდნენ ფრენებისა და სატუმროების ძიების პროდუქტების შექმნასა თუ წამოწყებაზე, რაც OTA-ებთან შედარებით მათ მოგზაურობის დაგეგმვისა და პირდაპირი ჯავშანის უფრო მრავლისმომცველ შესაძლებლობებს აძლევს. მაგალითად, Google შესულია ონლაინ ტურისტული ბაზრის სხვადასხვა სფეროში, რომელთა შორისაა სწრაფად მზარდი ფრენის მეტაძიების პროდუქტი (“Google Flights”) და სასტუმროს მეტაძიების პროდუქტი (“Hotel Ads” და “Book on Google”). Google-მ და მსგავსმა მსხვილმა საძიებო პორტალებმა შეიძლება ტურისტული ბაზარი მნიშვნელოვნად შეცვალონ, რადგან კონკურენტებთან შედარებით მათ ბევრად უფრო დიდი ფინანსური, ტექნიკური, მარკეტინგული რესურსები და მომხმარებელთა ბაზა გააჩნიათ.

მოგზაურობის მეტაძიების ვებგვერდები: Kayak.com (Priceline-ის შვილობილი კომპანია), trivago (Expedia-ს შვილობილი კომპანია), TripAdvisor, Skyscanner და Qunar (ორივე Ctrip-ის შვილობილი კომპანია),- არიან მოგზაურობის მეტაძიების ვებგვერდები, რომლებიც თავს უყრიან ტურისტული სერვისის სხვადასხვა მიმწოდებლისგან, ტურისტული აგენტებისგან თუ სხვა ვებგვერდებისაგან მიღებულ ინფორმაციას, კერძოდ მოგზაურობასთან დაკავშირებულ ძიებებს კონკრეტული მიმართულებით (Booking Holdings, 2019).

კორპორაციული ტურიზმის მენეჯმენტის სერვისების პროვაიდერები არის: Egencia, Expedia-ს ბერნდის სრული სერვისის კორპორაციული მოგზაურობის მენეჯმენტის კომპანია, რომელიც კონკურენციას უწევს ონლაინ და ტრადიციულ კორპორაციული ტურიზმის პროვაიდერებს, მათ შორის Carlson Wagonlit-სა და American Express Global Business Travel (GBT)-ს, ასევე კორპორაციული მოგზაურობის და დანახარჯების მენეჯმენტის კომპიუტერულ პროგრამებსა და სერვისებს. ამ კონკურენტებიდან ზოგიერთს გააჩნია მეტი ფინანსური რესურსი, ბრენდის უკეთესი ცნობადობა, დამკვიდრებული კლიენტთა ბაზები, დიფერენცირებული ბიზნეს

მოდელები ან უფრო ფართო გლობალური გავრცელება, რაც სასტუმოს დაჯავშნის სხვა საშუალებებს კორპორაციული ტურისტების შენარჩუნებასა და ახალი კლიენტების მოზიდვას ურთულებს (EXPEDIA, INC., 2017).

ალტერნატიული საცხოვრებლები: Airbnb და მგავსი ვებგვერდები, რომლებიც ამარტივებენ სახლებისა და ბინების მოკლევადიან გაქირავებას პირდაპირ მესაკუთრისგან. ალტერნატიული საცხოვრებლების პოპულარობის ზრდამ შეიძლება გავლენა მოახდინოს ტურისტულ სფეროსა და მოთხოვნაზე, განსაკუთრებით კი სასტუმროების რეზერვაციებისა და საცხოვრებელი ადგილების გაქირავების სერვისების მოთხოვნაზე. მეტიც, Airbnb-მ და მსგავსმა ვებსაიტებმა დაამატეს სხვა ტურისტული სერვისები, როგორც არის ტურები, სასტუმროებისა და ფრენის ჯავშნები, რაც კიდევ უფრო ზრდის მათ წილს ტურისტულ ბაზარზე და კონკურენციას ტრადიციული OTA-თვის (Airbnb. Inc., 2018).

მობილური და სხვა პლატფორმებზე არსებული სამოგზაურო აპლიკაციები: სმარტფონების, ტაბლეტებისა და სახლის ასისტენტებზე მოთხოვნა და მათი ფუნქციურობა მნიშვნელოვნად იზრდება. თუ სასტუმროს დაჯავშნის სფეროში ჩაბმული კომპანიები და ბრენდები ვერ შეძლებენ შესთავაზონ კლიენტებს ინოვაციური, მომხმარებელზე მორგებული და მრავალფუნქციური სამოგზაურო მობილური აპლიკაციები და მათთან დაკავშირებული ვებგვერდები, ეფექტური მარკეტინგი და რეკლამირება, ან თუ მათი მობილური აპლიკაციები და ვებგვერდები არ იქნება მოთხოვნადი, მოცემული კომპანიების ბაზრის წილი უკვე არსებულ და ახალ კონკურენტებთან შედარებით შემცირდება, რაც ბიზნესის საქმიანობის შედეგებზე უარყოფითად აისახება.

სოციალური მედიის ვებგვერდები: სოციალური მედიის ვებგვერდები, მათ შორის Facebook, Instagram, Twitter მუდმივად ავითარებენ საკუთარ ვებსაიტსა და მობილურ აპლიკაციებში არსებული მონაცემების საძიებო სისტემებს, რაც სამომავლოდ შეიძლება ტურისტებისთვის ალტერნატიული ძებნისა და დაჯავშნის

სისტემად გადაიქცეს და ბაზარზე გაზარდოს კონკურენცია. აღსანიშნავია, რომ Facebook-მა შეიმუშავა ახალი ტურისტული პროდუქტი Dynamic Ads და საქმიანობა ტურისტულ ბაზარზე განავრცო. ასევე, უნდა აღინიშნოს, რომ სოციალური მედიის ვებგვერდები დღესდღეობით სასტუმროებისთვის პირდაპირი დაჯავშნის ერთ-ერთ მნიშვნელოვან წყაროს წარმოადგენენ, რადგან საკმაოდ ძნელი იპოვო სასტუმრო, რომელიც არ არის დარეგისტრირებული მსგავს ვებგვერდებზე (Booking Holdings, 2019).

1.3 OTA - ონლაინ ტურისტული სააგენტოები. ბრენდების პორტფოლიო: Priceline, Expedia

1.3.1 ბრენდების პორტფოლიო: Priceline, Expedia

როგორც უკვე აღინიშნა, ტურისტული მომსახურების ონლაინ დაჯავშნის საკმაოდ კონკურენტულ ბაზარზე, ერთპიროვნული ლიდერები დღეისათვის ონლაინ ტურისტული სააგენტოები (OTA) არიან. OTA-ებსაც ჰყავთ თავიანთი ლიდერები Priceline-ისა და Expedia Group-ის სახით. Priceline-ს საკუთრებაშია მსოფლიოში განთავსების საშუალებების ონლაინ დაჯავშნის მოწინავე ბრენდი Booking.com, ხოლო Expedia Group-ის საკუთრებაშია ასევე ერთ-ერთი წამყვანი ბრენდები Expedia.com და Hotels.com.

Priceline არის ონლაინ დაჯავშნის წამყვანი კომპანია, რომელიც მთელი მსოფლიოს მასშტაბით აკავშირებს მომხმარებელს ტურისტული სერვისის მიმწოდებელთან. კომპანია მომხმარებელს სთავაზობს განთავსების საშუალებების ფართო სპექტრს (მათ შორის სასტუმროებს, მოტელებს, აპარტამენტებს, ჰოსტელებს, ფლაიტელებს და ა.შ) Booking.com-ის, Priceline.com-ისა და Agoda.com-ის ბრენდების საშუალებით. Priceline-ის ბრენდი საკმაოდ მრავალმხრივია და არ შემოიფარგლება

ინტერვიუს მიხედვით გამოჩნდა, რომ ონლაინ დაჯავშნის გლობალური სისტემები საშუალო და პატარა კატეგორიის სასტუმროთათვის გაცილებით მნიშვნელოვანია, ვიდრე დიდი ბრენდული სასტუმროთათვის. ამას ცხადჰყოფს მთლიანი ჯავშნების ის პროცენტული განაწილება, რომელიც მოცემულ სასტუმროებში გვხვდება. პატარა ზომის სასტუმრო „ბუმბულში“ OTA-ს ჯავშნების ხვედრითი წილი მთლიან დაჯავშნების 85,7%-ია, საშუალო ზომის სასტუმრო „ბელი“-ში დაახლოებით 70%, ხოლო ბრენდულ სასტუმროში დაახლოებით 20%. საპირისპირო ვითარებაა ტუროპერატორების მიერ დაჯავშნილი ოთახების პროცენტულ განაწილებაში. ბრენდულ სასტუმროებში მსგავსი ტიპის ჯავშნების ხვედრითი წილი გაცილებით მაღალია, ვიდრე პატარა და საშუალო კატეგორიის განთავსების საშუალებებში. დიდ სასტუმროში ტუროპერატორების მიერ დაჯავშნილი ოთახების ხვედრითი წილი მთლიანი ჯავშნების დაახლოებით 60%-ია. საშუალოში 15%, ხოლო პატარა ზომის სასტუმროში 2,1%. რაც შეეხება პირდაპირ ჯავშნებს, მათი ხვედრითი წილი სამივე კატეგორიის სასტუმროებში მეტ-ნაკლებად თანაბარია და 10-20

პროცენტის ფარგლებში მერყეობს (სასტუმრო: “ბუმბული” – 13,2%, “ბელი” – 15%, ბრენდული - 20%).

ცხრილი #2: ტურისტების რაოდენობა სასტუმროებში OTA-ს ვებ-გვერდების მიხედვით

	OTA	ტურ-ოპერატორი	პირდაპირი ჯავშანი
"ბუმბული"	85.7%	2.1%	13.2%
"ბელი"	70%	15%	15%
ბრენდული	20%	60%	20%

პატარა კატეგორიის სასტუმრო “ბუმბული” წარმოდგენილია შემდეგ ონლაინ დაჯავშნის გლობალურ სისტემებზე: Booking.com, Expedia (Expedia.com, Hotels.com), Tripadvisor.com, Ostrovok.ru. სასტუმროს ონლაინ სისტემების ჯავშნების პროცენტული განაწილება შემდეგნაირია: Booking.com – 83,2%, Expedia 16,6% (Expedia.com – 70%, Hotels.com – 30%), Ostrovok.ru – 0,2%. საშუალო კატეგორიის სასტუმრო “ბელი” გვხდება ყველა ზემოთ ჩამოთვლილ ვებ-საიტზე, გარდა Ostrovok.ru-სა, ჯავშნების განაწილება კი დაახლოებით არის შემდეგნაირი: Booking.com – 80%, Expedia – 20% (Expedia.com -73% Hotels.com – 27%). ბრენდული სასტუმრო გვხვდება შემდეგ ვებსაიტებზე: Booking.com. Expedia (hotels.com, Exedia.com, Egencia.com), Agoda.com, Ostrovok.ru, eBookers.com (Orbitz). OTA-ს მთლიანი ჯავშნებიდან ყველაზე მაღალი ხვედრითი წილი აქვს Booking.com-ს (68%), შემდეგ მოდის Expedia თავისი ბრენდებით (26%), ხოლო 6% მოდის სხვა დაჯავშნის ვებსაიტებზე.

ინტერვიუს დროს ასევე გამოიკვეთა, რომ სამივე სასტუმროსათვის უმნიშვნელოვანესია ონლაინ დაჯავშნის ვებ-საიტებზე არსებული სტუმართა შეფასების სისტემა, რომელიც ერთ-ერთი გადამწყვეტი ფაქტორია მომხმარებლის

საბოლოო არჩევანის ჩამოყალიბებისას. შესაბამისად, სამივე სასტუმრო აქტიურად მუშაობს იმაზე, რომ დაიმსახუროს სტუმრის კეთილგანწყობა, რომელიც საბოლოოდ დადებით შეფასებად აისახება კონკრეტულ დაჯავშნის ვებ-საიტზე. ამის დასტურია აღნიშნული სასტუმროების ის შეფასებები, რომლებიც გვხვდება სხვადასხვა დაჯავშნის ვებ-გვერდებზე:

მაგალითისთვის, სასტუმრო „ბუმბულის“ შეფასება Booking.com-ზე 10 ბალანი სისტემიდან 8.6 ქულაა (ჯამში 450 შეფასებიდან), სასტუმრო „ბელის“ 9.0 (332 შეფასება), ხოლო ბრენდული სასტუმროს შეფასება - 8.4 ქულა (429 შეფასება). აღსანიშნავია, რომ სასტუმრო „ბელის“ საშუალო ქულა (9.0) მიეკუთვნება შესანიშნავი (Superb - 9.0 და მეტი) შეფასების კატეგორიას, ხოლო დანარჩენი ორი სასტუმროს კატეგორიაა - ძიან კარგი (Very Good – 8.0-ზე მეტი და 9.0-ზე ნაკლები).

შეფასებების სისტემით თუ ვიმსჯელებთ, ერთ-ერთი ყველაზე მნიშვნელოვანი ვებ-გვერდი სამივე სასტუმროსათვის Tripadvisor.com-ია. აღნიშნული ვებ-გვერდი შეფასებების რაოდენობისა და ხარისხის მიხედვით ადგენს განთავსების საშუალებათა რეიტინგს, რომელშიც წარმოდგენილია თბილისის 1991 ობიექტი (236 სასტუმრო, 1047 ჰოსტელი და გესტ-ჰაუსი, 708 აპარტამენტი). გამოკითხული სასტუმროებიდან სამივე, Tripadvisor.com-ის მიხედვით, შედის თბილისის მოწინავე 50 განთავსების საშუალებას შორის. მაგალითად, დიდი ბრენდული სასტუმროს ადგილი რეიტინგში არის მე-7, სასტუმრო „ბუმბული“-ს მე-17, ხოლო სასტუმრო „ბელი“-ს ადგილია - 43-ე.

აღსანიშნავია ისიც, რომ პატარა და საშუალო კატეგორიის სასტუმროებში სტუმრის კეთილგანწყობის მოპოვება უშუალოდ მომსახურე პერსონალს ევალება, მაშინ როდესაც დიდ ბრენდულ სასტუმროებში მომსახურე პერსონალის გარდა გვხვდება სპეციალური ჯგუფიც, რომელიც უშუალოდ სასტუმროს მაღალ რეიტინგზეა პასუხისმგებელი.

დღესდღეობით, სასტუმრო ბაზარზე არსებული დიდი კონკურენციის პირობებში სამივე კატეგორიის სასტუმროს უწევს მომხმარებლისთვის გარკვეული

სახის ფასდაკლებებისა და დამატებითი სერვისების უზრუნველყოფა. მაგალითად, სასტუმრო “ბუმბული” Booking.com-ისა და Expedia-ს მომხმარებლებს სთავაზობს შემდეგი სახის შეთავაზებებს: “3+1 ღამე” ზამთრის სეზონზე, რაც გულისხმობს ერთ უფასო ღამეს, ყოველი დაჯავშნილი 3 ღამის შემდეგ; უფასო ტრანსფერის სერვისი აეროპორტიდან სასტუმროში მათთვის, ვინც სასტუმრო მინიმუმ 4 ღამით დაჯავშნეს; 10%-იანი ფასდაკლება Booking.com-ის იმ მომხმარებლებს, რომლებიც არიან ჩინეთიდან ან გას-იდან, რადგან საქართველოს ტურისტული ბაზარი არის მუდმივად მზარდი ამ ორ ქვეყანაში. სასტუმრო “ბუმბული”-ს მსგავსად, სასტუმრო “ბელი”-ც სთავაზობს მომხმარებლებს უფასო ღამის სერვისს ყოველი დაჯავშნილი მე-5 ღამის შემდეგ; უფასო ვახშამი მათთვის, ვინც სასტუმროს ჯავშნის მინიმუმ 3 ღამით. რადგანაც დიდი ბრენდული სასტუმროებისთვის OTA არ წარმოადგენს დაჯავშნის უმთავრეს წყაროს, გამოკითხული სასტუმროს წარმომადგენლის თქმით ისინი არ სთავაზობენ მუდმივ განსაკუთრებულ შეთავაზებებსა თუ ფასდაკლებებს OTA-ს მომხმარებლებს. აღსანიშნავია, რომ სამივე კატეგორიის სასტუმრო Booking.com-ისა და Expedia-ს განსაკუთრებულ მომხმარებლებს (Genius Guest).

ონლაინ დაჯავშნის გლობალურ სისტემებთან თანამშრომლობისას პატარა და საშუალო კატეგორიის სასტუმროები აწყდებიან ერთ მნიშვნელოვან პრობლემას, - ქართულ საბანკო სისტემასთან პრობლემებს. კერძოდ, გარკვეულ შემთხვევებში (თუ ბარათი დაცულია ან სვს კოდი არასწორია) ვერ ახდენენ სტუმრისთვის თანხის ჩამოჭრას არასწორ დროს გაუქმებული ჯავშნისათვის ან სტუმრის სასტუმროში არ გამოჩენის შემთხვევაში (ჯავშნის არსებობის პირობებში). მსგავს პრობლემას არ აწყდებიან დიდი ბრენდული სასტუმროები.

სამივე სასტუმროს წარმომადგენელმა კითხვაზე, თუ რომელ ონლაინ დაჯავშნის გლობალურ სისტემებს ანიჭებენ უპირატესობას, ერთხმად უპასუხა Booking.com, აღნიშნული ვებ-გვერდის მთავარ პლიუსებად კი შემდეგი ფაქტორები დაასახელეს: გამართული, გამჭვირვალე და მარტივად აღსაქმელი ვებ-გვერდი;

უამრავი შესაძლებლობა და შეთავაზება სასტუმროებს კლიენტთა მოსაზიდად; 24-საათიანი ცხელი ხაზი, რომელიც მარტივად ხელმისაწვდომია (სხვა დაჯავშნის სისტემებთან დაკავშირება გაცილებით რთულია).

ინტერვიუერების აზრით, ონლაინ დაჯავშნის ქართულ ბაზარზე არის საკმაოდ დიდი პრობლემები. კერძოდ, მათ სასტუმროების შემდეგი პრობლემები გამოყვეს: გაუმართავი ელექტრონული სისტემა, გაუმართავი ვებ-გვერდი, ჩამოუყალიბებელი ხედვა, მისია და მიზნები, ინფორმაციის ნაკლებობა, არაპროფესიონალი მომსახურე პერსონალი, საკმაოდ დაბალი მომსახურების ხარისხი, სამომხმარებლო სერვისის ხარისხის დეფიციტი. როგორც გამოიკვეთა, მიუხედავად იმისა, რომ დაჯავშნის ვებ-გვერდებზე მოწინავე პოზიციებს იკავებენ და სტუმართა შეფასებებიც საკმაოდ კარგი აქვთ, აღნიშნული პრობლემები სამივე სასტუმროში გვხვდება. მაგალითად, სასტუმრო „ბუმბული“-სა და სასტუმრო „ბელი“ -ს ვებ-გვერდიც გაუმართავია, ამიტომაც მასზე მოდის ჯავშნების მინიმალური რაოდენობა. თუმცა ორივე სასტუმროს მიზანია, რაც შეიძლება მალე გამოაცოცხლონ ვებ-გვერდი და უფრო დიდი დატვირთვა მისცენ მას. ბრენდულ სასტუმროში საკმაოდ პრობლემური აღმოჩნდა არაპროფესიონალი თანამშრომლების საკმაოდ დიდი რაოდენობა, რაც სტაბილური, გამართული და პროფესიონალი მომსახურე პერსონალის შექმნას უშლის ხელს. ეს ყველაფერი საბოლოოდ უარყოფითად მოქმედებს სასტუმროს მომსახურების ხარისხზე.

3.2 კვლევის შედეგების განზოგადება თეორიების მიხედვით

რაციონალური არჩევანის თეორია

რაციონალური არჩევანის თეორიის მიხედვით, ადამიანი იმ სასტუმროს ირჩევს, რომელიც ყველაზე დიდ ფასეულობას სთავაზობს. თეორიის ძირითადი დაშვებებია, რომ ადამიანი ყველა სასტუმროს ფასეულობის შესახებ ინფორმაციას

ფლობს; თანაც, ყოველი მათგანის მიერ აღქმული ფასეულობები სავსებით ლოგიკური და, ამავდროულად, მატერიალურია (კუპრაშვილი, 2007). ინდივიდები რაციონალურად მოქმედებენ კერძო სიტუაციაში პირადი სარგებლობის (მოგების) მაქსიმალური გაზრდის უზრუნველსაყოფად და დანაკარგების მინიმუმამდე შესამცირებლად. ყოველ ინდივიდს აქვს საკუთარი უპირატესობების სკალა და ამის შესაბამისად აკეთებს არჩევანს, რამაც მას მაქსიმალური კმაყოფილება უნდა მოუტანოს (სოციალურ და პოლიტიკურ ტერმინთა ლექსიკონი-ცნობარი, 2004).

კვლევის შედეგად დავინახეთ, რომ მოგზაურობის დაგეგმვისა და სასტუმროს დაჯავშნის პროცესში მომხმარებლები რამდენიმე ალტერნატიული ვებ-გვერდის საშუალებით ადარებენ ერთმანეთს ფასებს, სტუმართა შეფასებებს, ოთახების ფოტოებს და მხოლოდ ამის შემდეგ ირჩევენ მათთვის ყველაზე ხელსაყრელ ვარიანტს. ონლაინ დაჯავშნის გლობალური სისტემები კი მათ აძლევს უდიდეს არჩევანს, როგორც ფასების მიხედვით, ასევე სასტუმროს კატეგორიის, მდებარეობის, მომსახურების ხარისხის, სერვისების რაოდენობისა თუ სხვა მახასიათებლების მიხედვით. გარდა ამისა, კვლევამ და სტატისტიკურმა მასალამ დაგვანახა, რომ OTA-ს მომხმარებელი სტუმრების 80%-ზე მეტი კითხულობს სტუმართა შეფასებებს და მათი უმრავლესობა საბოლოო გადაწყვეტილებას, სწორედ სტუმართა შეფასებების მიხედვით იღებს. სასტუმროს ონლაინ დაჯავშნის გლობალური სისტემები კი, მომხმარებლებს აძლევს შესაძლებლობას ნახონ პროდუქციის შესახებ როგორც დადებითი, ასევე უარყოფითი შეფასებები, რაც მათ ოპტიმალური არჩევანის გაკეთებაში ეხმარება.

მასობრივი კომუნიკაციის თეორია

შეისწავლის მასობრივი კომუნიკაციის საშუალებების ფუნქციონირებისა და განვითარების პროცესებს, აგრეთვე ზემოქმედების შედეგებს. ჰოვარდ ლასუელმა თეორიის ძირითადი პრინციპი აღწერა თავისი ცნობილი ფორმულით – „ვინ აცნობებს, რას აცნობებს, რომელი არხებით, ვის და რა ეფექტით“. აღნიშნული თეორია

შეისწავლის მასობრივი კომუნიკაციის საშუალებების (ინტერნეტი, ტელევიზია, რადიო და ა.შ.) თავისებურებებს მასმედიაში და საზოგადოებას შორის კომუნიკაციის პროცესში (სოციალურ და პოლიტიკურ ტერმინთა ლექსიკონი-ცნობარი, 2004).

ნაშრომში ცალსახადაა აღნიშნული, რომ საინფორმაციო ტექნოლოგიების, კერძოდ კი ინტერნეტის განვითარებასთან ერთად უფრო იზრდება და ადვილად ხელმისაწვდომი ხდება სასტუმროს დაჯავშნის საშუალებები. ინტერნეტის დამსახურებაა, რომ სასტუმროების დაჯავშნა არა მხოლოდ ერთი გზით, არამედ რამდენიმე არხის საშუალებით გახდა შესაძლებელი. კვლევის შედეგებმა დაგვანახა, რომ დღეს ტურისტების უმრავლესობა სასტუმროს ონლაინ დაჯავშნის გლობალური სისტემებით ჯავშნის. ფაქტია, რომ მასობრივი კომუნიკაციის სწორედ ამ საშუალებებმა განაპირობეს სასტუმროების ეფექტიანობის ზრდა ტურისტულ ბაზარზე უკანასკნელი წლების განმავლობაში.

ცენტრი-პერიფერიის თეორია

ცენტრი-პერიფერიის მოდელი ასახავს სტრუქტურულ ურთიერთობას განვითარებულ ცენტრსა და ნაკლებად განვითარებულ პერიფერიას შორის. მიუხედავად იმისა, რომ თავისი არსით თეორია უფრო წარმოადგენს პოლიტიკური გეოგრაფიის ან პოლიტიკური სოციოლოგიის სწავლის საკითხს (A Dictionary of Sociolog, 1998), თავისი მნიშვნელობიდან გამომდინარე, ჩვენ შეგვიძლია იგი დავაკავშიროთ ტურიზმის სფეროსთანაც რამდენიმე მიზეზის გამო:

- კვლევის შედეგების მიხედვით, სტუმართა უმრავლესობა ირჩევს ისეთ სასტუმროებს, რომლებიც ქალაქისა თუ კურორტის ცენტრალურ ნაწილში მდებარეობს.
- ონლაინ დაჯავშნის ვებსაიტებზე წარმოდგენილი სასტუმროების უმრავლესობა მდებარეობს საქართველოს უდიდეს ქალაქებსა და კურორტებში.
- სასტუმროების უმრავლესობა მდებარეობს ქალაქებისა თუ კურორტების ცენტრალურ ნაწილში.

- ტურისტული დაჯავშნის გლობალური სისტემები ტურისტებს სასტუმროების ძებნის პროცესში თავდაპირველად სასტუმროების 3 ძირითად კატეგორიას სთავაზობს: მოწინავე სასტუმროები ფასის, სტუმართა შეფასებებისა და ადგილმდებარეობის (რამდენად დაშორებულია ცენტრიდან. მაგალითისთვის, თბილისში ათვლის წერტილია თავისუფლების მოედანი) მიხედვით. შესაბამისად, ადგილის ცნება სასტუმროსათვის უმნიშვნელოვანესია.
- ონლაინ დაჯავშნის გლობალური სისტემებზე არსებული სტუმართა შეფასებების მიხედვით გამოიკვეთა, რომ ცენტრში მდებარე სასტუმროებს გაცილებით უკეთესი სტუმართა შეფასებები და საშუალო ქულა აქვთ, ვიდრე პერიფერიაში მდებარე სასტუმროებს. ეს მეტყველებს იმაზე, რომ ცენტრალური მდებარეობის სასტუმროებში მომსახურების ხარისხი გაცილებით უფრო მაღალია.

დასკვნა

სამაგისტრო ნაშრომში შევეცადე, ჩატარებული რაოდენობრივი და თვისობრივი კვლევის, სხვადასხვა მნიშვნელოვანი თეორიისა და არსებული სტატისტიკური მასალის საფუძველზე ამეხსნა, თუ რამდენად დიდია ონლაინ დაჯავშნის გლობალური სისტემების მნიშვნელობა საქართველოში არსებულ სხვადასხვა კატეგორიის განთავსების ობიექტებისთვის. ასევე, ჩემი მიზანი იყო, რომ გამომევლინა, თუ რამდენად ეფექტიანად იყენებენ ქართულ ბაზარზე წარმოდგენილი განთავსების საშუალებები სასტუმროს ონლაინ დაჯავშნის გლობალურ სისტემებს.

ნაშრომში გამოყენებული მონაცემების ანალიზმა და სამი განსხვავებული კატეგორიის სასტუმროში ჩატარებულმა რაოდენობრივ და თვისობრივი კვლევის შედეგებმა აჩვენა, რომ OTA საქართველოს ტურისტული ბაზრის ერთ-ერთ მთვარ სუბიექტს წარმოადგენს. ასევე გამოიკვეთა, რომ სასტუმროს ონლაინ დაჯავშნის გლობალური სისტემები, ბაზარზე არსებული დიდი კონკურენციის პირობებში, პატარა და საშუალო სიდიდის სასტუმროების ფუნქციონირებისთვის სასიცოცხლოდ მნიშვნელოვანია,

რადგან მათ ბრენდის არც მაღალი ცნობადობის დონე გააჩნიათ, არც მისი შენების შესაძლებლობა. შესაბამისად, პირდაპირი გაყიდვები და ტურ-ოპერატორებთან თანამშრომლობა ამგვარი ორგანიზაციებისათვის ნაკლებად პროდუქტიული და შედეგიანია. ამის საპირისპიროდ, მიუხედავად იმისა, რომ დიდი ბრენდული სასტუმროებისთვისაც OTA-ს სეგმენტი ძალიან მნიშვნელოვანია, ამ ეტაპზე მათთვის მაინც პრიორიტეტულია პირდაპირი ჯავშნების გაზრდა და ტურ-ოპერატორებთან თანამშრომლობა.

კვლევის შედეგები ცხადყოფს, რომ საქართველოში ჩამოსული ტურისტების უმრავლესობა სასტუმროს OTA-ს საშუალებით ჯავშნის. ისინი, სასტუმროს მოძიებისა და დაჯავშნის პროცესში, მრავალ ვებ-გვერდს სტუმრობენ და საბოლოოდ ირჩევენ იმ განთავსების ობიექტსა და ონლაინ დაჯავშნის სისტემას, რომელიც ყველაზე ხელსაყრელ ფასსა და სერვისებს სთავაზობს. დაჯავშნის პროცესში ასევე გადამწყვეტი მნიშვნელობა აქვს ერთ უმნიშვნელოვანეს ფაქტორს,- მომხმარებლები შეფასებები. კვლევის პროცესში გამოიკვეთა, რომ ტურისტებისთვის ძალიან მნიშვნელოვანია იმის გაგება თუ რას ფიქრობს ამა თუ იმ პროდუქციაზე სხვა მომხმარებელი, რომელმაც უკვე გამოსცადა ის. ვინაიდან, აღნიშნული ვებ-გვერდები წარმოადგენენ საძიებო სისტემებს, მათი მიზანი არ არის ნეგატიური ინფორმაციის დამალვა (როგორც ამას კომპანიების უმრავლესობა აკეთებენ საკუთარ სოციალურ პროფილებზე). სასტუმროს ონლაინ დაჯავშნის გლობალური სისტემები კი, მომხმარებელს აძლევენ შესაძლებლობას ნახონ პროდუქციის შესახებ როგორც დადებითი, ასევე უარყოფითი შეფასებები, რაც მათ ოპტიმალური არჩევანის გაკეთებაში ეხმარება (რაციონალური არჩევანის თეორია).

ნაშრომში გამოყენებულმა სტატისტიკურმა ანალიზმა აჩვენა, რომ საქართველოში ონლაინ დაჯავშნის გლობალურ სისტემებზე უფრო მეტი განთავსების ობიექტია წარმოდგენილი, ვიდრე საქართველოს ტურიზმის ეროვნული ადმინისტრაციის ბაზაშია დარეგისტრირებული. ეს ყველაფერი აიხსნა საქართველოში

არსებული მრავალი სეზონური განთავსების საშუალების არსებობით, ასევე აპარტამენტებისა და კერძო ბინების მაღალი ხვედრითი წილით სასტუმროს ონლაინ დაჯავშნის სისტემებზე. აღსანიშნავია ისიც, რომ საქართველოს ტურისტულ ბაზარზე წარმოდგენილია ყველა ონლაინ დაჯავშნის გლობალური ბრენდი, რაც ტურისტებს დიდ არჩევანს და ფასების შედარების შესაძლებლობას აძლევს.

კვლევის პროცესში, ასევე გამოიკვეთა ეკონომიკისა და მდგრადი განვითარების სამინისტროს ტურიზმის ეროვნული ადმინისტრაციის ჩართულობა ონლაინ დაჯავშნის ვებ-გვერდების საშუალებით ტურისტების მოზიდვის პროცესში. ამას ადასტურებს სამინისტროს მიერ განხორციელებული მრავალი პროექტი და კამპანია ადგილობრივ თუ გლობალურ დონეზე.

დასკვნის დასასრულს შეგვიძლია ვთქვათ, რომ დღეისათვის საქართველოში გლობალური დაჯავშნის სისტემების მუშაობის ხარისხი დადებითია. კვლევის შედეგებმა დაგვახა, რომ სასტუმროები საკმაოდ ეფექტურად იყენებენ იმ შესაძლებლობებს, რასაც მათ ონლაინ დაჯავშნის გლობალური სისტემები აძლევს. ამის დასტურია ისიც, რომ გამოკითხულმა ტურისტებმა OTA-ს მუშაობის ხარისხი საქართველოში დადებითად (8.9 ბალი) შეაფასეს. თუმცა, ეს ყველაფერი ზღვარი არ არის, რადგანაც საქართველოს გააჩნია კიდევ უფრო მეტი პოტენციალი, პერსპექტივა და საინტერესო შესაძლებლობები. მნიშვნელოვანია, რომ აღნიშნული ტენდენცია კიდევ უფრო განვითარდეს და აღმოიფხვრას ის მცირე მინუსებიც კი, რაც ონლაინ დაჯავშნის ქართულ ბაზარზე გვხვდება. კერძოდ, ამაღლდეს მომსახურების ხარისხი და ტურისტული პროდუქტების რაოდენობა და სექტორი გახდეს უფრო მეტად მაღალტექნოლოგიური.

გამოყენებული ლიტერატურა

- (აბულაძე, რ. (2008). ელექტრონული მარკეტინგის განვითარების პრობლემები და პერსპექტივები საქართველოში. თბილისი, საქართველო. მოპოვებული 2018 წლის 13 12, <http://www.nplg.gov.ge/dlibrary/collect/0002/000628/rati%20abuladze.pdf>-დან
- ადმინისტრაცია, ს. ე. (2025). *ტურიზმის სტრატეგია 2025*. მოპოვებული 2018 წლის 12 25
- ახალბედა მასპინძლის გზამკვლევი*. (2013 წლის 6 12). მოპოვებული 2018 წლის 29 11, <http://tsu-tdi.blogspot.com>: <http://tsu-tdi.blogspot.com/2013/12/blog-post.html>-დან
- კუპრაშვილი, ნ. (2007). სასტუმროების მარკეტინგი. *ბიზნესი: ადამიანები, მეთოდები, სტრატეგიები*. მოპოვებული 2018 წლის 16 12, <http://www.nplg.gov.ge/gsdli/cgi-bin/library.exe?e=d-01000-00---off-0periodika--00-1----0-10-0---0---0prompt-10---4-----0-11--11-en-50---20-about---00-3-1-00-0-0-11-1-0utfZz-8-00&cl=CL2.7&d=HASH0171e0a01959e9a7e9ddfaa7.4>=1>-დან
- მეცხვარიშვილი, ს. (2016 წლის 28 06). *Commersant*. მოპოვებული 2018 წლის 12 26, [commersant.ge: https://commersant.ge/ge/post/axali-qartuli-portali-bookingcom-stvis-konkurenciis-gawevas-gegnavs](https://commersant.ge/ge/post/axali-qartuli-portali-bookingcom-stvis-konkurenciis-gawevas-gegnavs)-დან
- ნუგზარ თოდუა, ბ. მ. (2009). *მარკეტინგის საფუძვლები*. თბილისი, საქართველო: გამომცემლობა "უნივერსალი". მოპოვებული 2018 წლის 18 12, https://www.tsu.ge/data/file_db/economist_faculty/marketingiDODO.pdf-დან
- საქართველოს ტურიზმის ადმინისტრაცია*. (2018 წლის 2016 10). მოპოვებული [gnta.ge: https://gnta.ge/ge/welcome-challenge-%E1%83%A1%E1%83%90%E1%83%94%E1%83%A0%E1%83%97%E1%83%90%E1%83%A8%E1%83%9D%E1%83%A0%E1%83%98%E1%83%A1%E1%83%9D-%E1%83%A4%E1%83%9D%E1%83%A0%E1%83%A3%E1%83%9B%E1%83%98/](https://gnta.ge/ge/welcome-challenge-%E1%83%A1%E1%83%90%E1%83%94%E1%83%A0%E1%83%97%E1%83%90%E1%83%A8%E1%83%9D%E1%83%A0%E1%83%98%E1%83%A1%E1%83%9D-%E1%83%A4%E1%83%9D%E1%83%A0%E1%83%A3%E1%83%9B%E1%83%98/)-დან
- სოციალურ და პოლიტიკურ ტერმინთა ლექსიკონი-ცნობარი*. (2004). თბილისი: ლოგოს პრესი. მოპოვებული 2019 წლის 04 01
- A Dictionary of Sociolog*. (1998). Oxford: Oxford University Press. მოპოვებული 2019 წლის 04 11
- Agoda*. (2018). მოპოვებული 2018 წლის 29 11, [Agoda.com: https://www.agoda.com/](https://www.agoda.com/)-დან
- Airbnb. Inc*. (2018). მოპოვებული 2018 წლის 26 12, [www.airbnb.com: https://www.airbnb.com/trust-დან](https://www.airbnb.com/trust-დან)
- Amadeus*. (2018 წლის 28 10). მოპოვებული [amadeus.com: https://amadeus.com/en/portfolio/hospitality/hotels/gds-optimization-დან](https://amadeus.com/en/portfolio/hospitality/hotels/gds-optimization-დან)
- batumibooking.com*. (2018). მოპოვებული 2018 წლის 26 12, <http://batumibooking.com>: <http://batumibooking.com/ka/hotel-full-map-georgia/>-დან


- Booking Holdings.* (2019). მოპოვებული 2019 წლის 9 11, www.bookingholdings.com:
<https://www.bookingholdings.com/brands/booking/>-დან
- (2017). *Booking Holdings Inc.* Washington, D.C.: UNITED STATES. მოპოვებული 2018 წლის 23 12,
<http://ir.bookingholdings.com/node/23191/html>-დან
- Booking.com.* (2018). მოპოვებული 2019 წლის 03 11, www.booking.com:
https://www.booking.com/content/about.en-gb.html?aid=356980;label=gog235jc-1DCBQogJCBWFib3V0SDNYA2hSiAEBmAEJuAEXyAEM2AED6AEBiAIBqAID;sid=b84aa665e564bdfbe1ed8e45b02a58c7;keep_landing=1&-დან
- Cloudbeds.* (2018 წლის 5 6). მოპოვებული www.cloudbeds.com:
<https://www.cloudbeds.com/ota/top-online-travel-agencies/>-დან
- Commerzant.* (2017 წლის 5 5). მოპოვებული 2018 წლის 25 12, www.commerzant.ge:
<https://commerzant.ge/ge/post/turizmis-administraci-am-expedia-ze-sareklamo-kampania-daiwyo>-დან
- Expedia.* (2018). მოპოვებული 2018 წლის 18 11, www.Expedia.com:
<https://www.expedia.com/Hotels>-დან
- (2017). *EXPEDIA, INC.* Washington, D.C. : UNITED STATES. მოპოვებული 2018 წლის 23 12,
<https://ir.expediagroup.com/static-files/965a3092-d2f0-4383-82a4-f27946e379eb>-დან
- Forbes.* (2017 წლის 7 9). მოპოვებული 2018 წლის 14 12, www.Forbes.ge:
<http://forbes.ge/news/2735/internetis-momxmarebelTmeria-raodenoba>-დან
- Hotel24.* (2018). მოპოვებული 2018 წლის 26 12, www.hotel24.ge:
<https://hotel24.ge/ka/%E1%83%A1%E1%83%90%E1%83%A1%E1%83%A2%E1%83%A3%E1%83%9B%E1%83%A0%E1%83%9D%E1%83%A1-%E1%83%92%E1%83%90%E1%83%9C%E1%83%97%E1%83%90%E1%83%95%E1%83%A1%E1%83%94%E1%83%91%E1%83%90/>-დან
- Hotellist.* (2018). მოპოვებული 2018 წლის 12 26, <http://www.hotellist.ge/>: <http://www.hotellist.ge/>-დან
- Jill Barthel, S. P. (2015 წლის July). *HVS.* მოპოვებული www.hospitalitynet.org:
<https://www.hospitalitynet.org/file/152005663.pdf>-დან
- Kayak.* (2018). მოპოვებული 2018 წლის 29 12, www.kayak.com:
https://www.kayak.com/horizon/sem/hotels/general?lang=en&skipapp=true&kw=-1&gclid=Cj0KQCQiAheXiBRD-ARIsAODSpWNKiKWUcUqzInfG6pChKN_CS4bPU011XjqnMwTsgyPyYs6oJpCgC38aAvBMEALw_wcB&gclsrc=-1&g_kw=kayak&aid=53677744743-დან
- Lawrence, D. (2017 წლის 6 10). OTAs vs Hotels: The Age-Old Battle Over Online Booking. მოპოვებული 2018 წლის 8 12, <https://www.hospitalitynet.org/opinion/4084884.html>-დან

- Marriott*. (2018). მოპოვებული 2018 წლის 02 12, www.marriott.com:
<https://www.marriott.com/loyalty/member-benefits.mi-დან>
- Morales, T. (2017). *Increasing Direct Booking in Hotels*. Haaga, Netherlands. მოპოვებული 2018 წლის 14 11
- Myhotels*. (2018). მოპოვებული 2018 წლის 26 12, myhotels.ge: <http://myhotels.ge-დან>
- OpenTable*. (2019). მოპოვებული 2018 წლის 29 11, www.opentable.com:
<https://www.opentable.com/-დან>
- Pitoska, E. (2013). *E-Tourism: The Use of Internet and Information and Communication Technologies in Tourism: The Case of Hotel Units in Peripheral Areas*. *E-Tourism: The Use of Internet and Information and Communication Technologies in Tourism: The Case of Hotel Units in Peripheral Areas*, (გვ. 335-344).
- Priceline*. (2018). მოპოვებული 2018 წლის 29 11, www.priceline.com:
https://www.priceline.com/insideTrack/flights/to_Tbilisi-TBS.html#/-დან
- Proservice*. (2018). მოპოვებული 2018 წლის 16 12, <http://proservice.ge>:
http://proservice.ge/Hotel_management_system/679-დან
- Tbilisi Marriott Hotel*. (2018). მოპოვებული 2018 წლის 28 11, www.marriott.com:
<https://www.marriott.com/hotels/travel/tbsmc-tbilisi-marriott-hotel/-დან>
- Travelmarketreport*. (2018 წლის 5 4). მოპოვებული 2018 წლის 3 12, www.travelmarketreport.com:
<https://www.travelmarketreport.com/articles/Marriott-CEO-Looks-to-Lower-OTA-Commissions-დან>
- Tripadvisor*. (2018 წლის September). მოპოვებული 2018 წლის 28 12, tripadvisor.mediaroom.com:
<https://tripadvisor.mediaroom.com/us-about-us-დან>
- Westcott, M. (2015). *Travel services*. H. K. Westcott-ში, *INTRODUCTION TO TOURISM AND HOSPITALITY IN BC*. Capilano University.
- www.chinainternetwatch*. (2018). მოპოვებული 2018 წლის 5 12, www.chinainternetwatch.com:
<https://www.chinainternetwatch.com/statistics/ota-market-share/-დან>

დანართი


რუკები:

რუკა #2 საქართველოში ოფიციალურად რეგისტრირებული განთავსების ობიექტები რეგიონების მიხედვით




წყარო: პირადი ნამუშევარი Gis-ში (საქართველოს ტურიზმის ადმინისტრაცია)

რუკა #3 საქართველოსა და თბილისის ადგილი კავკასიის რეგიონში Booking.com-ზე რეგისტრირებული განთავსების საშუალებების მიხედვით



წყარო: პირადი ნამუშევარი Gis-ში (Booking.com-ის ოფიციალური ვებ-გვერდი)


რუკა #4 Booking.com-ზე რეგისტრირებული განთავსების საშუალებები თბილისის უბნების მიხედვით



წყარო: Booking.com-ის ოფიციალური ვებ-გვერდი


დიაგრამები:

დიაგრამა #2 მოწინავე ქვეყნები Booking.com-ზე დარეგისტრირებული ობიექტებით




წყარო: Booking.com-ის ოფიციალური ვებ-გვერდი

დიაგრამა #3 მოწინავე ქვეყნები Expedia-ზე დარეგისტრირებული ობიექტებით




წყარო: Expedia-ს ოფიციალური ვებ-გვერდი

დიაგრამა #4 ინტერნეტის მომხმარებელთა რაოდენობა საქართველოში წლების მიხედვით




წყარო: (Forbes, 2017)

დიაგრამა #5 Booking.com-ზე დარეგისტრირებული განთავსების საშუალებები საქართველოდან




წყარო: Booking.com-ის ოფიციალური ვებ-გვერდი

დიაგრამა #6 Booking.com-ზე დარეგისტრირებული განთავსების საშუალებები საქართველოს რეგიონების მიხედვით




წყარო: Booking.com-ის ოფიციალური ვებ-გვერდი

დიაგრამა #7 Expedia.com-ზე დარეგისტრირებული განთავსების საშუალებები საქართველოს რეგიონების მიხედვით




წყარო: Expedia.com-ის ოფიციალური ვებ-გვერდი

დიაგრამა #10 ინტერვიუერების ასაკობრივი განაწილება




წყარო: კვლევა

დიაგრამა #11 ინტერვიუერების განაწილება ქვეყნების მიხედვით




წყარო: კვლევა

დიაგრამა #12 რესპოდენტების მიერ სასტუმროს დაჯავშნის გზა



წყარო: კვლევა

დიაგრამა #13 რომელ დაჯავშნის პლატფორმას ანიჭებენ უპირატესობას რესპოდენტები



წყარო: კვლევა

Ivane Javakhishvili Tbilisi State University

Lasha Mzhavia

Global systems for online hotel
reservations in Georgia

Human Geography

Thesis submitted to the faculty of the Human Geography in partial fulfillment
of the requirements for the degree of master of science

Supervisor: **Nino Pavliashvili**

Associate Professor

Tbilisi 2019

ივანე ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო
უნივერსიტეტი

მანანა ენუქიძე

ქართველი სტუდენტების მიერ ეროვნული იდენტობის
თვითპრეზენტაცია ევროპის უნივერსიტეტებში

კულტურისა და მედიის სოციოლოგია

სამაგისტრო ნაშრომი შესრულებულია სოციალური და კულტურული
კვლევების მაგისტრის აკადემიური ხარისხის მოსაპოვებლად

ნაშრომის ხელმძღვანელები: ლია წულაძე
სოციოლოგიის მეცნ. დოქტორი, თსუ ასოცირებული პროფესორი
ამირან ბერძენიშვილი - ფილოსოფიის დოქტორი, თსუ სრული პროფესორი

თბილისი

2019

ანოტაცია

კვლევის მიზანს წარმოადგენს იმის შესწავლა, თუ როგორ ხდება ქართველი სტუდენტების მიერ ეროვნული იდენტობის თვითპრეზენტაცია ევროპის უნივერსიტეტებში. დღეს, საქართველოს ევროპეიზაციის პირობებში ძალიან მნიშვნელოვანია, თუ როგორ მოხდება ეროვნული იდენტობის სხვადასხვა ასპექტის საერთაშორისო აუდიტორიისათვის ჩვენება და ევროკავშირის ქვეყნებში პოზიტიური იმიჯის შექმნა. ამ კუთხით, საყურადღებოა არა მხოლოდ ელიტის დისკურსი, არამედ რიგითი მოქალაქეების ანუ პოპულარული დისკურსი. რიგითი მოქალაქეებიდან სტუდენტებს მიუწვდებათ ხელი, რომ უცხოეთში საქართველოს შესახებ პოზიტიური გზავნილები წაიღონ და ევროკავშირის სხვადასხვა უნივერსიტეტში საქართველოს პრეზენტაცია მოახდინონ. შესაბამისად, დავინტერესდი ქართველი სტუდენტები ევროპაში როგორც ცდილობენ საკუთარი ეროვნული იდენტობის წარმოჩენას, პოზიტიური იმიჯის შექმნასა და სტიგმატიზაციის თავიდან არიდებას.

კვლევის მიზნიდან გამომდინარე დასმულია შემდეგი ძირითადი ამოცანები:

1. ქართველი სტუდენტები საკუთარი ეროვნული იდენტობის რომელ ასპექტებს წარმოაჩენენ და რომლის წარმოჩენას ერიდებიან.
2. რა სტრატეგიებს იყენებენ იმისათვის, რომ საუნივერსიტეტო გარემოში პოზიტიური იმიჯი შეიქმნან და სტიგმატიზაცია თავიდან აირიდონ.
3. ეროვნული იდენტობის რამდენად მსგავს/განსხვავებულ თვითპრეზენტაციას აქვს ადგილი სტუდენტების მიერ აღმოსავლეთ ევროპის და დასავლეთ ევროპის უნივერსიტეტებში.

იმისათვის, რომ შემესაწავლა სტუდენტების თვითპრეზენტაცია ევროპის უნივერსიტეტებში გამოვიყენე თვისებრივი კვლევა, კერძოდ სიღრმისეული ინტერვიუ. ჩემს რეკონდენტებს წარმოადგენდნენ სტუდენტები, რომლებიც სწავლობდნენ დასავლეთ და აღმოსავლეთ ევროპის უნივერსიტეტებში. მიღებული მონაცემები გავანალიზე კონტენტ-ანალიზისა და დისკურსის ანალიზის მეშვეობით.

კვლევის შედეგად გამოვლინდა ის სტრატეგიები, რომლებსაც ქართველი სტუდენტები ეროვნული იდენტობის თვითპრეზენტაციისა და სტიგმატიზაციის თავიდან ასარიდებლად იყენებენ. ეს სტრატეგიებია: ისტორიულ წარსულზე აპელირება და მის თანამედროვე წარუმატებლობის კომპენსატორად განხილვა; საკუთარი ეროვნებით „ჰიპერბოლური სიამაყე“; საქართველოს ევროპულობის ხაზგასმა; ოქსიდენტალური სტრატეგია კავკასიელი მეზობლების მიმართ; მიმღებ ქვეყანაში რასისტული გამოცდილების უარყოფა; მიმღებ საზოგადოებასთან საერთო ადამიანურ და ეგალიტარულ ღირებულებებზე და არა ეროვნულ ღირებულებებზე აქცენტირება.

Annotation

Manana Enukidze

Georgian Students' Self-Presentation of their National Identity at European Universities

The aim of the research is to study Georgian students' self-presentation at European Universities. Nowadays, in terms of Europeanisation it is very important for Georgia, how its national identity will be presented to the international audience and how it will gain positive image in European Union. In this regard, one should pay attention not only to elite discourse, but to popular discourse of ordinary citizens as well. As ordinary citizens, Georgian students can take positive messages about Georgia in foreign countries and present Georgia in different universities of European Union. Accordingly, I am interested in how Georgian students represent their national identity in Europe, how they gain positive image and how they avoid stigmatization.

Based on the research aim, the following objectives have been identified:

1. Which aspects of their national identity do Georgian students represent and which they conceal
2. Which strategies do they use to gain positive image and avoid stigmatization at universities
3. How similar/different is self-presentation of national identity in East European and West European Universities

In order to study Georgian students' self-presentation in European Universities qualitative research method, in particular, in-depth interview was used. My respondents were Georgian students, who studied in East and West European Universities. Content analysis and discourse analysis were used for analyzing students' narratives.

The research has revealed the strategies that are used for self-presentation of national identity and avoiding stigmatization by Georgian students. Those strategies are: stressing the historical past to compensate present failure; „hyperbolic pride“ of own national identity; stressing Georgia's

Europeanness; occidental strategy towards Caucasian neighbours; refusing to be concerned by racism in a receiving society; stressing supranational values, rather than values based on national culture.

სარჩევი

შესავალი.....	7
1. თეორიული ნაწილი.....	13
1.1 თვითპრეზენტაცია ყოველდღიურ ცხოვრებაში.....	13
1.2 ეროვნული იდენტობის პერფორმანსი	14
1.3 კულტურის ინტიმურობა.....	16
1.4 სტერეოტიპები და სტიგმატიზაცია	18
1.5 დასავლური წარმოსახვა და აღმოსავლეთ ევროპელთა თავდაცვითი სტრატეგიები.....	20
1.6 სტუდენტების უცხოეთში სწავლის გამოცდილება.....	21
2. ემპირიული ნაწილი	25
2.1 ეროვნული იდენტობის ასპექტები, რომლებსაც სტუდენტები საერთაშორისო აუდიტორიის წინაშე წარმოაჩენენ	25
2.2 ეროვნული იდენტობის ასპექტები, რომლის წარმოჩენასაც სტუდენტები ერიდებიან საერთაშორისო აუდიტორიის წინაშე.....	31
2.3 სტიგმატიზაციის თავიდან არიდების სტრატეგიები	33
2.4 აღმოსავლეთ და დასავლეთ ევროპის უნივერსიტეტებში შესრულებული თვითპრეზენტაციის შედარება.....	38
დასკვნა	40
გამოყენებული ლიტერატურა:.....	42

შესავალი

საკითხის დასმა და თემის აქტუალობა

ეროვნული იდენტობა დიდი ხანია მეცნიერთა ინტერესისა და კვლევის საგანია. ეროვნული იდენტობა სოციალური იდენტობის ერთ-ერთი ფორმაა და გულისხმობს ინდივიდის მიერ საკუთარი თავის რომელიმე ერთან იდენტიფიკაციას. ეროვნული იდენტობა არ წარმოადგენს მყარ და ფიქსირებულ მოცემულობას, არამედ ის დინამიკური, მუდმივად ცვალებადი და პერფორმატიულია. ეროვნული იდენტობის პერფორმატიულობა გულისხმობს, რომ ის ყოველდღიურ ცხოვრებაში პრაქტიკის პროცესში გვემდებარება და ადამიანთა ნებისმიერ აქტივობაში მისი ეროვნული იდენტობა ვლინდება. ეროვნული იდენტობის პერფორმანსი განსხვავებულია იმის მიხედვით, მას საერთაშორისო აუდიტორიისათვის ვდგამთ თუ ადგილობრივი აუდიტორიისათვის. როგორც ლია წულაძე (2018) თავის კვლევაში აღნიშნავს, ევროპეიზაციის კონტექსტში ქართველების ეროვნული იდენტობის პერფორმანსი არის განსხვავებული იმის მიხედვით, ის საერთაშორისო აუდიტორიისათვის სრულდება თუ ადგილობრივი აუდიტორიისათვის. დღეს, საქართველოს ევროპეიზაციის პირობებში ძალიან მნიშვნელოვანია, თუ როგორ მოხდება ეროვნული იდენტობის სხვადასხვა ასპექტის საერთაშორისო აუდიტორიისათვის ჩვენება და ევროკავშირის ქვეყნებში პოზიტიური იმიჯის შექმნა. ამ კუთხით, მნიშვნელოვანია არა მხოლოდ ელიტის დისკურსი, მაგალითად, პოლიტიკოსების მიერ სხვადასხვა ოფიციალურ შეხვედრებსა და სხდომებზე საქართველოს წარმოჩენა, ასევე რიგითი მოქალაქეების ანუ პოპულარული დისკურსი. რიგითი მოქალაქეებიდან სტუდენტებს მიუწვდებათ ხელი, რომ უცხოეთში საქართველოს შესახებ პოზიტიური გზავნილები წაიღონ და ევროკავშირის სხვადასხვა უნივერსიტეტში საქართველოს პრეზენტაცია მოახდინონ. ერასმუს პლუსის გაცვლითი პროგრამის და ასევე უნივერსიტეტების შიდა გაცვლითი პროგრამის ფარგლებში სტუდენტები მინიმუმ ერთ სემესტრს ატარებენ ევროპის უნივერსიტეტებში. ამ ხნის განმავლობაში ისინი უქმნიან წარმოდგენებს საქართველოს შესახებ ევროპელ სტუდენტებსა და პროფესორებს და ცდილობენ სასურველი შთაბეჭდილება მოახდინონ მათზე. შეიძლება

ითქვას, რომ ისინი არიან საქართველოს „ელჩები“, წარმომადგენლები ევროპის უნივერსიტეტებში. ზოგადად, სტუდენტები ხშირად ითავსებენ უცხო კულტურაში „ელჩობის“ ფუნქციას. როგორც პაპატსიბას (1996) კვლევაში ერასმუსის პროგრამაში მონაწილე ფრანგი სტუდენტების ნაწილმა აღნიშნა, ისინი საკუთარ თავს ქვეყნის „ელჩებად“ მიიჩნევენ, რომლებმაც უნდა აუხსნან და გააცნონ სხვა ქვეყნის მოქალაქეებს კონკრეტული პოლიტიკური, ეკონომიკური და ისტორიული ასპექტებიც კი (გვ. 126-127).

აღსანიშნავია, რომ სტუდენტები, რომლებიც მიდიან უცხო საზოგადოებაში, ყოველთვის ხვდებიან გარკვეულ ეროვნულ სტერეოტიპებს. განსაკუთრებით, როდესაც მობილობა ხდება აღმოსავლეთიდან დასავლეთის ქვეყნებში. დასავლეთ ევროპა ყოველთვის აღიქვამდა, და ხშირად დღესაც ასე აღიქვამს, აღმოსავლეთს, როგორც ასიმეტრიულად უფრო დაბალ საფეხურზე მდგომს და მის ორიენტალიზაციას ახდენს, რასაც შედეგად სტიგმატიზაცია ახლავს (Todorova, 1997). დასავლეთი ნებით თუ უნებლიედ სტიგმას აკრავს აღმოსავლეთს და შესაბამისად, დასავლეთის კულტურაში მოხვედრილი ადამიანები ყოველთვის ცდილობენ, რაც შეიძლება პოზიტიურად წარმოაჩინონ თავი და აიცილონ სტიგმატიზაცია. ეს ასეა სტუდენტების შემთხვევაშიც, რის კარგ მაგალითსაც წარმოადგენს აზიელი სტუდენტები, რომლებიც სწავლობდნენ ავსტრალიაში და რომელთა გამოცდილებაც შეისწავლეს ფარლო სინგჰმა და კატერინე დოჰერტიმ. კვლევის ავტორების ერთ-ერთ მიზანს წარმოადგენა შეესწავლათ, თუ როგორ პასუხობდნენ აზიელი სტუდენტები ავსტრალიაში არსებულ ორიენტალისტურ დისკურსს და როგორ ცდილობდნენ მის შეცვლას. ამასთანავე, ერასმუსის პროგრამაში მონაწილე რუმინელ სტუდენტებსაც ჰქონდათ მსგავსი გამოცდილება, რომელიც შეისწავლა ჯეორჯიანა უდრემ. მისი რესპონდენტები აღნიშნავდნენ, რომ ევროპის ქვეყნებში რუმინელების შესახებ არსებობდა სტერეოტიპული წარმოდგენები და ხდებოდა მათი ნეგატიურად აღქმა. საპასუხოდ, რუმინელი სტუდენტები ცდილობდნენ ეს ნეგატიური სტერეოტიპები დაერღვიათ და პოზიტიური წარმოდგენები შეექმნათ რუმინელების შესახებ (Udrea, 2011).

თვითპრეზენტაციაზე და შთაბეჭდილებების მართვაზე საუბრისას აუცილებელია გავიხსენოთ ირვინგ გოფმანის დრამატურგიული მიდგომა. წიგნში „თვითპრეზენტაცია ყოველდღიურ ცხოვრებაში“ იგი საუბრობს პერფორმანსზე და განიხილავს, თუ როგორ ირგენებ ადამიანები ყოველდღიურ ცხოვრებაში სხვადასხვა როლს და ცდილობენ თავისი მოქმედებებით სხვებზე სასურველი შთაბეჭდილება მოახდინონ (Goffman, 1956). ამასთანავე, ის იყენებს ტერმინებს „წინა“ და „უკანა რეგიონი“ (გვ. 66-69). წინა რეგიონი არის სივრცე, სადაც შემსრულებლები აუდიტორიის წინაშე უნდა წარსდგენენ, ხოლო უკანა რეგიონი არის სივრცე, სადაც ადამიანები წინა რეგიონის შესრულებისთვის ემზადებიან. ჩემი კვლევის ფარგლებში ევროპის უნივერსიტეტები წარმოადგენენ წინა რეგიონს, სადაც უნდა მოხდეს სტუდენტების მიერ ეროვნული იდენტობის თვითრეპრეზენტაცია და სხვებზე სასურველი შთაბეჭდილების მოხდენა. ჩემთვის საინტერესოა, როგორ ცდილობენ საკუთარი ეროვნული იდენტობის თვითრეპრეზენტაციას ქართველი სტუდენტები უცხოეთში. საკუთარი იდენტობის რა ასპექტებს მალავენ და პირიქით, რომელ ასპექტებს უსვამენ ხაზს საერთაშორისო აუდიტორიის წინაშე. როგორ ცდილობენ საქართველოსთვის პოზიტიური იმიჯის შექმნასა და ნეგატიური სტერეოტიპების რღვევას. ასევე, მაინტერესებს არის თუ არა განსხვავებები იმის მიხედვით, თვითპრეზენტაციას ადგილი აქვს დასავლეთის თუ აღმოსავლეთ ევროპის უნივერსიტეტში. ამ ორ აუდიტორიაში არსებობს განსხვავებული სოციალური მოლოდინები ქართველებისადმი. აღმოსავლეთ ევროპის ქვეყნებში ქართველებს უფრო კარგად იცნობენ და მათ მიმართ დამოკიდებულებაც უფრო პოზიტიურია საერთო საბჭოური გამოცდილებისა და მისგან გათავისუფლების მსგავსი გამოცდილების გამო. ხოლო დასავლეთ ევროპაში, სადაც არსებული რეალობიდან გამომდინარე (კრიმინალური ქმედებების და თავშესაფრის მაძიებელთა თვალსაჩინო რაოდენობის გამო) უფრო ნეგატიური წარმოდგენები არსებობს ქართველების შესახებ, ამიტომ შესაძლოა ქართველი სტუდენტების თვითპრეზენტაცია განსხვავებული იყოს.

კვლევის მიზანია იმის შესწავლა, თუ როგორ ხდება ქართველი სტუდენტების მიერ ეროვნული იდენტობის თვითრეპრეზენტაცია აღმოსავლეთ და დასავლეთ ევროპის უნივერსიტეტებში.

დასახული მიზნის შესაბამისად დასმულია შემდეგი ძირითადი ამოცანები:

1. ქართველი სტუდენტები საკუთარი ეროვნული იდენტობის რომელ ასპექტებს წარმოაჩენენ და რომლის წარმოჩენას ერიდებიან.
2. რა სტრატეგიებს იყენებენ იმისათვის, რომ საუნივერსიტეტო გარემოში პოზიტიური იმიჯი შეიქმნან და სტიგმატიზაცია თავიდან აირიდონ.
3. ეროვნული იდენტობის რამდენად მსგავს/განსხვავებულ თვითპრეზენტაციას აქვს ადგილი სტუდენტების მიერ აღმოსავლეთ ევროპის და დასავლეთ ევროპის უნივერსიტეტებში.

საკვლევი ამოცანების შესაბამისად შემუშავებულია შემდეგი ჰიპოთეზა:

ჩემი კვლევის სამუშაო ჰიპოთეზა არის, რომ ქართველი სტუდენტების მიერ ეროვნული იდენტობის თვითპრეზენტაცია არის განსხვავებული აღმოსავლეთ ევროპისა და დასავლეთ ევროპის უნივერსიტეტებში. კერძოდ, იქიდან გამომდინარე რომ აღმოსავლეთ ევროპასა და საქართველოს აქვთ მსგავსი საბჭოური გამოცდილება, აღმოსავლეთ ევროპელებს უკეთ ესმის ქართველების და შესაბამისად, ეროვნული იდენტობის სხვადასხვა ასპექტის „შელამაზება“ და ჩრდილში დატოვება ნაკლებად სჭირდებათ, ხოლო დასავლეთ ევროპაში პირიქით, სტუდენტები შესაძლოა ცდილობდნენ უფრო მეტად „შელამაზონ“ ეროვნული იდენტობის სხვადასხვა ასპექტი და მეტად პოზიტიურად წარმოაჩინონ საქართველო.

კვლევის მეთოდური ნაწილი

შერჩევა: კვლევის სამიზნე ჯგუფს წარმოადგენდნენ ქართველი სტუდენტები, რომლებმაც მონაწილეობა მიიღეს ერასმუსის გაცვლით პროგრამაში ან უნივერსიტეტის შიდა გაცვლით პროგრამებში და მინიმუმ ერთი სემესტრი სწავლობდნენ ევროპის უნივერსიტეტებში. კვლევაში მონაწილეობა მიიღო 16-მა ბაკალავრიატისა და მაგისტრატურის სტუდენტმა. რესპონდენტთა შერჩევა მოხდა თოვლის გუნდის მეთოდით. რესპონდენტთა ერთ ჯგუფში იყვნენ სტუდენტები, რომლებიც სწავლობდნენ აღმოსავლეთ ევროპის უნივერსიტეტებში, ხოლო მეორე ჯგუფში იყვნენ სტუდენტები, რომლებიც სწავლობდნენ დასავლეთ ევროპის უნივერსიტეტებში. იქიდან გამომდინარე, რომ თავად ვიყავი ერასმუს პლუსის გაცვლითი პროგრამის მონაწილე მქონდა ინფორმაცია რამდენიმე სტუდენტების შესახებ, რომლებმაც მონაწილეობა მიიღეს გაცვლით პროგრამებში და მათ პირადად დავუკავშირდი და შემდეგ ეს სტუდენტები დამეხმარნენ სხვა რესპონდენტების შერჩევაში.

მონაცემების მოპოვებისა და ანალიზის მეთოდები: კვლევის მეთოდად გამოვიყენე სიღრმისეული ინტერვიუს. სიღრმისეულმა ინტერვიუმ საშუალება მომცა მიმელო დეტალური და სიღრმისეული ინფორმაცია ქართველი სტუდენტების გამოცდილების შესახებ ევროპის უნივერსიტეტებში. მიღებული მონაცემები გავანალიზე კონტენ და დისკურსის ანალიზის საშუალებით. დისკურსის ანალიზმა შესაძლებლობა მომცემა გამეანალიზებინა, თუ როგორ ცდილობენ სტუდენტები უცხო გარემოში სასურველი შთაბეჭდილების მოხდენას და პოზიტიური იმიჯის შექმნას.

ნაშრომის მეცნიერული მნიშვნელობა: ჩემი კვლევა არ არის პირველი, რომელიც უცხოეთის უნივერსიტეტებში ქართველი სტუდენტების გამოცდილების ეხება, მაგრამ უკვე არსებული კვლევებიდან არც ერთის შესწავლის ფოკუსი არ ყოფილა სტუდენტების მიერ ეროვნული იდენტობის თვითპრეზენტაცია. შესაბამისად, ჩემი კვლევა კიდევ უფრო შეავსებს ინფორმაციას ქართველი სტუდენტების უცხოეთში ყოფნის გამოცდილების შესახებ. ვფიქრობ, ნაშრომში განხილული საკითხები და გამოვლენილი ტენდენციები

მნიშვნელოვანი იქნება სტუდენტებისთვის, მკვლევარებისთვის და ზოგადად, ყველა იმ ადამიანისათვის, რომლებსაც აინტერესებთ ეროვნული იდენტობის საკითხები.

ნაშრომის პრაქტიკული მნიშვნელობა: კვლევა შესაძლოა საინტერესო აღმოჩნდეს სტუდენტებისთვის, რომლებიც მომავალში აპირებენ მონაწილეობა მიიღონ გაცვლით პროგრამებში. მათ შესაძლებლობა ექნებათ გაეცნონ სხვა სტუდენტების გამოცდილებას. კვლევის საფუძველზე გამოვლენილი ტენდენციები შესაძლოა ასევე საინტერესო იყოს საქართველოს უნივერსიტეტების საგარეო ურთიერთობათა დეპარტამენტებისათვის და ერასმუსის პროგრამის კოორდინატორებისათვის, რომ მათ წარმოადგენა შეექმნათ იმის შესახებ, თუ როგორ წარადგენენ სტუდენტები უცხოეთში საქართველოს და საჭიროების შემთხვევაში რეკომენდაციები გაუწიონ მომავალ გაცვლით სტუდენტებს.

კვლევის შეზღუდვები: კვლევის შეზღუდვას წარმოადგენს ის, რომ კვლევის ფარგლებში არ მქონდა შესაძლებლობა მეწარმოებინა ჩართული დაკვირვება და ევროპის სხვადასხვა უნივერსიტეტში თავად დაკვირვებოდი სტუდენტების თვითპრეზენტაციას. ჩართული დაკვირვება საშუალებას მომცემდა, რომ არა მხოლოდ მათ ნარატივებზე დაყრდნობით გამეკეთებინა ანალიზი, არამედ საკუთარი თვალთ შემეფასებინა მათი თვითპრეზენტაცია.

1. თეორიული ნაწილი

1.1 თვითპრეზენტაცია ყოველდღიურ ცხოვრებაში

ჩემი კვლევის მიზანია იმის შესწავლა, თუ როგორ ხდება ქართველი სტუდენტების მიერ ეროვნული იდენტობის თვითპრეზენტაცია ევროპის უნივერსიტეტებში. იქიდან გამომდინარე, რომ მაინტერესებს სტუდენტების თვითპრეზენტაცია აუცილებელი განვიხილო ირვინგ გოფმანის დრამატურგიული მიდგომა. წიგნში „თვითპრეზენტაცია ყოველდღიურ ცხოვრებაში“ ის განმარტავს პერფორმანსს, როგორც ინდივიდის ისეთი მოქმედებას, რომელიც მიმართულია სხვა ინდივიდებზე შთაბეჭდილებების მოსახდენად (Goffman, 1956, გვ.13). ადგილს, სადაც პერფორმანსი სრულდება გოფმანი წინა რეგიონს უწოდებს, ხოლო ადგილს სადაც ხდება სცენური პერფორმანსისთვის მომზადება, სცენური პერფორმანსის დაგეგმვა, სცენური აღკაზმულობის შერჩევა, იმაზე ფიქრი, თუ როგორ გვინდა რომ სხვების თვალში გამოვჩნდეთ უკანა რეგიონს (გვ.66-69). იმისათვის, რომ პერფორმანსი წარმატებული გამოვიდეს, საჭიროა შემსრულებელმა შესაბამისი გარეგნული სახე შეიქმნას, ჰქონდეს შესაბამისი სცენური აღკაზმულობა, სიტუაციისთვის შესაბამისი სახის გამომეტყველება და მისი როლისთვის შესაბამისი ქცევები. ეს გარეგნული სახე არის გარკვეული სტერეოტიპული მოლოდინი, რომელიც აუდიტორიას აქვს შემსრულებლის მიმართ. ასევე, პერფორმანსის წარმატებისათვის აუცილებელია აუდიტორიის სწორად შერჩევა, ის რაც ერთი აუდიტორიისათვის მისაღებია, შესაძლოა მეორისთვის მიუღებელი იყოს.

ჩემი კვლევის ფარგლებში ევროპის უნივერსიტეტები წარმოადგენენ წინა რეგიონს, სადაც უნდა მოხდეს სტუდენტების მიერ ეროვნული იდენტობის თვითპრეზენტაცია და სხვებზე სასურველი შთაბეჭდილების მოხდენა. აუდიტორიას წარმოადგენს დასავლეთ ევროპა და აღმოსავლეთ ევროპა. ვფიქრობ, ეს ორი აუდიტორია ერთმანეთისგან განსხვავებულია და ის შესრულება, რაც გამიზნულია აღმოსავლეთ ევროპელი აუდიტორიისათვის, შესაძლოა განსხვავებულად შესრულდეს დასავლეთ ევროპელი აუდიტორიის წინაშე.

1.2 ეროვნული იდენტობის პერფორმანსი

ეროვნული იდენტობა, როგორც კოლექტიური იდენტობის კატეგორია, დიდი ხანია მეცნიერთა კვლევის საგანს წარმოადგენს. ეროვნული იდენტობის შესახებ თეორიების უმეტესობა „ზემოდან ქვემოთ“ მიდგომას ეფუძნება და სწავლობს როგორ ხდება ეროვნული იდენტობის შექმნა გავლენიანი ელიტური ჯგუფების მიერ. მაგრამ დღეს მეცნიერთა ნაწილი გვიჩვენებს, რომ გამოვიყენოთ „ქვემოდან ზემოთ“ მიდგომა და ეროვნული იდენტობა ყოველდღიური ცხოვრების კონტექსტში შევისწავლოთ, ყურადღება გავამახვილოთ რიგითი მოქალაქეების ყოველდღიურ, ბანალურ, არაფორმალურ პრაქტიკებზე. ამ მიდგომის მიხედვით, ადამიანები არ არიან მხოლოდ ეროვნული იდენტობის კონსტრუქტის პასიურად მიმღებნი, არამედ თვითონაც ქმნიან და მუდმივად კვლავწარმოებენ ეროვნულ იდენტობას. ფოქსი და მილერ-იდრისი (2008) სწორედ ამ მიდგომას იყენებენ და განიხილავენ იმ გზებს, რომლის მეშვეობითაც ხდება ეროვნული იდენტობის შექმნა და კვლავწარმოება ყოველდღიურ ცხოვრებაში. ეს გზებია: „ეროვნულობის საუბარი“, „ეროვნულობის არჩევანი“, „ეროვნულობის პერფორმანსი“ და „ეროვნულობის მოხმარება“ (გვ.537-538). „ეროვნულობის საუბარი“ გულისხმობს, თუ როგორ საუბრობენ ადამიანები საკუთარი ერის შესახებ და როდის ხდება ადამიანებისათვის მნიშველოვანი ეროვნულობაზე საუბარი. „ეროვნულობის არჩევანი“ - როგორ განაპირობებს ადამიანის ეროვნულობა მის სხვადასხვა არჩევანს. მაგალითად, ეროვნულ გაზეთზე არჩევანის გაკეთება, იმავე ეროვნების ადამიანთან მეგობრობა ან ქორწინება. ადამიანთა ასეთი არჩევანი არ არის წინასწარ განსაზღვრული და გაცნობიერებული, არამედ ადამიანები ამას ავტომატურად და გაუცნობიერებლად აკეთებენ. „ეროვნულობის პერფორმანსი“ - როგორ ხდება ყოველდღიური პერფორმანსების გზით ეროვნულობის კვლავწარმოება. ეროვნული სიმბოლოები, ეროვნული დღესასწაულები, სპორტული ღონისძიებები ერთმენტთან აკავშირებს ადამიანებს და ეროვნული იდენტობის განცდას კიდევ უფრო ამძაფრებს. „ეროვნულობის მოხმარება“ - როგორ ხდება ეროვნული კუთვნილების ხაზგასმა და გამძაფრება ნაციონალური ნივთების, საკვების, მედიის მოხმარებით. ამ ოთხი ასპექტიდან

ჩემი კვლევის ფარგლებში მაინტერესებს, როგორ საუბრობენ სტუდენტები საკუთარი ეროვნულობის შესახებ და რა კონტექსტში იძენს მათი ეროვნულობა მნიშველობას.

იმის მიუხედავად, რომ ეროვნული იდენტობა და ნაციონალიზმი დიდი ხანია მეცნიერთა კვლევის საგანია, ამ სფეროში არსებული ლიტერატურა ძირითადად ყურადღებას ამახვილებს ერის ისტორიულ წარმომავლობაზე და მის პოლიტიკურ მახასიათებლებზე. მეცნიერები ნაკლებად წერენ იმის შესახებ, თუ როგორ ხდება ერის პრეზენტაცია და განცდა პოპულარული კულტურისა და ყოველდღიური ცხოვრების გზით. ერთ-ერთი ავტორი, რომელიც ამ საკითხებზე მუშაობს არის ტიმ ედენსორი. წიგნში “ეროვნული იდენტობა, პოპულარული კულტურა და ყოველდღიური ცხოვრება” (2002) ის საუბრობს ეროვნული იდენტობის ყოველდღიურ ასპექტებზე და მის პერფორმატიულობაზე. ედენსორის მიხედვით(2002), ადამიანთა ქცევები, ყოველდღიური რიტუალები, ჩვევები, მანერები მათი ეროვნული იდენტობის პრეზენტაციას ახდენენ.

ედენსორი განიხილავს ყოველდღიური პერფორმანსის 3 ფორმას, რომლებიც ამბაფრებენ ეროვნული იდენტობის განცდას. ეს ფორმებია: საერთო კომპეტენციები (popular competencies), გათავისებული ჩვევები (embodied habits) და სინქრონიზებული მოქმედებები (synchronised enactions) (გვ. 92-98).

1. საერთო კომპეტენციები ეს არის ყოველდღიური პრაქტიკული ცოდნა, რომელიც ეხმარება ადამიანებს რიგითი საქმიანობების შესრულებაში. ეს არის ისეთი ცოდნა, რომლის მეშვეობითაც ადამიანები უძღვებიან თავიანთ ცხოვრებას. მაგალითად, სად უნდა შეიძინონ მათთვის სასურველი პროდუქტი, როგორ გამოიყენონ საზოგადოებრივი ტრანსპორტი, სად დააყენონ მანქანა და ა.შ. მსგავსი ცოდნის აუცილებლობას ადამიანები მაშინ აცნობიერებენ, როდესაც ახალ კულტურაში მოხვდებიან და აღმოაჩენენ, რომ მათ არ აქვთ ამ კულტურაში ცხოვრებისთვის საჭირო კომპეტენციები და ამ ქვეყანაში მცხოვრები ადამიანები განსხვავებულად ასრულებენ ყოველდღიურ საქმეებს. ასეთ შემთხვევებში ადამიანებს სჭირდებათ

სწავლება, რომ შეძლონ საქმეების შესრულება და გაიგონ ამ კულტურაში არსებული პრაქტიკული კოდები.

2. გათავისებულ ჩვევებში იგულისხმება ისეთი ჩვევები, რომლებიც დაკავშირებულია ეტიკეტთან და ვლინდება ადამიანის ჯდომის, სიარულის, საუბრის მანერაში. ასევე მოიცავს იმას, თუ როგორ ამზადებენ, ჭამენ, ცეკვავენ და როგორ იქცევიან სხვადასხვა საჯარო სივრცეებში - კაფეში, ბარში, პარკში და ა.შ. იმის მიუხედავად, რომ ადამიანს შეიძლება ნასწავლი ჰქონდეს კონკრეტული კულტურისთვის დამახასიათებელი ქცევისა და საუბრის სტილი, თუ ის ამ კულტურაში არ არის გაზრდილი მცირე განსხვავებები მაინც შესამჩნევი ხდება.
3. სინქრონიზებულ მოქმედებებში მოიაზრება ყოველდღიური რიტუალები და რუტინული ქცევები. ერთი და იმავე რიტუალების შესრულება და მათი მუდმივი განმეორება არის ეროვნული იდენტობის შეგრძნების აუცილებელი ელემენტი. ყველა კულტურაში არსებობს გარკვეული კონვენციები, რომლებიც გვეუბნება სად და როდის უნდა შესრულდეს კონკრეტული მოქმედებები. ასეთ მოქმედებებს არ სჭირდება ოფიციალური რეგულაციები, რომ მოხდეს მათი შესრულება, არამედ ისინი წარმოადგენენ კონვენციას. მაგალითად როდის უნდა წავიდნენ ადამიანები საყიდლებზე, როდის უნდა დალიონ, ან რომელ საათებში უნდა დაესწრონ სკოლის გაკვეთილებს და ა.შ.

1.3 კულტურის ინტიმურობა

როდესაც ვსაუბრობთ ეროვნული იდენტობის თვითპრეზენტაციაზე აუცილებელია შევხვით მის საფუძველმდებარე ასპექტს - კულტურის ინტიმურობას. კულტურის ინტიმურობა არის ისეთი ღირებულებების, ნორმების, რწმენების ერთობლიობა, რომელიც ერთი კონკრეტული ჯგუფის მიერ არის გაზიარებული, ამ ჯგუფის წევრებისათვის არ სჭირდება ახსნას და სოციალიზაციის გზით გადაეცემა, უცხოებისთვის კი, შესაძლოა იმდენად გაუგებარი აღმოჩნდეს, რომ უხერხულობის წყაროდაც იქცეს. ეროვნული

იდენტობის თვითპრეზენტაცია კი სწორედ ასეთი კულტურულ სპეციფიკური ასპექტების წარმოჩენას გულისხმობს. ტერმინი კულტურის ინტიმურობა ეკუთვნის მაიკლ ჰერცფელს (2005), რომელმაც ის ევროპეიზაციის კონტექსტში ბერძნების მაგალითზე განიხილა. მას აინტერესებდა როგორ ვლინდება კულტურის ინტიმურობა და რას გვეუბნება ის ბერძნების შესახებ. ჰერცფელდის მიხედვით, ევროპეიზაციის კონტექსტში, ბერძნებს საკუთარი იდენტობის შესახებ შემდეგი სამი შეკითხვა უჩნდებათ (გვ.37):

1. ჩვენ ევროპა ვართ თუ მესამე მსოფლიო? იმის მიუხედავად, რომ საბერძნეთი ითვლება ევროპული ცივილიზაციის აკვნად, ის დღეს ევროკავშირის პერიფერიაა და შესაბამისად, ბერძნებს ეს ამბივალენტურ მდგომარეობაში აყენებთ.
2. რომელი იდენტობა როდის გამოვხატოთ? რა კონტექსტში აწყობთ ბერძნებს ევროპელობის გამოხატვა და როდის ურჩევნიათ იყვნენ ეროვნულები.
3. რას გვეუბნება ეს ყველაფერი ჩვენი გეოპოლიტიკური მდგომარეობის შესახებ? საბერძნეთი, როგორც ევროკავშირის პერიფერია, დასავლეთ ევროპის მიერ, ასიმეტრიულად დაბალ პოზიციაზე მყოფ ქვეყნად განიხილება.

ეს სამი შეკითხვა რელევანტურია ქართველებისთვისაც და ეს შეკითხვები განიხილა ქართულ რეალობაში ლია წულაძემ, რომელიც სწავლობდა ქართველების ონლაინ დისკურსებს ეროვნულ იდენტობასთან დაკავშირებით ევროპეიზაციის კონტექსტში. კვლევის მიხედვით, ქართველების დამოკიდებულება საკუთარი იდენტობისადმი არის ისეთივე ამბივალენტური როგორც ბერძნების, ისინი საკუთარ ევროპელობას პესიმისტურად და ირონიულად უყურებენ და ქართველების მიერ ეროვნული იდენტობის პერფორმანსი საერთაშორისო და ლოკალური აუდიტორისათვის ერთმანეთისგან განსხვავდება. ერთი მხრივ, ისინი საერთაშორისო აუდიტორიის წინაშე აცხადებენ რომ ევროპელები არიან. მეორე მხრივ, ლოკალური აუდიტორიის წინაშე საკუთარ ევროპელობას ეჭქვემ აყენებენ და მას ირონიულად უყურებენ (Tsuladze, 2018). საინტერესოა, უცხოეთში წასული სტუდენტები როგორ უყურებენ საკუთარ იდენტობას და როგორ წარადგენენ მას

საერთაშორისო აუდიტორისათვის. ასევე, რამდენად უჩნდებათ მსგავსი ამბივალენტური დამოკიდებულებები საკუთარი იდენტობის შესახებ ევროპაში ყოფნის დროს.

1.4 სტერეოტიპები და სტიგმატიზაცია

სტერეოტიპი არის გარკვეული სოციალური ჯგუფის შესახებ ინდივიდის ცოდნა, რწმენა და მოლოდინები, რომლებიც ძირითადად ნეგატიურ ხედვას ეფუძნება (dictionary.css.ge). მეცნიერთა ერთი ნაწილი თვლის, რომ ეს არის კონკრეტული ინდივიდის რწმენები და მოლოდინები ამა თუ იმ სოციალური ჯგუფის შესახებ, მეორე ნაწილს კი მიაჩნია, რომ ეს იმ რწმენათა ერთობლიობაა, რომელსაც მოცემული კულტურის ფარგლებში იზიარებენ ადამიანები. მოლოდინები და რწმენები, რომლებიც ადამიანის ეროვნებასთან დაკავშირებით არსებობს ეროვნული სტერეოტიპი ეწოდება. ეროვნული სტერეოტიპებით ხდება არა მხოლოდ საზღვრების გავლება ორ ერს შორის, არამედ ის გვეუბნება, თუ რომელი აქტივობები არის უფრო მეტად დაფასებული ამ თუ იმ კულტურაში (Edensor, 2002).

უცხო საზოგადოებაში მოხვედრილი ადამიანები ხშირად განიცდიან სტიგმატიზაციას, რომელიც ეფუძნება ნეგატიურ სოციალურ სტერეოტიპებსა და ცრურწმენებს. როგორც კამილერი და მელვსკა-პიერი (1997) აღნიშნავენ, სტიგმატიზაცია გადამაწყვეტ როლს თამაშობს ადამიანის ნეგატიური იდენტობის ჩამოყალიბებაში. ნეგატიური იდენტობა ადამიანში დაუცველობისა გრძნობას იწვევს, ისინი თავს ნეგატიურად აღიქვამენ, შესაბამისად ადამიანები მაქსიმალურად ცდილობენ ნეგატიური იდენტობა აირიდონ და პოზიტიური გაამყარონ. პოზიტიური იდენტობა გულისხმობს, რომ ადამიანებს აქვთ უნარი აკონტროლონ საკუთარი გარემო, გავლენა მოახდინონ სხვა ადამიანებზე და სიტუაციებზე და შეიქმნან რაც შეიძლება პოზიტიური იმიჯი (Camilleri & Malewska-Peyre, 1997, გვ. 59).

კამილერი და მელვსკა-პიერი (1997) განიხილავენ ახალ კულტურაში მოხვედრილი მიგრანტების მიერ ნეგატიური იდენტობისა და სტიგმატიზაციის თავიდან არიდების

სტრატეგიებს. სტიგმატიზაციის თავიდან არიდების სტრატეგიები შეიძლება იყოს ინდივიდუალური ან კოლექტიური.

ინდივიდუალური სტრატეგიები :

1. „შეუმჩნევლობის“ სტრატეგია - მიგრანტები ცდილობენ რომ დიდად არავის მოხვდნენ თვალში და შედარებით იზოლირებულები იყვნენ ადგილობრივებისგან.
2. რასისტული გამოცდილების უარყოფა - მიგრანტები უარყოფენ რომ მათ ჰქონდათ რაიმე სახის რასისტული გამოცდილება ან მათ მიმართ რასისტულ განცხადებებს იღებენ როგორც ხუმრობას და ცდილობენ დაივიწყონ ისინი.
3. ასიმილაცია - ამ სტრატეგიის მიზანია მიგრანტი დომინანტურ კულტურასთან გახდეს ასიმილურებული საკუთარი განსხვავებულობის უარყოფისა და გადალახვის გზით. მიგრანტი მაქსიმალურად ცდილობს უკუაგდოს თავისი იდენტობა და მიბაძოს დომინანტ მოსახლეობას, როგორც ფიზიკურად ისე კულტურულად (გვ. 61-62).

კოლექტიური სტრატეგიები:

1. საკუთარი კულტურის გაიდვალიზება და დასავლური ცივილიზაციისადმი უარყოფითი დამოკიდებულება - მიგრანტი საკუთარ კულტურას როგორც კეთილშობილურსა და იდეალურს წარმოაჩენს, ხოლო ევროპულს ნეგატიურ კონტექსტში განიხილავს. ეს სტრატეგია შესაძლოა გამოყენებული იყოს ინდივიდუალურ დონეზეც.
2. საერთო ადამიანურ და ეგალიტარულ ღირებულებებზე აქცენტირება და არა ეროვნულ ღირებულებებზე - ეს სტრატეგია გულისხმობს იმ ღირებულებების თავმოყრას რომელიც საერთოა მიგრანტი და ადგილობრივი მოსახლეობისთვის. ამ ორი ჯგუფისთვის უფრო მარტივია ისეთი ღირებულებების გაზიარება, რომლებიც თანასწორობასა და ადამიანის უფლებებს ეხება (გვ. 63).

კამილერისა და მალევსკა-პიერის მიერ შემოთავაზებულ ამ თეორიულ მოდელს გამოვიყენებ ჩემს კვლევაში. ის დამეხმარება გავიგო, თუ რომელ სტრატეგიებს იყენებენ სტიგმის თავიდან ასარიდებლად ქართველი სტუდენტები. ის, თუ რა სტრატეგიების იყენებენ ქართველი სტუდენტები დამეხმარება, რომ უკეთ გავიგო რა ტიპის თვითპრეენტაციას აქვს ადგილი ევროპის უნივერსიტეტებში და როგორ ცდილობენ ისინი გარშემომყოფებზე სასურველი შთაბეჭდილების მოხდენას.

1.5 დასავლური წარმოსახვა და აღმოსავლეთ ევროპელთა თავდაცვითი სტრატეგიები

ის, თუ როგორ უყურებს დასავლეთ ევროპა მის აღმოსავლეთით მდებარე ქვეყნებს და რა თავდაცვით სტრატეგიებს იყენებენ ახალგაზრდები „დასავლური წარმოსახვის“ წინააღმდეგ შეისწავლა ლია წულაძემ (2013) პოლონელი, რუმინელი და ქართველი ახალგაზრდების მაგალითზე. „დასავლური წარმოსახვისთვის“ დამახასიათებელ ძირითად დისკურსებად ავტორს განხილული აქვს „სტიგმატიზაციის გამომწვევი“ დისკურსი და „განმანათლებლობის დისკურსი“. „სტიგმატიზაციის გამომწვევ“ დისკურსში იგულისხმება, თუ როგორ აკრავს ნებით თუ უნებლიედ ნეგატიურ იარლიყს დასავლეთი აღმოსავლეთ ევროპის, ცენტრალური ევროპისა და ევროპის პერიფერიაზე მყოფ ქვეყნებს. ხოლო, „განმანათლებლობის“ დისკურსი გულისხმობს, თუ როგორ ცდილობს „ძველი“, „ნამდვილი“ ევროპა გაანათლოს „ახალი“ ევროპელები და აქციოს ისინი „ნამდვილ“ და დემოკრატიულ ევროპელებად. ავტორს აინტერესებდა რა თავდაცვით სტრატეგიებს იყენებდნენ აღმოსავლეთ ევროპელი და ევროპის პერიფერიაზე მყოფი ახალგაზრდები ამ ორი დისკურსის წინააღმდეგ. როგორც კვლევამ აჩვენა, ამ სამი ქვეყნის ახალგაზრდები შემდეგ საპირისპირო პოლუსებთან მიახლოებულ სტრატეგიებს იყენებენ: 1. „რადიკალური ემიგრაცია“ და „კულტურული ამნეზია“. 2. „გზნებარე ნაციონალიზმი“ და „ჰიპერბოლური სიამაყე“ (Tsuladze, 2013, გვ.107-126).

„რადიკალური ემიგრაცია“ გულისხმობს, თუ როგორ ცდილობენ პოლონელი, რუმინელი და ქართველი ახალგაზრდები დასავლეთ ევროპის ქვეყნებში ყოფნის დროს დამალონ საკუთარი ეროვნული იდენტობა. მაგალითად, პოლონელები ბრიტანეთში ცდილობენ ისაუბრონ ბრიტანული აქცენტით და საზოგადოებაში მაქსიმალურად ინტეგრირდნენ, ხოლო რუმინელები თავს ზოგჯერ იტალიელებადაც კი ასაღებენ, თავად იტალიაშიც კი. რაც შეეხება „მგზნებარე ნაციონალიზმსა“ და „ჰიპერბოლური სიამაყეს“ ის ფართოდ გავრცელებული სტრატეგიაა სამივე ქვეყნის ახალგაზრდებში. ქართველები, პოლონელები, რუმინელები ხაზს უსვამენ საკუთარი ქვეყნების გამორჩეულობასა და განსხვავებულობას და იმ საფრთხეებზეც კი საუბრობენ, რაც შესაძლოა დასავლური ტენდენციების გავლენით მათ ეროვნულ იდენტობას ემუქრებოდეს.

ავტორი სვამს შეკითხვას თუ რამდენად ეფექტურია ამ სტრატეგიების გამოყენება სტიგმატიზაციის თავიდან ასაცილებლად და იქვე თავადვე პასუხობს ამ შეკითხვას. როგორც ის აღნიშნავს, პირიქით, „რადიკალური ემიგრაცია“ და „კულტურული ამნეზია“ ორმაგ სტიგმატიზაციას იწვევს. ასევე, უფრო მეტ სტიგმატიზაციას იწვევს „მგზნებარე ნაციონალიზმი“ და „ჰიპერბოლური სიამაყე“, რადგან ის დასავლეთის მიერ არის აღქმული, როგორც შოვინიზმის, რასიზმის და ქსენოფობიის გამოვლინება (Tsuladze, 2013, გვ.107-126).

იქიდან გამომდინარე, რომ ეს კვლევა აღწერს, „დასავლურ წარმოსახვაზე“ ახალგაზრდების, მათ შორის ქართველი ახალგაზრდების თავდაცვით სტრატეგიებს, ჩემთვის საინტერესოა რამდენად მსგავს სტრატეგიებს იყენებენ სტიგმატიზაციის თავიდან ასაცილებლად ქართველი სტუდენტები ევროპაში სწავლის პერიოდში.

1.6 სტუდენტების უცხოეთში სწავლის გამოცდილება

ერასმუსის პროგრამა, რომელიც 1987 წლიდან არსებობს, ყოველწლიურად ძალიან ბევრ სტუდენტს აძლევს შესაძლებლობას, რომ თავისი ქვეყნის საზღვრებს გარეთ ისწავლოს და მიიღოს საერთაშორისო გამოცდილება. იმის მიუხედავად, რომ ერასმუსის პროგრამის

ძირით მიზანს წარმოადგენს განათლება, ის ამასთანავე არის ევროპული იდენტობის პროექტის და ევროპული ინტეგრაციის ხელშეწყობის ერთ-ერთი წარმატებული მაგალითი (Oborune, 2010; Weele, 2014). იქიდან გამომდინარე, რომ ძალიან ბევრი სტუდენტი იღებს მონაწილეობას გაცვლით პროგრამაში და ხდება სტუდენტების მუდმივი მობილობა ერთი კულტურიდან მეორეში, ის მეცნიერთა დაინტერესების საგანიც გახდა. ერასმუსის პროგრამაზე და სტუდენტთა მობილობაზე, არსებული კვლევები ყურადღებას ამახვილებენ იმაზე, თუ როგორ უწყობს ხელს გაცვლითი პროგრამები ერთიანი ევროპული იდენტობის შექმნას და როგორ ხდება მიმღებ ქვეყანაში სტერეოტიპული წარმოდგენების შეცვლა. ერთ-ერთი კვლევა, რომელიც ამ საკითხებს ეხება ეკუთვნის ჯეორჯიანა უდრეას. მან შეისწავალა ერასმუსის გაცვლითი პროგრამაში მონაწილე რუმინელი სტუდენტების გამოცდილება. მისი რესპონდენტები აღნიშნავენ, რომ ევროპის ქვეყნებში რუმინელების შესახებ არსებობდა სტერეოტიპული წარმოდგენები და ხდებოდა მათი ნეგატიურად აღქმა. საპასუხოდ, რუმინელი სტუდენტები ცდილობდნენ ეს ნეგატიური სტერეოტიპები დაერღვიათ და პოზიტიური წარმოდგენები შეექმნათ რუმინელების შესახებ (Udrea, 2011). აღსანიშნავია, რომ ამ დროს რუმინეთი იყო ევროკავშირის ახალი წევრი და შესაბამისად, საინტერესო აღმოჩნდა თუ როგორ ცდილობდნენ რუმინელი სტუდენტები საკუთარი თავის ევროპასთან იდენტიფიკაციას და საკუთარი ევროპულობის ხაზგასმას.

ფარლო სინგჰმა და კატერინე დოჰერტიმ (2008) იკვლიეს, თუ როგორ ცდილობენ აზიელი სტუდენტები ორიენტალისტური დისკურსის თავიდან აცილებას საუნივერსიტეტო გარემოში, ავსტრალიაში. ავსტრალიაში აზიელ სტუდენტებს მოიხსენიებენ როგორც „აზიელი მოსწავლე“. ისინი ამ ტერმინში გულისხმობენ, რომ აზიელები პასიურად ითვისებენ მასალას, ყველაფერს გაუზრებლად იზეპირებენ და საჭიროებენ პროფესორთა მუდმივ ჩარევასა და დახმარებას სწავლის პროცესში. იქიდან გამომდინარე, რომ ავსტრალიაში არსებობს მსგავსი სტერეოტიპული წარმოდგენები აზიელების შესახებ, პროფესორების მხრიდან ორიენტალისტური დისკურსი ვლინდებოდა და მკვლევარებს აინტესებდათ, როგორ ცდილობენ აზიელი სტუდენტები ორიენტალისტური დისკურსის შეცვლას და პოზიტიური იდენტობის შექმნას. კვლევის

საფუძველზე მათ გამოყვეს ოთხი სტრატეგია, რომელსაც აზიელი სტუდენტები იყენებენ აღნიშნული სტერეოტიპის შესაცვლელად (Singh & Doherty, 2008, გვ.115-129).

1. სტუდენტები უფრო მეტ აქცენტს აკეთებდნენ მიმღებ კულტურასა და საკუთარ კულტურას შორის არსებულ მსგავსებებზე, ვიდრე განსხვავებებზე.
2. აღმოსავლეთ-დასავლეთ შორის არსებული განსხვავებების გადაფარვას ცდილობდნენ იმაზე ხაზგასმით, რომ თვითონ დასავლეთის შიგნითაც არსებობს განსხვავებები.
3. სტუდენტები სხვადასხვა ახსნას უძებნიდნენ „აზიელ მოსწავლესთან“ დაკავშირებულ კულტურულ თვისებებს. მაგალითად, ის რომ აზიელები პასიურად ითვისებენ მასალებს აკავშირებდნენ არა სტატიკურ კულტურულ ტრადიციებთან, არამედ ინგლისური ენის ცოდნის დონესთან.
4. საბოლოოდ სტუდენტებმა მიანიშნეს იმაზე, რომ არსებობს განსხვავებები დასავლეთსა და აღმოსავლეთს შორის, მაგრამ დასავლეთისთვის არ მიუნიჭებიათ უფრო მაღალი სტატუსი (გვ.124).

საინტერესოა, რამდენ მსგავსი შეიძლება იყოს ქართველი და აზიელი სტუდენტების მიერ საუნივერსიტეტო გარემოში გამოყენებული სტრატეგიები ორინეტალისური დისკურსის თავიდან ასარიდებლად და რა ასპექტებში ვლინდება ამგვარი მსგავსება.

რაც შეეხება ქართველი სტუდენტების გამოცდილებას უცხოეთის უნივერსიტეტებში ის შეისწავლეს ნინო ჯავახიშვილმა და მისმა კოლეგებმა. კვლევის მიზანს წარმოადგენდა შეესწავლათ, თუ რა გავლენას ახდენს საერთაშორისო გაცვლითი პროგრამები იდენტობის ფრომირებაზე ადრეულ ზრდასრულობაში (Javakhishvili, Skhirtladze, Mestvirishvili & Khujadze, 2013). როგორც კვლევამ აჩვენა, გაცვლით პროგრამებში მონაწილეობის შემდეგ სტუდენტების ღირებულებები, მიზნები და რწმენები გარკვეულ ცვლილებებს განიცდიან. ამასთანავე, აღმოჩნდა, რომ ახალ კულტურაში მოხვედრის დროს სტუდენტები უფრო მეტად ამახვილებდნენ ყურადღებას და უღრმავდებოდნენ საკუთარ კულტურას. მათ კარგად დაინახეს ის განსხვავებები, რომლებიც არსებობდა ქართულ და ევროპულ

კულტურას შორის, განსაკუთრებით დღის დაგეგმვისა და ორგანიზაციული სამუშაოების მიმართულებით. რესპონდენტები აღნიშნავენ, რომ მათ მეტად დააფასეს თავისი კულტურა, ოჯახური ღირებულებები და ჩაულრმავდნენ ქართული ტრადიციების მნიშვნელობას. მაგრამ კვლევაში არ ყოფილა საუბარი, თუ როგორ ხდებოდა ამ განსხვავებულ გარემოში სტუდენტების მიერ საკუთარი კულტურულ-სპეციფიკური ასპექტების, ეროვნული იდენტობის ასპექტების წარმოჩენა, რაც ჩემი ინტერესის საგანია.

2. ემპირიული ნაწილი

კვლევის პროცესში მოპოვებულმა ემპირიულმა მონაცემებმა საშუალება მომცა, გამომეკვლინა ქართველი სტუდენტების მიერ ეროვნული იდენტობის თვითპრეზენტაციის სპეციფიკა ევროპის უნივერსიტეტებში. კერძოდ, მოპოვებული მონაცემების საფუძველზე შემიძლია ვისაუბრო ეროვნული იდენტობის იმ ასპექტებზე, რომლებსაც სტუდენტები განსაკუთრებით წარმოაჩენენ და იმ ასპექტებზე, რომლის წარმოჩენასაც ერიდებიან; სტრატეგიებზე, რომლებსაც სტუდენტები იყენებენ ევროპის უნივერსიტეტებში პოზიტიური იმიჯის შესაქმნელად და სტიგმატიზაციის თავიდან ასარიდებლად; ამასთანავე, შევადარო აღმოსავლეთ და დასავლეთ ევროპაში მათი თვითპრეზენტაცია.

2.1 ეროვნული იდენტობის ასპექტები, რომლებსაც სტუდენტები საერთაშორისო აუდიტორიის წინაშე წარმოაჩენენ

პირველ რიგში, სანამ იმ ასპექტების განხილვაზე გადავალ, რომელსაც სტუდენტები წარმოაჩენენ საერთაშორისო აუდიტორიის წინაშე, მინდა აღვნიშნო ის შემთხვევები, როდესაც დასავლეთ ევროპელებმა არ იცოდნენ საქართველოს შესახებ და მას ამერიკის შტატ ჯორჯიასთან აიგივებდნენ, შესაბამისად, საქართველოს პირველი გაცნობა მისი გეოგრაფიული მდებარეობის ახსნას გულისხმობდა, რისთვისაც სტუდენტები კავკასიის რეგიონსა და მეზობელ რუსეთსა და თურქეთზე მიუთითებდნენ. იქიდან გამომდინარე, რომ ზოგიერთმა დასავლეთ ევროპელმა სტუდენტმა არ იცოდა საქართველოს შესახებ, ეს გავლენას ახდენდა ქართველი სტუდენტების თვითპრეზენტაციაზე, რადგან დასავლეთ ევროპელებთან უფრო მარტივად შეეძლოთ რეალობის „შელამაზება“ და თავის უკეთესად წარმოჩენა.

„ბევრმა არ იცის სად არის საერთოდ რუკაზე. რუსეთსა და თურქეთს შორისო რომ ეუბნები მაგათ შორისო არაფერი არ არისო, ესე ეუბნებიან“ (გიორგი, 21 წლის, ავსტრია).

ამ კონტექსტში ხდებოდა საქართველოს, როგორც ევროპისა და აზიის გასაყარზე მყოფი ქვეყნის წარდგენა, ამით მისი ეგზოტიკურობის ჩვენება, რასაც შემდგომ საქართველოში არსებულ ბუნებრივ მრავალფერობნებაზე საუბარი მოსდევდა.

„მე ვიწყებ ხოლმე ყოველთვის ლაპარაკს, რომ საქართველო ეს არის რაღაც შერწყმა აზიის და ევროპის და ამიტომ ყველაზე მიმზიდველია სხვა ეროვნების ხალხისთვის. კიდევ ის, რომ შეგიძლია ერთდროულად ისრიალო თხილამურებზე, მერე ჩახვიდე ზღვაზე და დაისვენო“ (ლიზა, 24 წლის, ავსტრია).

სტუდენტების თვითპრეზენტაციაზე გავლენას ახდენდა ასევე ის ფაქტიც, რომ დასავლეთ ევროპელებს, ხშირად საქართველო რუსეთის შემადგენლობაში ეგონათ ან ერთ-ერთ სლავური წარმოშობის ქვეყნად განიხილავდნენ. შესაბამისად, როდესაც გარშემომყოფებს მსგავსი წარმოდგენები ჰქონდათ პირველი გაცნობა იმის განმარტებას გულისხმობდა, რომ საქართველო არ არის რუსეთის ნაწილი და მიუხედავად იმისა, რომ მეზობელი ქვეყანაა, ქართველების ენა და დამწერლობა განსხვავებულია. შესაბამისად, ამ კონტექსტში ხდებოდა ყველაზე ხშირად ქართული ენისა და ანბანის ხაზგასმა. საქართველო რუსეთისგან მაქსიმალურად გამიჯვნა ხდებოდა საკუთარ განსხვავებულ ენაზე და დამწერლობაზე აპელირებით, რომელსაც არანაირი კავშირი არ აქვს რუსულთან.

„გერმანულს ვინც გვასწავლიდა სამჯერ მომიწია გამეორება ამ ქალისათვის, რომ ჩვენ რუსულად არ ვსაუბრობთ... პირველი მაგას ვამბობდი, რომ მეთქი არ ვართ რუსეთის ნაწილი, გვაქვს ჩვენი დამწერლობა და ვსაუბრობთ ქართულად“ (დემეტერე, 22 წლის, გერმანია).

როდესაც არ დგას გეოგრაფიული მდებარეობისა და საკუთარი წარმომავლობის ახსნის საჭიროება ქართველი სტუდენტები საკუთარი ქვეყნის პირველად წარდგენის პროცესში ყურადღებას ამახივლებენ საკუთარი ეროვნული იდენტობის ისეთ ასპექტებზე, როგორც არის ქართული ენა და დამწერლობა, ქართული სამზარეულო, ტრადიციები, სტუმართმოყვარეობა, ქართული სპორტი, ბუნება. სტუდენტები, პირველ რიგში, ყოველთვის ასახელებენ იმ ასპექტებს, რომლებიც ეთნიკური ნაციონალიზმის გამომხატველია. ასევე, ხაზს უსვამენ ისეთ ელემენტებს, რომლებიც ქართველების

„რჩეულობას“ უსვამს ხაზს; აღნიშნავენ უძველესი ისტორიისა და კულტურის მნიშვნელობას.

„მინდოდა ხაზი გამესვა, რომ საქართველო იყო ესე ვთქვათ ერთ-ერთი გამორჩეული ქვეყნებს შორის, რომელსაც აქვს ძალიან დიდხნიანი ისტორია, საკმაოდ მრავალფეროვანი და ამ მრავალფეროვანი ისტორიიდან გამომდინარე, შეინარჩუნა თავისი რელიგიაც, დამწერლობაც, მიწაც“ (დემეტრე, 22 წლის, გერმანია).

„რაც ყველაზე მეტად აღმინიშნავს ეს არის ჩვენი ანბანი, დამწერლობა, რომელიც არის ერთ-ერთი უნიკალური და მსოფლიოში გამორჩეული“ (თაკო, 23 წლის, უნგრეთი).

„ტურისტი, პირველ რიგში გიჟდება-თქო ჩვენს სტუმართმოყვარეობაზე, ჩვენს კერძებზე და წავიდა ლაპარაკი ჩვენს სტუმართმოყვარეობაზე და ჩვენს კერძებზე. პირველ რიგში ამით ვაცნობ ჩემს გარშემომყოფებს საქართველოს, რომ ვართ ძალიან სტუმართმოყვარე ხალხი, გასწავლავებით სხვა ეროვნებებისგან“ (ანანო, 22 წლის, ავსტრია).

ეროვნული იდენტობის თვითპრეზენტაციის ერთ-ერთი სტრატეგია რომელსაც სტუდენტები იყენებენ არის **ისტორიულ წარსულზე აპელირება**. ის, რომ ქართველი სტუდენტები, პირველ რიგში, ძირითადად ეთნიკური ნაციონალიზმის გამომხატველ ასპექტებს წარმოაჩენენ და ისტორიულ წარსულზე საუბრობენ, ეს ყველაფერი თანამედროვე წარუმატებლობის ერთგვარ კომპენსატორად გვევლინება. ძირითადი ეპითეტები, რომლებსაც სტუდენტები იყენებენ ამ კონტექსტში საკუთარ იდენტობაზე საუბრისას არის შემდეგი: **გამორჩეული, უნიკალური, ძველი, მრავალსაუკუნოვანი**.

იმისათვის, რომ სტუდენტებმა საკუთარ განსხვავებულობას გაუსვან ხაზი და პოზიტიური შთაბეჭდილება მოახდინონ საერთაშორისო სტუდენტებზე, ისინი საკუთარი ეროვნული იდენტობის საამაყო ასპექტებზე საუბრობენ. სტუდენტებისთვის საამაყო ასპექტებს წარმოადგენს უნიკალური ანბანი, მრავალრიცხოვანი მტრების შემოსევის მიუხედავად შენარჩუნებული თვითმყოფადობა, სტუმართმოყვარეობა, ქართული სუფრა, უძველესი ღვინო, წარმატებული ქართველი სპორტსმენები და მომღერლები. მაგრამ ამ საამაყო ასპექტებიდან ზოგიერთი ქართველ სტუდენტებში ამავე დროს უხერხულობის

განცდასაც იწვევს. კერძოდ, სუფრისა და თამადის ტრადიცია, რომელიც სტუდენტებმა სიამაყით წარუდგინეს ევროპულ სტუდენტებს, მაგრამ როგორც მათი ნარატივებიდან ჩანს ის მათში უხერხულობასაც იწვევს. სწორედ ასეთ სიამაყესა და უხერხულობაზე საუბრობს მაიკლ ჰერცფელდი, როცა „კულტურის ინტიმურობას“ განმარტავს.

„სუფრა არ არის დალევის ადგილი, ტრადიციებიდან გამომდინარე ერთმანეთის გაცნობის, აზრების გაცვლის ადგილია. ყველას გვქონდა იქ გამოხატვის უფლება და ისე არა დღეს რომ თამადას თუ რამე ჩაუკვებე დანას ამოვიღებს“ (დემეტრე, 22 წლის, გერმანია).

„რალაც პრეზენტაცია გვქონდა და იქ ხაზს ვუსვამდი ქართულ გადამეტებულ რაღაცეებს. როგორ შეიძლება გადაგყვეს ქართველი, როცა სტუმარი ჩამოუვა, უცხოელი და აი, ეგ ხომ ძან გადამეტებულია ხანდახან და ის, რომ როგორ შეიძლება ქართული სუფრის გადამეტებული ვარიანტი იყოს და ვაჩვენებდი ფეხსაცმლით როგორ სვამს, ოღონდ უფრო იუმორისტულ ვარიანტში“ (ქეთი, 25 წლის, პოლონეთი)

პირველ შემთხვევაში სტუდენტი სხვა ევროპულ სტუდენტებთან სუფრის სამარცხვინო მხარეებზე არ საუბრობს და მალავს, ხოლო მეორე შემთხვევაში სტუდენტი ცდილობს ეს უხერხულობა იუმორისტულად წარმოაჩინოს.

ქართველი სტუდენტები საკუთარ ეროვნულ იდენტობას ხშირად ევროპასთან კავშირში განიხილავენ, რითაც საკუთარი **ევროპულობის ხაზგასმას ცდილობენ**. ევროპული სტატუსის მოპოვებას ისინი ცდილობენ კულტურულ და ისტორიულ ასპექტებზე აპელირებით, როგორც არის მაგალითად, პირველი რესპუბლიკის შექმნა, პირველი დემოკრატიული არჩევნები, პირველი ევროპელები - ზეზვა და მზია და ა.შ. ასევე, საუბრობენ დემოკრატიულობის ხარისხის ზრდაზე და კორუფციის აღმოფხვრაზე, რაც მათ ევროპელობის ერთ-ერთ მნიშვნელოვან მახასიათებლად მიაჩნიათ.

ქართველი სტუდენტები საკუთარ თავს ყოველთვის წარადგენენ, როგორც ევროპელები და იმისათვის, რომ კიდევ უფრო დამაჯერებელი გახადონ საკუთარი ევროპულობა ისინი ცდილობენ ხაზგასმით აღნიშნონ, რომ არა მარტო საქართველოს სჭირდება ევროპა, არამედ ევროპასაც სჭირდება საქართველო.

„ვცდილობდი, რომ საჭიროებების კუთხით წარმომეჩინა საქართველო. ვეუბნებოდი, რომ ჩვენც გვჭირდებოდა, თქვენც გვჭირდებოდა-თქო და ინტერესთა თანხვედრა გამოდისთქო“ (ნიკა, 23 წლის, ჩეხეთი).

აღმოსავლეთ ევროპელებთან საკუთარი ევროპულობის ხაზგასმა კიდევ უფრო მარტივ საქმეს წარმოადგენდა, რადგან სტუდენტებს შეეძლოთ საერთო კომუნისტური წარსულის გახსენება და იმაზე აპელირება, რომ საქართველო ყოველთვის ახლოს იყო ევროპასთან და რუსეთმა ხელოვნურად მოწყვიტა მისთვის ბუნებრივ გარემოს, ამიტომ მისთვის მნიშვნელოვანი იყო „ევროპულ ოჯახში“ დაბრუნება. სტუდენტების მიერ ეს ნარატივი ჩვეულია აღმოსავლეთ ევროპის ქვეყნებისთვის.

„ჩვენ ვიყავით ევროპული ოჯახის წევრი. მუდმივად იქ ვგრძნობდით თავს. რაღაცა შორს არ იყო ევროპა ჩვენგან და მერე ჩვენ ძალით გამოგვითიშეთ. ჩვენი სურვილი არ ყოფილა. ეს სენტრიმენტი უკვე ძან კარგად ესმოდათ ხოლმე პოლონელებს, ლიტველებს, ლატვიელებს, უნგრელებსაც, რომ ჩვენ ძალით გამოგვითიშეს და ეს წყვეტა ჩვენი ნების გარეშე მოხდა“ (ანა, 26 წლის, პოლონეთი).

იმის მიუხედავად, რომ სტუდენტები მაქსიმალურად ცდილობენ საკუთარი ევროპულობის ხაზგასმას, მათში, ასევე, შეინიშნება ის ამბივალენტური დამოკიდებულებები, რაც საკუთარი ევროპულობის მიმართ უჩნდებათ. რამდენიმე სტუდენტმა ისაუბრა ქვეყნის ევროპულობაზე, მაგრამ შემდეგ აღნიშნეს, რომ მათი მენტალიტეტი და ღირებულებები განსხვავებულია ევროპულისგან და ეს ყველაფერი მათში კითხვის ნიშნებს იწვევს. ეს სწორედ ის ამბივალენტური დამოკიდებულებებია, რომელზეც ღია წულაძემ ისაუბრა ევროპეიზაციის შესახებ ქართველების ონლაინ დისკურსების შესწავლისას.

„ისეთი ის მაქვს, რომ ესეთი გაორება სიტუაცია. ეხლა იქ როცა ხარ და როცა წარმოადგენ ქვეყანას, წარმოადგენ, ვთქვათ, როგორც ევროპულ ქვეყანას და შენ შენს რაღაც ჩარჩოებში სვამ საქართველოს, როგორც ევროპულ ქვეყანას. ჯდება, მაგრამ ძან კითხვის ნიშნები მიჩნდება საქართველოს ევროპულობასთან დაკავშირებით, როცა აქ ვარ და როცა იმ

ევროპულ ქვეყნებში, სადაც მიცხოვრია თუ მიმოგზაურია, იმასთან შედარებით ძაან დიდი კონტრასტია“ (ქეთი, 25 წლის, უნგრეთი).

აღსანიშნავია, რომ ქართველი სტუდენტებისთვის თვითიდენტიფიკაციის ერთ-ერთი მნიშვნელოვანი ასპექტი არის რუსეთთან საკუთარი იდენტობის დაპირისპირება. რუსეთი სტუდენტების მიერ დახასიათებულია, როგორც ოკუპანტი, როგორც მტერი. ამ განაცხადით სტუდენტები ცდილობენ, არა მხოლოდ რუსეთის მიმართ საკუთარი დამოკიდებულება გამოხატონ, არამედ ხაზი გაუსვან მათი ქვეყნის ევროპულ არჩევანსაც. სტუდენტები თვლიან, რომ რუსეთის მიერ საქართველოს ოკუპაციის საკითხი ქვეყნის ერთ-ერთი მთავარი სათქმელია და მათ აუცილებლად უნდა გააჟღერონ ის საერთაშორისო აუდიტორიის წინაშე. ის სტუდენტები, რომლებიც სწავლობდნენ სოციალურ და პოლიტიკურ მეცნიერებათა ფაკულტეტებზე, სალექციო კურსის თემატიკიდან გამომდინარე, ხშირად საუბრობდნენ 2008 წლის რუსეთ-საქართველოს ომზე და ცდილობდნენ არა მხოლოდ სტუდენტებთან, არამედ პროფესორებთანაც დაეფიქსირებინათ საკუთარი პოზიციები.

„როცა ხარ საქართველოდან და თან შორს, მუდმივად გინდა თან ისეთ ადამიანებს, რომლებიც ასე თუ ისე არ გიცნობენ კარგად, არა მარტო ქვეყანა გააცნო, არამედ გადასცე შენი ქვეყნის სათქმელი, შენი პირადი სათქმელი შენს მტერთან დაკავშირებით. შესაბამისად, მთავარი მესიჯი ყოველთვის და მთავარი სათქმელი, როდესაც ეხებოდა ქვეყნის პოლიტიკას, იყო, რომ რუსეთი არის ოკუპანტი და რუსეთს აქვს ჩვენი ქვეყნის 20 პროცენტი ოკუპირებული“ (სოფო, 25 წლის, ლიტვა).

„აუცილებლად ვაკეთებდი ხოლმე აქცენტს, განსაკუთრებით პოლიტიკის ლექციებზე, რომ რუსეთი არის ოკუპანტი“ (ანანო, 22 წლის, ავსტრია).

რუსეთის მიერ საქართველოს ოკუპაციის საკითხი ხაზგასმულია, როგორც აღმოსავლეთ ევროპაში მყოფი სტუდენტების მიერ, ისე დასავლეთ ევროპაში მყოფი სტუდენტების მიერ. უბრალოდ, როგორც თავად სტუდენტები აღნიშნავენ, საერთო გამოცდილების გამო აღმოსავლეთ ევროპელებს მათი უკეთ ესმით და შესაბამისად, მათთან რუსეთს, როგორც საერთო მტერს წარმოაჩენენ და ამით აღმოსავლეთ ევროპის ქვეყნებთან

სიახლოვეს აჩვენებენ. ხოლო, როგორც დასავლეთ ევროპაში მყოფი სტუდენტების ნარატივებიდან ჩანს ეს თემა დასავლეთ ევროპელებისთვის გაუგებარია.

„მათთვის მარტივია ამის გაგება, პოლონეთმა რა გამოიარა ისტორიულად კი ვიცით და განსაკუთრებით ცუდი დამოკიდებულება აქვთ რუსეთის მიმართ. აქედან გამომდინარე, ოკუპირების საკითხს და ზოგადად, რუსეთის, როგორც მტრის ჭრილში, რომ განვიხილოთ მან მარტივად გეზულობენ და რა თქმა უნდა, ჩვენი პოზიცია აქვთ“ (ლაშა, 21 წლის, პოლონეთი).

„რაც პრობლემებზე ვსაუბრობდით და იტალიელმა წყლის დაბინძურების პრობლემაზე ისაუბრა, ვიღაცამ LGBT უფლებები, რომ მთლად მაღალ დონეზე არ აქვთ აყვანილი იმაზე და ჩვენი პრობლემა ძალიან განსხვავდებოდა. ჩვენ ფაქტობრივად ომში ვიყავით და იქ ძალიან basic პრობლემებს ადარებდნენ. ვერ წარმოუდგენიათ, რომ შეიძლება მუდმივ ომში იყო, შენ შენი თვალით გაქვს ომი ნანახი. მათთვის წარმოუდგენელია, რომ შეიძლება ესე ხდებოდეს („ირაკლი, 24 წლის, გერმანია).

2.2 ეროვნული იდენტობის ასპექტები, რომლის წარმოჩენასაც სტუდენტები ერიდებიან საერთაშორისო აუდიტორიის წინაშე

ნარატივებიდან ჩანს, რომ ქართველი სტუდენტები თავს არიდებდნენ ისეთ საკითხებზე საუბარს, როგორც არის შიდაპოლიტიკური მდგომარეობა, ადამიანთა უფლებების შელახვის ფაქტები, იქნება ეს სექსუალური უმცირესობების უფლებების დარღვევის ფაქტები თუ ქალთა მიმართ ძალადობა. შესაბამისი შეკითხვების გაჩენისას, მათ უწევდათ პასუხების გაცემა, მაგრამ ცდილობდნენ, რომ თავად ამ საკითხებზე საუბარი არ წამოეწყოთ. იმისათვის, რომ მსგავს ფაქტებზე საუბრის დროს საკუთარი მოქალაქეების ქმედებები გაემართლებინათ, ცდილობდნენ საქართველოში არსებული მდგომარეობა შეედარებინათ მეზობელ სომხეთსა და აზერბაიჯანში არსებულ სიტუაციასთან და ამის ფონზე უკეთესად წარმოეჩინათ საქართველო. ისინი ამ შემთხვევაში საქართველოს ოქსიდენტალიზაციას ახდენდნენ, ანუ მეზობლების დასავლეთად წარმოჩენას. ეს სწორედ

ის სტრატეგიაა, რომელსაც მარია ტოდოროვა აღწერს, როცა დასავლეთ ევროპელების მიერ ბალკანელების ხედვაზე საუბრობს.

ამასთანავე, ის სტუდენტები, რომლებიც დასავლეთ ევროპის უნივერსიტეტებში იყვნენ, თავს არიდებდნენ ევროპაში ქართველთა კრიმინალურ საქმიანობაზე საუბარს, რადგან ეს ფაქტი ყველა მათგანში სირცხვილის გრძნობას იწვევს. თუ, მაგალითად, მოხდებოდა ისე, რომ ევროპელი სტუდენტები ამ საკითხზე საუბარს დაიწყებდნენ, ქართველები ხაზს უსვამდნენ, რომ ასეთი საქმიანობით ნებისმიერი ეროვნების ადამიანი შეიძლება იყოს დაკავებული და ყველა კულტურაში არსებობს კარგი და ცუდი. ეს სწორედ ის სტრატეგიაა, რომელსაც აზიელი სტუდენტები იყენებენ ავსტრალიაში, კერძოდ როდესაც მიმღებ და საკუთარ კულტურას შორის მსგავსებაზე აკეთებენ აქცენტს (Singh & Doherty, 2008). მსგავსი სტრატეგია აქვთ განხილული კამილერსა და მალევსკა-პიერს, როცა საფრანგეთში მყოფი პორტუგალიელი, ესპანელი და არაბი მიგრანტების მიერ საერთო ადამიანური ღირებულებების ხაზგასმაზე საუბრობენ (Camilleri & Malewska-Peyre, 1997).

ყველაზე ხშირად სტუდენტები ცდილობდნენ, არ აღენიშნათ ის ჰომოფობიური დამოკიდებულებები, რომლებიც ქართველებში არსებობს. არ უნდოდათ, სხვა სტუდენტებს ამის გამო ცუდი შთაბეჭდილება შეექმნოდათ. როგორც ერთ-ერთი სტუდენტი აღნიშნავს, ის მაქსიმალურად ცდილობდა ამ საკითხზე არ ესაუბრა, რადგან გაუჭირდებოდა მათთვის აეხსნა, თუ როგორ შეიძლება საზოგადოებამ მსგავსი ძალადობა გამოამჟღავნოს და გარიყოს ისინი.

„ვერ ავუხსნიდი ფიზიკურად, ვერ ვეტყვოდი, რომ მშობელმა რომ გაიგოს მისი შვილი არის გეი ან ლესბოსელი, ეს ყველაფრის დაქცევაა და მას შეუძლია ხელი აიღოს, რომ მისი შვილია და ასე შემდეგ. შესაბამისად, ეს თემა იყო მკაცრად ჩემს თავში ჩაკეტილი, რომ მათთან ამაზე არ მესაუბრა“ (სოფო, 25 წლის, ლიტვა).

ასევე, სტუდენტები ცდილობდნენ დაემალათ საქართველოში არსებული ქალთა მიმართ ძალადობის ფაქტები. ის, რომ საქართველოში ხშირად ხდება ადამიანის უფლებების შემლახველი ფაქტები, სტუდენტების აზრით, აუცილებლად ნეგატიურად იქნებოდა

აღქმული და როგორც ერთ-ერთმა სტუდენტმა აღნიშნა არ უნდოდა „გამოქვაბულიდან გამოვარდნილად“ შეეფასებინათ ქართველები.

კიდევ ერთი ასპექტი, რაც განსაკუთრებული უხერხულობის გრძნობას იწვევდა და ამიტომ მის გამჟღავნებას ქართველი სტუდენტი გოგონები ერიდებოდნენ, იყო ქართველი წყვილების ქორწინებამდე თანაცხოვრება და ქორწინებამდე სექსუალური ურთიერთობები. იქიდან გამომდინარე, რომ ზოგიერთ რესპონდენტს ჰქონდა ამ საკითხთან დაკავშირებით კონსერვატული შეხედულებები, ცდილობდა არ ესაუბრა ამ საკითხებზე, რომ ევროპელების მხრიდან ირონიული დამოკიდებულება არ ეგრძნო. იმ გოგონებს კი, რომლებსაც ამ საკითხზე მოუწიათ საუბარი, ცდილობდნენ, უფრო შეელამაზებინათ არსებული მდგომარეობა და უფრო დასავლეთთან მიახლოებულად წარმოეჩინათ მსგავსი ურთიერთობები და ევროპელებისთვის სასურველი ნარატივი შეეთავაზებინათ.

„ყოველთვის ვცდილობდი, რომ გადამეფარა ის წარმოდგენა, რომ ვართ ძალიან რელიგიური და კონსერვატული ერი, განსაკუთრებით, ქალები (ნუცა, 24 წლის, ჩეხეთი).

2.3 სტიგმატიზაციის თავიდან არიდების სტრატეგიები

უცხო საზოგადოებაში მოხვედრილი ადამიანები ყოველთვის აწყდებიან გარკვეულ სტერეოტიპებს, განსაკუთრებით აღმოსავლეთიდან დასავლეთში მოხვედრილნი. ქართველი სტუდენტებიც ევროპაში ყოფნის დროს აწყდებოდნენ სტიგმატიზაციისა და ორიენტალიზაციის შემთხვევებს. შესაბამისად, მათი ნარატივების საფუძველზე შევძელი გამომეყო ის სტრატეგიები, რომლებსაც ისინი სტიგმატიზაციის და ორიენტალისტური დისკურსის თავიდად ასარიდებლად იყენებენ და რომელსაც ამ თავში განვიხილავ.

პირველ რიგში, მინდა აღვნიშნო, რომ ზოგიერთ შემთხვევაში ქართველი სტუდენტები უარყოფდნენ მსგავს სტიგმატიზაციასა და სტერეოტიპული დამოკიდებულებების არსებობას მიმღებ საზოგადოებაში. მაგრამ შემდგომში მათ ნარატივებში ნათლად იკვეთებოდა, რომ სტუდენტები აწყდებოდნენ როგორც სტერეოტიპულ

დამოკიდებულებებს, ისე ქსენოფობიასა და ორიენტალიზმს. ეს სწორედ ის სტრატეგიაა, რომელსაც კამილერი და მალევსკა-პიერი რასისტული გამოცდილების უარყოფას უწოდებენ. ზოგიერთი სტუდენტი აცხადებდა, რომ არ უგრძობია არანაირი ნეგატიური დამოკიდებულება სტუდენტებისგან, მაგრამ შემდეგ საუბრობდა იმის შესახებ, თუ როგორ ზემოდან უყურებდნენ ადგილობრივი სტუდენტები.

„არის ხოლმე თუნდაც ის მომენტი, რაღაცა ჩვენ ძან განვითარებულები, თქვენ ვერა ანუ თვითონ ტოპ 10 ქვეყანაში მინიმუმ გადიან, შენ ჩვეულებრივ country-ში გადიხარ და რაღაც თემა, შეიძლება უბრალოდ სტატისტიკა მოყავთ და გახსენებენ, მარა მაინც ცუდად გხვდება ყურში“ (ირაკლი, 24 წლის, გერმანია).

„ადგილობრივები ცოტა რაღაც ზემოდან გვიყურებდნენ. მახსოვს ერთს მივესალმე და ვკითხე როგორ ხარ. Thanks მითხრა და გაიხედა“ (ლაშა, 21 წლის, პოლონეთი).

თუ შევადარებთ დასავლეთ და აღმოსავლეთ ევროპაში არსებულ ორიენტალისტურ დისკურსებს შეგვიძლია ვთქვათ, რომ ის არ არის ისეთი სიმძაფრით გამოხატული აღმოსავლეთ ევროპაში. ამასთანავე, როგორც სტუდენტების ნარატივებიდან ჩანს აღმოსავლეთ ევროპაში ძირითადად პოზიტიურ სტერეოტიპებსა და დამოკიდებულებას ხვდებოდნენ.

„ლიტველი ბიჭი გვერდით მეჯდა და მეკითხება საიდან ხარო? ვუთხარი საქართველოდან-მეთქი. ჯერ ძალიან დიდი აღტაცება გამოიწვია მაგ ფაქტმა, რომ საქართველოდან ვიყავი. გულახდილად მასე ბედნიერი იმ ფაქტით, რომ საქართველოდან ვარ ჯერ არავინ არ მინახავს... ზოგადად, ქართველები ძალიან გვიყვარსო და მერე დამიწყო იმაზე ლაპარაკი, საერთო მტერი გვყავსო რუსეთის სახითო“ (დათო, 23 წლის, ლიტვა).

შემდეგი სტრატეგია, რომელსაც სტუდენტები იყენებენ სტიგმატიზაციის თავიდან ასაცილებლად, ქართველების ოქსიდენტალური სტრატეგია. ქართველის სტუდენტები ცდილობენ, საკუთარი ეროვნული იდენტობის ასპექტები უკეთესად წარმოაჩინონ მუსულმანური კულტურის ფონზე, მეზობელი აზერბაიჯანისა და სომხეთის ფონზე.

ხშირად იყო სტუდენტების მიერ აღნიშნული ქალთა უფლებების უპირატესობა აზიურ და მუსულმანურ კულტურებთან შედარებით. ხოლო, მეზობელი აზერბაიჯანისა და სომხეთის შემთხვევაში, საუბარი იყო დემოკრატიის და პოლიტიკური ინსტიტუტების მუშაობის ძალიან დაბალ დონეზე.

„მერე აღმოჩნდა, რომ სომხები უფრო მეტად არიან ჩამორჩენილები მაგ საკითხებში, მაგალითად, ვიდრე ქართველები და მერე ხომ ხედავ, ჩვენ კიდევ პროგრესი განვიცადეთ მათთან შედარებით და შენ აზერბაიჯანში უნდა ნახო, რა ხდება“ (ლიზა, 24 წლის, ავსტრია).

„ყოველთვის ვამბობ იმას, რომ ეს არის ქრისტიანული ქვეყანა და რა თქმა უნდა, რელიგიაც ძაან კონსერვატულია, მაგრამ არ არის ეს ისლამი და მით უმეტეს, ისლამი იმ ფორმით, რაც დღეს არის იმ ქვეყნებში; რომ ქალი სამართლებრივად აბსოლუტურად თანაბარია, როგორც მამაკაცი, ნუ სამართლებრივად და პოლიტიკურად“ (ანა, 26 წლის, პოლონეთი).

ქართველი სტუდენტები არა მხოლოდ სომხეთსა და აზერბაიჯანს წარმოაჩენენ, როგორც ნაკლებად ცივილიზებულს საქართველოსთან შედარებით, არამედ არ ერიდებიან თავად აღმოსავლეთ და დასავლეთ ევროპის ქვეყნებთან შედარებით საქართველოს უპირატესობის ხაზგასმასაც.

„Human development-ით, იგივე კორუფციაში საქართველო არის ბევრად წინ, ვიდრე რუმინეთი, ევროკავშირის წევრი ქვეყანა“ (ანა, 26 წლის, პოლონეთი).

„როცა ხედავ თუნდაც იმას, რომ პოლონეთთან შედარებით, როგორც ასეთი, ქვეყანა ვართ ძაან წინ. ძაან ჩამოგვრჩებიან, მართლა ძაან ჩამოგვრჩებიან და გერმანიასაც ბევრ რამეში ვჯობნიდით. მაგალითად, სერვისებში და ა.შ. ძაან ბევრ რამეში ვჯობნიდით და აქ პოლონეთში მითუმეტეს, როცა ნაცისტების ჩვეულებრივ ბუდეში ხარ“ (ირაკლი, 24 წლის, გერმანია, პოლონეთი).

ამ შემთხვევაში სტუდენტი ერთდროულად აღმოსავლეთ და დასავლეთ ევროპის ფონზე ცდილობს საქართველოს უპირატესობის ხაზგასმას. იგივე სტუდენტი საუბარში

გერმანიასთან დაკავშირებით შემდეგ ნარატივს გვთავაზობს: „გერმანიაში თითქმის სულ იმპორტზე აქვთ მწვანელი და ხილი, მარტო პური და ძეხვეული აქვთ თავისი და რომ ჩვენთან ყველაფერი გვაქვს, დაწყებული მინერალური წყლებით, დამთავრებული ზამთრის და ზაფხულის კურორტებით“ (ირაკლი, 24 წლის, გერმანია, პოლონეთი).

როგორც ჩანს, საქართველოს უპირატესობას სერვისების, საკვები პროდუქტებისა და საქართველოში არსებული კურორტების ფონზე განიხილავს, რაც ვერანაირად ვერ იქნება დამაჯერებელი არგუმენტი, უბრალოდ ეს წარმოადგენს სტუდენტის თავდაცვით სტრატეგიას. მის მიერ გამოყენებული სტრატეგია ახლოს დგას კამილერისა და მალევსლა-პიერის მიერ შესწავლის სტრატეგიასთან **საკუთარი კულტურის გაიდეალიზება**.

კიდევ ერთი სტრატეგია, რომელსაც სტუდენტები მიმართავენ სტიგმის თავიდან ასაცილებლად, არის **საკუთარი ეროვნებით სიამაყე**. ეს სტრატეგია სწორედ „მგზნებარე ნაციონალიზმისა“ და „ჰიპერბოლურ სიამაყესთან“ მიახლოებულ სტრატეგიას წარმოადგენს, რომელსაც დასავლური წარმოსახვის წინააღმდეგ იყენებენ ქართველი, პოლონელი და რუმინელი ახალგაზრდები (Tsuladze, 2013). ქართველი სტუდენტების შემთხვევაშიც, ხშირად ხდება საკუთარი ეროვნულობის გამორჩეულობის, განსხვავებულობის ხაზგასმა და დიად წარსულზე აპელირება. ის, რომ საქართველო არის ყველაზე სტუმართმოყვარე ქვეყანა, აქვს ყველაზე ძველი ღვინო, უნიკალური დამწერლობა და ანბანი. სტუდენტების აზრით, საქართველოს გამორჩეულობაზე მიუთითებს ისიც, რომ ასეთმა პატარა ქვეყანამ, ბევრი ომების მიუხედავად, შეძლო საკუთარი რელიგიის, ენისა და მიწის შენარჩუნება და დღეს დამოუკიდებელ სახელმწიფოს წარმოადგენს.

„მერე რომ იწყებ ლაპარაკს, რომ ანუ რამდენი დაპყრობა, ამდენი ომი იყო და თუნდაც ამხელა დიდი დათვის გარემოცვაში რომ ესე დგახარ ფეხზე მაინც და შენარჩუნებული გაქვს შენი მეობა, რა ვიცი, ჩემი აზრით, ძაან საამაყოა, თუნდაც ენა ანუ რუსიფიკაცია ძაან უნდოდათ, თუმცა ვერ მოხდა ეს ყველაფერი“ (თამუნა, 27 წლის, იტალია).

შემდეგი სტრატეგია, რომელსაც განვიხილავ, ძალიან ახლოს არის აზიელი სტუდენტების სტრატეგიასთან - მიმღებ კულტურასა და საკუთარ კულტურას შორის

არსებულ მსგავსებებზე აქცენტის გაკეთება და ამასთანავე, კამილერისა და მალევსკა-პიერის მიერ შესწავლილ კოლექტიურ სტრატეგიასთან - **საერთო ადამიანურ და ეგალიტარულ ღირებულებებზე აქცენტირება და არა ეროვნულ ღირებულებებზე**. ქართველი სტუდენტები სხვა ქართველების სამარცხვინო და კრიმინალური საქმიანობიდან გამომდინარე, სტიგმატიზაციის თავიდან ასაცილებლად სწორედ ამ სტრატეგიას იყენებენ. მათ რეაქციას ქართველების ნეგატიურ კონტექსტში განხილვის დროს წარმოადგენდა - „ყველგან არსებობს კარგი და ცუდი.“ ამით სტუდენტები ცდილობდნენ ზოგად ადამიანურ სისუსტეებზე მითითებით, ისინი ყველა საზოგადოებისთვის უნივერსალურად წარმოაჩინონ.

„მე ის პასუხი გავეცი, რომ ყველა საზოგადოებაში, ყველა ნაციონალიზმში არსებობს კარგი და ცუდი და არ უნდა მოხდეს გაიგივება მთელ ხალხთან“ (ლიკა, 23 წლის, გერმანია).

„ყველა ქვეყანაში ხდება ესე და ნუ თვითონაც იტალიელებიც არიან წასულები სხვა ქვეყანაში სამუშაოდ და თვითონ იტალიელ სტუდენტებსაც უნდათ, რომ გავიდნენ და მიაჩნიათ, რომ იტალიაში არ არის ეხლა ისეთი ცხოვრება. აი, ჩვენც ხო ვართ ეგრე, რომ აი, სულ გაქცევა გვინდა. ისინიც ეგრე არიან“ (თამუნა, 27 წლის, იტალია).

დასავლეთ ევროპაში, სადაც არსებული რეალობიდან გამომდინარე, ქართველთა კრიმინალური საქმიანობის ბევრი შემთხვევა ფიქსირდება, შესაბამისად დასავლეთ ევროპაში ხდებოდა ამ საკითხზე კითხვების დასმა და ამ სტრატეგიის გამოყენება დასავლეთ ევროპაში წასული სტუდენტებისთვისაა დამახსიათებელი.

მნიშვნელოვნად მიმაჩნია განვიხილო ასევე, პროფესორების ორიენტალისტური დისკურსი და მათზე ქართველი სტუდენტების საპასუხო რეაქცია. იმ შემთხვევებში, როდესაც პირდაპირ და ნათლად იყო პროფესორების მხრიდან სტუდენტების მიმართ გამოხატული ორიენტალისტური დისკურსი და ჰქონდათ მოლოდინები, რომ ქართველი სტუდენტები ვერ ისწავლიდნენ და ვერ დამლევდნენ მასალას, ისინი, საპასუხოდ, მაქსიმალურად ცდილობდნენ სტერეოტიპული წარმოდგენები დაემსხვირათ. როგორც ერთმა სტუდენტმა აღნიშნა, იმის მიუხედავად, რომ სურვილიც კი ეკარგებოდა ლექციაზე შესულიყო

პროფესორის ასეთი დამოკიდებულების გამო, ყოველთვის მომზადებული იყო და ცდილობდა, სხვა სტუდენტებისთვის კონკურენცია გაეწია.

„ასეთი ფრაზები მესმოდა, რომ, ვთქვათ თქვენ შეგიძლიათ არ გააკეთოთ ამ თემაზე, შეგიძლიათ ეს თემა აიღოთ და ამაზე ხშირად ვლიზიანდებოდით ხოლმე... მაგრამ რამდენიმე კვირაში დავამტკიცე, რომ კონკურენციის გაწევა შემდეგ არა მხოლოდ სხვა გაცვლითი სტუდენტებისთვის, არამედ გერმანებისთვის, ვინც იქ სწავლობდნენ“ (ნუცა, 24 წლის, გერმანია).

მსგავსი ორიენტალისტური დისკურსი პროფესორების მხრიდან დასავლეთ ევროპის ქვეყნებში გამოიკვეთა.

2.4 აღმოსავლეთ და დასავლეთ ევროპის უნივერსიტეტებში შესრულებული თვითპრეზენტაციის შედარება

ჩემი რესპონდენტების ნარატივებმა შესაძლებლობა მომცა, პასუხი მიმეღო იმის შესახებ, თუ რამდენად მსგავს/განსხვავებულ თვითპრეზენტაციას აქვს ადგილი სტუდენტების მიერ აღმოსავლეთ ევროპის და დასავლეთ ევროპის უნივერსიტეტებში. ამ ორ ადიტორიასთან მართლაც ერთმანეთისგან განსხვავებულ თვითპრეზენტაციას აქვს ადგილი, რომელზეც ქვემოთ ვისაუბრებ.

პირველ რიგში, მინდა აღვნიშნო, რომ იქიდან გამომდინარე, რომ ევროპის უნივერსიტეტებში ქართველი სტუდენტები ძირითადად ინგლისურენოვან პროგრამებზე სწავლობენ, არა მხოლოდ ადგილობრივ, არამედ საერთაშორისო სტუდენტებთანაც უწევთ თვითპრეზენტაცია.

ქართველი სტუდენტების ნარატივებიდან გამოიკვეთა, რომ აღმოსავლეთ ევროპაში ქართველების მიმართ ძირითადად პოზიტიური დამოკიდებულებები და სტერეოტიპები არსებობს. როგორც სტუდენტები აღნიშნავენ აღმოსავლეთ ევროპელები ქართველებს ახასიათებენ, როგორც კომუნიკაბელურებს, მხიარულებს, მეგობრულებს, თბილებს. როგორც ნარატივებიდან ჩანს, დასავლეთ ევროპელები ნაკლებ დეტალებს ფლობენ

ქართველების შესახებ, ვიდრე აღმოსავლეთ ევროპელები და შესაბამისად, ქართველი სტუდენტები მათ სხვადასხვა სოციალურად სასურველ ნარატივს სთავაზობენ. ისინი დასავლეთ და აღმოსავლეთ ევროპელი სტუდენტებისგან გამოვლენილ ორიენტალისტურ დამოკიდებულებას განსხვავებულად პასუხობენ. დასავლეთ ევროპაში, სადაც ხშირად უწევთ ქართველების კრიმინალური და სამარცხვინო ქმედებების „შელამაზება“ იქ თავდაცვით სტრატეგიას იყენებენ, კერძოდ - საერთო ადამიანურ და ეგალიტარულ ღირებულებებზე და არა ეროვნულ ღირებულებებზე აქცენტირება. ხოლო, აღმოსავლეთ ევროპელებთან ორიენტალისტური დისკურსის თავიდან ასაცილებლად ცდილობენ საკუთარი ქვეყანა მიმღებ ქვეყანასთან ახლოს წარმოაჩინონ.

„ვცდილობ წარმოვაჩინო, რომ ვმეგობრობთ, ახლოს ვართ, ჩვენს ქვეყნებს კარგი ურთიერთობა აქვთ ერთმანეთთან.. ლებ კაჩინსკიზე ვამახვილებ ხოლმე ყურადღებას, რომ ომის დროს გვერდზე დაგვიდგა“ (ირაკლი, 24 წლის, პოლონეთი).

ამასთანავე, განსხვავებულ თვითპრეზენტაციას ჰქონდა ადგილი, როდესაც სტუდენტები საქართველოს ევროპულობის ხაზგასმას ცდილობდნენ. ეს სტრატეგია, გამოიყენებოდა როგორც აღმოსავლეთ ევროპაში, ისე დასავლეთ ევროპაში, მაგრამ აღმოსავლეთ ევროპაში ის „ევროპულ ოჯახში“ დაბრუნების დისკურსის ფარგლებში იყო წარმოდგენილი და საერთო კომუნისტურ წარსულზე ხდებოდა აპელირება, ასევე რუსეთის დადანაშაულება ხდებოდა, რომელმაც თავის ბუნებრივ გარემოს მოწყვიტა საქართველო.

რაც შეეხება სტიგმატიზაციის არიდების სხვა სტრატეგიებს, როგორც არის საკუთარი ეროვნებით „ჰიპერბოლური სიამაყე“, ქართველების ოქსიდენტალური სტრატეგია კავკასიელი მეზობლების მიმართ, მიმღებ ქვეყანაში რასისტული გამოცდილების უარყოფა, ამ სტრატეგიებს სტუდენტები იყენებდნენ როგორც დასავლეთის, ისე აღმოსავლეთ ევროპის უნივერსიტეტებში.

დასკვნა

კვლევის შედეგად გამოვლინდა, რომ ქართველი სტუდენტები, რომლებიც ევროპის უნივერსიტეტებში სწავლობენ პირველ რიგში საერთაშორისო აუდიტორიის წინაშე ცდილობენ საკუთარი იდენტობის იმ ასპექტების წარდგენას, რომლებიც ეთნიკური ნაციონალიზმის გამომხატველია. ასევე, ქართველების გამორჩეულობას თუ „რჩეულობას“ უსვამენ ხაზს. ამასობაზე უძველესი ისტორიითა და კულტურით. ხოლო, რაც შეეხება იმ ასპექტებს, რომლის გამჟღავნებასაც სტუდენტები ერიდებიან, ეს არის შიდაპოლიტიკური მდგომარეობა, ადამიანის უფლებების შელახვის ფაქტები, კერძოდ ქალთა მიმართ ძალადობა და სექსუალური უმცირესობების უფლებების დარღვევის ფაქტები. ასევე, ქართველი წყვილების ქორწინებამდე თანაცხოვრება და ქორწინებამდე სექსუალური ურთიერთობები. დასავლეთ ევროპაში სტუდენტები თავს არიდებდნენ ქართველების კრმინალურ საქმიანობაზე საუბარს.

კვლევის შედეგად გამოვლინდა ის სტრატეგიები, რომლებსაც ქართველი სტუდენტები ეროვნული იდენტობის თვითპრეზენტაციისა და სტიგმატიზაციის თავიდან ასარიდებლად იყენებენ:

1. ისტორიულ წარსულზე აპელირება და მის თანამედროვე წარუმატებლობის კომპენსატორად განხილვა;
2. საკუთარი ეროვნებით „ჰიპერბოლური სიამაყე“;
3. საქართველოს ევროპულობის ხაზგასმა;
4. ოქსიდენტალური სტრატეგია კავკასიელი მეზობლების მიმართ;
5. მიმღებ ქვეყანაში რასისტული გამოცდილების უარყოფა;
6. მიმღებ საზოგადოებასთან საერთო ადამიანურ და ეგალიტარულ ღირებულებებზე და არა ეროვნულ ღირებულებებზე აქცენტირება.

კვლევის ჰიპოთეზა, რომ ქართველი სტუდენტების მიერ ეროვნული იდენტობის თვითპრეზენტაცია განსხვავებულია დასავლეთ და აღმოსავლეთ ევროპის უნივერსიტეტებში, დადასტურდა. კერძოდ, ქართველი სტუდენტები განსხვავებულად

პასუხობდნენ აღმოსავლეთ ევროპაში და დასავლეთ ევროპაში გამოვლენილ ორიენტალისტურ დისკურსს. ასევე, იქიდან გამომდინარე, რომ აღმოსავლეთ ევროპაში უფრო პოზიტიური დამოკიდებულებები გამოიკვეთა ქართველების მიმართ, მათ ნაკლებად უხდებოდათ ქართველობის სხვადასხვა ასპექტის „შელამაზება“, რათა სოციალურად სასურველი თვითპრეზენტაცია მოეხდინათ.

გამოყენებული ლიტერატურა:

- Camilleri, C., & Malewska-Peyre, H. (1997). Socialization and identity strategies. In: J. W. Berry, P.R. Desen & T. S. Saraswathi (Eds.), *Handbook of cross-cultural psychology: Vol. 2. Basic process and human development* (2nd ed., pp. 41-67). Boston: Allyn & Bacon
- Edensor, T. (2002). *National Identity, Popular Culture and Everyday Life*. Oxford: Berg
- Fox, J. E. & Miller-Idriss, C. (2008). Everyday nationhood. *Ethnicities*, 8(4), 536-563
- Goffman, E. (1956). The Presentation of Self in Everyday life. *University of Edinburg, Social Sciences Research Centre*
- Herzfeld, M. (2005). *Cultural Intimacy: Social Poetics in the Nation-State*. New York: Routledge
- Javakhishvili, N., Skhirtladze, N., Mestvirishvili, M., & Khujadze, N. (2013). Identity Formation in Early Adulthood: *Localisation versus Globalisation*
- Oborune, K. (2010). The Case Study of the Erasmus Programme in Latvia: Stereotypes and European Identity, MA Thesis, Central European University, მოძიებულია 5 ნოემბერი, 2018 <https://www.grin.com/document/162865>
- Papatsiba, V. (1996). Study Abroad and Experiences of Cultural Distance and Proximity: French Erasmus Students. In: M. Byram & A. Feng (Eds.), *Living and Studying Abroad, Research and Practice*
- Singh, P. & Doherty, C. (2008). Mobile Students in Liquid Modernity. *Negotiating the Politics of Transnational Identities*. In N. Dolby & F. Rizvi (Eds.), *Youth Moves: Identities and Education in Global Perspective*. (1st ed., pp.115-129). New York: Routledge
- Todorova, M. (1997). *Imagining the Balkans*. Oxford: Oxford University Press

Tsuladze, L. (2018). Georgian dilemma: Concerns for national identity and quest for Europeanness. *Journal of European Studies* 6, 37-62

Tsuladze, L. (2013). Western Imaginary and Imagined Defense Strategies of Eastern Europe and its Borderlands. *Central European Journal of International and Security Studies*, 7(4), 107-126

Udrea, G. (2011). European Identity and Erasmus Mobility. Insights from Romanian Students' Experiences, მოძიებულია 5 ნოემბერი, 2018

[http://www.academia.edu/2898795/European Identity and Erasmus Mobility. Insights from Romanian Students Experiences](http://www.academia.edu/2898795/European_Identity_and_Erasmus_Mobility_Insights_from_Romanian_Students_Experiences)

Weele, R. (2014). The Erasmus Programme: A Step towards a European Identity, მოძიებულია 5 ნოემბერი, 2018 <https://dspace.library.uu.nl/handle/1874/297955>

სტერეოტიპები (n.d.). ლექსიკონი-ცნობარი სოციალურ მეცნიერებებში. მოძიებულია 5 ნოემბერი, 2018 <http://dictionary.css.ge/content/stereotypes>

Ivane Javakhishvili Tbilisi State University

Manana Enukidze

Georgian Students' Self-Presentation of their National Identity at
European Universities

Sociology of Culture and Media

A Thesis Submitted in Partial Fulfillment of the Requirements for Degree of Master
in Social and Cultural Studies

Thesis supervisor: Lia Tsuladze – PhD in Sociology,
Associate Professor at Tbilisi State University
Amiran Berdzenishvili – PhD in Philosophy,
Full Professor at Tbilisi State University

Tbilisi

2019